

მართლმადიდებელი ქრისტიანის ბიბლიოთეკა

თარგმანებად იონანეს
სახარებისად

ბიბლიის უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს:
ზურაბ სარჯველაძემ
ლელა ალექსიძემ
ნინო ღოგორჯიანიძემ
დარეჯან თვალთვაძემ
მანანა მაჩხაძელმა
ლელა ნიქარაძემ
ნანა შულაძემ
თამარ ცოფურაშვილმა

რედაქტორები: მზეპალა შანიძე
ზურაბ სარჯველაძე

წიგნის გამოცემის სპონსორია ერთობლივი საწარმო
„მერკური“
გ. თოფჩიშვილი

© გ. ართველი, ზ. ართველი. 1993

წმ. იოანე ღვთისმეტყველის

**განმარტება იოანეს
სახარებლისა**

თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმიდელისა

ს ა წ ი ჯ ი II

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: იტყოდეს ვინმე იერუსალმელთაგანი: „არა ესე არსა, რომელსა ეძიებდეს მოკლვად? აჰა, ესერა, განცხადებულად ეტყუს: და არარას ეტყუან მას. ნუუკუე ჰეშმარიტად ცნეს მთავართა, ვითარმედ ესე არს ქრისტე? არამედ ესე ვიცით, ვინაჲ არს (7,25—27). თ ა რ გ მ ა ნ ი: არარაჲ არს ესრეთ ლიტონად თქუმული წმიდათა წერილთა შინა, რამეთუ სულისა მიერ წმიდისა თქუმულ არიან. ამისთვის ჯერ-არს, რაჲთა ყოველსავე გამოწულილვით გამოვეძიებდეთ, რამეთუ მრავალგზის ერთისა მის სიტყუსა მიერ იბოვების ძალი დიდი, ვითარი არს ესეცა, რომელი აწ წინამდებარე არს ჩუენდა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: იტყოდეს ვინმე იერუსალმელნი: „არა ესე არსა, რომელსა ეძიებდეს მოკლვად? და, აჰა, ესერა, განცხადებულად იტყუს და არარას ეტყუან მას“ (7,25—26). თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე რადლა არს აჰა, თუ: „იერუსალმელთაგანნი?“ ამისთვის, რამეთუ გჯუენებს მახარებელი, ვითარმედ რომელნი-იგი უმეტესთა და დიდთა სასწაულთა მისთა მხილველ იყვნეს, იგინი იყვნეს უსაწყალობელს ყოველთასა, რომელთა ეხილვა ღმრთეებისა მისისა სასწაული დიდი, იგინი ყოვლსა მას საშჯელსა ზედა მთავართა მათ განხრწნილთასა გულისხმა-ჰყოფდეს. ანუ არა დიდი საკვრველი იყო, ვითარ რომელნი-იგი მიმოვიდოდეს და ეძიებდეს მოკლვად, მირაჲ-ვიდა შორის მათსა, შეჰყრობილ იქმნეს კელნი მათნი? რამეთუ ვინ ქმნა ესე ყოველი? ვინ დაშრიტა საკუმილი იგი გულისწყრომისა მათისაჲ? გარნა ამას ყოველსა საკვრველებასა ზედა და სხუათა მათ ურიცხუთა სასწაულთა მისთა იხილე მათი იგი უგულისხმოებაჲ, — „არა ესე არსო, რომელსა ეძიებდეს მოკლვად?“ — ვითარ თავთა თვსთა შესამენენ და იტყუან, ვითარმედ: „რომელსა ეძიებენო მოკლვად და არარას ეტყუან მას“, რომელი-იგი განცხადებულად იყოფებოდა მათ შორის და კადნიერებით ამხილებდა, რომლისა მიერ იქმნებოდა უმეტესი განრისხებაჲ მათი? არამედ არარას ჰყოფდეს? ნუუკუე ჰეშმარიტად ცნეს, ვითარმედ ესე არს ქრისტე? ხოლო თქუენ რასა იტყვთ მისთვის, მ, ჰურიანო? ვი-

თარ ჰგონებთ მისთვის? იტყვან, ვითარმედ „ესრეთ ვიტყვოთ, თუ: „არა ქრისტე არს“. ამისთვისცა თქუეს, ვითარმედ: „ესე ვიციოთ, ვინაჲ არს“. მ უკეთურებაჲ ესე! მ ბოროტადმეტყუელებაჲ ესე! არცა მთავართა განჩინებასა შეუდგან, არამედ სხუასა შემოიღებენ ბოროტსა და თვისისა მის უგუნურებისა ღირსსა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ვიციოთ, თუ ვინაჲ არს, ხოლო ქრისტე ოდეს მოვიდეს, არავინ უწყოდის, თუ ვინაჲ არს (7,27). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და ვითარ ჰეროდე მღდელთა თქუენთა ჰკითხვიდა რაჲ, იტყოდეს, ვითარმედ: „ბეთლემს იშვეების“,¹ და კუალად სხუანი ვიეთნი იტყოდეს: „ვიციოთ, რომელ მოსეს ეტყოდა ღმერთი, ხოლო ესე არა ვიციოთ, ვინაჲ არს“.² ვიციოთ, ვინაჲ არს და კუალად არა ვიციოთ, თუ ვინაჲ არსო. იხილენ სიტყუანი მთრვალთანი: და კუალად იტყვან: ნუუკუე გალიელაჲთ მოვალს ქრისტე, არა ბეთლემით მოვალსა?³ იხილე სიტყუაჲ ესე განცოფებულთაჲ: ვიციოთ და არა ვიციოთ, და ბეთლემით მოვალს ქრისტე, და, ქრისტე ოდეს მოვიდოდის, არავინ უწყოდისო, ვინაჲ არს. რაჲ არს ამის ცოფისა უცხადჰსი? რამეთუ ერთისა მიმართ ოდენ იყო მოსწრაფებაჲ მათი, რაჲთამცა არა ჰრწმენა. ისმინეთ უკუე, რაჲ მიუგო უფალმან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „შეცა მიციოთ და იციოთ, ვინაჲ ვარ, და თავით ჩემით არა მოსრულ ვარ. და არს ჰეშმარიტი, რომელმან მომავლინა მე, რომელი თქუენ არა იციოთ, ხოლო მე ვიციო იგი, რამეთუ მის მიერ ვარ და მან მომავლინა მე“ (7, 28—29). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და კუალად სხუასა ადგილსა იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუმცა მე მიცოდეთ, მამადცამცა ჩემი იცოდეთ“.⁴ ხოლო ვითარ, რამეთუ ეტყვს, ვითარმედ: „მიციოთ მე და თუ ვინაჲ ვარ“, და კუალად ეტყვს, ვითარმედ: „არცა მე მიციოთ, არცა მამად ჩემი“, ნუუკუე წინააღუდგებოდესა ურთიერთას სიტყუანი მისნი? ნუ იყოფინ! არამედ

¹ შლრ. მათ. 2,5

² იოან. 9,29

³ იოან. 7,41,42

⁴ იოან. 14,7

ფრიადცა ეწამებოდეს, არამედ, რაჟამს იტყოდის-თუ: „არა შიციოთ“: სხუასა ცნობასა იტყვს აქა, ვითარცა-იგი წერილ არს, ვითარმედ: „ძენი ელისნი, ძენი უშჯულონი, რომელთა არა იცოდეს უფალი;“¹ და კუალად იტყვს, ვითარმედ: „იერუსალმშმან მე არა მიცნა“;² ვითარცა კუალად მოციქული პავლე იტყვს, ვითარმედ: „ღმერთსა იტყუან ცნობად, ხოლო საქმითა უფარ-ჰყოფენ“;³ და ეგებისმეა ცნობად და არა-ცნობად ერთისა საქმისად? გარნა ესე ამას იტყვს, თუ: „მე შიციოთ“ და „იციოთ, ვითარმედ ძმ ვარ ღმერთისად“, რამეთუ „თუ: ვინაჲ ვარ“, არა აღგილსა იტყვს აქა და საცნაურ არს შემდგომისა მის სიტყვსაგან, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „თავით ჩემით არა მოსრულ ვარ, არამედ არს ჭეშმარიტი, რომელმან მომავლინა მე, რომელი თქუენ არა იციოთ“, უცნებასა აქა საქმეთამიერსა იტყვს სიტყვსა მისებრ პავლესა, ვითარმედ: „ღმერთსა იტყუან ცნობად და საქმეთა მიერ უარ-ჰყოფენ“. და არა უცნებელობისაგან იყო ცოდვაჲ, არამედ უკეთურებისაგან და ბოროტისა გონებისა. და ესე იცოდეს და არა ცნობად ენება. გარნა რომელი შეწყობად აქუს სიტყუათა ამათ, რამეთუ ვითარ, რომელ ამხილებდა რაჲ მათ, მათთავე სიტყუათა იტყოდა. რამეთუ თქუეს რაჲ მათ, თუ: „ესე ვიციოთ, ვინაჲ არს“, თავადმანცა თქუა, ვითარმედ: „მეცა მიციოთ“, და რაჲსათჳს ჰრქუა ესე? ნუუკუე იგინი იტყოდეს რაჲ, თუ „არა ვიციოთ?“ გარნა ამისთვის, რამეთუ იგინი იტყოდეს რაჲ, თუ: „ვიციოთ, ვინაჲ არს“, არა თუ სხუასა რაჲსათჳსმე იტყოდეს, გარნა ამისთვის, თუ ქუეყანით არს და ძმ არს ხუროდსა მის. ხოლო თავადი აღიყვანებდა მათ ზეცად და იტყოდა, ვითარმედ: „იციოთ, ვინაჲ ვარ“, ესე იგი არს, ვითარმედ: „ზეციოთ ვარ, არა სადაჲთ თქუენ იტყუთ, არამედ სადა არს მომავლინებელი ჩემი“, რამეთუ სიტყუად იგი, თუ: „თავით ჩემით არა მოსრულ ვარ“, ამას მოასწავებს, ვითარმედ იცოდეს მათცა, თუ მამისა მიერ მოვლინებულ არს, და-ღაცათუ არა გამოაცხადებდეს. ამისთვის ორკერძო ამხილებს

¹ I მეფ. 2,12

² ისაია 1,3

³ ტიტ. 1,16

მათ და პირველად რასაცა თვსაგან იტყოდეს, იგი შორის შემოილო, რაფთამცა არცხუნა მათ, და მერმე გონებათა შინა მათთა მოგონებული ყოველი გამოუცხადა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: „არა ვარ ესრეთ ლიტონთაგანი და ამაოდ მოსრულთა, არამედ არს ჭეშმარიტ მომავლინებელი ჩემი“. რაფთა არს სიტყუად ესე, თუ: „არს ჭეშმარიტ მომავლინებელი ჩემი?“ ესე იგი არს, ვითარმედ ვინაფთგან იგი ჭეშმარიტ არს, მოვლინებულისა სამე იგი ჭეშმარიტებისათვს მოუვლენიეს, ვინაფთგან ჭეშმარიტ არს მომავლინებელი, მოვლინებულისა ჭეშმარიტ არს.

და კუალად სხუთაცა სახითა იქმს ამას, რამეთუ თვთ მათთავე სიტყუათაგან შეიპყრობს მათ. რამეთუ ვინაფთგან იტყოდეს, თუ: „ოდეს ქრისტე მოვიდეს, არავინ უწყოდის, ვინაფთ არს“. ამის მიერცა გამოაჩინებს, ვითარმედ იგი არს ქრისტე, რამეთუ იგინი სიტყუასა მას, თუ: „არავინ უწყოდის“, განჩინებისა რაფსათვსმე ადგილადისა იტყოდეს და ამისგანცა გამოაჩინებს, ვითარმედ იგი არს ქრისტე, რამეთუ მამისაგან მოვიდა და ყოველსა ადგალსა მეცნიერებასა მამისასა თავსა თვსსა ოდენ უწყამებს, ვითარცა იტყუს, ვითარმედ: „არა თუ მამაფ ვის უხილავს, არამედ რომელი-იგი არს მამისაგან“.¹ და განაფიცხენეს იგინი სიტყუათა ამათ, რამეთუ თქუამაფ, თუ: „არა იციით იგი“, და კუალად რომელსა იტყოდეს, თუ: „არა ვიციით“, მხილუბაფ, თუ იციან, კმა არს განფიცხებად მათა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ეძიებდეს მას შეპყრობად და არავინ დაახსნა კელნი, რამეთუ არღა მოწვევულ იყო უამი მისი“ (7,30). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, ვითარ უხილავად შეკრულ იყვნეს და გულისწყრომასა მათსა აღვრ-ესხმოდა? ხოლო რაფსათვს არა თქუა, თუ: „უხილავად აყენებდა მათ“, არამედ თქუა, თუ: „არღა მოწვევულ იყო უამი მისი“, ამისთვს, რამეთუ ესრეთ ინება მახარებელმან, რაფთა აქა მდაბლადრე თქუას მისთვს და კაცობრივ, რაფთა კაცებაფცა მისი მტკიცე იყოს. რამეთუ, ვინაფთგან ყოველსა ადგილსა მაღალთა მათ საქმეთა ღმრთეებისათა იტყოდა, ამისთვს კაცობრივნიცა ესე

¹ იოან. 6,46

სიტყუანი განუთესვან შორის. ხოლო რაჟამს იტყოდეს, თუ: „მისგან ვარ“, არა თუ ვითარცა წინადასწარმეტყუელი იხილავს მას და ესრეთ იტყვს, არამედ ვითარცა მისი მარადის მხედველი და მის თანა მყოფი. რამეთუ იტყვს, ვითარმედ. „ვინ იგი, რამეთუ მისგან ვარ“. ჰხედავა, ვითარ ზე და ქუე შეჰმზადებს ამას ვითარმედ: „თავით ჩემით არა მოსრულ ვარ“, და ვითარმედ: „მომავლინებელი ჩემი ქეშმარტ არს“, რამეთუ ამისთვის იყო ესე ყოველი, რადთა არა საგონებელ იყოს უცბოდ ღმრთისაგან, და იხილე, თუ რაზომი არს მდაბალთა მათ სიტყუათა სარგებელი, რამეთუ იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „შემდგომად ამისა მრავალთა ჰრწმენა და იტყოდეს: ქრისტე ოდეს მოვიდეს, ნუუკუე უმრავლესი სასწაული ქმნესა, რომელნი ამან ქმნნა?“ (7,31). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაოდენნი სასწაულნი? რამეთუ სამნი არიან სასწაულნი: ღვნისა და განრღუეულისა და ძისა სამეუფოსა მის კაცისა, და სხუად უმეტესი მახარებელსა არა რად უთქუამს. ამისგან უწყით, ვითარმედ მრავალთა მათ სასწაულთა მისთა თანაწარჰკედებოდეს მახარებელნი და არა წერდეს, არამედ ამას გუეტყვან, რომელთა ზედა მთავარნი იგი ბოროტსა იტყოდეს მისთვის და ეძიებდეს მას შეპყრობად და მოკლვად. ხოლო ამას არა სიმრავლჳ იგი იქმოდა ერისა, რომელნი არა მთავრობისმოყუარე იყვნეს, არცა შურაი მისი აქუნდა, არამედ მღდელნი იყვნეს ამის ყოვლისა მოქმედნი. რამეთუ ერისა მის მრავლისაგანნი იტყოდეს, ვითარმედ: „ქრისტე ოდეს მოვიდეს, ნუუკუე უმეტესნი სასწაულნი ქმნესა?“ გარნა ესეცა სარწმუნოებად არავე მრთელ იყო, არამედ ვითარცა ერისა ზრქელისა და უმეტერისა, რამეთუ, რომელნი იტყოდეს, თუ: „ქრისტე ოდეს მოვიდეს“, არა სრულიად დარწმუნებულთა იყო, ვითარმედ ქრისტე არს იგი. ანუ ესე არს, რომელ ვთქუე, ანუ კუალად ესე არს, რომელ ვინაფთგან მთავარნი იგი დაამტკიცებდეს, თუ: „არა ესე არს ქრისტე“, ერმან თქუა, თუ: „აჰა, ვთქუათ, თუ: არა ესე არს ქრისტე“. ნუუკუე იგი ვინმე, რომელსა ეგენი იტყვან, თუ სხუად არსო, ამისა უმჯობეს იყოსა? ვითარცა-ესე მე მარადის ვიტყუ, ვითარმედ ზრქელნი გონებითა და უგულისხმონი არა მოიქცევიან ესრეთ სწავლითა და დარწმუნებითა სიტყუათადათა, ვითარ სასწაულითა.

სახარება: ესმა ფარისეველთა ერისა მის ღრტუნვამ მისთვის, და მიავლინნეს მღვდელთმოდღუართა და ფარისეველთა მსახურნი, რაათა შეიპყრან იგი (7,32). **თარგმანი:** ჰხედავა, რამეთუ შაბათისა იგი დაქსნამ მიზეზი იყო, ხოლო მათი შემაწუხებელი ესე იყო, რამეთუ აქა არაჲაჲ აქუნდა, რაათამცა თქუეს მიზეზი სიტყუათა მისთათს, გინა თუ საქმეთა. და ვინამთგან სხუამ მიზეზი ვერ პოვეს ერისათს, ენება შებყრობამ მისი და თვთ ვერ იკადრებდეს, რამეთუ ლელვასა მას ესევეითარსა ერიდებოდეს, არამედ მსახურთა მათთა წარავლენდეს. მძლავრებამ იგი და სიბოროგილე! მ უგუნურებამ იგი ღიღი! რამეთუ თვთ მრავალგზის ებრძოდნეს და ვერ უძლეს, და მსახურთა მათ უბრძანეს საქმეს იგი, რაათამცა გულისწყრომასა მათსა სცეს განსუენებამ. და თავადსა ეთქუ: საბანელსა მას ზედაცა და მათა მიმართ, და არაჲაჲ ესევეითარი ქმნეს, არამედ ეძიებდეს, გარნა არა კელ-ყვეს საქმესა მას. ხოლო აქა ვერლარა თავსიდვეს, იხილეს რამ, ვითარმედ ერ იგი მისა მივალს. ხოლო ქრისტემან მიუგო:

სახარება: „მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ“ (7,33). **თარგმანი:** და რომელსა-იგი ძალ-ედვა მოდრეკად მათა და შეშინებად, იგი სიტყუათა იტყუს სიმდაბლითა საესეთთა, ვითარცა იტყოდა: „რად ისწრაფით მოკლვად ჩემდა და ღანძებად? მცირედსა ჟამსა მელოდეთ და მერმე, დაღაცაოლუ გენებოს დაყენებამ ჩემი თქუენ თანა, არა ვდგე“. და მერმე, რაათა არა სიკუდილად გულისხმა-ყონ, რამეთუ ყოველთა ზედა მოაწევის, რამეთუ ესეცა მოიგონეს მათ, ხოლო რაათა არავინ ესე მოიგონოს, ამისთვის თქუა:

სახარება: „და სადა მე ვიყო, თქუენ ვერ ძალ-გიც მოსლვად“ (7,34). **თარგმანი:** ხოლო უკუეთუმცა სიკუდილსა შინა ეგულებოდა დაშთომად, ძალ-ედვა მათცა წარსლვამ, რამეთუ მუნ წარვალთ ყოველნი. უმეცართა მათ უკუე ერთსა მოსდრეკდეს სიტყუანი ესე და ამპარტავანთა შეაშინებდეს და სწავლისმოყუარეთა მოსწრაფე-ჰყოფდეს სმენად, რაჟამს ესამცა, თუ: „მცირედლა“, და არლარა ეგულებოდის მათ „სწავლათა სმენად“, და არა თქუა, თუ: „მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარო“, ესე იგი არს, ვითარმედ: „გინა თუ მღევნიდეთ, გინა თუ მებრძოდით, მცირედსა ამას ჟამსა

აქა ვარ, არამედ: „მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარო“, ესე იგი არს, ვითარმედ: „გინა თუ მღევნიდეთ, გინა თუ გებრძოდით, მცირედსა ამას ჟამსა თქუენ თანა ვარ და არა დავსცხრები განგებულებათა მათ ჩემთა თქუენ ზედა ქმნად და ცხორებისათჳს სულთაჲსა სწავლად, და მერმე წარვალ მომავლინებელისა ჩემისა. ესე კმა იყო ნეშინებად და შეურვებად მათა და ვითარმედ საქმარ ეყოს მათ, მოასწავებს, რამეთუ იტყუს:

სახარებაჲ: მეძიებდეთ მე, არა თუ ოდენ არა დამივიწყოთ, არამედ მეძიებდეთცა (7,34). თ ა რ გ მ ა ნ ი: და სადა უკუე მოიძიეს იგი ჰურიათა? ვითარცა-იგი ლუკა იტყუს, ვითარმედ გოდებდეს მისთვის დედანი და სხუანიცა მრავალნი,¹ და მერმე, რაჟამს ქალაქი მათი ტყუე იქმნებოდა, არამცა აქსენებდესა ქრისტესა და საკვრველებათა მათ მისთა, და ეძიებდესმცა მოსლვასა მისსა? და ესე ყოველი თქუა, რამეთუ ენება მოსლვად მათა კეთილისამიმართ, რამეთუ სიტყუანი ესე, თუ: „მცირედლა ჟამი არს“, და შემდგომად წარსლვისა ძიებაჲ მისი და ვერპოვნაჲ, ესე ყოველი კმა იყო დასარწმუნებელად და მოქცევად მათა. რამეთუ, უკუეთუმცა არა ეგულებოდა სასურველ-ყოფად და არამცა ირწმუნეს, და კუალად, უკუეთუმცა შესაძლებელმცა იყო პოვნაჲ მისი, ეგრეთემცა არავე შეშინდეს. და კუალად, უკუეთუმცა მრავალთა ჟამთა ეგულებოდა დადგრომაჲ მათ თანა, ნუუკუედა ეგრეცამცა უდებ იქმნენს, არამედ ყოვლით კერძო შეაშინებს მათ და შეაშფოთებს, ხოლო კუალად სიტყუაჲ ესე, თუ: „წარვალ მომავლინებელისა ჩემისა“, გამომაჩინებელი არს, ვითარმედ არარაჲ ვნებაჲ მოიწვევის მის ზედა მათისა მის მტერობისაგან, და ვითარმედ ჭუარს-ცუმაჲ მისი ნეფსით არს, ორნი უკუე წინამსწართხრობანი უთხრნა: ერთად, ვითარმედ შემდგომად მცირედისა ჟამისა წარსლვად არს, და კუალად, ვითარმედ ვერ მივიდენ მისა მიმართ, რომელ-იგი არაკაცობრივისა ბუნებისა იყო თჳსისა აღსასრულისა წინამსწარცნობაჲ, რამეთუ იხილე, დავით რასა იტყუს, ვითარმედ: „მა-უწყე მე, უფალო, აღსასრული ჩემი და რიცხჳ დღეთა ჩემთაჲ,

¹ შლრ. ლუკ. 23,27

რადთა უწყოდი, თუ რადლა მკლს მე?¹ და არავინ იცის საქმე ესე. ხოლო, მე ვპვინებ, თუ მსახურთა მათ მიმართ იყო სიტყუად ესე. რომლითა მოდრიკნა იგინი, რაჟამს უჩუენა, ვითარმედ უწყის მან წარსლვისა მისისა ჟამი. ვითარმცა ეტყოდა, თუ: „მელოდეთ მცირედლა და წარვიდე“.

სახარებაჲ: ეტყოდეს ჰურიანი იგი ურთიერთას: „ვიდრემე ეგულეზის ამას წარსლვად?“ (7,36). **თარგმანი:** და რადმე ეძიებენ ამას, რამეთუ, რომელთა სუროდა ყოველითურთ, რადთამცა განერნეს მისგან და ყოველსავე ღონესა მოიპოვებდეს, რადთამცა არა ხედვიდეს მას, არა უკმდა ამისი ძიებაჲ, არამედ რადთამცა თქუეს, თუ: „ჰე, გვხარის, და ოდეს ყოფად არს ეგე?“ არამედ მოიწყლნეს სიტყუათა მათგან და ეძიებენ თავთა შორის თვსთა უგუნურებით:

სახარებაჲ: „სადა წარვალს, ნუუკუე განთესულთა მათ წარმართთა ეგულეზის წარსლვად?“ (7,35). **თარგმანი:** რანი არიან „განთესულნი წარმართნი?“ ესრეთ სახელსდებდეს ჰურიანი წარმართთა, რამეთუ ყოველსა ადგილსა განთესულ იყვნეს იგინი. ხოლო აწ ესე ყუედრებაჲ მათ ზედაცა მოიწია, რამეთუ პირველ ყოველი იგი ნათესავი მათი ერთბამად იყო და სხუასა ადგილსა არასადა იპოვებოდა ჰურიან, არამედ პალესტინეს ოდენ. ხოლო რად არს სიტყუად ესე, თუ: „სადა მე ვიყო, არა კელ-გეწიფეზის თქუენ მოსლვად?“ რამეთუ უკუეთუმცა წარმართთა თანა მივიდოდა, რადმცა ეთქუა, თუ: „ვერ კელ-გეწიფეზის მოსლვად?“ ხოლო მათ თქუეს რად, თუ: „განთესულთა მათ წარმართთა თანა ეგულეზის მას მისლვად“, არა თქუეს, თუ: „ცთუნებად მათა“, არამედ: „სწავლად მათაო“. ესრეთ ესმნეს რად სიტყუანი ესე, დამზუნდა გულისწყრომაჲ მათი და ჰრწმენა, ხოლო თუმცა არა ერწმენა, არამცა ეძიებდეს, თუ რად არს სიტყუად ესე.

¹ ფალმ. 38,5

სიმართლისათვის

არამედ ესე ყოველი მათა მიმართ თქუა, ხოლო მეშინის, ნუჟუჟუე ჩუენდა მომართცა ითქუას ესე ცხოვრებისა ამის ჩუენისათვის, საესისა ცოდვითა, რამეთუ ვერ მივიდეთ ჩუენ, სადა იგი არს, ბოროტთა ამათ ჩუენთათვის. რამეთუ მოწაფეთათვის იტყუს, ვითარმედ: „მნებავს, რაჲთა სადაცა მე ვიყო, ესენიცა იყვნენ ჩემ თანა“. ¹ ხოლო ჩუენთვის მეშინის, თუ წინააღმდეგომი ითქუას, ესე იგი არს, ვითარმედ: „სადა მე ვიყო, ვერ ძალ-გიც მოსლვად“. რამეთუ რაჲამს მცნებათა მისთა წინააღმდეგომსა ვიქმოდით, ვითარ შეუძლოთ მუნ წარსლვად? რამეთუ ამასცა სოფელსა მკედარი რომელი განარისხებდეს მეფესა, არა კელ-ეწიფების ხილვად მეფისა, არამედ საპყრობილესა შინა არნ და სატანჯველთა. რამეთუ რაჲამს ვიტაცებდეთ და ანგაპარ ვიყვნეთ, ვავენებდეთ სხუათა, უწყალო ვიყუნეთ, ვითარ შეუძლოთ მუნ მისლვად? და იხილენით ქალწულნი იგი, ვითარ არა კელ-ეწიფა შესლვად, სადა იგი იყო, არამედ მართლუჟუნნიქცეს, დაშრტეს რაჲ სანთელნი მათნი, ესე იგი არს, ვითარმედ დაუტევენა იგინი მადლმან მან. რამეთუ ალი იგი, რომელი მოგუეცა ჩუენ მადლისა მის სულისა წმიდისა, უკუეთუ გუენებოს, აღორძნდების და, უკუეთუ გუენებოს, სრულიად დაშრტების იგი. ხოლო იგი რაჲ დაშრტეს, მერმე არლარაჲ იყოს სხუაჲ ჩუენ ზედა, გარნა არმური და ნისლი ამისთვისცა თქუმულ არს, ვითარმედ: „სულიმცა ნუ დაივსების“, ² ხოლო დაივსების, რაჲამს ზეთი არა აქუნდეს, და რაჲამს ქარი სასტიკისა მობერვისაჲ იქმნას, და კუალად რაჲამს იწროებით იყოს და ჳირით, რამეთუ ესრეთ დაშრტების ცეცხლი, ხოლო შეიწრდების ესე ცეცხლი ზრუნვათაგან სოფლისათა და დაშრტების გულისთქუმისაგან ბოროტისა, ხოლო არარაჲ ესრეთ დაშრტეს, ვითარ უწყალოებაჲ, მძუნვარებაჲ და ტაცებაჲ. რამეთუ, რომელი არა ზეთისა ქონე-

¹ იოან. 17,24

² თესალ. 5,19

ბასა თანა წყალსაცა გრილსა დაასხმიდეს, ვითარ შეუძლოს მან აღნთებად სანთლისა მის? ხოლო წყალი იგი ანგაპრები-საჲ არს, რომელი განაგრილებს სულსა ბოროტად. ნუუკუე წარვიდეთ რაჲ ჩუენცა ამიერ, არარაჲ გუაქუნდეს სხუაჲ ჩუენ თანა, გარნა ნაცარი და მტუერი და კუამლი ფრიადი, რომელი შეგუასმენდეს ჩუენ, ვითარმედ ლამპარები გუაქუნ-და და დავშრიტეთ. რამეთუ, სადა კუამლი იყოს, საცნაურ არს, ვითარმედ ცეცხლი იყო მუნ და დაშრტა. არამედ ნუ იყოფინ ჩუენდა სმენად კმისა მის მწარისა სასმენელად, ვი-თარმედ: „არა გიცნი თქუენ“,¹ ხოლო საჲდათ იქმნების სმე-ნაჲ კმისაჲ ამის, თუ: „არა გიცნი თქუენ“? გარნა ამისგან, რომელ, ვიხილოთ რაჲ გლახაკი, ესრეთ ვართ, ვითარმცა არა გუეხილვა. და რაჲამს ჩუენ არა გუეწყალოდის გლახაკი მში-ერი, რომელ არს ქრისტე, ქრისტემან ვითარ შეგვწყალნეს ჩუენ, რაჲამს წყალობაჲ გეკმდეს? რამეთუ რომელმან შეუ-რაცხ-ყოს ჭირვეული და არა მისცეს თვისისაგან, ვითარ ით-ხოვოს მან მოღებად არათუსი იგი? ამისთს გევედრები, ყოვ-ლით კერძო ვისწრაფოთ, რაჲთა არა მოგუაკლდეს ჩუენ ზეთი, არამედ რაჲთა შევამკენეთ ჩუენ ლამპარნი ჩუენნი და შევი-დეთ სიძისა მის თანა უკუდავისა სასძლოსა მას უხრწნელსა, რომელსა ღირსმცა ქმნულ ვართ ყოველნივე მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰმუენის დიდებაჲ სულით წმიდიტურაჲ აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ნ ა

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: უკუანამსკენელსა მას დღესა დიდისა მის დღესასწაულისასა დაღვა იესუ, ღაღად-ყო და თქუა: „უკუეთუ ვისმე სწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ, და რომელსა პრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან: „მღი-ნარენი მუცლისა მისისაგან დიოდთან წყლისა ცხოველისანი“ (7,37,38). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** რომელნი მოუკდებოდთან ქადაგე-ბასა ამას საღმრთოსა და ისმენდენ სარწმუნოებასა, უკმს მათ,

¹ მათ. 25,2

რამთა სურვილსა მას, რომელი აქუს წყურიელსა წყლისა მი-
მართ, აჩუენებდენ, და ესრეთ რაჲ იქმოდიახ, მაშინ შეუძლონ
სიტყუათა მათ საღმრთოთა დამტკიცებად გულთა შინა მათ-
თა. რამეთუ წყურიელთა რაჲამს წყალი მიიღონ, ფრიადითა
გულისტქუმითა სუმენ მას, ვიდრემდის მათ შორის მყოფი
იგი წყურილისა სიმკურვალჲ დააცხრონ, ეგრეთვე, რომელნი
ისმენდენ საღმრთოთა სიტყუათა, უკუეთუ წყურილითა ფრი-
ადითა მიიღებენ მათ, არა დაშურენ სასუმელისა მის ესევე-
თარისა სუმად. რამეთუ ჭერ-არს ამის ესევეთარისა მის საქ-
მისა მიმართ შიშმილი და წყურილი, ვითარცა უფალი იტყვს:
„ნეტარ იყვენენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართ-
ლისათჲს“,¹ და კუალად, აჰა, ესერა, ამას ადგილსა ღალადებს
და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „რომელსა სწყუროდის, მოვედინ ჩემდა
და სუმედინ“ (7,37). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ხოლო სიტყუაჲ ესე
ესევეითარი არს, ვითარმედ არავის მოვეყვანებ იძულებით და
უნებლიაჲთ, არამედ, რომელსა აქუს გულსმოდგინებაჲ და
შეიწუვის სურვილითა, იგი მოვედინ და მას მოუწოდ მე.
ხოლო რაჲსათჲს თქუა მახარებელმან, თუ: „უკუანამსკნელსა
მას დიდსა დღესა?“ ამისთჲს, რამეთუ იგი იყო დიდი დღე-
სასწაული და შორის პასექისა და მისა და სხუათა მათ დღეთა
შუებასა შინა წარვლიდეს და, მაშინ ყოველნივე შეკრბე-
ბოდეს? ხოლო რაჲსათჲს იტყვს, თუ „უკუანამსკნელსა?“
რამთა სცნა, ვითარ ყოველსა მას სიმრაველსა ასწავებდა.
კადნიერებით, რამეთუ პირველსა მას დღესასწაულსა არა მი-
ვიდა და მიზეზი ჰრქუა ძმათა თჲსთა, თუ რაჲსათჲს არა მი-
ვიდა, და მეორესა არავე მივიდა და მესამესა არღარაჲ ჰრქუა
ესევეითარი, რამთა არა დაიქსნას სიტყუაჲ მისი შუებისა მის
ძიერ მათისა და უსარგებლო იქმნეს. ხოლო უკუანამსკნელსა
მას დღესა, რაჲამს წარსლვაჲ ენება თითოეულსა სახედ
თჲსა, მაშინ მისცემს მათ საგზალსა ცხორებისასა და იტყვს
ღალადებით, ერთად, რამთა კადნიერებაჲ თჲსი აჩუენოს, რო-
მელი აქუნდა ჰეშმარიტებისათჲს, და უშიშოებაჲ, და მეო-
რედ, სიმრავლისა მისთჲს ერისა მის შეკრებულისა, და რამთა

¹ მათ. 5,6

გულსხმა-ყონ, ვითარმედ სულიერისა სასუმელისათჳს იტყჳს:
ამისთჳს თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა
წიგნმან, მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა
ცხოველისანი“ (7,38). თ ა რ გ მ ა ნ ი : ხოლო მუცლად
ამას ადგილსა გულსა იტყჳს, ვითარცა სხუასა ადგილსა
წერილი იტყჳს, ვითარმედ: „შჯული შენი შუა მუცელსა
ჩემსა:“¹ არამედ სადა თქუა წერილმან: „თუ მუცლისა მისი-
საგან მდინარენი დიოდიან წყლისა ცხოველისანი?“ არასადა
უთქუამს წერილსა ესე სიტყუაჲ არამედ გულსხმა-ყავთ,
თუ ვითარ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ ესრეთ ჳერ-არს წერაჲ
და კოთხვაჲ ამის სიტყჳსაჲ, რამთა თქუას რაჲ, ვითარმედ:
„რომელსა ჰრწმენეს ჩემი, — ვითარცა თქუა წიგნმან, —
და ამას ადგილსა ჳერ-არს განკუეთაჲ სიტყჳსაჲ და დასუენე-
ბაჲ, რამთა სიტყუაჲ ესე: „თუ მდინარენი მუცლისა მისისა-
გან დიოდიან“, არღარა მისვე განჩინებისაჲ იყოს, რამეთუ
ვინამთგან მრავალნი იტყოდეს, თუ: „ესე არს ჳრისტე“, და
ჳრისტე ოდეს მოვიდეს, ნუჲჲჲჲ უმრავლესნი სასწაულნი
ქმნესა? ამისათჳს ენება, რამთამცა უჩუენა, ვითარმედ სი-
მართლჳ ჳერ-არს გონებისაჲ, რამთა არა სასწაულთათჳს
ოდენ, არამედ წერილთა მიერცა აქუნდეს სარწმუნოებაჲ ჩემ-
და მომართ, ხოლო მრავალთა სასწაულნიცა მისნი იხილნეს
და არა ჰრწმენა, და იტყოდეს, ვითარმედ: „არა იტყჳს წე-
რილი, თუ ჳრისტე თესლისაგან დავითისა მოვალს“.² ამისთჳს
წერილთა იტყოდა, რამთა უჩუენოს, ვითარმედ არა ევლტის
იგი მათსა წამებასა და მიაველნს მათ წერილთა მიმართ, რა-
მეთუ ჰირველცა იტყოდა, ვითარმედ: „გამოეძიებდით წერილ-
თა!“³ და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „წერილ არს წინამსწარ-
მეტყუელთასა, და კუალად, ვითარმედ: „ყოველნი იყვნენ
ღმრთივსწავლულ“,⁴ და კუალად: „მოსე შეგასმენსო“,⁵ და
აქა უკუე იტყჳს, ვითარმედ: „რომელსა ჰრწმენეს ჩემდა მო-

¹ ფსალმ. 39,9

² იოან. 7,42

³ იოან. 5,39

⁴ იოან. 6,45

⁵ იოან. 5,45

ძართ, — ვითარცა თქუა წიგნმან. — ესევეითაჲისა მისგან გამოდიოდრან მუცლისაგან მისისა მდინარენი წყლისა ცხოველისანი“. რამეთუ სიმღერგესა მას და უშურველობასა მას მის მადლისასა მოასწავებდა, ვითარცა სხუასა ადგილსა იტყუს, ვითარმედ: „წყარომ წყლისა მდინარისაჲ ცხორებად საუკუნოდ“,³ ესე იგი არს, ვითარმედ მრავალი აქუნდეს მას მადლი, ხოლო სხუასა ადგილსა „ცხოვრებასა საუკუნესა“ იტყუს მოქმედსა მას. რამეთუ მადლი იგი სულისა წმიდისაჲ რაჟამს გოხებასა შინა კაცისასა დაემტკიცოს, უმეტეს ყოვლისა წყაროჲსა აღმოეცენების და არა მოაკლდების, არცა დაცალიერდების, არცა დასწყდების და რაჟამცა მოუკლებლობაჲცა იგი მისისა მადლისაჲ მოასწავა და მიუწუდომელობაჲცა, ამისთვის წყაროდ წყლისა და მდინარედ სახელ-სდვა, არა ერთად მდინარედ, არამედ მრავლად და ურიცხუად. და კუალად მუნ ღინებისა მიერ სიმღირს იგი და სივრცს მისი აჩუნა, და უკუეთუ გნებაეს, იხილე სიბრძნეცა იგი სტეფანსსი, ანუ თუ ენა-იგი პეტრესი, გინა თუ წინადაუდგომელობაჲ სიბრძნესა პავლესსა, ანუ თუ თვთ მეტყუელისა ამის, რომელმან სახარებაჲ ესე დაწერა იოვანესი. იხილე, უკუეთუ გნებაეს სივრცს იგი და სიღრმს მისისა მის სიბრძნისაჲ, ვითარ ვერ რომელი-რაჲ შემძლებელ იქმნა წინადადგომად მდინარეთა მათ, რომელნი მათგან აღმოდიოდეს, ვითარ ვერარაჲ თავს იდებდა მათსა მას ბრძოლასა, არა გულსწყრომაჲ ერთაჲ, არცა ზედააღდგომაჲ მძლავრთაჲ, არცა მოსწრაფებანი ეშმაკთანი, არცა სიკუდილნი მარადლეთანი, არამედ, ვითარცა მდინარეთა, ძალითა დიდითა მავალთა, ესრეთ წარიტაციან ყოველივე სასუფეველისა მიმართ და წარვიდიან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ხოლო ესე თქუა სულისა მისთვის, რომელი მოცემად იყო მორწმუნეთა მათ მისთა, რამეთუ არლა იყო სული წმიდაჲ მოცემულ (7,39). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და ვითარ წინაჲსწარმეტყუელთა ქადაგეს პირველ, უკუეთუ სული წმიდაჲ არლა იყო მოცემულ, რამეთუ მოციქულნი ეშმაკთა მათ, რომელთა მაშინ განასხმიდეს, არა სულისა მიერ წმიდისა განასხმიდეს, არამედ ჳელმწიფებრთა მით მის მიერ მოცემულ-

¹ იოან. 4,14

ლითა, ვითარცა თავადი იტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუ მე ბელზებულთა განვასხამ, ძენი თქუენნი რომლითა განასხმენ ეშმაკთა?“¹ ხოლო ესე თქუა, რამთამცა მოასწავა, ვითარმედ არა სულისა მიერ განასხმიდეს უწინარეს ჭუარ-ცუმისა, არამედ მისმიერთა მით კელმწიფებითა, და რაჟამს-იგი ეგულეობდა წარვლინებაჲ მათი ქადაგებად, მაშინ ეტყოდა მათ: „მიიღეთ სული წმიდაჲ“,² და კუალად: „მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ, მაშინ იქმოდეს სასწაულთა“.³

ხოლო პირველ, რაჟამს წარავლენდა მათ, არა წერილ არს, თუ: „მისცა მათ სული წმიდაჲ“, არამედ: „მისცა მათ კელმწიფებაჲო“ და ჰრქუა: „კეთროვანთა განსწმედლით, ეშმაკთა განასხემლით, მკუდართა აღადგინებლით, უსასყიდლოდ მიგიღებიეს უსასყიდლოდ მასცემლით“⁴ ხოლო წინამსწარმეტყუელთა ზედა ყოველთა მიერ აღსაარებულ არს, ვითარმედ: „სულისა წმიდისა მოცემაჲ იყო“. და რაჲ არს უკუე ესე სიტყუაჲ? ისმინეთ უკუე, რამეთუ წინამსწარმეტყუელთა მიეცა სული წმიდაჲ, არამედ მადლი იგი სულისა წმიდისაჲ მოკლებულ იყო ქუეყანით მიერ დლითგან, ვინამთგან თქუა, ვითარმედ: „აჰა, ესერა, დატევებულ იყოს სახლი თქუენი ოჯრად“⁵ და უწინარეს მის სიტყუსაცა ეწყო მოკლებად ამას, რამეთუ არდა იყო მათ შორის წინამსწარმეტყუელი, არცა მადლი იგი მოვიდოდა მათ ზედა, ვინამთგან უკუე მოკლებულ იყო სული წმიდაჲ და ეგულეობდა მოსლვად მდიდრად და ძლიერად. ხოლო ამის მოსლვისა დასაბამი ჭუარს-ცუმისაგან იქმნა და მადლთა მათ დიდ-დიდთა მოცემისა, რამეთუ უსაკვრველეს იყო ნიჭი იგი, ვითარცა იტყუს, ვითარმედ: „არა უწყითა, რომლისა სულისანი ხართ?“⁶ და კუალად წერილ არს, ვითარმედ: „არა მიგიღებიეს სული მონებისაჲ, არამედ სული შვილებისაჲ“,⁷ რამეთუ ძუელთა მათ აქუნდა სული

1 მათ. 12,27

2 იოან. 20,22

3 საქმ. 19,6

4 მათ. 10,8

5 მათ. 23,38

6 ლუკ. 9,55

7 რომ. 8,15

წმიდამ, გარნა სხუათა ვერ მისცემდეს, ხოლო მოციქულთა მრავალნი ბევრნი აღაფსნეს. და ვინაჲთგან ესევეითარისა მადლისა მოღებამ ეგულებოდა, და ესევეითარი იგი მადლი არღა იყო მოცემულ, ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „არღა იყო სული წმიდამ მოცემულ, რამეთუ უფალი ამის მადლისათვის იტყოდა. ამისთვის მახარებელმან თქუა, ვითარმედ: „არღა იყო სული წმიდამ“, ესე იგი არს, მოცემულ არღა იყო ესევეითარი იგი მაღალი მადლი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: რამეთუ იესუ არღა დიდებულ იყო (7,39). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** დიდებულად ჭუარ-ცუმასა უწესს, „არღა დიდებულ იყო იესუ“, ესე იგი არს, არღა ჭუარ-ცუმულ იყო, რამეთუ დიდებამ ქრისტესი ჭუარი არს. რამეთუ ვინაჲთგან მტერნი ვიყვენით და შეცოდებულნი და დაკლებულნი მადლისა მისგან ღმრთისა და ღმრთისშემაწუხებელ, ხოლო მადლი იგი დაგებისა სასწაული იყო. ხოლო ნიჭი იგი არა მტერთა მიეცემის, არცა მოძულებულთა, არამედ მეგობართა და სათნოთა, ამისთვის ჭერ-იყო, რაჲთამცა პირველ შეიწირა ჩუენთვის შეწირული იგი მსხუერპლი და მტერობამ იგი დაჰქსნამცა კორცითა მისითა, რაჲთამცა ვიქმნენით მეგობარ ღმრთისა, და მერმემცა მოგუეცა ნიჭი იგი დიდი, რამეთუ, უკუეთუ აღთქუმასა მას ზედა აბრაჰამისსა ესე იქმნა, არამცა უფროსად მადლსა ამას ზედა იქმნა? რამეთუ აღუთქუა ღმერთმან აბრაჰამს მიცემად ნათესავისა მისისა ქუეყანამ იგი, და არა ღირს იყვნეს მიღებად აღთქუმისა მის უკუანაჲსკნელნი იგი ნათესავნი მისნი და თუსთა შრომათაგან სათნო-ყოფად ვერ ძალ-ედვა. ამისთვის შემოვიდა სარწმუნოებამ, საქმე ადვილი, რაჲთა მოიყვანოს მადლი იგი და არა დავარდენ აღთქუმანი იგი. და წერილ არს, ვითარმედ „ამისთვის სარწმუნოებისაგან, რაჲთა მადლითა მტკიცე იყვნენ აღთქუმანი“.1 ამისთვის მადლითა, რამეთუ ოფლითა ვერ შეუძლეს, ხოლო რაჲსათვის თქუა, თუ მსგავსად წერილისა არა თქუა სიტყუამცა იგი წერილისამ? ამისთვის, რამეთუ განხრწნილ იყო გონებამ მათი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: „ესე არს ჰერმარითად წინაჲსწარმეტყუელი“, სხუანი იტყოდეს: „ესე არს ქრისტე“, სხუანი იტყოდეს: „არა, არამედ აცთუ-

ნებს ერსა, ნუუკუე გალილეათ მოსლვად არსა ქრისტე“. არა წიგნი იტყუსა, ვითარმედ: „ნათესავისაგან დავითისა და ბეთლემით დაბით“, და კუალად სხუანი იტყოდეს, ვითარმედ: „ქრისტე რაჟამს მოვიდეს, არავინ უწყოდის, თუ ვინაჲ არს“ (7, 40—42). თ ა რ გ მ ა ნ ი: თუთოსახედ განყოფილ იყვნეს გონებანი მათნი, ვითარცა სიმრავლისა მის უწყსომსა, რამეთუ არა თუ ისმენდეს კეთილად თქუმულთა მათ, რამათამცა ცნეს კეთილად. ამისთვის უკუე უფალმანცა ამათ არარაჲ მიუგო, დაღაცათუ იტყოდეს, თუ: „ნუუკუე ქრისტე გალილეათ მოვადესა?“ ხოლო ნათანაელ უფიცხლესად თქუა და უშემანწუხებელმსად, ვითარმედ: „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაჲსჲე ყოფად?“¹ და უფრომსად აქო მაცხოვარმან, ვითარცა ჭეშმარიტი ისრაიტელი, რამეთუ ამათ ხიკოდემოსსა პრქუეს, ვითარმედ: „გამოიძიე და იხილე, რამეთუ გალილეათ წინაჲსწარმეტყუელი არა აღდგომილ არს“.² არა თუ სწავლად და ცნობად ჭეშმარიტებისათს თქუეს, არამედ რამათამცა ოდენ განამტყუენეს ქრისტესი იგი საქმს. ხოლო ნათანაელ ჭეშმარიტებ-სმოყუარმ იყო და წერილინ ყოველნივე კეთილად ესწავლნეს. და ამისთვის იტყოდა სიტყუასა მას და ესენი ოდენ ამისთვის იყვნეს. რამათამცა არავინ ჰგონებდა მისთვის, თუ ქრისტე არს, ამისთვისცა არარაჲ გამოუცხადა მათ, რამეთუ იგინი თავისა თვისისაცა წინააღმდეგომსა იტყოდეს, რამეთუ ოდესმე თქვან, ვითარმედ: „ვიციით, ვინაჲ არს“, და კუალად ოდესმე: „ბეთლემით მოვალსო“, ხოლო საცნაურ არს, ვითარმედ ცნესცა და წინააღუდგეს, რამეთუ: აჰა, ვთქუათ, თუ ადგილსა უმეცარ იყვნეს ნაზარეთს შინა აღზრდისა მისისათს. დაღაცათუ ესეცა შეუძლებელ არს, საცნაურ იყო, ვითარმედ არა მუნ შობილ იყო, არამედ ვთქუათ, თუ: არა იცოდეს. ნუუკუე ნათესავიცა არავე იცოდესა, რამეთუ თესლისაგან და ნათესავისა დავითისა იყო, ვითარ უკუე იტყოდეს, თუ: „არა დავითის ნათესავისა არს?“ არამედ ამას ყოველსა უკეთურებისაგან მათისა იტყოდეს,

¹ იოან. 1,46

² იოან. 7,52

რამთამცა დაფარეს ქეშმარიტებაჲ, ხოლო რამსათჳს არა მოვიდეს მისა და ჰრქუეს, ვითარმედ: „ყოველივე გვეკრს ჩუენ, არამედ შენ ჰბრძანებ, რამთა ვირწმუნოთ ყოველი, ვითარცა იტყუს წაგნი. გუთხარ უკუე ვითარ? რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „ბეთლემით მოვალს ქრისტე“ და შენ გალილეადთ მოსრულ ხარ?“ გარნა არარაჲ ჰრქუეს მას ესევეითარი, და ყოველსავე უკეთურობით იტყოდეს და რამთა სცნათ, ვითარმედ არა თუ ქეშმარიტებისა ცნობად იტყოდეს სიტყუათა მათ, ამისთვისცა თქუა მასარებელმან.

სახარებაჲ: რომელთამე უნდა შეჰყრობაჲ მისი, და არავინ მიყვნა კელნი მის ზედა (7,44). **თარგმანი:** დაღაცათუ სხუად არარამცა იყო, არამედ ესე ოდენ კმა იყო ლმობიერ-ყოფად მათა, არამედ არა ლმობიერ იქმნნეს. არცა შეინანეს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „გან-ბნინეს და არა ინანეს“.¹ რამეთუ ესევეითარი არს უკეთურობაჲ, არავისი ჰნებაეს მოჩჩილებაჲ და მოდრეკაჲ, არამედ ერთისა მამართ ოდენ მოსწრაფე არს, რამთამცა სიბოროტჳ თვისი დაამტყცა. რომლისათჳს იზრახა ბოროტი, იგიმცა მოკლა. არამედ ისმინეთ, რასა იტყუს წერილი, ვითარმედ: „რომელმან უთხაროს მოყუასსა თვისსა მთხრებლი, შთაეარდეს მას შინა“.² რომელ-იგი მათ ზედაცა მოიწია, რამეთუ მათ ენება მოკლვად მისი, რამთამცა ქადაგებაჲ იგი მისი დაშრტა და იქმნა წინააღმდგომი ამის საქმისაჲ, რამეთუ მადლი იგი ბრწყინავს ქრისტჳს მადლიათა. ხოლო მათი იგი ყოველივე დაშრტა და წარწყმდა და განცვეეს იგინი მამულისაგანცა და აზნაურებისა და განსუენებ-სა და მსახურებისა ღმრთისა და ყოვლისა კეთილისაგან გამოეკუენეს და იქმნნეს მონა და ტყუე.

¹ ფსალმ. 34,15

² იგავ. 26,27

არა ბოროტის-ყოფისათვის

ხოლო ჩუენ, რომელთა ესე ყოველი უწყით, ნუმცა ოდეს განვიზრახავთ ბოროტსა სხუსათვის, რამეთუ, გულსავე იყვე-
 ხით, რომელნი ამას იქმოდით, თავთა თვსთათვის ჰლესავთ, მახვ-
 ლსა და უბოროტესად მოიწყლვით თქუენითავე ჯელითა, არა-
 მედ, უკუეთუ ვინ შეგაწუხოს და გენებოს ნაცვალისა მიგებაჲ,
 ხუ მიაგებ ბოროტსა, და მიგიგიეს, უკუეთუ კულა ბოროტი
 უყო, არა მიგიგიეს. და ნუ ჰგონებ, თუ ცუდად ვიტყვ სიტ-
 ყუასა ამას, რამეთუ ჰეშმარიტ არს ესე. და უკუეთუ იტყვ,
 თუ: „ვითარ იყოს ესე?“ ისმინე, თუ ვითარ, რაჟამს არა ავნო,
 მაშინ ღმერთი იქმნების ბოროტისმყოფელი ბოროტისმყოფე-
 ლისა მის შენისა. ხოლო რაჟამს შენ თვთ იწყო ბოროტის-
 ყოფად მისა, მერმე ღმერთი არღარა მას, არამედ შენ გემტე-
 რების, რამეთუ დაჰქსენ სიტყუაჲ იგი წერილისაჲ, რომელი
 იტყვის: „ჩემი არს საშჯელი, მე მივაგო“,¹ — იტყვს უფალი.
 რამეთუ უკუეთუ მონანი იყვნენ ჩუენნი და ურთიერთას
 შეშფოთნენ, და არა ჩუენდა მოვიდენ სამართლისა საშჯელისა
 ყოფად, არამედ თვთ ივინი განშჯიდენ, არა შევწუხნებითა?
 ხოლო უკუეთუ ჩუენ ესრეთ ვართ, არა უფროჲსად ღმერთი
 იყოსა ესრეთ, რომელმან ბრძანა ყოვლისავე საშჯელისა მისა
 მიგდებაჲ? რამეთუ არა უგუნურება არსა, უკუეთუ ესეო-
 დენსა სიბრძნესა და მორჩილებასა ჩუენ ღმერთსა არა ვაჩუ-
 ენებდეთ? და რავდენ ჩუენ მონათა ჩუენთაგან ვეძიებდეთ?
 ხოლო ამას ვიტყვ ჩუენთვის, რომელნი-ესე მოსწრაფე ვართ
 ურთიერთას ბოროტის-ყოფად, თუ არა ჰეშმარიტი ესე არს
 საქმე, რაჲთა არა ოდენ ბოროტსა არა უყოფდეთ, არამედ
 სრულიად შეუნდობდეთ და უფროჲსდა კეთილსა უყოფდეთ,
 რაჲთა ჩუენცა მოგუეცეს დიდი იგი ნაცვალი ამის კეთილი-
 საჲ, რომელ არს შენდობისა პოვნაჲ, რამეთუ, მითხარდა,
 უკუეთუ შეცოდებულსა მას ჰრისხავ შენ, რადლა სცოდავ
 და მასვე ბოროტსა შთაჰვარდები? რამეთუ უკუეთუ გაგინა,

¹ რომ. 12,19; სჯულ 32,35

ხულარა აგინებ მას, თუ არა თავსა თვსსა აგინებ: უკუეთუ შეგაწუხა, ნულარა შეაწუხებ, თუ არა არღარად გაქუს განყოფილებამ მისგან; უკუეთუ რამ გავნო, ნულარა ავნებ, თუ არა სარგებელი რაღა იყოს შენი? არამედ ხარ ყოვლითურო მსგავს მისა, ესრეთ შემძლებელ ხარ რცხუნებად მისა, უკუეთუ ყოველივე სიმშვიდით თავს-იდგა, ესრეთ შეუძლო დაწყნარებად გულისწყრომისა მისისა, რამეთუ ვერვის ძალ-უც ბოროტოთა ბოროტისა განკურნებამ, არამედ კეთილითა განიკურნების ბოროტი. ესრეთ ესე საქმე წარმართთაგანთაცა ფილოსოფოსთა ვიეთმე დაიმარხეს, ხოლო ჩუენ არა გურცხუნისა, უკუეთუ უგულისხმოთა მათცა წარმართთა უდარეს ვიპოვნეთ სათნოებითა? რამეთუ მრავალთა ბოროტი ეყო სხესა მიერ და თავს-იდგეს, მრავალთა ცილი დაეწამა და არა მიაგეს ნაცვალი. შიშ არს უკუე, ნუუკუე უმეტეს ჩუენსა იპოვნენ იგინიცა კეთილისმყოფელ და უმძიმესი საშჯელი მოიწიოს ჩუენ ზედა ამით სახითა. რამეთუ, რაჟამს, რომელთა-ესე სული წმიდამ მოგვლებიეს, რომელნი სასუფეველსა ცათასა მოველით, რომელთა არა გუეშინის გეპენისაგან, რომელთადა ბრძანებულ არს ანგელოზ-ყოფამ, რომელთადა მოცემულ არიან ესევითარნი საიდუმლონი და ჩუენ ვერცა მათსა სათნოებასა მივსწუდეთ, რომელიდა სასოებამ გუაქუნდეს, რამეთუ უკუეთუ ჰურიათა ჯერ-არს ძლევაჲ სათნოებითა, რამეთუ იტყუს უფალი, ვითარმედ: „უკუეთუ არა აღმატოს სიმართლმ თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთასა, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა“.¹ რამ ყოფად არს, უკუეთუ წარმართთასა უდარმს ვიოვნეთ, არა უფროჲსად განვვარდეთა სასუფეველისაგან, რაჟამს არცა სრულიად ურწმუნოთა მათ ვსძლოთ სათნოებითა? ამისთვის გევედრებ: თქუენ, აღმოვძფხურათ ჩუენგან ყოველივე გულისწყრომამ და მრისხანებამ, და კუალად გეტყვ თქუენ, აღმოვძფხურათ ესე ჩუენგან, რამეთუ ჩემდა არა უდბება არს მრავალგზის ერთისა სიტყუსა თქუმად, ნეტარ თუ თქუენ ამით ყოვლითა ისწავოთ კეთილი, რამეთუ მკურნალნიცა ერთსა წამალსა მრავალგზის იკმარებენ, და ჩუენცა არა დავსცხრებით

¹ მათ. 5,20

კეთლისათვის მარადის სწავლად და ღაღადებად, რამეთუ მრავალნი არიან სოფლისა ამის საქმენი, რომელნი დამავიწყებენ ჩუენ უმჯობესსა. და ამისთვის ჯერ-არს ზედადსუდა სწავლად, არამედ, რაათა არა ცუდ და ამო იყოს ჩუენი აქა შემოკრებად, ამისთვის ვისწრაფოთ. რაათა საქმიოთცა ვქმნეთ კეთილი, რაათა მივემთხვნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებამ სულით წმიდითურთ აწ და მარადს და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ნ ბ

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: მოვიდეს მსახურნი იგი მღვდელთ-მოდღუართა და ფარისეველთანი და ჰრქუეს მათ: „რად არა მოიყვანეთ იგი?“ მიუგეს მსახურთა მათ და ჰრქუეს: „არასადა იტყოდა კაცი ესრეთ (1,45-46). თ ა რ გ მ ა ნ ი: არარაჲ არს ქვეშარიტებისა უცხადეს, არარაჲ არს უკეთეს, უკეთეთ ოდენ არა დაუჰქსნიდეთ მას, და კუალად არარაჲ არს კაცისა ბოროტისმოქმედისა უძრეს და უძნელეს. რამეთუ, აჰა, ესერა, მწიგნობართა და ფარისეველთა, რომელთა ბრძნად ეგონნეს თავნი მათნი, მარადის ქრისტეს თანა ამისთვის იქცეოდეს, რაათამცა ბოროტი უყვეს მას, და სასწაულთა ჰხედვიდეს და წერილთა იკითხვიდეს და ამის ყოვლისაგან ვერარაჲ ირგეს, არამედ უფრომასად ივენეს, ხოლო მსახურნი იგი, რომელნი უსწავლელნი იყვნეს, ირგეს ერთისა ოდენ სწავლისა მიერ და რომელნი-იგი წარსრულ იყვნეს მისა შეკრვად და მოყვანებად, მოიქცეს შეკრულნი საკრველებითა მით. და არა გონიერებისა მათისათვის ოდენ მიკვრს, რომელ ესრეთ თვნიერ სასწაულისა სწავლითა ოდენ მოდრკეს. არამედ კადნიერებამცა იგი მათი, ვითარ ეტყოდეს მიმავლინებელთა მათთა ფარისეველთა, რომელნი მარადის მბრძოლ იყვნეს კეთილისა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „მოვიდეს მსახურნიო“, და ჰრქუეს ფარისეველთა: „რად არა მოიყვანეთ იგი?“ ხოლო მოსლვად ფრიად უზემთაეს იყო დადგრომისა, რამეთუ უკუეთუმცა ყოლადვე არა მოსრულ იყვნეს, განრო-

მიღმცა იყვნეს მათისა მის სიმძიმისაგან და ბრალობასა, ხოლო აწ ქადაგ იქმნებიან ქრისტეს სიბრძნისა და დიდსა კადნიერებასა აჩუენებენ, და არა თქუეს, თუ: „ვერ შეუძლეთ ერისა მისთვის, რამეთუ ყოველნი, ვითარცა წინააღწარმეტყუელსა, ჰხედვიდეს, არამედ ესრეთ თქუეს.

სახარებაჲ: „არასადა იტყოდა კაცი ესრეთ“ (7,46)

თარგმანი: რამეთუ ძალ-ედვა ამსაცა თქუმად თუ: „ვერ შეუძლეთ ერისა მისგან“, არამედ მათ გამოაჩინეს მართალი იგი გონებაჲ, რამეთუ სიტყუანი ესე, რომელ მათ თქუნეს, არა ოდენ საკვრელებაჲ იყო მისისა სიბრძნისაჲ, არამედ ფარისეველთაცა ბრალბაჲ, რომელ წარავლინნეს შეპყრობად მისა, რომლისა მორჩილებაჲ ჯერ-იყო და რამეთუ არცა გრძელი რამეჲ სწავლაჲ ესმა მათ, არამედ მცირედი. რამეთუ, რაჲმს გონებაჲ კეთილ იყოს, არა ეკმარებიან გრძელნი სიტყუანი, რამეთუ ესევეითარა არს ჰეშმარიტებაჲ. ხოლო ფარისეველთა, იხილე, თუ რაჲ ყვეს, რამეთუ უკმა, რამთამცა ლმობიერ იქმნეს, არამედ იგინი უმეტესად განრისხნესცა და იტყოდეს: „თქუენცა უკუე შეცთონილ ხართ?“¹ ხოლო არა მრისხანებით ეტყუან, რამეთუ ეშინოდა, ნუუკუე სრულიად იესუს შეუდგენ, არამედ ოდენ აბრალებს მათ, რამეთუ ჯერ-იყო, რამთამცა ეკითხა, თუ რაჲ თქუა და რამთამცა დაუკრდა სიტყუათა მისათვის. ხოლო ესე არა ქმნეს მათ, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ მარადის იძლევიან სიტყუათა მიერ მისთა, არამედ მოიღებენ სახესა ფრიად უგუნურსა და იტყუან:

სახარებაჲ: ვითარმედ: „არა თუ მთავართაგანთა ვიეთმე ჰრწმენა მისი“ (7,48). **თარგმანი:** რასა იტყვთ, უბადრუკნო, ამასცა ზედა ქრისტესა აბრალებთა და არა მათ, რომელნი ურწმუნო იქმნეს? და იტყვთ:

სახარებაჲ: „ვითარ ერსა მას ჰრწმენა, რომელთა არა იციან შჯული, წყეულ არიან“. (7,49). **თარგმანი:** არამედ ესე არს თქუენი იგი დიდი შესმენაჲ, რომელ ერმან მან ირწმუნა, რომელთა არა იცოდეს შჯული, და თქუენ არა გრწმენა. ხოლო ვითარ წყეულ არიან იგინი, რომელნი დადაცათუ შჯულსა უმეცარ იყვნეს, არამედ რაჲ-იგი შჯულისმეცნიერთა

¹ იოან. 7,47

უკმადა ქმნად, მათ ქმნეს? რამეთუ თქვენ ხართ წყეულ, რო-
 ძელნი არა იმარხავთ შჯულსა და არა იგინი, რომელთა ჰრწმე-
 ნა შჯული. ხოლო ჯერ-იყო, რადთამცა არა აბრალეზდით და
 შეასმენდით თქვენ უფალსა ამისთვის, თუ მთავართა მისი არა
 ჰრწმენა, რამეთუ არა სიმართლისად არს საქმე ესე, რამეთუ
 თქვენცა ურწმუნო იქმნენით ღმრთისა, ვითარცა მოციქული
 იტყვს, ვითარმედ: „რად, უკუეთუ ურწმუნო ვიეთნიმე იქმნეს
 ღმრთისა, ნუუკუე ურწმუნოებაჲმან მათმან სარწმუნოებაჲ
 ღმრთისად განაქარვოსა?“¹ ნუ იყოფინ! რამეთუ წინაღწარ-
 მეტყუელნი მარადს აყუედრებდეს მათ და ეტყოდეს: „ის-
 მინეთ, მთავარო სოდომისანო“ და კუალად: „მთავარნი
 შენნი ურწმუნო არიანო“,² და კუალად: „არა თქუენი არსო
 ცნობად საშჯელისად“³ და მარადის ამას აყუედრებდეს მათ:
 რად არს უკუე? ღმერთსა ვინ აბრალოსა ამისთვის, რომელ ურ-
 წმუნო ვიეთნიმე იყვნეს? ნუ იყოფინ! რამეთუ ესე ბრალო-
 ბად მათი არს, რომელთა არა ჰრწმენა, არა მისი, რომლისად
 არა ჰრწმენა, ანუ რად ვინ პოვოს სხუად უმეტესი სასწაული
 თქუენისა უსწავლელობისად და ვითარ არა იცით შჯული
 უფროდს ამისა, რომელ მისი არა გრწამს? ხოლო ვინაფთგან
 თქუეს, თუ: „ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ჰრწმენა? არამედ
 ერსა მას, რომელმან არა იცის შჯული“. ამისთვის აბრალეზს
 მათ ნიკოდემოს და ეტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ნუუკუე შჯული ჩუენი დაშჯისა კაცსა:
 უკუეთუ არა პირველად ისმინოს მისგან“ (7,51). **თ ა რ გ მ ა -**
ნ ი : რამეთუ გამოაჩინებს, ვითარმედ არცა იციან შჯული,
 არცა იქმან მას, რამეთუ, უკუეთუ შჯული იტყვს არა დაშჯად
 კაცისა უწინარეს მისგან სმენისა, და ამათ უწინარეს შჯულისა
 დასაჯეს, გარდამავალ სადამე არიან შჯულისა და, ვინაითგან
 მათ თქუეს, ვითარმედ: „არავის მთავართაგანსა ჰრწმენა
 მისი“, ამისთვის გამოაცხადებს მახარებელი და იტყვს, ვითარ-
 მედ: „ერთი იყო მათგანი“, რადთამცა ეცნათ, ვითარმედ მთა-
 ვართთა ჰრწმენა მისი. რამეთუ დაღაცათუ კადნიერებასა

¹ რომ. 3,3

² ესაია 1,10

³ ესაია 1,23

ჯეროვანსა არა აჩუენებდეს, გარნა პრწმენა ქრისტესი. ხოლო იხილე, ვითარ რიღობით იქმს მხილებასა მას, რამეთუ არა თქუა, თუ: „თქუენ ეძიებთ მოკლვად მას, და დაშჯით მას განუკითხველად და მაცთურით სახელ-სდებთ?“, გარნა არა ესრეთ თქუა, არამედ ტკბილად თქუა, რამთამცა ფრიადი იგი მპრისხანებად და მკლველობად მათი დააცხრვო, ამისთვისცა შჯულისა მიმართ ჰყოფს სიტყუასა თუსსა და იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „უკუეთუ არა პირველ იხმინოს მისი და ცნას, რასა იქმს“. (7,51). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო სიტყუად ესე ესე არს: თუ ცნას, რასა იქმს, თუ რად ჰნებავსო, ანუ რადსათუს და ვითარ, და თუ ბრძოლისა დაქსნისათუს იქმს ერისა მის, ანუ არა ხოლო იგინი განცვბრებულ იქმნეს, ვინაფთგან ეთქუა, თუ: „არავის მთავართაგანსა პრწმენა მისი“, ამისთვის არცა გულისწყრომით, არცა სიმშუდით ეტყუან მას, რამეთუ რად შეწყობილებად აქუნდა სიტყუათა მათთა, რომელმან თქუა რად, თუ: „შჯული არავის დაშჯის“, და მათ თქუეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ნუუკუე შენცა გალილეველ ხარო?“ (7,52). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ ჯერ-იყო, რამთამცა გამოაჩინეს, ვითარმედ არა განუკითხველად დაშჯიან მას, ანუ თუ არა უქმს მათ თქუმად სიტყუსა, ხოლო იგინი უგუნურებით და გულისწყრომით ჰყოფენ თუსსა მას სიტყუასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : გამოიძიე და იხილეო, რამეთუ გალილეაფთ წინამსწარმეტყუელი არა აღდგომილ არს (7,52) **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო რად ეთქუა კაცსა მას, თუ: „წინამსწარმეტყუელი არსო?“ ანუ არა ესრეთ თქუა, თუ: „არა ჯერ-არს განუკითხველად მისი მოკლვად“, ხოლო მათ დადაცათუ ესრეთ განცხადებულად არა პრქუეს, თუ: „არა იცი წერილი, წარვედ და ისწავე“, არამედ იგავითრე ამასვე იტყუან, რამეთუ: „ესე არს“, თუ: „გამოიძიე და იხილე“. ხოლო ქრისტემან, იხილე, რად-იგი ყო, რამეთუ ვინაფთგან ზედა და ქუე აქცევდეს გალილეასა და წინამსწარმეტყუელთა, რამთამცა განარინნა იგინი ესევითარისა მის გულის-სიტყუსაგან და უჩრუნა, ვითარმედ არა ერთი არს წინამსწარმეტყუელთაგანი, არამედ სრულიად სოფლისა მეუფჳ არს, ამისთვის პრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : მე ვარ ნათელი სოფლისა (8,12).

თარგმანი: არა გალილეასაჲ ოდენ და პალესტინისაჲ და ჰურიასტანისაჲ, არამედ ყოვლისა სოფლისაჲ. ხოლო ისმინე სიტყუაჲ იგი ჰურიათაჲ: „შენ თავისა შენისათჳს სწამებო“.¹ რაჲ წამა უკუე თავის თჳსისათჳს?

სახარებაჲ: შე ვარ ნათელი სოფლისაჲ (8,12),
თარგმანი: დიდ არს სიტყუაჲ ესე და ჭეშმარიტად დიდ არს, გარნა იგინი ვერვე მოდრიკნა, რამეთუ არცა შეასწორებს ამას ადგილსა თავსა თჳსსა მამისა თანა, არცა თქუა, თუ: „მც ვარ მისი“, არცა თუ: „ღმერთი ვარო“, არამედ ესე ოდენ თქუა. ვითარმედ: „ნათელი ვარ სოფლისაჲ“. და მათ ენება, რაჲთამცა ესეცა სიტყუაჲ მათი დაჰქსნეს, ხოლო ამისი ფრიად უზეშთაეს არს სიტყუაჲ იგი, ვითარმედ:

სახარებაჲ: რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის იგი ბნელსა შინა (8,12).
თარგმანი: ბნელად ამას ადგილსა საცთურსა მას ურწმუნოებისასა უწესს, ვითარმედ: „არა დაადგრესო ცთომასა შინა, ხოლო აქა ნიკოდემოსსცა მოიზრდავს და აქებს კადნიერებისათჳს მისისა და მსახურთა მათცა აქებს, რომელთა ესრეთ სიტყუა-უგეს მათ, და მათცა ამხილებს, ვითარმედ ფარულად და ბნელსა შინა თხზნიდეს მზაკუვარებათა მათთა, არამედ ნათელსა მათ ვერ სძლონო და ნიკოდემოსსცა მოაქსენებს სიტყუათა მათთჳს, რომელთა პირველ ეტყოდა, ვითარმედ: „ყოველი, რომელი იქმნ ბოროტსა, სძულნ ნათელი, და არა მოვალნ ნათლად, რამეთუ არა განცხადნენ საქმენი მისნი“.¹ რამეთუ, ვინაჲთგან იტყოდეს, თუ: „არავს მთავართაგანსა ჰრწმენა მისი“, ამისთჳს თქუა, თუ: „ყოველი, რომელი ბოროტსა იქმოდის, სძულნ მას ნათელი და არა მოვალს“, რაჲთა უჩუენოს, ვითარმედ არამოსლვაჲ იგი არა თუ უძლურებისაგან ნათლისა მის იქმნებას, არამედ მათისა მის დრკუმსა და განდრეკილისა გონებეაჲგან.

სახარებაჲ: ჰრქუეს მას ფარისეველთა: „შენ თავისა შენისათჳს სწამებ და წამებაჲ შენი არა არს ჭეშმარიტი“ (8,13).
თარგმანი: ხოლო ისმინეთ, რაჲთა ჰრქუა მათ უფალმან:

¹ იოან. 8,13

¹ იოან. 3,20

სახარება: „დადაცათუ ვწამებდე თავისა ჩემისათს: ჭეშმარიტ არს წამებაჲ ჩემი, რამეთუ ვიცი, ვინაჲ მოსრულ ვარ და ვიდრე ვალ“ (8,14). **თარგმანი:** რაჲ არს უკუე სიტყუაჲ ესე? ესე იგი არს, ვითარმედ: ღმრთისაგან ვარ და ღმერთი და ძმ ღმრთისაჲ, ხოლო ღმერთი თავისა თვისისა სარწმუნოჲ მოწამჲ არს, ხოლო თქუნენ არა იცითო, რაზეთუ ბოროტი გნებავს და რომელთა-ეგე უწყით, ვითარმედ ღმერთი ვარ, იჩემებთ არაცნობასა და ყოველსავე იტყვთ გონებითა კაცობრივითა, რომელთა არა გნებავს, რაჲთამცა უმეტესი რაჲმე ხილულისაჲ გულისხმა-ჰყავთ.

სახარება: „თქუნენ კორცთაებრ შჯით“ (8,15). **თარგმანი:** ვითარცა-იგი კორციელად ცხორებაჲ ბოროტსა ცხორებასა მოასწავებს, ეგრეთვე კორცთაებრ საშჯელი არს უსამართლოებით შჯაჲ.

სახარება: „მე არავის ვშჯი და, უკუეთუ ვშჯიდე, საშჯელი ჩემი ჭეშმარიტ არს“ (8, 15, 16). **თარგმანი:** ხოლო სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყვს, ესევეითარი არს, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „უსამართლოებით შჯით თქუნენ“, და ეთქვამცა, თუ: „უკუეთუ უსამართლოებით ვშჯით, და რად არა გუშჯი და გუტანჯავ, ღმერთი თუ ხარ? და ამისთვის თქუა, ვითარმედ: „მე არავის ვშჯი, რამეთუ არა ამისთვის მოსრულ ვარ, და უკუეთუ ვშჯიდე, საშჯელი ჩემი ჭეშმარიტ არს“. ესე იგი არს, ვითარმედ: „უკუეთუმცა ვსაჯე, თქუნემცა დაშჯილი იპოვენით, და სამართლადცა, არამედ აწ ჟამი საშჯელისაჲ არა არს“, და საუკუნოჲსა მისთვისცა განშჯისა მოასწავა თქუა რაჲ, ვითარმედ: „მე მარტოჲ არა ვარ, არამედ მე და მომავლინებელი ჩემი მამაჲ ვართ“. ხოლო აქა უჩუენა, ვითარმედ, არა იგი ოდენ დაშჯის მათ, არამედ მამაჲცა, რაჲჲმს ჰრქუა:

სახარება: „შჯულსა თქუნენსა წერილ არს, ვითარმედ ორისა კაცისა წამებაჲ ჭეშმარტ არს“ (8,17). **თარგმანი:** ამით სიტყვთა ერთობასა მისსა და მამისასა გამოაჩინებს, რამეთუ არა ვინ თქუა სხუაჲ მამა, რაჲთამცა ერთარსებაჲ იგი გვჩუენა, თუ არა რად არა თქუა იოვანსისთვის, თუ: „ვწამებ მე ჩემთვის და წამებს იოვანეცა, ანუ ანგელოზნი, ანუ წინამსწარმეტყუელნი“, რამეთუ ესე ყოველნი მისთვის წამებდეს, არამედ არა ამისთვის ოდენ იტყოდა სიტყუასა ამას,

რადამცა გამოაჩინნა მოწამენი, არამედ რადთა გამოაჩინოს. ერთარსებაჲ მისი და მამისაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ეტყოდეს მას ჰურიანი იგი: ვინ არს მამაჲ შენი? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: „არცა მე მიციტ და არცა მამაჲ ჩემი“ (8,19). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო ვინადთგან საცნაურსა მას საქმესა, ვითარცა უცნაურსა, იტყოდეს და, რომელი-იგი იცოდეს, ვითარცა არა იცოდეს და გამოსცდიდეს მას, ამისთვის პასუხსა არა ღირს-ყვნა. ამისთვის იწყო ყოველსავე განცხადებულად თქუმად და ფრიადითა კადნიერებითა, რაჟამს სასწაულთაგანცა და სწავლათა მათ თვსთა. მოიღო წამებაჲ, რამეთუ ჯუარ-ცუმჲცა მისი ახლოჲ იყო, რამეთუ ჰრქუა, ვითარმედ: „ვიცი, თუ ვინაჲ მოვალ და ვიდრე ვალ“. ხოლო ესე სიტყუაჲ არა ძლიერად შეეხო მათ, არამედ მან სიტყუამან უფროდსად შეაშინნა, რომელი შესძინა და თქუა, ვითარმედ: „სადა მე წარვალ, თქუენ ვერ ძალ-გიცძოსლვად“, რამეთუ უჩუენა, ვითარმედ არა დადგრომად არს სიკუდილსა შინა, ხოლო რადსათვს არა თქუა, თუ: „ვიცი, ვითარმედ ღმერთი ვარ მე“, არამედ ჰრქუა, თუ: „ვიცი, ვინაჲ მოვალ“? გარნა ამისთვის, რამეთუ მარადის მდაბალთა სიტყუათა აღჰრევს მაღალთა თანა და ჰფარავს მათ. რამეთუ თქუა რად, ვითარმედ: „მე თავისა ჩემისათვს ვწამებ“, და რაჟამს გამოაჩინა, კუალად მდაბლისა სიტყუსა მიმართ მოვიდა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: „ვიცი, ვის მიერ მოვლინებულ ვარ და ვისა მიმართ მივალ“. რამეთუ ესრეთ ვერლარა ძალ-ედვა სიტყუს-გებაჲ, რაჟამს ცნესმცა, ვითარმედ მის მიერ მოვლინებულ არს და მისა მიმართ მივალს. რამეთუ უჩუენებს იგი, ვითარმედ: „ვითარმცა ვთქუ ტყუვილი, რომელი მის მიერ მოსრულ ვარ და მისა მიმართ წარვალ, ჰეშმარიტისა მის ღმრთისა? ხოლო თქუენ არა იციტ ღმერთი, ამისთვის ჯორციელად შჯით“. რამეთუ, რომელთა ესეოდენნი იგი სახენი, და მხილებანი და იგავნი მიეხუნეს, ჯერეთ იტყოდეს, ვითარმედ: „არა არს ესე ჰეშმარიტ“ და მოსე უსარწმუნოესად აქუნდა. ხოლო ჰრისტე ეტყოდა, ვითარმედ: „მე არავის ვშჯი“, არამედ ვითარ პირველ თქუა, ვითარმედ: „მამაჲ არავის შჯის“,¹ და აქა იტყუს, ვითარმედ: „მე არავის

¹ იოან. 6,22

ვმჭი, და, უკუეთუ ვმჭიდე, საშველი ჩემი ჭეშმარიტ არს, რამეთუ მარტომ არა ვარ“. გარნა კუალად მათისა იქსაებრ მიუგებს, ესე იგი არს, ვითარმედ: „ჩემი საშველი მამისაა არს, რამეთუ არამცა საჯა მამამან სხუაებრ, შჯიდა თუმცა, გარნა ესრე, ვითარცა მე, და არა ვმჭი მე სხუაებრ, გარნა ვითარცა მამაა“. ხოლო რაჲსათჳს შჯულისაჲცა აჯსენა? ამისთჳს, რამეთუ იგინი არა ირწმუნებდეს მისსა, უკუეთუმცა წამებაჲ იგი მამასაჲ არა მოელო და კუალად სიტყუაჲცა იგი არა დგა, რამეთუ კაცთა ზედა, რაჲჲმს ორთა კაცთა უცხოსა საქმესა ზედა წამონ, მაშინ ჭეშმარიტ არს, რამეთუ ესე არს წამებაჲ ორთაჲ, ხოლო, რაჲჲმს თავისა თჳსისათჳს ვინ წამებდეს, მაშინ არღარა ორნი არიან. ჰხედავა, ვითარ სხჳსა არარაჲსათჳს თქუა ესე, გარნა ამისთჳს, რაჲთა უჩუენოს ერთობაჲ მისი მამისა თანა და მერმე ამის მიერ უჩუენოს, ვითარმედ არა-რაჲთ ნაკლულევან არს მამისაგან? იხილე უკუე უფლებაჲ მისი, რამეთუ იტყჳს: „ვითარმედ მე ვარ, რომელი ვწამებ თავისა ჩემისათჳს, და წამებს ჩემთჳს მომავლინებელი ჩემი მამაა“.1 და რაჲთა არა ჰგონებდე, ვითარმედ რიცხჳსათჳს თქუმულ არს ესე, იხილე კელმწიფებაჲ იგი, რომელსა არარაჲ აქუს შეცვალებული, რამეთუ წამებს კაცი, რაჲჲმს თავი თჳსი სარწმუნო-ყოს და არა, რაჲჲმს წამებაჲ უკმდეს და ესეცა უცხოსა ზედა საქმესა, ხოლო თჳსსა ზედა, რაჲჲმს სხჳსა წამებაჲ უკმდეს, არღარა სარწმუნო არს. ხოლო აქა ყოველივე წინააღმდგომი არს, რამეთუ თჳსსა საქმესა ზედა წამებს და სხჳსა მიერ იტყჳს წამებისა მოლებასა და სარწმუნო-ჰყოფს. ესრეთ სიტყუასა თჳსსა ყოველით კერძო, რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ კელმწიფებით არს წამებაჲ მისი. რამეთუ რაჲსათჳს თქუა რაჲ, თუ: „არა ვარ მე მარტომ, არამედ მე და მომავლინებელი ჩემი მამაა“? და ვითარმედ: „ორთა კაცთა წამებაჲ ჭეშმარიტ არს“? არა დაიდუმა, არამედ შესძინა და თქუა, ვითარმედ: „მე ვარ, რომელი ვწამებ თავისა ჩემისათჳს“. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ კელმწიფებასა თჳსსა მოასწავებს, და პირველად თავი თჳსი თქუა, ვითარმედ: „მე ვარ, რომელი ვწამებ თავისა ჩემისათჳს“, და მერმე „მამაა“,

1 იოან. 8,18

ვითარმედ: „წამებს ჩემთვის მომავლინებელი ჩემი მამა“, და აჩუენებს აქა პატევიტა სწორებასა მამისა თანა და ვითარმედ არარაჲ ერგების, რომელნი იტყვან, თუ: „ვიციტ მამა“, რომელთა-იგ არა იცოდინან, და ვითარმედ ესე არს მიზეზი, რამეთუ მათ არა ჰნებავს ცნობაჲ მისი. რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „შეუძლებელ არს ცნობაჲ მამისაჲ თვნიერ ძისა, რამთამცა ნუუკუე ამათ სიტყუათა მიერ მო-მცა-იზიდნა იგინი გულისხმის-ყოფად, რამეთუ ვინაფთგან მას დაუტობდეს და მამასა ეძიებდეს მარადის, ცნობასა უჩუენებს, ვითარმედ შეუძლებელ არს ამისი ქმნაჲ თვნიერ ჩემსაო. აწ უკუე საცნაურ არს, ვითარმედ, რომელნი ძესა ჰგმობდენ, არა მას ოდენ ჰგმობენ, არამედ მამასაცა.

ს წ ა ვ ლ ა ჲ ნ ბ

ს ა თ ნ ო ე ბ ი ს ა თ ვ ს

ხოლო ჩუენ ვივლტოდით ამათ საქმეთაგან და ვადიდებდეთ ძესა მხოლოდშობილისა ღმრთისასა არა ამით ოდენ ძართლალსა არებისა დიდებითა, არამედ საქმეთაცა მიერ კეთილთა, რამეთუ მართლმორწმუნეობაჲ ოდენ თვნიერ საქმეთა კეთილთა არა სარგებელ არს, რამეთუ, „უკუეთუ შენ ჰურია სახელ-გედების, და განისუენებ შჯულსა ზედა და იქადი ღმრთისა მიერ“,¹ აწ უკუე, რომელი-ეგე ასწავებ სხუასა, თავსა შენსა არა სწავება? რომელი-ეგე შჯულსა ზედა იქადი, გარდასლვითა შჯულისაჲთა ღმერთსა შეუტრაცხყოფ.² აწ უკუე ძმანო, ვიხილოთ ჩუენცა, ნუუკუე სიმართლესა ზედა სარწმუნოებისასა ვიქადოდით, და არა ვიქმოდით საქმეთა, რომელნი სარწმუნოებასა მას ჩუენსა შეეცყუებოდინან, და ამისთვის განვარისხებდეთ ღმერთსა ჩუენ ზედა და ჩუენ მიერ იგმობოდის სახელი მისი, რამეთუ ჯერ-არს,

¹ რომ. 2,17

² რომ. 2,21

რამთა ქრისტეანს მოძღუარი იყოს ყოვლისა სოფლისაჲ და ნათელ და მარილ და საფუეარ კეთილთა საქმეთა, ვითარცა უფალი იტყვს. ხოლო რაჲ არს ნათელ-ყოფაჲ? ესე იგი არს, ცსორებჲა ბრწყინვალს და კეთილი, რომელსა შინა არცა ერთი იქმნების სიბნელს, რამეთუ ნათელი არა თავისა თვისსა საქმარ არს, არცა მარილი, არცა საფუეარი, არამედ სხუათა მიმართ გამოაჩინებნ საქმარებასა თვისსა. ეგრეთვე უკუე ჩუენგანცა არა თავთა ჩუენტა ოდენ სარგებელსა ეძიებნ ლაერთი, არამედ სხუათასაცა, რამეთუ, მარილი უკუეთუ არა შეამარილებდეს, არა არს მარილ.¹ და კუალად ესეცა გულისხმა-ყავთ, ვითარმედ, უკუეთუ ჩუენ წარვქმართოთ კეთილისა საქმს, მოსლვად არიან სხუანიცა ჩუენსა მას კეთილსა, ხოლო, უკუეთუ ჩუენ წარუმართებელ ვიყვნეთ, ვითარ შეუძლოთ სხუათა სარგებელად? ნუმცა არს უკუე ჩუენ შორის, მ, ძმანო, დრკუე რამე და დავსნილებისა და სიცოფისა სახს. რამეთუ: ესევითარნი არიან საქმენი სოფლისანი; ესევითარნი არიან ზრუნვანი ამოაჲსა ამის ცხოვრებისანი. ამისთვის ეწოდა ქალწულთა მათ ცოფ, რამეთუ სოფლისა ამის საქმეთა შექცეულ იყვნეს და შეიკრებდეს, სადა არა ჭერ-იყო შეკრებაჲ, და სადა სიმდიდრს კეთილი იყო, მუნ გლახაკ იყვნეს. შიშ არს უკუე და ძრწოლა, ნუუკუე წარვიდეთ ამიერ ჩუენცა შემოსილნი სამოსლითა შეგინებულითა, სადა-იგი ყოველთა მართალთა აქუნდეს ბრწყინვალეები და დიდებული სამოსლები, რამეთუ არარაჲ არს ცოდვისა უბილწს და უსაძაგელს. ამისთვის ბუნებასა მას ცოდვისასა გამოსთარგმნიდა წინაჲსწარმეტყუელი და იტყოდა: „შეყროლდეს და დალპეს წყლულებანი ჩემნი“.² და უკუეთუ გნებავს, რამთამცა სცან სიმყრალს იგი ცოდვისაჲ და საძაგელებჲა, მოიგონე, თუ რაჲ არს იგი შემდგომად ქმნისა, რაჲამს განეყენოს კაცი გულისთქუმისა მისგან ბოროტისა, რაჲამს არღარა სწუვიდეს ცეცხლი იგი გულისთქუმისაჲ, თუ ვითარ საძაგელად უჩნს იგი კაცსა. კუალად გულისხმა-ყავ გულისწყრომაჲ, რაჲამს დაწყნარებულად იყო. გულისხმა-ყავ ანგაპრებისათვის,

¹ შდრ. მათ. 5,13

² ფსალმ. 37,6

რაჟამს გარეგან ვნებისა მის იყო, ვითა არარაჲ არს უსაძა-
გელმს მისა. ამას ყოველსა ზედადსზედა გეტყუ თქუენ არა
თუ ამისთვის, რადთამცა მოგაწყინენ, არამედ რადთამცა გარგე
თქუენ ფრიად და საკვრველად, რამეთუ რომელმან ერთგზის
სმენითა ვერ წარჰმართოს კეთილი, მეორითა ანუ მესამითა
სმენითა ნუჟუჟე წარჰმართოს, ხოლო ღირსმცა ვართ ყო-
ველნი მიმთხუევად განთავისუფლებულნი ბოროტთა საქმე-
თაგან მოგებად სულნელებასა ქრისტესსა, რამეთუ მისი არს
დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის
და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი 6 ბ

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: ამათ სიტყუათა ეტყოდა იესუ
ფასისსაცავსა მას თანა და ასწავებდა ტაძარსა მას შინა, და
არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არა მოწევნულ იყო უამი მისი
(8,20). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** მ, უგუნურებნა იგი ჰურიათაჲ! უწი-
ნარმს პასექისა ეძიებდეს მას და მერმე შემდგომად პასექისა
პოვეს იგი, და ინებეს მრავალგზის შეპყრობაჲ მისი თავთა
თსთა მიერცა და სხუათაცა მიერ, და ვერ შეუძლეს, და
არავე დაუკრდა ძალი მისი, არამედ მარადის შესძინებდეს
უკეთურებასა მათსა და არა დასცხრებოდეს. და რადთა სცნა,
ვითარმედ მარადის ებრძოდეს, ისმინე მახარებელისაჲ, რა-
სა იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: ამათ სიტყუათა ეტყოდა იესუ ფასისს-
საცავსა მას თანა და ასწავებდა ტაძარსა მას შინა და არავინ
შეიპყრა იგი (8,20). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ტაძარსა შინა იტყოდა
და წესითა მოძღუარისაჲთა, რომელი უფრომს შემძლებელ
იყო მათა განმწარებად, და ეტყოდა სიტყუათა, რომელთა
ზედა იგინი განრისხნებოდეს, რაჟამს-იგი უჩუენებდა, ვი-
თარმედ სწორ არს იგი მამისა თანა, რამეთუ სიტყუაჲ იგი,
თუ: „ორთა კაცთა წამებაჲ ჰეშმარიტ არს“, ამას მოასწავებს,
არამედ ამას ყოველსა იტყოდა ფასისსაცავსა მას თანა ტაძარ-
სა შინა და სახითა მოძღუარისაჲთა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: და არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არაღა

მოწვევულ იყო უამი მისი (8,20). **თარგმანი:** ესე იგი არს, ვითარმედ არა იყო უამი მარჯუმ, რომელსა შინა ინება მან ჯუარ-ცუმაჲ. და ამისგან საცნაურ არს, ვითარმედ ვინა-მთგან ოდეს მან არა ინება, ვერ უძლეს შეპყრობად მისა და რაჟამს იგი შეიპყრეს, იგიცა სადამე არა მათისა ძალისაგან იყოა? არამედ მისისა განგებულებისა საქმე იყო, რამეთუ მათ პირველითგანვე უნდა, გარნა ვერ შეუძლეს. და მაშინ-ცამცა ვერ შემძლებელ იქმნნეს, უკუეთუმცა არა მას თავად-სა შეენდო.

სახარებაჲ: ჰრქუა მათ კუალადცა იესუ: „მე წარვალ და მეძიებდეთ მე (8,21). **თარგმანი:** რაჲსათჳს უკუე ეტყჳს მათ ზედაჲსზედა ესრეთ სიტყუასა ამას? გარნა ამისთჳს, რაჲთამცა შეაშინნა იგინი და შეაძრწუნნა. რამეთუ იხილე, თუ რაზომსა შიშსა მოაწევს სიტყუაჲ ესე მათ ზედა, რამეთუ, რომელნი-იგი ისწრაფდეს მოკლვად მისა, რაჲ-თამცა განერნეს, იგინი ეძიებენ, თუ სადა წარვალს. ესრეთ ღიდად შეერაცხა საქმჳ იგი და კუალად სხჳსაცა საქმისა ენება სწავლად მათა, ვითარმედ არა მათისა მძლავრებისაგან არს საქმჳ იგი, არამედ მის მიერ არს პირველითგანვე განგე-ბული და კუალად აღდგომამცა წინაჲსწარ მოასწავა ამით სიტყუათა მიერ:

სახარებაჲ: ეტყოდეს ჰურიანი იგი ურთიერთას: „ნუუკუე მოიკლავს თავსა თჳსსა?“ (8,22). **თარგმანი:** ხო-ლო უფალსა ენება, რაჲთამცა იქჳ იგი მათა განაქარვა და უჩუენამცა, ვითარ ბოროტ არს საქმჳ იგი. ამისთჳს ეტყოდა:

სახარებაჲ: „თქუნენ ქუეყანისაგანნი ხართ“ (8,23). **თარგმანი:** ხოლო სიტყუაჲ ესე ესევეითარი არს, ვითარ-მედ არარაჲ საკურველ არს ესევეითართა გულისსიტყუათა მო-გონებაჲ: რომელნი-ეგე ქუეყანისაგანნი ხართ და ყოვლი-თურთ ჯორც და არარაჲ იპოვების თქუნენ თანა სულიერი, თარმედ, რომელ თქუა, თუ: „მე არა ამის სოფლისაგანი ვარ“,

სახარებაჲ: თქუნენ ამის სოფლისაგანნი ხართ (8,23). **თარგმანი:** არამედ სიტყუთა ამით ჯორციელთა გულის-სიტყუათა მოასწავებს, რამეთუ ამისგან საცნაურ არს, ვი-თარმედ, რომელ თქუა, თუ: „მე არა ამის სოფლისაგანი ვარ, არა თუ ამისთჳს იტყჳს, თუ: „არა სრულიად ყოვლითურთ

კაც ვიქმენ“, არამედ გულისსიტყუათათვს იტყუს კაცობრივ-
თა და ვათარმედ: შორს ვარო ესევითარისა ამის უკეთურე-
ბისაგან, რომელი თქუენ გაქუს, რამეთუ მოციქულთა ჰრქუა,
ვითარმედ: „არა ხართ ამის სოფლისაგანნი“, არამედ იგინი
ჯორციელ იყვნეს, ვითარცა-იგი პავლეცა იტყუს, ვითარმედ:
„არა ხართ ჯორციელ“, და არა თუ ამისთვის თქუა, რომელ
უჯორცო იყვნეს. ეგრეთვე რაჟამს მოწაფეთა ჰრქუა, თუ:
„არა ხართ სოფლისაგან“, არა თუ სხუასა რას, არამედ უც-
ხოებასა სოფლისა საქმეთასა ეწამების მათ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „გარქუ თქუენ: „უკუეთუ არა გრწმენეს,
ვითარმედ მე ვარ, მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენთა“ (8,24).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ხოლო უკუეთუ ამისთვის მოვიდა იგი, რაათა
ცოდვანი სოფლისანი აღიხუნეს, ხოლო ესე საქმს თვნიერ
საბანელისა მის ნათლის-ღებისა არა იქმნების; საცნაურ არს,
ვითარმედ, რომელი ურწმუნო იყოს, იგი ძუელისა მის კაცისა
სამოსლითა შემოსილი წარსლვად არს, რამეთუ, რომელმან
არა ინებოს მოკუდინებაჲ თავისა თვისსაჲ სარწმუნოებისათვს
ღმრთისა და დაფლვად სრულიად ძუელისა მის კაცისაჲ, იგი
მოკუდეს მის თანა და წარვიდეს მას საუკუნესა მიღებად
საშჯელისა ცოდვათა თვსთა. ამისთვის იტყოდა უფალი, ვი-
თარმედ: „რომელსა არა ჰრწმენეს, იგი აწვე დაშჯილ არს?“,
არა ამისთვის ოდენ, რომელ არა ჰრწმენა, არამედ ამისთვისცა,
რამეთუ წარვალს ტვრთითა მით პირველთა ცოდვათა
თვსთაჲთა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ეტყოდეს მას: „და შენ ვინ ხარ?“ (8,25).
თ ა რ გ მ ა ნ ი : მ, სიბრმს და უგულისხმოებაჲ! შემდგომად
ესოდენისა ჟამისა და ესოდენთა სასწაულთა და სწავლათა
ჰკითხვენ: „შენ ვინ ხარ?“ ხოლო იხილე, რაჲ მიუგო უფალმან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „პირველად, რამეთუ გეტყუ თქუენ“
(8,25). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო სიტყუაჲ ესე ესევითარი არს,
ვითარმედ ესეცა, რომელ ღირს იქმნებით სიტყუათა ჩემთა
სმენად, დიდ არს, არა თუმცა სცანთ, თუ ვინ ვარ, რამეთუ
თქუენ ყოველსავე გამოცდით იტყუთ და არა ოდეს ისმენთ
სიტყუათა ჩემთა წრფელად და ძალ-მედვა ამის ყოვლისა

¹ იოან. 3,18

მხილება. რამეთუ ამისთვის თქუა, ვითარმედ, „ბრავალი მკაქუს თქუენდა სიტყუად და განკითხვად“,¹ ესე იგი არს, ვითარმედ არა თუ მხილებად ოდენ, არამედ ტანჯვადცა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : არამედ რომელმან მომავლინა მე, ესე არს მამამ, მას არა ესე ჰნებავს, რამეთუ არა მოვედ შჯად სოფლისა, არამედ ცხოვნებად სოფლისა, ვითარცა იტყუს, ვითარმედ: არა მოავლინა უფალმან ძმ თუსი, რაათა დასაჯოს სოფელი, არამედ რაათა აცხოვნოს სოფელი (8,26; 12,46; 3,17). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** აწ უკუე ამისთვის მოუვლინიე მე, ქემ-მარიტად და სამართლად არავის ვშჯი მე აწ, არამედ ოდენ სიტყუათა ამათ ცხორებისათა ვიტყუ და არა მხილებისათა.

ხოლო ამათ სიტყუათა ამისთვის ეტყოდა, რაათა არა თქუან, თუ: „უძლურებისაგან ვერ შემძლებელ არს ჩუენთა ამათ შეურაცხებათა ნაცვალისა მოგებად, ანუ არა იცნის გონება-ხი ჩუენნი და კიცხევაანი ესე და გამოცდანი“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „არა ცნეს, რამეთუ მამასა თუსსა უთხ-რობდა მათ“ (8,27). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** მე, უგულისხმობამა ესე: არა დასცხრა იგი სიტყუად მათა მამისათუს და ჭერეთ არა იცოდეს, ხოლო, ვინამთგან ესეოდენნი სასწაულნი და ნი-შებნი უჩუენნა და ესეზომად ასწავა, და ვერ მოაქცინა კეთი-ლისა მომართ, ამისთვის ამიერითგან ჟუარ-ცუძისათუს იწყებს სიტყუად და იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ოდეს აღამაღლოთ ძმ კაცისამ, მაშინ სცნათ, რამეთუ მე ვარ და თავით ჩემით არარას ვიტყუ, არა-მედ, ვითარცა მასწავა მამამან, მასცა ვიტყუ, და, რომელმან მომავლინა მე, ჩემ თანა არს და არა დამიტევა მე მარტომ“ (8,28—29). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** უჩუენებს, ვითარმედ სამართ-ლად ეტყოდა მათ, თუ: „პირველად, რამეთუ გეტყუ თქუენ, ესრეთ არა ისმენდეთ თქუმულთა მათ, ოდეს აღამაღლოთ ძმ კაცისამ, არა ჰგონებთა, ვითარმედ მაშინ განმეშორნეთ ჩემ-გან და მომკლათ მე, არამედ მე გეტყუ, ვითარმედ: „მაშინ სცნათ უფრომს, ვითარმედ მე ვარ“.¹ სასწაულთა მათთვის და აღდგომისათუს და წარტყუენვისათუს ქალაქისა ამის, რამეთუ

¹ იოან. 8,26

² იოან. 8,28

ესე ყოველი კმა იყო გამოჩინებდალ ძალისა მისისა, და არა თქუა, თუ: „მაშინ სცნათ, ვინ ვარ“, არამედ: „მაშინ სცნათ, ვითარმედ მე ვარ“, ესე იგი, არს, ვითარმედ: „რაჟამს მიხილოთ, ვითარმედ სიკუდილისაგან არა მევენო, მაშინ სცნათ, ვითარმედ მე ვარ ქრისტე, ქრისტე, ძმ ღმრთისაჲ, რომელსა ყოველივე მიპყრიეს, და რომელი-ესე არა წინააღმდეგომ ვარ მამისა“. და ამისთვისცა შესძინა და თქუა, ვითარმედ: „თავით ჩემით არა ვიტყვ“,¹ ესე იგი არს, ვითარმედ ორივე სცნათ — ძალიცა ჩემი და ერთობაჲცა ესე ჩემი, — რომელი ძა ქუს მამისა მიმართ. რამეთუ სიტყუაჲ ესე განუყოფელობასა ძისსა მოასწავებს, რომელ-ესე თქუა, ვითარმედ: „თავით ჩემით არა ვიტყვ არარას“, რამეთუ არარას იტყვს გარეშე ზრახვათა მათ მამისათა. რამეთუ, რაჟამს დაეცნეთ მსახურებისაგან, რაჟამს არა შეგენდოს თქუენ, რაჲთამცა ჰმონებლით მას კეთილად, ვითარცა ამისა პირველ, მაშინ სცნათ, ვითარმედ ჩემთვის ეძიებს შურსა და მისგან გიყოფს, და რამეთუ განრისხებულ არს იგი ყოველთა ზედა, რომელთა ჩემი არა ისძინონ. ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუმცა უცხოჲ ვიყავ მისგან და წინააღმდეგომი მისი, რადმცა მოაწია ჩემთვის თქუენ ზედა ესე ოდენი რისხვაჲ?“ ეგრეთვე ესაიაცა იტყვს წინამსწარმეტყუელი, ვითარმედ: „მივსცნე უკეთურნი დაფლებისა წილ მისისა“,² და დავით იტყვს, ვითარმედ: „მაშინ ეტყოდოს მათ რისხვითა მისითა“³ და თავადი იტყოდა: „აჰა, ესერა, დაუტევნეთ სახლნი თქუენნი ოკრად“.³ და იგავნიცა იგი მისნი ამასვე მოასწავებენ, რომელ-იგი ეტყოდა, ვითარმედ: „რაჲ უყოს მუშაკთა მათ უფალმან მან მის ვენაკისამან? რამეთუ ბოროტნი იგი ბოროტად წარწყმიდნეს“,⁴ ჰხედავა, რამეთუ ყოველსა ადგილსა ამათ სიტყუათა ეტყოდა, რომელ არლა პრწმენა მისი? თუ არა, უკუეთუ თვთ ეგულებიწ წარწყმედაჲ მათი, ვითარცა ეგულებიწცა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „მომგუარენით აჰა, რომელთა არა ენება

¹ იოან. 8,28

² ესაია 53,9

³ თსაღმ. 2,5

⁴ მათ. 23,38

⁵ მათ. 21,40—41

ძეუფებამ ჩემი მათ ზედა და მოსწყუდენით წინაშე ჩემსა“.¹ და ვინაიდან თვით არს კელმწიფმ წარწყმელასა ზედა მათსა, რადსათეს არა თავისა თვისსა საქმედ უწესს ამას, არამედ მამისა? საცნაურ არს უკუე, ვითარმედ მათისა უძლურები-სათეს, რამეთუ ვერ ძალ-ედვა გულისხმის-ყოფად ყოვლისავე, და კუალად, რამეთუ პატივ-სცემდა მამასა, რამეთუ ვინაი-დან ყოველთა მათ კეთილთა ჩემთა ზედა არა ინებეთ გუ-ლისხმის-ყოფად მოსლვამ, ამისთვის, რაჟამს-იგი იტანჯე-ბოდით, მაშინ სცნათ, ვინ ვარ.

სახარებაჲ: და ჩემ თანა არს მამამ (8,29). **თარგ-მანი:** რადთა არა ჰგონებდენ, თუ სიტყუამ იგი, რომელ თქუა, ვითარმედ: „მომავლინა მე, უღარმსობისათეს მისისა თქუა, ამისთვის იტყუს, ივთარმედ: „ჩემ თანა არს“, რამეთუ ერთი იგი განგებულებისა მისისაჲ არს და მეორემ ღმრთე-ბისაჲ.

სახარებაჲ: „არა დამიტევა მე მარტომ, რამეთუ მე სათნოებასა მისსა ვიქმ მარადის“ (8,29). **თარგ-მანი:** კუალად სიტყუამ თუსი უმდაბლმისისა სახისა მომართ მოიყ-ვანა და წინააღმდეგობის ამით სიტყუასა მას მათსა, რომელსა იტყოდეს, ვითარმედ: „შაბათსა არა იმარხავს“,² ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „სათნოებასა მისსა ვიქმ“, რადთამცა უჩუ-ენნა, ვითარმედ დაჯსნამ შაბათისაჲ სათნო არს მამისა, ეგ-რეთვე უკუე ჟუარ-ცუმისა მისისა ჟამსა იტყოდა, ვითარმედ „ჰგონებთ, თუ ვერ ძალ-მიცა ვედრებად მამისა ჩემისა?“³ რო-მელმან-იგი ოდენ ჰრქუა, ვითარმედ: „ვის ეძიებთ?“⁴ და დასცნა იგინი ქუეყანასა ზედა, ხოლო თუ იტყოდი შენ, ვი-თარმედ: „და რად არა თქუა, თუ: „ჰგონებთ, ვითარმედ არა ძალ-მიცა წარწყმელად თქუენდა?“ არამედ გულისხმა-ყავ, ვითარმედ მან საქმემ ესე საქმით ქმნა, ხოლო სიტყუთ დაიდუმა უძლურებისა მისთვის მათისა ფრიადისა, რამეთუ მარადის ესე იყო მოსწრაფებაჲ მისი, რადთამცა გულსავსე-ყვნა, ვითარ-

¹ ლუკ. 19,27

² იოან. 9,16

³ მათ. 26,53

⁴ იოან. 18,4,7

მედ არა წინააღმდეგობი არს მამისად, არცა რას იქმს გარეგან-
სა მისისა ნებისა და ამისთვის აქა კაცობრივსა მას სიტყუასა
იტყუს. ხოლო ვითარცა თქუა, თუ: „არა დამიტევა მე მარ-
ტოჲ“, მითვე სახითა თქუა შემდგომიცა იგი სიტყუად, ვი-
თარმედ: „მე სათნოებათა მისთა ვიქმ მარადის“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ამას რაჲ იტყოდა იგი, მრავალთა ჰრწმენა
მისი (8,30). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჲამს ესრეთ სიმდაბლისა კერ-
ძო მოიყვანა სიტყუად თვისი, მაშინ მრავალთა ჰრწმენა მისი
და შენ ჯერეთ მკითხავ, თუ: „რამსათვის ესრეთ სიმდაბლით
იტყოდა?“ რამეთუ ესე ცხადად გამოაცხადა მახარებელმან
და თქუა, ვითარმედ: „ამას რაჲ იტყოდა იგი, მრავალთა
ჰრწმენა მისი“. ვითარმცა ლალადებდა განცხადებულად
ღმრთისმეტყუელი, ვითარმედ: „ნუ შეშფოთნება შენ, მ,
კაცო, რომელსა-ესე სიტყუანი გესმოდინან, უკუეთუ რამე
ძდაბალი გესმეს, რამეთუ რომელთა-იგი ეგეოდენისა მის
სწავლისა მიერ არა ჰრწმენეს, თუ ჰეშმარიტად მამისა მიერ
არს, ამისთვის სიმდაბლისა სახითა ეტყოდა, რამთა დაირწ-
მუნონ და კუალად ესე შემდგომთა მათცა სიტყუათათვის
თქუა, რომელთა ეგულების თქუმად, რომელნი-იგი თქუნა
უფალმან სიმდაბლისა სახითა, რამეთუ ირწმუნეს მათ, არა-
მედ არა ირწმუნეს, ვითარცა ჯერ-იყო, არამედ ოდენ მცირედ
რამე განისუენეს სიმდაბლესა მას ზედა სიტყუათა მისთასა.
რამეთუ გამოაჩინებს მახარებელი შემდგომთა ამათ სიტყუათა
მიერ, რომელთა ეტყოდეს მას გინებით, ვითარმედ არა ერწ-
მუნა ჯეროვნად, და ვითარმედ ესენი არიან, რომელთა შემდ-
გომად ამისა კუალად აგინეს მას, რომელთა-იგი აწ ჰრწმე-
ნა, საცნაურ არს მისგან, რომელსა-იგი იტყუს მახარებელი,
ვითარმედ შემდგომად ამისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ჰრქუა იესუ მორწმუნეთა მისთა ჰურიათა:
„უკუეთუ თქუნ დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა“ (8,31).
თ ა რ გ მ ა ნ ი : გამოაჩინებს, ვითარმედ არა შეიწყნარეს მათ
სიტყუად მისი, არამედ ოდენ ისმენდეს სიტყუათა მათ. ამისთ-
ვისცა უმტკივანესად ჰრქუა, რამეთუ მუნ თქუა ესრეთ ლი-
ტონად, ვითარმედ: „მეძიებდეთ მე“, ხოლო აწ უმეტესი შეს-
ძინა და თქუა, ვითარმედ: „ცოდვათა შინა თქუენთა მოსწყ-

დეთ“. და თუ ვითარ უჩუენებს მათ, რამეთუ „ვერ ძალ-გიც მოსლვად მუნ და ვედრებად ჩემდა“.¹

ს წ ა ვ ლ ა დ ნ ბ

ვითარმედ, ჭერ-არს წიგნისკითხვასა შინა და ეკლესიასა მისწრაფებაჲ

ხოლო უკუეთუ ესრეთ გამოვეძიებდეთ წერილთა გამოწულილვით და არა ლიტონად, შეუძლოთ პოვნად ცხორებაჲ სულთა ჩუენთაჲ, უკუეთუ მარადის ვისმენდეთ სიტყუათა წერილისათა, ესრეთ მოვიგოთ სიმტკიცეცა მართლისა სარწმუნოებისაჲ და ცხორებაჲ კეთილი. დაღაცათუ ფრიად ფიცხელ იყოს და მოუდრეკელ და არარას ნაყოფსა გამოიღებდეს სხუათა მათ ჟამთა, არამედ ჟამსა მას წიგნთა საღმრთოთა სმენისასა უეჭუელად გამოიღოს ნაყოფი და მოიღოს სარგებელი რაჲმე სულისაჲ, რომელმანმე — ფრიად და რომელმანმე — მცირედ, გარნა ყოველნივე მიიღებენ, რამეთუ, უკუეთუ ვინ სულნელთა სავაჭროთა თანაწარჰქედბოდის, ანუ ჯდეს მახლობელად მისა, უნდეს, თუ არა, იყნოსებს იგი ესევითართა მათ სულნელთაგან. არა უფროსად მიიღოსა სულნელებისა სულიერისა ყნოსაჲ, რომელი ეკლესიას მივიდოდის? რამეთუ ვითარცა უღებებისაგან უღებებაჲ იშვების, ეგრეთვე მოსწრაფებისაგან მოსწრაფებაჲ.

ამისათჳს უკუე გეტყჳ, დაღაცათუ ბევრეულითა ბოროტითა სავსე იყო და არაწმიდა, ნუ ივლტი ეკლესიად მისლვისაგან, ხოლო უკუეთუ ვინ იტყოდის, ვითარმედ: „რაჲ სარგებელ არს მისლვაჲ მუნ და სმენაჲ სიტყუათა წერილისათა, უკუეთუ ვიქმოდო არას სიტყუათა მათგან?“ არამედ მე ვიტყჳ, ვითარმედ არამცირედი სარგებელი არს ბრალობაჲ თავისა თჳსისაჲ, არა უჯმარი არს ესე შიში, არა უსარგებლო

¹ შდრ. იოან. 13,26

არს ესე ძრწოლად, უკუეთუ ოდენ ისმენდე სიტყუათა მათ
 წერილისათა და სულთ-ითქუმიდე და აბრალეზდე თავსა შენ-
 სა და იტყოდი, ვითარმედ: „ვითარ, ესერა, მარადის მესმიან
 სიტყუანი ღმრთისანი და არაოდეს ვიქმ მათ“. და რაჟამს
 ესე ვითარითა გულისსიტყუთა იყოფოდი, უწყოდე, ვითარმედ
 ოდესმე ქმნასაცა საღმრთოთა სიტყუათასა მოსლვად ხარ,
 რამეთუ არა შესაძლებელ არს, თუმცა კაცი ღმერთსა ჰზრახ-
 ვიდა და ღმრთისა მიერმცა თქუმულთა სიტყუათა ისმენდა
 და არამცა ერგო. რამეთუ რაჟამს წიგნსა კელთა ოდენ აღვი-
 ლებდეთ, მუნქუესვე განვეკრძალვით და კელთა დავიბანთ.
 ჰხედავა, რაოდენი კრძალულება იქმნების წიგნის კითხვითა,
 ხოლო უკუეთუ უღრმესადრე ვინებოთ სიტყუათა მათ გუ-
 ლისხმის-ყოფად, ფრიადი სარგებელი მოვილოთ, რამეთუ.
 უკუეთუმცა სულსაცა არაკრძალულებად მოიყვანებდა, არამ-
 ცა დავიბანდით კელთა, და დედაკაცი უკუეთუ თავუბურავი:
 იყოს, მეყსეულად დაიბურავს თავსა, ეგულეზოდის რაჲ მი-
 ლებაჲ წიგნისაჲ კელად, და მამაკაცი, უკუეთუ თავდაბურულ:
 იყოს, მოიჯდის საბურველსა და განიშიშულეზს თავსა. ჰხე-
 დავა, ვითარ ქადაგ იქმნების შინაგანისა მის კრძალულებისა
 გარეგანი იგი სახმ? და მერმე და-რაჲ-ჯდის სმენად, ანუ
 კითხვად, მრავალგზის სულთ-ითქუნის და აბრალის ამაოსა
 ამას ცხორებასა. ვისმენდეთ უკუე სიტყუათა წერილისათა, მ,
 საყუარელნო, დაღაცათუ სხვსა წიგნისა მიმართ განვეგრილ-
 დეთ, არამედ სახარებასა ვისმენდეთ და ზედაჲსზედა ვიკითხ-
 ვიდეთ მას, რამეთუ მეყსეულად გან-რაჲ-ალო წიგნი, იხილო
 მუნ შინა სახელი ქრისტესი დაწერილი და გესმეს მეყსეუ-
 ლად იტყოდის რაჲ, ვითარმედ: „იესუ ქრისტეს შობაჲ ესრეთ
 იყო, რამეთუ თხოვილ იყო დედაჲ მისი მარიამ, და იპოვა იგი
 მიდგომილ სულისაგან წმიდისა“.¹ და რომელსა ესე ესმეს,
 არა სურვიელ იქმნება ქალწულებისათჳს მეყსეულად და დაუკ-
 რდეს შობაჲ იგი მაღალი და აღმაღლდეს ქუეყანისაგან? და
 არა მცირედ არიან ესე ყოველნი საქმენი, რაჟამს იხილო, ვი-
 თარ სული წმიდაჲ მოვიდა ქალწულსა ზედა, და ვითარ ანგე-
 ლოზი ეტყოდა მას და ესე სცნა ყოველივე მცირედითა ოდენ

¹ მათ. 1,18

შთახედვითა; უკუეთუ აღმოიკითხო ყოველივე ვიდრე აღსას-
რულადმდე, მაშინ შეურაცხ-პყო ყოველივე ამომსა ამის სოფ-
ლისა საქმს, ყოველი სოფელი განჰკიცხო; უკუეთუ მდიდარ
იყო, არად შეჰრაცხო სიმდიდრს იგი, გესმეს რაჲ, ვითარმედ:
რომელი-იგი ხურომსა და გლახაკისა სახლსა შინა იყო,
დედა უფლისა და მეუფისა შენისა და ყოველთა დაბადებულ-
თამსა იქმნა. და უკუეთუ გლახაკი იყო, არავე გრცხუენეს
სიგლახაკისა მისთვის შენისა, სცნა რაჲ, ვითარმედ უნდოსა
მას საყოფელსა შინა არა სირცხულ-იჩინა ყოფად შემოქმედ-
მან მან ყოველთამან. ამას ყოველსა რაჲ იგონებდე, არა ან-
გაპარ იქმნე, არცა მტაცებელ, არცა მომხუეჰელ მეორისა მო-
ნაგებთა, არამედ უფრომსად შეიყუარო სიგლახაკს და შე-
ურაცხ-პყო სიმდიდრს. ხოლო რაჲამს ესე ყოველი წარჰმარ-
თო, მაშინ ყოველნივე ბორბოტნი წარიბოტნე, კუალად, რაჲამს
იხილო იგი ბაგასა შინა მწოლარს, არლარა ინებო ოქრომთა
და ვეცხლითა შეილთა შენთა შემკობად და განერე ანგაპრე-
ბათა მათ, რომელნი ამის საქმისათჳს მოიწევიან შენ ზედა.
ფრიადი სხუადცა იპოვოს სარგებელი, რომელსა ვერ ძალ-
ძიცი აწ თითოეულად თქუმად, არამედ ცნან, რომელნი გამოი-
ცადნენ მას შინა. ამისთვის უკუე გევედრები, რაჲთა მოვიგებ-
დეთ წიგნთა და მათგან გულისხმის-ყოფასაცა, რაჲთა გუ-
ლისხმა-ვპყოფდეთ სიტყუათა მათ და დავსწერდეთ მათ გო-
ნებათა შინა ჩუენთა, რამეთუ ჯერ-არს გულთა შინა ჩუენთა
დამტკიცებად სიტყუათა მათ, რაჲთა შეუძლოთ ესრეთ ცხო-
რებისა ამის ჩუენისა წმიდა-ყოფად და ღირს-ვიქმნნეთ საუ-
კუნეთა მათ კეთილთა, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი
მიმთხუევეად მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამა-
სა ჰშუენის დიდებამ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და
უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ნ ე

ს ი ტ ყ უ ა ჯ ე ს ე: ეტყოდა იესუ მორწმუნეთა მისთა
ჰურიათა: „უკუეთუ თქუნ დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა,

კემშარიტად ჩემნი მოწაფენი ხართ და სცნათ კემშარიტი და
 კემშარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (8, 31, 32).
 თ ა რ გ მ ა ნ ი: ფრიადი მოთმინებაა გვგმს ჩუენ, საყუა-
 რელნო. ხოლო მოთმინებაა მაშინ იქმნების, რაჟამს სწავლანი
 იგი საღმრთონი ძირმტკიცედ დანერგულ იყვნენ გონებათა
 შინა. ჩუენტა და, ვითარცა ხესა დიდსა, მაგრიად განმტკიცე-
 ბულსა ძირითა თვისთა, არცა ერთი ქარი შემძლებელ არს
 აღმოფხურად, ეგრეთვე სულსა, შემშქუალულსა შიშსა
 ღმრთისასა, ვერარაჲ შემძლებელ არს მიდრეკად, რამეთუ
 ძირთა დაბმისა შემშქუალვამ უმტკიცეს არს, ამისთვისცა
 ილოცვიდა წინამწარმეტყუელი და იტყოდა: „შემშქუალენ
 შიშსა შენსა კორცნი ჩემნი“,¹ ეგრეთვე უკუე შენცა შექმშ-
 ქუალენ, ვითარცა სამშქუალითა დამშქუალულნი. რამეთუ
 ვითარცა შემშქუალული შიშსა ღმრთისასა მიუდრეკელ არს,
 ეგრეთვე შეუმშქუალველი ადრე წარსატაცებელ არს და
 ადვილად, ვითარცა-იგი იყვნეს ჰურიანი, რამეთუ ესმა რაჲ
 და ჰრწმენა სიტყუათა უფლისათაჲ, კუალად ურწმუნო: იქმ-
 ნნეს, ხოლო ქრისტესა ენება, რაჲთამცა დაამტკიცა სარწმუ-
 ხობაჲ მათ შორის, რაჲთამცა არა უძლურ იყო და არარა.
 ამისთვისცა ველ-ჰყოფს უმტკივნესითა სიტყუთა სულთა მათ
 მათთა სარწმუნობასა ზედა დამტკიცებად. და უკუეთუმცა
 მორწმუნენი იყვნეს კემშარიტნი, თავს-იდებდესმცა მხილე-
 ბასა მას, ხოლო იგინი უმეტესად განფიცხნეს და ველურ
 იქმნნეს, არამედ იხილე, ვითარ ეტყოდა უფალი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: პირველად ამცნებს და იტყვის: „უკუეთუ
 თქუენ დაადგრეთ სიტყუასა ჩემთა, კემშარიტად ჩემნი მო-
 წაფენი ხართ და სცნათ კემშარიტი და კემშარიტებამან გან-
 გათავისუფლნეს თქუენ“ (8,31). თ ა რ გ მ ა ნ ი: ვითარმცა
 ეტყოდა, ვითარმედ: „მეგულების კურნებაჲ წყლულებისა
 სულთა თქუენტაჲსაჲ, არამედ ნუ შესძრწუნდებით“, და
 უფრომსად სიტყუათა ამათ მიერ ამპარტავანებასა მას სულ-
 თა მათთასა დააცხრობდა. ხოლო რაჲსათვის განათავისუფ-
 ლებდა მათ ცოდვათაგან? გარნა ისმინე სიტყუამ მათ ამპარ-
 ტავანთაჲ, რომელსა იტყოდეს: „ნათესავნი აბრაჰამისნი

¹ ფსალმ. 118,120

ვართ ჩუენ და არავის ვჰმონებდით¹.¹ დაეცა მეყსეულად გონებაჲ მათი ამჰარტავანებისა მისგან. თავადი ეტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუ დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა“, რამეთუ გამოუცხადებდა ზრახვათა გულისა მათისათა, ვითარმედ და-
ლაცათუ ჰრწმენა, არამედ არა დაადგრეს სიტყუათა მისთა და აღთქუმათა მათ დიდი იგი საქმჳ, რომელ არს მოწაფე მისა ყოფაჲ. რამეთუ პირველცა ვიეთნიმე განეშორნეს მას და ამისთვის ეტყუს მათ, ვითარმედ: „უკუეთუ თქუნ დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა, იყვნეთ მოწაფე ჩემდა, რამეთუ მათცა ჰრწმენა, არამედ ვინაჲთგან არა დაადგრეს სიტყუათა ჩემთა, ამისთვის განმეშოვრნეს“, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნეჲცეს და არლარა მის თანა ვილოდეს“.²

ს ა ხ ა რ ე ბ ა ჲ : „სცნათ ჭეშმარიტი“ (8,32). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ მიცნათ მე, რამეთუ მე ვარ ჭეშმარიტებაჲ. და ყოველივე საქმჳ ჰურიათაჲ სახე იყო, ხოლო ჭეშმარიტებაჲ ჩემგან სცნათ და განგათავისუფლნეს ჭეშმარიტებამან ცოდვათაგან, რამეთუ ვითარცა სხუათა მათ ეტყოდა, ვითარმედ, „ცოდვათა შინა თქუენთა მოსწყდეთ“, ეგრეთვე. ამათ ეტყუს, ვითარმედ „განგათავისუფლნეს თქუენ“, ხოლო ისმინე, რასა იგინი იტყოდეს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ჲ : „ნათესავნი აბრაჰამისნი ვართ და არავის ვჰმონებდითო“ (8,33). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და უკუეთუ განრისხე-
ბაჲ ჯერ-იყომცა, პირველსა მას სიტყუასა ზედამცა განრის-
ხებულ იყვნეს, რომელ ჰრქუა, თუ: „ჭეშმარიტი სცნათ“ და ეთქუამცა, ვითარმედ: „აწ არა ვიცითა ჭეშმარიტი, ანუ შჯუ-
ლი ტყუვილ არსა და გულისხმის-ყოფაჲ ესე ჩუენი?“ გარნა არაჲაჲ ეურვებოდა მათ ამისგანი, არამედ სოფლისა საქმე-
თათუს ელმოდა, რაჲამს მონებაჲ ესმა, რამეთუ არიან აწცა მრავალნი, რომელთა მონებისათუს კაცთაჲსა ჰრცხუენის, ხო-
ლო მონა თუ იყვნენ ცოდვისა, არა სირცხულ-უჩნს იგი და აღურჩევიეს, რაჲათამცა ბევრეულგზის იჰმნნესმცა მონა ცოდ-
ვათა, ვიღრელა ერთგზის მონა კაცთა. ესე ვითარნი იყვნეს

¹ იოან. 8,33

² იოან. 6,66

იგინიცა და არა იცოდეს, თუ არსლა ღმრთისა სხუამცა მონებაჲ, გარნა კაცობრივი ესე ოდენ მონებაჲ და იტყოდეს, ვითარმედ: მონად სახელ-გუდება ნათესავთა ამათ აბრაჰამისთა, რომელნი-ესე აზნაურ ვართ? და არა ჯერ-იყო, რამეთუცა მონა გვწოდე, რამეთუ არასადა დამონებულ ვართ. ესე-ვითარნი იყვნეს სიქადულნი იგი ჰურიათანი, ვითარმედ „ნათესავნი ვართ აბრაჰამისნი“, ვითარმედ: „ისრაიტელნი ვართ“, და სათნობათა და საქმეთა კეთილთა არასადა აცსენებდეს. ამისთვისცა იოვანე ეტყოდა მათ: „ნუ იტყვთ; თუ მამამ გვვის აბრაჰამ“.¹ ხოლო რამათს არა ამხილა მათ უფალმან სიტყუსა მისთვის, რომელ თქუეს, თუ „არასადა ვის ვჰმონებდით“, რამეთუ მრავალგზის ჰმონეს მათ მეგვებელთა და ბაბილოვნელთა და სხუათა მრავალთა? ამისთვის, რამეთუ იგი არა კაცობრივისა მონებისათს იტყოდა, არამედ ცხორებისათს მათისა, თუ არა ეთქუამცა ოთხასი იგი წელი და კუალად სამეოცდაათი, და კუალად მსაჯულთა ზე რამ-იგი მოიწია მათ ზედა, ოდესმე ოც წელ, და ოდესმე — შუდ წელ, და ოდესმე — ორ წელ და ვითარ-იგი არაოდეს დასცხრეს მონებისაგან. არამედ თავადისა მოსწრაფებაჲ არა ესე იყო, რამეთუცა გამოირჩინნა იგინი, ვითარმედ კაცთა მონა იქმნეს, არამედ ესე იყო მოსწრაფებაჲ მისი, რამეთუცა უჩუენა, ვითარმედ მონა ცოდვისა არიან, რომელ-იგი არს ბოროტი მონებაჲ, რომლისაგან ღმერთსა მხოლოსა ძალ-უცქსნამ და არა კაცსა, რამეთუ შენდობაჲ ცოდვათაჲ სხესა არავისი არს, გარნა მხოლოესა ღმრთისაჲ და ამას იგინიცა აღიარებდეს. და ვინაჲთგან ამას იგინიცა აღიარებდეს, ვითარმედ ღმრთისა საქმე არს შენდობაჲ ცოდვათაჲ, ამისთვის ესე ჰრქუა მათ, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ყოველმან, რომელმან ჰმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს ცოდვისაჲ“ (8,34). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუცა უჩუენა, ვითარმედ ამის თავისუფლებისათს ეტყოდა მათ, რომელი ესევეითარისა მონებისაგან იქმნების, ამისთვის ჰრქუა მათ, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „მონაჲ არასადა დაადგრეს სახლსა შინა

¹ მათ. 3,9

უკუნისამდე, ხოლო ძმ დაადგრეს უკუნისამდე“ (8,35). თ ა რ-
 გ მ ა ნ ი: აჰა, ესერა, მცირედ-მცირედ შჯულისა მიერცა
 დაამდაბლებს და მოასწავებს პირველთა მათ ჟამთა, რადთა
 არა იტყოდინან, ვითარმედ: „მსხუერპლთა შევსწირავთ, რომ-
 ძელნი მიბრძანნა მოსე და ივინი შემძლებელ არიან კსნად
 ჩუენდა“. ამისთვის შესძინა სიტყუაჲ ესე, რამეთუ „ყოველ-
 თავე ცოდეს და დაკლებულ იქმნეს დიდებასა ღმრთისასა,
 არამედ განმართლდებიან უსასყიდლოდ“¹ და თვთ მღდელ-
 ნიცა. ამისთვისცა მოციქული პავლე იტყუს მღდელისათეს,
 ვითარმედ: „თანა-აც პირველად შეწირვად თავისა თვისისათეს,
 ვითარცა-იგი ერისათეს, ვინაჲთგან მასცა თანა-აც უძლუ-
 რებაჲ“.² და ამას მოასწავებს სიტყუსა მის მიერ, რომელი
 თქუა, ვითარმედ: „მონაჲ არასადა დაადგრეს სახლსა შინა“.
 და ამას ადგილსა სწორებასაცა თვისსა მამისა თანა გამოაჩი-
 ნებს და განყოფილებასა მას მონისა და აზნაურისასა, რამეთუ
 იგავი ესე ამისი სახე არს, ესე იგი არს, ვითარმედ „არა-
 აქუს ჯელმწიფებაჲ“, რამეთუ ესე არს, თუ: „არა დაადგ-
 რესო“.

ხოლო რაჲ არს, რომელ ცოდვათათეს რაჲ იტყოდა, სახლი
 ავსენა? ამისთვის, რადთა უჩუენოს, ვითარმედ, ვითარცა სახლ-
 სა ზედა აქუს სახლისა უფალსა ჯელმწიფებაჲ, ეგრეთვე მას
 აქუს ყოველთა ზედა დაბადებულთა, ხოლო თუ: „არა დაად-
 გრესო“, ესე იგი არს, ვითარმედ არა აქუს ჯელმწიფებაჲ მი-
 ხიკებისაჲ, რომელი-იგი არა სახლისა უფალი იყოს, ხო-
 ლო ძმ სახლისა უფალი არს, რამეთუ ესე არს, თუ: „უკუნი-
 სამდე დაადგრესო“, და რადთა ვერ ეტყოდინან, თუ: „შემ
 ვინ ხარო?“ ამისთვის კაცობრივთა მიერ საქმეთა უჩუენა მათ,
 ვითარმედ: „ჩემი არს ყოველივე, რამეთუ მე ვარო და სახლ-
 სა შინა მამისასა დადგრომილ ვარ“, ხოლო სახლად მამისა
 სახელ-სდებს ჯელმწიფებასა და მთავრობასა. ამისთვის ეტ-
 ყოდა, ვითარმედ: „სახლსა მამისა ჩემისასა მრავალ სავანე
 არიან“,³ რამეთუ, ვინაჲთგან მონებოსა და განთავისუფლები-
 სათეს იყო სიტყუაჲ მისი, ამისთვის სამართლად ესევითარნი

¹ რომ. 3,23-24

² ებრ. 5,3-2

³ იოან. 14,2

სიტყუანი იქმარნა, რადთა უჩუენოს, ვითარმედ ვერვის კელ-
ეწიფებოდა განთავისუფლებამ და შენდობამ ცოდვათა მათ-
თამ. ამისთვის ჰრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს
თქუენ“ (8,36). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხელავე, ერთობასა ამას მის-
სა და მამისასა ვითარ გამოაჩინებს? ვითარმედ იგივე კელმ-
წიფებამ აქუს მას, ვითარი აქუს მამასა, და ესე იგი არს, ვი-
თარმედ: „უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს თქუენ“, არ-
ლარა ვინ იყოს, რომელმანცა სიტყუამ გიგო, არამედ გაქუნ-
დეს მტკიცედ თავისუფლებამ იგი, რამეთუ „უკუეთუ ღმერ-
თი არს განმანათლებელ, ვინ არს დამშჯელო?“ ხოლო უჩუ-
ენებს აქა, ვითარმედ ძალ-უც ცოდვისაგან განწმედად მათი
და განთავისუფლებამ. და ვითარმედ უზეშთაეს არს ესე თა-
ვისუფლებამ, ვიდრელა ჯორციელი, რამეთუ ჯორციელსა თა-
ვისუფლებასა კაცნიცა მისცემენ, ხოლო ესე მხოლომსა
ღმრთისამ არს. და ამისთვის ასწავლის, რადთა არა ჯორციე-
ლისა მონებისათს ჰრცხუენოდის მათ, არამედ უფრომსად
მონებისათს ცოდვათამსა სირცხვლეულ იყვნენ და რად-
თამცა უჩუენა, ვითარმედ, უკუეთუ მონებისაგან ცოდვათამ-
სა განთავისუფლდენ, არლარა მონა არიან და გულისხმა-
უყოფდა, ვითარმედ ჭერეთ მონებასა შინა არიან, სიტყუთა
ბით, რომელ თქუა, ვითარმედ: „თავისუფალ იყვნეთ“, რამე-
თუ მოასწავებს სიტყუამ ესე, ვითარმედ იგი თავისუფლებამ,
რომელი აქუს, არა ჭეშმარიტი არს. და მერმე რადთამცა ვერ
იტყოდეს, ვითარმედ ცოდვამ არა გუაქუს, რამეთუ მათისა
მის უგულისხმოებისაგან არა საკვრველ იყო ამის თქუმამ.
ამისთვის იხილე, ვითარ უჩუენებს ცოდვასა მათსა, რამეთუ
დაუტევნა სხუანი იგი საქმენი მათნი, რადთამცა მათთვის ამ-
ხილა და უთხრა იგი ოდენ, რომელი მას ჟამსა აქუნდა მათ
და ენება ქმნამ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ვიცი, რამეთუ ნათესავნი აბრაჰამისნი
ხართ, არამედ მეძიებთ მე მოკლვად“ (8,37). **თ ა რ გ მ ა ნ ი :**
ჰხელავე, ვითარ კელოვნებით განიყვანებს მათ აბრაჰამის
ნათესავობისაგან, რადთა არა ზუაობდენ მას ზედა ამოდ, და
უჩუენებს, ვითარმედ, ვითარცა მონებამ და აზნაურებამ საქ-
მეთაგან არს, ეგრეთვე ნათესაობამ, და არა ჰრქუა მათ მეყ-

სეულად, ვითარმედ: „არა ხართ თქვენ ნათესავნი აბრაჰამისნი, კაცისმკლველნი ეგე, მართლისა მის კაცისა“, არამედ ჯერეთ ეწამების და იტყუს: „ვიცი, ვითარმედ ნათესავნი აბრაჰამისნი ხართ, არამედ არავინ ეძიებს მაგას თქუენგანი, თუ ნათესავნი აბრაჰამისნი ხართ“. და პერმე უმტკივნესთარე სიტყუათა ეტყუს მათ, ვითარმედ: „მეძიებთ მე მოკლვად“. ხოლო კუალად რამთამცა ვერ შეუძლეს თქუმად, თუ: „რამ არს, უკუეთუ სამართლად გეძიებთ შენ მოკლვად?“ ამისთვის მიზნისა ეტყუს მათ, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „სიტყუამ ჩემი არა დაეტევის თქუენ შორის“ (8,37). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ვითარ უკუე თქუმულ არს, ვითარმედ: „პრწმენა მისი“, გარნა ვითარცა ვთქუე: „პრწმენა და კუალად გარდაიქცეს სარწმუნოებისაგან“. ამისთვისცა ფრიად შეეხო მათ სიტყუამ ესე, რამეთუ ეტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუ ნათესაობისა მისისათვის იქადით, საქმეთაცა მისთაცა ჯერ-არს ქმნამ“, და არა პრქუა, თუ: „სიტყუასა ჩემსა არა დაიმარხავთ“, არამედ: „სიტყუამ ჩემი არა დაეტევის თქუენ შორისო“, რამეთუ სიმაღლესა მას სწავლათა მისთასა მოასწავებდა და ამისთვის რად უკმდა მათ მოკლვამ მისი? რამეთუ უფრომსად თანა-ედვა თაყუანის-ცემამ და პატივის-ცემამ, რამთამცა უთხრნა სიტყუანი თვისნი განცხადებულად, არამედ ბოროტებისა და უკეთურებისა მათისათვის ესრეთ იქმოდეს ბოროტსა კეთილისა წილ. და აქაცა უკუე ენება თქუმად, ვითარმედ: „შენ სიტყუათა მათ თავით შენით იტყუ, რად სავმარ არს მათი ცნობამ?“ ამისთვის შესძინა უფალმან და თქუა, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „მე, რამ-იგი ვიხილე მამისაგან ჩემისა, მას ვიტყუ, და თქუენ, რამ ვასმიეს მამისა თქუენისაგან, მას იქმთ“ (8,38). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ესე იგი არს: ვითარცა მე სიტყუათა მიერ და ჭეშმარიტებისა მიერ გამოვჩინებ მაჲ მასა ჩემსა, ეგრეთვე თქუენ საქმეთა მიერ აჩუენებთ მამასა თქუენსა. რამეთუ მე არა თუ არსებამ ოდენ იგივე მაქუს, რომელი მამასა აქუს, არამედ ჭეშმარიტებამცა იგივე მაქუს, რომელი მას აქუს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: პრქუეს მას ჰურიათა: „ჩუენ მამამ გუვის აბრაჰამი“. პრქუა მათ იესუ: „უკუეთუმცა მამამ იყო თქუენი

აბრაჰამი, საქმეთამცა მისთა იქმოდეთ, ხოლო აწ მეძიებთ მე მოკლვად“ (8,39). **თარგმანი:** ამას ადგილსა ზედამსზედა აკსენებს მკლველობისმოყუარესა მას ნებასა მათსა და აბრაჰამსცა აკსენებს, რაითამცა უჩუენა, ვითარმედ მოსოლ არიან ნათესავობისაგან მისისა, და რაითამცა ამოად იგი სჯადული მათი აღმოჭვხურა და დაარწმუნა, რაითამცა არღარა აქუნდა სასოებად ცხორებისად კორციელისა ნათესავობისა მისისა მიმართ, არამედ საქმითა ნათესავობასა ეძიებდენ, რამეთუ ესე საქმე იყო, რომელი აყენებდა მათ მოსლვად ქრისტესა. რომელ-იგი ჰგონებდეს, ვითარმედ აბრაჰამის ნათესავობად ოდენ კმა არს მათდა საცხორებელად. ხოლო რომელსა ჰეშმარითებასა იტყუს აქა, ვითარმედ: „მეძიებთ მე მოკლვად, კაცსა, რომელი ჰეშმარაუბასა გეტყოდე თქუენ, რომელი მესმა მამისაგან“,¹ ესე არს უკუე ჰეშმარითებად, რომლისათჳს ეძიებდეს მას მოკლვად, რომელი იტყოდა, ვითარმედ: „სწორ ვარ მამისა თანა“, და ამისთჳს ეტყუს აქა, ვითარმედ არა წინააღმდეგომ არს სიტყუად ესე მამისა, არამედ ნებად არს მისი ამას ზედა.

სახარებად: ჰრქუეს მას: „ჩუენ სიძვით არა შობილ ვართ, ერთი მამად ვიცით — ღმერთი“ (8,41). **თარგმანი:** ვინაითგან ნათესავობისაგან აბრაჰამისა უცხო-ყვნა იგინი და არარად აქუნდა სიტყუად, აწ უზეშთაესსა საქმესა შეჰკადრეს, და ღმერთსა უწოდეს მამად მათა, რომელნი-იგი ქრისტეს ეძიებდეს მოკლვად, რამეთუ ღმერთსა მამად იტყოდა თავისა თჳსისა ჰეშმარითებით, არამედ უფალმან ამისცა საქმისაგან უცხო-ყვნა იგინი და ჰრქუა:

სახარებად: „უკუეთუმცა ღმერთი მამად იყო თქუენი, გიუუარდიმცა მე, რამეთუ მე ღმრთისაგან გამოვედ და მოსრულ ვარ, და არა თავით ჩემით მოსრულ ვარ, არამედ მან მომავლინა მე. რადსათჳს სიტყუანი ჩემნი არა იცნით დევრცა ძალ-გიც სიტყუათა ჩემთა სმენად? თქუენ მამისა თქუენისა ეშმაკისაგანნი ხართ და გულისთქუმად მამისა თქუენისა გნებავს ყოფად, რამეთუ იგი კაცისმკლველი არს დასაბამითგან, და ჰეშმარითებასა არა დაადგრა, რამეთუ ჰეშმა-

¹ იოან. 8,40

რიტებაჲ არა არს მის თანა. ოდეს-იგი იტყუნ ტყუვილსა-
 თვისისა გულისაგან იტყუნ.“ (8,40-42). **თარგმანი:** პირ-
 ველ უცხო-ყვნა იგინი თვსებრსაგან აბრაჰამისა და ვინაჲოგან
 მათ უხეშთაესი იკადრეს თქუმაღ, მაშინ მოაწია მათ ზედა
 წყლულებაჲ სიტყუათაჲ და უჩუენა, ვითარმედ არა თუ ოდენ
 აბრაჰამსნა არა არიან, არამედ ეშმაკისანიცა არიან, და ვი-
 ხაჲოგან მათ ურცხვნოებით ღმერთსა მამად თვსა უწოდეს,
 ამისთვის თავადმანცა შემსგავსებული მათისა ურცხვნოებისა
 მხილებისა წყლულებაჲ მოაწია მათ ზედა და არცა უწამებე-
 ლად დაუტევა მხილებაჲ თვსი, არამედ საქმეთაგან შესწამებ-
 და მათ და უჩუენა, ვითარმედ კაცისმკლველობაჲ ეშმაკისა
 საქმე არს და არა თქუა, თუ: „საქმეთა“ ოდენ, არამედ: „გუ-
 ლისთქუმათაცა ეშმაკისათა გნებავს ყოფაჲ“, რაჲთამცა უჩუ-
 ენა, ვითარმედ ყოვლითა მოსწრაფებითა მოსწრაფე არიან
 იგინი, ვითარცა ეშმაკივე კაცის-კლვად და ვითარმედ შური
 იყო მიზეზი ამის ყოვლისაჲ, რამეთუ მასცა არარაჲ აქუნდა
 სიტყუაჲ, თუმცა რაჲმე ევნო მისდა ადამს, არამედ ოდენ შუ-
 რისათვს უყო, რაჲ-იგი უყო. და ამასვე მოასწავებს აქაცა,
 ვითარმედ „შემსგავსებულად მისა იქმთ თქუენცაო“.

სახარებაჲ: და ჭეშმარიტებასა არა დაადგრა (8,44).
თარგმანი: ვინაჲოგან ზედადსზედა შეასმენდეს მას და
 იტყოდეს, ვითარმედ: „არა ღმერთისა მიერ არსო“, ამისთვის
 ეტყუს მათ: „ეგეცა ზრახვაჲ ეშმაკისაჲ მის, რამეთუ მან წვა
 ტყუვილი პირველ და თქუა, ვითარმედ: „რომელსაცა დღესა
 შკამოთ ძელისა მისგან, განგეხუნენ თუალნი თქუენნი“.1 ამან
 იქმარა ტყუვილი პირველვე, რამეთუ კაცი არა ვითარცა
 თვსსა საქმესა იქმან, რაჲამს ტყუოდიან, არამედ, რაჲამს
 იგი ტყუოდის, თვსსა საქმესა იქმს.

სახარებაჲ: „ხოლო მე ჭეშმარიტსა გეტყუ თქუენ და
 არა გრწამს ჩემი“ (8,45). **თარგმანი:** რაჲ არს საქმე ესე,
 თვნიერ მიზეზისა მოკლვაჲ ჩემი გნებავს, რამეთუ ვინაჲოგან
 მტერნი ხართ ჭეშმარიტებისანი, ამისთვის მღევნით მე. თუ არა,
 მითხართ მე აუგი ჩემი. რამეთუ ამისთვის თქუა, ვითარმედ:
 „ვინ თქუენგანმან მამხილოს მე ცოდვისათვს?“2 ხოლო იგინი

1 დაბ. 3,5

2 იოან. 8,46

იტყოდეს: „ჩუენ სიძვისაგან არა შობილ ვართ“, და ვითარ? რამეთუ მრავალნი სიძვისაგან შობილ იყვნეს, რამეთუ არა იქმოდეს ჭეროვანთა ქორწინებათა, გარნა თავადმან ესეცა არა ამხილა, არამედ ერთსა მას სიტყუასა ზედა ეგო, რამეთუ ვინაფთგან გამოაჩინა, ვითარმედ არა ღმრთისაგანნი იყვნეს, არამედ ეშმაკისაგანნი საქმეთა მათთათჳს, რამეთუ კაცისა-მკლველობად ეშმაკისაგანი არს და ტყუვილი ეშმაკისაგანივე არს, რომელსა იგინი იქმოდეს ორსავე, და უჩუენა, ვითარ-მედ: „ვინაფთგან ესე საქმენი გიპყრიან, არა ღმრთისანი ხართ“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რამათჳს სიტყუანი ჩემნი არა იცნით?“ (8,46). თ ა რ გ მ ა ნ ი : რამეთუ ვინაფთგან მარადის განკუ-რვებულ იყვნეს და იტყოდეს: „ვინ არს ესე, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „სადა მე წარვალ, თქუენ ვერ ძალ-გიც მოსლ-ვად“?¹ ამისთჳს ეტყჳს, ვითარმედ: „არა იცნით სიტყუანი ჩემნი და ამისთჳს არა იცნით, რამეთუ სიტყუად ღმრთისაჲ არა გაქჳს“, ხოლო ესე ამისთჳს არს, რამეთუ განგებაჲ თქუენი კუალად შემშჳქუალულ არს ქუეყანისადა და ჩემნი ესე სიტყუანი მალალნი არიან და, ვინაფთგან თქუენნი სულნი ბოროტთაგან შეიწრებულ არიან, ამისთჳს არა დაეტევის ჩემ-თა სიტყუათა სიმაღლჳს თქუენ შორის. ხოლო უკუეთუ ვინ თქუას, ვითარმედ: „უკუეთუ ვერ ძალ-ვდვა გულისხმის-ყოფად სიტყუათა მისთაჲ, რამდცა ყვეს?“ არამედ აქა შეუძ-ლებელობად არანებებასა უწესს, ესე იგი არს, ვითარმედ: „თქუენ ნებსით თქუენით უგუნურ-ჰყვენით თავნი თქუენნი და ვერარამსა გულისხმის-ყოფელ“, რამეთუ ვინაფთგან იგინი სდევნიდეს მას და იტყოდეს, ვითარმედ: „ღმერთ გუყუარს და ამისთჳს ვსდევნით“, ამისთჳს თავადმან უჩუენა, ვითარმედ დევნაჲ მისი მოძულეთა ღმრთისათაჲ არს, ხოლო მოყუარეთა მისთაჲ არს სარწმუნოებაჲ მისი, რამეთუ არა თუ არასარწმუნოებაჲ თქუენიო ჩემისა მამისაგან უცხოებისა სას-წაული არს, ვითარმედ არა იცით თქუენ ღმერთი, არამედ ნე-ბასა ეშმაკისასა იქმთ და ხართ სრულიად ჳორც და გულის-

¹ იოან. 8,22

თქმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად და ისწრაფით მას ზედა.

ჰხედავა, ვითარ შეუძლებლობად არანებასა იტყვს, რამეთუ აბრაჰამ ესე არა ქმნა,¹ არამედ მისნა საქმენი არიან სიწრაფობაჲ, სიმშუდჴ, სახიერებაჲ, ხოლო თქუენ ხარ ფიცხელ და ველურ, ხოლო რაჲსათვს თქუეს, თუ: „ერთი მამად ვიცით — ღმერთი?“ ამისთვის, რამეთუ ვინაჲთგან მან განყარხა აბრაჰამის თვისებისაგან და უჩუენა კაცისმკლველობაჲ მათი. მაშინ მათ ღმერთსა სახელ-სდევს მამად მათა, ესე ამისთვის, რაჲთამცა ესრეთ გამოაჩინეს, თუ ჩუენ სიყუარულისათვს ღმრთისა გეძიებთ შენ მოკლვად, რამეთუ შურსა ვეძიებთ ღმრთისათვს, ხოლო თავადმან უჩუენა, ვითარმედ თუთ იგი საქმჴ იყო, რომელი განარისხებდა ღმერთსა მათ ზედა. ხოლო რომელ თქუა, თუ: „ღმრთისაგან გამოვედ“, გამოაჩინებს, ვითარმედ მისმიერი არს, ხოლო გამოსლვად ჩუენდა მომართ მოსლვასა იტყვს. და ვინაჲთგან მათ ეგულებოდა თქუმად, ვითარმედ: „უცხოთა საქმეთა იტყვ, თუ: „ღმრთისაგან გამოსრულ ვარ“, ამისთვის ჰრქუა, ვითარმედ: „სამართლად ვერ გულისხმა-ჰყოფთ, არცა ისმენთ სიტყუათა ჩემთა, ვინაჲთგან ეშმაკისაგანნა ხართ, რამეთუ რაჲსათვს მოკლვასა ჩემსა ეძიებთ? რაჲ არს ბრალობაჲ ჩემი? ხოლო უკუეთუ ცთომასა ვერას ჰპოვებთ, რად არა ისმენთ სიტყუათა ჩემთა? ესრეთ უკუე გამოაჩინა ტყუეილისა და კაცისმკლველობისა მათისა მიერ, ვითარმედ ეშმაკისანი არიან და უცხო-ყვნა აბრაჰამისაგანცა და ღმრთისაგანცა, ერთად, რამეთუ სძულდა, რომელსა-იგი არა ევნო მათა, და, კუალად, რამეთუ არა ისმენდეს სიტყუასა მისსა. და გამოაჩინებს ზემო და ქუემო, ვითარმედ არცა იგი წინააღმდეგობი იყო ღმრთისაჲ, არცა იგინი ამისთვის არა ირწმუნებდეს სიტყუათა მისთა, არამედ რამეთუ უცხო იყვნეს ღმრთისაგან. რამეთუ, რომელსა ცოდვაჲ არცა ერთი რაჲ ექმნას და ღმრთისა მიერ მოსრულ იყოს და მის მიერ მოვლინებულ, და ჰქუეშმარტისა იტყოდის, რომელ ჰქუეშმარტებისა მისისა მრავალნი იყვნენ მოწამე, საცნაურ არს, ვითარმედ, რომელნი ესევეთა-

¹ იოან. 8,40

რისასა არა ირწმუნებდენ, ამისთვის არა ირწმუნებენ, რამეთუ ეშმაკისა მიერ და ვნებათა წარტყუნულ არიან. რამეთუ შეძლებულ არიან ცოდვანი დამდაბლებად სულისა უფროდს ყოვლისა საქმისა, ამისთვის ეტყუს, ვითარმედ: „რამეთუ ვიხაივან ესრეთ უღებ და დაქსნილ იქმნენით, რომელთა-ცე ვერ ძალ-გიც შეურაცხ-ყოფად საქმეთა ქუეყანისათა, ვითარ შეუძლოთ თქვენ საქმეთა ზეცისათა სმენად?“

ს წ ა ვ ლ ა მ ე ლ

რამთა მოსწრაფე ვიყვნეთ მოტაცებად სასუფეველსა ცათასა და არა საქმეთა სოფლისათა

ამისთვის გევედრები. საყუარელნო ძმანო, რამთა ვისწრაფოთ ყოვლითა გულითა და სულითა ჩუენთა წარმართებად ცხოვრებისა ჩუენისა კეთილისა მიმართ, რამთა წმიდა იქმნეს გონება ჩუენი, რამთა არარად იყოს შეგინება ჩუენ შორის, რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ განანათლენით თავნი თქუენნი ხათლითა გულისხმის-ყოფისადათა და ნუ დასთესავთ ეკალთა ზედა. რამეთუ, რომელმან არა გულისხმა-ყოს, ვითარმედ ანგაპრებად ბოროტ არს, მან ვერ გულისხმა-ყოს უზეშთაესი რამეჲ. რომელი არა განეშოროს ცოდვასა, ოდეს იწყოს მან ქმნად სიმართლესა. კეთილ არს მოტაცებაჲ, არამედ არა წარწყმედადთა ამათ და წარმწყმედელთა საქმეთაჲ, არამედ სასუფეველისა ცათადაჲ. რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ: „მაიძულეებელნი მოიტაცებენ მას“,¹ გარნა არა იქმნების მისი უღებებთა და დაქსნობითა მოგებაჲ, არამედ მოსწრაფებითა ფრიადითა. ხოლო რაჲ არს „მაიძულეებელი?“ ესე იგი არს. რამეთუ იძულებაჲ ჯერ-არს თავთა თვსთაჲ ფრიადი, რამეთუ იწრო არს გზაჲ იგი მუნ მიმყვანებელი და სული უკმს ახოვანო. რამეთუ მტაცებელნი ესწრაფიან, რამთამცა ყოველ-

¹ მათ. 11,12

თა წარუწრეს, არავის მიმართ ზედვენ, არცა ბრალობ-სა მიმართ, არცა შესმენ-სა, არცა ტანჯვისა, არამედ ერთი არს მოსწრაფებამ მათ, რაითამცა მოიტაცეს სასურველი იგი მათი, და ყოველთავე თანაწარკვლებიან. მოვიტაცოთ უკუე სასუფეველი ცათამ, რამეთუ ამის- მოტაცებამ არა საბრა-ლებელ არს, არამედ საქებელ, ხოლო საბრალებელ ამის სოფ-ლისა საქმეთა მოტაცებამ არს. არამედ მისი იგი მოტაცებამ არა ესრეთ არს, რამეთუ მეორისა დაგლახაყებითა იქმნების ჩუენი განმდიდრებამ, ვისწრაფოთ უკუე მოტაცებად მისა, დაღაცათუ გუაქირვებდეს გულისწყრომამ, ანუ თუ გულის-თქუამამ, აღვიძულოთ ჩუენ ბუნებამ ჩუენი, ვიქმნეთ მშუდ და ტკობლ და დავშურეთ მცირედ რამე, რაითა განვისუენოთ უკუნისამდე, ნუ მოიტაცებ ოქროსა, არამედ მოიტაცე სიმ-დიდრჳ იგი, რომელი ოქროსა მწურედ გამოაჩინებს. რამეთუ ძითხარღა. უკუეთუმცა წ-ნაგედვა პრპენი და ოქრომ, რომე-ლიმცა ირჩიე შენ მოტაცებად? არამცა ოქრომ ირჩიეა? ხოლო აქა რამ არს ესე საკრველი, რამეთუ საღა-იგი მომტაცე-ბელი ოქრომსამ იტანჯვის, მუნ ოქროსა ირჩიე, ვინამთგან უპატიოსნეს არს; ხოლო საღა-იგი მომტაცებელი ფრიად იდიდების, არა მოიტაცებ უპატიოსნესსა მას, რამეთუ, დაღა-ცათუმცა საშქელი წინამდებარე იყო ორისათსუვე, აჴამცა იგივე ირჩიეა? ხოლო ვ-ნამთგან ნეტარებამ მოცემად არს მისისა მის მოტაცებისაგან, ამისთვის უდებ ხარა? და უკუეთუ იტყოდი, ვითარმედ: ვითარ იქმნების მოტაცებამ მისი, მე გასწავო შენ: დაუტევენ ამის სოფლისა საქმენი ამაონი, რა-მეთუ ვიდრემდის ეგენი გაქუნდენ. მისი მოტაცებამ შეუძ-ლებელ არს. რამეთუ გულისხმა-ყავ კაცი, რომლისა კელნი სავსე იყენენ ვეცხლითა, ნუუკუე შეუძლოსა,, ვიდრემდის ვეცხლითა მით სავსე იყენენ კელნი მისნი. რაითამცა მოიტაცა ოქრომ, უკუეთუ არა პირველ დააცალიერნეს კელნი მისნი მისგან? რამეთუ მომტაცებელსა უქმს, რაითა იყოს განჯსნილ ყოვლისაგანვე საკრველისა, რაითა შეუძლოს სივლტოლად ძდეუართაგან, რამეთუ აწცა არიან ძალნი წინააღმდეგობნი ჩუენნი, რომელნი გუდევენ, რაითამცა მოიტაცეს კეთილი ჩუენი ნატაცები, არამედ ვივლტოლით მათგან, ვივლტოლით და ნუმცა რამ არს ჩუენ თანა საკრველი სოფლისამ, განვ-

კუთნეთ საბელნი იგი მისნი, შიშუელ ვიქმნეთ ამათა ამათ საქმეთაგან. რაჲ არს სარგებელი ოქროქსოვილთა სამოსელთაგან? ვიდრემდის ვჰმარხავთ ოქროსა? მინდა დაცხრომის ამათ ესევითართა სიტყუათა თქუმისაგან, არამედ თქუნ არა შემინდობთ მე, რამეთუ მარადის მიზეზსა მცემთ მე თქუმად სიტყუათა ამათ, არამედ განვეყენნეთ ესევითარისა ამის ამოებისაგან, მ, საყუარელნო, რაჲთა შეუძლოთ სხუათაცა სწავლად კეთილთა მიერ საქმეთა და ვპოვნეთ საუკუნენი იგი კეთილნი მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებამ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი 6 0

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: არა კეთილად ვთქუთა, ვითარმედ: „სამარიტელ ხარ შენ და ეშმაკი არს შენ თანა?“ მაშინ მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: „ჩემ თანა ეშმაკი არა არს“ (8, 48—49). თ ა რ გ მ ა ნ ი: ურცხვნო არს უკეთურებამ და ფიცხელ და, რაჲამს სარცხვლი ჭერ-იყოს, მაშინ უმეტესად ურცხვნო იქმნებას. რომელი-იგი ჰურიათაცა ზედა მოიწია. რამეთუ ჭერ-იყო, რაჲთამცა ლმობიერქმნილ იყვნეს და განკვრებულ სიტყუათა მათ ზედა და კადნიერებასა ზედა მისსა, ბოლო იგინი აგინებენცა და სამარიტელ სახელ-სდებენ და ეშმაკეულ და იტყვან: „არა კეთილად ვთქუთა, ვითარმედ: „სამარიტელ ხარ შენ და ეშმაკი არს შენ თანა?“ რამეთუ რაჲამს მაღალი რაჲმე სიტყუამ ჰრქუას, სიციოფედ სახელ-სდებენ მას დაბრმობილნი იგი სრულიად, დაღაცათუ არასადა უთქუამს მახარებელსა წინამსჯერ, თუ სამარიტელად ჰხადოდეს მას, არამედ სიტყუსა ამისგან, რომელსა იტყვან: „არა კეთილად ვთქუათა?“ ამის მიერ საცნაურ არს, ვითარმედ მრავალგზის უთქუამს მისდა „სამარიტელ“ და „ეშმაკეულ“, და ვინმე არს ეშმაკეული, რომელი ღმერთსა პატივის-სცემდეს, ანუ რომელი ღმრთისა პატივისმცემელსა

შეურაცხ-ჰყოფდეს და აგინებდეს? ხოლო ისმინეთ სიტყუა-
იგი ქრისტესი, რომელი არს ყოვლითურთ სიმშუდე და სიწ-
რფოება:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ჩემ თანა ეშმაკი არა არს, არამედ პატივ-
ვსცემ მომავლინებელსა ჩემსა (8,49). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რა-
ძეთუ სადა-იგი სწავლად მათი ჯერ-ყო და დამდაბლებად ამ-
პარტავანებისა მის მათისად, რომელი აქუნდა ნათესავობასა
ზედა აბრაჰამ-სსა, მუნ ფაცხელ იყო სიტყუათა მათ შინა
თესთა, ხოლო აქა, სადა ესე თავს-დებად გინებისა მათისად
ჯერ-იყო, ფრიადსა სიმშუდესა აჩუენებს, და რაჟამს-იგი
ეტყოდეს, ვითარმედ: „მამად ღმერთი გვეის, და აბრაჰამ“,¹
მაშინ ძლიერად შეეხო მათ. ხოლო რაჟამს ეშმაკეულ
უწოდეს მას, არა განრისხნა, არამედ სახიერებით ჰყოფს
სიტყუასა თესსა, რადთამცა გუასწავა ჩუენ, რაჟამს ღმრთი-
სათეს თქუმული რადმე გმობად გუესმეს. შურსა ვეძიებდეთ,
ხოლო ჩუენისა გინებისათეს არა განვრისხნებოდით, რამეთუ,
უკუეთუ რომელმან-იგი სიტყუთ ცად და ქუეყანაად, ზლუად და-
ყოველი, რად არს მას შინა, შექმნა, და მან ესე ყოველი თავს-
იდვა, ჩუენ ვინ ვართ, არარანი ესე, რომელ არა თავს-ვიდებ-
დეთ მოყუასთა ჩუენთაგან შეურაცხებდას? ისმინეთ უკუე, რა-
სა იტყუს მაცხოვარი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე არა ვეძიებ ნებასა ჩემსა“ (8,50)..
თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე იგი არს, ვითარმედ, ესე ყოველი-
ამისთეს ვტქუ, რომელ-ესე ვტქუ, რადთა არა იტყოდით
ღმერთსა მამად თავისა თქუენისა, რომელნი-ეგე კაცი-
ძკლველ ხართ და მტყუვარ. და რადცა-იგი ვტქუ. ყოველივე
პატივისათეს მამისა ვტქუ, და მისთეს მესმის მე ესე ყოველი.
და მისთეს შეურაცხ-მყოფთ, არამედ არა ვზრუნავ მე გინე-
ბასა მაგისგან, რამეთუ მის მიერ მოილოთ თქუენ მოსაგებელი
ამის ყოვლისად, რომლისათესცა თავს-ვიდებ თქუენმიერსა
შეურაცხებდასა, ხოლო მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა. ამისთეს
მე არა გტანჯავ თქუენ, არამედ გასწავებ, და განგაზრახავ,
რადთა ჰქმნნეთ საქმენი ესე, რომელთა მიერ არა სატანჯველ-
თაგან ოდენ განერნეთ, არამედ საუკუნესაცა ცხოვრებდასა.
ღირს იქმნნეთ.

სახარება: „ამენ, ამენ გეტყუ თქუენ: უკუეთუ ვინმე სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, სიკუდილი არა იხილოს უკუნისამდე“ (8,51). თარგმანი: ხოლო აქა არა სარწმუნოებასა ოღენ იტყუს, არამედ საქმეთაცა კეთილთა, და ზემორე იტყოდა, ვითარმედ: „ცხოვრებაჲ საუკუნოჲ აქუნდეს“, ხოლო აქა იტყუს: „სიკუდილი არა იხილოს“. და ამას თანა სხუასაცა საქმესა მოასწავებს, ვითარმედ ვერარას შემძლებელ არიან ვნებად მისა. რამეთუ, უკუეთუ, რომელმან სიტყუაჲ მისი დაიმარხოს, იგი არა მოკუდების, არა უფრომსად იგი თავადი არა მოკუდესა? ხოლო მათ ესე ცნეს, ვითარმედ ამას მოასწავებს. ამისთვის ეტყოდეს:

სახარება: „აწ გვცნობიეს, რამეთუ ეშმაკეულ ხარ შენ. აბრაჰამ მოკუდა და წინაჲსწარმეტყუელნი“ (8,52). თარგმანი: ესე იგი არს. ვითარმედ რომელთა ისძინეს სიტყუაჲ ღმრთისაჲ, მოკუდეს და რომელთა შენი ისძინონ, არა მოკუდენა?

სახარება: „ნუუკუე შენ უფრომს ხარა მამისა ჩუენისა აბრაჰამისა?“ (8,53). თარგმანი: მ, ცუდადმზუალობრობაჲ ესე! კუალად ნათესავობისა მისისა მიმართ მიივლტინ! და ამას ადგილსა უფრომსად სიტყუაჲ აქუნდა, თუმცა ეთქუა, ვითარმედ: ნუუკუე შენ უფრომს ხარა ღმრთისა, ანუ, რომელთა ესმეს სიტყუაჲ შენა, უმეტეს არიანა აბრაჰამისა? არამედ არა იტყუან ამას, რამეთუ აბრაჰამისაცა უდარესად შეერაცხა იგი, ხოლო თავადმან ზემორე გამოაჩინა კაცისმკლველობა მათი და ესრეთ უცხო-ყვნა იგინი მისისა მის ნათესავობისაგან. და ვითარცა იგინი მასვე ზედა ეგნეს და კუალად თავადმან სხუთა სახითა იწყო სიტყუად მათა მიმართ, რამეთუცა უჩუენა, თუ ამოდლ შურებიან, და სიკუდილისათვის არარაჲ ჰრქუა მათ, არცა გამოუცხადა და არცა ჰრქუა, თუ რომელსა სიკუდილსა იტყუს, არამედ ჭერეთ დაარწმუნებას ოღენ, ვითარმედ აბრაჰამისა უზეშთაეს არს, რამთა ნუუკუე ესრეთ მოდრკენ და ეტყუს, ვითარმედ: „დალაცათუმცა უნდოდ ვინმე კაცი ვიყავ, არა ჭერ-იყო მოკლვად ჩემი, ვინამთგან ბრალი არცა ერთი რაჲ მიძღუს, ხოლო ვინამთგან ჰქმმარიტსაცა ვიტყუ, და არცა ცოდვად მიძღუს და ღმრთისა მიერ მოვლინებულ ვარ, და აბრაჰამისა უმეტეს ვარ, არა

ვანცოფებულ ხართა და ამოდ შურებოთ, რომელნი ეძიებთ ნოკლეაა ჩემსა?“ ხოლო იხალენით სიტყუანი მათნი, რასა იტყუან:

სახარებაჲ: „აწ გვცნობიეს, რამეთუ ეშმაკეულ ხარ შენ“ (8,52). **თარგმანი:** არამედ სამარიტელი იგი დედაკაცი არა ესრეთ იტყოდა, არცა თქუა. თუ „ეშმაკეულ ხარ“, არამედ ესე ოდენ თქუა: „ნუუკუე შენ უფროის ხარა მამისა ჩუენისა იაკობისა?“ ამისთვის, რამეთუ ესენი მაგონებელნი იყვნეს და განდგომილნი, ხოლო მას სწავლაჲ ენება ჰეშმარიტებისაჲ, ამისთვისცა განკვრდა და ჯეროვნითა ზომითა მიუვო მას სიტყუაჲ და უფლად სახელ-სდვა, რამეთუ, რომელი-იგი ფრიად უზეშთაესთა საქმეთა აღუთქუმიდა, არა გონებაჲ ჯერ-იყო მისი, არამედ განკვრებაჲ საქმეთა მისთაჲ, ხოლო ესენი აგინებენ და ეშმაკეულად ჰხადან შემოქმედსა მას ყოველთასა, რამეთუ სამარიტელისა მის სიტყუანსა საკვრველებისა მისგან იყვნეს, ხოლო ამათნი ურწმუნოებისაგან და უკეთურებისა.

სახარებაჲ: „ნუუკუე შენ უფროის ხარა მამისა ჩუენისა აბრაჰამისა?“ (8,53). **თარგმანი:** საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ესე უზეშთაეს აბრაჰამისა გამოაჩინებს მას, რამეთუ იტყოდა თავადი, ვითარმედ: „რაჲამს მიხილოთ მე ამიერ განსრული, მაშინ აღიაროთ, ვითარმედ უზეშთაეს ვარ“. ამისთვის ეტყოდა, ვითარმედ: „რაჲამს აღამალლოთ, მაშინ სცნათ, თუ ვინ ვარ“. და იხილე სიბრძნის იგი მისი მიუწუდო-მელი, რამეთუ პირველ განყვნა იგინი ნათესავობისაგან აბრაჰამისა, და მერმე იწყო ჩუენებად მათა, ვითარმედ უზეშთაეს არს მისა, რაჲათა ფრიადითა სიმალლითა უზეშთაეს წინამსწარმეტყუელთასა იხილვოს, რამეთუ, ვინამთგან მარადის წინამსწარმეტყუელით ჰხადოდეს მას, ამისთვის იტყოდა. ვითარმედ: „სიტყუაჲ ჩემი არა დაეტევის თქუენ შორის“,¹ და პირველ იტყოდა, ვითარმედ: „აღადგენს მკუდართა“,² ხოლო აქა იტყუს, ვითარმედ: „არა იხილოს სიკუდილი, რომელსა ვპრწმენე“, რომელ-ესე ფრიად უზეშთაეს არს, არახილვაჲ სიკუდილისაჲ ყოლადვე, ვიდრეღა აღდგომაჲ სი-

¹ იოან. 8,37

² იოან. 5,21

კუდილისაგან. ამისთვისცა იგინი უფრომსად განფიცხნებოდეს და იტყოდეს: „შენ ვის ჰყოფ თავსა შენსა?“¹ და ესეცა სიტყუამ მაგინებლობით, ესე იგი არს, ფილარმედ: „შენ თავსა შენსა დიდ ჰყოფ“, ხოლო ქრისტემან ამის სიტყუსა მიმართ მიუგო მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „უკუეთუ მე ვადიდებ თავსა ჩემსა, დიდებამ ჩემი არარაა არს“ (მ,54). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესმა, ვითარმედ: „ნუუკუე შენ უფრომს ხარა მამისა ჩუენისა აბრაჰამისა?“ და ფრიადისა მის უძლურებისა მათისაებრ არა ჰრქუა, თუ: „ჰე, უზეშთაეს ვარ“, არამედ ჯელოვნებით ყო სიტყუამ თსი, ხოლო რაა არს სიტყუამ ესე, თუ: „დიდებამ ჩემი არარაა არსო?“ ვითარ არარაა არს დიდებამ მისი? გარხა მათა მიმართ არს არარაა, რამეთუ ვითარცა სხუასა ადგილსა იტყუს: „წამებამ ჩემი არა არს ჰეშმარიტ“, და მათსა მის დაბრმობილისა გონებისათეს თქუა იგი, ეგრეთვე ესე მათისა გულისსიტყუსათეს მიუგო, ვითარმედ: „არს, რომელი მადიდებს მე, რომელი თქუენ სთქუთ, თუ: „ღმერთი ჩუენი არს, და არა იცით იგი“, რამეთუ ენება ჩუენებად, ვითარმედ არა ოდენ მამად არა იციან, არამედ ღმრთადცა არა იციან იგი, ხოლო მე ვიცი იგი. და უკუეთუ ვთქუა, ვითარმედ: „არა ვიცი იგი, ვიყო, ვითარცა თქუენ, მტყუვარ“, საცნაურ-ჰყოფს, ვითარმედ არა ესე არს ტყუვილ, თუ „ვიცი იგი“, არამედ ესე, თუ: „არა ვიცი“, არს ტყუვილი, ხოლო თქუენ დადაცათუ იტყვთ, ვითარმედ: „ფიცით იგი“, სტყუვით. ეგრეთვე მე უკუეთუ ვთქუა, ვითარმედ: „არა ვიცი“, არამედ: „ვითარცა მე ვიცი იგი ჰეშმარიტებით, ეგრეთვე თქუენ უმეტარ ხართ მისი“, ხოლო ვითარცა აბრაჰამისთვის არა ყოველივე სიტყუამ მათა უკუნაქცია, არამედ თქუა: „ვიცი, ვითარმედ ნათესავნი აბრაჰამისნა ხართ“, რამეთუ უმეტესი შესმენამ მოაწია მათ ზედა ამით სიტყუსა, ეგრეთვე არა ყოველითურთ უცხოდ ღმრთისაგან გამოაჩინნა, არამედ თქუა: „რომელსა თქუენ იტყვთო, თუ ღმერთი ჩუენი არს“, და სიტყუთი იგი სიქადული მისცა მათ და ამით უზეშთაეს-ყო ცოდვამ მათი, რამეთუ ჰრქუა, ვითარმედ: „იტყვთ და არა იცით იგი, ხოლო ესრეთ არა

¹ იოან. 8,53

იცით, რამეთუ რომელი ყოვლითურთ ადიდებს და პატივსცემს მას, აგინებთ თქუენ და მის მიერ მოვლინებულსა სდევნით“. არამედ ესე სიტყუაჲ ურწმუნო-უჩინდა მათ, ხოლო შემდგომი ესე უსიტყუელ-ჰყოფს მათ, ვითარმედ: „საბყუათა მისთა ვიმარხავ“. რამეთუ ამას ადგილსა უკუეთუმცა რაჲ აქუნდა სიტყუაჲ, შეეძლო მხილებად მისა, გარნა არარაჲ აქუნდა, რამეთუ ესე სიტყუაჲ უმეტესი წამებაჲ არს მისი, ვიდრეღა იგი, თუ: „მან მომავლინა მე“. ამისთვის იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „აბრაჰამს, მამასა თქუენსა, უხაროდა, რაჲთა იხილოს დღჳ ესე ჩემი, იხილა და განიხარა“ (8,56).
თ ა რ გ მ ა ნ ი : პირველად გამოაჩინა იგინი, ვითარმედ უცხო არიან მისგან, რამეთუ რომელსა ზედა იგი მხიარულ იყო, ესენი მწუხარე იყვნეს. „ხოლო დღჳ ჩემი იხილა და განიხარაო“. დღესა მას ჭუარ-ცუმისასა იტყვს, რომელი მან შეწირვასა მას ვერძისასა და ისაკისსა პირველ გამოსახა, რაჲამს შესწირვიდა ისაკს და იხილა ვერძი იგი დამოკიდებული ნერგსა მას საბეკსა, და განიხარა, რამეთუ იგი იყო სახჳ ქრისტეს ჭუარ-ცუმისაჲ. და მის დღისათვის იტყვს, ვითარმედ: „იხილა დღჳ ჩემი და განიხარა“, ესე იგი არს, იხილა რაჲ სახჳ ჭუარ-ცუმისაჲ. ხოლო ისმინე, რასა იგინი იტყვან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „ერგასის წლისა არა ხარა და შენ აბრაჰამ გიხილავსა?“ ჰრქუა მათ იესუ: „ამენ, ამენ გეტყუ თქუენ: ვიდრე აბრაჰამის ყოფადმდე მე ვარ“. აღიღეს ქვაჲ ჰურიათა, რაჲთა დაჰკრიბონ (8,57-59).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა, ვითარ აბრაჰამის უზეშთაესობაჲ გამოაჩინა, რამეთუ, რომელსა უხაროდა ხილვად დღისა მისისა და დიდად უჩინდა ხილვამ მისი, საცნაურ არს, რამეთუ, ვითარცა განმაცხოველებელისაჲ და ვითარცა უზეშთაესისაჲ, აქუნდა დღჳ იგი, რამეთუ, ვინაჲთგან იგინი იტყოდეს, ვითარმედ: „ხუროდსა ძე არს!“¹ და არარას სხუასა გულისხმა-ჰყოფდეს, ამისთვის მცირედ-მცირედ აღიყვანებს მათ მალლისა გონებისა მიმართ. ხოლო, მათ რაჲამს ესმა, ვითარმედ არა იცინან ღმერთი, არა ესრეთ განფიცხნეს, არამედ რაჲამს ესმა, ვითარმედ: „პირველ აბრაჰამის ყოფადმდე მე ვარ“, განრისხნეს, ვითარცა პატიოსნე-

¹ მათ. 13,55

ბამ მათი უკმარქმნილ იყო, და ამისთვის ქვასა დაჰკრებდეს მას. „იხილა დღე ჩემი და განიხარა“,¹ გამოაჩინებს, ვითარ-მედ არა უნებლიათ მოვალს ვნებად, ვინაფთგან აქვს მას, რომელმან ჭუარ-ცუმისა მისისა ხილვისათვის განიხარა, რამეთუ ესე ცხორებაჲ ყოვლისა სოფლისაჲ იყო, ხოლო მათ ქვისა დაკრებაჲ ენება. ესრეთ მარადის მზა იყვნეს მოკლვად და თვნიერ გამოძიებისა იქმოდეს საქმეთა მათ. ხოლო რაჲსათვის არა თქუა, თუ: „პირველ აბრაჰამის ყოფადმდე მე ვიყავ“, არაჲდ: „მე ვარო“, ამისთვის, რამეთუ, ვითარცა მამამან, ესე სიტყუაჲ იქმარა, ვითარმედ: „მე ვარ, რომელი ვარ“, ეგრეთვე ამან თავადმან. რამეთუ ესე სიტყუაჲ სამარადისოჲსა ყოფისა მომასწავებელ არს და გარეგანი ყოვლისაგანვე ჭამისა. ამისთვის გმობად შერაცხილ არს მათ მიერ სიტყუაჲ იგი, ხოლო უკუეთუ აბრაჰამის თანასწორებაჲ არა თავს-იდვეს, რომელი-იგი მისსა დიდებასა თანა მცირე იყო, უკუეთუმცა ზედაჲსუნდა შეასწორებდა თავსა თვისსა მამასა თანა, რამცა ყვეს, დასცხრესმცა ბრძოლად და ქვისა დაკრებად მისა? ხოლო თავადი კუალად კაცობრივ ივლტის მათგან და დაიფარვის, ვინაფთგან ფრიადი სწავლაჲ წარმოუთხრა მათ და აღასრულა საქმე თვისი, განვიდა ტაძრისა მისგან და წარვიდა განკურნებად ბრმისა მის, რაჲთა საქმითცა დაამტკიცოს, ვითარმედ პირველ აბრაჰამის ყოფადმდე არს იგი. და უკუეთუ ვინ იტყოდის, ვითარმედ რაჲსათვის არა დაჰხსნა ძალი მათი, რაჲთამცა ესრეთ ჰრწმენა, არამედ გულისხმა-ყავ, ვითარ-იგი განრღუეული განკურნა, და არა ჰრწმენა, და სხუანი ბევრეულნი სასწაულნი ქმნნა, და ჟამსა მასცა ვნებისასა დასცნა იგინი პირსა ზედა და დაუბნელნა თუალნი მათნი, და არა ჰრწმენა და აწმცა ვითარ ჰრწმენა, დაღაცათუმცა ძალი მათი დაეკსნა? რამეთუ სულისა სასოწარკუეთილისა უბოროტეს არარაჲ არს, გინა თუ სასწაულნი იხილნეს, გინა თუ ნიშები, ჰკიეს მასვე ურცხვნობასა ზედა, რამეთუ ფარაოცა ბევრეულნი მიიხუნა წყლულებანი, და რაჲმს იტანჯებინ, მას ოდენ დღესა მოიქცის და კუალად მასვე ბოროტსა ზედა ეგო, და სდევნიდა ვიდრე უკუანამსკნელად დღედმდე, რომელნი-

¹ იოან. 8,56

იგი განუტევნა. ამისთვის დიდი იგი მოციქული ჰავდა დალა-
დებს: „ნუვინ განფიცხნების თქუენგანი საცთურითა ცოდ-
ვისადათა“,¹ რამეთუ, ვითარცა გუამი, მრავალთა მიერ სენთა
შეპყრობილი და სიმკურვალითა ფრიადითა უცნობოქმნილი,
ვერ შემძლებელ არს აღდგომად, ეგრეთვე სული, რაჟამს მრავალთა მიერ ცოდვათა შეპყრობილ იქმნეს, მკუდარ იქმნების
სათნოებისა მიმართ და, რააცა-რაჲ უთხრა მას, სწავლა არს
იგი ყოვლითურთ უგულისხმო, გინა თუ სატანჯველთათს.
ეტყოდრი, გინა თუ სასუფეველისათს, უღმობელ არს იგი.

ს წ ა ვ ლ ა ა ე ნ ი

შ უ რ ი ს ა თ ვ ს

ამისთვის გევედრები, რაჲთა, ვიდრემდის გუაქუს სასოე-
ბაჲ ცხორებისაჲ, ვიდრემდის შემძლებელ ვართ მოქცევად
ყოვლით კერძო, ვისწრაფოთ ცხორებად სულთა ჩუენთა, რა-
ჲეთუ სასოწარკუეთილნი, ვითარცა მენავეთმოძღუარნი, არიან,
რომელთა წარპკუეთიან სასოებაჲ მათი და მისციან საწყალო-
ბელად ნავი კელთა ქარისათა და არარას აჩუენებდნან მოსწ-
რაფებასა განრინებად ნავისა. ეგრეთვე ესენი არიან, რამეთუ
მოშურნჳ სხუასა არას ხედავს, არამედ ამას ოდენ, რაჲთამცა
გულისთქუმაჲ თვისი აღასრულა. დადაცათუ ტანჯვაჲ წინაედ-
ვას მას, ანუ თუ მეგრ სიკუდილი, იგი ოდენ ვნებისა თვისისა.
ისწრაფის აღსრულებად, ეგრეთვე სიძვისმოყუარჳ და ეგ-
რეთვე ვეცხლისმოყუარჳ, ზოლო უკუეთუ ვნებათა ესეზომი
მძლავრებაჲ აქუს, არა უმეტესი აქუნდესა ძალი სათნოებასა,
უკუეთუ ოდენ გუნდესა და უკუეთუ ცოდვისათს სიკუდილსა
შეურაცხ-ვჳყოფთ, არა უფრომსად სათნოებისათს შეურაცხ-
ვჳყოფთ? უკუეთუ ბოროტისმოყუარენი სულთა თვისთა უგულუ-
ბელს-ჳყოფენ, რაჲთამცა ბოროტი ქმნეს, არა უფრომსად

¹ ებრ. 3,8

ცხორებისათვის სულისა ჯერ-არსა უგულვებელს-ყოფაჲ თავთა
თვსთაჲ? რამეთუ რაჲ სიტყუაჲ გუაქუნდეს წინაშე ღმრთისა,
რაჲამს ვხედვიდეთ, ვითარმედ წარწყმედადნი იგი ესრეთ
ისწრაფიან წარწყმედიისათვის მათისა ყოვლითა ღონისძიებითა,
და ჩუენ არა ვისწრაფდეთ ცხორებისათვის სულთა ჩუენთაჲ-
სა, არამედ მარადის შუქისა და კდომასა შინა ვიყოფებით?
არარაჲ არს უძრვს შუქისა, რამეთუ ისწრაფის მოშურნმ,
რაჲათამცა მეორმცა წარწყმიდა და თავიცა თვისი მის თანა
შთაჲადა ჯოჯოხეთს. თუალი მოშურნისაჲ დადნების მწუხარ-
ებითა, სიკუდილსა შინა არს სამარადისოსა, ყოველნივე მტე-
რად შეურაცხიან, რომელთა არარაჲ ევნოს მისდა, მწუხარე
არს, რაჲამს ღმერთი პატივ-იცენებოდის, და უხარის, სადა
ეშმაკთა უხაროდის, იგი ვინმე პატივცემულ იქმნა კაცთა მი-
ერო. არამედ ნუ ეშურები, კაცო, რამეთუ არა პატივ არს
პატივი იგი, არამედ, უკუეთუ ღმრთისა მიერ პატივცემულ
იქმნეს, ეშურებოდე და იქმენ მსგავს მისა, ანუ არა გნებავსა
ესე? რაჲსათვის უკუე გნებავს თავისაცა შენისა წარწყმედაჲ?
რაჲსათვის დაადებ მგავსცა, რომელნი-ეგე გაქუს? უკუე-
თუ ვერ ძალ-გიც სწორ მისა ყოფად და კეთილისა მოგებად,
ბოროტსა რადლა მოიგებ? ჯერ-არს, რაჲთა გიხაროდის კე-
თილისათვის მოყუსისა, დაღაცათუ თანაზიარ შრომათა მას-
ვერ იქმენ, გარნა ამის მიერ გერგოს, რომელ გიხაროდის შრო-
მათათვის და კეთილთა სხვისათა, რამეთუ მრავალგზის ნებაჲ
ოდენ კმა იქმნის დიდისა კეთილისა ქმნად. რამეთუ ეზეკიელ
წინამსწარმეტყუელი იტყვს ამისთვის დაშჯად მოაბელთა, რა-
მეთუ უხაროდა ისრაიტელთა ჳირისათჲს და სხუათა ვიეთთვის-
მე იტყვს ამისთვის ცხოვნებად, რამეთუ სულთ-ითქუმიდენა
ბოროტისათვის სხუათამსა. აწ უკუეთუ სულთ-ითქუმაჲ ოდენ
სხვისა ბოროტსა ზედა ესრეთ ნუგეშინის-ცემა არს, არა უფ-
რომს კეთილი უყოს, რომელნი სხვისა პატივსა ზედა მოხარულ
იყვნენ? და მოაბელთა შეასმენდა, რამეთუ უხაროდა ტანჯვი-
სათვის ისრაიტელთამსა, დაღაცათუ ღმერთი იყო მტანჯველ
მათა, რამეთუ არცა ოდეს ღმერთმან მოაწიოს ტანჯვაჲ ვის
ზედამე, მაშინცა არა ჯერ-არს სიხარული, არამედ უფრომსად
შეწუხებაჲ მათისა ტანჯვისათვის. რამეთუ არა თუ ღმრთისა
ჳნებავს, რაჲთა იტანჯნენ იგინი, ხოლო, უკუეთუ ტანჯულთა

თანა მწუხარებამა ჯერ-არს, არა უფროდსად რომელთა ღმერთ-
 მან პატავ-სცეს, სიხარული ჯერ-არსა მათთვის? ესრეთ წარწყ-
 მდეს კორეეთნი და დათანეთნი და, რომელთა ეშურებოდეს,
 იგინი უმეტესად განაბრწყინვნეს, ხოლო თავნი თვისნი წარწყ-
 შედად მისცნეს. რამეთუ შური მკეცი არს წამლენი და არა-
 წმიდად უკეთურებამა, რომელსა სიტყუამ არა აქუს, ყოველთა
 ბოროტთა მიზეზი და დედაჲ. ამისთვის უკუე აღმოვჴფხურათ
 იგი ძირითურთ. რამთა ყოველთაგან ბოროტთა განვეშორნეთ
 და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთ-
 მოყუარებითა უფლისა ჩუენ-სა იესუ ქრისტესითა, რომლისა
 თანა მამასა ჰმუენის დიდებამ სულით წმიდითურთ აწ და მა-
 რადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

თ:ა:3:ი 53

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: და წარვიდოდა იესუ და იხილა კაცი
 ბრმამ შობითგან. ჰკითხვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს:
 „რამი, ვინ ცოდა? ამან, ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ
 ბრმა იშვა?“ (9,1-2). თ ა რ გ მ ა ნ ი: რომელი-იგი ფრიად
 კაცთმოყუარე არს და ჩუენისა ცხოვრებისა მეძიებელ და
 ენება, რამთამცა უმადლოთა მათ პირნი დაუყენა, ამისთვის
 არარამ დაუტევა საქმჴ, რომელი მის მიერ ჯერ-იყო ქმნად,
 დაღაცათუ მათ არა გულისხმა-ყვეს. ამისთვისცა წინამსწარ-
 მეტყუელმან ესე უწყოდა და იტყოდა: „რამთა განჰმართლდე
 სიტყუთა შენითა და სძლო შჯასა“,¹ ამისთვის აქაცა, ვინათ-
 გან სიმაღლე იგი სიტყუათა მისთამ არა შეიწყნარეს, არამედ
 გინებადცა იწყეს და მოკლვამ მისი ენება, ამისთვისცა განვიდა
 რამ ტაძრით, განკურნა განრღუეული იგი: ერთად, რამთა
 წარსლვითა მისითა მათსა გულისწყრომასა ნუგეშინის-სცეს.
 და, მეორედ, რამთა ქმნითა მით სასწაულისამთა სიფიცხლჴ
 იგი და მოუდრეკელობამ მათი ნოალობს და სიტყუანი თვისნი
 სარწმუნო-ყვენეს და ქმნას სასწაული არა ესრეთ ლიტონი,
 არამედ მაშინ ოდენ ქმნალი, რომელი არღასადა ქმნილ იყო.
 რამეთუ საუკუნითგან არა სმენილ არსო, ვითარმედ აღუხილ-

¹ ფსალმ. 50,4

ნა ვინ თუალნი ბრმად შობილისანი. რამეთუ ბრმისა თუალნი ნუუკუედა განხუმულ იყვნენ, ხოლო შობით ბრმისანი არასა-და აღებულ არიან. და საცნაურ არს, ვითარმედ გან-რაჲ-ვიდა ტაძრით, განზრახვით მივიდა განკურნებად მისა, რამეთუ მან იხილა ბრმაჲ იგი და არა თუ ბრმაჲ იგი მას მოუქდა, და ესრეთ მოსწრაფებით მიჰხედა მას, ვიდრელა მოწაფეთაცა ცნეს, ვითარმედ მას ჰხედავს და ამისთვისცა ჰკითხეს. რამეთუ რაჲამს ხედვიდეს მას, ვითარ ესრეთ მოსწრაფებით ჰხედავს მას, ჰკითხეს, ვითარმედ: „მოძღუარ, ვინ ცოდა? ამან. ანუ მშობელთა ამისთა?“ ცთომილ არს კითხვაჲ მათი, რამეთუ ვითარმცა ცოდა უწინარეს შობისა, ანუ უკუეთუ მშობელნი ცოდვიდეს, იგიმცა ვითარ იტანჯა? ამისთვის ვინაჲ მოვიდეს უკუე ამის საქმისა კითხვად? ამისთვის, რამეთუ ამისა პირველ, განკურნა რაჲ განრლუეული იგი, ჰჩქუა მას, ვითარმედ: „აჰა, ესერა, განიკურნე, ამიერიტგან ნულარა სცოდავ“. ხოლო მათ გულისხმა-ყვეს, ვითარმედ ცოდვათათს განრლუეულ იყო და ამისთვის აქა თქუეს, ვითარმედ: „აჰა, იგი ცოდვათათს განარ-ლუა“. ამისთვის რაჲლა სთქუა? ნუუკუე ამანცა ცოდაა? არა-მედ ესე შეუძლებელ არს, რამეთუ შობითგან ბრმაჲ არს; ანუ მშობელთა მისთა ცოდვისათს არსა? არამედ ესეცა. შეუშ-გავსებულ არს, რამეთუ შვილსა მშობელთათს საშჯელი არა მთეჲადების.

რამეთუ ვითარცა ჩუენ ყრმაჲ ჩჩული ვიხილით რაჲ ჰირსა შინა, ვთქუთ საკურველებით: ნეტარ რაჲმე ბრალი არს ამისი? ეგრეთვე მოწაფენი განკურვებით ჰკითხვიდეს სიტყუასა ამას, ხოლო უფალმან მიუგო მათ: არცა ამან ცოდა, არცა მშობელ-თა ამისთა, რაჲთამცა ბრმად შობილ იყო, ხოლო ესე სიტყუაჲ, რომელ თქუა, არა თუ გამოაჩინებს, ვითარმედ უცოდველ იყვნეს, რამეთუ არა თქუა ესრეთ ოდენ, თუ: „არა ცოდეს“, არამედ: „არა ცოდეს, რაჲთამცა ბრმად იშვაო“, არამედ „რაჲთა იდიდოს ძმ ღმრთისაჲ“, რამეთუ ცოდეს მანცა და მშობელთა მისთა, არამედ არა ამისგან არს სიბრმე მისი, ხო-ლო ამას იტყოდა, არა თუ რაჲთამცა გამოაჩინა, ვითარმედ ესე ესრეთ არს, ხოლო სხუანი ვიეთნიმე დაბრმეს ცოდვი-სათს მშობელთაჲსა, რამეთუ შეუძლებელ არს, თუმცა სხუ-ამან ცოდა და სხუაჲმცა დაისაჯა ცოდვისა მისისათს, თუ არა

უკუეთუ ესე ვთქუათ, იგიცა ვთქუათ, ვითარმედ უწინარეს შობისა ცოდა. რამეთუ ვითარცა ესე რამ თქუა, ვითარმედ, არცა ამისთა ცოდვათათჳს იშვა ბრმად, არცა მშობელთაჲსა, ეგრეთვე არს ყოველივე და ამისთჳს ეზეკიელ იტუსა მას განაქარებებს და იტყჳს: „ცხოველ ვარ მე, — იტყჳს უფალი“. არღარა იყოს იგავი ესე, რომელი ითქუმის, ვითარმედ: „მამათა ჭამეს კაწახი და შვილთა კბილნი მოემუხნეს“. და მოსე იტყჳს: „არა მოკუდეს მამად შვილისათჳს“. ხოლო უკუეთუ ვინ იტყოდის, ვითარ თქუმულ არს თუ: „რომელი მიაგებს ცოდვასა მშობელთასა შვილთა ზედა ჴესამედ და მეოთხედ ნათესავადმდე“, არამედ ჩუენ ვიტყჳთ ამისთჳს, ვითარმედ ბრძანებად არა ყოველთა ზედა არს, არამედ რომელთათჳსმე თქუმულ არს, რომელნი-იგი ეგვპტით გამოვიდეს, ხოლო სიტყუად ესე ესევეთარა არს, რამეთუ, ვინამთგან ეგვპტით გამოსრულნი იგი ესეოდენტა მათ სასწაულთა შემდგომად, რომელნი იქმნენ მათა მათ მშობელთა ზედა, იქმნენ იგინი უბოროტჳს მათსა, რომელთა ყოვლადვე არა ეხილვა სასწაული. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: „რამ-იგი მოიწია მათ ზედა, იგივე მოიწიენ ამათ ზედაცა, რამეთუ იგივე საქმე ქმნეს“. და რომელმან აღმოიკითხოს, ცნას ჴეშმარიტებით, ვითარმედ მათთჳს თქუმულ არს. ხოლო რაჲსათჳს ბრმად იშვა? ამისთჳს, რაჲთა გამოჩნდეს მის ზედა დიდებად ღმრთისაჲო. აჰა, ესერა, აჰა სხუად სიძნელე ჩანს, რამეთუ თქუას ვინმე, ვითარმედ: „რამ არს? თუნიერ მისისა მის ტანჯვისა არა შესაძლებელ იყოა გამოჩინებად დიდებად იგი ღმრთისაჲ?“. არამედ არა ესრეთ თქუმულ არს, თუ შეუძლებელ იყო, რამეთუ შესაძლებელ იყო თუნიერ მისაცა გამოჩინებად დიდებად ღმრთისაჲ, არამედ რაჲთა მას ზედაცა გამოჩნდეს. ხოლო უკუეთუ ვინ თქუას, ვითარმედ: ამისთჳს უსამართლოდ მოიწია ამის ზედა ვნებად იგი, რაჲთა იდიდოს ღმერთი, არამედ მითხარნ ამის ესევეთარისა მეტყუელმან: და რამ ვნებად მოიწია მის ზედა, დაღაცათუმცა ყოვლადვე არა აღეხილნეს თუალნი მისნი? რამეთუ მე ვიტყჳ, ვითარმედ უფროჲსი კეთილი ეყო მას სიბრმისა მიერ, რამეთუ შინაგანნი თუალნი აღეხილნეს მას. რამეთუ რამ ერგო ჴურიათა თუალთაგან მათთა? არა უმეტესი საშჯელი მოიწია მათ ზედა, რამეთუ

თუალნი მიცემულ იყვნეს მათა და დაბრმეს, ხოლო ამას რამ ბოროტი ეყო სიბრმისაგან, რამეთუ ამისთვის აღეხილნეს თუ-
ალნი სულისანი? რამეთუ ვითარცა ბოროტნი ამის სოფლი-
სანი არა არიან ბოროტ, ეგრეთვე კეთილნი არა არიან კეთილ,
არამედ ოდენ ცოდვამ არს ბოროტ, ხოლო სიბრმე არა ბო-
როტ არს. ხოლო, რომელმან არაარსისაგან არსად მოიყვანა,
კელმწიფებამ აქუნდა მას, რამთამცა ესრეთ დაუტევა. ხოლო
რომელნიმე იტყვან, ვითარმედ: „ესე სიტყუამ, რომელსა
იტყვს, თუ: „რამთა იდიდოს ღმერთი“, ესე არა მიზეზისაჲ
არს, არამედ აღსასრულისაჲ“, ვითარცა რაჟამს იტყოდის, ვი-
თარმედ: „შჯად სოფლისა ამის მოსრულ ვარ მე, რომელნი
არა ხედვიდეს და ჰხედვიდენ, და რომელნი ხედვიდეს, დაბ-
რმენ“; და კუალად პავლე იტყვს, ვითარმედ: „გულისხმის-
საყოფელი ღმრთისაჲ ცხადად მათა იქმნა, რამთა იქმნენ იგი-
ნი უსიტყუელ“, ხოლო მან არა თუ ამისთვის უჩუენა, რამთა
იყვნენ უსიტყუელ; და კუალად სხუასა ადგილსა იტყვს, ვი-
თარმედ: „შჯული შემოვიდა, რამთა განმრავლდეს ნაკლულე-
ვანებამ“, და იგი არა ამისთვის შემოვიდა, არამედ რამთა და-
ეყენოს ცოდვამ. ჰხედავა, ვითარ იპოვების, რამეთუ აღსას-
რულისათვის არს? რამეთუ ვითარცა ხუროთმოძღუარმან ვინმე
კელოვანმან ნახევარი აღაშენის სახლისაჲ, და ნახევარი დაუ-
ტევის, რამთა, უკუეთუ ვინ იტყოდის აღშენებულისა მისთვის,
თუ არა მისი აღშენებული არს, ნაკლულევანისა მის აღსრუ-
ლებითა გამოაჩინოს, ვითარმედ იგიცა მასვე უქმნიეს, ეგ-
რეთვე ქრისტემან, ვითარცა სახლი რამმე დარღუეული; გა-
ნაახლის ჩუენი ესე გუამი, რამეთუ კელი იგი განკმელი გან-
კურნა და დაჯნილნი იგი მუჯლნი განაძლიერნა, მკელობელ-
თა ავლენდა, კეთროვანთა განჰკურნებდა, მკუდართა აღად-
გინებდა, თუალთა დაბრმობილთა განანათლებდა და არაარს-
თა შეიქმოდა, რომელ-ესე ყოველნი ბუნებითისა მის უძ-
ლურებისა საქმენი იყვნეს. და იგიცა განაცხოველებდა ყო-
ველსავე, რამთამცა ესრეთ გამოაჩინა ძალი თვისი, ხოლო რო-
მელ თქუა, ვითარმედ: „რამთა გამოჩნდეს დიდებამ ღმრთი-
საჲ“, თავისა თვისისათვის იტყვს და არა მამისათვის, რამეთუ
მისი დიდებამ ცხადი იყო, რამეთუ, ვინამთგან ესმოდა მათ,
ვითარმედ: „კაცი მიწაჲ დაჰბადა ღმერთმან ქუეყანით“,

ამისთვის თავადმანცა ეგრეთვე ყო, რამეთუ, უკუეთუმცა ეთქუა, ვითარმედ: „მე ვარ, რომელმან აღვიღე მიწაჲ ქუეყანით და შევქმენ კაცი“, ძნელ იყო სიტყუაჲ ესე წინაშე მათსა, ხოლო, ვინაჲთგან საქმით გამოაჩინა ძალი თვისი, არღარა ურწმუნო იყო საქმ მისი. და ამისთვის აღიღო მიწაჲ ქუეყანით, რომელ-იგი შექმნა ნერწყუთა, და ესრეთ გამოაჩინებჲა დაფარულსა მას დიდებასა თვისსა, რამეთუ არამცირედი დიდებაჲ არს, რაჲმს გულისხმა-ყვეს, რამეთუ ესე არს დამბადებელი დაბადებულთაჲ. რამეთუ ერთისა ამისგან საქმისა ყოველსავე გამოაჩინებს, რამეთუ უზეშთაესისა მის დარწმუნებაჲ უდარესსაცა სარწმუნო-ჰყოფდა, რამეთუ კაცი უპატიოსნეს არს ყოვლისა სოფლისასა. და კუალად ჩუენთა ასოთა შინა უპატიოსნძს ყოველთასა არს თუალი, ამისთვის არა ლიტონად, არამედ მით სახითა შექმნა თუალნი, რამეთუ დაღაცათუ მცირე არს ასოჲ იგი, არამედ ყოველთა უმეტეს სარგებელ ეყოფის გუამსა. და ამისთვის თქუა მოციქულმან, ვითარმედ: „უკუეთუ ყურმან თქუას, ვითარმედ: „არა ვარ თუალ, არღარა გუამისაჲ ვარ, ნუუკუე ამისთვის არა გუამისაგანი არსა?“ რამეთუ ყოველნივე ასონი ჩუენნი ღმრთისა სიბრძნისა მომასწავებელნი არიან. ხოლო უფროჲს ყოველთასა თუალი, რამეთუ ესე უძღუს ყოველსავე გუამსა. ესე იქმს შუენიერებასა, ესე შეამკობს პირსა, ესე არს სანთელი ყოველთავე ასოთაჲ, რამეთუ, ვითარცა მზე არს სოფლოსა ნათელ, ეგრეთვე თუალი გუამისა. უკუეთუ მზე დააბნელო, ყოველივე სოფელი წარგიწყმედიეს, და, უკუეთუ დააბნელნე თუალნი, ფერჯნიცა უქმარ იქმნებიან და კელნიცა, და სულიცა ვერღარა შემძლებელ არს თავით თვისით ცნობად საქმეთა, ვინაჲთგან ვერღარას ჰხედვიდეს დაბადებულთაგანსა და ვერცა მოვალს ჰეშმარიტსა გულისხმის-ყოფასა, რამეთუ ხედვითა დაბადებულთაჲთა ვიცნობთ ყოველთა ღმერთსა, რამეთუ უხილავნი მისნი სოფლისდაბადებითგან დაბადებულთა მიერ ცნობილნი იხილვებიან. ამისთვის უკუე საცნაურ არს, ვითარმედ არა გუამისა ოდენ, არამედ სულისაცა სანთელი არს თუალი. ამისთვისა ვითარცა სამეუფოსა ადგილსა დამკვდრებულ არიან თუალნი, სიმაღლესა მას შინა მსხდომარენი უზეშთაეს სხუათა მათ საცნობელთასა და მათ დაჰბადებს აწ უფალი და მიანი-

ქებს უთუალოსა მას, და მერმე რაათა არა მოგეგონოს, ვითარმედ ნივთი ეკმარების მას საქმედ, და რაათა სცნა, ვითარმედ არა ეკმარებოდა მას პირველითგან თიჯამ იგი, რამეთუ, რომელმან არაარსისაგან უზეშთაესნი იგი ბუნებანი დაჰბადნა, ესემცა უნივთოდ ვერ ქმნაა? ხოლო რაათა სცნა, ვითარმედ არა თუ ნივთი ეკმარებოდა მას ამისა ქმნად, რამეთუ ამისთვის აღილო თიჯამ, არამედ რაათა უჩუენოს ვითარმედ იგი არს რომელმან პირველ მიწისაგან დაჰბადა კაცი, ამისთვის სცხო რამ თიჯამ იგი და პრქუა, ვითარმედ: „წარვედ და დაიბანე!“ რაათა სცნა, ვითარმედ „არა მეკმარების მე თიჯამ შესაქმედ თუალთა, არამედ რაათა გამოჩნდეს დიდებამ ჩემი“, რაათა სცნა, ვითარმედ მისთვის იტყოდა: „რაათა გამოჩნდეს დიდებამ ჩემი“, ამისთვის შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ჩემდა ჭერ-არს ქმნად საქმესა მომავლინებელისა ჩემისასა“ (9,4). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ „ჩემდა ჭერ-არს დამორჩილებამ თავისა ჩემისა და ქმნამ საქმეთამ, რომელნი შემძლებელ არიან გამოჩინებად, ვითარმედ ძალ-მიც ქმნად საქმეთა, რომელთა იქმს მამამ და არა ოდენ მსგავსთა მისთა, არამედ თვთ მათვე“. რამეთუ ესე უმეტესისა განუყოფელობისა სახე არს, ვინ უკუე შემძლებელ არს თუალთა შედგმად მისა, რომელი-იგი საქმეთა მათ მამისათა იქმს, რამეთუ არა თუ ოდენ დაჰბადა თუალი, არცა აღუხილა ოდენ, არამედ ხედვადაცა მიანიჭა, რომელ არს სახმ სულისა შთაბერვისადაცა, რამეთუ, უკუეთუ იგი არა იქმოდის, თუალი დადაცათუ სრულ იყოს, ვეროდეს შემძლებელ არს ხედვად. აწ უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ძალიცა იგი სულისა მისცა და ჯორციელადცა დაჰბადა ასოჲ იგი და შარიანნი და ძარღუნი და სისხლი და სხუამ ყოველივე, რომელთაგან შენაწევრებულ არს გუამი ჩუენი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ჩემდა ჭერ-არს საქმმ, ვიდრე დღე არსლა“ (9,4). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამ არიან სიტყუანი ესე? ანუ რამ არს ძალი მათი? ისმინეთ უკუე, რამეთუ ესევითარი არს სიტყუამ მისი, ვითარმედ, „ვიდრელა არს დღმ ესე“, ესე იგი არს, ვითარმედ ვიდრელა კეთილ არს კაცთათჳს, უკუეთუ ირწუმუნონო ჩემი და სარგებელ არს მათდა, ვიდრემდის სრფელსა ამას შინა არიან და მიცემულ არს ჟამი კეთილთა საქმეთა ქმნისა.

სახარებაჲ: „მოვალს ლამე“ (9,4). თარგმანი: ესე იგი არს: მოვალს აღსასრული და საუკუნოჲსა მის ჟამი, რაჟამს ვერლარავინ შემძლებელ არს ქმნად, რამეთუ არცაღა სარწმუნოებაჲ შეეწევის მაშინ, არცა სინანული, რამეთუ საქმედ სარწმუნოებასა იტყუს, ვითარცა-იგი ჰკითხეს რად, ვითარმედ: „რად ვყოთ, რადთა საქმესა ღმრთისასა ვიქმოდით?“ ჰრქუა მათ, ვითარმედ: „ესე არს საქმე ღმრთისად, რადთა გრწმენეს, რომელი მან მოავლინა“. ხოლო ვითარ ვერვინ იქმს მაშინ ამას საქმესა ამისთვის, რამეთუ არცა სარწმუნოება არს მაშინ, არამედ უნებლიადთ მორჩილ იყვნენ ყოველნივე, რამეთუ თავადი ყოვლისავე კეთილისათუს მათისა იქმოდა, რადთამცა ჰრწმენა აქავე, რამეთუ მუნ არღარა არს სარგებელი მათი. და ამისთვის თავადი მივიდა ბრმისა მის თანა და არა თუ ბრმაჲ მის თანა, რამეთუ ესე საცნაურ არს, ვითარმედ იგი ღირს იყო განკურნებასა და, უკუეთუმცა ჰხედვიდა, მაშინცამცა ერწმენა, ანუ თუ ასმიოდამცა ვისგანმე მისთვის. და ესე საცნაურ არს, უკუანაძკნელისა მის სიმკნისა და სარწმუნოებისა მისისა, რამეთუ არა შეორგულდა ყოველადვე, არცათუ თქუა „რად არს საქმე ესე, რამეთუ თიჯაი შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა და მრქუა: „წარვედ და დაიბანე სილოამს?“¹ არა შემძლებელ არსა, უკუეთუ არს მის თანა ძალი განკურნებად და ესრეთ წარვლენად სილოამს? რამეთუ მრავალგზის განბანილ ვარ მუნ, და არარად სარგებელ ქმნილ არს ჩემდა? უკუეთუმცა ძალი რადმე აქუნდა, აწმცა განმკურნა თვთ. ვითარცა-იგი ნემან იტყოდა ელისშსთვის, რაჟამს-იგი უბრძანა მან წარსლვაჲ და განბანად იორდანეს, და იგი ურწმუნო იყო“. ხოლო ბრმამან მან არა ესრეთ ქმნა, არცა ურწმუნო იქმნა, არცა სიტყუა-უგო, არცა ორგულ იქმნა, თუ ვისდა აღუხილვან თუალნი თიჯითა, არარად თქუა ესევეითარი. ჰხედავა სარწმუნოებასა ამას მტკიცესა?

სახარებაჲ: „მოვალს ლამე“ (9,4). თარგმანი: გამოაჩინებს ამის მიერ, ვითარმედ შემდგომად ჟუარ-ტუმისა-ცა ეგულებოდა ზრუნვაჲ უშულოთათუს და მოყვანებაჲ სარწმუნოებად მრავალთა, რამეთუ: „ჯერეთ დღე არსო“, ხო-

¹ იოან. 9,6-7

ლო ამისა შემდგომად სრულიად განჰყოფს მათ და ამას მოასწავებდა, და იტყოდა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ვიდრემდე სოფელსა შინა ვიყო, ნათელი ვარ სოფლისაჲ“ (9,5). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვითარცა-იგი სხუათაცა ეტყოდა, ვითარმედ: „ირწმუნეთ, ვიდრე ნათელი თქუენ თანა არს“. ხოლო უკუეთუ ვინ თქუას, თუ: „ვითარ, რომელ პავლე ღამედ სახელ-სდებს ამას ცხოვრებასა და მას — დღედ, და ქრისტე — ამას დღედ და მას — ღამედ? არამედ არა თუ პავლე ქრისტეს წინააღმდეგების, — ნუ იყოფინ! — არამედ ეგზეთვე იტყუს იგიცა, ვითარცა უფალი, დადაცათუ სიტყუანი არა ერთ არიან, არამედ ძალი ერთ არს, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: „ღამე წარვალს, ხოლო დღე მოახლებულ არს“. და ღამედ უწესს ამას ცხოვრებასა მათთვის, რომელნი ურწმუნოებასა შინა არიან და ბოროტსა, გინა თუ შემსგავსებითა მას — დღესა, ხოლო ქრისტე ღამედ იტყუს მას საუკუნესა ამის პირისათვის, რამეთუ საქმე მაშინ არაჲა იქმნების, არცა ცოდვაჲ, არცა სათნოებაჲ, ხოლო ამას ცხოვრებასა უწოდა დღედ, რამეთუ, უკუეთუ ვის ენებოს, ძალ-უც ქმნაჲ კეთილისაჲ, და პავლედ ღამედ უწოდა ამას ცხოვრებასა, რამეთუ ბნელსა შინა არიან, რომელნი უკეთურებით და ურწმუნოებით იქცევიან მას შინა.

ს წ ა ვ ლ ა ჲ 53

მოწყალებისათვის მორწმუნეთა

უკუე ასწავებდა იგი და იტყოდა, ვითარმედ: „ღამე წარვალს და დღე მოახლებულ არს“, ვითარმცა ეგულებოდა მათ დიდებისა მის მოღებად და ნათლისა საუკუნოჲსა. და ღამედ ძუელსა მას კაცსა სახელ-სდებს და ძუელსა მას ცხოვრებასა, რამეთუ იტყუს: „აღვიძარცნეთ საქმენი ბნელისანი“. ჰხედავა, რამეთუ ბოროტთა საქმეთა ქმნასა უწესს ღამედ.

ამისთვის, ვითარცა დღისი ცხადად შეუენიერად ვიდოდით, რა-
ათა ნათელი იგი საუკუნო მოგუეცეს. რამეთუ, უკუეთუ ესე
ნათელი ესრეთ კეთილ არს, გულისხმა-ყავ, თუ რაბამ იყოს
იგი, რამეთუ რავდენ მცირისა სანთლისა ნათელსა მზისა
ბრწყინვალეებაჲ უმჯობეს არს და უდიდებულეს? და ამისთვის
თქუმულ არს, ვითარმედ მზეცა დაბნელდეს მის ნათლისა დი-
დებულისაგან, ხოლო უკუეთუ ამას სოფელსა შინა სახლთა
ნათელთა და შეუენიერთათვს ფრიადსა ვიქმთ წარსაგებელსა
და შრომასა, არა ჯერ-არსა, რათა სრულიად ჯორცნი ჩუენნი
ძოვაკუდინნეთ და წარვწყმიდნეთ, რათა საუკუნესა მას მო-
ვიგოთ სოფელი დიდებულისა? და იგი ნათელი თუალშეუდ-
გამი არს, რამეთუ აქა ჭირი გვკმს და შფოთნი და საშჯელ-
ნი და შურნი სხუათა თანა, ხოლო მუნ არარაჲ არს ესევი-
თარი: არცა შური, არცა ჯდომაჲ, არცა საშჯელი ზღვართათვს.
და ამის სოფლისა საყოფელთა უეჭუელად დატევებაჲ თანა-
გუაც, ხოლო იგი საუკუნოდ ჰგიეს; და ესე ყოველი წარკდეს,
ხოლო იგი დაუძუელებელ არს. ამას, გლახაკი თუ იყოს, ვერ
მოიგებს, ხოლო მისი ორითა დანგითა შესაძლებელ არს მო-
გებაჲ, ვითარცა ქურივმან მან ქმნა. ამისთვის მწუხარე ვარ,
რომელ ესეოდენნი კეთილნი ჩუენდა წინამდებარე არიან და
ჩუენ ესრეთ უდებ ვართ. რათამცა აქა ბრწყინვალენი სახლ-
ნი აღვაშენენით, მოსწრაფე ვართ, ხოლო მუნ არა გუნებავს,
რათამცა მცირეცა საყოფელი მოვიგეთ. რამეთუ სადა გი-
ყუარს ყოფაჲ შენ: სოფელსა ამას, ქალაქსა სამეუფოსა. ანუ
ადგილსა უდაბნოსა? არა სამეუფოთა მათ საყოფელთა შინა
გიჩრევიეს ყოფაჲ? ხოლო მე წარგიყვანებ შენ ქალაქად, რო-
მლისა გელოვანი და აღმაშენებელი უფალი არს. მუნ, გევედ-
რები, რათა აღაშენო მცირედითა საფასითა და მცირედითა
შრომითა სახლი, რომელსა უფლისა კელნი აღაშენებენ და
იგი არს ქეშმარიტი მონაგები, ხოლო ამის სოფლისაჲ ყოვე-
ლივე ცუდ არს და ამო და საქმეცა უგულისხმოებისაჲ.
ძითხარდა, უკუეთუმცა ქუეყანასა სპარსეთისასა მიგიყვანა ვინ
ხილვად ქუეყანისა მის და მასვე ყმსა მოქცევად, და მერმე-
ცა გეტყოდა აღშენებად მუნ სახლთა და ტაძართა დიდთა,
არამცა აბრალეა უგუნურებასა მისსა, რამეთუ ესრეთ ამოღსა
წარსაგებელისა ყოფასა გაწუევის? ვითარ უკუე აქა იქმ სო-

ფელსა შინა, რომელი შემდგომად მცირედისა უამისა წარსლ-
 ვად ხარ ამიერ? ანუ იტყვა, თუ: „შვილთა დაუტეო?“ არა-
 მედ მათცა დატევაბა თანა-აც ყოვლისაჲვე მცირედ შეძლ-
 გომად შენსა და ნუუკუე უწინარეს შენსაცა დაუტევეონ და
 არს ესე ყოველი შრომაჲ ცუდი. ხოლო მუნ ესევეითარი არა-
 რაჲ არს, არამედ შეურყეველ არს მონაგები, რომელი-იგი
 შოგოს, მის მონაგებისა მმარხველი ქრისტე არს. ამას მონა-
 გებსა ზრუნვანი და საურავანი არა უკმან, რამეთუ რაჲმს
 ღმერთი იყოს მოქმედ საქმესა, რადღა საჯმარ არს ზრუნვაჲ
 და ჭირი, რამეთუ იგი ყოველსა საფასესა შენსა, რომელ
 მისცე გლახაკთა, აღიღებს და აღვიშენებს მუნ სახლსა. და
 არა ესე ოდენ არს საკვრელი, არამედ უფროხსად ესეცა,
 რომელ ესევეითარსა აღაშენებს, ვითარი შენდა სათნო იყოს,
 რამეთუ გელოანი არს კეთილი და ფრიად ეწყალი შენ. და
 უკუეთუ გლახაკ იყო და აღაშენებდე სახლსა მას, არა მოი-
 წიოს შენ ზედა სხუათა მიერ შური, რამეთუ არავინ ხედავს
 მას მოშურნეთაგანი, არამედ ანგელოზნი ხედევენ მას, რომელ-
 თა ფრიად უხარის კეთილი შენი, და მეზობელ შენდა არა
 არიან კაცნი ბოროტნი, არამედ წმიდანი იგი და კეთილნი:
 პეტრე და პავლე და იოანე და მსგავსნი მათნი წინამსწარ-
 მეტყუელნი, მოწამენი, ანგელოზნი და მთავარანგელოზნი.
 ამისთვის უკუე, ძმანო, წარვაგოთ ჩუენი ყოველივე გლახაკ-
 თა ზედა, რადთა ესევეითარნი იგი საყოფელნი ვპოვნეთ, რო-
 მელთაცა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევეად მადლითა და
 კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომ-
 ლისა მიერ და რომლისა თანა მამასა შუენის დიდებაჲ სუ-
 ლით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე,
 ამენ.

თ ა ვ ი 6 ზ

ს ი ტ ყ უ ა ჲ ე ს ე: და ვითარცა ესე თქუა, ჰნერწყუა ქუე-
 ყანასა და შექმნა თიკაჲ ნერწყუსაგან და სცხო თიკაჲ იგი.
 თუალთა მის ბრმისათა და ჰრქუა მას: „წარვედ და იბანე სა-
 ბანელსა მას სილოამისასა“ (9,6—7).

რომელსა ენებოს სარგებელი წერილთაგან, მას არა უკმს,
 რადთამცა ერთსაცა სიტყუასა მცირესა თანა წარჰკედეს. და

ამისთვის ბრძანებულ არს, რაათა გამოვეძიებდეთ წიგხთა, რამეთუ იპოებიან მრავალნი სიტყუანი, რომელნი ადვილად ჩნდიან და აქუნ ფრიადი ძალი დაფარული მას შინა, რამეთუ იხილე, ვითარი არს ესეცა სიტყუად, რომელ აწ აღმოვიკითხეთ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : და ვითარცა ესე თქუა, **ჰნერწყუა ქუეყანასა** (9,6). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რომელი თქუა, რომელ იტყუს, ვითარმედ: „ვითარცა თქუა ესე“, ესე იგი არს, ვითარმედ რაათა გამოჩნდეს დიდებად ღმრთისაჲ და ვითარმედ, ჩემდა ჯერ-არს საქმედ საქმისა მომავლინებელისა ჩემისასა, რამეთუ ამისთვის მომავსენნა ჩუენ მახარებელმან პირველთქუმულნი იგი, რაათა გამოაჩინოს, ვითარმედ სიტყუად თუნი საქმეთა მიერ სარწმუნო-ყო. ხოლო რაჲსათუს არა წყლითა შექმნა, არამედ ნერწყუთა თიჯად იგი? ამისთვის, რამეთუ ეგულეზოდა წარვლენად სილოამს და რაათა არა წყაროსა მას ვინმე მიაჩემოს საქმჲ იგი, არამედ, რაათა საცნაურ იყოს, ვითარმედ რომელმან მან, რომელი-იგი პირისაგან მისისა გამოვიდა, მან აღუხილნა თუალნი ბრმისანი. ამისთვის ნერწყუთა შექმნა თიჯად. და კუალად, რაათა არაეინ ჰგონებდეს, თუ ქუეყანისაჲ იყო საქმჲ იგი, ამისთვის უბრძანა დაბანაჲ; ხოლო რაჲსათუს მეყსეულად არა ქმნა საქმე იგი, არამედ სილოამად წარავლინა? ამისთვის, რაათა სცნა ბრმისა მის სარწმუნოებაჲ და რაათა დაეყოს პირი ჰურიათა უმაღლოებასა და უგულისხმოებასა, რამეთუ ვიდრემდის წარ-მცა-ვიდოდა სილოამს, არამცა მრავალთა ეხილვა თიჯითა მოცხებული? და ყოველნი ზედვიდეს, მეცნიერნიცა და უმეცარნიცა; რამეთუ ვინაფთგან არა ადვილ არს ბრმისა თუალთა ახილვისა ცნობაჲ, ამისთვის შორითა მით გზითა მრავალთა ჰყოფს მოწამე და მხილველ საკვრეელებისა მის, რაათა ვერღარაეინ იტყოდის, თუ ხუუკუე არა ესრე არს. და კუალად ამას ყოველსა ზედა მასცა მოჰსწავებდა, ვითარმედ არა უცხო არს შჯულისაგან, ვინაფთგან სილოამს წარავლინა, რამეთუ ესე არა საეჭუეელ იყო, თუ ნუუკუე სილოამმან მიიღოს დიდებაჲ იგი სასწაულისაჲ მის, რამეთუ მრავალგზის განბანილ იყვნეს მუნ ბრმანი და არარაჲ ესევეითარი იპოვა, არამედ მუნცა ძალუ ქრისტესი იყო. ამისთვის თარგმანებაჲცა სახელისაჲ შესძინა მახარე-

ბელმან, ვითარმედ რომელი ითარგმნების მოვლინებულად, ვითარცა მოციქული იტყვს, ვითარმედ: „სუმიდეს სულიერისა მისგან კლდისა, რომელსაცა შეუდგეს“, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე. ვითარცა უკუე კლდე იყო ქრისტე სულიერი, ეგრეთვე სილოამი არს სულიერი და, მე ვჰგონებ, ვითარმედ მეყსეულად მოსლვაჲ იგი წყლისაჲ მის მოასწავებს საიდუმლოსა დაფარულსა, რომელ არს მოულოდებლობაჲ იგი გამოჩინებისა მისისაჲ, არამედ იხილე ბრმისა მის გონებაჲ ყოველსა ზედა მორჩაილი, რამეთუ არა თქუა ყოლადვე, ვითარმედ: „უკუეთუ თიჯაჲ ესე არს და ნერწყუაჲ, რომელმან აღმიხილნეს თუალნი, რადლა საცმარ არს ჩემდა სილოამ? ხოლო უკუეთუ სილოამი საცმარ არს, რად საცმარ არს ნერწყუაჲ ესე და თიჯაჲ რაჲსათჳს მცხო, ანუ რაჲსათჳს მიბრძანა დაბანაჲ?“ გარნა არარაჲ თქუა ესევითარი, არამედ ერთისა საქმისა მიმართ ოდენ განმზადებულ იყო, რაჲთამცა ყოველსა ზედა ბრძანებული მისი აღასრულა უკუეთუ კულა ვინ იტყოდის, თუ „ვითარ მოიჯადა რაჲ თიჯაჲ იგი; მაშინ აღიხილნა, ვინაჲთგან იგი იყო თუალთა მისთა აღმასრულებელა“, არარაჲ სხუაჲ ვჰრქუა მას, გარნა ესე, ვითარმედ: „ჩუენ არა უწყით, თუ ვითარ იქმნა“. და რაჲ საკვრველი არს, უკუეთუ ჩუენ არა უწყით, რამეთუ არცა თუ მახარებელმან უწყოდა საქმე იგი, არცა თუთ განკურნებულმან მან, არამედ საქმე იგი უწყოდა, ხოლო თუ ვითარ იქმნა, არა იცოდა. და ამასთჳს ჰკითხვიდეს რაჲ, ეტყოდა, ვითარმედ: „თიჯაჲ მცხო და დავიბანე და აწ ვხედავ“. ხოლო, თუ ვითარ იქმნა, ესე ვერ შემძლებელ იყო თქუმაღ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ხოლო მოძმენი და რომელთა იგი ეხილვა პირველ, რამეთუ მთხოველ იყო, იტყოდეს: „არა ესე არსა, რომელი ზინ და ითხოვნ?“ და სხუანი იტყოდეს: „ესე არს“. ხოლო რომელნიმე იტყოდეს. „არა, არამედ მსგავსი მისი არს“ (9,8-9). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ საკვრველებამან მან საქმისამან ურწმუნობადცა მოიყვანნა იგინი ესეოდენტა მათ საქმეთა ზედა, რომელი იქმნნეს არა ურწმუნოქმნისათჳს, ხოლო იგინი იტყოდეს: „არა ესე არსა, რომელი ზინ და ითხოვნ?“ ეჰა, ღმრთისა კაცთმოყუარებაჲ, ვითარ ესრეთ მთხოველთა მათ და უნდოთა ყოველითა მოსწრაფებითა განჰ-

კურნებდა, რამთამცა ამასცა ზედა ჰურიანი სირცხულელ-
ყვნა, ვითარმედ არა მთავართა და დიდებულთა, არამედ გლე-
ხაკთაცა და უნდოთა მასვე ლუაწლსა ღირს-ჰყოფდა, რამეთუ
ყოველთა ცხოვრებისათჳს მოსრულ იყო იგი. ხოლო რაჟამს
იგინი იჭუეულ იყვნეს, მან თქუა, ვითარმედ: „მე ვარ“,¹ არა
პრცხუნესა მას პირველისა მის სიბრმისა მისისათჳს? არცა
შეშინდა მათისა გულისწყრომისაგან, არცა ინება ქადაგებამ
ქველ-სსაქმისამ მის.

სახარებაჲ: ჰკითხვიდეს მას: „ვინ აღვიხილნა თუალნი
შენნი?“ **პრქუა მათ:** „კაცსა რომელსა პრქუან იესუ“
(9,10-11). **თარგმანი:** რასა იტყუ, კაცი იქმსა ესევეთარსა
საქმესა? არამედ არარამ იცოდა ჯერეთ დიდისა მისთჳს, არა-
მედ ოდენ იტყოდა, ვითარმედ: „ქმნა თიჯამ და მცხო თუალ-
თა ჩემთა“. იხილე, ვითარ ჰეშმარიტებისმეტყუელ იყო, რამე-
თუ არა თქუა, თუ სადამთ შექმნა, რამეთუ რომელი არა
უწყის, არა იტყუს, რამეთუ არა ეხილვა მას, თუ ქუეყანასა
ზედა ჰნერწყუა, არამედ ოდენ ცხონებამ იცოდა მან.

სახარებაჲ: „და მრქუა მე, წარვედ სილოამდ და
დაიბანე!“ (9,11). **თარგმანი:** და სადამთ იცნობდა ჯმასა
ძისსა? სიტყუათაგან მისთა, რომელთა მოწაფეთა მიმართ იტ-
ყოდა, და ამას ყოველსა უთხრობდა და სახესა განკურნებისა
მისისასა ვერ იტყოდა. ხოლო უკუეთუ ხილულთა ამათ ზედა-
სარწმუნობამ ჯერ-არს, ვითარ არა უფრომსად უხილავთა
ზედა ჯერ-არს სარწმუნობამ?

სახარებაჲ: პრქუეს მას: „სადა არს იგი?“ (9,12).
თარგმანი: რამეთუ განძნებულ იყვნეს მრჯისხანებითა
მისა მიმართ, ხოლო იხილეთ, ვითარ არაოდეს არს ქრისტე
განკურნებულთა მათ თანა, რამეთუ არა ეძიებდა იგი დიდე-
ბასა ერისაგან. ხოლო იხილე ბრმისაგან, ვითარ ყოველსავე
ჰეშმარიტებით იტყუს, არამედ მათ ენება, რამთამცა ქრისტე
ეპოვნა და იგიცა მიეყვანა მღდელთმოდღუართა მიმართ, ვი-
ნამთგან უკუე იგი ვერ პოვეს, ამისთჳს ბრმამ იგი მოიყვანეს
ფარისეველთა მიმართ, რამთამცა მათ უფიცხლესადრე ჰკით-
ხეს, რამეთუ ამისთჳს მახარებელი მოასწავებს. ვითარმედ

„შაბათი იყო“,¹ რა მთავარადა ბოროტი იგი ვნებამ მათი გამოა-
ჩინოს და მიზეზიცა, თუ რა მათს ეძიებდეს, რა მთავარადა სას-
წაული იგი შეასმინეს, ვითარცა არა ჯამსა საგონებელითა მით
მჭულისა გარდასლვითა. და ესე ამის მიერ საცნაურ არს,
რომელ იხილეს რამ იგი, არა რამ სხუად ჰკითხეს, გარნა ვი-
თარმედ: „ვითარ აღვიხილნა თუალნი შენნი?“ იხილე, ვითარ
არა იტყვან, თუ: „ვითარ აღვიხილენ?“ არამედ: „ვითარ აღვი-
ხილნა თუალნი შენნი?“ რამ მთავარადა მისცეს მიზეზი შესმენი-
სად, ვითარ შაბათსა შინა მოქმედისა. ხოლო მან, ვითარცა
პირველ ეთქუა, არღარა თქუა სახელი, არამედ ოდენ მოკლედ
მიუთხრა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „თიკად დამღვა თუალთა ჩემთა და დავიბა-
ნე და აწ ვხედავ“ (9,15). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** საცნაურ არს, ვი-
თარმედ პირველ ფრიადნი შესმენანი ეთქუნეს ჰურიათა
ქრისტესთვის, ვითარმედ: „აჰა, ესერა, იესუ ესე ვითართა საქ-
მეთა იქმს, რომელ შაბათსა თიკასა სცხებს“. ხოლო შენ იხი-
ლე, ვითარ არა შეშფოთნა, არცა შეძრწუნდა ბრმად იგი, რა-
მეთუ რაჟამს-იგი პირველ იტყოდა, არა ესრეთ საკრველ
იყო, ხოლო რაჟამს-იგი ესე ვითარსა შიშსა მოიყვანეს, არ-
ცა წინააღმდეგომი პირველთა სიტყუათად თქუა, რამეთუ ჰუ-
რიათა მოიყვანეს იგი ფარისეველთა წინაშე, რამ მთავარადა უარ-ყო,
ხოლო მან უმეტესად ქადაგა, და ყოველსავე სასწაულსა ზედა
ესე შეემთხუევის მათ და ქუემორე უმეტესად გამოვაცხადოთ
ესე. ხოლო იხილე ფარისეველთა საქმე, რამეთუ იტყოდეს
ვინმე უფიცხლესრე:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „ესე კაცი არა არს ღმრთისაგან, რამეთუ
შაბათსა არა იმარხავს“. **ს ხ უ ა ნ ი** იტყოდეს: „ვითარ კელ-
ეწიფების კაცსა ცოდვილსა ესე ვითარისა სასწაულისა კმნად?“
(9,16) **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ხედავა, რამეთუ სასწაულთა მიერ
ძოდრკებოდეს, და ისმინე, რასა იტყვან, რომელთა-იგი
პირველ წარავლინეს შეპყრობად მისა? აწ იტყვან, დაღაცათუ
არა ყოველნი, რამეთუ მთავარნი იყვნეს და დიდებისმოყუა-
რებისაგან ურწმუნოებად მოვიდეს, გარნა მრავალთა ჰრწმენა
მთავართაგანთა მისა მიმართ და არა აღიარებდეს. და კუა-

¹ იოან. 9,13

ლად სიმრავლე იგი ერისაჲ შეურაცხ იყო და ვერ კადნიერ იქმნებოდა და მათ შიშისაგან ვერ შეეძლო კადნიერებით თქუმაჲ, ხოლო მთავართა — დიდებისმოყუარებისაგან. და ამისთვის ეტყოდა, ვითარმედ: „ვერ ძალ-გიც რწმუნებად, რომელ დიდებასა კაცთაგან მიიღებთ“ და იგინი, რომელნი ეძიებდეს უსამართლოებით მოკლვად, იტყოდეს, ვითარმედ: „ღმრთისანი ვართ“, ხოლო მკურნალსა მას ბრმათსა ეტყოდეს, ვითარმედ: „არა ღმრთისაგან არს, რომელ შაბათსა არა იმარხავსო“. ხოლო ამის სიტყუსა მიმართ თქუეს მათ: „ვერ კელ-წიფების კაცსა ცოდვილსა ესევითარისა სასწაულისა ქმნად“, რამეთუ იგინი ბოროტისმოჭმედებით სასწაულსა მას დაიდუმებდეს და გარდასლვად შჯულისა შერაცხილსა მას საქმესა შორის შემოიღებდეს, რამეთუ არა იტყოდეს, თუ „შაბათსა შინა ჰკურნებს“, არამედ „შაბათსა არა იმარხავსო“. და კუალად ესენი უძლურებით იტყოდეს, რამეთუ თანადედა, რადამცა უჩუენეს, ვითარმედ არა დაიკსნების შაბათი, გარნა იგინი ოდენ სასწაულთათვის იტყუან, რამეთუ ჯერეთ კაცად ჰგონებდეს მას, თუ არა თუმცა ესე არა იყო, ძალ-ედვა-ახითა სახითაცა მიგებად, ვითარ უფალი იყო შაბათისაჲ და მან ქმნა იგი, გარნა არარაჲ აქუნდა ესევითარი მონებაჲ დავერვინ იკადრებდა მათგანი ცხადად თქუმად რაჲსაჲ, რად იგი იცოდეს მისთვის, არამედ იჭუეულად, რომელნიმე შიშისაგან, რამეთუ არა აქუნდა კადნიერებაჲ, და რომელნიმე — მთავრობისმოყუარებისაგან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : რამეთუ ცილობაჲ იყო მათ შორის (9,16).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ამან ცილობამან პირველ იწყო ერსა შორის და მერმე მთავართაცა შორის შევიდა, და რომელნიმე იტყოდეს: „კეთილ არს იგი“, და სხუანი იტყოდეს: „არა, არამედ აცთუნებს ერსა“. ჰხედავა, ვითარ უგულისხმო იყვნეს მთავარნი იგი, რამეთუ არარაჲ ახოვანებაჲ აჩუენეს, არამედ მესსა შინა კუალად ფარისეველთავე შეეყვნეს, თუ არა, უკუეთუმცა სრულიად განყოფილ იყვნეს მათგან, ეცნამცა ჰეშმარტებაჲ ადრე, რამეთუ იქმნების კეთილგანწყობილებაჲ. ამისთვისცა უფალი იტყოდა: „არა მოვედ მიფენად მშუდობისა ქუეყანასა ზედა, არამედ მახვლისა“,¹ რამეთუ არს

¹ მათ. 10.34

კეშმარტი ერთობა და არს კეთილი განყოფილება, რამეთუ რომელნი-იგი გოდოლსა მას აღაგებდეს, შე-ვე-ერთნეს ბოროტსა ზედა და იგინივე კეთილად, დაღაცათუ უნებლიათ, არამედ განიყვნეს კუალად, და კუალად კორეს თანა მყოფნი იგინი ბოროტად შეიერთნეს, ამისთვის კუალად კეთილად განიყვნეს. და იუდა შეერთო ჰურიათა ბოროტად. არს უკუე განყოფილება კეთილი და არს შეერთება ბოროტი და ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ თუალი შენი დაგაბრკოლებდეს, აღმოიღე იგი, ანუ თუ ფერკი შენი დაგაბრკოლებდეს, მოიკუეთე იგი“.¹ ხოლო უკუეთუ ასოხსა ბოროტად შეერთებულისაგან განკუეთა კეთილ არს, არა უფროხსად მეგობართაგან, ბოროტად შეერთებულთა, განყოფა კეთილ არსა? ამისთვისცა არა ყოლადვე კეთილ არს ერთობა, ვითარცა-იგი განყოფილება არა კეთილ არს ყოველსა ზედა.

ს წ ა ვ ლ ა მ ნ ზ

ვითარმედ ჭერ-არს სივლტოლა ბოროტთაგან

ხოლო ამას ყოველსა ამისთვის ვიტყვ, რათა ვივლტოდით ბოროტთაგან და შევეყოფვოდით კეთილთა, რამეთუ, უკუეთუ დამპალსა და უკურნებელსა მოვიკუეთოთ, ნუუკუე სხუამანცა გუამმან იგივე ვნება შეიწყნაროს, არა უფროხსად უკეთურებისა სენითა შეპყრობილთა ზედა ჭერ-არსა ამისი ქმნა, რომელნი ვიხილნეთ, ვითარ უკურნებელ არიან? რამეთუ, უკუეთუ ძალ-გუედვას მათცა განმართება და ჩუენი არა ვნება, კეთილ არს ესე და თანა-გუაც ამისი ქმნა. უკუეთუ კულა იგინი იყვნენ უკურნებელ და მოუდრეკელ და ჩუენი გუავნებდენ, კეთილ არს მაშინ მოკუეთა მათი ჩუენგან და ძრავალგზის ამით საქმითა უფროხსად ერგის მათ. ამისთვისცა მოციქულ იტყოდა: „აღმოფხუართ უკეთურება თქუენგან“

¹ მარკ. 9,45; მათ. 18,8-9

და კუალად, ვითარმედ: „რადთა აღმოიფხურას თქუენგან, რომელმან ესე საქმე ქმნა“, რამეთუ ბოროტ არს ბოროტთა თანა ერთობაჲ, რამეთუ ვერცა ერთი სენი შემძლებელ არს ესრეთ შეხებად მახლობელთა მისთა, ვითარ ბოროტთა კაცთა თანა ყოფაჲ მავნებელ არს, რამეთუ განზრწინი წესი კეთილი ზრახვათა ბოროტთა. ნუმცა ვის აქუს უკუე მეგობარი ბოროტი, ხოლო უკუეთუ ძენიცა უკეთურნი გუესხნენ, განვაგდოთ და არა ვპრიდებდეთ ბუნებასა, არცა შჯულსა ბუნებისასა და შეილობისასა. არა უფრომსად მეგობართაგან ჯერ-არსა სივლტოლაჲ, უკუეთუ ბოროტნი იყვნენ? რამეთუ დაღაცათუ ერთიცა ვნებაჲ არა შემოგუეხოს მათგან, არამედ ბოროტსა იჭუსა ვერ განვერნეთ, რამეთუ გარეგანნი იგი არცა ცხორებასა გამოეძიებენ, არამედ თანაყოფთაგან განგვკითხვენ. ამას ყოველთავე ვამცნებ, რამეთუ ჯერ-არს განზრახვაჲ კეთილისაჲ და ქმნაჲ წინაშე ღმრთისა და წინაშე კაცთა. ვისწრაფოთ უკუე ყოვლით კერძო არა დაბრკოლებად მოყუსისა, რამეთუ დაღაცათუ ცხორებაჲ ჩუენი კეთილ იყოს და სხუათა დააბრკოლებდეს, ყოველივე წარუწყმედიეს. ხოლო ვითარ დააბრკოლებს კეთილი ცხორებაჲ სხუათა? ესრეთ, რაჟამს უკეთურთა თანა შეერთებამან ბოროტი იჭვ მოატყუას მას, რამეთუ, რაჟამს ჩუენ მინდობილ ვიყვნეთ თავთა ჩუენთა და ვიყოფებოდით უკეთურთა თანა, დაღაცათუ ჩუენ არა გვეცნოს, არამედ სხუათა ვავნებთ. ამას ყოველთა ვეტყუ, რადთა გულისხმა-ვყოთ, თუ რადზომი ბოროტი იშვების ამის საქმისაგან, რამეთუ დაღაცათუ მე არა მეცნოს, ანუ სხუასა ვისმე მეცნიერსა, არამედ უძლური და უმეცარი ძმაჲ იპოების და ევნებოს. და ჯერ-არს ამისიცა უძლურებისათუ დაბრკოლებად, დაღაცათუ ქრისტიანესა არა ეცნოს, არამედ წარმართმან იხილოს და ეცნოს, ხოლო მოციქული იტყუს, ვითარმედ: „დაუბრკოლებელ ვიყვნეთ ჰურიათაცა მიმართ და წარმართთა“. და ესრეთ ჯერ-არს, რადთა განვაგნეთ თავნი ჩუენნი, რადთა არცა ურწმუნოთაგანსა ვისმე აქუნდეს ჩუენ ზედა სიტყუაჲ ვნებისაჲ და, ვითარცა კეთილისმოქმედნი, აღიდებდენ ღმერთსა ცხორებითა მათითა, ეგრეთვე, რომელთა არა აქუნდეს ცხორებაჲ ჯეროვანი, გმობად-სცებენ სახელსა ღმრთისასა, არამედ ნუ იყოფინ, რადთამცა ესევეითარი ვინ

იყო ჩუენგანი! გარნა ესრეთ ვისწრაფოთ გამობრწყინებად საქმეთა ჩუენთა, რაჲთა იდიდოს მამაჲ ჩუენი ზეცათაჲ და მის მიერ დიდებაჲ მოვილოთ, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევედ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა შუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ნ მ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : ჰრჩუეს მას, რომელი იყო პირველ ბრმაჲ: „შენ რასა იტყუ მისთვის, რამეთუ აღგიხილნა თუალნი შენნი?“ ხოლო მან ჰრჩუა: „წინაისწარმეტყუელი არს“ (9,17).

წერილთაჲ არა ჯერ-არს გარეწარად კითხვაჲ, არამედ ფრიადითა მოსწრაფებითა, რაჲთა არა ვსცთებოდით, რამეთუ, აჰა, ესერა, აჰაცა საკვრველებად მიჩნს, თუ ვითარ თქუენს რაჲ, თუ „ესე არა არს ღმრთისაგან, რამეთუ შაბათსა არა იმარხავს“, კუალად ჰკითხეს მას, ვითარმედ „რასა იტყუ მისთვის, რამეთუ აღგიხილნა თუალნი შენნი?“ და არა იტყუან, თუ: „შენ რასა იტყუ მისთვის, რამეთუ დაჰქსნა შაბათი“. რაჲ ვთქუათ უკუე აჰა? რამეთუ განმართლებისა მისისა სიტყუაჲ შესმენისა წილ დადვეს, გარნა ამას ვიტყუ, ვითარმედ არა იგინი არიან, რომელთა-ესე ჰკითხეს, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: „ესე არა ღმრთისაგან არს“, არამედ იგინი არიან, რომელთა თქუეს, ვითარმედ: „კაცი ცოდვილი ესევითართა სასწაულთა ქმნად ვერ შემძლებელ არს“, რამეთუ ენება მათი უმეტესად შერცხუნებაჲ და რაჲთა არავინ თქუას, თუ მას შესწევენ, ამისთვის, რომელი-იგი გამოცდილ იყო ძალსა მისსა, შორის შემოიყვანეს და ჰკითხეს. ხოლო იხილე გლახაკისა მის სიბრძნე: რამეთუ ყოველთასა უმჯობესად და უმეცნიერესად მიუგო პირველად და თქუა, ვითარმედ: „წინაწარმეტყუელი არს“ და ვერ შეაშინა იგი განდრეკილთა მათ ჰურიათა საშჯელმან, რომელნი სიტყუასა უგებდეს და იტყოდეს: „ვითარ იყოს ესე ღმრთისა მიერ, რომელი შაბათსა არა იმარხავს?“

სახარება: არა ჰრწმენა მისთვის ჰურიათა, ვითარმედ ბრმა იყო და აღიხილნა (9,18). თარგმანი: ვითარმედ უწოდეს მშობელთა მისთა და იხილე, თუ რაოდენითა სახითა კელ-ყვეს სასწაულისა მის განქარვებად; არამედ ბუნებაჲ ქეშმარიტებისაჲ ესრეთ არს, რომელ რაჲზომცა ენებოს ვის მისი დაფარვაჲ, უმეტესად გამობრწყინდების, რამეთუ ამით-ცა ჰურიათა ენება დაფარვაჲ მისი და ვითარმცა ნებსით ისწრაფდეს განცხადებად, ესრეთ იქმოდეს, რამეთუ პირველ ჰკითხეს მას, ვითარმედ: „ვითარ აღიხილნა თუალნი შენნი?“ რაჲთამცა ბოროტი რაჲმე დასწამეს, ვითარცა სხუასა ადგილსა. ვინაჲთგან არარაჲ აქუნდა სიტყუაჲ, თქუეს, ვითარმედ: „ბელზებულითა განასხამს ეშმაკთა“¹ და აქაცა, ვინაჲგან არარაჲ აქუნდა სიტყუაჲ, თქუეს, ვითარმედ: „შაბათსა დაჰქსნის“ და კუალად, „ცოდვილი არსო“. ეჲა, დაბრმობილნო! რაჲმს-იგი აღტყინებულ იყვენით გულისწყრომითა, არა გკითხა ყოველთა ზოგად, ვითარმედ: „ვინ თქუენგანი მამხილებს მე ცოდვისათვს?“ და ვითარ ვერარაჲ ვინ თქუა თქუენგანმან, ამხილა, რამეთუ, უკუეთუმცა გაქუნდა რაჲ სიტყუაჲ, არამცა დასდუმენით და რომელთა-ეგე გესმა რაჲ, ვითარმედ: „აბრაჰამისა პირველ არს“ და გენება მისი ქვისა დაკრებაჲ; და იტყოდა, ვითარმედ: „არა ღმრთისაგან არს“. და თავთა თქუენთა ღმრთისად სახელ-სდებდით, კაცისმკლველნი ეგე, და მას, რომელმან ესეზომნი სასწაულნი ქმნა, ეტყოდით, ვითარმედ: „არა ღმრთისაგანი არს“. თქუენ უკუეთუმცა გაქუნდა რაჲ აჩრდილიცა ცთომისაჲ, არამცა დასდუმენით. ხოლო, რაჲმს-ესე შესმენაჲ შაბათისაჲ ვერ დაამტკიცეს და ყოვლით კერძო მოუძღურდეს; მერმე სხუსა უკეთურებისა მიმართ მივიდეს და უძვრესი და უუგუნურესი მოიგონეს, ესე იგი არს, ვითარმედ: „არა ჰრწმენაო, თუ ბრმაჲ იყო და აღიხილნა“, ხოლო ვითარ თქუეს, ვითარმედ „შაბათსა არა იმარხავს“, საცნაურ არს, ვითარმედ, რამეთუ ჰრწმენა და ყოველნი იგი მორწმუნენი და მეცნიერნი იტყოდეს მისთვის, არამედ, ვითარცა ვთქუ, მარადის ტყუვილი თავსა თვისსა ავნებს და ქეშმარიტებასა ვერ დაჰფარავს, არამედ უფროჲსად განაბრ-

¹ მათ. 12.24

წყინებს, ვითარცა აწ იქმნა, რამეთუ, რადთა ვერვინ იტყოდის, ვითარმედ: „ნუუკუედა არა იგი იყო?“ ამისთვის იქმნა ცხად მოწოდებითა მით მშობელთა მისთადათა დაფარვად, რამეთუ მშობელთა აღიარეს, ვითარმედ, იგი იყო ბრმაჲ შვილი მათი, რამეთუ ვინადათგან იგი ვერ შეაშინეს, არამედ კადნიერად ქადაგებდა, მერმე მშობელთა მიერ ინებეს სასწაულისა მის ენებაჲ და იხილე კითხვისა მათისა სიბოროტე, რამეთუ დაადგინეს იგინი შორის მათსა, რადთამცა შეაშინეს და იწყეს გულისწყრომით კითხვად:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ესე არს ძე იგი თქუენი, რომლისაჲ თქუენ სთქუთ, ვითარმედ ბრმაჲ იშვა?“ (9,19). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და არა თქუეს, თუ „რომელი-იგი ოდესმე ბრმაჲ იყო“, არამედ „რომლისაჲ თქუენ სთქუთო, ვითარმედ: ბრმა იშვა“. ესრეთ ბოროტებით და უკეთურებით ჰკითხვიდეს. შ, შეგინებულნო და ყოვლად ბილწნო! რომელმანცა მამამან ინება ტყუვილით ესევითარისა საქმისა თქუმად შვილისათს თვისისა, რამეთუ რომელი თქუენ სთქუთ: „თუ ბრმაჲ არს, ვითარ აწ ხედავს?“ შ, უგუხურებაჲ ესე! თქუენ ტყუვილ სთქუთო ესე საქმე, რამეთუ ამით ორითა ენება მოყვანებაჲ მათი უარის-ყოფად, ერთად, რამეთუ სთქუთო, ვითარმედ: „ბრმაჲ იშვა“ და, მეორედ, ვითარმედ: „და აწ ვითარ ხედავს?“ სამნი უკუე კითხვანი იქმნეს: ერთად, თუ ძე არს მათი და მეორედ, თუ ბრმაჲ იშვა და მესამედ, ახილვისაჲ, ხოლო მათ ორნი იგი აღიარნეს და მესამე დაიდუმეს. და ესეცა უმეტესისა ჭეშმარიტებისათს იქმნა, რადთა არა სხუად ვინ, არამედ თვთ განკურნებული; ვითარცა უსარწმუნოესი, აღიარებდეს საქმესა მას, რამეთუ მშობელთა მათ ვითარმცა თქუეს რამე ტყუვილით, რომელთა ჭეშმარიტებაჲცა დაიდუმეს შიშისათს ჰურიათაჲსა და თქუეს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ვიცით, რამეთუ ესე არს ძე ჩუენი, და რამეთუ ბრმაჲ იშვა, ხოლო ვითარ ხედავს, ჩუენ არა ვიცით, ანუ ვინ აღუხილნა მაგას თუალნი, ჩუენ არა უწყით, მაგას ჰკითხეთ, ჰასაკი აქუს“ (9,20—21). **ს ა რ გ მ ა ნ ი :** სარწმუნოდ გამოაჩინეს იგი და ესრეთ დახილუმეს, რამეთუ არა არს ბრმაჲ და არცა უგუხური, არამედ შემძლებელი წამებად თავისა თვისისათს, ხოლო ესე თქუეს შიშისათს ჰურიათაჲსა;

ხოლო იხილე კუალად, ვითარ გონებად მათი მახარებელმან გამოაცხადა, ვინამთგან უკუე მათ განკურნებულისა მის მიავლინეს. ამისთვის მოუწოდეს მას მეორედ და ესრეთ ცხადად და ურცხვნობით არა თქუეს, თუ: „უარ-ყავ, ვითარმედ ქრისტემან განკურნა“, არამედ სახითა, ვითარცა კეთილისამთა, ენება ქმნად ამის საქმისაჲ, რამეთუ ჰრქუეს: „მიეც დიდებად ღმერთსა“, რამეთუ, უკუეთუმცა მშობელთა მისთათა ეთქუა, თუ: „უვარ-ყავთ, ვითარმედ: არა შვილი თქუენი არს, ანუ თუ: „არა ბრმად იშვა“, სასირცხვნო იყო სიტყუაჲ იგი; და უკუეთუმცა მისდა ეთქუა ესრეთ განცხადებულად, ვითარმედ: „უარ-ყავ, თუ ქრისტემან აღგიხილნა“, ესეცა ცხადი ურცხვნობეჲ იყო. ამისთვის სხვათა ამით სახითა ღონე-ყვეს საქმისა ამის და თქუეს, ვითარმედ: „მიეც დიდებად ღმერთსა და აღიარე, ვითარმედ ამას არარაჲ უქმნიეს“.¹

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ჩუენ ვიცით, რამეთუ კაცი ესე ცოდვილი არს“ (9,24). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვითარ უკუეთუ არა ამხილეთ მას, რაჟამს იტყოდა: „ვინ თქუენგანი მამხილეს მე ცოდვისათს“?² ანუ: „ვითარ უწყით, თუ ცოდვილ არს?“ — რამეთუ სცნა, ვითარმედ ესე არს დიდებისა მიცემაჲ ღმრთისა, და მან არარაჲ თქუა. ქრისტე, შეეშთხვა რაჲ, აქო და არა აბრალა, არცა ჰრქუა, თუ: „რად არა მიეც დიდებად ღმერთსა?“ არამედ ესრეთ ჰრქუა: „გრწამსა ძმ ღმრთისაჲ?“³ რამეთუ სცნა, ვითარმედ ესე არს დიდებისა მიცემაჲ ღმრთისა, რამეთუ ვინამთგან, რომელმან პატივ-სცეს ძესა, იგი არს, რომელი პატივ-სცემს მამასა. ამისთვის სამართლად არა იბრალა ბრმაჲ იგი, ხოლო ჰურიანი ვიდრემდის მოელოდეს მშობელთა მისთა უვარის-ყოფად, არარას ეტყოდეს, ვინამთგან უკუე არარაჲ ერგო მათ ამის საქმისაგან. ამისთვის კუალად მისა მიმართვე მივიდეს, ვითარმედ: „ცოდვილი არსო“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : მიუგო მან და ჰრქუა: „უკუეთუ ცოდვილ არს, მე არა ვიცი, ერთი ესე ვიცი, რამეთუ ბრმაჲ ვიყავ და აწ ვხედავ“ (9,25). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ნუუკუე შეეშინა ბრმასა მას? ნუ იყოფინ! — ივთარ უკუე, რომელი იტყოდა, ვი-

¹ იოან. 9,24

² იოან. 8,46

³ იოან. 9,35

თარმედ: „წინაწარმეტყუელი არს“, აწ იტყუს, ვითარმედ: „უკუეთუ ცოდვილი არს, მე არა ვიცი“? არა თუ ესრეთ აქუნდა გულისსიტყუად, არცა დაირწმუნა ესე, არამედ ენება, რამათაჲცა საქმისა მის წამებითა გამოაჩინა დიდებაჲ მისი და არა თჳსითა სიტყუთა, რამეთუ უკუეთუ შემდგომად მრავალთა სიტყუათასა თქუა, ვითარმედ: „უკუეთუმცა არა ჳეშმარიტი იყო, ამას საქმესა ცოდვილი ვერ იქმს“.¹ და იგინი განრისხნეს და თქუეს: „ცოდვასა შინა შობილ ხარ შენ ყოვლად და შენ გუასწავლი ჩუენ?“² უკუეთუმცა პირველვე ეთქუა, რამცა ექმნა?

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „უკუეთუ ცოდვილი არს, მე არა ვიცი“ (9,25). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ არარას ვიტყუ ჳერეთ ამისთჳს, გარნა ესე უწყი დამტკიცებულად, ვითარმედ: „ცოდვილი ამას საქმესა ვერ იქმს“ და ამისთჳს უეჭუელ და თუალუხუაგ-ყო წამებაჲ მისი, რამათა არა ვითარცა მისი მაქებელი ჩნდეს, არამედ საქმისაებრ წამებდა, ვინათგან უკუე ვერ უძლეს საქმისა მისგან მის განქარვებად, კუალად პირველისავე საქმისა მიმართ მივლენ და სახესა მას კურნებისასა გამოეძიებენ, ვითარცა ძალნი ნადირსა რამ შეყენებულსა გამოეძიებდიან და ყოვლით კერძო მიმოციდოდიან, და ესენიცა პირველთავე სიტყუათა იწყებენ კითხვად. ვითარმედ: „რამ გიყო შენ, ვითარ აღგიხილნა თუალნი შენნი?“³ ზოლო მან, იხილეთ, თუ რამ ყო, ვინათგან სძლია მათ და სცნა და არლარა რიდობით ეტყოდეს, და ვითარ საქმესა მას გამოჩინებაჲ უკმდა, გამოაჩინა რიდობითა სიტყუათათა, ვინათგან უკუე სძლია ძლევეითა ბრწყინვალითა, მიერითგან იწყო მინდობით ზედამისლვად მათდა და ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე გ ა მ: „გარქუ თქუენ და არა გრწამს, რამსაღა გნებაჳს სმენად?“ (9,27). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** იხილუა კადნიერებაჲ მთხოველისაჲ მის კაცთა მიმართ მწიგნობართა და ფარისეველთა? ესრეთ ძლიერ არს ჳეშმარიტებაჲ და ესრეთ უძლურ არს ტყუვილი, რამეთუ, მან უკუეთუ უნდონიცა პოვნეს, ბრწყინვალე-ჰყოფს მათ, ზოლო ესე, დადაცათუ ძლიერ-

¹ შდრ. იოან. 9,31; 933

² იოან. 9,34

³ იოან. 9,26

თა თანა იყოს, უძლურად გამოაჩინებს. ხოლო სიტყუამ ესე ესევეითარი არს, ვითარმედ: „არა ისმენთა თქუმულთა ამათ? არლარა ვთქუა, არცა რაჲ მოგიგო თქუნ“.

ხოლო რომელი-იგი მათ, ვითარცა გინებად, ჰრქუეს, მან ვითარცა პატივი მიიღო, რამეთუ ჰრქუეს მას:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „შენ ხარა მოწაფჳ მისი, ხოლო ჩუენ მოწაფენი მოსესნი ვართ“ (9,28). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ნუ იყოფნი: რამეთუ უკუეთუმცა მოსესნი იყვენით, ქრისტესნიცამცა იყვენით; არამედ არცა მოსესნი ხართ, არცა ქრისტესნი. ამისთვის პირველვე ქრისტჳ ეტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუმცა მოსე გრწმენა, ჩემიცამცა გრწმენა“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ვიცი თ ჩუენ, ვითარმედ მოსეს ეტყოდა ღმერთი; ხოლო ესე არაჲ ვიცით, ვინაჲ არს“ (9,29). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვინაჲ იცი თ, ანუ ვინ ვითხრა მშობელთა ჩუენთაჲო?“ და მშობელთა არა უსარწმუნოეს არსა, რომელიჲ ესეოდენტა სასწაულთა მიერ დაამტკიცებს, ვითარმედ: ღმერთისა მიერ მოსრულ არს და ზეცისასა იტყვს? და არა თქუეს, თუ: „გუჯამიეს“, არამედ: „ვიცი თო“. სმენილსა, ვითარცა ხილულსა, იტყვან ცნობად და, რომელი უხილავს, იგი უდარეს სმენილისა აქუს; რამეთუ იგი არა ეხილვა, არამედ ასმიოდა, ხოლო ესე არა ასმიოდა, არამედ ეხილვა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : მიუგო კაცმან მან, ვითარმედ: „საკრველი ესე არს, რამეთუ თქუნ არაჲ იცი თ, ვინაჲ არს, და მე აღმიხილნა თუალნი ჩემნი“ (9,30). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ კაცი არასაჩინოჲ წინაშე თქუნსა, არცა დიდებულ თქუნს მიერ ეგვეითართა საქმეთა იქმს, ვიდრელა საცნაურ არს ყოვლით კერძო, რამეთუ ღმერთი არს და არცა ერთი ეგმარების კაცთამიერი შეწევნაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ხოლო ესე ვიცით, რამეთუ ცოდვილი საჲ არა ისმინის ღმერთმან“ (9,31). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვინაჲითგან პირველ ეთქუა, ვითარმედ: „ვითარ კელ-ეწიფების კაცს ცოდვილსა ესევეითართა სასწაულთა საქმედ?“ ამისთვის მათსავე სიტყუაჲა მოიღებს და მოაქსენებს მათ, რაჲთა მას ზედა მტკიცე იყვნენ, ვითარმედ, უკუეთუმცა ცოდვილიყო, ვერ იქმს სასწაულთა. ჰხედავა, ვითარ პირველცა, რაჲჲმს იტყოდა, ვითარმედ: „ცოდვილი არს, მე არა უწყი“, არა

თუ იჭუეულად იტყოდა, არამედ მტკიცედ იცოდა, ვითარ-
მედ: „არა ცოდვილ არს“, ამისთვისცა, ჩაუამს-ესე ეამი
პოვაჲ თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ესე ვიცი, რამეთუ ცოდვილისაჲ არა
ისმინოს ღმერთმან, არამედ უკუეთუ ვინმე არნ ღმრთისმსა-
ხურ და ნებასა მისსა ჰყოფნ“ (9,31). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** აქა
გამოაჩინა, ვითარმედ ჭეშმარიტებით საქმეთა ღმრთისათა
მოქმედი არს. რამეთუ ვინამთგან იგინი იტყოდეს თავთა
თვისთა ღმრთისმსახურად, შესძინა მათ და თქუა, ვითარმედ:
„ნებასა მისსა იქმოდის“; რამეთუ არა კმა არს ესე ოდენ,
რამთა კაცმან მან იცოდის ღმერთი, მერმე, რომელნი-იგი
ცუდად და ამაოდ მკითხავთ და არა ჭეშმარიტებისათვის
ეძიებთ სმენად, არამედ რამთა თქუმულნი იგი განაქარვნეთ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ანუ თქუენცა გნებავსა მოწაფე ყოფაჲ
მისი?“ (9,27). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** აჰა, ესერა, თავი მისი მოწა-
ფეთა მისთა კრებულსა თანა დააწესა, რამეთუ „ნუუკუე
თქუენცაო?“ ესე გამოაჩინებს, ვითარმედ მას მოწაფე მისდა
ეყო თავი თვისი და განკიცხნა იგინი და მოწყუნა. და უმეტე-
სად შეეხების მათ, რომელ-ესე საქმე არს სულისა კადნი-
ერ-ქმნილისა და ფრთოვანისა და უგულუბელსმყოფელისა მა-
თისაჲ, რომელი გამოაჩინებდა დიდად პატივსა მისსა და მო-
ასწავებდა, რამეთუ იგინი ამაოდ აგინებდეს უსრეთ საქვრველ-
სა მას და ჭეშმარიტსა ქრისტესა და ვითარმედ არარაჲ ევნე-
ბის მას მათისა. შეურაცხებისაგან, აღამალლებს თქუმულსა
მას:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „საუკუნითგან არასადა ისმა, ვითარმცა
ვინ აღუხილნა თუალნი შობითგან ბრმისანი“ (9,32). **თ ა რ -
გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ საცნაურ არსო, რამეთუ
ცოდვილთასა არა ისმენს, ხოლო ამან სასწაულიცა ქმნა და
სასწაული ესევითარი, რომელ ვერვის კაცთაგანსა უქმნიეს
ესე. და ამისთვის საცნაურ არს, ვითარმედ ყოველთაჲე წარპკ-
და სათნოებითა და უზემთაჲს არს საქმე მისი ყოველთა კაც-
თასა; ხოლო ისმინე, თუ მათ რაჲ თქუეს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ცოდვასა შინა შობილ ხარ ყოლად, და
შენ გუასწავებ ჩუენ?“ და განჯადეს იგი გარე. (9,34). **თ ა რ -
გ მ ა ნ ი :** რამეთუ ვიდრემდის მოელოდეს, თუ უარ-ყოს,

ძოუწოდდეს მას და სარწმუნოცა ჰყვა, ხოლო უკუეთუ არა-
სარწმუნოდ, რაჲსათჳს ორგზისცა ჰკითხეს? ხოლო, ვინამთ-
გან მან ჰეშმარიტი თქუა უშიშად. რაჲამს-იგი ჯერ-იყო,
რაჲთამცა უმეტესად დაუკვრდა საქმჳ მისი, მაშინ უფროჲ-
სად დასაჯეს იგი. ხოლო რაჲ არს სიტყუაჲ ესე. თუ: „ცოდ-
ვასა შინა შობილ ხარ ყოლად?“ რამეთუ აქა სიბრძმესაცა მის-
სა აყუედრებენ უკეთურებით და აჩუენებდეს, ვითარმედ
ცოდვათათჳს იშვა ბრმად, რომელი-იგი შეუძლებელ იყო.
და ამისთჳს ქრისტე იტყოდა, ვითარმედ: „მჯად მოგედ მე
სოფელსა ამას, რაჲთა რომელნი არა ჰხედვიდეს, ჰხედვიდენ,
და, რომელნი ჰხედვიდეს, დაბრმენ“.¹

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ცოდვასა შინა შობილ ხარ ყოლად, და
შენ გუასწავებ ჩუენ“ (9,34). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და რაჲ თქუა კაც-
შან მან? არა თუ თჳსი წესი დადვა, არამედ ყოველთა მიერ საც-
ნაური საქმჳ თქუა, ვითარმედ: „ვიციოთ, რომელ ცოდვილთა-
სა ღმერთი არა ისმენს“, და განჯადეს იგი გარე. იხილე ჰეშ-
მარიტისა იგი ქადაგი, ვითარ სიგლახაჲც სიბრძმისა არა დამა-
ყენებელ იქმნა. ჰხედავა, რაოდენი ჰრქუეს მას და მან საქ-
მით და სიტყვით ჰეშმარიტებაჲ წამა?

ს წ ა ვ ლ ა დ ნ ე

**ვითარმედ ჯერ-არს სწავლაჲ წმიდათა წერილთაგან და
განყენებაჲ ბოროტთა ხედვათაგან**

ესე ყოველი წერილ არს, რაჲთა ჩუენ ვჰბაძვიდეთ. რამე-
თუ უკუეთუ გლახაკმან და ბრმამან, რომელსა არცა ეხილვა-
იგი, ესეოდენი კადნიერებაჲ აჩუენა და მათ ყოველთა წინა-
აღუდგა, განმჰეცეებულთა და ეშმაკთა, და ირჩია განვრდო-
ბაჲ გარე, ვიდრე დათრგუნვაჲ ჰეშმარიტებისაჲ. რაოდენ
უმეტესად თანა-გუაც, რომელთა ესეოდენი ჟამი სარწმუნო-

¹ იოან. 9,39

ებასა შინა დაგეყოფიეს და ესეოდენნი სასწაულნი გვხილვან, რომელთადა უმეტესი კეთილი მოცემულ არს, ვიდრე მისა და შინაგანნი თუალნი აღხალულ არიან, და დიდნი იგი საიდუმლონი გვხილვან და ესევეითარსა პატივსა წოდებულ ვართ, ჩამთა ყოველსავე კადნიერებასა ვაჩუენებდეთ მის ზედა განმდრეკელთა მიმართ ჩუენთა. ხოლო ესე შეუძლოთ ქმნად, უკუეთუ კადნიერებაჲ გუაქუნდეს, და წერილთა ვისმენდეთ კეთილად და არა გარეწარად, რამეთუ, უკუეთუ ვინ აქა მოვიდოდეს ეკლესიად და ისმენდეს გულსმოდგინებით, კმა არს წელიწადი ერთი გამოცდილებისა დიდისა მიცემად მისა, არამედ აწ რომელნიმე ესრეთ უბადრუკებით არიან, რომელ ესეოდენსა სმენასა ზედა არცა სახელები იციან წიგნთაჲ, არცა პრცხუენის, არცა ძრწიან გარეწარად წმიდასაეკლესიასა შესლვად, არამედ უკუეთუ მებარბითეთა, ანუ მესტურეთა, ანუ სხუათა საეშმაკოთა საქმეთა მოქმედთა თანა მივიდენ, დღე ყოველ არიან მუნ და ძმენენ გულსმოდგინებით. ხოლო რაჟამს ღმერთი წინამსწარმეტყუელთა მიერ და მოციქულთა გუეტყოდის, დაგუეძინების და მოგუეწყინების, ვიფხანთ და ვიფქნარებთ, და სიცხესა მისლვად მუნ გუეშინის და ზამთრის წუმაჲ დიდად შეგვრაცხია და შინა ვსხედთ. და რაჟამს ეამი მღერძაჲ და ცხენთა რბევისაჲ მოიწიოს, მივალთ მუნ, სადა არა არს სართული და მოვითმენთ სიცოცხესა და სიცხესა და წუმასა და თივასა და სიშორესა გზისაჲსა. ხოლო აქა, სადა სართული არს და სიტყუაჲ საკვრველი, უდებ-ვიქმნებით სარგებელისათჳს სულთა ჩუენთაჲსა. ამისთჳს ამაოთა მათ ზედა ელოვანნი ვართ, ხოლო კეთილსა ზედა და საჯმარსა უსწავლელნი და გამოუცდელნი. და უკუეთუ ვინ მომლერალად გიწოდოს, გინებად გიჩნს, და უკუეთუ მომლერალსა ხილვად გივმოს, არა ივლტი, და საქმესა მას, რომლისა სახელი გძაგს, მას სდევ, ხოლო აქა, სადა სახელიცა და საქმეჲ პატიოსანი არს, ქრისტიანებაჲ, არცა იცით, თუ რაჲ არს საქმეჲ იგი. რაჲ არს ამის უგულისხმოებისა უბოროტმს? და არიან ვიეთნიმე, რომელთა უკუეთუ ჰკითხოს ვინ, ვითარმედ: „ვინ არს ამოს?“ ანუ: „ვინ არს ავდია?“ ანუ: „რაჲ არს რიცხჲ წინამსწარმეტყუელთაჲ?“ ანუ: „მოციქულნი რომელნი არიან?“ ევრცა პირსა აღაღებენ, ხოლო ცხენთათჳს და მგოსან-

თა ფილოსოფოსთა და რიტორთა უმახვლქსთა სიტყუათა იტყუან და მერმე ამას ყოველსა ზედა იტყუან, ვითარმედ: „და რამ ენებად არსო ამისგან, ანუ „რამ დაჰირვებოდა?“ და მე მისთვის სულთ-ვიტყუამ, რომელ ენებადცა არა იციან საქმქ იგი, ვერცა გულისხმა-ჰყოფენ ბოროტსა მისსა. შ, კაცო, მოგცა ლმერთმან დროებად ცხორებოსა შენისაჲ, რამათმცა ჰმსახურე მას, და შენ წარაგებ მას ამოებოსა შინა და არარას შინა კეთილსა. და ჭრეთ იტყუ, თუ „რამ ბოროტი არს საქმქ იგი“. და უკუეთუ ვეცხლი მტორემ ამოდ წარაგო, დაჰირვებად შეგირაცხიეს, ხოლო დღეთა შენთა ყოველთა წარაგებ ცუდად და საეშმაკოთა საქმეთა შინა, და არა დაჰირვებად გიჩნსა? ჭერ-იყო, რამათმცა ფსალმუნებასა და ლოცვასა შინა წარაგენ დღენი შენნი, ხოლო შენ წარჰკვი მათ ამბოხებასა შინა და გინებასა და ბილწთა სიტყუათა და სიხარულსა შინა უკმარსა და საქმეთა შინა მღერისათა, და განჰლევ დღეთა შენთა ბოროტისათუხ თავისა შენისა და ამას ყოველსა ზედა იტყუ: „რამ ბოროტი არსო საქმქ ესე?“ და არა იცი, ვითარმედ ყოვლისავე საქმისა უფრო ჭერ-არს უგულუბელყოფაჲ, ვიდრე ჟამისაჲ. რამეთუ ოქრომ თუ წარსწყმიდო, ადრე ჰპოვო იგი კუალად, ხოლო ჟამი რომელ წარსწყმიდო, ვერლაროდეს ჰპოვებ, რამეთუ შემოკლდებიან ჟამნი ჩუენნი. და უკუეთუ მოცემულნი ესე დღენი არა კეთილად ვიკმარნეთ, რამ ვთქუათ მას დღესა, რაჟამს მუნ მივიდეთ? რამეთუ უკუეთუმცა ძესა შენსა უბრძანე სწავლად კელოვნებისა რამსამე, და, იგიმცა შინა ჯდა და სასწავლოდ არა მივიდოდა, არცამცა უკმნაა ამას მოძღუარმან, და გრქუა შენ, ვითარმედ: „უკუეთუ არა მოვიდოდის სასწავლოდ, ვითარ წარმოგიდგინო იგი კელოვნად?“ ეგრეთვე უკუეთუ ჩუენ ზედაცა ჰმნად არს, და გურქუას ჩუენ ლმერთმან. ვითარმედ: „ჟამი მიგეც თქუენ სწავლად ამის კელოვნებისა, რომელ არს ღმრთისმოშიშებაჲ, და რად წარაგეთ ჟამი იგი ამოდ? ანუ რამსათუხ არა მიხვდოდეთ მოძღურისა მიმართ ზედაჲსზედა სწავლად? რამეთუ არა კორციელთა კელოვნებაჲ არს ღმრთისმოშიშებაჲ, ვითარცა წინამწარმეტყუელი იტყუს, ვითარმედ: „მოვედით, შეილნო, ისმინეთ ჩემი და შიში უფლისაჲ გასწაო თქუენ“.1 და ნეტარ

¹ ფსალმ. 33.12

არს კაცო, რომელი გასწავლო შენ, უფალო, და შჯულისა შენ-საგან დაუმარხო მას. ხოლო რაჟამს-ესე ჟამი წარაგო შენ ბოროტსა შინა, რაჟამა კპოვო სიტყუაჲ, რაჟამთა მიუგო შენ უფალსა? არამედ იტყუან ვიეთნიმე: „და რად არა გრძელნი ჟამნი. დაუწესებიან ცხორებისა ჩუენისანი?“ არამედ. — მ, უმადლოებამ ესე ფრიადი! — რომლისათვის თანა-გუედვა ფრიადი მადლობამ, რომელ შეუმოკლებიან შრომანი და განსუენებამ გრძელ და უკუდავ უქმნიეს, ამას ზედა სდრტუნავაჲ გარნა არა უწყი, ვითარ შემოვედით ამათ სიტყუათა და განვაგრძეთ სიტყუაჲ ჩუენი. ამისთვის ჯერ-არს კუალად დაცხრომამ, რამეთუ ესეცა ჩუენისა სულმოკლებისამ არს, რომელ აქა, რაჟამს განგრძელდეს სიტყუაჲ, მოვიწყინებთ, ხოლო რუნ შუადლითგან, ვიდრე მწუხრადმდე არა წარვლენ. არამედ გევედრები თქუენ, მომეციოთ ესე მადლი და შეკმშუალენით თავნი თქუენნი კეთილთა საქმეთა, რაჟამთა ესრეთ მიხაროდის თქუენთვის და მხიარულ ვიყო, რაჟამთა ვიქადლოდი თქუენთვის და თქუენ დაიმკვდროთ სასყიდელი ღმრთისა მიერ, უკუეთუ ჩემითა სწავლითა ბოროტისაგან მოხვდეთ კეთილსა და შეეწყუნარნეთ ღმერთსა და არა თუ ოდენ მას საუკუნესა დაიმკვდროთ სასყიდელი, არამედ აქაცა გიხაროდის, რამეთუ ესევითარი არს სათნოებამ, რომელი გვრგვნთა თანა მის საუკუნო-მსათა აქაცა ფრიადცა სიხარულისა მოგუატყუებს. ვორწმუნნეთ უკუე სიტყუანი ესე, რაჟამთა აქაცა და მას საუკუნესაცა დავიმკვდროთ სიხარული მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა კშუენის დიდებამ სულთ წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ნ თ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ხ ე: „ესმა იესუს, რამეთუ განაძეს იგი გარე, პოვა იგი და ჰრქუა მას: „შენ გრწამსა ძმ ღმრთისამ? მიუგო მან და ჰრქუა: „ვინ არს, უფალო, რაჟამთა მრწამენს მისი?“ (9,35-36). თ ა რ გ მ ა ნ ი: რომელთა კეშმარტებისათვის და ქრისტესთვის ევნებოდის და იგინებოდიან, იგინი არიან,

რომელთა პატივ-ეცემის, რამეთუ ვითარცა, რომელმან ყოველივე დაუტევოს მისთვის, მას უპოვნის ყოველივე და ვითარცა, რომელმან სული თვისი მოიძულოს მისთვის, მას შეუყუარებინს იგი, ეგრეთვე რომელი იგინებოდის მისთვის, მას უფრომად პატივ-ეცემის, ვითარცა კაცსა მას ბრმა-ყოფილსა ზედა იქმნა. რამეთუ განაძეს იგი ჰურიათა ტაძრისაგან და პოვა იგი მეუფემან ტაძრისამან, განეყენა იგი შესაკრებელსა ბოროტსა და მიემთხვა წყაროსა მას ცხოვრებისასა, იგინა ქრისტეს შეურაცხისმყოფელთა მიერ და პატივ-იცა მეუფისა მიერ ახგელოზთადასა, რამეთუ ესევეთარნი არიან სასყიდელნი ჭეშმარიტებისანი, ეგრეთვე ჩუენ, უკუეთუ აქა დაუტევნეთ საფასენი, ვპოვებთ მუნ კადნიერებასა; უკუეთუ აქა ვიჭირვოდით, ვპოვებთ მუნ განსუენებასა; უკუეთუ აქა ვიგინეთ ღმრთისათვის, პატივ-ვიცნეთ აქაცა და მუნცა, სასუფეველსა ცათასა, უკუნისამდე. ხოლო ვითარცა განაძეს იგი ტაძრისაგან, პოვა იგი იესუ და აჩუენებს მახარებელი, ვითარმედ განზრახვით მივიდა ხილვად მისა, და იხილე, თუ რაჲ კეთილი უყო მას, რამეთუ თავი იგი ყოველთა კეთილთაჲ მიანიჭა მას, ესე იგი არს, რამეთუ აცნობა მას თავი თვისი, რომელსა პირველ არა იცნობდა და თვსთა მოწაფეთა თანა დააწესა.

ხოლო იხილე, ვითარ ყოველსავე იტყუს მახარებელი და თქუა. რაჲ, ვითარმედ: „გრწამსა ძმ ღმრთისაჲ?“ ჰრქუა მას, ვითარმედ: „ვინ არს, უფალო“, რამეთუ არღა იცოდა, დაღაცათუ განკურნებულ იყო, რამეთუ პირველ ბრმაჲ იყო და გან-რაჲ-იკურნა, მათ ბოროტთა მიერ შეპყრობილ იყო. ამისთვისცა ვითარცა ერისთავმან მკვლარი ახოვანი, ესრეთ შეიწყნარა იგი და ჰრქუა მას: „შენ გრწამსა ძმ ღმრთისაჲ?“ რაჲ არს ესე, რომელ შემდგომად ესეოდენთა სიტყუს-გებათა და კადნიერებათა მისთა ჰკითხავს, ვითარმედ: „გრწამსა?“ არა თუ უმეცარ იყო, არამედ ენება, რაჲთამცა შეამეცნიერა მას თავი თვისი და რაჲთამცა უჩუენა, ვითარმედ შეუწირავს მას მისი სარწმუნოებაჲ. ამისთვის ჰრქუა მას: „გრწამსა შენ ძმ ღმრთისაჲ?“ ვითარცა მადლიერქმნილი ჰკითხავს მას, და პირველად მოიყვანა იგი სურვილსა თავისა თვისისასა, რამეთუ არა ჰრქუა მეცხეულად, თუ: „გრწმენინ“, არამედ პირველად ჰკითხა, ხოლო მან მიუგო: „ვინ არს იგი, უფალო, რაჲთა

მრწემენეს მისი?“ აჰა, ესერა, ესე სიტყუაჲ არს ფრიად სურ-
ვაელისა სულისაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მიუგო იესუ და ჰრქუა: „და იხილე იგი
და, რომელი იტყვს შენ თანა იგი არს“. ხოლო მან ჰრქუა:
„მრწამს, უფალო“ და თაყუანი-სცა“ (9,379,38). **თ ა რ გ მ ა ნ ი :**
არა ჰრქუა მას, თუ: „მე ვარ, რომელმან განგკურნე შენ,
არამედ ყოველივე დაიდუმა და ჰრქუა: „გრწამსა ძმ ღმრთი-
საჲ?“ ხოლო მან ფრიადი სურვილი თჳსი აჩუენა და ბეყსეუ-
ლად თაყუანის-სცა მას, რომელი-ესე მცირედთა ქმნეს გან-
კურნებულთაგანთა, ვითარცა კეთროვანთა მათ და სხუათა
მრავალთა. ხოლო ვითარცა მან თაყუანის-სცა, ამისთჳს თქუა
ქრისტე:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „შჯად სოფელსა ამას მოსრულ ვარ,
რამთა, რომელნი არა ჰხედვიდეს, ხედვიდენ და, რომელნი
ხედვიდეს, დაბრმენ“ (9,39). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამით სიტყუთა
იგიცა განამტკიცა სარწმუნოებასა ზედა და განაკრთუნნა ფარი-
სეველნი, რამეთუ იყვნეს მუნ მის თანა, ხოლო თუ: „შჯად სო-
ფელსა ამას მოვედ“, ესე იგი არს, რამთა უმეტესისა ტანჯვი-
სა თანამდებ იქმნენ იგინი, რომელთა დასაჯეს იგი. და იგინი
არიან დაშვილნი, ხოლო აქა ორთა ხედვათა იტყვს და ორთა
სიბრმეთა: სულიერსა და ჳორციელსა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ესმა ფარისეველთაგანთა, რომელნი იყ-
ვნეს მის თანა და ჰრქუეს: „ნუუკუე ჩუენცა ბრმანი ვართა?“
(9,40). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და სხუსა ადგილსა იტყვს: „არავის
სადა ვჰმონებდით და სიძვისაგან არა შობილ ვართ“, ეგრეთ-
ვე აქაცა ჳორციელსა ოდენ გულისხმა-ჳყოფენ, ხოლო თა-
ვადმან გამოაჩინა, ვითარმედ უმჯობეს იყო, თუმცა ბრმანი
იყვენით, და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „უკუეთუმცა ბრმანი იყვენით, ცოდვამ-
ცა არა გაქუნდა“ (9,41). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვინამთგან მათ
საქმმ იგი სირცხვლისა ღირად აქუნდა, მიაქცია იგი თავთა
ძათთა, ვითარმედ: „უმჯობეს იყო, უკუეთუმცა თქუენცა იყ-
ვენით ბრმა“, რამთამცა მოჰკუეთა მათგან კაცობრთვი გონე-
ბაჲ და დაამდაბლა ჳუაობაჲ მათი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ხოლო აწ იტყუთ, ვითარმედ: „ვხედავთ“
(9,41). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვითარცა მუნ იტყოდა, ვითარმედ:

„რომელსა თქვენ იტყვთ, თუ: „ღმერთი ჩუენი არს“, ეგრეთვე აქა იქმს. და რომელი მათ დიდად საქებელად აქუნდა, მან უმეტესისა სატანჯველისა მომატყუებელად გამოაჩინა. რამეთუ ხედვამ, რომელი ღმერთმან კეთილისათჳს მისცა, ბოროტად იკმარეს. და მერმე იტყჳს სიბრმისა მათისათჳს, რამეთუ, რამთა ვერ თქუან, თუ: „არა ჩუენისა სიბრმისათჳს არა შეგიდევით, არამედ რამეთუ არა ჳეშმარიტ ხარ“, ამისთჳს ჳყოფს ყოველსავე სიტყუასა თჳსსა. ამისთჳს არა ცუდად თქუა მახარებელმან, თუ: „ესმა ფარსეველთაგანთა ვეთმე, რომელნი იყვნეს მის თანა“, არამედ რამთა მოგუაჯსენოს, ვითარმედ იგინი იყვნეს, რომელნი პირველ ჳქასა დაჳკრებდეს, ხოლო ჳრისტემან იწყო გამოჩინებად პირველ, თუ რამ არს მაცთუჳრი და არა ჳეშმარტო, რამთამცა ესრეთ სირცხულელ-ყვნა იგინი, რაჳმს უჩუენა, ვითარ იგი მწყემსი იყო კეთილი და იგინი არა შეუდგეს მას, ამისთჳს იტყჳს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ შევალს სხუთ კერძო, იგი მჳარავი არს და ავაჯაკი“ (10,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** იხილენ საქმენი ავაჯაკისანი, პირველ, რომელ არა განცხადებულად შევალს, მეორედ, რომელ არა კარით შევალს, ესე იგი არს, ვითარმედ არა წერილთაებრ, ხოლო აქა პირველი მისაყოფილთა და შემდგომად მისაყოფადთა მოასწავებს ანტეს და ჳრისტემტყუვართა და იუდას და თევდას. ხოლო სამართლად უწოდა წერილთა კარად, რამეთუ იგინი განგვლებენ ჩუენ გულისხმის-ყოფასა ღმრთისასა, იგინი ცხოვარგუყოფენ და მგელთა არა მოუშუებენ, რამეთუ. ვითარცა კარსა ძლიერსა, ეგრეთ დაუჳშვენ მწვალებელთა შესლვასა. მათ მიერ ვიცნობთ მწყემსთა და არა მწყემსთა, ხოლო რამ არს ეზოჲ და ცხოვარნი და მათი განგებაჲ? რამეთუ, რომელი არა წერილთა იკმარებდეს, არამედ სხუასა გზასა თავით თჳსით მოიპოვებდეს, იგი მჳარავი არს. ამისთჳს ჳურიათა ეტყოდა: „გამოეძიებდით წერილთა და მოსეს“, და წინაწარმეტყუელთა მრავალგზის მოწამედ მოიყვანებდა. ხოლო ამათ სიტყუათა მიერ, რომელ თქუა, თუ: „შევალს სხუთ კერძო“, მწიგნობარნიცა მოასწავნა, რამეთუ ასწავლიდეს კაცთა ბრძანებით და გარდაჳკდებოდეს შჯულსა, ხოლო იხილენ კუალადსასწაულნი იგი მწყემსისანი, თუ ვითარ იტყჳს:

სახარება: „რომელი შევალს კარით, მწყემსი არს ცხოვართაჲ. და ამას მეკარებანცა განულის და ცხოვართა ჳმისა მისისაჲ ისმინიან, და თუსთა ცხოვართა უწენს სახელით და განიყვანოს იგინი, წინაშე მათსა ვილოდის“ (10,2—4).

თარგმანი: არაჲ დამაყენებელ არს, რადთა მეკარედ გულისხმა-ვეოთ აჲა მოსე, რამეთუ მისდა რწმუნებულ იყვნეს აჲა სიტყუანა ღმრთისანი, და ცხოვართა ჳმისა მისისაჲ ისმინონ, რამეთუ ვინამთგან იგინი მაცთურით ჳხადოდეს მას, ენება თავადსა, რადთამცა უჩუენა მათ, ვითარმედ არა ჳერ-არს მათისა ურწმუნოებისათუს მისა მაცთურით ხდაჲ. რამეთუ იგინი თუთ არა უსმენდეს მას, არცა შეუდგეს, ვითარცა ცხოვარნი, არამედ განდგომილ იქმნნეს მისგან, რამეთუ, ვინამთგან მწყემსისა მის საქმჳ ესე არს, რადთა კარით შევიდეს, და იგი კარით შევიდა, რომელიცა მას ურჩ ექმნა და არა შეუდგა, არა სამე ცხოვარი იყო. რამეთუ, რომელნიცა ცხოვარნი იყვნეს, შეუდგეს მას და რომელნიცა არა შეუდგეს, მათ არა თუ მისსა მწყემსობასა აენეს, არამედ თავნი თუსნი ცხოვართაგან უცხო-ყენეს თუსითა უკეთურებითა. ხოლო ქუემორე კუალად უყუეთუ გესმეს, რომელ თავსა თუსსა კარად სახელ-სდებდეს, ნუ გიკვრს, რამეთუ იგი კარადცა სახელ-სდებს თავსა თუსსა და მწყემსადცა და ცხოვრად თუსა. და თუთოსახედ ჳადაგებს თუსსა განგებულებასა, რამეთუ რაჲამს მამისა მიმიყვანებდეს ჩუენ, კარად უწენს თავსა თუსსა და გზად ცხოვრებისად, ხოლო ოდეს გულუწიოდეს ჩუენ, მაშინ მწყემსად უწენს თავსა თუსსა, და ოდეს ჩუენთუს დაიკლვოდის, მაშინ ცხოვრად, და რაჲამს გამოზრდასა ჩუენსა მოასწავებდეს, მაშინ პურად ცხოვრებისად, ხოლო აჲა მწყემსად იტყუს, რომლისაჲ ისმინიან ცხოვართა.

სახარება: „და თუსთა ცხოვართა უწენს სახელით, და განიყვანნეს იგინი და წინაშე მათსა ვილოდის“ (10,3-4).

თარგმანი: ვითარ უკუე? რამეთუ არა ესრეთ არს საქმჳ მწყემსისაჲ, რამეთუ მწყემსი უკუანა შეუდგების ცხოვართა და არა წინა, არამედ ესე გამოაჩინებს, ვითარმედ ყოველთა წარუმართოს ჳეშმარტებისა მიმართ. და ამისთუს წინააღმდგომად სხუათა მწყემსთასა იქმს, ვითარცა-იგი წარ-რად-

ავლენდა ცხოვართა შორის მგელთასა, რომელი-იგი ფრიად საკვრველ არს ესე მწყემსობაჲ. და ამას ადგილსა ბრმისათუ-სცა მოასწავებს, რამეთუ მოუწოდა მას შორის ჰურიათა, და მან კმაჲ მისი ისმინა და შეუდგა მას.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „და უცხოჲსა არა შეუდგენ, რამეთუ არა იციან კმაჲ უცხოჲსაჲ“ (10,5). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** თევდას და იუდას და მსგავსთა მათთა იტყუს აქა და რომელნი შემდგომად მისა მოსლვად იყვნეს. და უჩუენა, ვითარმედ განყოფილ იყო იგი მათგან და პირველად ყო მისგან განყოფიდა წერილთა მიერ, რამეთუ იგი ყოველსავე მსგავსად წერილისა იქმონდა, ხოლო იგინი—არა; და მეორე განყოფილებაჲ ქმნა ცხოვართა განყოფილებისაგან, რამეთუ არა ვიდრედა აქა იყო ოდენ, არამედ შემდგომად აღსრულებისაჲ კრწმენა მისი, ხოლო იგინი მეყსეულად დაუტევნეს და, კუალად მესამედ, რამეთუ იგინი მოვიდეს, ვითარცა მძლავრნი, ხოლო ესე ევლტოდა ყოვლისაგანვე კაცობრივისა დიდებისა, და მერმე, რამეთუ ესე ცხორებისათჳს ცხოვართაჲსა ისწრაფდა მარადის, ხოლო მათ წარწყმედისათჳს ისწრაფეს, და მათ განსცნეს რწმუნებულნი იგი მათდა და ივლტოდეს, არამედ თავად-მან დადგა სული თჳსი მათთჳს. და მათ ზედა ყოველივე უნებლიათ მოიწია, ხოლო ამან ნეფსით თავს-იდგა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ამას იგავსა ეტყოდა მათ იესუ, ხოლო მათ ვერ გულისხმა-ყვეს, რასა ეტყოდა“ (10,6). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო რამათჳს არა ცხადად ეტყოდა? ამისთჳს, რაათა უმეტესითა მოსწრაფებითა ისმენდენ. ხოლო ვინათგან ესე აღასრულა, აწ კუალად შესძინებს და იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „მე ვარ კარი, ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვნდეს, და შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოვოს“ (10,9). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესრეთ განსუენებასა შინა იყვნენ, ხოლო საძოვრად უწესს კელმწიფებასა და უფლებასა, ესე იგი არს, ვითარმედ შინაგან დაადგრეს და ვერვინ განაძოს იგი, ვითარცა მოციქულთა ზედა იქმნა, რამეთუ უშიშრად შევიდოდეს და განვიდოდეს, ვითარცა უფალნი ყოვლისა სოფლისანი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ყოველნი, რომელნი ჩემსა პირველად მოვიდოდეს, მპარავნი იყვნეს და ავაჯანი, არამედ არა ისმი-

ნეს მათი ცხოვართა“ (10,8). **თარგმანი:** ესეცა თევ-
დამსთჳს და იუდამსთჳს თქუა, რომელთა-იგი განადგი-
ნეს ერი.

სახარებაჲ: „მპარავი არა მოვალს, არამედ რაათა
იპაროს და კლას და წარწყმიდოს“ (10,10). **თარგმანი:**
ვითარცა-იგი თევდამს და იუდამს ზედა, რომელთა მიერ
მოწყდა ყოველი იგი ერი, რომელი შეუდგა მათ.

სახარებაჲ: „მე მოვედ, რაათა ცხორებაჲ აქუნდეს
და უმეტესი აქუნდეს“ (10,10). **თარგმანი:** და რაჲ ატს
ცხორებაჲ უმეტესი? სასუფეველი ცათაჲ, არამედ არა იტყუს
მას სახელით, გარნა სახელსა მას ცხორებისასა მოაქცევს
კუალად, რომელი მათა საცნაურ იყო.

სახარებაჲ: „მე ვარ მწყემსი კეთილი“ (10,11).
თარგმანი: აწ ვნებისათჳს იტყუს და გამოაჩინებს, ვი-
თარმედ ცხორებისათჳს სოფლისა იქმნების იგი და ვითარ-
მედ არა უნებლიათ მივალს მუნ, და კუალად სახესა მას
მწყემსისასა და სასყიდლით დადგინებულისასა იტყუს:

სახარებაჲ: „რამეთუ მწყემსმან კეთილმან სული
თჳსი დადვის, ხოლო სასყიდლით დადგინებულმან, რომლისა
არა არიან თჳსნი, იხილის რაჲ მგელი მომავალი, დაუტევნის
ცხოვარნი და ივლტინ“ (10,11-12). **თარგმანი:** აჰა, ვი-
თარ აჩუენებს უფლებასა მისსა სწორსა მამისა თანა. ვინათ-
გან იგი არს მწყემსი და მისნი არიან ცხოვარნი, ხოლო სას-
ყიდლით დადგინებული ივლტინ მგლისათჳს.

სახარებაჲ: „და მგელმან მან წარიტაცნის ცხოვარ-
ნი“ (10,12). **თარგმანი:** ესე პირველთა მათ ქმნეს:
თევდა და იუდა და მათთა მსგავსთა ხოლო თავადი რაჲამს
შეიპყრეს, ჰრქუა მათ: „უტევეთ ამათ წარსლვად“, რაათა
აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელი თქუა, ვითარმედ: „არა
წარწყმდა ერთიცა მათგანი“, და უხილავიცა იგი მგელი არა
ძიუშუა წარტაცებად ცხოვართა, რომელ არს ეშმაკი, რომე-
ლი არა მგელ ოდენ არს, არამედ ლომიცა და ეძიებს, რაჲ-
თამცა ვინ შთანქა, იგივე გუელი არს და ვეშაპი.

მცნებათა ქრისტესთა დამარხვისათჳს და
საკმართმოყუარებისათჳს.

ამისთჳს გევედრებო, ვისჳინოთ კმაჲ ჳეშმარიტისა მ-ს და კეთილისა მწყემსისაჲ და მას ვკმორჩილებდეთ, ხოლო უცხოჲსა კმასა ნუმცა ვისმენთ. ხოლო რაჲ არს კმაჲ მისი? „ნეტარ იყვენენ გლახაკნი სულითა! ნეტარ იყვენენ წმიდანი გულითა! ნეტარ იყვენენ მოწყალენი!“¹ უკუეთუ ამას ვიქმოდით, მწყემსსა თანა ვართ და მგელი ვერ შემოგუეხოს, და უკუეთუ მოგუეახლოს, მეყსეულად შეიმუსროს. რამეთუ მწყემსი არს ჩუენი, რომელსა ესრეთ უყუართ, რომელ სულსა თჳსსა დასდებს ჩუენტჳს და ძლიერი არს მეუფე ყოველთაჲ. ხოლო ვინაჲთგან ძლიერიცა არს და უყუართცა, რაჲღა არს დამაყენებელ ჩუენდა ცხოვნებად? არარაჲ, გარნა ჩუენი უღბებაჲ. რამეთუ იტყჳს: „ვერ ძალ-გიც ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“.² აწ უკუეთუ ღმერთსა ვკმონებდეთ და მისი მძლავრებაჲ არა მოიწიოს ჩუენ ზედა, რომელი უბოროტეს არს ყოვლისა მძლავრებისა, სიყუარული საფასეთაჲ, რომელი სავსე არს შურითა და ჳდომითა, ბილწებითა, ანგაპრებითა, სომტრვალითა, რამეთუ აზნაურთა ჳყოფს მონა, არა კაცთა მონა, არამედ ვნებათა, რამეთუ მონებაჲ საეშმაკოჲ, რომელსა მრავალნი სულნი დაუბნელებიან, დაბნელებულნი იგი ვერ სცნობენ წარწყმედასა მას და უფროჲსად არა ჳნებაჲს ცნობად, არამედ უხარის ბოროტსა მას შინა, და, უკუეთუ ვის ენებოს ჳსნაჲ მათა, განრისხებულ იქმნნიან. მ კაცო, არა თუ ამისთჳს დაიბადე, რაჲთა მარადის ოქროსა და ვეცხლსა ჳმონებდე, არა თუ ამისთჳს შეგქმნა ღმერთმან ხატად თჳსა, არამედ ამისთჳს, რაჲთა მას სათნო-ეყო და ჳპოვნე საუკუნენი კეთილნი და ანგელოზთა თანა იშუებდე. ხოლო შენ რად შთააგდე თაჳსა შენსა უკუანაჲსკნელსა მას შინა უნდოებასა ესევითარისა ჳატიოსნებისა წილ? რამეთუ ძმაჲ შენი, რომელი მისვე ემბაზისაგან შობილ არს, რომლისაგან შენ, და იგი სიყმილითა

¹ შდრ. მათ. 5,3,7,8

² მათ. 6,24

განხრწნების და შენ სიმაძღროთა განსქდები, იგი შიშუელ არს და შენ სამოსელთა ზედა სამოსელთა შესძინებ საკმელად მატლთა. და არა უმჯობეს იყოა, უკუეთუმცა გლახაკთა შეჰმოსე, რაათამცა განუხრწნელ და წარუპარველ იყო და საუკუნომცა ცხორებად მოგენიჰა. ანუ არა გუამი ქრისტესი უპატიოსნეს არსა არტახისა და კილოზნისა, რამეთუ არა თუ განუხრწნელად ოდენ დაჰმარხავს სამოსელთა, არამედ უბრწყინვალესცა ჰყოფს, და არცა კართა და მოქლონთა გვჰმს შეკრძალვად შიშისათვს მპარავთაჲსა, რამეთუ ყოვლისაგანვე წარპარვისა უშიშ არს იგი და არს დამარხულ ცათა შინა. ამას სიყუარულსა მე არა დავსცხრები თქუმად მარადის, და თქუენ ჰე არა მისმენთ, არამედ ნუმცა არს ესე თქუენ ყოველთა ზედა, გარნა ისმინეთ ჩემი, მდიდარნო და გლახაკნო, რამეთუ გლახაკთაცა ძალ-უც, ენებოს თუ, ჰმნად მოწყალებისა პურიითა და გრილთა წყლითა და ხილვითა უძღურთაჲთა და სიტყვთა ხუგეშინის-ცემისაჲთა და დადგენითა სახლსა შინა უცხოჲსაჲთა, რამეთუ არა სიმრავლესა საფასეთასა ვეძიებთ გლახაკთაგან, არამედ ამას მდიდართაგან ვეძიებთ, ხოლო გლახაკთა ჰმნედ — ძალისაებრ თვისისა თითოეულმან — ჰველისსაჰმჰ შეიწირავს მას ღმერთი. რაოდენნი ინატრიან, რაათამცა პოვნილ იყვნეს მას ჟამსა, რაჟამს ქრისტე იქცეოდა ჰუეყანასა ზედა, რაათამცა შეიწყნარა იგი სახედ თვსა, ხოლო, აჰა, ესერა, შესაძლებელ არს აწცა ამის საჰმისა ჰმნად, უკუეთუ ვის ენებოს, რაათა მოუწოდოთ მას სახედ თქუენდა და მოლოთ კურთხევაჲ მისგან და გესმეს მას ღღესა შინა: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ სასუფეველი, განმზადებული თქუენთვს უწინარეს სოფლის დაბადებისა, რამეთუ მშიოდა და მეციით მე ჰამადი“¹ და შემდგომი ამისი, აწ, უკუეთუ გუნებავს, რაათა ესე ჰმად ჟუესმეს, შევმოსოთ შიშუელი, შევიწყნაროთ უცხოჲ, გამოვზარდოთ მშიერი, ვასუათ წყურიელსა, მივიდეთ სნეულისა და საჰყრობილეს მყოფისა, და ვპოვოთ მას ღღესა კადნიერებაჲ და შენდობაჲ ცოდვათაჲ და საუკუნეთა კეთილთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ

¹ მათ. 25,34—35

ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰმუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : „მე ვარ მწყემსი კეთილი, ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ, ვითარცა მიცის მე მამამან, მეცა ვიცი მამამ და სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართა ჩემთათჳს“ (10,14-15).

დიდ არს, საყუარელნო, წინამძღურობაჲ ეკლესიისაჲ და ფრიალი უკმს ჰიბრძმს და სიმკნმს, ვითარცა ქრისტემან თქუა, რაჲთა სული თჳსი დადვას ცხოვართათჳს და არაოდეს დაუტევნეს იგინი ოკრად, არამედ რაჲთა მარადის ჰბრძოდის მგელსა, რამეთუ ამით განყოფილ არს მწყემსა ჰემმარტი სასყიდლით დადგინებულისაგან, რამეთუ იგი თჳსსა ოდენ განრომასა ეძიებს და ცხოვართა უდებ-ჰყოფს, ხოლო ესე უფრომსად ცხოვართასა ზრუნავს, ხოლო თქუა რაჲ საქმმ მწყემსისაჲ, მავნებელნი ორნი აკსენნა: ერთი, რომელი დაჰკლვიდეს და იპარვიდეს, და მეორმ, რომელი დაუტეობდეს და ივლტოდის. და პირველითა მით სიტყუთა თევდას და იუდას მოასწავებდა, ხოლო უკუანამსკნელითა ამით ჰურიათა მათ მღდელთმოდღუართა, რომელნი არა ჰზრუნვიდეს რწმუნებულთა მათ ცხოვართათჳს, რამეთუ არცა წარწყმედულთა ეძიებდეს, არცა შეცთომილსა მოაქცევდეს, არცა შემუსრვილსა ჰკურნებდეს, რამეთუ თავთა თჳსთა აძოვებდეს და არა ცხოვართა. ხოლო უფალმან გამოაჩინა, ვითარ შორს იყო ამისგან, რამეთუ სულსა თჳსსა დასდებდა ცხოვართათჳს, რამეთუ არცა განსცნა მორწმუნენი თჳსნი, არამედ იგი თავადი მოკუდა მათთჳს. ამისთჳსცა მარადის იტყოდა: „მე ვარ მწყემსი კეთილი“, ხოლო რაჲსათჳს არა იტყუან აქა, ვითარი იგი პირველ იტყოდეს, ვითარმედ: „შენ თავისა შენისათჳს სწამებ და წამებაჲ შენი არა არს სარწმუნო?“ ამისთჳს, რამეთუ მრავალგზის დაუყვნა პირნი მათნი სასწაულთა მიერ და კადნიერად მეტყუელებისა, ხოლო ვინამთგან თქუა, თუ:

„ცხოვართა ჩემთა კმისა ჩემისაჲ ისმინონ.“¹ რადთა ვერვინ თქუას. თუ: „უღრწმუნოთათჳს რაჲ სთქუა?“ ამისთჳს შესძინა და თქუა, ვითარმედ: „ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ“, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „არა განიშორა ერი იგი, რომელი წინაჲსწარ იცნა“,² ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: „მათთჳს ვიტყჳ, რომელნი წინაჲსწარ ვიცნენ, რომელნი კეთილნი ყოფად არიან“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ“ (10.14). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** არამედ არა ესრეთ მიციან, ვითარცა მე ვიცი, რამეთუ მე ვითარცა ვიცი მამაჲ, მამამანცა მე მიცის ეგრეთვე, ხოლო სხუანი ვერ შეესწორებიან ჩემსა ცნობასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ვითარცა მიცის მე მამამან, მეცა ვიცი მამაჲ“ (10.15). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესრეთ კეთილად ვიცი იგი, ვითარცა მან მე მიცის. ამისთჳსცა იტყოდა: „არავინ უწყის ძმ, გარნა მამამან, არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან ქეშმარიტითა მით ცნობითა“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათჳს“ (10.15). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** მრავალგზის იტყჳს ამას, რადთაჲცა გამოაჩინა სიყუარული თჳსი, რომელი აქუნდა ჰორწმუნეთათჳს, რამეთუ რომელ იტყოდა, თუ: „ნათელი ვარ და ცხორებაჲ“; უგუნურთა მათ მიერ და ბრმათა ზუაობად შერაცხილ იყო, ხოლო რომელ იტყოდა, თუ: „მოკვუდები მათთჳს“. დაუყოფდა მათ პირსა და არღარა აქუნდა სიტყუაჲ თქუმად. ამისთჳსცა ვერღარა იტყჳან, თუ: „შენ თავისა შენსათჳს სწამებ და წამებაჲ შენი არა არს ქეშმარიტ“,¹ რამეთუ ფრიადსა გამოაჩინებდა სახიერებასა, რომელ მკლველთა მათ მისთათჳს თავს-იდებდა სიკუდილსა. ამისთჳსცა კეთილად და თჳსსა ეამსა შემოიღებს სიტყუასა წარმართათჳს და იტყჳს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი, ივინიცა ჭერ-არიან მოყვანებად ჩემდა“ (10.16). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** აჰა, ესერა, კუალად სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „ჭერ-არს“, არა იძულებიდა არს,

¹ იოან. 10.16

² კრონ. 11,1

¹ იოან. 8.13

არამედ უეჭუელად ყოფადისა მომასწავებელი, ვითარცა იტყოდა: ვითარმედ: „რად გიკვრს, უკუეთუ ამათ ეგულეზს შემოდგომად ჩემდა და ჯმისა ჩემისა სმენად, რამეთუ, რაჟამს სსუანი იხილნეთ, რომელ შემომიღგენ და ჯმ-სა ჩემისაჲ იმინონ. მაშინ უმეტესად გიკვრდეს. ხოლო რომელ იტყვს, ვითარმედ: „რომელნი არა ამის ეზოფსაგანნი არიან“, ნუ დაგკვრდებოც სიტყუაჲ ესე, რამეთუ განყოფილებაჲ შჯულითა ოდენ არს, ვითარცა მოციქული იტყვს, ვითარმედ: „ვერცა წინადაცუეთილებაჲ რას შემძლებელ არს, ვერცა წინადაუცუეთილებაჲ“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „იგინიცა ჭერ-არიან მოყვანებად ჩემდა“ (10,16). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** უჩუენებს, ვითარმედ ორნივე განბნეულნი იყვნეს და უმწყემო, ვიდრემდე კეთილი იგი მწყემსი არა მოსრულ იყო და მერმე მომავალსა მას ერთობასა მოასწავებს, ვითარმედ იყვნენ ერთ სამწყსო, ვითარცა მოციქული იტყვს, ვითარმედ: „რამთა ორივე იგი მოიგოს მას შინა ერთად ახლად კაცად“.¹

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „ამისთვის უყუარ მე მამასა, რამეთუ მე დავსდებ სულსა ჩემსა, რამთა კუალად მოვიღო იგი“ (10,17). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** და რად იყოს ამის სიტყუსა უმდაბლესი, რომელ მეუფე ჩუენი ჩუენთვის შეიყუარებოდა, ამისთვის რამეთუ ჩუენთვის მოკუდებოდა? ხოლო რად არს სიტყუაჲ ესე? ნუუკუე უწინარეს ამის ჟამისა არა უყუარდა იგი, არამედ აწ იწყებს მამად სიყუარულსა მისსა? რამეთუ ჩუენ ვართ მიზეზ მისისა შეყუარებისა. ჰხედავა, ვითარ იცმარებს ამას სიმდაბლესა? ხოლო რადსათეს თქუა ესე აქა? ვინამთგან უცხო დ უწოდდეს მას და მაცთურით ჰხადოდეს და ვნებად მათთვის მოსრულსა. ამისთვის ეტყვს, ვითარმედ: „დალაცათუ სხუსა არარადსათეს, არამედ ამისთვის თანა-ვედვა სიყუარული ჩემი, რომელ ესრეთ მიყუართ, ვიდრელა თქუენთვის მოვკუდები, და ვინამთგან მე მიყუართ. მამასაცა ესრეთ უყუართ, რომელ თქუენთვის სიკუდილისათეს შემიყუარებს მე“. კუალად ამასცა აჩუენებს, ვითარმედ არა უნებლიამთ მოვალს საქმისა მის მიმართ, რამეთუ, უკუეთუმცა უნებლიამთ მოვიდოდა, ვი-

¹ ეფესელ. 2,15,17

თარცა სიყუარულისა მოქმედ იყო საქმე იგი? და კუალად რაითა გამოაჩინოს, ვითარმედ მამასაცა ფრად სათნო-უჩნს საქმე იგი. ხოლო უკუეთუ, ვითარცა კაცი, იტყოდის ამას, ნუ გიკვრს, რამეთუ მრავალგზის გვტყუამს ამის საქმისა მიზეზი, თუ რადასათეს კაცობრივ იტყუნ. და კუალად თქუმაჲ საქმისაჲ, რომელ მრავალგზის გვტყუამს, საწყინო არს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე დავსდებ სულსა ჩემსა, რაითა კუალად მოვიდო იგი. არა ვინ მიმიდოს იგი ჩემგან, არამედ მე დავსდებ მას თავით ჩემით, კელ-მეწიფებს დადებად მისა და კელ-მეწიფების კუალად მოღებად მისა“ (10,17—18). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო ვინაითგან მრავალგზის განიზრახვიდეს მოკლვად მისა, ამისთვის იტყვს იგი, ვითარმედ: „უკუეთუ მე არა მენებოს, ამო არს შრომაჲ თქუენი“, და პირველისაგან მეორესა დაამტკიცებს, — სიკუდილისა მიერ აღდგომასა — რამეთუ ესე არს საკვრველი და დიდებული, რამეთუ ოროვე საკვრველ იქმნა ახალი, ხოლო გულისხმა-ვყოთ კეთილად სიტყუაჲ ესე, რამეთუ იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „კელ-მეწიფების დადებად სულისა ჩემისა“ (10,18). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჩუენ არა გუაქუს კელმწიფებაჲ დადებად სულთა ჩუენთა, ვარნა თუ მოვიკლათ თავი ჩუენი, ხოლო იგი ესრეთ იტყვს, ვითარმედ: „ესრეთ მაქუს კელმწიფებაჲ, რომელ უკუეთუ მე არა მენებოს, ვერვის ძალუც მოკლვად ჩემდა“, რომელ-ესე კაცთა ზედა არა იქმნების, არამედ უკუეთუ მივეცნეთ კელთა მტერთა ჩუენთასა, არაჲა გუაქუს კელმწიფებაჲ დადებად სულისა, ანუ არა იგინი უნებლიაით მოგუკლვენა? ხოლო მისი არა ესრეთ იყო, არამედ მას აქუნდა კელმწიფებაჲ დადებად და არადადებად, ხოლო თქუა რაჲ, ვითარმედ: „არავინ მიმიდოს ჩემგან“, — შესძინა, ვითარმედ: „კელმწიფებაჲ მაქუს დადებად სულისა ჩემისა“, ესე იგი არს, ვითარმედ მე ხოლო ვარ უფალ სიკუდილისა და არასიკუდილისა. ხოლო ესე პირველითგან არა თქუა, რამეთუ არა სარწმუნო იქმნებოდა სიტყუაჲ იგი, არამედ რაჲამს საქმენიცა მოწამედ აქუნდეს, რამეთუ მრავალგზის ებრძოლნეს და ვერარაჲ ქმნეს, მაშინდა ჰრქუა, რამეთუ წარვიდა კელთაგან მათთა ბევრეულგზის. და მერმე ჰრქუა: „ვერვინ მიმიდოს იგი“, რამეთუ ნეფსით მივიდოდა სიკუდი-

ლად. და ვინაფთვან ესე ესრეთ არს, საცნაურ არს, ვითარმედ
ოდეს ენებოს, მაშინ დასდებს და, ოდეს ენებოს, მაშინცა
აღებად უც, რამეთუ, უკუეთუ სიკუდილი კელმწიფებასა შინა
მისსა იყო, აღდგომამცა მისსავე კელმწიფებასა შინა იყო და,
რომელსა კელ-ეწიფებოდა დადებად სულისა თვისისა, მასვე
კელ-ეწიფებოდა აღებად მისა. ჰხედავა, ვითარ პირველისა-
გან მეორეცა საცნაურ-ყო და სიკუდილისა მიერ აღდგომამ
დაამტკიცა?

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ესე მცნებამ მომიღებებს მამისაგან ჩე-
მისა“ (10,18). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რომელი მცნებამ? მოკუდომამ
სოფლისათვის რამ არს, ნუუკუე პირველ ელოდა, რამთამცა
ესმა მამისა მიერ, და მაშინლა ინება საქმე იგი და პირველ არა
იცოდა, და სწავლამ იქმარა? და ფინმცა მოიგონა ესე, რო-
მელსა აქუნდეს გონებამ, რამეთუ, ვითარცა ზემო თქუა რამ,
ვითარმედ: „ამისთვის უყუარ მე მამასა“, ნებსითი საქმე მოას-
წავა და წინააღმდეგობებისა იქ უჩინო-ყო, ეგრეთვე აქა იტყვს,
ვითარმედ: „მცნებამ მომიღებებს მამისა ჩემისაგან“. არარას
სხუასა მოასწავებს, გარნა ამას, ვითარმედ: „საქმე ესე, რო-
მელსა მე ვიქმ, ფრიად სთნავს მას“, რამთა; რაჟამს მოკლან
იგი, არა ჰგონებდენ, თუ დაუტევა იგი მამამან და ვერ აყუ-
ედრებდენ, რომელსა-იგი აყუედრებდეს, ვითარმედ-
„სხუანი აცხოვნნა, და თავისა თვისისა ვერ ძალ-უც ცხოვნე-
ბად“,¹ და კუალად: „უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲო, გარდა-
მოყედ ჭუარისაგან“.² ხოლო რამთა, რაჟამს გესმეს, თუ:
„მცნებამ მომიღებებს“, არა სთქუა, თუ: „უცხო იყო მისგან
სათნობამ იგი და წარმართებამ საქმისაჲ მის“, ამისთვის პირ-
ველვე იტყოდა, ვითარმედ: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი
დადვის ცხოვართათვის“, და აჩუნა, ვითარმედ მისნი იყვნეს
ცხოვარნი და მისი წარმართებულ იყო ყოველი იგი საქმე
და არა ექმარებოდა მას მცნებამ, რამეთუ, უკუეთუმცა მცნე-
ბამ უკმდა მას, რად იტყოდა, ვითარმედ: „თავით ჩემით დავს-
დებ?“ რამეთუ რომელი თავით თვისით დასდებდეს, მცნებამ
არა ექმარების და მიზეზსაცა იტყვს ამისა ქმნისასა, ესე იგი

¹ მათ. 27,42

² იქვე.

არს, რამეთუ მწყემსი არს იგი და კეთილი მწყემსი. ხოლო კეთილსა მწყემსსა არა ეკმარების სხუად ვინმე კეთილად მწყემს-სა მიმართ მასწავლელი, ხოლო უკუეთუ კაცთა ზედა ესრეთ არს. არა უფრომხად ღმრთისა ზედა ესრეთ იყოსა? ამისთვისცა მოციქული იტყოდა, ვითარმედ: „თავი თვისი წარმოიციალიერა“³, ხოლო ესე სიტყუად, ვითარმედ: „მცნებად მომიღებებს“, სხუასა არარას მოასწავებს, გარნა მამისა თახა ერთობასა, ხოლო ესრეთ სიმდაბლით და კაცობრივ თქემისა მიზეზი მსმენელთა მათ უძლურებად არს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: განწვალდება იყო კუალად ჰურიათა შორის ამისთვის და რომელნიმე იტყოდეს: „ეშმაკეულ არს და ცბის. რასა იხმენტ მისსა?“ სხუანი იტყოდეს: „ესე სიტყუანი არა ეშმაკეულისა არიან. ნუუკუე ეშმაკსა კელ-ეწიფებისა ბრმისა თუალთა აღხილვად?“ (10,19—21). თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინადთგან უზეშთაეს კაცობრივისა ძალისა იყვნეს სიტყუანი მისნი, ამისთვის ეშმაკეულ უწოდდეს და, აჰა ესერა, ესე სიტყუად სამგზის უთქუამს მისდა, რამეთუ პირველ იტყოდეს: „ეშმაკი არს შენ თანა. ვინ გეძიებს შენ მოკლვად?“ და კუალად თქუეს: „არა კეთილად ვთქუთა, ვითარმედ: „სამარიტელ ხარ შენ და ეშმაკი არს შენ თანა?“ და კუალად აჰა ესრეთ იტყვან: „ეშმაკეულ არს და ცბის“. და უფრომს არა სამგზის, არამედ მრავალგზის ჰრქუეს, რამეთუ სიტყუად იგი, ვითარმედ: „არა კეთილად ვთქუთა, ვითარმედ სამარიტელ ხარ და ეშმაკი არს შენ თანა?“ მოასწავებს, ვითარმედ მრავალგზის ვთქუა მისდა სიტყუად იგი, ხოლო რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: „ესე სიტყუანი არა ეშმაკეულისანი არიან, ნუუკუე ეშმაკსა კელ-ეწიფებისა ბრმისა თუალთა ახილვად?“ ვინადთგან რომელთამე იწყეს, მათ ბოროტთა და წინააღმდეგომთა, და სიტყუათა მიერვე დაეყო პირი, საქმენი მოიხუნეს შორის, ვითარმეცა იტყოდეს. ვითარმედ: „სიტყუანი მისნი კეთილ არიან, უკუეთუ სიტყუანი არა გრწმანან, საქმენი იხილენით“. ხოლო ქრისტემან არარაად მიუგო ამის ყოვლისათუს, რამეთუ პირველ მიუგო, ვითარმედ: „ჩემ თანა ეშმაკი არა არს“, ხოლო აწ არღარას ეტყუს,

³ ფილიპ. 2,7

რამეთუ. ვინაფთგან საქმით ყოველივე გამოაჩინა, ამისთვის სიტყუა დაიღუმა, რამეთუ არცაღა ღირს იყენეს სიტყუასა მისსა, რომელნი საქმეთა მათთვის, რომელთათვის ღმრთად ჯერ-იყო აღსაარებად მისი, ეშმაკეულით ჰხადოდეს და კვალად იგინივე ურთიერთას წინააღმდეგომ იყენეს, ხოლო ქრისტე ყოველსავე ღუმილით და სიმშუდით მოითმენდა, რაფთაჲცა ჩუენ გუასწავა ყოველსაჲვე სიმშუდით მოთმინებად.

ს წ ა ვ ლ ა დ ე

გლოვისათუს თუსთა ცოდვათაჲსა და ქველისსაქმისათუს

მას უკუე ვჰბადვიდეთ ჩუენ, რომელმან არა თუ ოდენ მოითმინა, არამედ ბევრეულნი კეთილნი უყენა მათ, რომელნი-იგი აგნებდეს მას და ეძიებდეს მოკლვად. და რად ვიტყუ, თუ: „კეთილი უყო?“ რამეთუ სულიცა აუსი დადვა მათთვის და ჯუარს-აცუეს რაჲ, მათთვის მამასა ევედრებოდა. ჩუენცა უკუე ვჰბადვიდეთ მას, რამეთუ ესე არს მოწფობაჲ ქრისტესი, რაფთა კაცი მშუდ იყოს და მდაბალ, ხოლო სიმშუდჲ ვითარ მოვიგოთ. უკუეთუ ცოდვათა ჩუენთა არა ვიკსენებდეთ და ვიგლოვდეთ და ვტიროდით? რამეთუ, სადა გლოვაჲ იყოს, მუნ მრისხანებაჲ ვერ დაიმკვდრებს, სადა შემუსრვილებაჲ გლოვისაჲ არს, მუნ გულფიცხელობაჲ არა იპოვებინს, რამეთუ, რაჲმს გონებაჲ იტანჯებინს გლოვისა მიერ და ყოვლადვე ვერ შემძლებელ არს განრისხებად, არამედ ქუედადრეკით იგლოვინს და ტირინს, რამეთუ ტირილისაჲცა არს საწუთრო ესე და გლოვისაჲ, ვინაფთგან მრავალთა მიერ ცოდვათა შებლა-ლულ ვართ საქმითცა და სიტყუთ და მიგუელის გეჰენიაჲ ცეცხლისაჲ და განვრდობაჲ სასუფეველისაგან. რომელი-იგი უბოროტეს არს ყოველისავე. და ვინაფთგან ესე ესრეთ არს, ვითარ იკადრებ შენ სიცილსა და განცხრომასა, რომელსა-ფგე რისხვაჲ მეუფისაჲ გესმის და სდგა უდებებით და არა სძრწი. არა გესმისა, ვითარ იტყუს. ვითარმედ მას დღესა

პრქუას მეუფემან მან მარცხენითთა: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას განმზადებულსა ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთათჳს. რამეთუ მშოიდა და არა მეციოთ მე ქამადი“¹ და შემდგომი ამისი? ისმინე იგავი იგი ქალწულთა მათ, ვითარ განვარდეს სასძლოჲსა მისგან, ვინამთგან „ზეთი წყალობისაჲ არა აქუნდა“.¹ ისმინე წინამსწარმეტყუელისაჲ, ვითარ იტყჳს: „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა“;² რამეთუ ეგრეთვე ჩუენ თანა-გუაჲ მოწყალეზაჲ ძოყუსისაჲ, ვითარცა ჩუენ ვითხოვთ ღმრთისა მიერ, ხოლო მოწყალეზაჲ კეთილი ესე არს, რაჲამს ნაკლულევა-ნებისაგან ჩუენისა მივსცემდეთ და არა ნამეტნავისაგან, და უკუეთუ ნამეტნავისაგანცა არა მივსცემდეთ, არა უწყი, თუ ვითარი ვპოოთ წყალობაჲ მას დღესა, ანუ ვითარ განვერნეთ სატანჯველისაგან, ვინამთგან უკუე ქალწულთა მათ ესეოდნთა შრომათა შემდგომად არაარაჲ პოვეს ნუგეშინის-ცემაჲ, რაჲ ვყოთ ჩუენ, საწყალობელთა ამათ? რამეთუ ესრეთ გუაყუ-ედრებდეს ქრისტე, ვითარმედ: „მშოიდა და არა მეციოთ მე ქამადი“ და: „რაოდენი არა უყავთ ერთსა მცირეთაგანსა, არცა მე მიყავთ“? რამეთუ ყოველივე კაცი, გინა დიდი იყოს, გინა მცირე, ოდენ მორწმუნე იყოს, და არაჲ ვყოთ მის თანა წყალობაჲ, ესე სიტყუაჲ გუესმეს ჩუენ. რამეთუ რასა ძნელსა ეძიებს იგი ჩუენგან, რამეთუ არა თუ იტყჳს, თუ „უძლურ ვიყავ და არა აღმადგინეთ მე“, არამედ: „არა მიხილეთო“, არცა იტყჳს, თუ: „საპყრობილეს ვიყავ და არა გამომიყვანეთ მე“, არამედ: „არა მოხუედით ჩემდაო“. რაზომცა უკუე სუბუქ არიან მცნებანი ესე, ეკუზომ მძიმე არიან სატანჯველნი მათთჳს, უკუეთუ არა აღვასრულნეთ. რამეთუ რაჲ არს უადვილჲს საპყრობილეს მისლვისა, ანუ უმჯობეს სადა იხილნე რომელნიმე კრულნი, რომელნიმე ტანჯვასა შინა, რომელნიმე მშოიერნი, რომელნიმე უძლურნი საწყალობელნი, დაღაცათუ ქვა იყო, ღმობიერ იქმნე, იხილნე რაჲ საქმენი იგი კაცობრიენი და საუკუნოჲცა საშჯელი მოიგონო, და ესრეთ განიოტო შენგან გულისწყრომაჲ და გულისთქუმაჲ

¹ შდრ. მათ. 25,41, 25,35

¹ შდრ. მათ 25,1—12

² ფსალმ. 50,1

და სიყუარული საწუთრომსა და გულისხმა-ჰყო, ვითარმედ, უკუეთუ კაცთა მიერ ესევეთარნი შიშნი და ტანჯვანი და საშ-ჯელნი არიან, რამე ყოფად არს წინაშე ღმრთისა? ამისთვისცა ბრძენი იგი იტყოდა: „კეთილ არს შესლვა სახლსა გლოვისასა ვიდრე სახლსა სიცილისასა“. და რაჟამს ესრეთ იყოფოდა, მას საუკუნესა გესმენ სიტყუანი იგი ნეტარებისანი. ამისთვის უკუე, ძმანო, ნუმცა უდებ ვიქმნებით კეთილისა მიძართ, არამედ მოვიდოდით და ნუგეშინის-ვსცემდეთ ჳირვეულთა, მყოფთა საპყრობილეთა შინა, ხოლო უკუეთუ იტყუ, ვითარ-მედ: „არა თუ საპყრობილესა შინა კაცნი საღმრთონი არიან, არამედ კაცისმკლველნი და ავაზაკნი და მპარავნი, არამედ ჩუენდა არა თუ ბრძანებულ არს, რამთა კეთილნი გუეწყა-ლოდიან და ბოროტთა ვსტანჯვიდეთ“, რამეთუ იტყუს უფა-ლი: „იყვენით მოწყალე, ვითარცა მამამ თქუენი ზეცაითა, რამეთუ აღმოაბრწყინებებს მზესა თვსსა ცოდვილთა ზედა და ძართალთა“.¹ და შენცა უკუე ნუ ხარ უწყალო მსაჯული, არამედ გულისხმა-ყავ, რამეთუ ჩუენცა მრავალთა ცოდვათა თანამდებ ვართ, რომელნი შემძლებელ არიან ჳოჯობეთს მიყ-ვანებად ჩუენდა, რამეთუ ძმათადაცა „ცოფ“ გვრქუამს და დედათადა გულისთქუმით მიგზხედვან, რომელი-იგი მრუ-შებად არს, და მრავალგზის უღირსებით ზიარებულ ვართ, შებლალულნი უშჯულოებათა მიერ და ცოდვათა, რომელ-ესე უძრკმს არს ყოველისავე, ნუმცა უკუე სხუათასა გულისხმა-ვპყოფთ, არამედ თავთა თვსთა ცოდვანი მოვიკსენნეთ. რამე-თუ ქრისტე არა მართალთა თანა ოდენ იქცეოდა, არამედ ცოდვილთაცა, ვითარცა-იგი ქანანელსა და სამარიტელსა და შეძავსა მას და სხუათა მრავალთა, და ჩუენ, შებლალულნი მრავალთა მიერ ცოდვათა, შეურაცხ-ვპყოფთ მათ, რომელ-ნი-იგი მისვე მიწისაგან ქმნულ არიან, ვინაიცა ჩუენ, რასა იტყუ: „საპყრობილესა შინა ბოროტნი კაცნი არიან“, ხოლო ქალაქსა შინა ყოველნივე კეთილნი არიან? რამეთუ არა-მცირედნი არიან უკეთურნი აქაცა, და ჩუენ, ყოველნი, ცოდ-ვათა თანამდებ ვართ. რამსათვს უკუე დაუტეობთ თვსთა ცოდვათა და სხუათასა ვხედავთ და, სადა კაცთმოყუარებისა

¹ შდრ. მათ. 5,45

ეამი იყოს, გამოვეძიებთ უკეთურებასა? არამედ ვინაღმეტ-
ლა თავნი ჩუენნი, თუ ვითარ ვიყვენით ჩუენცა ოდესმე და
ესრეთ ვიქმნენით სახიერ, რამეთუ ჩუენცა ვიყვენით ოდესმე
ურჩი, უგუნურ და შეცთომილ, მონა თითოსახეთა მათ გუ-
ლისთქმათა, უკეთურ, მოძულე ძმათა და შვილ რისხვისა,
ხოლო ღმერთმან იხილა რაჲ, ვითარცა საპყრობილესა შინა
ვიყვენით და ვითარითა ჯაჭვთა შეკრულ, არა სირცხულ-ჩინა,
არამედ მოვიდა საპყრობილედ. და ჩუენ გამოგვქსნნა მიერ
და მოგვყვანნა სასუფეველად და ცათა უმაღლეს მყვნა, რაჲ-
თა ჩუენცა ძალისაებრ ჩუენისა ვჰბაძვიდეთ მას. რამეთუ მო-
წაფეთა რაჲ ეტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუ მე დაგბანენ
ფერჯნი, უფალმან და მოძლუარმან, თქუენცა თანა-გაც ურ-
თიერთას ფერჯთა დაბანაჲ, რამეთუ სახმ მიგვეც თქუენ, რაჲთა,
ვითარცა მე ვქმენ, ეგრეცა თქუენ იქმოდეთ“,¹ არა თუ
ფერჯთა დაბანისათჳს ოდენ თქუა, არამედ ყოვლისათჳსვე.
ეგრეთვე უკუე ჩუენ, გინა თუ ბოროტი ვინ იყოს, გინა
თუ კეთილ, კეთილის-ყოფად ნუ დავსცხრებით და მრავალ-
გზის იპოვოსცა კაცი დიდი წინაშე ღმრთისა, რა-
ძეთუ აბრაჰამცა ყოველთა შეიწყნარებდა და მერ-
ძე შეიწყნარნა ანგელოზნი, ეგრეთვე ჩუენცა მივემთხ-
ვნეთ კაცთა მაღალთა, უკუეთუ მარადის კეთილსა ვიქმოდით,
დაღაცათუ აქა არა მივემთხვნეთ კაცთა წმიდათა, ღმერთმან
არა იცისა, ვისთჳს ვიქმთ მოწყალეებასა? ესე უკუე ყოველი
გულისხმა-ყვით და მარადის ვიქმოდით ქველისსაქმესა ჰირ-
ვეულთა ზედა და მივიდოდით საპყრობილესა შინა მყოფთა
მიმართ, რაჲთა მათცა ვარგოთ და ჩუენცა ვირგოთ უმეტესი
და ღმერთი იდიდოს ჩუენ ზედა და ესრეთ ღირს ვიქმნეთ სა-
უკუნეთა მათ კეთილთა მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფ-
ლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომ-
ლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ
და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ იოან. 13,14—15

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: „და იყო მაშინ სატფურება იერუსალმს და ზამთარი იყო; და იქცეოდა იესუ ტაძარსა მას შინა და სტოვასა სოლომონისსა. გარემოდგეს მას ჰურიანი იგი და ეტყოდეს: „ვიდრემდის სულთა ჩუენთა წარგუქდი? უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუენ განცხადებულად“ (10,22—24).

ყოველივე სათნოება კეთილ არს და უფრომად სიმშდმ და სახიერება. ესე კაც-მყოფს ჩუენ და ანგელოზთა თანა შებაერთებს. ამისთვისცა ქრისტემან ესე ფრად გუასწავა სიტყვთ-ცა და საქმით, რაჟამს-იგი ყურიმლის-ცემასა თავს-იდებდა და, კულად, ოდეს ჰგმობდეს და შეურაცხ-ჰყოფდეს და „სა-ძარიტელ“ სახელ-სდებდეს, და რომელთა-ესე ყოველი უყვეს და მრავალგზის ინებეს ქვისა დაკრება მისი, აჰა, ესერა, აწ გარემოდგომილ არიან და ეტყვან: „უკუეთუ შენ ხარ ქრისტე?“ და არცა ესრეთ გარემიქცინა იგინი ესეოდენტა მათ ბოროტთა ზედა, არამედ ყოვლითა სიტკბოებითა ეტყო-და მათ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: და იყო მაშინ სატფურება იერუსალმს და ზამთარი იყო (10,22). თ ა რ გ მ ა ნ ი: დიდი იყო ესე დღესასწაული, რამეთუ ესე იყო დღე იგი, რომელსა ტაძარი აღეშენა, მო-რაჲ-იქცეს დიდისა მის ტყუეობისაგან სპარსე-თისა და დიდად დღესასწაულობდეს მას დღესა და მას დღე-სასწაულსა იყო ქრისტე, რამეთუ, ვინაჲთგან ვნება მისი მოახლებულ იყო, ამისთვის ზედასზედა იქცეოდა ჰურიასტანს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: გარემოდგეს მას ჰურიანი იგი და ეტყოდეს: „ვიდრემდის სულთა ჩუენთა წარგუქდი? უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუენ განცხადებულად“ (10,24). თ ა რ გ მ ა ნ ი: და თავადმან არა ჰრქუა, თუ: „რასა ეძიებთ ჩემგან? ეშმაკეულად მიწოდთ მე და სამარიტელად და სთქუთ: „შენი წამებაჲ არა ჰეშმარიტ არს“ და მრავალნი ესე-ვითარნი, და აწ რასალა მკითხავთ? ანუ რაჲ ვნებაჲს ჩემ მიერ ცნობად?“ არამედ არარაჲ ჰრქუა ესევითარი, რომელმან-იგი იცოდა ყოველივე პირველ ყოფისა და უწყოდა დაფარული გულთა მათთაჲ, რამეთუ იგი არს განმკითხველი გულ-

თამ და იცოდა უკეთური იგი გონებად მათი, რომლითა ჰკითხვიდეს, რამეთუ სიტყუად იგი, თუ: „ვიდრემდის სულთა ჩუენთა წარგუქდი“, ვითარცა სურვილისაჲ ჩნდა, ხოლო გონებად მათი უკეთურებასა შინა იყო და ზაკუევასა, რამეთუ ენება, რადთამცა მისითა სიტყუთა სძლეს მას. ვინადთგან საქმეთა მისთაგან ვერარას პოვებდეს შემწედ მათისა უკეთურებისა, ამისთვის სიტყუათაგან ეძიებდეს პოვნად და ეტყოდეს, ვითარმედ: „მითხარ ჩუენ“, რომელსა-იგი მრავალგზის ერქუა და სამარიტელსაცა პრქუა, ვითარმედ: „მე ვარ“, და ბრმასაცა, ვითარმედ: „იხილე იგი, და რომელი იტყუს შენ თანა, იგი არს“, და მათდაცა ეთქუა, დადაცათუ ესრეთ არა ეთქუა, არამედ სხუათა სიტყუათა მიერ, რამეთუ უკუეთუმცა მათ თანა გონებად მართალი იყო, საქმენი იგი, მისნი არა კმა ეყოფოდესა ჩუენებად, თუ ვინ არს, რადთამცა სიტყუთა მით აღეარა და არღარამცა მისთვის თქუმასა მოელოდეს? ხოლო აწ იხილე მათი იგი განდრეკილებად: რამეთუ, რაჟამს სიტყუთ ასწავებნ, ეტყოდინან: „რასა სასწაულსა გვჩუენებ?“ და რაჟამს საქმით უჩუენებნ, მაშინ თქვან: „უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუენ განცხადებულად“. ეჰა, სიბრმე! საქმენი ღალადებდეს და იგინი სიტყუათა ეძიებდეს და რაჟამს სიტყუათა ასწავლინ მათ, საქმეთა სთხოვდინან. რამეთუ არა ჭეშმარიტებისათჳს ჰკითხვიდეს, ამისთვისცა მცირედი რაჲ თქუა თავისა თვისისათჳს, მეყსეულად ინებეს ქვისა დაკრებად და გარემოდგომადცა, და კითხვად მათი უკეთურებითა საგსე იყო: „გვთხარო განცხადებულად“, და იგი მარადის განცხადებულად იტყოდა ღღესასწაულთა შინა და ერსა შორის ტაძარსა შინა, არამედ მით ამისთვის წინაუყვეს სიტყუად ესე ზაკუევისაჲ, ვითარმედ: „ვიდრემდის სულთა ჩუენთა წარგუქდიო?“ რადთამცა პოვეს სიტყუათა შინა მისთა ბიწი, რამეთუ ყოლადვე რასაცა ჰკითხვიდეს, არა ამისთვის ჰკითხვიდეს, რადთამცა ჭეშმარიტი ცნეს, არამედ რადთამცა მიზეზი პოვეს, ვითარცა-იგი, რაჟამს ჰკითხეს, თუ: „ჯერ-არსა ხარკისა მიცემად კეისრისაჲ, ანუ არა?“¹ და რომელ ჰკითხეს განტევებისათჳს ცოლისა და კუალად დედაკაცისა მისთვის, რომლისა თქუეს,

¹ მთ. 22,17, მარკ. 12,14

ვითარმედ: „შუდ ქმარ ესხნეს“,¹ ხოლო თავადმან მუნ ამხილა მათი ტყუელი, ვითარმედ: „რასა გამომცდით, ორგულნო?“ რაჲთა უჩუენოს, ვითარმედ დაფარულნი გულთა მათთანი უწყნის, ხოლო აქა არა ამხილა, რაჲთამცა გუასწავა არა ყოლადვე მხილებაჲ ბოროტისყოფელთა ჩუენთაჲ, არამედ მოთმინებაჲ ყოვლისაჲვე სიმშუდით, ვინაჲთგან უკუე უგუნურებისა საქმენი იყვნეს, რამეთუ საქმენი ქადაგებდეს და იგინი სიტყუათა ეძიებდეს. ამისთვის ისმინე, ვითარ მოუგო მათ, ერთად, რაჲთა უჩუენოს, ვითარმედ მზაკუევარებით ჰკითხვენ და არა ცნობისათვის და, მკორედ, რაჲთა გამოაცხადოს, ვითარმედ უფროჲს სიტყუათასა უქადაგებიეს საქმეთა მიერ, რამეთუ მოუგო, ვითარმედ: „გითხარ თქუენ და არა გრწამს. საქმეთა, რომელთა ვიქმ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, ესენი წამებენ ჩემთვის“, ვითარცა-იგი მათგანნი, რომელნი უმოლხინესრე იყვნეს, იტყოდეს: „ვითარ კელ-ეწიფების კაცსა ცოდვილსა ესევეითართა სასწაულთა საქმედ?“ და „ვითარ კელ-ეწიფების ეშმაკსა ბრმისა თუალთა ამილვად“. და კუალად იტყოდეს: „ნუუკუე ესე არს ქრისტე? და ქრისტე ოდეს მოვიდეს, ნუუკუე უმრავლესი სასწაული ქმნესა?“ ვინაჲთგან უკუე, რომელთა ესეოდენტა საქმეთაგან არა დაარწმუნეს, და იგინი იჩებებდეს მკირდლითა სიტყუთა დაარწმუნებად? იხილეთ, ვითარ არცხუენს მათსა უკეთურებასა, ვითარმედ: „უკუეთუ საქმეთაჲ არა გრწამს, სიტყუათაჲ ოდეს დაარწმუნოთ?“ არამედ თქუენ არა გრწამსო, რამეთუ არა ხართ ცხოვართა ჩემთაგანნი, ესე იგი არს, ვითარმედ: „რომელი ჩემგან ჯერ-იყო საქმედ, ყოველივე მქმნიეს. უკუეთუ კულა თქუენ არა შემომიდგეთ, ესე არა ამისთვის არს, რომელ არა მწყემსი ვარ, არამედ ამისთვის, რომელ თქუენ არა ცხოვარნი ხართ“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „რამეთუ ცხოვართა ჩემთა კმისა ჩემისაჲ ისმინონ და მე ვიცნი იგინი, და მომდევდენ მე და მე მივსცე მათ ცხორებაჲ საუკუნოჲ და არა წარვწყმიდნე უკუნისამდე, და არავინ მიმტაცნეს იგინი კელთაგან ჩემთა, რამეთუ მამაჲ ჩემი, რომელმან მომცნა იგინი, უფროჲს ყოველთასა არს და არავის კელ-ეწიფების მიტაცებაჲ მათი კელ-

¹ შდრ. მათ. 22.25—28

თავან მამისა ჩემისათა. მე და მამა ჩემი ერთ ვართ“ (10,27—30). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** „იხილე, ვითარ მოუწოდს მათ შედგომად მისა კელოვნებით, რამეთუ იტყვის: „თქვენ არა ისმენთ ჩემსა, რამეთუ არა ცხოვარნი ხართ“, და მერმე აღადგინებს მათ სურვილად საქმისა მის, რაჟამს ჰრქუა, ვითარმედ: „რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე“ და გამოაჩინა თესი და მამისა ერთობა და თქუა რაჟამ, ვითარმედ: „ვერვოსცა კელ-ეწიფების მიტაცებაჲ კელთავან მამისათა“, რაჟამთა არა ჰგონებდენ, ვითარმედ ამას ვერ ძალ-უც, არამედ მამისა ძალითა არს საქმე იგი, ამისთვის შესძინა, ვითარმედ: „მე და მამა ერთ ვართ ძალითა და არსებითა“ რამეთუ, ვიხადთავან მრავალგზის ინებეს ჰურიათა მოაწმუნეთა მისთა განდევნაჲ, ამისთვის თქუა, ვითარმედ: „ამაოდ ჰშურებით, რამეთუ ცხოვარნი ჩემნი კელთა შინა მამისათა არიან, რომელმან მომცნა იგინი“, ხოლო ესე სიტყუაჲ, ვითარმედ: „მომცნა“, მათთვისე არს, რაჟამთა ვერცინ თქუას, თუ „წინააღმდგომი არს მამისაჲ“, ხოლო „კელი“ რაჟამ გესმეს, ნუ რას ხილულსა გულისხმა-ჰყოფ, არამედ კელად ძალსა იტყვის და კელმწიფებასა, რომელი-იგი ერთი არს ძისა და მამისაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო: „ხოლო ჰურიათა აქუნდა ქვეები. რაჟამთაცა დაჰკრიბეს მას“ (10,31). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ამისთვის, რომელ თქუა, ვითარმედ: „მე და მამა ერთ ვართ“. ეჰა, ბოროტი! რომელნი ჰკითხვიდეს, ვითარმედ: „გვთხრან, უკუეთუ შენ ხარ ქრისტი?“ აწ ქვასა დაჰკრებენ, არამედ დაამტკიცა უმეტესად სიტყუაჲ და ჰრქუა: „მრავალი საქმე კეთილი გიჩუენე თქვენ მამისა ჩემისაგან, რომლისა საქმისა მათგანისათვის ქვასა დამკრებთ მე?“ მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო: „კეთილისა საქმისათვის არა დაგკრებთ ქვასა, არამედ გმობისათვის, რამეთუ კაცი ხარ შენ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ“. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: „არა წერილ არსა შჯულსა, ვითარმედ: „მე ვთქუ: „ღმერთნი სამე ხართ თქვენ“? უკუეთუ იგინი თქუნა ღმერთად, რომელთა მიმართ იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ვითარ თქუნენ, რომელი-იგი მამამან წმიდა-ყო და მოავლინა სოფლად, იტყუთ, ვითარმედ: „ჰგმობს“, რამეთუ ვთქუ: „ძე ღმრთისაჲ ვარი მე“

(10,33—36). **თარგმანი:** ხოლო სიტყუად ესე ესევეითარი არს, ვითარმედ: „უკუეთუ რომელთა მდლითა მიიღეს სახელი იგი და არა ბუნებით, და მათ არა აბრალობთ, რომელსა ბუნებით მაქუს საქმე ესე, ვითარ საბრალობელ ვარ?“ არამედ პარველად თქუა, ვითარმედ: „რომელი მამამან წმიდა-ყო და მოავლინა“, რაფთამცა ამით სიტყუთა სიმდაბლისაფთა გულისწყრომად მათი მოდრიკა და ესრეთ შემოიღო განცხადებული იგი განჩინებად, რამეთუ სიმდაბლით თქუა, რაფთა შესაწყნარებელ იქმნეს სიტყუად მისი მათ მიერ, და მერმელა აღამალლა სიტყუად თესი და თქუა:

სახარება: „უკუეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამს ჩემი. და უკუეთუ ვიქმ, დაღაცათუ ჩემი არა გრწამს, საქმეთა გრწმენინ“ (10,37—38). **თარგმანი:** ჰხედავა, ვითარ აღასრულა სიტყუად თესი და გამოაჩინა მტკიცედ, ვითარმედ არარაფთ უდარეს არს მამისა, არამედ ყოველითურთ სწორ მისა არს, რამეთუ, ვინაფთგან არსებისა მისისა ხილვად ვერ ძალ-ედვა, ამისთვის საქმეთა სწორებისა მიერ ყო ყოველივე, — გამოჩინებად განუყოფელობისა მისისა მამისაგან და სწორებად მის თანა, ხოლო უთხრა სარწმუნოებადცა, ვითარ უქმდა ქონებად.

სახარება: „ვითარმედ ჩემ თანა არს მამად, და მე მის თანა“ (10,38). **თარგმანი:** ესე იგი არს, ვითარმედ: „მე სხუად არარაფ ვარ, გარნა რაფ-იგი არს მამად, იგივე მე ვარ დადგრომილი ძეობასა შინა და იგი სხუად არარაფ არს, გარნა რაფ მე ვარ, იგივე არს, დადგრომილი მამობასა შინა. რამეთუ იგი მამად არს და მე ძმ, ხოლო სხუთა ყოველითავე, რაფ-იგი არს, იგივე მე ვარ და, რაფ მე ვარ, იგი არს, ხოლო ესე თუთებად თითოეულისაფ არს, რამეთუ იგი მამად არს და მე ძმ, განყოფილნი გუამოვნებით და შეერთებულნი ბუნებით და უკუეთუ ვინ მე მიცნას, მამად უცნობიეს, და უკუეთუ ვინ მამად იცნას, ვითარცა ჯერ-არს, მას ძმ უცნობიეს, თანაარსი და თანასწორი მამისაფ“.

სახარება: „ეძიებდეს კუალად შეპყრობად მისა და განვიდა კელთაგან მათთა და წიაღჯდა იორდანესა, ადგილსა მას, სადა ნათელ-სცემდა იოვანე პირველად, და დაადგრა მუნ. და მრავალნი მოვიდოდეს მისა და იტყოდეს, ვითარმედ:

„იოვანე სასწაული არაა ქმნა, ხოლო ყოველი, რომელი თქუა იოვანე ამისთვის, ჭეშმარიტ არს“, და მრავალთა ჰრწმენა მისი“ (10,39—42). თ ა რ გ მ ა ნ ი: რაჟამს მაღალი ჩაამე და ღმრთეებისა მისისა საქმე თქვს, წარვიდის მიერ, რაათაჲცა დასცხრა გულისწყრომად მათი, ვითარცა აწ. ესერაცა, ქმნა. ხოლო რადასათვს თქუა სახელიცა ადგილისაჲ მახარებელმან, რაათა სცნა, ვითარმედ ამისთვის წარვიდა მუნ, რაათაჲცა მოაქსენნა მათ მუნ თქუმულნი იგი სიტყუანი იოვანესნი მისთვის და წამებად მისი. ამისთვისცა მოეკსენა, მი-რად-ვიდეს მუნ და იტყოდეს, ვითარმედ: „იოვანე სასწაული არაა ქმნა, არამედ, რაოდენიცა თქუა ამისთვის, ჭეშმარიტ იყო“. ესრეთ უზეშთაეს არს ესე იოვანესა, რამეთუ მან 'სასწაული არაა ქმნა, და ესე იქმს, და კუალად იგი ამისთვის წამებდა და ამის მიერ მისიცა წამებად ჭეშმარიტ იქმნა. და მრავალთა ჰრწმენა მისი, რამეთუ მოიკსენებდეს სიტყუათა იოვანესთა, ვითარცა უძლიერეს თავისა თვისისა სახელ-სდებდა მას და ნათლად და ცხორებად და ჭეშმარიტებად და კმისათვის, ზეცით მოსრულისა, და სულისა წმიდისა სახედ ტრედისა გამოჩინებისათვის, რომელმან უჩუენა იგი ყოველთა, და სხუანი იგი სასწაულნი მისნი, რომელთა ჰხედვიდეს და განემტკიცებოდეს და იტყოდეს, ვითარმედ: „უკუეთუ იოვანესი ჯერ-იყო რწმუნებად თუნიერ სასწაულთა, არა უფროჲსად ამისი ჯერ-არსა, რომელი სასწაულთაცა იქმს და იგიცა მასვე ეწამების?“ ჰხედავა, რაზომ სარგებელ იქმნა უკეთურთა მათგან განშოვრებად? ამისთვის ზედასზედა განაშოვრებდა მათგან მოწაფეთა თვისთა, ვითარცა ერი ჰურიათაჲ პირველ შორს-ყო უკეთურებისაგან მეგუბტელთაჲსა.

არაშემკობისათვის კორცთაისა

ამისთვის ჩუენდაცა ჯერ-არს ესრეთ ქმნად და სივლტო-
ლაჲ ამბოხებათაგან და შფოთთა და ყოფად დაწყნარებრთ, რა-
მეთუ ვითარცა ნავი, ქართა სასტრკათაგან განრომილი, კეთი-
ლად ვალნ, ეგრეთ სული განშოვრებული შფოთთაგან სოფ-
ლისათა აღმალღდებრს ღმრთისა მიმართ. ვივლტოდრთ უკუე
შფოთთაგან და შევამკოთ სული ჩუენი სათნობრთა, შიშითა
ღმრთისაჲთა და მოწყალეობრთა და სიწმარდითა, და ნუ შევამ-
კობთ კორცთა ჩუენთა ოქროჲთა და სამკაულითა შეუნერო-
თა. რამეთუ ამას სამკაულსა ქამისა სიგრძმცა განჰხრწნის და
სხუანი მრავალნი მიზეზნი წარსწყმედენ, ხოლო სულსა სამ-
კაული შორს წმირდა არს ამის ყოვლისაგან და კორციელი
სამკაული სხუათა გულსა შურსა და ჯდომასა შთაუთესავს,
ხოლო სულსაჲ ამის ყოვლისაგან წმირდა არს, რაჲმას ოქროჲ
გუამსა ზედა ჩუენსა და თითთა არა მღებარე იყოს, არამედ
გლახაკათადა მიცემულ, რამეთუ რაჲ არს სარგებელი ოქრო-
ქსოვილთა სამოსელთაგან შემოსისაჲ, ვინაჲთგან ყოველი
კორცი თივად არს და ყოველი დიდებაჲ კაცისაჲ, ვითარცა
ყუავილი თივისაჲ? ამას ყოველსა ვიტყვ, რაჲთამცა გასწავე
შემოსად სამკაული იგი, რომელი გუასწავა დიდმან მოციქულ-
მან ჰავლე: „არა ოქროჲ, ანუ ვეცხლი, არამედ საქმენი
ღმრთისმსახურებისანი, რომელნი-იგი უკუნისამდე ჰგიან
და მომგებელთა მათთა გრგვინითა ბრწყინვალითა შეჰმოსენ“.
ხოლო უკუეთუ კაცთამიერსა დიდებასა ეძიებ, ეგრეცა საღ-
მრთონივე საქმენი მოიგენ, ხოლო კორციელისა სამკაული-
სათვის არავინ გაქებს, დაღაცათუ გაქონ უგუნურთა და სოფ-
ლისმოყუარეთა, არამედ უფრომსად იგინიცა არა გაქებენ,
არამედ უფრომსად გეშურებინ. ხოლო საღმრთოთა საქმე-
თათვის კეთილნიცა და ბოროტნიცა გაქებენ, და ფრიადი შიილო
კაცთაგან ქებაჲ და ღმრთისაგან სასყიდელი ღლესა მას საშ-
ჯელოსასა. ესევეითარი უკუე სამკაული შევიმოსოთ, რაჲთა
აქაცა კეთილად ვიყოფვოდრთ და მუნ საუკუნენი კეთლნი
ვპოვნეთ, რომელთა ღირსმცა ვართ მიმთხუევად მადლითა და

კატმოყუარებია უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებამ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, აგნ.

თ ა ვ ი მ ბ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : „იყო ვინმე უძლური ლაზარე ბეთანიამთ. დაბისაგან მართამსა და მარიამისა, დისა მისისა. და ესე იყო მარიამ, რომელმან სცხო ნელსაცხებელი უფალსა“ (11.1.2).

მრავალნი კაცნი, რაჟამს იხილონ ვინმე სათნოთაგანი ღმრთისათამ ქირსა რასმე შინა, ეორციელსა უძლურებასა, ანუ გლახაკებასა, ანუ სხუასა რასმე, დაბრკოლდებიან და არა იცაან, ვითარმედ უფრომსად ღმრთისმოყუარეთა ზედა მოიწვევიან ესევითარნი საქმენი, რომელ ლაზარეცა მეგობარი იყო ქრისტესი. და სნუელ იყო, რამეთუ იტყვს: „იყო ვინმე უძლური ლაზარე ბეთანიას“, არა ამოდ აცენა ადგილიცა, ვინამ იყო ლაზარე, არამედ მიზეზსა მისთვის, რომელსა იტყვს ქუემორე. ხოლო აწ წინამდებარჱ ესე ვთქუათ, ვითარ დათაცა მისთა გამოაცხადებს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რამეთუ ესე იყო მარიამ, რომელმან ნელსაცხებელი სცხო უფალსა“ (11,2). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამას ადგილსა იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ „ვითარ თავს-იდვა დედაკაცისაგან ესე?“ პირველად უკუე ესე კეთილ არს, რამთა უწყოდით, ვითარმედ არა ესე არს მეძავი იგი, რომელსა იტყვს მათე, არცა რომელსა იტყვს ლუკა, რომელთა სცხეს უფალსა ნელსაცხებელი, რამეთუ იგინი მეძავნი იყვნეს, ფრიადითა ბოროტითა. სავსენი, ხოლო ესე მოსწრაფჱ და პატიოსანი და ფრიად კეთილად მსახური ქრისტესი, ხოლო მსახრებელი გამოაჩინებს, ვითარმედ დათაცა ფრიად უყუარდა იგი, გარნა მან შეუენდო ამას ყოველსა ზედა მოკუდომად ლაზარე. არამედ რამსათვს არა თვთ იგინი წარვიდეს ქრისტესა, ვითარცა ასისთავმან ყო და კაცმან მან სამეუფომან, არამედ მიავლინეს? ამისთვის, რამეთუ ფრიად მინდობილ იყვნეს ქრისტესა და

ფრიადი თვსობაჲ აქუნდა მისა მიმართ. საცნაურ არს უკუე, რამეთუ არა იყო მარაჲმ მათ მეძვეთავანი, ვითარცა ვთქუ, უკუეთუ კულა იტყოდის ვინ, ვითარმედ: „და იგინი რაჲსათვს შეიწყნარხა უფალმან?“ ამისთვის, რაჲთა დაჰქსნას ცოდვაჲ და გამოაჩინოს კაცთმოყუარებაჲ თვისი, რაჲთა სცნა, ვითარმედ არა არს სენი, რომელიმცა სძლევდა მისსა სახიერებასა, და ნუ ამას ოდენ ჰხედავ, ვითარმედ შეიწყნარხა, არამედ იგიცა იხილე, ვითარ მოაქცინა, რამეთუ მახარებელი ამას ადგილსა რაჲსათვს ავსენებს ნელსაცხებელისა მის საქმესა? ამისთვის, რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ ფრიად უყუარდა მას უფალი და მრავალგზის იტყუს, ვითარმედ: „უყუარდეს იესუს ლაზარე და დანი მისნი“,¹ რაჲთამცა გუასწავა არასულმოკლებაჲ, რაჲმს უძლურებაჲ რაჲმე მოაწიოს მოსწრაფეთა და ღმრთისმოყუარეთა კაცთა ზედა.

ს ა ხ ა რ ე ჭ ა ა : „მოავლინეს იესუმასა დათა მისთა და ჰრქუეს: „აჰა, უფალო, რომელი გიყუარდა, სნეულ არს“ (11,3). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ენება მათ, რაჲთამცა ღმობიერად მოიყვანეს ქრისტე, და ჯერეთ, ვითარცა კაცსა, ჰგონებდეს, და ესე საცნაურ არს სიტყუსა მის მიერ, რომელსა იტყუახ, ვითარმედ: „უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო“, და არა თქუეს, ვითარმედ: „აჰა, ლაზარე სნეულ არს“, არამედ: „აჰა, ისერა, რომელი გიყუარდა, სნეულ არს“, ხოლო ისმინე, რაჲ თქუა უფალმან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ესე სნეულებაჲ არა არს სასიკუდინც“ (11,4). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვინაჲთგან ეგულებოდა მუნ ორისა დღისა დაყოფაჲ, ესე მიუმცნო მათ, რომლისათვსცა საკრველ არს, დათათვს ლაზარესთა. ვითარ ესმა რაჲ სიტყუაჲ მისი, ვითარმედ: „ესე სნეულებაჲ არა არს სასიკუდინც“, და შერძე იხილეს იგი მომკუდარი და არა დაბრკოლდეს, არამედ სარწმუნოებოთვე მიუჯდეს უფალსა და არა შეჰრაცხეს იგი განმტყუვნებულად და აქაცა უკუე, რომელ თქუა, ვითარმედ: „რაჲთა იდიდოს ღმერთი“.² ესე სიტყუაჲ, თუ: „რაჲთა არა მიზეზისაჲ არს, არამედ აღსასრულისაჲ, რამეთუ იქმნა სენი

¹ იოან. 11,15

² იოან. 11,4

იგი სხვსა მიზეზისათვის, ხოლო მან არა იცმარა იგი დიდებად ღმერთსა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „და ესე რაჲ თქუა, დაადგრა ადგილსა მას, ორ დღე“. (11,6). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჲსათვის დაადგრა? ამისთვის, რაჲთა მოკუდეს და დაეფლას, რაჲთა ვერვინ თქუას, თუ: არა მკუდრეთით აღადგინა იგი, ამისთვისცა ესეოდენ დაადგრა, ვიდრემდის თქუეს, ვითარმედ: „ყარს“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „და ამისა შემდგომად ჰრქუა მოწაფეთა მისთა „გუალეთ, კუალად წარვიდეთ ჰურიასტანდ“ (11,7). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჲსათვის არასადა განეზრახა მათდა და აწ განაზრახებს? ამისთვის, რამეთუ ეშინოდა მათ ფრიად, და რაჲთა არა უცნაურად წარვიდეს მუნ და იგინი შეძრწუნდენ, ამისთვის განაზრახებს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ჰრქუეს მას მოწაფეთა: „რაბო აწლა გეძიებდეს შენ ჰურიანი ქვისა დაკრებად“. (11,8). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ ეშინოდა მისთვისცა, არამედ უფროჲსად თავთა თვისთათვის, ხოლო იხილე, ვითარ განამცნობს მათ ქრისტე:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „არა ათორმეტნი უამნი არიანა დღისანი, უკუეთუ ვინ ვიდოდის დღესა, არა წარსცეს ფერკი, რამეთუ ჰხედავს ნათელსა ამის სოფლისასა“ (11,9). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ანუ ამას იტყვს, ვითარმედ: „რომელსა არა ექმნას ბოროტი, იგი ნათელსა შინა ვალს და არა ეშინის ბოროტისაგან, და ეგრეთვე ჩუენდა არა ჯერ-არს შიში, რამეთუ არაჲ ბოროტი მიქმნიეს და ღმერთსა საკუდილსაჲ?“ ანუ ამას იტყვს, ვითარმედ: „რომელი ნათელსა ამის სოფლისასა ჰხედვიდეს, მას დაცემისაგან არა ეშინის, არცა დაეცემის; აწ უკუეთუ, რომელი ნათელსა ამის სოფლისასა ჰხედვიდეს, არა უფროჲსად, რომელი ჩემ თანა იყოსა და არა განმეშოროს ჩემგან, იგი დაადგრეს დაუბრკოლებლად?“ ესე ყოველი თქუა, რაჲთამცა შაში მათი განუქარვა და მიზეზსა საჯმარსა ეტყოდა მუნ მისთვისასა და რაჲთამცა უჩუენა, ვითარმედ არა იერუსალჴმს წარვალს, არამედ ბეთანიას. ამისთვის ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ლაზარე. მეგობარმან ჩემმან, დაიძინა, არამედ მივიდე და განვალძმო იგი“ (11,11). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: „არა ამისთვის წარვალ, რაჲთამცა კუალად ვებრძოდე ჰურიათა, არამედ განლძმებად მეგობრისა ჩემისა“.

სახარება: „ხოლო მათ ჰრქუეს მას: „უფალო, უკუ-
ეთუ სძინავს, ცხოვნდეს“ (11,12).

თარგმანი: ხოლო ამას იტყოდეს იგინი, რაითამცა
მუნ მისლვად დაუხრწიეს, ვითარმედ იტყუ მუნ, თუ სძინავს?
არამედ არა საჭირო არს ეგე მუნ მისლვად, არამედ თვთ გა-
ნილძძოს. ვინამთგან უკუე ვერ გულ-სხმა-ყვეს, ამისთვის
ჰრქუა მათ:

სახარება: „ლაზარე მოკუდა, და მე მიხარის თქუ-
ენტუს“ (11,14-15). თარგმანი: რად არს, თუ: „თქუენტუს“?
ესე იგი არს, რომელ არა იყო მუნ და უთხრა და რამეთუ
აღადგანოს და ყოველი იქუ გულთა მათთაგან აღმოკ-
ფხურას. ჰხედავა, ვითარ მოწაფენი ჭერეთ უძღურე-
ბასა შინა იყვნეს და არა უწყოდეს ძალი ქრისტე-
სი, ვითარცა ჭერ-იყო? ხოლო ამას იქმოდეს შიშნი იგი
ძრავალნი და რაჟამს-იგი ეტყოდა, ვითარმედ: „სძინავს“,
თქუა: ვითარმედ: „წარვალ განღძებად მისა“, რამეთუ არა
ენება სიტყუთ წინამსწარ თქუამა, რომელსა საქმით იქმოდა,
და რაითამცა ჩუენცა გუასწავა არა სიქადული არარას ზედა.
ხოლო უკუეთუ ვინ თქუას, თუ: „რად ძილად გულისხმა-ყვეს
იგი მოწაფეთა და არა ცნეს, თუ სიკუდილისათუს იტყუს,
ვინამთგან თქუა, ვითარმედ: „წარვალ განღძებად მისა?“
რამეთუ უგუნურება იყო, თუმცა ესვიდეს ესეოდენსა გზასა
წარსლვად განღძებად მისა, ხოლო მე ამას ვიტყუ, ვითარ-
მედ მოწაფენი ესრეთ ჰგონებდეს, თუ იგავით რასმე იტყუს,
ვითარცა მრავალგზის იქმოდა, რამეთუ ყოველთა მათ ეშო-
ნოდა ჰურიათაგან, ხოლო უფრომს ყოველთასა თომას, ამის-
თვისცა ჰრქუა სხუათა მათ:

სახარება: „მოგუალეთ, მივიდეთ ჩუენცა, რაითა
მის თანა მოვწყდეთ“ (11,16). თარგმანი: რამეთუ იგა-
უუძღურეს იყო უფრომს ყოველთასა, და ვიეთნიმე იტყუან,
ვითარმედ: „მასცა ჰსუროდა სიკუდილად და ამისთვის თქუა-
სიტყუად იგი«, არამედ არა ესრეთ არს, რამეთუ შიშისაჲ
არს სიტყუად ესე, გარნა არაჲაჲ ჰრქუა მას ქრისტემან, არცა
აბრაჲა, რამეთუ იტყრთვიდა მისსა უძღურებასა, ხოლო უკუ-
ანამსკნელ უძღიერეს და უმტკიცე ყოველთასა იქმნა. და
ესე არს საკვრველი, რამეთუ, რომელი-იგი უწინარეს

ჯუარს-ცუმისა ესრეთ უძღურ იყო, ვინათგან ჯუარს-ეცუა უფალი და ჰრწმენა მას აღდგომაჲ მისი, ვხედავთ, ვითარმედ უმეტურვალშს ყოველთაჲსა იქმნა და, რომელი-იგი ქრისტეს თანა ბეთანიად მისლვასა ვერ იკადრებდა, ამან თვნიერ ქრისტეს ხედვისა სოფელი მარტოებით მოიბრინა და შორის ერთა და ქალაქთა იქცეოდა, რომელნი ეძიებდეს მას მოკლვად.

ხოლო ვითარ ოთხისა დღისაჲ პოვა უფალმან ლაზარე? გარნა ესრეთ, რამეთუ მას დღესა, რომელსა აცნობეს უფალსა დათა მისთა, მას დღესა მიიცვალა ლაზარე. აჰა, პირველი დღე! და ქრისტეს ვინათგან ესმა, დაყო მუნ, სადა იყო, სხუამ ორი დღე და მეოთხესა დღესა მოვიდა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „იყო ბეთანიად მახლობელ იერუსალმშსა, ვითარ ათხუთმეტ უტევან, ამისთვის მრავალნი ჰურიანი მოსრულ იყვნეს მუნ“ (11,18-19). თ ა რ გ მ ა ნ ი : რამეთუ ათხუთმეტი უტევანი იყო, რომელ არს ორი მილიონი, ამისთვისცა ეცნა ყოველთა და მოსრულ იყვნეს ჰურიანი მრავალნი ნუგეშინის-ცეზად, ხოლო ნუგეშინის-სცემდეს მათ, რომელნი არა ფრიად უკეთურ იყვნეს, ამისთვის, რამეთუ ქრისტეს მეგობარნი იყვნეს და სხუანი სიდიდისათვის განსაცდელთა მათ ზედა მოსრულისა, გინა თუ, ვითარცა დიდებულთა და პატიოსანთა, პატივ-სცემდეს, ხოლო მართა შეეშინებოდა მას პირველ და არა წარიყვანა დაჲ თვისი მის თანა, რამთამცა თვსაგან უთხრა საქმე იგი. და იხილე, თუ რასა იტყვის: ვინათგან უკუე მოიყვანა იგი უფალმან კეთილსა სასოებასა, ამისთვის წარვიდა და მოუწოდა მარიაშსცა. ესე არს მარიამ, რომლისათვისცა თქუა, ვითარმედ: „მარიამ კეთილი ნაწილი გამოიჩინა“;¹ ხოლო იგი დადაცათუ უმეტურვალშს იყო, არამედ არა ეცნა და ამისთვის მართა პირველ მივიდა, რამეთუ არა თუ მარიამს ეცნა და არა მივიდა, არამედ არა ეცნა, ხოლო მართა მივიდა, და მი-რად-ვიდა, ჰრქუა უფალსა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი ჩემი“ (11,21). თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავთა სობრძნესა მას დედასათა? დადაცათუ ჰერეთ ვერ აქუნდა სრული იგი გულისხმის-ყოფაჲ, გარნა სრულიად სიბ-

¹ ლუკა 10,42

რძნე ფრიადი აჩუენეს, რამეთუ იხილეს რად ქრისტე, არა გლოვად აღიძრნეს, არცა გოდებად, ვითარ ესე ჩუენ ვიქმთ, რაჟამს ვიხილოთ ვინმე მეცნიერთაგანი, მოსრული გლოვასა მას ჩუენსა ზედა, არამედ მათ იხილეს რად, მეყსეულად მოძღუარი აღიდეს და ჰრწმენა მათ ქრისტე, არამედ არა ვითარცა ჯერ-იყო, რამეთუ არა იცნობდეს, თუ ღმერთი იყო, ანუ თვისითა კელმწიფებითა და ძალითა იქმოდა ყოველსავე, ხოლო უფალმან მაშინ ესე ორივე ასწავა მათ, რამეთუ არღა იცოდეს, თუ ღმერთი არს და ამისთვის იტყოდეს: „უკუეთუძცა იყავ აქა, არამცა მომკუდარ იყო ძმად ჩუენი“, ხოლო ესე კუალად არა იცოდეს, თუ ამას ყოველსავე თვისითა კელმწიფებითა ეტყოდა. ამისთვისცა ჰრქუა მართა, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და აწცა ვიცი, რად სთხოვო შენ ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან“ (11,22). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ ვითარცა კაცისა ვისთვისმე სათნოჲსა და ღმრთისმოყუარისა იტყოდა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ხოლო იესუ ჰრქუამას: „აღდგეს ძმად შენი“. **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იგი სიტყუად უკუნაქცია, რამეთუ მან თქუა, ვითარმედ: „რაოდენი სთხოვოო ღმერთსა, მოგცეს შენ“, რამეთუ არა თქუა, თუ: „ესთხოვო“, არამედ: „აღდგესო ძმად შენი“. ხოლო მან თქუა რად, თუ: „აღდგეს უკუანადსკნელსა დღესა“, მაშინ უმეტესად გამოაცხადა კელმწიფეზად მისი და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე ვარ აღდგომად და ცხორებად“ (11,25). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** უჩუენებს მას, ვითარმედ არა საჯმარ არს მისა სხუად შეწევნად, ვინამთგან თუთ არს აღდგომად და ცხორებად. ამისთვისცა შესძინა, ვითარმედ: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ლა-თუ-კუდეს, ცხოვნდესკე“, რადთა უჩუენოს, ვითარმედ იგი არს მომცემელი კეთილთა და მის მიერ ჯერ-არს თხოვად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ლა-თუ-კუდეს, ცხოვნდესკე“ (11,25). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილე, ვითარ აღამალლებს გონებასა მისსა, რამეთუ არა ესეოდენ იყო საძიებელი, რადთამცა ლაზარე აღადგინა, არამედ ჯერ-იყო, რადთამცა მანცა დედაკაცმან და სხუათა მათ მუნ მყოფთა ისწავესმცა იგიცა აღდგომად, რომლისათუს თქუა,

ვითარმედ: „მე ვარ აღდგომამ“ და რაითა ცნას მან, ვითარ-
 მედ, ვინაითგან იგი არს აღდგომამ და ცხორებამ, არა სამე
 ადგილით იქმნების მისმიერა ცხორებამ, არამედ სადაცა იესუ
 შემძლებელ არს კურნებად. რამეთუ უკუეთუცა ეთქუა ჭათ,
 ვითარცა ასისტავმან. მან ყო, ვითარმედ: „თქუ სიტყვთ, გა-
 ნიკურნოს“,¹ ეთქუამცა, ვინაითგან უკუე მოუწოდეს, ამისთვის
 ესე ქმნა და მივიდა, რაითა ასწავოს მათ კეთილი გულისხმის-
 ყოფამ, რამეთუ მო-რა-ვიდა ადგილსა მას, უჩუენებს მათ,
 ვითარმედ შემძლებელ იყო თვნიერ მოსლვისაცა განკურნე-
 ბად. ამისთვისცა ჰყოვნინდა, რაითამცა აყროლდა, რაითა უმე-
 ტესად განეფინოს მადლი მისი. ხოლო დედაკაცმან მან ვი-
 ნამ იცოდა საუკუნომ იგი აღდგომამ? რამეთუ ასმიოდა
 მრავალგზის ქრისტესგან სიტყუად აღდგომისად, არამედ მას
 აწ სუროდა ხილვად. და იხილე იგი, ვითარ ჭერეთ ქუე მდე-
 ბარე იყო გონებიათა, რამეთუ ესმა ქრისტესი, ვითარ თქუა,
 ვითარმედ: „მე ვარ აღდგომამ და ცხორებამ საუკუნომ“, და
 ეგრეთცა არაფე თქუა, თუ: „აღადგინე იგი“, არამედ ჰრქუა:
 „მარწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძმ ღმრთისა“,¹ ხოლო
 უფალმან ამისთვის ჰრქუა, ვითარმედ: „ყოველსა, რომელსა
 ჰრწმენეს ჩემი, მო-ლა-თუ-კუდეს, ცხოვნდესვე“. აქა ამას
 კორციელსა სიკუდილსა იტყვს, ხოლო რაემს იტყოდის, თუ:
 „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს უკუნისამდე“,² მის
 საუკუნომსა სიკუდილისათვის იტყვს. ამისთვის ეტყვს მართას,
 ვითარმედ: „ვინაითგან მე ვარ აღდგომამ და ცხორებამ,
 ამისთვის ნუ გეშინინ. რამეთუ დაღაცათუ მოკუდეს ძმამ შენი,
 ცხოვნდესვე“. რამეთუ მას საქმესა ზედა ნუგეშინის-სცა მას
 და სასოებამ მისცა სიტყვთა მათ, რომელ ჰრქუა, ვითარმედ:
 „აღდგეს“, და ვითარმედ: „მე ვარ აღდგომამ“, და ვითარმედ:
 „აღ-რა-ად-დგეს. დაღაცათუ კუალად მოკუდეს, არარამ ევნოს
 მას“. და ამისთვის არა ჭერ-არს ძრწოლად სიკუდილისაგან. ხო-
 ლო სიტყუად ესე, რომელსა იტყვს, ესევეითარი არს, ვითარ-
 მედ: „არცა ესე მომკუდარ არს, არცა თქუენ მოჰკუდეთ,
 რომელსა გრწმენეს ჩემი“.

¹ მათ. 8,5—8

¹ იოან. 11,27

² იოან. 11,26

სახარება: „გრწამსა ჩემი?“ პრქუა მართა: „მრწამს, უფალო, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძმ ღმრთისაჲ, სოფლად მოხრული“ (11, 26, 27). თარგმანი: ესრეთ ეპგონებ, ვითარმედ ვერ გულისხმა-ყო დედაკაცმან მან სიტყუად იგი, არამედ ესე ცნა, ვითარმედ დიდი რამე იყო სიტყუად იგი, ხოლო თუ რაჲ იყო, კეთილად ვერ გულისხმა-ყო; ამისთვისცა ქრისტემან სხუად ჰკითხა, და მან სხუად მიუგო, გარნა ესე შეიძინა, რომელ ფრიადი იგი გლოვად მისი დაჰქსნა, რამეთუ ესევეთარი არს ქრისტეს სიტყუათა ძალი. ამისთვისცა მართა უსწრო და მარიამ შეუდგა, რამეთუ სიყუარული იგი მოძღურისაჲ გლოვასა მას განაქარვებდა. ამისთვისცა მადლსა მას თანა გონებაჲცა მათ დედათაჲ საქებელ არს.

ს ვ ა ვ ლ ა დ ე ზ

ვითარმედ არა ჭერ-არს უზომოდ გლოვად მკუდართა ზედა, რამეთუ ესე საქმემ ურწმუნოთაჲ არს, და რათა ვიქმოლით შესუენებულთათჳს მოწყალებასა

კუალად აწ სხუათა თანა ჩუენთა ცოდვათა ესეცა ბოროტი არს — უზომოდ და გლოვად მკუდართა ზედა, — რამეთუ რომელნიმე გოდებენ კმითა და დაიბძარვენ პირთა და იფხურიან თმათა, რომელნიმე — გლოვისაგან და რომელნიმე — მაჩუენებლობით. რასა იქმ, მ, კაცო მორწმუნეო, საქმესა ურწმუნოთასა? რამეთუ მწყობრთა შემოჰკრებ და განწესებულად იქმ ტირილსა და დედათა, კმითა და კილომთა მტირალთა, მოიყვანებ. არა სიცოფე არსა ესე ყოველი? ანუ არა გუეცინოდინა წარმართნი და ყოველივე საიდუმლოჲ ქრისტეანობისაჲ ზღაპრად შეჰრაცხონ და იტყოდინ, ვითარმედ: აჰა, ტყუვილ არიან სიტყუანი იგი, წიგნთა შინა თქუენთა წერილნი, თუ არა, უკეთუმცა აღდგომასა მოელოდეთ, რაჲ არს ესე ყოველი გლოვად, უკეთუმცა ესევედით, თუ მას საუკუნესა ჟაორჴსი ცხოვრებაჲ არს, რომლისა მიმართ მიიცივალა

“მესუენებული ესე?” არამედ ესე ყოველი ქადაგებამ მათი ამო არს სამე, რამეთუ, უკუეთუ თავი იგი მათთა კეთილთაჲ არა სარწმუნო არს, სხუად რად იყოს სარწმუნო? არამედ ნუ ჰყოფთ ამას, რადთამცა წარმართთა საკიცხელ ვიყვენით, რამეთუ იგინიცა არავე იქმან ყოველნივე ამას, არამედ მრავალთა მათგანთა სიბრძნე აჩუენეს. რამეთუ დედაკაცისა ვისიმე ძმ მოკლეს ბრძოლასა შინა და, მას უთხრეს რად, მან არა თუ არა იტირა ოდენ, არამედ უფრომსად იწყო სხუათა ჰამბავთა ქალაქისათა კითხვად. და სხუასა ფილოსოფოსსა ედგა გვრგვნი თავსა, ვითარცა სხუათა ფილოსოფოსთა, და უთხრეს, ვითარმედ: ძმ შენი ქალაქისა ამის ჩუენისათჳს ჰბრძოდა და ძოკლეს, და მან მეყსეულად მოიკადა გვრგვნი და ჰკითხა, თუ რომელი ორთა მათ ძეთა მისთაგან? და ვითარცა ცნა, რამეთუ, რომელი უყუარდა, იგი იყო მომკუდარ ქალაქისა მისთჳს, მეყსეულად დაიდგა გვრგვნი.

და ამისთჳს მრცხუენის, რომელ წარმართნი უმკნეს ჩუენსა გამოჩნდებიან და, რომელთა აღდგომისა სიტყუად არა იციან, ძეცნიერთა საქმესა იქმან, ხოლო, რომელთა ვიციით აღდგომისათჳს, ესრეთ ვართ, ვითარმცა არა უწყოდეთ და რომელთა ღმრთისა შიში არა აქუს, არამედ კაცობრივისა საქმისათჳს იქმან, ჩუენ მას ღმრთისა შიშისათჳს არა ვიქმთ და არა ფრიადსა საშჯელსა ღირს ვართა? რამეთუ უფალი იტყჳს: „ნეტარ იყვენენ მგლოვარენი“,¹ და მას გლოვასა არავინ იგლოვს თჳსისა სულისა ცხორებისათჳს, ხოლო ამას გლოვასა, რომელი არა ბრძანებულ არს ჩუენდა, ამას ვიგლოვთ? არამედ იტყჳან ვიეთნიმე, ვითარმედ: „და ვის ძალ-უც კაცსა არა ცრემლოვად მამისა, ანუ შვილისა, ანუ ძმისა თჳსისათჳს, ანუ სხჳსა რადსამე ესევითარისა?“ გარნა არა თუ მემცა ამას ვის ვაყენებდი, არა თუ ვიტყჳ, ვითარმედ: „არა ჯერ-არს, რადთა ელმოდის“, არამედ უშუერებასა მას ვსძაგებ. არა ვარ ესრეთ მვეცისა მსგავს, არცა ესრეთ ულმობელ, ვიცი, რამეთუ ბუნებად იიძულების და არა ეგების არა შეწუხებად, რამეთუ ესე ქრისტემან აჩუენა, ცრემლოვოდა რად ლაზარეს ზედა, და შენცა უკუე ცრემლოვოდე, არამედ შიშითა ღმრთისადათა

¹ მათ. 5,4

და მყუდროებით და პატიოსნებით. უკუეთუ ესრეთ სცრემ-
ლოოდი, არა ურწმუნოებისა სახე არს ესე, და არა ვითარცა
ურწმუნოა აღდგომისაჲ, იგლოვ, არამედ რამეთუ ვერ იტვრ-
თავ განყოფასა მას, რამეთუ, რაჟამს გზასაცა წარვდოლიან
თხსნი ჩუენნი, მწუხარე ვიყვნით, ეგრეთვე შენ ცრემლოვოდე,
ვითარცა შორსა გზასა წარვგზავნიდი. და ამასცა არა თუ
შეჟულსა დაგიდებ, არამედ შეგინდობ და ვიტყუ, ვითარმედ
არა ბრალი არს, თუცა იქმოდით ამას საქმესა ესრეთ წესაჲ-
რად, არამედ უკუეთუ ცოდვილი იყოს, რომელი-იგი აღეს-
რულა, მისთვის ჭერ-არს წუხილი და ტირილი და უფრომსად
არა ტირილი ოდენ, რამეთუ ესე არას ერგების მას, არამედ
რაჲთა ვიქმოდით მათთვის მოწყალებასა და შესაწირავთა და
ჟამისწირავთა, და რაჲთა ვჰმადლობდეთ უფალსა. რომელ-
მანცა იცოდა, ვითარმედ არა მოვალს იგი სინანულად და
ამისთვის აღრე წარიყვანა, რაჲთა არღარა ცოდვიდეს. და
უკუეთუ მართალი იყოს, ეგრეცა ჭერ-არს სიხარული, რამეთუ
განერა საფრკეთაგან სოფლისათა და შევიდა ნავთსაყუდელსა
დაუნთქმელად. და უკუეთუ ჭაბუკი იყოს, ესრეთ ვიხარებ-
დეთ, რამეთუ განეშორა ბოროტთაგან სოფლისათა, და უკუე-
თუ მოხუცებულნი იყოს და მოსცა ღმერთმან ჟამი ფრიადი
კეთილის-ყოფად და ესრეთ წარიყვანა, ხოლო შენ ამას ყო-
ველსა არა იგონებ, არამედ მტირალთა შემოჰკრებ, ვითარცა
ძიცვალეებულსა მას პატივ-სცემიდი, რომელ-ესე უკუანამსკენე-
ლი უპატიოებაჲ არს, რამეთუ შესუენებულისა პატივი არა
ცრემლნი არიან და მტირალთა ჯმანი, არამედ გალობანი და
ლოცვანი და ფსალმუნებანი, და უკუეთუ გნებავს მიცვალე-
ბულისა მის პატივის-ცემაჲ, სხვათა სახითა პატივ-ეც: მოწყ-
ალებაჲ ქმენ, თუ არა ესეოდენისა გოდებისა მიერ რაჲ
სარგებელ ექმნების? ვიდრემდის ვართ მიწა და ნაცარ, ვიდ-
რემდის ვართ სისხლ და კორც, აღვიხილნეთ ზეცად, გულის-
ხმა-ვყოთ საქმჳ სულიერი, ვითარ ნუგეშინის-ვსცეთ წარმარ-
თთა, ვითარ ვეტყოდით აღდგომისათეს, რაჟამს ჩუენ თუ
ესრეთ ვიყვნეთ? ანუ ჩუენ თვთ ვითარ ვიყოფოდით, რამეთუ
უწომოა მწუხარებაჲ დააბნელებს თუალთა სულისათა და არა
რას უმჯობესსა შეუნდობს ხილვად და ღმერთსა შევაწუხებთ
და მაიცვალეებულსა მას ვერას ვარგებთ და თავთა ჩუენთა

ვაგნებთ. ხოლო ესრეთ თუ ვიქმოდით, ვითარცა ვთქუ, ღმერთსაცა მოვიმადლებთ და თავთაცა ჩუენთა ვარგებთ. და უკუეთუ ვინ იტყოდის; ვითარმედ: „ვითარ არა შევწუხნე შვილისა, ანუ მამისათჳს?“ არამედ არა ვიტყუ მე, თუ ნუ შესწუხნები, არამედ ნუ უზომოდ გოდებ, რამეთუ, უკუეთუ გულისხმა-გყოთ, ვითარმედ ღმერთმან მიგულო, და ვითარმედ ძოკუდავი იყო მამაცა და ძმცა ჩუენი, ესრეთ ვპოვოთ განსუენებაჲ, რამეთუ კაცი იშვა მოკუდავი და მოკუდავი იგი ძოკუდა. რად უკუე მწუხარე ხარ ბუნებითისა საქმიანათჳს? ხუუკუე მწუხარე ხარა, რომელ ჭამს შვილი შენი, რომელი-იგი ბუნებითი საქმე არს? ეგრეთვე უკუე არს სიკუდილი. ნუ ეძიებ უკუდავებასა მოკუდავსა მას თანა, ნუცა ჰგოდებ, არამედ თავს-იდევე შჯულო, ბუნებასა ზედა კაცობრივსა დადებუ-ლი, და გოდებდი ცოდვათათჳს. ესე გლოვაჲ კეთილ არს, ესე სახე არს ფრიადისა სიბრძნისაჲ. ესე გლოვაჲ მოვიგოთ, რად-თა მუნ სიხარული იპოვოთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნიოთი უკუენისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ გ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: არღა მოხრულ იყო იესუ დაბად, არამედ მუნღა იყო, ადგილსა მას, სადა-იგი მიეგებვოდა მას მართა. ხოლო ჰურიანი იგი, რომელნი იყვნეს მარიამის თანა სახლსა შინა და ნუგეშინის-სცემდეს, ვითარცა იხილეს მარიამ, რამეთუ აღდგა აღრე და განვიდა, მისდევედეს მას, ჰგონებ-დეს, ვითარმედ საფლავად მივალს ტირილად მისა. თ ა რ გ-მ ა ნ ი: დიდი კეთილი არს სიბრძნე, ხოლო სიბრძნესა მას ვიტყუ საღმრთოსა, ხოლო წარმართთა მათ ფილოსოფოსთა იგი სიბრძნე ამოება არს და ზღაპარ, რამეთუ ყოველსავე კაცობრივსა დიდებისათჳს იქმოდეს. ხოლო სულიერი სიბრძნე დიდ არს, წინაშე ღმრთისაცა პატროსან-ჰყოფს კაცსა და წინაშე კაცთა, რამეთუ, რომელმან შეურაცხ-ყვნეს სოფ-ლისა საქმენი, აქავე ჰპოებს კეთილსა, რამეთუ განთავისუფ-

ლდების ზრუნვათაგან ამოთა და კუალად, რომელმან დიდებამ სოფლისაჲ დათრგუნოს, აქავე განისუენებს, რამეთუ არლა უქმს კაცთა მონებაჲ, არამედ აქუს ჭეშმარიტი აზნაურებაჲ. რამეთუ, აჰა, ესერა, ამანცა დედაკაცმან სიბრძნე აჩუნა, რომელ მრავალნი სხდეს გარემოჲს მისა, და იგლოვდა და გოდებდა და არა მოელოდა მის თანა მოსლვასა მოძღურისასა, არამედ იგი მიეგებვოდა მას, ვითარცა იტყვს მახარებელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ჲ : ხოლო იესუ არლა მოსრულ იყო დაბად, არამედ მუნლა იყო, ადგილსა მას (11,30). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ ნელიად ვიდოდა, რაჲთა არავინ ჰგონებდეს, თუ მიისწრაფის სასწაულისა მის მიმართ, არამედ რაჲთა ივინი ევედრნენ, ანუ კუალად ამას მოასწავებს მახარებელი, ვითარმედ ესოდენ მოსწრაფედ მივიდა მარიაჲ, რომელ მასვე ადგილსა პოვა. ხოლო მივიდა არა მარტოჲ, არამედ მრავალთა ჰუჩიათა თანა და არა იცოდეს, თუ ვინაჲ მივალს სხუათა მათ, რამეთუ ამისთვის ფარულად ჰრქუა მას დამან მისმან, რაითა არა ცნან სხუათა. ხოლო ივინი შეუდგეს მას, რაჲთამცა აღასრულეს მის თანა გლოვაჲ, და ამით კუალად დამტკიცებს სიკუდილსა ლაზარესსა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ჲ : ხოლო მარიაჲ, იხილა რაჲ უფალი, შეუვრდა ფერკთა მისთა (11,32). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** უმკურვალეს იყო ესე უფროჲს დისა თვისისა, რამეთუ არცა ერსა მას დაეროდა, არცა იჰუსა, რომელი აქუნდა მათ ჰრისტესთვის, რამეთუ რომელნიმე მტერთა მისთაგანნი იყვნეს უკეთურნი, რომელნიცა იტყოდეს, ვითარმედ: არამცა ეძლოა ამას, რომელმან აღუხილნა თუალნი ბრმასა, ყოფად რაჲმე, რაჲთამცა უსეცა არა მოკულდა? არამედ მან ყოველნივე კაცობრივი საქმე განიოტა და ერთსა ოდენ საქმესა ეძიებდა — პატივისა უფლისასა და ჰრქუა მას: „უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკულარ იყო ძმად იგი ჩემი“. ხოლო რაჲ არს, რომელ უფალმან მას არა რაჲ ჰრქუა, ვითარ-იგი პირველ დასა მისსა? ამისთვის, რამეთუ ერი ფრიად იყო მუნ და არა ესევითართა სიტყუათა ჟამი იყო, არამედ იწყებს დამდაბლებად და კაცობრივისა ბუნებისა ჩუენებად და დიდსა საქმესა არას უჩუენებდა, არამედ მუნ ენება მიყვანებად, რაჲთამცა მუნ უჩუენა ერთა მათ

დიდი იგი. სასწაული, რამეთუ არღა ფრიად ექმნა ესრეთ დიდი, რომლისაგან ფრიადი სარგებელი მიეცემოდა ერსა. ამისთვისცა მრავალნი მოიყვანნა მუნ მოწამენი მის საქმისანი დამდაბლებითა თვისითა, რამეთუ ამისთვის იწყო ესრეთ კაცობრივთა საქმეთა ქმნად, რათამცა შეუღდგეს მას და არა განეშოვრნეს. და გამოაცხადებს კაცობრივსა ბუნებასა თვისსა, რამეთუ ცრემლოის, და მერმე შეპრისხნა გლოვასა მას, რამეთუ, რომელ იტყვს, თუ: „შეშფოთნა სულითა, ვითარცა რისხვით“, ამას მოასწავებს, ვითარმედ შეშფოთებაჲ იგი გლოვისაჲ დააყენა. და ესრეთ ჰკითხა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : სადა დასდევით იგი? (11,34). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რათა არა ცრემლითმცა იყო კითხვაჲ იგი, ხოლო რამსათვის ჰკითხა? ამისთვის, რამეთუ არა ენება თუთ მისლვაჲ საქმისა მის მიმართ, არამედ მათ მიერ ცნობაჲ და ვედრებაჲ და მაშინღა ქმნაჲ, რათამცა ყოვლისაგან იქუსა განაშოვრნა იგინი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ჰრქუეს მას: „უფალო, მოვედ და იხილე“, და ცრემლოვოდა იესუ (11,34—36). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ არღა აჩუენებდა სახესა რასმე აღდგინებისასა და არცა ესრეთ მივირდა, თუმცა ჰგონებდეს სხუანი, ვითარმედ აღადგინებს, არამედ ჰგონებდეს, ვითარმედ მოვალს, რათამცა იტირა. ამისთვისცა რომელნიმე იტყოდეს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „აჰა, ვითარ უყუარდა იგი“. ვითენიმე იტყოდეს: „არამცა ეძლოა მას, რომელმან აღუხილნა თუალნი ბრმასა, ყოფად რამმე, რათამცა ესეცა არა მოკულდა?“ (11,37)

თ ა რ გ მ ა ნ ი : არცა ეამსა ესევითარსა დასცხრებოდეს უკეთურებისაგან მათისა. რამეთუ იხილე, ვითარ ამის საქმისა შიერ პირველსაცა სასწაულსა შეასმენენ, რამეთუ თქუეს, ვითამცა იგიცა სასწაული განამტყუვნეს, რამეთუ ესხაა, ათამცა ესეცა არა მომკულარ იყო?“ ენება, რათამცა იგიცა სასწაული განამტყუვნეს, რამეთუ ესრეთ იყო სიტყუაჲ, ვითარმედ: „უკუეთუმცა იგი ექმნა, ესემცა ვერ ქმნა?“ და არცა მოელიან აღსაჩრულსა, თუ რასა იქმს, რამეთუ ფრიად უმეტესი იყო მომკულარისა აღდგინებაჲ, ვიდრეღა. ცხოველისა არა სიკუდილი. ჰხედავა, ვითარ განხრწნილ იყო გონებაჲ მათი?

სახარება: „ხოლო იესუ კუალად რეცა თუ რისხვით თავსა თვსსა შორის მოვიდა საფლავად“ (11,38). **თარგმანი:** რამესათვის ესრეთ მოსწრაფებით ზე და ქუე ამას იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „ცრემლოვოდა“ და „შეპრისხნა?“ ამისთვის, რამეთა სცნა, ვითარმედ ქეშმარიტებით ჩუენი ბუნებაჲ შეემოსა, რამეთუ ვინაითგან ესე მახარებელი უფრომს სხუათასა მალალთა და ღმრთეებისა საქმეთა იტყვს მისთვის, ამისთვის აქა ფრიადი სიმდაბლჳ აჩუენა, რამეთუ არცა სიკუდილისათვის თქუა, ვითარცა სხუათა, ვითარმედ: „შეურვებულ იყო“, არამედ უფრომსად წინააღმდეგომი თქუა, ვითარმედ: „დასცნა იგინი პირსა ზედა თვსსა, და ამისთვის აქა იტყვს ამას სიმდაბლოსა სახესა, ვინაითგან მუნ არა თქუა, რამეთუ სიკუდილისათვის ესრეთ იტყვს, ვითარმედ თქუა იესუ, ვითარმედ: „კელმწიფებაჲ მაქუს დადებად სულისა ჩემისა და კელმწიფებაჲ მაქუს კუალად მოლებად მისა“¹ და არარას იტყვს მუნ კაცობრივსა. ამისთვის აქა ფრიად კაცობრივსა საქმესა იქმს, რამეთა დაამტკიცოს კაცებაჲ მისი, რამეთუ მათე შეურვეებისა მისგან და შიშისა და ოფლისა მოასწავებს მისსა კაცებისა ბუნებასა, ხოლო ესე გლოვისაგან, უკუეთუმცა არა ქეშმარიტად ჩუენისა ბუნებისაჲ იყო, ვითარმცა შეპყრობილ იქმნა გლოვისა მიერ ერთ და ორგზისცა, ხოლო ჰურიათა მათ, რომელნი აბრალობდეს მას, არარაჲ პრქუა, რამეთუ რად საკმარ იყვენეს სიტყუანი ესე, ვინაითგან საქმით ეგულეობდა ქმნაჲ:

სახარება: „ალიღეთ ლოდი იგი“ (11,39). **თარგმანი:** ხოლო რამესთვის შორით არა მოუწოდა მას და წარმოადგინა, ანუ რამესათვის არა აღადგინა, ვიდრე ლოდი იყო მის ზედა? რამეთუ, რომელმან გუამი მკუდრისაჲ უსულომ სულიერ-ყო და შეკრულსა ავლენდა, არამცა შეუძლოა, დაღაცათუმცა ლოდი ზედა იყო, აღდგინებად? ხოლო რამესათვის არა ქმნა? ამისთვის, რამეთა იგინი თვთ მოწამე იყვენეს საქმისა მის საკურველისა და ვერ თქუან, ვითარცა ბრმისათვის, ვითარმედ: „ესე არს“, და სხუანიმცა იტყოდეს, ვითარმედ: „არა ესე არს“. ანუმცა უცნებად შეპრაცხეს საქმჳ იგი, ანუმცა სხუაჲ

¹ იოან. 10,18

სხვსა წალ, არამედ მისლვამ საფლავად, და აღებამ ლოდისამ, და აღდგომამ შეკრულისამ, და ბრძანებამ განჯსნად და მუნ ყოფამ მეცნიერთამ, და ცნობამ სამოსელთაცა მიერ და ხედვამ დათამ და, რამეთუ იგიცა იტყოდა მართა: „აჰა, ესერა, ყარსო“, ესე ყოველი დაუყოფდა უკეთურთა მათ პირსა და მოწამე იყო სასწაულისა მის. ამისთვისცა ბრძანებს აღლებად ლოდისა მის საფლავისა მისგან, და ამისთვისცა ჰკითხვიდა პირველ, ვითარმედ: „სადა დასდევთ იგი?“ რამთა რომელთა თქუეს: „მოვედ და იხილე!“ ვერღარა თქუან, თუ: არა იგი აღადგინა, რამთა წამებდენ სიტყუამცა და ჯელნიცა მათნი: სიტყუამ. რომელი მან ჰრქუა: „მოვედ და იხილე!“ და ჯელნი, რომელთა აღიღეს ლოდი იგი და განჯსნეს საკრეველნი, და თუალნი, რომელთა იხილეს იგი გამომაგალი, და საყნოსელნი, რომელთა ეცა სულმყარლობამ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ხოლო თქუა მართა: „უფალო, ყროდის, რამეთუ მეოთხს დღს არს“ (11,39). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** კეთილად სამე ვიტყოდე, ვითარმედ არა იცოდა დედაკაცმან მან სიტყუამ იგი ქრისტესი, თუ რამ არს, რომელი თქუა, ვითარმედ: „მო-ლა-თუ-კუდეს, ცხოვნდესვე“. რამეთუ იხილე, რასა იტყუს აჰა, ვითარცა შეუძლებელისა საქმისათუს, რამეთუ უცხოცა იყო ოთხისა დღისა განხრწნილისა მკუდრისა აღდგინებამ. ხოლო უფალმან ჰრქუა მას:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „არა გარქუა შენ, ვითარმედ უკუეთუ გრწმენეს, იხილო დიდებამ ღმრთისამ?“ (11,40). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო მოწაფეთა ეტყოდა, ვითარმედ: „რამთა იდიდოს ძს ღმრთისამ მის ზედა“, ხოლო მართას მამისათუს ეტყუს: „რამთა იდიდოს ღმერთიო“. ჰხედავა, ვითარ უძლურებამ მსმენელთამ მათ იყო სიტყუათა შეცვალებისა მიზეზი? ხოლო მოაჯსენა მას სიტყუამ თუსი და ამხილა არამოჯსენებამ მისი და ჰრქუა: „არა გარქუა შენ, ვითარმედ უკუეთუ გრწმენეს, იხილო დიდებამ ღმრთისამ?“

ს ა რ წ მ უ ნ ო ბ ი ს ა თ ვ ს

რამეთუ სარწმუნოებად დიდად კეთილ არს და დიდთა კეთილთა მიზეზი, ვიდრელა სარწმუნოებისა მიერ შემძლებელ იქმნებიან საქმეთა ღმრთისათა ქმნად სახელითვე მისითა, რამეთუ ეტყვის უფალი, ვითარმედ: „უკუეთუ გრწმენეს, პრქუათ მათსა ამას: „იცვალე!“ და იცვალოს“,¹ და ვითარმედ: „რომელსა პრწმენეს ჩემი, უმეტესი ჩემსა ქმნეს“.² ხოლო რამ არს უმეტესი, რამეთუ იქმოდეს აჩრდილნი მოციქულთანი სასწაულთა, რომელთა მიერ იდიდებოდა ქრისტე, რამეთუ არა ესრეთ დიდ არს ქრისტეს ამას სოფელსა შინა ყოფასა ქმნად სასწაულთად, ვითარ შემდგომად სიკუდილისა თვისისა სახელითა მისითა ნსხუათა მიერ უმეტესთა საკვრველებათა ქმნად, რამეთუ ესე უეჭუელნი სასწაულნი იყვნეს აღდგომისა მისისად. დიდი კეთილი არს უკუე სარწმუნოებად, რაჟამს მკურვალისა გონებისა მიერ იყოს და სულისა კეთილისა, ესე გამოგუაჩინებს ჩუენ დიდად, ესე დაჰფარავს უნდობასა კაცთასა და ზეცად მოაწევს გონებასა და, რომლისა პოვნად კაცობრივისა სიბრძნესა ვერ ძალ-უც, ჰპოვებს იგი, ამისთვის უკუე შეუდგეთ მას კეთილად, რამეთუ რამსათვის ვერ შეიძლეს წარმართთა ცნობად რამსამე, ანუ არა ყოველივე კაცობრივი სიბრძნე პოვესა? და რამსათვის უკუე ვერ შეუძლეს მეთევზურთა და მეზუერეთა ძლევად? ამისთვის, რამეთუ იგინი ყოველსავე კაცობრივითა სიბრძნითა ისწრაფდეს ქმნად, ხოლო მოციქულნი ყოველსავე საღმრთოთა სარწმუნოებითა იქმოდეს. ამისთვის პლატონ და პითაღორა და სხუანი იგი ყოველნივე ფილოსოფონი შეცთომილნი დათრგუნნეს და ვარსკულავთმრაცხველთა და ქუეყანისმზომელთა და მერიცხუეთა და რიტორთა და სხუათა მათ ყოველთა ძალი, ვითარცა მტუერი, განაქარვეს და ესეოდენ უმჯობეს იქმნეს მათსა, რაოდენ-იგი ჭეშმარიტი ფილოსოფოსი უმჯობეს არს კა-

¹ მათ. 17,20.

² შდრ. იოან. 14,12

ცისა ცოფისა და უცნობობისა! და ამათ მეყსეულად თქუეს, ვითარმედ: „უკუდავ არს სული“ და არა თუ ოდენ თქუეს, არამედ ყოველთა დაარწმუნესცა. ხოლო მათ პირველად ყოველადვე არა იცოდეს, თუ რაჲ არს სული, ვინაჲთგან უკუე ცნეს და განყვეს იგი ჯორცთაგან, მეყსეულად კუალად იგივე შეეძთხვა, რამეთუ რომელთამე მათგანთა თქუეს, ვითარმედ: „ჯორციელ არს“ და რომელთამე თქუეს, ვითარმედ: „ორკეცი არს და არა მარტივი“, და რომელთამე თქუეს, ვითარმედ: „ჯორცთავე თანა დაიჯსნების“; და კუალად ცისათჳს თქუეს რომელთამე მათგანთა, ვითარმედ „სულიერი არს და ღმერთი არს“; ხოლო მეთევზურთა მათ მოციქულთა ღმრთისა მიერ შეთქმულად ქადაგეს და ყოველთავე ასწავეს. ხოლო უკუეთუ წარმართნი ცთომილ არიან, რაჲ საკრველ არს, რამეთუ იგინიცა, რომელთა ჰგონიეს თავი თჳსი მორწმუნედ, შევლენ ესევეითართა ბოროტთა? იგი არს საკიცხელ და საცთურ თავისა მათისა. ამისთჳსცა შესცთეს და რომელთამე იკადრეს და თქუეს, ვითარმედ: „ღმერთი ესრე ვიციო, ვითარცა თჳთ მან იცის თავი თჳსი“, რომელ-ესე მოციქულთაგანმან არავინ თქუა. არცა ვინ ქადაგა; და კუალად, რომელთამე შეცთომილთა მათ თქუეს, ვითარმედ: „არა სარგებელ არს ცხორებაჲ კეთილი და მოქალაქობაჲ საღმრთოჲ, არამედ ოდენ სარწმუნოებაჲ“. ხოლო ესე საცნაურ არს ყოველთა მიერ, ვითარმედ სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთა კეთილთასა არად სარგებელ არს და ამას ქრისტეცა და მოციქული ჰაველე დაამტკიცებენ, ვითარცა იტყჳს უფალი, ვითარმედ: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: „უფალო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ხებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ“¹ და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „მრქუან მე მას ღღესა: უფალო, არა სახელითა შეხითა ვწინაწარმეტყუელეზდითა? და ვპრქუა მათ: „არა გიცნი თქუენ“;² და კუალად იტყჳს: „ნუ გინჯარინ თქუენ, რაჲჲმს ეშმაკნი გმორჩილობდენ, რამეთუ რომელნი არა ეკრძალებოდინ თავთა თჳსთა, იგინი ადვილად მიდრკეზიან უკეთურებად, დაღაცათუ სარწმუნოებაჲ მართალი აქუნდეს“, არამედ ჩუენ ვივლტოდით საქმეთაგან ბოროტთა, რამეთუ შეუძლებელ არს თჳნიერ საქმეთა კეთილთაჲსა ხილვაჲ ქრისტესი,

ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „მშუდობასა სდევ-
 დით და სიწმიდესა, რამეთუ თვნიერ ამისა ვერვინ იხილოს
 უფალი“. ამისთვისცა მარადის გამცნებ სიწმიდესა, რათა თი-
 თოეთლსა კმა-ეყოფოდის თვისი მეუღლს, რომლისა თანა შჯუ-
 ლიერად უქორწინებდეს და არა შეიგინებოდის ბილწებითა
 მრუშებდასათა, რამეთუ ყოველი მოქმედი მკრუშებისაჲ ვერ
 პპოვება წყალობასა, არამედ წარწყმედისა თანამდებ არს, და-
 დაცათუ ბევრეულნი ჰქონდინ სხუანი სათნოებანი; რამეთუ
 ყოველი მემრუშს ვერ იხილავს ჰასუფეველისა ცათაჲსა გან-
 სუენებასა, არამედ გეპენიასა მიეცემის და მათთვის იტყვს
 ღმერთი, ვითარმედ: „მატლი მათი არა მოკუდეს და ცეცხლი
 არა დაშრტეს“,³ და არცა ერთი აქუს წყალობაჲ, რომელსა
 მეუღლს ესუას და იგი სხუათა თანა შეიგინებოდის, ზინათ-
 გან რომელნიმე შჯულიერისაგანცა მეუღლისა იმარხვენ თავ-
 თა თვსთა ეამსა მარხვისა და ლოცვისასა, უკუე რომელსა
 იგიცა არა კმა-ეყოფოდის, არამედ სხუასა შემოიყვანებდეს,
 რაჲ იყოს მისი წყალობაჲ? და რომელმან დაუტევოს ცოლი
 თვისა შჯულიერად ქორწინებული და შეეყოს სხუასა, იგი
 მემრუშედ შერაცხილ არს, ვითარცა უფალი იტყვს, ვითარ-
 მედ: რომელსა ჰყვესლა ცოლი თვისი და იგი სხუასა თანა შე-
 იგინებოდის, რაჲ ვინ თქუას მისთვის? არამედ ნუშცა ვინ
 უტევებს ამას სენსა დამკუდრებად სულსა შინა თვისსა, გარნა
 ძირითურთ აღმოჰტხურენ იგი. რამეთუ საძაგელ არს საქმს
 ესე წინაშე ღმრთისა, ვითარცა იტყვს უფალი, ვითარმედ:
 „უკუეთუ ვინ განუტევოს ცოლი თვისი გარეშე სიტყუსა სიძ-
 ვისა და სხუაჲ შეირთოს, მან იმრუშა და ცოლიცა თვისი შთა-
 აგდო მრუშებდასა“,⁴ რამეთუ ბოროტ არს სიძვაჲ, ბოროტ! და
 უკუდავსა საშჯელსა მოაწევს კაცსა ზედა, მოქმედსა მისსა,
 და ამასცა ჰოფელსა ყოველი მსიძავი ბოროტითა ცხორებითა
 იყოფების და მონა არს ბოროტისა, რამეთუ სახლსა უცხოთა
 შევალს შიშითა და ძრწოლითა დიდითა და ყოველთა მიმართ
 იტუეულ არს, მონათა მიმართ და თავისუფალთა. ამისთვის

¹ მათ. 7,21

² მათ. 7,22,23

³ მათ. 9,48

⁴ შჯრ. მათ. 5,31

გვედრები, განეშოვრენით ამას ბოროტსა სენსა და, რომელნი არა განეშოვრებით ამას ბოროტსა, წმიდასა ეკლესიასა ნუ შეხუალთ. რამეთუ არავინ ცხოვარი მლიერითა სავსე შეიყვანოს მრთელთა თანა, არამედ შორს-ჰყოფნ მათგან, ვიდრემდის მისი იგი სენი აღივოცნის, რამეთუ ჩუენ ასონი ვართ ქრისტესნი და ნუმცა ვიქმნებით ასო მეძვისა, რამეთუ ადგილი ესე არა სამეძვოა არს, არამედ ეკლესიაა. ხოლო შენ უკუეთუ ასონი მეძვისანი გქონან, ეკლესიასა შინა ნუ დასდგები, რაათა არა შეურაცხ იქმნეს წმიდაა ესე ადგილი, რამეთუ ვითარ თავს-იღებ შემდგომად ესეოდენთა აღთქმათა და ბრწყინვალებათა ქორწინებისათა ესრეთ მრუშებად ცოლისა შენისა და შეგინებად თავისა შენისა, ანუ განშოვრებად თვნიერ მეძვობისა და შერთვად სხვისა? არა გრცხუენისა, არა გეშინისა ღმრთისაგან? რამეთუ, რომელნი შემდგომად სიკუდილისა პირველისა მეუღლისა თვისისა მეორესა შეირთვენ, საბრალობელ იქმნებიან კაცთა მიერ, დაღაცათუ არა აქუს საქმესა მას საშჯელი. ხოლო შენ ცხოვრებასავე მეუღლისა შენისასა სხუასა შეირთავ. ვითარ არა უკეთურება არს ესე? რამეთუ ესე ვითართათუს იტყუს უფალი, ვითარმედ: „მატლი მათი არა მოკუდეს და ცეცხლი მათი არა დაშრტეს“.1 შეიშინე სიტყუსა ამისგან და რისხვისა! შეძრწუნდი საშჯელისა მისგან, რამეთუ არა არს აქა ესეოდენი გემოა, რაოდენი მუნ არს ტანჯვაა, გარნა ნუმცა ვინ იქმნების თანამდებ სატანჯველთა მათ მწარეთა, არამედ რაათა დაიცვან სიწმიდეს და მამებთხუნენ საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა და კაცთ-მოყუარებითა. უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაა არს დიდებაა და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ დ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: ხოლო იესუ აღიხილნა თუალნი ზეცად და თქუა: „მამაო, გამადლობ შენ, რამეთუ იხმინე ჩემი, და მე ვიცო, რამეთუ ყოლადვე იხმინე ჩემი, არამედ ერისა

1 მარკ. 9,48

ამისთვის, რომელი გარემოგადგეს, ვთქუ“ (11,41—42). ვითარცა მრავალგზის მითქუამს, აწცა მასვე ვიტყუ, ვითარმედ უფალი არა ესრეთ ჰხედავს თვსა პატისა, ვითარ ჩუენსა ცხორებასა და არცა მაღალთა სიტყუათა თქუმად ისწრაფვის, არამედ ესევითართა, რომელთა მიერ ჩუენ ვირგოთ, და ამისთვის მაღალთა და დიდთა სიტყუათა მცირედ იტყუს, და მათცა დაფარულად, ხოლო სიმდაბლისა სახეთა სიტყუათა — ფრიად მრავალგზის. ამისთვისცა მაშინ მეუფც უოველთაჲ იესუ ქრისტე, ვინაფთგან ჰხედვიდა, რომელ სამდაბლისა სიტყუათა მიერ უმეტესსა სარგებელსა ჰპოებდეს, არა მარადის მდაბლად ეტყოდა, რაფთა არა შემდგომთა მათ ნათესავთა ვნებისა მიზეზ ექმნას, არცა მარადის საღმრთოფსა ბუნებისაებრ ეტყოდა, რაფთამცა იგინი არა დააბრკოლნა, რამეთუ სრულნი ერთისა მიერ სიტყუსა მაღლისა შეუძლებენ უოველსავე ცნობად, ხოლო მდაბალნი და ჯერეთ ქუემდებარეხი თვნიერ მრავალგზის სმენისა ესევითართა სიტყუათაფსა ვერ მოდრკებიან, რამეთუ მაშინ ესეოდენტა სიტყუათა შემდგომად და ესეოდენტა საქმეთა ჯერეთ ქვასავე დაჰკრებდეს და სდევნიდეს და მგმობრად სახელს-სდებდეს და, რაჟამს-იგი ჰრქუა განრლუეულსა, ვითარმედ: „მიგეტევენენ ცოდვანი შენნი“, იტყოდეს, ვითარმედ: „გმობასა იტყუს“,¹ და კუალად, ოდეს თქუა, ვითარმედ: „რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს, სიკუდილსა არა მიეცეს“,² ეშმაკეულით ჰხადოდეს. და რაჟამს თქუა: „მე მამისა თანა და მამა ჩემ თანა“,³ დაუტევეს იგი და დაბრკოლდეს. და უკუეთუ ამათ სიტყუათათვს ესრეთ დაბრკოლდეს, უკუეთუმცა უოვლადვე ესევითართა იტყოდა, ოდესმცა ისმინეს მისი? არამედ რაჟამს თქუა, ვითარმედ: „ვითარცა მამცნო მამამან, ესრეთ ვიტყუ“⁴ და კუალად, ვითარმედ: „მე თავით ჩემით არა რას ვიტყუ“,⁵ მაშინ ჰრწმენა მისი, ვითარცა იტყუს მახარებელი, ვითარმედ: „ამათ

¹ მათ. 9,2,3; მარკ. 2,5,7; ლუკ. 5,20,21

² შდრ. იოან. 8,51,52; 5,24

³ იოან. 10,38

⁴ იოან. 12,50

⁵ შდრ. იოან. 12,49

სიტყუათათჳს მრავალთა ჰრწმენა მისი“.⁶ ხოლო აწ, უკუეთუ მდაბალთა სიტყუათა მეტყუელებად სარწმუნოებასა მოატყუებდა და მალალთად — ურწმუნოებასა, ვითარ არა სრულიადი უგულისხმოებად არს არაძებნად მიზეზისად, რომლისათჳს ესრეთ მდაბალთა მეტყუელებდა, ვითარმედ მსმენელთა მათ უძღურებად იყო, ვითარცა-იგი სხუასა ადგილსა ენება მალლისა სიტყუსა თქუმად, არამედ დაიდუმა და მიზეზი ჰრქუა პეტრეს, ვითარმედ: „რამთა არა დაბრკოლდენა, შთაჲგდე სამჭედური ზღუასა“,¹ ვითარცა ესე ამასცა ადგილსა ქმნა, რამეთუ თქუა რამ, ვითარმედ: „ყოვლადვე ისმინი ჩემი“, შესძინა და თქუა, ვითარმედ: „ერისა ამისთჳს, რომელი გარემომადგს, ვთქუ, რამთა ჰრწმენეს“. ჰხედავა სიტყუათა ამათ, რამეთუ თავადი იტყუს, ვითარმედ: „ამისთჳს მდაბლად ვიტყუ, რამთა არა დაბრკოლდენ“,² და ვინამთგან იგი ამას იტყუს და საქმენიცა გჳჩუენებენ, ვითარ არა გულისხმა-ვყოთ, ვითარმედ არა ბუნებისათჳს მისისა თქუმულ არიან სიტყუანი იგი მდაბალნი, არამედ უძღურებისათჳს მსმენელთაჲსა? რამეთუ სხუასაცა ადგილსა მოიწია მისა ჳმად, და თავადმან თქუა, ვითარმედ: „არა ჩემთჳს იყო ჳმად ესე, არამედ თქუენთჳს“.³ და ესრეთ მრავალთა მიზეზთათჳს მდაბლისმეტყუელებს მალალი იგი სახიერებისათჳს მისისა და უძღურებისათჳს მსმენელთაჲსა, და კუალად, რამთა ასწავოს მათ სიმდაბლმ, და მერმე, რამთა დაამტკიცოს კაცებად თჳსი, და რამთა წინააღმდეგომად ღმრთისა ჰგონებდენ მას, და რამთა არა ურწმუნო იყვნენ ღმრთისა მიერ მოსლვისა მისისა, და რამთა არა შეჰრაცხონ იგი დამჳსნელად შჯულისა, და კუალად მათისა მის შურისათჳს და რამეთუ მრავალგზის იტყოდა ძუელსა შინა, ვითარმედ: „უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს“, რამეთუ იგი ბუნებით მალალ იყო და არარაჲ ევნებოდა მას მდაბლისმეტყუელებისა მიერ. ხოლო რომელი ბუნებით მდაბალი იყოს, მისდა არა ჳერ-არს ყოვლადვე მალლისმეტყუელებად, რამეთუ ესე ზუაობა არს და აწცა უკუეთუ

⁶ შღრ. იოან. 8.30; 4,41

¹ მათ. 17,27

² შღრ. იოან. 16,1

³ იოან. 12,30

ვინ იტყოდის, ვითარმედ: „რად ესრეთ მდაბლისმეტყუელებდა, რომელი-იგი მაღლისა მის და მიუთხრობელისა არსებისაჲ იყო?“ არამედ გულისხმა-ყავნ, ვითარმედ ამათ ყოველთა პარველთქუმულთა მიზეზთათჳს იტყოდა ესრეთ და კუალად ამისთვისცა, რაჲთა არავინ ჰგონებდეს მისთვის, ვითარმედ უშობელი არს, რამეთუ მოციქულსაცა პავლეს ეშინოდა ამის საქმისაგან. ამისთვის თქუა, ვითარმედ: „თჳნიერ მისა, რომელმან დაამორჩილა მას ყოველი“, ხოლო სწორებასა მისსა მამისა თანა კუალად მოასწავებს სხუასა ადგილსა და იტყუს: „უკუეთუ არა ვიქმ საქმეთა მომავლინებელსა ჩემისათა, ნუ გრწამს ჩემი“,¹ და კუალად იტყუს, ვითარმედ: „მე მამისა თანა, და მამაჲ ჩემ თანა“,² და კუალად: „რომელმან მიხილა მჲ, იხილა მამაჲ ჩემი“,³ რამეთუ ძალისათჳს იტყოდა, ვითარმედ: „მე და მამაჲ ერთ ვართ“,⁴ და ჳელმწიფებისათჳს იტყოდა: „ვითარცა მამაჲ აღადგინებს მკუდართა და ცხოველჳყოფს, ეგრეთჲვე ძმ, რომელთაჲ ენებოს, ცხოველ-ჳყოფს“,⁵ რომელ-ესე შეუძლებელ არს ამის ყოვლისა თქუმად, უკუეთუმცა სხჳსა არსებისა და ბუნებისაჲ იყო, და არამცა მისი თანასწორი იყო, რამეთუ სიტყუაჲ, რომელი იტყუს, ვითარმედ: „რაჲთა პატივ-სცემდენ ძესა, ვითარცა პატივ-სცემენ მამასა“,⁶ და ვითარმედ: „საქმეთა, რომელთა-იგი იქმს, მჲცა ვიქმ“,⁷ და კუალად რომელი იტყუს, ვითარმედ: „მე ვარ აღდგომაჲ და ცხოვრებაჲ სოფლისაჲ“,⁸ ესე ყოველი სწორებისა მისისა სახე არს, რამეთუ ყოველნი ესე სიტყუანი, სიმდაბლისა სახენი, სიტყუანი იყვნეს მსმენელთა მათ უძღურებასათჳს, რამეთუ ვერ იტურთვიდეს მაღალთა და ღმრთეებისა მიხისა შემსგავსებულთა სიტყუათა, არამედ დაბრკოლდებოდეს; და კუალად ამისთვის, რაჲთა არა უშობელად შეჰპრაცხონ იგი ვიეთმე. ხოლო რაჲ საკურველ არს, უკუეთუ

¹ იოან. 10,37

² იოან. 10,38

³ იოან. 12,45

⁴ იოან. 10,30

⁵ იოან. 5,21

⁶ იოან. 5,23

⁷ შდრ. იოან. 14,12; 5,19

⁸ შდრ. იოან. 11,25

ძმე იქმს ამას, რომელი კაც იქმნა ჩუენთვის? ვინაფთგან მამადცა, რომელი უკორცოა არს და არა განკაცებული, მრავალგზის მსმენელთათჳს სიმდაბლისა სახეთა იტყოდა, რამეთამცა მათ ერგო, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: „აღამ, აღამ, სადა ხარ?“ რომელმან-იგი ყოველივე იცოდა, რამეთუ კუალად იტყუს, ვითარმედ, „რამათა სცნა, უკუეთუ კმისა მათისაებრ ჩემდა მომავალისა იყოფებიან“, დაკუალად ეტყუს აბრაჰამს: „აწ უწყი, რამეთუ გეშინის შენ ღმრთისაგან“, და კუალად იტყუს: „უკუეთუმცა ისმინესო“, და კუალად იტყუს: „ვინ მისცეს გულსა ამის ერისასა ესრეთ ყოფად?“ და კუალად წერილ არს, ვითარმედ: „არა ვინ არს მსგავს შენდა, ღმერთთა შორის, უფალო“, და ესრეთ მრავალი იპოვების ძუელთაცა შინა შეუმსგავსებელი სიტყუაჲ პატივსა და დიდებასა ღმრთისასა. და კუალად აქაბისთვის თქუმულ არს: „ვინმე შემიცოთუნოს მე აქაბ?“ და რომელ მარადის საწარმართთა ღმერთთა თანა ჰყოფდა თავისა თვისისა უზეშთაესობასა, ვითარმედ: „არა ვინ არს მსგავს შენდა ღმერთთა შორის, უფალო“ და მრავალი ესევითარი, რომელი-ესე ყოველი უღირს არს თქუმად ღმრთისათჳს, არამედ იგი ესეოდენ კაცთმოყუარე არს, რომელ ჩუენისა ცხორებისათჳს სიტყუათა მათ, რომელნი პატივსა მისსა არა შეეტყუებიან და დიდებასა, თავს-იდებს, რამეთუ განკაცებადცა და ხატისა გონებრივისა შემოსაჲ და ესევითართა სიტყუათა თქუმაჲ და ესევითართა საქმეთა შეურაცხთა თავს-დებაჲ, — ყოველი ესე უღირს არს მისისა მის ღირსებისა მიმართ. უკუეთუ კულა მიუწუდომელი იგი კაცთმოყუარებისა მისისა სიღრმმე მოიგონოს ვინ. ღირსად გამოჩნდების ესე ყოველი მისისა კაცთმოყუარებისა თანა. ხოლო არს სხუადცა მიზეზი მისისა მდაბლად მეტყუელებისა და ესევითართა სიტყუათა თქუმისაჲ, ესე იგი არს, რამეთუ მამად იცოდეს და ჰრწმენა, ხოლო ძესა არა იცნობდეს. და ამისთვის მამისა მიმართ მიიყვანებს სიტყუათა თჳსთა, ვითარცა აღსარებულსა, რამეთუ ძმე ჯერეთ არა სარწმუნო იყო წინაშე მათსა მათისა სიბრმისა და უგულისხმოებისათჳს. ამისთვის ილოცავს და იტყუს: „მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი“. ხოლო უკუეთუ იტყუს ვინ, ვითარმედ: „უკუეთუ რომელთაჲ ენებოს, ცხოველ-ჰყოფს, ვითარცა მამადვე, რამ-

სათუხ ესრეთ ევედრების? ანამედ გულისხმა-ყავთ სიტყუა იგი კეთილად, რომელ იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ ? „ვითარცა აღიღეს ლოდი იგი, აღიხილნა იესუ თუალნი ზეცად და თქუა: „მამაო, გმადლობ შენ. რამეთუ ისმინე ჩემი და მე ვიცი, რამეთუ ყოლადვე ისმინი ჩემი, არამედ ერისა ამისთვის, რომელი გარემომადგს, ვთქუ, რამთა ჰრწმენეს, ვითარმედ შენ მომავლინე მე“. (11,41—42).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვკითხვით უკუე მწვალებელსა, ვითარმედ, „რასა იტყვ?“ ლოცვისა მისგან მოილოა ძალი და აღადგინა მკუდარი; და უკუეთუ ესე ლოცვისა მიერ ქმნა, სხუანი იგი საქმენი ვითარ ქმნნა თვნიერ ლოცვისა, რაჟამს-იგი ჰრქუა ეშმაკსა: „შენ გეტყუ, განვედ მაგისგან“,¹ და კეთროვანსა ჰრქუა: „მნებავეს, განწმდი“,² და განრღუეულსა ჰრქუა „აღიღე ცხედარი შენი, და მიგეტევენენ ცოდვანი შენნი“,¹ და ზღუასა ჰრქუა: „დადუმენ“,² რამეთუ მოციქულნიცა მრავალგზის არა ილოცვიდეს, არამედ ოდენ სახელსა იესუმსსა სახელსსდვიან და ქმნიან სასწაული. ხოლო უკუეთუ სახელი მისი ესე ვითართა საქმეთა შემძლებელ იყო ქმნად, არამცა თვთ იგი უმეტესთა შემძლებელ იყო? ანუ რადმცა ეკმარა მას ლოცვა? ხოლო უკუეთუმცა ლოცვაჲ ეკმარებოდა, არამცა შემძლებელ იყო სახელი მისი ესე ვითართა საქმეთა ქმნად. ანუ ოდეს-იგი შეიქმნოდა კაცსა, რომელი ლოცვაჲ იკმარა? არა ჰხედავა მუნ ერთარსებასა მას, ვითარმედ: „ვქმნეთ კაცი?“, რამეთუ უკუეთუმცა ლოცვაჲ ეკმარებოდა, უძლურიმცა იყო და ვერ შემძლებელი ყოვლისავე ნებისა თვისისა აღსრულებად, არამედ ვიხილოთ, თუ რაჲ არს ლოცვაჲ მისი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ყოლადვე ისმინი ჩემი“ (11,41). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და ვინ სადა ილოცა ესრეთ? რამეთუ ვიდრეღა არა რაჲ ეთქუა, თქუა, ვითარმედ: „გმადლობ შენ“, რამთამცა აჩუენა, ვითარმედ არა ეკმარებოდა ლოცვაჲ, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „ყოველსავე იქმ შენ, რაჲცა მე მენებოს“, არა თუ, რამეთუ ძესა ვერ ძალ-

¹ მარკოზ. 1,25; ლუკ. 4,35; შდრ. მარკოზ. 5,8

² მათ. 8,3; მარკოზ. 1,41; ლუკ. 5,13

¹ მათ. 9,2—6; მარკოზ. 2,5

² შდრ. მათ. 8,26; მარკოზ. 4,39

ედვა ყოვლისა ქმნად, და მისთვისმცა ეტყოდა მამასა, თუ „ყოველსავე მისმენ“; არამედ ერთი არს ნებაჲ და გონებაჲ მათი. ხოლო რამათჳს აღილო სახმ ლოცვისაჲ? ნუ ჩემსა ისმენ ამისთვის, არამედ თავადისაჲ მის ისმინე, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ერისა ამისთვის, რომელი გარემომადგს, ვთქუ, რაითა ჰრწმენეს, ვითარმედ შენ მომავლინე მე“ (11.42). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** არა თქუა, თუ „რაითა ჰრწმენეს, ვითარმედ მე უღარმს ვარ“, ანუ, ვითარმედ: „შეწევნაჲ მიკმს“, ანუ ვითარმედ: „თვნიერ ლოცვისა ვერარას ვიქმ“, არამედ: „ჰრწმენეს, ვითარმედ შენ მომავლინე“. არა თქუა, თუ „მომავლინე მე უძლური, რომელი თავით თვისით ვერარას ვიქმ“, არამედ ესე ყოველი დაუტევა, რაითა არარაჲ მოიგონო შენ უჯეროჲ, და დადვა ქეშმარიტი იგი მიზეზი ლოცვისაჲ, ესე იგი არს, რაითა არავინ წინააღმდეგომად შენდა მგონებდესო, რაითა არავინ იტყოდენ, ვითარმედ: „არა ღმრთისამიერი არს“, რაითა გამოვაჩინო, ვითარმედ: „ყოველსავე საქმესა ჩემსა ხებისაებრ შენისა ვიქმ“. ხოლო სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „ისმინე ჩემი“, მეგობართაჲცა მიმართ ითქუმის და სწორთაჲცა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და მე ვიცო, რამეთუ ყოლაღვე ისმინი ჩემი“ (11,12). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ ყოფად ნებისა ჩემისა არა მეკმარების ლოცვაჲ, რამეთუ ერთი არს ნებაჲ ჩუენი, არამედ ვილოცავ უძლურებისათჳს გარეძოდგომილისა ამის ერისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და ვითარცა ესე თქუა, კმითა დიდითა დაღად-ყო: „ლაზარე, გამოვედ გარე!“ (11,43). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამათჳს არა თქუა, თუ, „სახელითა მამისა ჩემისაჲთა გაძოვედ გარე?“ რამათჳს არა თქუა: „მამაო, აღადგინე ესე“, არამედ ესე ყოველი დაუტევა და ლოცვისა სახმ ქმნა, ხოლო საქმისა მიერ გამოაჩინა თჳსი ჯელმწიფებაჲ? ამისთვის, რამეთუ ესეცა მისისა სიბრძნისა საქმმ იყო, რამეთუ ესე სიტყუათა მიერ სიმდაბლმ და საქმეთა მიერ ჯელმწიფებაჲ გამოაჩინა, რამეთუ, ვინამთვან ვერარას სხუასა იტყოდეს ქრისტესთვის, არამედ ამას ოდენ, ვითარმედ: „არა ღმრთისა მიერ არს“ და ესრეთ მრავალთა აცთუნებდეს, ამისთვის კეთილად უჩუენა იგიცა სახმ, რომელსა მათი იგი უძლურებაჲ აჩუენებდა, რამეთუ შესაძლებელ იყო სხუთაჲცა სახითა ჩუენებად თჳსისა

ერთობისა მამისა თანა, არამედ ვერ ძალ-ედვა ერსა მას მა-
ლალთა მათ საქმეთა გულისხმის-ყოფად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : და თქუა: „ლაზარე, გამოვედ გარე“
(11,43). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე არს, რომლისათჳს იტყოდა: „მო-
ვალს ჟამი, რაჟამს მკუდართა ისმინონ ჳმად ძისა კაცისად, და,
რომელთა ესმეს, ცხოვნდენ“. და რადთა არა ჰგონებდენ, ვი-
თარმედ სხუსა მიერ მოილო ძალი იგი, ამისთჳს პირველითგან-
ვე გასწავა შენ და საქმეთა მიერ გამოაჩინა და არა თქუა,
თუ: „აღდეგ“, არამედ: „გამოვედ გარე!“ ვითარცა ცხოველ-
სა, ეტყოდა მომკუდარსა მას, რადმცა იყო ამის კელმწიფებისა-
სწორი? აწ არა გულისხმა-ჰყოა, ვითარმედ არა ეკმარებოდა
მას ლოცვაჲ, არამედ ერისა მისთჳს იტყოდა? და ვითარცა-
თქუა, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ერისა ამისთჳს, რომელი გარემომადგს,
ვთქუ, რადთა ჰრწმენეს, ვითარმედ შენ მომავლინე მე“ (11,42).
თ ა რ გ მ ა ნ ი : და საცნაურ არს, ვითარმედ, უკუეთუმცა ჰრწმე-
ხა, არად საკმარ იყო ლოცვაჲ, რამეთუ, უკუეთუმცა არა იყო
ლოცვაჲ იგი მისდა არასაკმარ, რადსათჳს მათ ზედა დადვა-
ძიზეზი იგი ლოცვისად, ანუ რადსათჳს არა თქუა, რადთა-
ჰრწმენეს, ვითარმედ: „არა ვარ სწორ შენდა“? არამედ რა-
ჟამს-იგი ჰგონებდეს, თუ დაჰქსნის შჯულსა, ჰრქუა მათ,
ვითარმედ: „არა მოვედ დაქსნად შჯულისა“, ხოლო ამისთჳს
არა ოდეს თქუა, ვითარმედ: „არა ვარ სწორ“, არამედ მა-
რადის სწორებასა თჳსსა დაამტკიცებს მამისა თანა. გარნა
იტყვს მწვალებელი: „და არა თქუა, თუ: „არა მოვედ, რადთა-
ვყო ნებაჲ ჩემი“. არამედ ესეცა სიტყუად მათისა უძლურე-
ბისათჳს თქუა და მისივე მიზეზისათჳს, რომლისათჳს იყო
ლოცვაჲცა. რად არს სიტყუად ესე, ვითარმედ: „ისმინე ჩემი“?
ესე იგი არს, ვითარმედ: „არა რად არს წინააღმდეგობი ჩემი
შენდა მიმართ“, ვითარცა უკუე ესე სიტყუად, ვითარმედ:
„ისმინე ჩემი“, არა ამას მოასწავებს, თუ მას თვთ ძალ-ედვა;
რამეთუ უკუეთუ არა ძალ-ედვა, არცამცა იცოდა, თუ ისმენს
ღმერთი, და უკუეთუმცა არა იცოდა, ვითარ იტყოდა, ვითარ-
მედ: „წარვალ, რადთა განვალძო იგი?“ და მოასწავებდა სას-
წაულსა მას პირველითგან, ვითარცა უკუე ესე არა უძლურ-
ებისა სახე არს, არამედ ერთობისად. ეგრეთვე არს ესე

სიტყუად, თუ: „მე ვიცი, ვითარმედ ყოლადვე ისმინი ჩემი“, ვინამთგან უკუე არცა უცნაურ იყო, არცა უძღურ. საცნაურ არს, ვითარმედ ამისთვის იტყვს ესევეითართა მათ სიტყუათა სიმდაბლისათა, რათა მათცა არგოს და შენ საქმეთა მიერ სცნა, ვითარმედ განგებულებით თქუმულ არიან სიტყუანი იგი და არა ბუნებისა მისისანი არიან. რამ არს უკუე სიტყუად ესე, ვითარმედ: „ისმინე ჩემი“? ესე უძღურებისათს მსმეხელთამსა თქუა. არამედ იხილე შენ საქმც მისი, ვითარ ეწამების კელმწიფებასა მისსა, რაჟამს-იგი გამოვიდა ლაზარე შეკრული. და მერმე რათა არა უცნებად შეპრაცხონ საქმც იგი, რამეთუ მკუდრეთით აღდგომისა არა უდარცხი საკვრელებამ იყო შეკრულისა სლვამ, ამისთვის ბრძანა მისი განჯსხამ, რათა შეეხნენ მას და მიეახლნენ და ცნან, ვითარმედ ქეშმარიტად იგი არს. და თქუა უფალმან: „უტევეთ და ვიდოდის“,¹ ხოლო იქმნა რამ ესე საკვრეელი, რომელთამე უკვრდა, რომელნიმე მიუთხრობდეს ფარისეველთა. და იხილეთ მათი იგი საქმც, რამეთუ ჯერ-იყო განკვრეებამ საქმესა მას ზედა, და ამათ ამის წილ იზრახეს მოკლვამ აღმადგინებელისა მის მკუდართამსამ. მ, უგუნურებამ დიდი! რამეთუ რომელი-იგი სხუათა გუამთა შინა შესრულსა სიკუდილსა მძლე ექმნა, მისსა სიკუდილად მიცემასა ჰგონებდეს და იტყოდეს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რამ ვყოთ? რამეთუ კაცი ესე მრავალთა სასწაულთა იქმს“. (11,47). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჯერეთ კაცად სახელ-სდებდეს მას, რომელთა ესეოდენნი სახენი მისისა ღმრთეებისანი ეხილვნეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რამ ვყოთ? უკუეთუ უტევეთ ესრეთ, ყოველთა ჰრწმენეს მისი და მოვიდენ ჰრომნი და მიგვღონ აღგილი ჩუენი და ნათესავიცა“ (11,47-48). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ენება ერისა მის აღძრვამ და ამისთვის შეაშინებენ ამით სახითა, ვითარმედ, უკუეთუ იხილონ ჰრომთა, რომელ კრებს ერსა, დაგუწამონ განდგომილებამ და ტყუე-ყონ ნათესავი ჩუენი. რამსათვს, მ უბადრუკნო? არა თუ განდგომილებასა გასწავლი-

¹ იოან. 11,44

და, არა გიბრძანაა ხარკი მიცემად კეისარსა? არა გენებაა შეფედ დადგინება და ივლტოდა? და არა უნდოსა ცხორებასა ეძიებდაა მარადის? და არცა სახლი აქუნდა, არცა სხუად რამე საქმეთაგან ამის სოფლისათა, არამედ გულისხმა-ყავთ, ძმანო, ვითარმედ არა თუ მოელოდეს საქმესა მას, ანუ თუ ეშინოდა მისგან და ამისთვის იტყოდეს, არამედ ტყუვილით იტყოდეს, რადთამცა შეაშინეს ერი იგი შურისაგან, რომელი აქუნდა ქრისტეს მიმართ, რამეთუ ესრეთ აღძრეს ერი ქრისტესა ზედა, არამედ, ვინამთგან მოკლეს ცხორება და იგი ყოველთა, ამისთვის ქალაქი და ნათესავიცა მათი წარიღეს და იქმნა სიტყუად იგი, რომელსა ტყუვილით იტყოდეს, ჭეშმარიტ, რომელსა არა მოელოდეს. თუ არა, ქრისტემან ვის ასწავა განდგომილება? რამეთუ იგი მარადის დაჰქსნიდა განდგომილებასა და ასწავებდა ცხორებასა საღმრთოსა და მორჩილებასა მთავართასა, რამეთუ პირველნი იგი იყვნეს მასწავლელ განდგომილებისა, ვითარ-იგი იყო იუდა და თევდა, ხოლო ქრისტემან ყოველივე კეთილი ასწავა. ჰხედავა, რამეთუ მზაკუვარებით იყო სიტყუად მათი? რამეთუ მან არარაჲ ყო ესე ვითარი: არა უდაბნოთა იქცეოდაა მარადის? არამედ მათ არა ენება თვისისა ვნებისა გამოჩინება, ამისთვის ქალაქი და ნათესავი მიზეზ-ყვეს. გარნა არა ესე გექმნა მიზეზ წარტყუენვისა, მ, ჰურიანო, არამედ მარადის ამისთვის ტყუე იქმნებოდეთ ჰრომთა მიერცა და ბაბილოვნელთა და ანტიოხოზის ზე, რამეთუ იყვნეს თქუენ შორის განმარისხებელნი ღმრთისანი და არაწმიდანი. ამან მიგცნა თქუენ ბოროტსა. გარნა შური არარას ჰხედავს, არამედ დააბრმობს სულსა. ანუ არა ასწავებდა ქრისტე სიმშუდესა და მოთმინებასა და ღმრთისმსახურებასა? ხოლო ესე სწავლანი მძლავრებისა მოქმედნი არიან, ანუ დამკსნელნი?

შურისათვის და ანგაპრებისა

ვითარმედ, ვითარცა ვთქუე, ბოროტ არს შური და ორგულეობითა სავსე, მან აღავსო სოფელი ბევრეულითა ბოროტითა; ამის მიერ აღივსნეს სამშჯავრონი ბევრეულითა. ბოროტითა; ამის მიერ არიან კაცის-კლვანი, ვეცხლისმოყუარებანი, ცუდადმზუაობრებანი; ამის მიერ არიან ავაზაკობანი და ძპარვობანი; ამის მიერ ევნო ფრიადი იგი ვნებაჲ ნათესავსა ჩუენსა და, რომელადაცა ბოროტი იხილო, ამისი ნაშობი არს. აჰა, ესერა, ეკლესიათაცა ზედა მოიწია და მრავალნი ბოროტნი ქმნნა. ამან სენმან შვა ვეცხლისმოყუარებაჲ; ამან ყოველივე ზე და ქუე ქმნა; ამან დაამკუა სიმართლჴ; ამან აზნაურნი მონა-ყვნა. ამისთვის გასწავებთ მარადლე და არარაჲ იქმნების სარგებელი, მკეცთა უძკრეს ვიქმნებით, ობოლთასა მოვიტაცებთ, ქურიგთა ვაენებთ და გლახაკთა ვსტყუენავთ. ვაებაჲ ვაებასა ზედა ვკქმნიეს. ვაჲ მე, რამეთუ წარწყმდა ღმრთისმოშიშჲ ქუეყანით, რამეთუ ჯერ-არს გლოვაჲ, რამეთუ ვერცა რაჲ ლოცვითა ვკქმენით, ვერცა სწავლითა. აწ ტირილი ოდენ ვკქმს, ვითარცა ყო ქრისტემან, რაჟამს ფრიადი ასწავა იერუსალჴმელთა, და, ვითარცა არას ისმენდეს, მაშინ ცრემლოოდა მათთვის, ვითარცა წინაწარმეტყუელნიცა იქმოდეს და ეგრეთვე ჩუენცა ვიქმთ აწ, რამეთუ უამი გოდებისა და ტირილისაჲ არს. კეთილ არს აწცა თქუემად, ვითარმედ: მოუწოდეთ მტირალთა და ბრძენთა მიმართ წარავლინეთ და იტყოდინან, ნუუკუე ესრეთ შეუძლოთ განკურნებად სენსა მას ბრწყინვალეთა ტაძართა მაშენებელთასა, რომელნი მოიგებენ აგარაკთა ტაცებით. კეთილ არს მათთვის გლოვაჲ, არამედ შეძეწიენით ჩუენ თქუენცა, რომელნი მათ მიერ ვნებულნი ხართ, იგლოვდით, დასთხიენით ცრემლნი, არამედ, რაჟამს იგლოვდეთ, მათთვის იგლოვდით, რამეთუ არა თქუენდა უვხიეს, არამედ თუსთა თავთადა, რამეთუ თქუენ, უკუეთუ მადლობით შეიწყნაროთ მათმიერი ჳირვებაჲ, მოიგოთ სასუფეველი ცათაჲ, ხოლო მათ — გეჴენიაჲ ცეცხლისაჲ. ვიგლოვდეთ მათთვის წერილთაგან გლოვითა მით, რომლითა იგლოვდეს

წმიდანი, ვიგლოვოთ ესაიამს თანა და ვთქუათ: „ვამ მათა, რომელნი შეაერთებენ სახლსა სახლთა და მიაახლებენ აგარაკსა აგარაკსა თანა, რამთამცა მოყუსისაჲ მიიტაცეს რაჲ“. ნუ დაემკვდრებით მხოლონი ქუეყანასა ზედა, ტაძარნი დიდნი და შეუნიერნი, და არა იყვნენ მკვდრნი მათ შინა. ვიგლოვოთ ნაუმს თანა და ვთქუათ: „ვამ მისა, რომელმან აღაშენოს სიძალედ სახლი თვისი“, და უფროჲსად ქრისტეს, მეუფისა თახა ვთქუათ: „ვამ მდიდართა, რომელ მიუღებთ სასყიდელი მათი“. ¹ ვიგლოვდეთ მათთვის და ნუ დავსცხრებით. ვთქუათ, ვითარცა წინაჲსწარმეტყუელმან, ვითარმედ: „ნუ იგლოვთ მკუდრისათვის, არამედ მტაცებლისათვის და ანგაპრისა და ვეცხლისმოყუარისა და უძღებისა“. ანუ რად ვიგლოვთ მკუდართათვის, რომელთაჲ არა ეგების მოქცევად? არამედ ვიგლოვდეთ ამათთვის, რომელთაჲ შესაძლებელ არს მოქცევად, გარნა, რაჲჲს ჩუენ ვიგლოვდეთ, მრავალგზის იგინი იცინიან. და ესე არს ღირს გლოვისა: რომლისა ტირილი ჯერ-იყო, იგი იცინის, რამეთუ უკუეთუმცა იგინი იგლოვდეს, ესე სასწაული არს განმართლებისაჲ, ვინაჲთგან უკუე უგულისხმოებასა შინა არიან. ამისთვის უკუე ჩუენ ვიგლოვდეთ მათთვის, არა ყოველთა მდიდართათვის, არამედ რომელნი ვეცხლისმოყუარე იყვნენ და მტაცებელ და ანგაპარ. რამეთუ შესაძლებელ არს კეთილად ჯმარებაჲ სომდიდრისაჲ, რაჲჲს გლახაკთა ზედა წარვაგებდეთ. ხოლო ანგაპრებაჲ არს წარმწყმედელ და ბოროტ. ვიგლოვდეთ უკუე მათთვის, ნუუკუე იქმნას რამე სარგებელი, ნუუკუე, დაღაცათუ დაცემულნი არა აღდგენ, არამედ სხუანი არღარა დაეცნენ, არამედ ღირსმცა არიან იგინიცა განრომად სენისა მისგან და სხუანი — არა შთავრდომად, რამთა ყოველთა ერთბამად საუკუნენი იგი კეთილნი ვპოვხეთ. მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ შდრ. ლ. 6.24

ს ი ტ ყ უ ა ა ე ს ე: და ერთმან ვინმე მათგანმან, კაიაფა, რომელი იყო მღვდელთმოდღუარი მის წელიწადისაჲ, ჰრქუა მათ: „თქუნ არა იცით არცა ერთი, არცა განგიზრახავს, რამეთუ უმჯობეს არს ჩუენდა, რაჲთა ერთი კაცი მოკუდეს ერისათჳს და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს?“ (11,49—50). დაინთქნეს წარმართნი განსახრწნელსა მას, რომელცა ქმნეს; ძახითა მით, რომელ დაარწყეს, შეიბჳრა ფერჯი მათი. ესე ჰურიათა ზედა იქმნა, რამეთუ იგინი იტყოდეს მოკლვად იესუმსა, რაჲთამცა არა მოვიდეს ჰრომნი და წარმოტყუენნეს იგინი და ქალაქი მათი. და ვინაჲთგან მოკლეს უფალი, რომლისათჳს მოკლეს იგი, მოიწია მათ ზედა; და საქმე იგი, რომელი ქმნეს, რაჲთამცა განერნეს ტყუეობისაგან, მისთჳს ტყუე იქმნეს; და, რომელი მოკლეს, იგი ცათა შინა არს, მეუფე ყოველთაჲ, ხოლო მკლველნი მისნი მკუდარ არიან გეჰენიასა შინა. და მათ არა ესე გულისხმაყევს, არამედ ენება მოკლვად მისი და იტყოდეს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „მოვიდენ ჰრომნი და მოგუდონ ადგილიცა ჩუენი და ნათესავიცა“. და ერთმან ვინმე მათგანმან, კაიაფა, რომელი მღვდელთმოდღუარი იყო მის წელიწადისაჲ, თქუა (11,48—49). თ ა რ გ მ ა ნ ი: რამეთუ ურცხვნო იყო უფრომს ყოველთაჲსა, თქუნ არა იცით არცა ერთი, რომელსა იგინი განიზრახვიდეს და მიმოაგდებდეს და იტყოდეს: „რა ვყოთ?“ მან უკეთურებით და კადნიერებით თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „თქუნ არა იცით არცა ერთი, არცა განგიზრახავს, ვითარმედ უმჯობეს არს ჩუენდა, რაჲთა ერთი კაცი მოკუდეს ერისათჳს, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს“. ხოლო ესე თავით თჳსით არა თქუა, არამედ წინამსწარმეტყუელა, რამეთუ მღვდელთმოდღუარი იყო (11,49—51). თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰხედავა, რაზომი არს ძალი იგი მღვდელთმოდღურებისაჲ? რამეთუ ვინაჲთგან პატივი იგი მღვდელთმოდღურებისაჲ მიეღო, რომელი-იგი უღირს იყო მის საქმისაჲ, არამედ წინამსწარმეტყუელავე, და არა იცოდა, რასა იტყოდა, რამეთუ პირი ოდენ იმარა მადლმან მან წინამსწარმეტყუელებად, ხოლო შეგიწებულსა მას გულსა არა მი-

ეახლა, რამეთუ სხუთაცა მრავალთა თქუეს მომავალი უღირ-
სთა, ვითარცა ნაბუქოდონოსორ და ბალამ და ფარაო, და ყო-
ველთაჲვე მიზეზი საცნაურ იყო. ხოლო სიტყუაჲ ესე, რო-
ხელსა იტყუს, ესევეითარი არს, ვითარმედ: „თქუენ ჳერეთ
უღებ ხართ საქმისა ამას მიმართ და, ვითარცა უნდოსა რას-
ძე, ჰხედავთ მას, და არა იცით, რადთა ჳერ-არს, ერთი ყოველ-
თათჳს მოკუდეს“. იხილე, ვითარი არს ძალი სულისაჲ, რა-
ძეთუ გონებისაგან უკეთურისა გამოიხუნა სიტყუანი, წინაჲს-
წარმეტყუელებითა საკვრველითა სავსენი. ხოლო რაჲ არს
სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „მღდელთმოდღუარი იყო მის წე-
ლიწადისა?“ რამეთუ სხუათა საქმეთა თანა იგიცა წესი და-
ეცსნა ჰურიათა, რამეთუ არღარა მღდლობდეს ყოველთა
ღღეთა ცხორებისა მათისათა, არამედ წელიწადეულად და
აძისთვის იქმნეს სყიდით მღდელთმოდღურებანი, გარნა ამას
ყოველსა ზედა ჳერეთ მაღლი იყო მათ ზედა სულისა წმიდი-
საჲ მცირედრე, ვინაჲთგან უკუე განჰმარტნეს კელნი მათნი
ქრისტეს ზედა, მაშინ სრულიად დაუტევნა იგინი და მივიდა
ძოციქულთა მიმართ. და ესე გამოაჩინა განჰებამან მან
კრეტსაბელისამან და სიტყუამან ქრისტესმან, რომელ თქუა:
„აჰა, ესერა, დაუტევენთ სახლნი თქუენნი ოჯრად“,¹ და კუა-
ლად იოსიპოსცა, რომელი შემდგომად ქრისტესა მცირედისა
ჟამისა იყო, თქუა ადგილთა მათთჳს, რომელნი იყვნეს მათ
თანა, და დაუტევენს იგინი, რამეთუ ვიდრემდის ვენაჯი იგი
ღგა, ყოველივე იქმნებოდა, ხოლო რაჲამს მკვდრი იგი ვენა-
ჯისაჲ მოკლეს, მიერიოთგან წარწყმდეს იგინი და, ვითარცა სა-
ძოსელი ბრწყინვალჲ მონისაგან განდგომილისა, ესრეთ აღ-
სძარცუა ქრისტემან მაღლი თჳსი ჰურიათაგან და შეჰმოსა
წარმართთაგანთა მათ ერთგულთა მონათა თჳსთა და იგინი
დაუტევნა შიშულად და ობლად. ხოლო ესეცა არამცირე იყო,
რამეთუ მტერი წინაჲსწარმეტყუელებდა ესევეითართა წინა-
ჲსწარმეტყუელებათა, რამეთუ გონებით სხუასა სახესა ზედა
იყო, და წინააღმდგომი მისისა ნებისაჲ იქმნა, რამეთუ, ვინა-
ჲთგან იგი მოკუდა, ამისთვის საუკუნოჲსა საშჯელისაგან გან-
თავისუფლდეს მორწმუნენი. და ვითარცა წერილ არს, შე-

¹ ლუკ. 13,35; შდრ. მათ. 23,38

ძოკარბნა შორიელნი და მახლობელნი და ყოველნი ერთგუამ-
ყენა და აწ მჯდომარესა ჰრომს შინა ჰინდოეთს მყოფნი იგი
ძორწმუნენი ასოდ თესად შეურაცხიან. რაჲ არს ამის ერთო-
ბისა უზეშთაეს? და ყოველთა თავ ქრისტე არს.

სახარებაჲ: და მიერთგან განიზრახეს ჰურიათა
მოკლვაჲ მისი (11,53). **თარგმანი:** და იგინი პირველით-
გან ეძიებდეს მას მოკლვად, ვითარცა თქუმულ არს, ვითარ-
მედ: ეძიებდეს მას მოკლვად, არამედ მაშინ ოდენ ეძიებდეს,
ხოლო აწ დაამტკიცეს გულისსიტყუაჲ მათი და იწყეს კელ-
ყოფად საქმისა მის.

სახარებაჲ: ხოლო იესუ არღარა განცხადებულად
ვიდოდა ჰურიასტანს (11,54). **თარგმანი:** კუალად კა-
ცობრუ იმაღვის, ხოლო მიზეზი მითქუამს მრავალგზის, რაჲ-
სათუს წარვიდის.

სახარებაჲ: და იქცეოდა მახლობელად უდაბნოსა
ქალაქსა, რომელსა სახელი ერქუა ეფრათა, და მუნ იქცეოდა
მოწაფეთა თუსთა თანა (11,54). **თარგმანი:** რასა ჰგონებთ,
არამცა შფოთნებოდა გონებაჲ მოწაფეთაჲ, რაჲამს. ჰხედვი-
დეს მას, რომელ კაცობრივ იმაღვოდა, ხოლო არავინ შეუდგა
მას, რამეთუ დღესასწაული ახლოს იყო და ყოველნი ჰური-
ასტანად მივიდოდეს. და რაჲამს ყოველნი იხარებდეს და
დღესასწაულობდეს, იგინი იმაღვოდეს და შიშსა შინა იყენეს,
გარნა ამას ყოველსა ზედა და-ვე-ადგრეს, რამეთუ, გალილე-
ასცა რაჲამს პასექი იყო და რაჲამს კარვობაჲ იყო, კუალად
იმაღვოდეს. და კუალად შემდგომად მისა, რაჲამს დღესას-
წაული იყო, სივლტოლაჲ და დამალვაჲ მოძღურისა მათისა
თანა მათთუს სიხარული იყო. და ამისთუს იტყუს ლუკა, ვი-
თარმედ: „ჰრქუა მათ იესუ: „თქუენ ხართ, რომელნი დაად-
გერიით ჩემ თანა განსაცდელთა შინა ჩემთა, და მე დავადგერ
თქუენ თანა განსაცდელთა შინა“.¹ ხოლო ამას იტყოდა, რაჲ-
თამცა უჩუენა, ვითარმედ მისისა ძალისა მიერ განძლიერ-
დებიან.

სახარებაჲ: და აღვიდეს მრავალნი იერუსალმდ
სოფლებისაგან უწინარეს პასექისა, რაჲთა განიწმიდნენ თავ-

¹ ლუკა. 22,28

ნი თუსნი, და მცნებამ მიეცა მღდელთმოდლუართა და ფარი-
სეველთა, რამთა, უკუეთუ ვინ აგრძნეს, სადა არს, აუწყოს
მათ, რამთა შეიპყრან იგი (11, 55, 57). თ ა რ გ მ ა ნ ი: ეპა,
განწმედა იგი, რომელსა იქმოდეს გულისსიტყუთა მკლველო-
ბისადათა და კელითა შებღალულითა სისხლისა მიერ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: და იტყოდეს ურთიერთას: „ვითარ ჰგო-
ნებთ თქუნენ, არამე მოვიდესა დღესასწაულსა ამას?“ (11,56).
თ ა რ გ მ ა ნ ი: პასექისა მიერ ენება ბოროტისა ქმნად და
ჟამსა მას დღესასწაულისასა ჰყოფდეს ჟამად ქრისტეს მოკ-
ლეისა. მ, უშკულოებამ იგი, რომელ, რაჟამს ფრიადი კრძა-
ლულებამ ჯერ-იყო და შეცოდებულთაცა შენდობამ, მაშინ
შეუცოდებელისამ მის ენება მოკლვამ, რომელთა სხუასაცა
ჟამსა ისწრაფეს ქმნად ამის საქმისა, და არა თუ ოდენ ვერ
შეუძლეს შეპყრობად, არამედ საკიცხელცა იქმნნეს, ამისთვის
ზედადსზედა განერების კელთაგან მათთა და შეუძლებელ-
ჰყოფს მათ შეხებად მისა, რამთამცა ესრეთ ჩინებითა ძალისა
მისისადათა ლმობიერ-ყვნა იგინი, რამთა, ოდეს შეიპყრან იგი,
ცნან, ვითარმედ არა მათისა ძალისაგან იყო, არამედ მისისა
ძიშუებისაგან საქმემ იგი, რამეთუ მაშინცა ვერ უძლეს შეპყ-
რობად, დაღაცათუ ახლოს იყო ბეთანიამ, და მაშინცა, ოდეს
შეიპყრეს, დასცნა იგინი პირსა ზედა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: ხოლო უწინარეს ექუსისა დღისა პასე-
ქისა მოვიდა ბეთანიად, სადა-იგი იყო ლაზარე, რომელი
აღადგინა მკუდრეთით, და მართა ჰმსახურებდა, ხოლო ლა-
ზარე იყო მის თანამეინაქეთაგანი (12,1-2). თ ა რ გ მ ა ნ ი:
და ესე ჰეშმარიტისთა აღდგომისა სასწაული არს, რომელ შემ-
დგომად მრავალთა დღეთა ცხოველ იყო და ჰამდა, რამეთუ
სახლსა შინა მისსა იყო სერი იგი, რამეთუ, ვითარცა მეგობარ-
ნი საყუარელნი, შერწყნარებდეს ქრისტესა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: ხოლო მარიამ მოიღო ლიტრამ ერთი
ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოისამ და სცხო ფერჯთა
იესუმსთა და თმითა თუსითა წარჰკოცნა. (12,3). თ ა რ გ მ ა ნ ი:
აჰა, ესერა, შეუვრდა მას, არა ვითარცა კაცსა, არამედ ვითარ-
ცა ღმერთსა; რამეთუ ნელსაცხებელი ამისთვის დაასხა და
თმითა თუსითა წარჰკოცნა, რომელ ესე სასწაულ არს, რამეთუ
არა ესრეთ ჰხედვიდა, ვითარცა სხუანი, ხოლო იუდა შეჰ-

რისხნა, ვითარცა სახითა კრძალულებისადათა, ხოლო ქრისტე-
მან მიუგო:

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „საქმე კეთილი ქმნა დასაფლავად ჩემდა“.
(12,7). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და რადსათჳს არა ამხილა მოწაფესა
შას, ვიდრე დედაკაცისადა არა ეთქუა მას სიტყუანი ესე, რო-
მელთა იტყუს მისთვის მახარებელი, ვითარმედ: „თვისისა მპარ-
ვობისათჳს იტყოდა სიტყუათა მათ“, არამედ ამისთვის არა
ჰრქუა უფალმან, რადთა ფრადითა სულგრძელებითა თვისთა
შეარცხნოს იგი. რამეთუ მან იცოდა იგი, ვითარმედ მიმცე-
მელი არს. და ესე პირველითგანვე აუწყა, რაჟამს თქუა, ვი-
თარმედ: „სიტყუად ესე არა ყოველთა გრწამს“. და კუალად
თქუა: „ერთი თქუენგანი ეშმაკი არს“¹ და ესრეთ გამოაჩინა,
ვითარმედ იცის მისი მიმცემლობაჲ. ხოლო ცხადად არა ამ-
ხილა, არამედ მიუშუა, რადთა ნუუკუე მოდრკეს, ვითარ უკუე
სხუად მახარებელი იტყუს, ვითარმედ: „ყოველთა მოწაფეთა
თქუეს და მანცა თქუა“, გარნა სხუათა დაღაცათუ თქუეს,
არა მით გულისსიტყუთა თქუეს, ხოლო უკუეთუ გამო-ვინ-
ეძიებდეს, თუ ვითარ, რომელ მპარავი იყო და უფალმან მას
ძიანდო გუადრუცი იგი გლახაკთაჲ, რადთა მას აქუნდეს, ვი-
ნამთგან ვეცხლისმოყუარე იყო? ხოლო ჩუენ ამის საქმისათჳს
ამას ვიტყვთ, ვითარმედ დაფარული ამისი მიზეზი ღმერთმან
უწყის. უკუეთუ კულა ჩუენცა უიტყოდით, რომელსა ვჰგო-
ხებთ, ამას ვიტყვთ, ვითარმედ რადთა მოუწყვდოს მიზეზი მისი
ყოველივე, რამეთუ მან რად ქმნა, ვეცხლისმოყუარე-
ბით ქმნა, და აქუნდა გუადრუცისა მისგან ნუგეშინის-ცემად
გულისთქუმისა მის მისისაჲ და ამისთვის ქრისტე არას ამხი-
ლებდა მპარვობასა, რომელმან-იგი ყოველივე იცოდა, რა-
მეთუ ენება, რადთამცა არა ჰმძლავრობდა მას გულისთქუმად
იგი, და რადთამცა ყოველივე მიზეზი მოუწყვდა, არამედ ესე
ოდენ თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „უტევით ეგე, რომელ დღედ დაფლვისა
ჩემისა ქმნა ესე“ (12,7). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** კუალად მოაქსენა
მიმცემელსა მას, დაფლვად რად თქუა, არამედ არა შეეხებო-
და მას მხილებად, ვერცა მოდრიკა გული მისი სიტყუამან

¹ იოან. 6,70

მან, რომელი ფრიად ლმობიერმოყვანილი იყო, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „სამძიმარად-გიუნ მე, არამედ მელოდე მცირედ და წარვიდე“.¹ რამეთუ ამისთვის თქუა, ვითარმედ: „მე არა მარადის თქუენ თანა ვარ“,¹ გარნა ვერარამან ამათგანმან შოდრიკა უღმობელი იგი და მკეცისსახმ გონებაჲ. დაღაცათუ ამისა ფრიად უმრავლმსი ჰრქუა და ქმნა და ფერკნი დაჰბანნა ღამესა მას და ტაბლასა თვისსა დაჯდომად ღირს-ყო და პური მისცა, რომელ-ესე ყოველი სულსაცა მკეცთასა შემძლებელ არს მოდრეკად, და სიტყუანი ჰრქუნა, შემძლებელნი კვისაცა მოღობად, და ყოველი იგი არა თუ უწინარეს მრავლისა ჟამისა ქმნა, რაჲთამცა დაჰვიწყებოდა, არამედ მას ღამესა, რომელსა მისცემდა, გარნა მან იგი ყოველი შეურაცხ-ყო.

ს ვ ა ვ ლ ა დ ე ე

ვეცხლისმოყუარებისათს

რამეთუ ბოროტ არს ვეცხლისმოყუარებაჲ, ბოროტ, და თუალთა და ყურთა დაუყოფს და მკეცისა უფიცმს-ჰყოფს კაცსა, არცა გონებისა მხილებასა, არცა მეგობრებისა, არცა თვისისა სულისა ცხორებასა უტევებს გულისხმის-ყოფად, არაჲდ, ვინაჲთგან სძლიოს კაცსა, მიერითგან სრულიად დაიბონებს მას, ვითარცა მძლავრი ბოროტი. და უბოროტესი ესე არს, რომელ დაარწმუნებს, რაჲთა მადლიერცა მისა იყვნენ, და რაზომცა ჰმონებდენ მას, ესეოდენცა აღორძნების გულისთქუმაჲ მათი, და ესრეთ უკურნებელ იქმნების სენი იგი და მკეცი იგი — უბრძოლელ. ამან გეჲზი განაკეთროვნა, ამან ანანია და საფირა წარწყმოდნა, ამან იუდა ქრისტეს მიმცემელ-ყო; ამან ჰურიათა მთავარნი დაანთქნა, რომელნი მიიღებდეს ქრთამსა და ზიარ მპარავთა იქმნებოდეს; ამან აღავსნა სისხლითა გზანი და გლოვითა და გოდებითა — ქუეყა-

¹ მათ. 26,11. მარკ. 14,7

ხანი; ამან შეაგინნა მრავალნი და ტაბლები ბილწებისაჲ დააგო და სანოვაგები უშჯულოებისაჲ. ამისთვის კერპთმსახურებად უწოდა მას პავლე, ხოლო ვითარ არს კერპთმსახურებაჲ? ესრეთ, რამეთუ რომელთამე აქუს საფასჲ და შეხებად მისა ვერ იკადრებენ, არამედ შვილითი შვილად კმარხვენ მიუახლებლად, ვითარცა სიწმიდესა რასმე, რომელსა ვერ იკადრებენ კაცი მიახლებად და, უკუეთუ ოდესმე აიძულნენ მიახლებად ძათა, ესრეთ შეურაცხიეს, თუ ბოროტი რამე ქმნეს და, ვითარცა კერპთა, ეგრეთ დაჰმარხვენ საფასეთა, შეწყუდულთა შინაგან კართა და მოქლონთა, და ტაძრისა წილ აქუს მათ კიდობნები და დაჰმარხვენ ქურქელთა შინა ვეცხლისათა.

რასა იტყვთ, ვეცხლისმოყუარენო? არა თაყუანის-სცემთა ოქროსა მას, ვითარცა კერპსა? რამეთუ დაღაცათუ არა თაყუანის-სცემთ, არამედ ყოვლით კერძო პატივ-სცემთ მას და კუალად კერპთმსახურსა ურჩევიეს სულისა თვისისა აღმოსლვაჲ, ვიდრე კერპისა თვისისა წარგებაჲ, და ვეცხლისმოყუარენიცა ეგრეთვე არიან. ხოლო ამას თუ იტყვ შენ, კაცო, ვითარმედ: არა თაყუანის-ვსცემ მე ოქროსა, არცა იგი კერპსა მას თაყუანის-სცემს, არამედ მას შინა დამკვდრებულსა ეშმაკსა და ეგრეთვე შენ, დაღაცათუ ოქროსა მას არა თაყუანის-სცემ, არამედ ეშმაკსა მას თაყუანის-სცემ, რომელი ოქროსა მისგან და გულისთქუმისა მისისაგან სულსა შინა შენსა შემოვალს, რომელი ყოვლისა ეშმაკისა უბოროტჲს არს—გულისთქუმაჲ ვეცხლისმოყუარებისაჲ, რომელი გასწავლის ყოველსა ბოროტსა და გეტყვს მარადის: „მეზრძოლ ექმენ ყოველთა და მტერ უცნაურ ექმენ ბუნებასა, შეურაცხ-ყავ ღმერთი, შეწირე თავი შენი ჩემდა“, და კერპთა ცხოვარსა და ხროხასა შესწირვენ, ხოლო ვეცხლისმოყუარებაჲ იტყვს: „შეწირე სული შენი ჩემდა“,¹ და ისმენ მისსა? ჰხედავა: ვითარნი ბუნებანი ჰქონან? ვითართა შესაწირავთა ეძიებენ? სასუფეველსა ცათასა ვერ დაიმკვდრებენ ანგაპარნი და არავე ეშინის. და ესე გულისთქუმაჲ უუძლურჲს არს ყოველთა გულისთქუმათასა, რამეთუ არა ბუნებით დანერგულ არს, თუ არა პირველითგანმცა იყო. ხოლო აწ ვხედავთ, რამეთუ პირ-

¹ კორინთ. 6.10

ველითგან ოქრომ არა იყო, არცა ვის უყუარდა ოქრომ, არა-
 ძედ ამის მიერ შემოვიდა ბოროტი ესე, რომელ თითოეულმან
 ძეორისა შურიტა იწყო უმეტესისა მოგებად და ესრეთ გა-
 ხეფინა სენი ესე, რამეთუ, რაჟამს იხილნენ ბრწყინვალენი
 ტაძარნი და უბანთა სიმრავლენი და ჭურჭელნი ვეცხლრსანი
 და სხუად ყოველივე სიმდიდრე, მეყსეულად ყოველსავე მოს-
 წრაფებასა იქმან. რადთა მათ წარჰქედნ და ესრეთ იქმნებიან
 პირველნი მიზეზ შემდგომთა, გარნა არცა ესრეთ აქუს
 ვეცხლრსმოყუარეთა სიტყუად წინაშე ღმრთისა, რამეთუ მრავალნი
 არიან უპოვარნი ქალაქთაცა შინა და უღაბნოთა, გარნა
 დაღაცათუ უპოვარებად ვერ ძალ-გოც. არამედ უცხოთა მო-
 ხაგებთა ნუ მოიტაცებთ, რამეთუ სახენი ამის საქმისანი მრავალნი
 არიან, რომელნი არა იტაცებენ, არამედ საძარბოთა ღმრთისა
 მოგებული აქუს და მისგან ჰყოფენ მოწყალებასა. რად არა
 უკუე მათ ვეშურებით და ვჰბაძავთ? მოვიკსენნეთ პირველ
 ჩუენსა ყოფილნი კაცნი. არა ცალიერნი დგანანა ტაძარნი და
 აგარაკნი მათნი და ოდენ სახელი მათი ეწოდების, ვითარმედ
 მისი ვისიმე სახლი და მისი ვისიმე სოფელი? არა სულთ-
 ვითქუნეთა, ვიხილოთ რად, თუ რაზომნი შრომანი თავს-ისხნა,
 რაზომნი ტაცებანი მოიტაცნა მას ზედა და აწ არღარასადა
 ჩანს, არამედ მისთა მონაგებთა შინა იშუებენ სხუანი, რომელთასა
 არა ჰგონებდა. და ნუუკუე მტერნიცა მისნი იყვენენ
 მას შინა და იგი ბოროტითა სიკუდილითა მომკუდარ არნ? და
 ესევე ჩუენ წინა-გვც, რამეთუ უეჭუელად მოკუდომად ვართ,
 უეჭუელად იგივე აღსასრული მოსლვად არს ჩუენ ზედა. რამეთუ
 რაზომნი მტერობანი სხუათანი ქმნენს მაშენებელთა მათ
 ამათ ტაძართასა, რაოდენნი მოხუეჰანი, რაოდენნი წარსაგებელნი?
 და რად იქმნა მის ყოველისაგან სარგებელი? სატანჯველი საუკუნო
 და არცა ერთისა ნუგეშინის-ცემისა პოვნად, და აქაცა აწ ყოველნი
 უზრახვენ ძურსა. ანუ მრავალთა კაცთა, კელმწიფეთა ხატები
 გამოწერილები სახლთა შინა მათთა რაჟამს ვიხილოთ, არა უფრომსად
 ვიგლოვთა? ჰეშმარიტად კეთილად თქუა წინააღმართეულმან,
 ვითარმედ: „ამოდ შურების ყოველი კაცი“, რამეთუ ჰეშმარიტად
 ამოიება არს ესევეითართა საქმეთა ზედა მოსწრაფებად,
 არამედ სავანეთა მათ და საყოფელთა ზეცისათა ესე არა არს,
 რამე-

თუ აქა სხუად შურის და სხუად განისუენებნ მას შინა, ხოლო მუნ თითოეული თვისა ზედა ნაშრომსა უფალ არს და მრავალწილად მიიღოს მისაგებელი. მას მოსაგებელსა ვეძიებდეთ, მუნ ვიშენოთ სახლები, რადთა განვისუენოთ ქრისტეს იესუსა ძიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუხითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ ვ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : აგრძნა ყოველმან ერმან ჰურიათამან, ვითარმედ მუნ არს და მივიდეს არა თუ იესუსთვს მარტოდ, არამედ რადთა ლაზარეცა იხილონ, რომელი აღადგინა მკუდრეთით (12,9).

ვითარცა სიმდიდრე განუკრძალველთა კაცთა მავნებელ ექმნების, ეგრეთვე მთავრობაჲ, რამეთუ იგი ანგაპრებად, ხოლო ესე ამპარტავანებად მოიყვანებს. და იხილე აქაცა, ვითარ სიმრავლემ იგი ერისაჲ მის უმჯობესად იყო, ხოლო მთავარნი — სრულიად წარწყმედილ, რამეთუ ერსა მას უსწავლელსა მრავალგზის ჰრწმენა მისი, ვითარცა მახარებელნი იტყუან, ვითარმედ: „მრავალსა ერსა ჰრწმენა მისი“. ხოლო მთავარნი ურწმუნო იყვნეს და თვთ იგინი იტყოდეს, ვითარმედ: „ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ჰრწმენა მისი, ანუ არა უსწავლელსა მას ერსა ჰრწმენა მისი, რომელთა არა იციან შჯული, წყეულ არიან“. და ესრეთ მორწმუნეთა სწყევდეს და თავთა თვსთა, ღმრთისმკლველთა მათ, ბრძნად სახელ-სდებდეს. და აქაცა უკუე იხილეს რად სასწაული იგი, რომელი ქმნა ქრისტემან, ჰრწმენა მრავალთა, ხოლო მთავართა სხუად იგი ბოროტი არა ეყოფოდა, არამედ ლაზარესიცა ენება მოკლვაჲ: ჰ, უკეთურნო, ქრისტესთვს იტყოდეთ, თუ: „შაბათსა დაძკსნის და ღმერთ-ჰყოფს თავსა თვისსა, და ჰრომნი მოვლენ მისთვს და წარგუტყუენვენო“, ლაზარესთვს რასალა იტყუთ? რად ბოროტი ქმნა? იხილეთ, ვითარ მკლველ იყო გონებაჲ მათი, რამეთუ დაღაცათუ მრავალნი სასწაულნი ექმნნეს უფალსა, არამედ არცა ერთსა ზედა იყვნეს ესრეთ განფიცებულ, რამე-

თუ უზეშთაესცა იყო უფრომს ყოველთასა და საკურველ
 ძკუდრისა ოთხისა დღისა სლვად და ზრახვად, გარნა ბრმისათვს
 და განრლუეულისა იტყოდეს შაბათსა მიზეზად და განადგენ-
 დეს ერსა, ხოლო აქა არარაჲ აქუნდა მიზეზი, ამისთვის აღ-
 დგომილსა მას ძკუდრეთით ებრძოდეს, რამეთუ ამასცა ვერ-
 ლარა იტყოდეს აქა, თუ: „მამისა წინააღმდეგომი არს“, ვინა-
 მთგან ლოცვად დაუყოფდა მათ პირსა და ცინამთგან სხუად
 მიზეზი ვერარაჲ პოვეს, მაშინ ინებეს მოკლევად მისი და
 ბრმისათვსცამცა ესევე ექმნა, უკუეთუმცა არა აქუნდა მუნ
 შაბათი მიზეზად. და კუალად იგი გლახაკიცა იყო და უნდომ
 და განჯადეს იგი გარე, ხოლო ესე კაცი იყო საჩინომ და
 ამისთვისცა მრავალნი მოსრულ იყვნეს ნუგეშინის-ცემად დათა
 შისტა, რამეთუ წინაშე ყოველთასა აღადგინა იგი უფალმან და
 ყოველნი მივიდოდეს ხილვად მისა. და ამისთვის იგინი განმკე-
 ცებულ იყვნეს, რომელ დღეთა დღესასწაულისათა ყოველნი
 ბეთანიად მირბიოდეს და მათ ენება მოკლევად მისი და არად
 შეერაცხა საქმშ იგი, ესრეთ მკლველნი იყვნეს. და ამისთვის
 წინამსწარმეტყუელი იტყვს: „ველნი თქუენნი სავსე არიან
 სისხლითა“, ხოლო ვითარ, რომელ უფალი, კადნიერებით
 არლარა იქცეოდა, და უდაბნოს იყო და აწ კუალად კადნიერე-
 ბით მივალს, რამეთუ დააცხრო გულისწყრომად მათი წარსლ-
 ვითა თვსითა და აწ კუალად მივიდა, რაჟამს დაწყნარებულ
 იყო რისხვად მათი? და კუალად სიმრავლშ იგი ერისად, რო-
 ძელი წინაუვიდოდა და უკუანა შეუდგა, კმა იყო შეშფოთებად
 და შეურვებად მათა, რამეთუ ვერცა ერთმან სასწაულმან
 შეუძლო ესრეთ მოდრეკად ერისა მის, ვითარცა ლაზარესმან.
 და სხუად უკუე მახარებელი იტყვს, ვითარმედ: „დაჰფენდეს
 გზათა ზედა სამოსელთა მათთა“¹ და: „ყოველი ქალაქი შე-
 იძროა“.² და ესევითარითა პატივითა შევიდა, ხოლო ესე ქმნა
 ამისთვის, რამთამცა ერთი წინამსწარმეტყუელებად აღასრულა
 და ერთი გამოსახა და ერთისა მის წინამსწარმეტყუელებისა
 იქმნა შესლვად მისი აღსასრულ და მეორისა დასაბამ, რამეთუ

¹ ესაია 1,15

² ლუკა 19,36; მათ. 21,8

³ მათ. 21,10

აღსასრულ მის წინადასწარმეტყუელებისა იქმნა, რომელ იტყვს: „გიხაროდენ, ასულო სიონისაო, რამეთუ, აჰა, ესერა, ძეუფც შენი მოვალ მშუდი“.¹ ხოლო რომელ-იგი დაჯდა კარაულსა ზედა, მომასწავებელი იყო მომავალისა საქმისად, ესე იგი არს, რამეთუ არაწმიდასა მას ნათესავსა წარმართთასა ეგულებოდა დამორჩილებად მცნებათა თვსთად, ხოლო ვითარ სხუანი მახარებელნი იტყვან, ვითარმედ: „მოწაფენი წარავლინნა მოყვანებად კარაულისა და კიცვსა მის“.² და ესე არას იტყვს ესევითარსა და ამას ოდენ იტყვს, ვითარმედ: „პოვა კარაული და დაჯდა მას ზედა“,³ ამისთვის, რამეთუ სხუათა მათ თქუეს, ვითარცა იქმნა და ვითარ წარავლინნა, ხოლო ამან არღარა ინება ყოვლისავე თქუმად, რომელი მათ ეთქუა, არამედ იტყვს, ვითარმედ: „პოვა და დაჯდა მას ზედა, და ერი იგი ბაიამსა და ზეთისხილისა რტოსა და სამოსელსა დაუფენდეს“, რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ უზეშთაეს და უდიდესს აქუნდა იგი და არცა ვითარცა წინადასწარმეტყუელი და ამისთვის იტყოდეს: „მსანა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა“.⁴ ჰხედავთა, ვითარმედ ესე იყო მათი შემაიწრებელი, რომელ ყოველთა ჰრწმენა, ვითარმედ არა წიხალმდგომი არს ღმრთისაჲ? და ამისთვის ჰრწმენა ერსა მას, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ: „მამისაგან მოსრულ ვარ“, ხოლო რაჲ არს სიტყუაჲ იგი, ვითარმედ „გიხაროდენ ფრიად, ასულო სიონისაო“? რამეთუ ვინაჲთგან მეფენი, რომელნი მას შინა დასხდეს, მრავალნი იყვნეს უკეთურნი და განსცეს ქალაქი მტერთა. ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „მცნე იყავ“, რამეთუ ესე არა ეგევითარი არს, არამედ, მშუდი და სახიერი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ესე ვერ გულისხმა-ყვეს მოწაფეთა მისთა, თუ მისთვის წერილ იყო (12,16). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, ვითარ მრავალსა უმეცარ იყვნეს, რამეთუ იგი არა გამოუცხადებდა და, ოდეს-იგი თქუა, .თუ: „დაჰქსენით ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვაშენო იგი“,⁵ ვერ გულისხმა-ყვეს.

¹ მათ. 21,5

² შდრ. მათ. 21,2

³ იოან. 12,14

⁴ იოან. 12,13

⁵ იოან. 2,19

და კუალად სხუამ მახარებელი იტყვს, ვითარმედ: „იყო ძათგან დაფარული სიტყუამ იგი“,¹ და არა იცოდეს, ვითარმედ ჭერ-არს მისი მკუდრეთით აღდგომაჲ, არამედ ესე საქართლად დაფარულ იყო, რამეთუ უზემთაჲს იყო საზომსა მათსა, ვითარცა სხუამ მახარებელი იტყვს, ვითარმედ: „ესმა რაჲ თითოეულსა, შეწუნეს და შეურევებულ იყვნეს“,² არამედ სიტყუამ ესე, კარაულისათჲს თქუმული, რად არა გამოეცხადა? რამეთუ ესეცა დიდ იყო და უზემთაჲს მათისა საზომისა, ხოლო იხილე სიბრძნისმოყუარებაჲ ესე მახარებელთაჲ, ვითარ ყოლადვე არა ჰრცხუენის მათისა მის პირველისა უმეცრებისა გამოცხადებად, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ წერილ იყო, ხოლო ესე არა იცოდეს, თუ მისთვის იყო წერილ, რამეთუ, უკუეთუმცა პირველითგან ეცნა ყოველივე, ვითარ ძიეცემოდა და ჭუარს-ეცუმოდა, და-მცა-ბრკოლებულ იყვნეს, რამეთუ იგინი პირველითგან მისსა მეფობასა შოელოდეს აქავე და სიტყუასა მას მეფობისასა ვერ ძალ-ედვა გულისხმისყოფად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ხოლო ერი იგი ეწამებოდა, ვითარმედ აღადგინა ლაზარე მკუდრეთით (12,17). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ არამცა მოქცეულ იყვნეს მისა ესეოდენ მესა შინა, უკუეთუმცა არა ჰრწმენა სასწაულისა მის მიერ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ხოლო ფარისეველთა მათ ჰრქუეს: „ჰხედავთა, რამეთუ არარას ირგებთ. აჰა, ესერა, ყოველი სოფელი მივიდა შედგომად მისა (12,19). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე სიტყუანი, ვჰგონებ, თუ მათ მიერ თქუმულ არიან, რომელთა გონებაჲ კეთილად იყო და ვერ კანდიერ იქმნებოდეს, და აწ ჰრქუეს მათ, რომელნი ეძიებდეს მას მოკლვად, ვითარმედ: „ჰხედავთა, რომელ ცუდად და ამოდ აქირვებთ თავთა თქუენთა?“ ხოლო სოფლად აქა ერსა იტყვან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : იყვნეს წარმართთაგანიცა აღმოსრულ, რაჲთა თაყუანის-სცენ დღესასწაულსა მას და ენება ხილვად იესუმისი და მოუკდეს ფილიპეს, ხოლო ფილიპე ჰრქუა ანდრიას, და პირველ მისა მოსრულ იყო, და ესრეთ ჰრქუეს.

¹ ლუკ. 9,45; 8,34

² მათ. 17,23; 26,22

მათ იესუს (12,20-22). თ ა რ გ მ ა ნ ი: ხოლო უფალმან პირველ არა ოდეს პრქუა სწავლად წარმართთა, არამედ იტყოდა: „გზასა წარმართთასა ნუ მიხუალთ“, რამეთამცა ყოველი მიზეზი მოუწყვდა პურიათა, ვინამთგან უკუე იგინი ივლტოდეს მისგან და წარმართნი მოივლტოდეს მისა, და უამი იყო ვნებისა მისისამ, და ეგულებოდა წარმართთა მიმართ წარვლენამ მოციქულთამ შემდგომად ჭუარს-ცუმისა, ხოლო იგინი უწინარტს ჭუარს-ცუმისა ისწრაფდეს. ამისთვის პრქუა მათ, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „აწ მოიწია უამი, რამთა იდიდოს ძმ კაცისამ“ (12,23). თ ა რ გ მ ა ნ ი: რამეთუ პირველ არა უტევნა იგინი წარსლვად და იტყოდა: „გზასა წარმართთასა ნუ მიხუალთ“¹ და კუალად თქუა: „არა მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა წარწყმედულთათვს სახლისა ისრაჴლისათა“,² და: „არა კეთილ არს მოღებამ პურისამ შვილთაგან და მიცემა ძაღლთამ“.³ და ესრეთ ვიდრემდის არა ჭუარს-აცუეს იგი და მოკლეს, არა დაუტევნა იგინი, ხოლო რაჟამს მათ თვთ მოიძულეს და მოკლეს იგი, მიერითგან არღარად საჯმარ იყო მათ თანა დადგრომამ, რამეთუ მათ თვთ იჯმნეს და თქუეს, ვითარმედ: „არა გვვის მეუფჴ, გარნა კუისარი“.⁴ მერმე უკუე დაუტევნა იგინი, რამეთუ მათ დაუტევეს იგი. ამისთვის იტყუს: „რაოდენგზის ვინებუე შეკრებამ შვილთა თქუენთამ, და არა ინებეთ“,⁵ ხოლო რამ არს სიტყუამ ესე, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „უკუეთუ მარცუალი იფქლისამ არა დავარდეს ჭუეყანასა ზედა და მოკუდეს“ (12,24). თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე ჭუარს-ცუმისათვს თქუა, რამთა არა იტყოდინან, ვითარმედ, რაჟამს წარმართნიცა მოუჯდეს, მაშინ მოიკლა. და ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „თვთ სიკუდილმან ჩემმან უმეტესად მოიყვანნეს იგინი და აღორძინეს ქადაგებამ ჩემი“. და მერმე საქმცა ესე სახედ მოართუა, რამეთუ: „იფქლსაცა ზედა ესე იქმნებინ და სიკუდილითა თვისითა უმეტესსა ნაყოფსა მოიღებს, უკუე არა ჩემ ზედა უფრომს იქმნესა ესე?“

¹ მათ. 10,5

² მათ. 10,6; 15,24

³ მათ. 15,26; მარკ. 7,27

⁴ იოან. 13,15

⁵ მათ. 23,37; ლუკ. 13,34

სარწმუნოებისათვის მართლისა

ხოლო ესე სიტყუაჲ პავლეცა ავსენა, რაჟამს აღდგომისათვის იტყოდა, აწ უკუე რაჲ შენდობაჲ პოვონ, რომელნი აღდგომასა ურწმუნო იყვნენ, ვინაჲთგან სახმ მისი მარადლე თესლთა მიერ და ნერგთაცა გამოჩნდების. და საქმესა, რომელსა ღმერთი იქმოდის, მისი გამოძიებაჲ არა ჯერ-არს, ვითარ არარაჲსაგან არსად მომიყვანნა ჩუენ, რამეთუ რომელნიმე ცოდვასა შინა არიან და რომელნიმე — სიმართლესა. და ცოდვასა შინა მყოფთა მრავალთა მრავალი წელი დაყვიან და სათნოთა ღმრთისათა მრავალგზის მცირედი ჟამი დაუყოფია, აწ უკუე ოდეს მიიღოს თითოეულმან მისაგებელი, უკუეთუ არა არს აღდგომაჲ, გარნა იტყუან ვიეთნიმე ბოროტისმეტყუელნი, ვითარმედ: „ჰე, არს აღდგომაჲ, არამედ ჯორცნი არა აღდგებიან“, რამეთუ არა ესმის მათ სიტყუაჲ პავლესი, რომელსა იტყუს: „ჯერ-არს ხრწნილისა მის შემოსად უხრწნელებაჲ“. რამეთუ ესე სიტყუაჲ არა სულისათვის თქუმულ არს, ვინაჲთგან სული არა განიხრწნების, ხოლო აღდგომაჲ დატეხულისაჲ ითქუმის. დაეცემიან უკუე ჯორცნი, ანუ რად არა ვნებაჲს აღდგომაჲ ჯორცთაჲ, ნუუკუე ვერ ძალ-უცა ღმერთსა? არამედ ესე უკუნაჲსკნელი სიბრმმ არს, ანუ არა ჯერ-არსა, არამედ რაჲსათვის არა ჯერ-არს, რაჲთამცა, რომელი ეზიარა შრომათა და ჳირთა და სიკუდილსა, ეზიაროს გვრგვინითცა? რამეთუ უკუეთუმცა არა შეენოდა, არცამცა დაბადებულ იყო პირველითგან და არცამცა თავადსა უფალსა შეემოსნეს ჯორცნი, არამედ მან შეიმოსნა ჯორცნი და აღადგინნა იგინი. და ისმინე, რასა იტყუს, ვითარმედ: „იხილეთ, რამეთუ სულსა ჯორც და ძუალ არა ასხენ, ვითარ-ესე მე მხედავთ“, ანუ ლაზარე რად აღადგინა, უკუეთუმცა უმჯობმს იყო თვნიერ ჯორცთაჲსა აღდგომაჲ, არამედ ნუ სცთებით მწვალებელთაგან, საყუარელნი, რამეთუ არს აღდგომაჲ და საშჯელი, ხოლო ესე არა ჰრწამს, რომელთა არა ჰნებაჲს მიცემაღ სიტყუსა საქმეთა მათთაებრ, არამედ იყოს აღდგომაჲ, ვითარცა ქრისტე აღდგა; რამეთუ იგი არს დასაბამი და პირმშოჲ შესუენებულთაჲ,

რომელმან არა ქმნა ცოდვამ და აღდგა მკუდრეთით კორცთა და ყოველი იგი ბოროტნი სწავლანი გარემივაქცინეთ, რამეთუ არა მოციქულთამ არს სწავლამ ესე არააღდგომისამ, არამედ მარკეონისი არს დ უვალენტისი. ვივლტოდით ამისგან, რამეთუ ცხორებამ კეთილი თვნიერ მართლისა სარწმუნოებისა არად სარგებელ არს, ვითარცა-იგი არცა სარწმუნოებამ არად სარგებლად არს, ვითარცა იგი სარწმუნოებამ არა სარგებელ არს თვნიერ საქმეთა კეთილთამსა. ვეკრძალნეთ უკუე ბოროტთა სიტყუათა, რომელთა-ესე ვიცით ძალი იგი უძლეველი ღმრთისამ, ვივლტოდით სიტყუათა მათთაგან. თქუენ გეტყვამას, რამეთუ უკუეთუმცა ჰლესევედით მარადლე გონებათა თქუენთა წერილთაგან და შეიჭურვოდეთ მათა მიმართ, არამცა დაგაყენენ მათისა ბრძოლისაგან, რამეთუ ქეშმარიტებამ ძლიერ არს, არამედ მეშინის, ნუუკუე უჭურველნი შეხვდეთ ბრძოლად მათა და იძლინეთ, რამეთუ არარამ არს უუძლურს: მათსა, რომელნი ოკერ იყვნენ შეწევნისაგან სულისა წმიდისა, და უკუეთუ იტყოდინ სიტყუათა ფილოსოფოსობისათა, ნუ გეშინინ, რამეთუ მათ არარამ კეთილი იციან და ყოველივე უკეთურებამ და რომელი ჩუენ მიერ სწავლულმან ერთმან უნდომან ქურვიმან იცოდის, იგი პითალორა არა იცოდა, არამედ მათი ფილოსოფოსობამ სამოსლით და თმითა და წუერითა, ხოლო შინაგანი ყოლადვე სავსე არაწმიდებითა და მატლითა და წუთხითა, რამეთუ პირველმან მან მათმან წყალი თქუა ღმრთად, და მეორმან — ცეცხლი, და სხუამან — ჰაერი და უკორცოამსა და უნივთოამსა ღმრთისა გულისხმის-ყოფამ ვერ მოიგეს, დაღაცათუ უკუანამსკნელ ცნეს მისთვის ეგვპტეს ძუელთა მიერ წერილთა. გარნა აქა აღვასრულოთ სიტყუამ ჩუენი, რამეთუ, უკუეთუმცა თვთოეულად მათთა სიტყუათა და საქმეთა ვიტყოდეთ, ფრიადი სიცილი იქმნების, რასა იგინი იტყოდეს ღმრთისათვს და სულისათვს და ნივთისათვს. ხოლო მე იგი დაუტევო ყოველი და ამას გეტყვ: წერილთასა ისმენდით და ისწავლიდით და მრავალმეტყუელეებასა მწვალეებელთასა გარეწარჰყდეთ, ვითარცა ნეტარი პავლე ამცნებს ტიმოთეს, რომელი-იგი სავსე იყო სიბრძნითა და აქუნდა ძალიცა სასწაულთა ქმნად. მისი უკუე ვისმინოთ და ამაონი იტყუანი შორს-ვეყნეთ ჩუენგან და მოვიგნეთ საქმენი კე-

თილნი: ძმათმოყუარება და მოწყალება, რადთა საუკუნეთა
ძათ კეთილთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებათა
უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა და არს დიდება და
სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარა-
დის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ ზ

..5

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: „რომელსა უყუარდეს სული თვისი, წა-
რიწყმიდოს იგი, და რომელსა სძულდეს თავი თვისი ამას სო-
ფელსა, ცხორებად საუკუნოდ დაჰმარხოს“ (12,25). თ ა რ გ მ ა-
ნ ი: ტკბილ არს ესე საწუთროდ და ყოველთა გულისთქმითა
საესე, გაჩნა არა ყოველთათეს, არამედ მათთეს, რომელნი
შემშქუალულ იყვნენ მისა. უკუეთუ კულა ვინმე ზეცად აღი-
ზილნეს და მუნ მყოფნი იგი შეუენიერებანი იხილნეს, ესევი-
თარმან ადრე უგულვებელს-ყოს თავი თვისი, რამეთუ კორც-
თაცა შეუენიერება, ვიდრემდის სხუად უშუენურიესი არა გამო-
ჩინებულ იყოს, შეუენიერად ჩანს, ხოლო, რაჟამს უადრტსი
გამოჩნდეს, მაშინ პირველი იგი შეურაცხ იქმნების. აწ უკუე-
თუ ჩუენცა ვინებოთ განცდად მათ შეუენიერებათა და კე-
თილთა მათ სასუფეველისათა, ადრე განვაჩინეთ თავნი ჩუ-
ენნი საკრველთა მათგან სოფლისათა, რამეთუ ყოველივე სი-
ყუარული სოფლისა საქმეთა და საქრველ არს. და ამისთეს
ქრისტე იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: რომელსა უყუარდეს სული თვისი, წა-
რიწყმიდოს იგი, და რომელსა სძულდეს სული თვისი ამას სო-
ფელსა, ცხორებად საუკუნოდ დაჰმარხოს იგი. უკუეთუ ვინმე
მსახურებდეს მე, შემომიდეგინ და, სადაცა-იგი მე ვიყო. მუნ-
ცა მსახური ჩემი იყოს“ (12,25—26). თ ა რ გ მ ა ნ ი: ვითარ
უკუე არს ესე, რამეთუ: რომელსა უყუარდეს სული თვისი,
მან წარიწყმიდოს იგი? ესე იგი არს, რომელი გულისთქმითა
მისთა ბოროტთა იქმოდის და განუსუენებდეს მას უფროდ
ზომისა, ამისთეს წერილ არს: „ნუ შეუდგები გულსთქმითა
სულისა შენისათა“, რამეთუ ესე არს წარწყმედელი მისი და
დამაყენებელი გზისა მისგან სათნობათადას, ვითარცა-იგი

კულად: „რომელსა სძულდეს სული თვისი, მან აცხოვნოს იგი“. ხოლო რაა არს სიტყუად ესე, ვითარმედ: „რომელსა სძულდეს“? ესე იგი არს, რომელი არა ჰმორჩილობდეს ნებასა მისსა. და არა თქუა: „რომელი არა ჰმორჩილობდესო“, არამედ: „რომელსა სძულსო, იგი“, რამეთუ ვითარცა საძულელთა ჩუენთა ვმისა სმენადცა არა გუნებავს, არცა პირთა მათთა ხილვასა წადიერ ვართ, ეგრეთვე, სული რაჟამს წინააღდგომსა ნებდა ღმრთისასა ეძიებდეს, გარემიქცევად ჭერ-არს, რამეთუ ვინაფთვან მაშინ სიკუდილისა თვისისათვის ეგულებოდა მათა შიმართ სიტყუად და პირველვე იცოდა, ვითარმედ, რაჟამს ესმენ სიტყუანი იგი სიკუდილისა მისისანი, ფრიად შეწუხებად იყვნეს. ამისთვის წინაფთვე განადიდა საქმემ იგი, ვითარმცა ესრეთ იტყოდა, ვითარმედ: „რად ვიტყვ, თუ უკუეთუ არა ჩემი სიკუდილი კეთილად თავს-იდვათ, არამედ უკუეთუ თქუენცა არა მოჰკუდეთ, არარაჲ იყოს სარგებელ თქუენდა“? და იხილე, ვითარ ნუგეშინის-სცემს სიტყუთ: რამეთუ ფრიად მძიმე იყო და ძნელ სმენად სიტყუად ესე, ვითარმედ: „სიკუდილი თანა-გაც თქუენ, რადთა მიეცნეთ ჳელთა მტერთასა და მოიკლნეთ“, და არა მაშინ ოდენ, არამედ აწცა, რაჟამს გამოჩინებულ არიან სასოებანი მის საუკუნომსანი, ძნელ არს სასუმელი სიკუდილისაჲ. და არიან კაცნი, რაჟამს იხილნიან შუენიერინი ტაძარნი და საქმენი ამის სოფლისანი, დასთხევენ ცრემლთა, მო-რად-ივსენონ, ვითარმედ სიკუდილი წინა-უცესრეთ ფრიად არს ამის ამოფსა სოფლისა გულისთქუმაჲ და სიყუარული და მრავალსახმ საცთური, ხოლო ქრისტეს ენება ამათ ესევითართა სოფლისა საკრველთა დაქსნაჲ. ამისთვის იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რომელსა სძულდეს სული თვისი ამას სოფელსა, ამან ცხორებად საუკუნოდ დაჰმარხოს“ (12,25).

თ ა რ გ მ ა ნ ი : და ამას მათ ეტყოდა, რადთამცა შიში მათი დაჰქსნა. და ისმინე, რასა იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „უკუეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, მე შეჰმომიდგიინ“ (12,26).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე სიკუდილისათვის თქუა, ესე იგი არს, ვითარმედ უქმს უეჭუელად მსახურსა, რადთა უფალსა თვისსა შეუდგეს. ხოლო ესე თქუა მაშინ, რაჟამს იგინი მინდობილ იყვნეს ლოცვისა მისთვის ფრიადისა,

თუ არღარა ევენოს, ვინაფთგან უკუე ჭირნი და სიკუდილნი უთხრნა მათ. აწ კუალად სასყიდელსაცა იტყვს, ესე იგი არს, ვითარმედ, „სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს“, რამთამცა უჩუენა, ვითარმედ სიკუდილსა მას აღდგომამე შეუდგს, რამეთუ სადა არს ქრისტე, ცათა შინა, და ჩუენცა უკუე უწინარესცა აღდგომისაცა მუნ მივიდეთ სულითაცა და ვონებთა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „მე თუ ვინმე მმსახუროს, პატივ-სცეს მას მამამან ჩემმან“ (12,26). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რად არა თქუა, თუ: „მე ამისთვის?“ რამეთუ ჭერეთ ესევითარი გულისსიტყუამ, ვითარი ჭერ-არს, არა აქუნდა, რამეთუ, რომელთა ესეცა არა უწყოდეს, ვითარმედ აღდგომამე მისი ჭერ-არს, ვითარმცა გულისხმა-ყვეს მალალი რამე საქმე. ამისთვის ძეთაცა ზე-ბედმსთა ეტყოდა, ვითარმედ არა ჩემი არს მიცემამე, არამედ რომელთადა განმზადებულ არს მამისა ჩემისა მიერ. და თავადი იგი არს, რომელი იქმს საშჯელსა, ხოლო აქა ერთობასა მასცა მოასწავებს, რამეთუ ვითარცა საყუარელისა ძისა მსახურნი, ესრეთ შეგიწყნარნეს თქუენ მამამან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს და რამ ვთქუა: „მამო, მივსენ ამის უამისაგან“ (12,27). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** კუალად თქუას, თუ ვინმე: „და ვითარ მათ სიკუდილად აწუევდა?“ და აწ ესე სიტყუამ არა სიკუდილად მაწუევნელისამ არს, არამედ გულისხმა-ყავთ, ვითარმედ უფრომსად სიკუდილად მაწუევნელისამ არს, რამთა არა იტყოდინან, ვითარმედ იგი გარეგან საღმობათა კაცობრივთა არს და ამისთვის ადვილად გუაწუევს სიკუდილად, რომელნი-ესე კაც-ხი ვართ, ბუნებით სიკუდილისაგან მოშიშნი, და მას ამის საქმისა გამოცდილებამ არა აქუს, ამისთვის უჩუენებს, ვითარმედ იგიცა შეურვებულ არს სიკუდილისაგან, არამედ, ვინაფთგან უმჯობესი იგი არს, ამისთვის არა თანაწარჰედების მას, ხოლო ესე ყოველი კაცობრივისა ბუნებისამ არს და არა ღმრთეებისამ. ამისთვის იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს“ (12,27). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო უკუეთუმცა არა ესე იყო, რომელი შეწყობილებამ აქუს ამას სიტყუასა და შემდგომსა ამისა, ვითარმედ: „მამო, მივსენ მე ამის უამისაგან?“ და ესრეთ

შეძრწუნებულ არს, რომელ გამოცხანასაცა ეძიებს, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო. ესე ყოველნი კაცობრივისა ბუნებისა უძღურებანი არიან, რომლისათვის იტყუს, ვითარმედ: „არაჲ მაქუს, რაჲთამცა ვთქუ და ვითხოვე ესნაჲ ამის უამისაგან, რამეთუ ამისთვის მოვედ ამას უამსა“, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „გინა თუ გუეშინოდის და შეურვებულ ვიყვნეთ სიკუდილისაგან, არა ჭერ-არს სიულტოლაჲ მისგან, რაჲმეთუ მეცა აწ შეურვებულ ვარ, არამედ არა ვიტყუ, რაჲთამცა განვერი მისგან, რამეთუ ჭერ-არს თავს-დებაჲ შობავალისაჲ მის“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მამაო, აღიდე სახელი შენი“ (12,28).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე იგი არს, ვითარმედ აწ შეურვებულ ვარ, არამედ უფროჲსად წინააღმდეგომსა სიტყუასა ვიტყუ, ვითარმედ: „აღიდე სახელი შენი“, ესე იგი არს, ვითარმედ მოიწია აწ ჭუარს-ცუმისა უამი, და ესრეთ გამოაჩინებს კაცობრივისა ბუნებასა თვისსა, ვითარ-იგი ბუნებასა არა ჰნებაეს სიკუდილი, არამედ ყოფაჲ ცხორებასა ამას შინა, და ესრეთ გამოაჩინებს, ვითარმედ არა გარეგან იყო კაცობრივთა საქმეთაგან, რამეთუ ვითარცა შიშშილი. ანუ დაძინებაჲ არა ბრალ არიან, ეგრეთვე ამის ცხორებისა წადიერებაჲ და არანებებაჲ სიკუდილისაჲ არა ბრალ არს, არამედ ბუნებითი საქმჲ არს, ხოლო ქრისტესა ჯორცნი ესხნეს წმიდანი სრულიად ცოდვისაგან და არა თუ ბუნებითა საქმეთაგან კიდე იყო, არამედ ყოველივე საქმჲ ბუნებითი, რომელი უცოდველ იყო, აქუნდა მას, და, უკუეთუმცა არა აქუნდა, ვითარმცა ჯორციელ იყო? და კუალად სხუაჲცა საქმჲ გუასწავა ამათ სიტყუათა მიერ, ესე იგი არს, რაჲთა უკუეთუ ოდესმე მოიწეოდის საქმჲ რაჲმე ჩუენ ზედა და ჩუენ შეგუექმნას შიში, არავე ვივლტოდით საქმისა მისგან წინამდებარისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მამაო, აღიდე სახელი შენი“. (12,28).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე იგი არს, ვითარმედ აწ შეურვებულ ვარ, არამედ უფროჲსად წინააღმდეგომსა სიტყუასა ვიტყუ, ვითარმედ: „აღიდე სახელი შენი“; აჩუენებს, ვითარმედ ჰეშმარიტებისათვის მოკუდების, ვინაჲთგან დიდებად ღმრთისა უწოდს საქმესა მას, რამეთუ ესრეთცა იქმნა შემდგომად ჭუარს-ცუმისა, რაჲჲმს მოიქცა ყოველი სოფელი და იცნა სახელი ღმრთისაჲ.

სახარება: მოიწია კმა ზეცით, რომელი იტყოდა: „ვადიდე, და მერმეცა ვადილო“ (12,28). **თარგმანი:** „მერმეცა“ ესე იგი არს, შემდგომად ჯუარს-ცუმისა“. ხოლო ისმინე, რად თქუა ქრისტემან: „არა ჩემთვის იქმნა კმა ესე, არამედ თქუენთვის“,¹ ხოლო იგინი ქუხილსა ჰგონებდეს, ანუ ანგელოზისა კმასა. და სადაით ჰგონებდეს ამას? ნუუკუე არა განცხადებული და მაღალი იყო კმა იგი? გარნა. ამისთვის, რამეთუ აღრე უჩინო იქმნა მათგან კმა იგი, რამეთუ ჯორციელ იყვნეს გონებითა და ზრქელ და დაქსნილ, და რომელთამე კმა ოდენ იცოდეს, და რომელთამე იცოდეს ესეცა, ვითარმედ სიტყუამ რამე იყო, ხოლო თუ რამ იყო, არა იცოდეს. ხოლო ქრისტემან ჰრქუა:

სახარება: „არა ჩემთვის იყო კმა ესე, არამედ თქუენთვის“ (12,30). **თარგმანი:** რადსათჳს თქუა სიტყუამ ესე? ამისთვის, რამეთუ მის სიტყუსა მიმართ წინააღულდგებოდა, რომელ თქუეს, ვითარმედ: „არა ღმრთისა მიერ არს“, რამეთუ რომელი ღმრთისა მიერ იდიდებოდა, ვითარ არა ღმრთისაგან იყო, რომლისა სახელი ამისთვის იდიდების? ამისთვისცა თავად-მან თქუა, ვითარმედ: „არა ჩემთვის იყო კმა ესე, არამედ თქუენთვის“, ესე იგი არს, ვითარმედ: „არა თუ ამისთვის იყო, რადამცა მე რამე ვცან, რომელი არა ვიცი, რამეთუ მე ყოველივე მამისამ ვიცი“. რამეთუ ვინამთგან იტყოდეს, ვითარ-მედ ანგელოზი ეტყოდა მას, ანუ: „ქუხილი იყო“ და არა ზრუნვიდეს მისდა ცნობად. ამისთვის თქუა, ვითარმედ: „თქუენთვის იყო“, რადამცა ესრეთ დაარწმუნა კითხვად, თუ რამ იყო. ხოლო შეშინებულთა მათ არავე ჰკითხეს, თუ რამ იყო, რომელთა არა უწყოდეს ყოლადვე, თუ რამ იყო. და ამისთვის არა სავმარ-უჩნდა სიტყუსა მის ცნობად: „არა ჩემთვის იყო კმა ესე, არამედ თქუენთვის“. ჰხედავთა, რამეთუ მდაბალნი სიტყუანი ყოველნივე მათთვის ითქუმოდეს, თუ არა ძესა არა უკმდა შეწყენა?

სახარება: „აწ საშჯელი არს ამის სოფლისამ, აწ მთავარი ამის სოფლისამ განიჯადოს გარე“ (12,31). **თარგმანი:** უკუეთუ ვინ იტყოდის, ვითარმედ: „და რამ შეწყობილ-

¹ მან. 12,30.

ბაბ აქუს ამას სიტყუასა მას თანა?" გარნა გულისხმა-ყავთ, ვითარმედ ფრიადი შეწყობილება აქუს, რამეთუ, ვინაფთგან თქუა, ვითარმედ: „ვადილო“, რომელი თქუა, ვითარმედ: „ვადილე და კუალადცა ვადილო“, ამასთჳს გამოაჩინებს სახესაცა დიდებისასა, თუ ვითარი არს, ესე იგი არს, ვითარმედ იგი ქუე დაეცეს და გარე განვარდეს. ხოლო რაჲ არს საშჯელი ამის სოფლისაჲ? ესე იგი არს, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ „სამშჯავროჲ იყო და შურისგებაჲ, რამეთუ მან მოკლა პირველი კაცი, თანამდებ ცოდვისა ქმნილი, რამეთუ ცოდვისა მიერ შემოვიდა სიკუდილი, ხოლო ჩემ თანა ესე არა უპოვნიეს, რაჲსათჳს უკუე სიკუდად მიმცა? ანუ რაჲსათჳს მოუვლინა გულსა იუდაჲსსა მიცემად ჩემი?“ რამეთუ ნუ ვინ იტყუნ აქა, თუ: ღმრთისა განგებულებაჲ იყო. და რაჲმცა ვინ ყო, რამეთუ ესე საქმე მისისა სობრძნისაჲ იყო, ვითარცა მას ენება და ვითარცა მან იცოდა, ხოლო იგი არა თუ ვისმე განეგო, რაჲთამცა ერთმან ვინმე ქმნა საქმე იგი, რამეთუ ესე მათისა უკეთურისა გონებისაჲ იყო, რომელთა ქმნეს საქმე იგი, და ეშმაკისაჲ, თუ არა ღმერთსა არცა იუდაჲსი ენება წარწყმედაჲ, არცა ჰურიათაჲ, უკუეთუმცა არა მათ თუთ ექმნა ხეხით თუხით და ეშმაკისა მიერ, რომლისათჳსცა საშჯელი არსო სოფლისაჲ, და აწ, ვითარცა სამშჯავროსა შინა, რაჲ ვთქუათ ეშმაკისა მიმართ, ვითარმედ: „აჰა, ესერა: ყოველთა ზედა მოაწიე სიკუდილი, ვინაფთგან თანამდებ იყვნეს ცოდვისა, ხოლო ქრისტეს სიკუდილისათჳს რად ისწრაფდი უსამართლოებით? აწ უკუე ვინაფთგან უცოდველსა მას ზედა მოაწიე სიკუდილი, მის მიერ იქსნა ყოველი სოფელი და საშჯელი იქმნა ქსნისა მისისაჲ, და შენ შენისა მთავრობისაგან განჰვარდი, ვითარცა-იგი არნ მძლავრი ვინმე ბოროტი. და ყოველთა მოსწყუედნ, რომელთაცა ჰპოვებნ, და მურმე მოკლის ძე მეფისაჲ და სიკუდილითა მით მისითა სხუათაცა მის მიერ მომწყუდართა სისხლი იძიის, ეგრეთვე იქმნა ძისა მიერ ღმრთისა და ყოველთა მათ ბოროტთა, რომელნი ქმნნა ჩუენ ზედა ეშმაკმან, ქრისტეს მიმართ, ქმნილთა მას მიერ კადნიერებათა მათ ყოველთათჳს საშჯელი მოეკადოს“. და ამისთჳს იტყოდა უფალი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „აწ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ განი-

კადოს გარე. და რაუამს მე აღვიმალლო ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა“ (12,31). **თარგმანი:** ესე იგი არს, ვითარმედ წარმართთაგანაცა, და რამთა არავინ თქუას, თუ: „ვითარ განიკადოს გარე, უკუეთუ შენცა გძლევეს?“ ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „ვერ მძლევეს, რამეთუ ვითარმცა სძლია მას, რომელსა ყოველთაჲვე ეგულებოდა მოზიდვად, და არა თქუა აღდგომისათუს, არამედ რომელი-ესე აღდგომისა უზეშთაეს იყო, ვითარმედ: „ყოველნი ჩემდა მოვიზიდნე“.

სახარებაჲ: „ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა“ (12,32). **თარგმანი:** ვითარ უკუე იტყუს ზემო, ვითარმედ: „მაჲა მოიზიდავს“, გარნა ესრეთ არს, რამეთუ, რომელი ძემან მოიზიდოს, მას მამად მოიზიდავს, ხოლო მოვიზიდნეო, ვითარცა მძლავრისა მიერ შეპყრობილნი. და თავით თუსით ვერშემძლებელნი მოსლვად. და საქმესა ამას სხუასა აღვილსა წარტაცებად უწესს, ვითარმედ: „ვერვინ შემძლებელ არს ქურჭელთა ძლიერისათა წარტაცებად, უკუეთუ არა პირველად შეკრას ძლიერი იგი“,¹ ხოლო ამას ყოველსა იტყუს მძლავრებისა მისისა გამოჩინებად და, რომელსა მუნ წარტაცებად უწოდა, აქა მოზიდვად უწოდა.

ს ვ ა ვ ლ ა დ ო ზ

მ ო წ ყ ა ლ ე ბ ი ს ა თ უ ს

ხოლო ჩუენ, რომელთა-ესე ყოველი ვიცით, აღვდგეთ და ვადიდებდეთ უფალსა, ნუ ჰარწმუნოებითა ოდენ, არამედ საქმეთა მიერცა, უკუეთუ არა, არღარა დიდებაჲ არს, არამედ გმობაჲ, უკუეთუ მცნებათა მისთა შეურაცხ-ვპყოდვით, რამეთუ არცა ესრეთ იგმობვის ღმერთი წარმართთა ცოდვისა მიერ, ვითარ ქრისტეანე თუ ბოროტი იყოს და უკეთური. ამისთვის უკუე გევედრები, რამთა ყოვლით კერძო ვისწრაფ-

¹ მათ. 12,29; მარკ. 3,27

დეთ დიდებად ღმრთისა, რამეთუ იტყვს: „ვამ არს მონისა მის, რომლისა მიერ სახელი ღმრთისაჲ იგმოს“. რამეთუ რამ წყალობა ვპოვოთ ოდეს, რომელთადა ბრძანებულ არს, რამთა სხუათა მივსცემდეთ, და ჩუენ სხუათაგან მოვიტაცებდეთ? ხეტარ არს მისა, რომლისა მიერ სახელი ღმრთისაჲ იდიდებოდის. აწ უკუე ნუმცა, ვითარცა ბნელსა შინა ვართ, არამედ ყოვლისაგანვე ცოდვისა ვივლტოდით, რამეთუ, უკუეთუ ღმერთა სტანჯავს მათ, რომელთა მშოერი არა გამოზარდონ, და, რომელმან შიშუელი არა შემოსოს, დაშვის, რამე ყოფად არს მათთვის, რომელთა შემოსილი განძარცონ? ამათ ესევეითართა სიტყუათა თქუამად არა დავსცხრებით და ხუუკუე. რომელთა დღეს არა გვსმინონ, ხვალე გვსმინონ და, რომელნი ხვალე ურჩ იქმნენ, სხუასა დღესა ისმინონ. უკუეთუ კულა ვიეთნიმე ურჩებასა შინა დაადგრენ, ჩუენ უბრალო ვიყვნეთ, რამეთუ ჩუენი გვქმნიეს, არამედ ნუმცა ვინ იქმნების თქუენგანი ჟრჩ, რამთა არცა ჩუენ გურცხუენეს, არცა თქუენ დაისაჯნეთ, არამედ ყოველნი კადნიერებით საყდარსა ღმრთისასა წარმოუდგეთ და ჩუენცა ვიქადოდით თქუენთვის, რამთა ჩუენთა ბოროტთა ნუგეშინის-ცემად გუაქუნდეს თქუენი სათნოებაჲ ქრისტეს იესუმს მიერ, უფლოსა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუენითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ ე

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: მიუგო ერმან მან: „ჩუენ გუასმიეს შჯულისაგან, ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე ეგოს, და შენ ვითარ იტყუ, ვითარმედ: ჭერ-არს ძისა კაცისა ამაღლებაჲ“? (17,34)

ვინ არს ესე ძე კაცისაჲ? ადვილად საცნობელ არს ცთომამ და უძლურ, დადაცათუ ბევრეულითა სახითა იფარვიდეს თავსა თვსსა. და, ვითარცა რომელნი მიდრეკილსა და დაცემად ძიახლებულსა კედელსა გოზდენ და გლესდენ, გლესითა მით ვერ განამტკიცებენ მას, ეგრეთვე, რომელნი ტყუეოდნიან, ადვილად იმხილებიან, ვითარცა-ესე აქა მოიწია ჰურიათა ზედა,

რამეთუ, რაჟამს ქრისტემან პრქუა მათ, ვითარმედ: „რაჟამს აღვიპალლო, ყოველნი ჩემდა მოვიზიდნე“, მათ მიუგეს და პრქუეს: „ჩუენ გუასმიეს შჭულისაგან, ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე ეგოს, და შენ ვითარ იტყვ, ვითარმედ: „ჯერ-არს ძისა კაცისა აღმალლებამ?“ ვინ არს ესე ძმ კაცისამ? ხოლო უკუეთუ ესე იცოდეს წერილისაგან, ვითარმედ ქრისტე უკუ- ხითი უკუნისამდე ჰგიეს, იგიცა ვითარ არა იცოდეს, რომელსა იტყოდა? რამეთუ ყოველთაგან წერილთა შინა არს წყალო- ბამ ვნებისა და აღდგომისათეს. ესაია იტყოდა: „ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარა“ და შემდგომი ამისი; და დავით იტყოდა შემსგავსებულსა ამისსა მეორესა შინა ფსალმუნსა და სხუათა მრავალთა აღგილთა და ერთად იტყოდა და ვნებისათეს და აღდგომისა; და მამამთავარმან თქუა: „მიწვა და მიიძინა, ვითარცა ლომმან“, და მერმე შესძინა და თქუა, ვითარმედ: „და ვინ აღადგინოს იგი?“ და აჩუენებს, ერთბაშად სიკუდილ- სსა ვნებისათეს და აღდგომისა, არამედ ესენი ჰგონებდეს, რამ- თამცა გამოაჩინეს, ვითარმედ არა ქრისტე არს, და ესრეთ აღიარეს, ვითარმედ ჰეშმარიტად ქრისტე უკუნისამდე ჰგიეს. და იხილუ: უკეთურებამ მათი, რამეთუ არა თქუეს, თუ: „გუ- ასმიეს, ვითარმედ ქრისტეს არა ევნოს, არამედ უკუნისამდე ეგოს“, არამედ ვნებამ უკუდავებისა დამახრწველ არა იქმ- ხებოდა. და ამის მიერ საცნაურ არს, ვითარმედ მრავალსა გულისხმა-ჰყოფდეს და ნეფსით ზაკუვიდეს. რამეთუ ესმა ძისგან, ვითარმედ ჯერ-არს ძისა კაცისა აღმალლებამ, და არა პრწმენა, არამედ თქუეს: „ვინ არსო ესე ძმ კაცისამ?“ და ესეცა უკეთურებით, ვითარმცა აჩუენებდეს, ვითარმედ არა იციან, თუ იგი არს, ხოლო ქრისტეს ენება მათისა პირისა და- ყოფამ და რამთამცა უჩუენა, ვითარმედ არა დამაყენებელ არს ვნებამ უკუნისამდე ყოფისა, და ამისთეს პრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „მცირედ ჟამ ნათელი თქუენ თანა არს“ (12,35). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** გამოაჩინებს, ვითარმედ სიკუდილი შისი მიცვალებამ არს, რამეთუ ნათელი მზისამ არა განქარ- დების, არამედ მცირედ ჟამ მიგუეფარვის და მერმე გამოჩინ- დების.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ვილოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუსლა“ (12,35). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რომლისა ჟამისათესმე იტყუს ამას?

ყოველსა ამის ცხობრებისათეს საწუთროდსა, ანუ უამისა მისთვის, რომელი უწინარეს ჯუარს-ცუმისა იყო? მე ვპგონებ, თუ ორთავე იტყვს, რამეთუ მიუწუდომელისა კაცთმოყუარებისა მისისათეს მრავალთა შემდგომად ჯუარს-ცუმისაცა ჰრწმენა, ხოლო ამათ სიტყუათა იტყვს, რამთამცა მოსწრაფეყვნა სარწმუნოებისა მიმართ, ვითარცა ზემორე ქმნა, და ესრეთ იტყოდა, ვითარმედ: „მციირედ უამ თქუენ თანა ვარ“, და აქაცა იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რომელი ვალნ ბნელსა შინა, არა იცინ, ვიდრე ვალნ“ (12,35). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე ქეშმარიტად აღესრულა ჰურიათა ზედა, რამეთუ რაოდენთა საქმეთა იქმან და არა იციან, რასა იქმან, არამედ, ვითარცა ბნელსა შინა, ვლენ, და ჰგონებენ, ვითარმედ მართალსა გზასა ვლენ, არამედ იგინი ბოროტსა და განდრეკილსა ვლენ, შაბათსა იმარხვენ და მჭულსა ძუელსა, და არა იციან, რასა იქმან. და ამისთვის ეტყოდა: „ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუს, რამთა ძე ნათლის იყვენთ“, ესე იგი არს: „ჩემნი ძენი“, ვითარცა პირველ იტყოდა მახარებელი, ვითარმედ: „არა ნებათა ჯოტცთადთა, არაძედ ღმრთისაგან იშვენს“,¹ ესე იგი არს, ვითარმედ მაშისაგანცა. აქა თვთ იტყვს შობად მათა, რამთა სცნა, ვითარმედ ერთი ძალი არს მამისა და ძისაა.!

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ამას ეტყოდა იესუ და წარვიდა და დაიმალა მათგან (12,36). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამესათეს დაიმალა, აწ ვინადათგან არცა ქვები აღილეს, არცა სიტყუაჲ ბოროტი ჰრქუეს, გარნა იგი მხედველი იყო გულთაჲ და ჰხედვიდა, ვითარმედ აღგზნებულ იყო გულისწყრომაჲ მათი და წარვიდა, რამთამცა ნუგეშინის-სცა შურსა მათსა. და იხილე, ვითარ ძოასწავა ესე მახარებელმან, რამეთუ მეყსეულად იტყვს, ვითარმედ: „ესეზომი სასწაული ქმნა იესუ წინაშე მათსა და არა ჰრწმენა მისა“,¹ რომელნი ესეზომნი? რაოდენნი მახარებელსა არა დაუწერიან, რამეთუ, ვითარცა თვთ იტყვს, ვითარმედ უმრავლესნი იგი სასწაულნი მისნი არა დაუწერიან, ხოლო ქრისტე განეშოვრა და კუალად მოვიდა რაჲ, ეტყოდა,

¹ იოან. 1,13

¹ იოან. 12,37

ვითარმედ „რომელსა მე ვპრწმენე, არა მე ვპრწმენე, არამედ
 მომავლინებელი ჩემი“.¹ რამეთუ მარადის ესრეთ იქმს, იწ-
 ყებს სიტყუათაგან მდაბალთა და მიიყვანებს სიტყუასა თვისსა
 ძამისა მიმართ და აღამაღლებს სიტყუასა თვისსა და, რაჟამს
 იხილოს განფიცებამა მათი, წარვალს მათგან და მერმე კუა-
 ლად მოიწვევის მათა მიმართ, კუალად მდაბალთა სიტყუათა
 ძიერ იწყებს თქუამად, ვითარცა-იგი თქუა რამ: ვითარმედ,
 „ვითარცა მესმის, ვმჯი“.² და მერმე აღამაღლა სიტყუაჲ
 თვისი, ვითარმედ, „ვითარცა მამამ აღადგინებს მკუდართა,
 ეგრეთვე ძმ აღადგინებს“.³ და მერმე მიეფარა და კუალად
 ძივიდა მათა გალილეას და ეტყოდა სწავლასა და თქუა,
 ვითარმედ: „ზეციით გარდამოსრულ არს“⁴ და მიეფარა და
 კუალად კარვობად გამოჩნდა. და ესრეთ ჰყოფდა მარადის
 სწავლასა თვისსა მრავალსახედ მიფარვითა და გამოჩინებითა,
 სიმდაბლითა და სიმალლითა, ვითარცა-ესე აქაცა ქმნა, ხოლო
 ესეოდენნი სასწაულნი ქმნა და არა პრწმენა მისი, რამთა
 აღესრულოს სიტყუაჲ იგი ესაია წინამსწარმეტყუელისაჲ,
 რომელი თქუა: „უფალო, ვისმე პრწმენა სასმენელი ჩუენი
 და მკლავი უფლისაჲ ვის გამოეცხადა?“ და ამისთვის ვერ ეძლო
 რწმუნებად, რამეთუ კუალად თქუა ესაია: „დაუბრმეს თუალ-
 ნი მათნი და დაუსულბეს გულნი მათნი, რამთა ვერ იხილონ
 თუალითა, ვერცა გულისხმა-ყონ გულითა“. ესე თქუა ესაია,
 ოდეს იხილა დიდებამ მისი. და მისთვის იტყოდა: „აჰა, ესერა
 კუალად სიტყუაჲ ესე, ვითარმედ არა მიზეზისანი არიან, არა-
 ძედ აღსასრულისანი“, რამეთუ არა თუ, რომელ ესაია თქუა,
 თუ: „არა პრწმენეს“, ამისთვის არა პრწმენა, არამედ ვინაჲთ-
 გან, არა ეგულეობდა რწმუნებად, ამისთვის თქუა ესაია. ხო-
 ლო რამ არს, რომელ მახარებელი არა ესრეთ იტყვს? არამედ
 იტყვს, თუ: „ურწმუნოებამ წინამსწარმეტყუელებისაგან იყო
 და არა წინამსწარმეტყუელებამ ურწმუნოებისაგან“, რამეთუ
 იტყვს, ვითარმედ: „ამისთვის ვერ ეძლო რწმუნებად, რამეთუ

¹ იოან. 12,44

² იოან. 5,30

³ იოან. 5,21

⁴ შდრ. იოან. 6,50, 58

თქუა ესაია“, რამეთუ ამას ადგილსა ჰნებავს გამოჩინებად
 უტყუველობასა მას წერილისასა, ვითარმედ, რომელი-იგი
 თქუა, ყოველივე იქმნა, რაჟთა ვერვინ იტყოდის, თუ: „რა-
 სათვს მოვიდა ქრისტე?“ ცინადოგან იცოდა, ვითარმედ არა-
 უსმენდეს მას; ამისთვის წინაღწარმეტყუელთაცა შემოიყვა-
 ხებს, რომელთა იცოდეს ესე. ხოლო იგი მოვიდა, რაჟთა მი-
 ზეზი არა აქუნდეს ცოდვისა მათისათვის, რამეთუ, რაჟცა
 თქუა წინაღწარმეტყუელმან, ეგევითარი თქუა, რომელი
 უეჭუელად ეგულებოდა ყოფად, რამეთუ, უკუეთუმცა არა
 ეგულებოდა ყოფად, არამცა ეთქუა; ხოლო უკუეთუ ესე
 სიტყუად არს, ვითარმედ: „ვერ ძალ-ედვა“, ესე მისი ნაცვალი
 არს, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „არა უნდა“ და ნუ
 გიკურს, რამეთუ სხუასა ადგილსა იტყვს: „რომელსა ძალ-უც
 ტვრთვად, იტვრთენ“. და ესრეთ მრავალსა ადგილსა ნებასა
 ძალად უწოდებს, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „სოფელსა ვერ
 ძალ-უც მოძულეზად თქუენდა“,¹ და კუალად არა წერილისა
 შიერ ოდენ არს ესე ჩუეულებად, არამედ მრავალგზის კაცთა
 შიერცა, ვითარცა იტყვნ ვინმე, ვითარმედ: „ვერ ძალ-მიც მი-
 სი ვისიმე შეყუარებად“ და ფრიადსა მას ნებასა ძა-
 ლად უწოდნ და ვითარმედ მას ვისმე ვერ ძალ-უც, რაჟთამ-
 ცა სახიერ იყო და ძალად ნებასა იტყვნ და კუალად
 წინაღწარმეტყუელი იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ იცვალის
 ჰინდომან ტყავი თვისი და ვეფხმან სიჭრელჴ თვისი, და ერმანცა
 ამან შეუძლოს კეთილის-ყოფად, რომელსა უსწავლიეს ბო-
 როტი“. არა თუ იტყვს: „თუ შეუძლებელ არს ქმნად სათნოე-
 ბისად“, არამედ: „არა ჰნებავსო“. და ამისთვის ვერ ძალ-უც
 და აქაცა უკუე მახარებელი ამას იტყვს, ვითარმედ: შეუძლე-
 ბელ იყო, რაჟთამცა ტყუვა წინაღწარმეტყუელმან, გარნა არა
 თუ მათისა სიტყუსათვის ვერ ეძლო მათ რწმუნებად, რამეთუ
 შესაძლებელ იყო, რაჟთამცა ერწმუნა მათ, და იგი უტყუვე-
 ლადმცა ეგო, რამეთუ არამცა ესე წინაღწარ ეთქუა, რამეთუ
 ესევეითარი აქუს ჩუეულებად წერილსა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ესე თქუა ესაია, ოდეს იხილა დიდებად
 მისი (12,41). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვისი დიდებად? მამისად. ხოლო

¹ იოან. 7,7

ვითარ იოვანე ძისათვის იტყუს და პავლე სულისათვის, არაფერ არა თუ შეპრწყუმენ იგინი გუამოვნებითა, — ნუ იყოფინ! — არამედ ესრეთ იტყვან, ვითარმედ ერთი არს პატივი მათი, რამეთუ ყოველივე მამისაჲ ძისაჲ არს და ძისაჲ სულსა წმინდისაჲ არს და სიტყუანი იგი სულისა წმინდისანი არიან, რამეთუ ყოველივე, რომელი თქუან ანგელოზთა, ღმრთისა სიტყუასი არიან: ხოლო რომელი ღმერთმან თქუას, იგინი არა ანგელოზთანი არიან. ეგრეთვე ესე სიტყუანი სულისანი არიან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : და იტყოდა მისთვის (12,41). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რასა იტყოდა? „ვიხილე უფალი მჯდომარე საყდართა ძაღალთა“ და შემდგომი ამისი, ხოლო დიდებად აქა იტყუს ხილვასა მას და კუამლსა და საიდუმლოთა მათ დაფარულთა და ხილვასა სერაბინთასა და ელვასა მას საყდრისაგან გამომავალსა, რომელსა მიხედვად ძალნი იგი ვერ შემძლებელ იყვნეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : და იტყოდა მისთვის (12,41). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რასა იტყოდა? რაჟამს ესმა კმაჲ, ვითარმედ: „ვინ წარვაგლიხო ამის ერისა?“ და თქუა: „აჰა, ესერა, მე წარვაგლინე“. და თქუა: „სმენით ესმოდის და ვერ გულისხმა-ყონ“, რამეთუ დააბრმნა თუალნი მათნი და გული მათი განაფიცხა. აჰა, ესერა, კუალად სხუად საძიებელი, არამედ ადვილ არს, უკუეთუ კეთილად გულისხმა-ჰყოფდეთ, რამეთუ, ვითარცა მზე უძლურთა თუალთა უფროსად ავნებს, არა თუ მისი ბუნებაჲ ესრეთ არს, არამედ იგინი უძლურ არიან, ეგრე იქმნების მათ ზედა, რომელნი მაცილობელ იყვნენ სიტყუათა ღმრთისათა თვისითა გულისხმის-ყოფითა ცნობად, რამეთუ ფარაოფს-თვისცა ითქუმის ესრეთ, ვითარმედ: „განვაფიცხო გული მისი“, და ესეცა ჩუეულებაჲ არს წერილისაჲ. და კუალად წერილ არს: „მისცნა იგინი გამოუცდელსა გონებასა“, ესე იგი არს, მიუშუნა, შეუხნდო, რამეთუ არა თუ ესრეთ იტყუს წერილი, ვითარმედ: „მან მისცნა იგინი“, რაფთამცა ქმნეს ბოროტი უნებლიაჲთ, არამედ რამეთუ ბოროტ იყო გონებაჲ მათი და უკეთურებისათვის გულთა მათთაჲსა მიუშუნა და დაუტევნა იგინი: ხოლო ოდეს კაცი ღმრთისა მიერ დატევებულ იქმნას, მურითგან, ეშმაკსა რაჲცა ენებოს, აქმნევს და ამისთვის შეა-

შინებს მსმენელსა და იტყვს: „განათიცხა და მისცა“, რამეთუ იგი ნეფსით თვისით არა თუ ოდენ არა მიგუცემს, არამედ და-ცა-არავე-გვტეობს და ისმინე, რასა იტყვს, ვითარმედ: „არა ცოდვანი თქუენნი განგყოფენ ჩემგან“; და კუალად იტყვს: „აჰა, ესერა, რომელთა განიშოვრნეს თავნი თვისნი შენგან, იგინი წარწყმდეს“; და ოსე წინააღმართეული იტყვს, ვითარმედ: „დაივიწყე შჯული უფლისა ღმრთისა შენი¹ად, და-გივიწყო მეცა“; და თავადი უჟალი იტყვს: „რაოდენგის ვიხებე შეკრებად შვილთა თქუენთა და თქუენ არა ინებეთ“,¹ და ესაია კუალად იტყვს: „მოვედ, და არა იყო კაც, უწოდე, და არა იყო, რომელმანცა მისმინა“. ზოლო ამას კოველსა იტყუნს, რამთა გულისხმა-ვყოთ, ვითარმედ ჩუენ ვიქმთ და-საბამსა ღმრთისა დატევებისასა და მიზეზ ვიქმნებით წარწყმედისა ჩუენისა, რამეთუ ღმერთსა არა თუ ოდენ არა ჰნებავს დატევებად და ტანჯვად ჩუენი, არამედ ოდეს გუტანჯვიდეს, მასცა არა ნებსით, არამედ უნებლიად იქმს, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „არა მნებავს სიკუდილი ცოდვილისად“, და ქრისტეს ეგულებოდა რამ იერუსალჴმისა წარწყმედად, ცრემლოვოდა მას ზედა, რომელსა ჩუენ ვიქმთ მოყუარეთა ჩუენთა ზედა.

ს წ ა ვ ლ ა დ ე ტ

ს ი ე უ ა რ უ ლ ი ს ა თ ვ ს

ამისთვის უკუე, რომელთა ესე ყოველი ვიცით, ვისწრაფოთ, რამთა არა დატევებულ ვიქმნეთ ღმრთისა მიერ, არამედ ვილუწიდეთ სულთა ჩუენთა და ვისწრაფდეთ შეყუარებად მოყუისისა და ნუმცა განვეყოფეთ ასოთა ჩუენთა, რომელ-ესე საქმშ არს განცოფებულთად, არამედ უფროსად ვისწრაფდეთ კურნებად ასოთა ჩუენთა, უკუეთუ უძლურნი იყვნენ, რამეთუ ჯორციელთა ამათ ასოთა შინა, უკუეთუ ვიხი-

¹ მათ. 23,37

ლოთ ერთი რომელიმე მოუძღვრებელი, ყოვლითა მოსწყაფებითა არა დავსცხრებით კურნებად, და, უკუეთუ ვერ შეუძლოთ, არავე დავსცხრებით. ეგრეთვე უკუე ვისწრაფოთ ძძათა ჩუენთა ყოფად და ურთიერთას სიმძიმესა ვიტვრთვიდეთ, რაჲთა ესრეთ აღვასრულოთ შჯული ქრისტესი და მივემთხვნეთ საუკუნეთა კეთილთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ თ

ს ი ტ ყ უ ა ა ე ს ე: ხოლო მთავართაგანთა მრავალთა ჰრწმენა მისი, არამედ ფარისეველთაგან ვერ აღიარეს, რაჲთა კრებულისაგან არა განასხნენ, რამეთუ შეიყუარეს დიდებაჲ კაცთაჲ უფროჲს, ვიდრე დიდებაჲ ღმრთისაჲ (12,42-43).

ყოველთაგან სულისა მავნებელთა ვნებათა კეთილ არს სივლტოლაჲ, ხოლო უფროჲსად მათ ვნებათაგან ჭერ-არს ყოვლითა მოსწყაფებითა სივლტოლაჲ, რომელნიცა მათ მიერ სხუათა მრავალთა ცოდვათა და ვნებათა შობდენ, ვითარცა არს ვეცხლისმოყუარებაჲ, რამეთუ არს სენი იგი თავითცა თვისით ბოროტ და მავნებელ. ხოლო უძრვს ამისთვის არს, რამეთუ ძირი არს ყოველთა ვნებათაჲ; ეგრეთვე არს ცუდად-შხუაობრებაჲ და, აჰა, ესერა; ესენი სარწმუნოებისაგან ქრისტესისა ტრფიალებისათვის წარმავალისა ამის დიდებისა განცვეეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: ხოლო მრავალთა მთავართაგანთა ჰრწმენა მისი, არამედ ფარისეველთაგან ვერ აღიარეს, რაჲთა კრებულისაგან არა განისხნენ, რამეთუ შეიყუარეს დიდებაჲ კაცთაჲ უფროჲს, ვიდრე დიდებაჲ ღმრთისაჲ (12,42-43). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** არა სამე უკუე მთავარნი იყვნეს, არამედ მონანი ბოროტისა მონებისანი, ხოლო უკუანამსკნელ ესეცა შიში დაიქნა, რამეთუ მთავარნიცა და მღდელნი ირწმუნებდეს მოციქულთა მიერ, და მადლმან სულისა წმიდისამან, მო-რა-ვიდა. ყოველნი განამტკიცნა, ხოლო ქრისტე მაშინ ეტყოდა:

სახარება: „რომელსა ვპრწმენე მე, არა მე ვპრწმენე, არამედ მომავლინებელი ჩემი“ (12,44). **თარგმანი:** ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „რად გეშინის რწმუნებად ჩემდა, რომლისა სარწმუნოებად ესრეთ დიდ არს და ღმრთისა შიიწევის?“ ჰხედავა, ვითარ ყოველსა ადგილსა გამოაჩინებს განუყოფელობასა თვისსა მამისაგან? ხოლო ესე არაოდეს თქუა, ვითარმედ: „რომელსა პრწმენეს მამად, მე ვპრწამ“, რამეთუ უძლურ იყვნეს იგინი და ეთქუამცა უგუნურობით, ვითარმედ: „აჰა, ესერა, ჩუენ ღმერთი გურწამს და შენ არა გურწამ“, არამედ იტყვს, ვითარმედ: „რომელსა ვპრწმენე მე, ძას მამად პრწამს, რადთა უჩუენოს, ვითარმედ არად საქმარ არს მათი სარწმუნოებად მამისა მიმართ, რომელთა იგი არა პრწმენეს, და რადთა არა ჰგონებდნენ, ვითარმედ კაცისათს იტყვს, ამისთს თქუა:

სახარება: „რომელმან მიხილა მე, იხილა მომავლინებელი ჩემი“ (12,45). **თარგმანი:** არა ჯორციელსა ხედვასა იტყვს აჟა, რამეთუ ღმერთი ჯორციელითა თუალითა არა იხილვების, არამედ ხილვასა მას გონებისასა იტყვს და ამის სიტყვსა მიერცა ერთობასა მას გამოაჩინებს: „რომელსა პრწმენეს ჩემი“. რად არს სიტყუად ესე? ესე იგი არს, ვითარმცა ვნ თქუა, ვითარმედ რომელმან მდინარისა წყალი აღიღოს, არა მდინარისასა, არამედ წყაროდაგან აღიღებს და უფროდსად ესეცა სახმე ჯერეთ უძლურვე არს წინამდებარისა ამის საქმისა მიმართ.

სახარება: „მე, ნათელი, მოვედ სოფლად“ (12,46). **თარგმანი:** რამეთუ, ვინაფთგან მამასა ძუელსა შინა ესრეთ ეწოდების ყოველსა ადგილსა, ამისთს ახალსაცა შინა ესრეთვე ავსენებს ამით სახითა. ამისთს პავლეცა ბრწყინვალეებად უწესს მას და ესრეთ გამოაჩინებს ფრიადსა ძას ერთობასა მამისა მიმართ ძისასა, ხოლო ნათელ არს იგი, რომელმან განგუათავისუფლნა ჩუენ საცთურისაგან და სულიერი იგი სიბნელმე დაჰქსნა.

სახარება: „რომელმან იხმინნეს სიტყუანი ჩემნი და დაიმარხნეს, მე არა ვსაჯო იგი, რამეთუ არა მოვედ დაშჯად სოფლისა, არამედ რადთა ვაცხოვნო სოფელი“ (12,47). **თარგმანი:** რადთა არა ჰგონებდნენ, ვითარმედ უძლურ-

რებოსათვის თანაწარჰქდა შეურაცხისმყოფელთა მისთა, ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „არა მოვედ დაშჯად სოფლისა“. და მერმე, რადთა არა დაჯსნულ და უღებ იქმნენ ამის სიტყუსა მიერ, ამისთვის შესძინა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რომელმან შეურაცხ-მყოს მე და არა დაიმარხნეს სიტყუანი ჩემნი, აქუს მსაჯული თვისი“ (12,48).

თ ა რ გ მ ა ნ ი : უკუეთუ მამაჲ არავის შჯის და შენ არა შობხუედ, რადთა დაჰსაჯო სოფელი, ვან სჯის მას? გარნა სიტყუასა, რომელსა იტყოდე, მან საჯოს იგი, რამეთუ, ვინამთგან იტყოდეს: „ვითარმედ: „არა ღმრთისაგან არს“, ამისთვის, რადთა მაშინ ამათ სიტყუათა ვერლარა იტყოდინ, არამედ სიტყუანი ჩემნი მიუღებდენ მათგან ყოველსა სიტყუასა და დაშჯიდენ მათ, რომელმან სიტყუანი ესე, რომელნი თქუნა, ვითარმედ: „თავით ჩემით არა მოსრულ ვარ“;¹ და ვითარმედ: „მამამან, რომელმან მომავლინა მე, მომცა მცნებაჲ“² და სხუანი ესე ვითარნი: „რა ვთქუა“, და: „რასა ვიტყოდნი“, და ესე ყოველნი დაუყოფდენ მათ მას ღღესა პირსა და მოუღებდენ ყოველსა მიზეზსა, რამეთუ მან ყოველნი ესე სიმდაბლისას: ჩინი სიტყუანი მათთვის თქუნა, რადთა იგინი მოიქცენ და ვინამთგან არა მოიქცეს, ამისთვის მათ სიტყუათა დასაჯენ იგინი, ხოლო რაჲ არს სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „რომელმან მომავლინა მამამან, მან მომცა მცნებაჲ, თუ რაჲ ვთქუა, ანუ რასა ვიტყოდნი?“ ანუ ვითარ არს ესე? ნუუკუე ოდეს მოივლინებოდა, მაშინ ისწავლიდა, თუ რასა იტყოდის და პირველ არა იცოდია? და რაჲ არს უკუე ამის უბოროტეს? უკუეთუ ესრეთვე ვინ გულისხმა-ყოს სიტყუაჲ ესე და არა გულისხმა-ყოფდეს სიმდაბლისა მის სიტყუათა მიზეზსა, რამეთუ პავლე იტყუს თავსა თვისსაცა და მოწაფეთაცა ცნებად, თუ რაჲ არს ნებაჲ ღმრთისაჲ კეთილი და სათნოჲ და სრული, ხოლო ძემან არა იცოდია, ვიდრემდე მცნებაჲ მიიღო? და ვითარმცა შესაძლებელ იყო ესე? ჰხედავა, ვითარ ამისთვის გარდამატებულად დაამდაბლებს სიტყუასა თვისსა? რადთა იგინი მოაქცინეს და შემდგომთა მათთა პირი დაუყოს, ამისთვის ესრეთ ფრიადსა სიმდაბლესა აჩუენებს, რადთა მის მიერ დაარწმუნოს,

¹ იოან. 7,28

² იოან. 12,49

რამთა გულისხმა-ჰყოფდენ, ვითარმედ არა მისისა ბუნებისანი არიან სიტყუანი ესე, არამედ უძლურებისათჳს მსმენელთადასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „და ვიცი, რამეთუ მცნებანი მისნი ცხო-რება საუკუნო არიან და რომელსა მე ვიტყვ, ვითარცა-იგი მან მრქუა მე, ეგრეცა მე ვიტყვ“ (12,50). თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა სიმდაბლესა ამათ სიტყუათასა? არამედ რამ არს ესე, რამეთუ იტყვს, ვითარმედ : „მამა ალაღვინებს მკუდარ-თა და ცხოველ-ჰყოფს? ეგრეთვე ძმ, რომელთაჲ ენებოს, ცხოველ-ჰყოფს“. აწ უკუე ცხოველ-ჰყოფს, რომელთაჲცა ენე-ბოს, და თქუმად თავით თჳსით არა კელ-ეწიფებისა? გარნა ესე არს სიტყუად ესე, ვითარმედ არა აქუს ბუნებაჲ ამას საქმესა, არცა შესაძლებელ არს, რამთამცა მამაჲ სხუასა იტყოდა და მე — სხუასა, არამედ : „რასა იგი იტყვს, მასვე ვიტყვ მეცა და ვიცი, რამეთუ მცნებანი მისნი ცხორება საუ-კუნო არიან“. მათა მიმართ იტყვს, რომელნი მ ა ც თ უ რ ი თ ზადოდეს მას და იტყოდეს, ვითარმედ : „ვნებად ჩუენდა მოს-რულ არს“, ხოლო რაჲმს იტყოდის, ვითარმედ : „არავის ვმჯი“. ესე იგი არს, ვითარმედ : „არა ვარ მე მათისა წარწყ-მედისა მიზეზ“ და ამისთჳს უკუანაჲსკნელსა მას ჟამსა, რა-ჟამს ენება მათგან განშოვრებაჲ და არლარა მისლგაჲ სწავლად მათა, ამას სიტყუასა ეტყვს, ვითარმედ : „არარაჲ თავით ჩემით შითქუამს, არამედ ყოველი, რომელი მითქუამს, მამისაჲ არს“.¹ და ამისთჳს ესე ვითარსა სიმდაბლესა მოიყვანა სიტყუად თჳსი, რამეთუ საცნაურ იყოს, ვითარმედ ვიდრე უკუანაჲსკნელად ჟამამდე განშოვრებისა მისისა მათგან არა დასცხრა ამათ სიტყუათა სიტყუად მათა მიმართ. და უკუანაჲსკნელი სიტ-ყუად მისი ესე იყო, ვითარმედ : „ვითარცა მამცნო მამამან, ესრეთ ვიტყვ“. უკუეთუმცა წინააღმდგომი მისი ვიყავ, წი-ხააღმდგომიცამცა მისი ვთქუ, რამთამცა თჳსი თავი ვადიდე, ხოლო აწ ესეზომ ყოველივე მისა მიმართ მივიყვანე დიდებაჲ, რამეთუ არარაჲ მითქუამს, თუ : „ესე ჩემი არს“, არამედ მა-რადის ყოველივე მამისად აღზიარებიეს, რამესათჳს უკუე არა გრწამს ჩემი, რომელი ვიტყვ, ვითარმედ : „მცნებაჲ მომიღე-ბიეს მამისაგან და ამათ სიტყუათა მიერ დაუჰქსნი ბოროტთა

¹ შტრ. იოან. 12,49

შათ იკუთა თქუენტა, რომელი-ესე ყოველსავე მამისა სიტყუ-
 ასა ვიტყუ და ყოველსავე, რაოდენსა მე ვიქმ, იგი იქმს, რა-
 ძეთუ ჩემ თანა არს და არა დამიტევა მე მარტომ მამამან“?
 ჰხედავა, ვითარ ყოველსა ადგილსა აჩუენებს ერთობასა თუსსა
 მამისა თანა და არცა ერთსა განყოფილებასა? რამეთუ, რა-
 ეამს იტყოდის, ვითარმედ: „თავით ჩემით არა მოსრულ ვარ“,
 არა თუ ჯელმწიფებასა თუსსა დაპქსნის, არამედ უცხოებასა
 და წინააღმდეგობებასა დაპქსნის, რამეთუ, უკუეთუ კაცხი
 უფალ არიან თავთა ზედა თუსთა, ვითარ არა უფროსად მხო-
 ლოდშობილი იგი ძმ? ვითარცა მოციქული იტყუს, ვითარ-
 ძედ: „წარმოაცალიერა თავი თუსი და ხატი მონებისაჲ შეი-
 ძოსა და მისცა თავი თუსი ჩუენთუს“, გარნა ვითარცა მარა-
 დის ვიტყუ, ბოროტ არს ცუდადმზუაობრობაჲ, ბოროტ! რა-
 ძეთუ ამან უყო მათ, რომელთა არა ჰრწმენა და სხუათა, რო-
 ძელთა ბოროტად ჰრწმენა.

ს წ ა ვ ლ ა დ თ

ცუდადმზუაობრებისათუს

ვივლტოდით უკუე ამის მკეცისაგან მარადის, რამეთუ მზა-
 კუვარი არს და მრავალფერო, და ყოველსა ადგილსა მიჰფენს
 თუსსა გესლსა და სახესაცა შინა და შუეებასა და შუენიერებასა
 კორციელსა, ამისთუს მარადის უმეტესსა საკმრისასა ვეძიებთ.
 ამისთუს არს შუენიერებაჲ სამოსელთაჲ საძიებელ, ამისგან
 გარდაემატა ჩუენ შორის ანგაპრებაჲ. არამედ ერიდე ამას
 ბოროტსა, შ, ძმაო, და უკუეთუ გნებავს, რაჲთა დიდებაჲ
 გაქუნდეს; იქმოდე სათნოებასა, იქმოდე მოწყალებასა. მაშინ
 გაქონ შენ ანგელოზთა და კაცთაცა და თავადმან ღმერთმან
 შეგიწყნაროს შენ, რამეთუ, ვიდრემდის კორცთა იმკობდე,
 აძაო არს შრომაჲ შენი და ხარ ცოდვასა შინა, ხოლო უკუეთუ
 გლახაკთა ზედა წარაგებდე, ყოვლით კერძო დიდ იყოს ქე-
 ბაჲ შენი. რაჲსათუს ამკობ კორცთა და სული უღებ-გაყოფის

და არაწმიდებითა სავსე არს? რამეთუ უმეტესი მოსწრაფებაჲ სულისა შემკობისათჳს ჳერ-იყო ქმნად, ხოლო ჩუენ, საყუარელნო, დაღაცათუ უმეტესი არა ვყოთ, გარნა სწორად ჳორცთა ვიღუაწოთ სულიცა, რამეთუ უკუეთუმცა ვინ გკითხა შენ, ვითარმედ: „რომელი გირჩევიეს, რაჲთა ბუნებით შუენიერ იყო და ჰასაკოვან და კეთილ და ძლიერ, და გემოსოს სამოსელი უნდოჲ? ანუ რაჲთა გემოსოს სამოსელი კეთილო და იყო შენ ბუნებით ღუხჳირ და უფერულ და უძღურ? არამცა ირჩიეა ბუნებითი იგი სიკეთჲ, ვიდრეღა სამოსელთაჲ? ხოლო უკუეთუ ჳორცთათჳს ესრეთ არს, არა უფროჲსად სულისათჳს იყოსა ესრეთ? ანუ ჳგონებ, ვითარმედ, უკუეთუ სული შეგინებულად იყოს და ბილწად, ირგემცა რაჲ ოქროჲსა და ვეცხლისაგან? მოაქციე ესე სამკაული შინაგან და შეჳმოსე სულსა, და ჳორცსა არარას არგებენ ძოწუელნი და პოჭფირნი, არცა სიმრთელესა მისცემენ, არცა შუენიერებასა, რამეთუ შავსა ვერ განასჳეტაკებს და უშუერსა ვერ განაშუენებს, ხოლო სულსა უკუეთუ შეჳმოსო, მეყსეულად განასჳეტაკებს მას, დაღაცათუ შავი იყოს, და, უკუეთუ უშუერი იყოს, განაშუენებს, რამეთუ იტყჳს უფალი: „უკუეთუ იყვნენ ცოდვანი თჳქუენნი, ვითარცა მეწამულნი, ვითარცა თოვლი, განვასჳეტაკო“. მიეც უკუე. ძმაო, მოწყალეებაჲ და ყოველივე კეთილ იყოს, რაჲთა ესრეთ გვრგვნოსანი იქცეოდი სავანეთა მათ შინა სუტუენეთა და კეთილთა მათ მივემთხენეთ. რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი ჳოვნად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჳ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ო

ს ი ტ უ უ ა ე ს ე : „და უწინარჳს დღესასწაულისა მის ჰასქეისასა, რომელ არს ვნებაჲ, იცოდა იესუ, რამეთუ მოიწია უამი მისი, რაჲთა განვიდეს ამიერ სოფლით და მივიდეს მამისა, რამეთუ შეიყუარნა თჳსნი იგი, ამას სოფელსა მყოფნი, და სრულიად შეიყუარნა იგინი“ (ი3,1).

„მსგავს ჩემდა იქმნენითო, — იტყვს პავლე, — ვითარცა ესე მე ქრისტესა“, რამეთუ ამისთვის ჯორცნი შეიძოსნა და ბუნებაჲ ჩუენი მიიღო, რადთა მის მიერ გუასწავოს ჩუენ სათნოებაჲ, რამეთუ იტყვს წერილი, ვითარმედ: „მსგავსებითა ჯორცთა ამათ ცოდვითასა და ცოდვისათვის დასაჯა ცოდვაჲ ჯორცითა“, და თავადი იტყვს: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ შშვდ ვარ და მდაბალ გულითა“,¹ და ესე ყოველი არა სიტყვთ ოდენ, არამედ საქმიითაცა ასწავა, რამეთუ საშარტიტელით და მაცთურით ჰხადოდეს მას პურიანი და ქვასა დაჰკრებდეს, და ოდესმე მსახურთა წარავლენდიან ფარისეველნი მოკლვად მისა და ოდესმე ეძიებდიან ღონესა შეპყრობად და თვთ აგინებდიან მრავალგზის, და ამას ყოველსა უმიზებოდ. რომელნი ვერცა ერთსა ბრალსა შემძლებელ იყვნეს პოვნად, არამედ ნაცვალად კეთილთა მათ მრავალთა. და ამას ყოველსა ზედა ჯრავე დასცხრებოდა კეთილის-ყოფად მათდა სიტყვთ და საქმიითცა და რაჟამს-იგი მონამან ვინმესცა მას ყურმილსა, მიუგო მან, ვითარმედ: „უკუეთუ ბოროტსა ვიტყოდე, წამე ბოროტისათვის; უკუეთუ კეთილად ვიტყოდე. რადსა მცემ?“¹ ხოლო ამათ სიტყუათა მტერთა მიძართ და მკლველთა იტყოდა, არამედ ვიხლოთ, თუ მოწაფეთა თანა რასა იქმს აწ და უფრომსად, თუ რასა იქმს მიმცემელისა თანა მისისა, რამეთუ რომლისა-იგი უფრომს ყოველთამსა ჯერ-იყო მოძულეებაჲ, რამეთუ მოწაფე იყო, და ზიარ ტაბლისა და პურისა მის იქმნა, და ესეოდენთა საკრველებათა ხილვად ღირს იქმნა და ქმნა ყოველთასა უბოროტესი, რამეთუ მისცა იგი კელთა მტერთასა. და იხილე; თუ ესევითარსა მას ვითარ პატოვ-სცემს და დაჰბანს ფერჯთა, რადთამცა ნუუკუე დააყენა იგი უკეთურებისაგან აბით სახითა და მას ძალ-ედვა, უკუეთუმცა ენება, რადთამცა განაჰმო იგი, ვითარცა ლელუსა მას უყო, და რადთამცა დაადნო იგი, ვითარცა კლდენი დაადნვნა და განაპომცა. ვითარცა კრეტ-საბმელსა მას უყო, გარნა არა ინება უნებლიამთ დაყენებაჲ ბოროტისა მისგან, არამედ, რადთამცა ნეფსით მოქცეულ იყო,

¹ მათ. 11,29

¹ იოან. 18.23

ამისთვის დაჰბანნა ფერჯნი და ამისგანცა არავე შეიკდიმა უბად-
რუქმან მან და საწყალობელმან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : და უწინარეს დღესასწაულსა მას პასე-
ქისასა, რომელ არს ვნებაჲ, იცოდა იესუ, რამეთუ მოიწია
ჟამი მისი (13.1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** არა თუ მაშინ იცოდა და
პირველითგანმცა არა ეცნა, არამედ მაშინ ქმნა, რაჲ-იგი ქმნა.
ხოლო იცოდა პირველითგან მ-ცვალებად მისი, კმაძალად
სახელ-სდებს მახარებელი სიკუდილსა მისსა მიცვალებად და
იტყვს, ვითარმედ: „რაჟამს ეგულებოდა მათი დატევებაჲ, მაშინ
უმეტესი სიყუარული უჩუენა“, რამეთუ სიტყუად ესე, რო-
ძელსა იტყვს, ვითარმედ „შეიყუარნა“ და „სრულიად შეი-
ყუარნა“, ამას მოასწავებს, ვითარმედ არცა ერთი საქმე სი-
ყუარულისად დაუტევა, რომელი არა უყო მათ; ხოლო რაჲ-
სათეს პირველითგან არა უყო ესევითარი ესე საქმე? გარნა
ამისთვის, რამეთუ დიდთა საქმეთა უკუანამსკნელ დაუმარხვი-
და, რაჲთამცა უმეტესად განაჭურვა მათი იგი მისა მიმართ
სიყუარული და თვსებაჲ და რაჲთამცა უჩუენა, ვითარმედ
უყუარან, და რაჲთამცა მისცა ნუგეშინის-ცემად პირველვე
მათ ზედა მომაცალთა მათთვის ჭირთა. ხოლო თვსად უწესს
მათ სიტყუთა მათ თვსებასადთა. რამეთუ სხუათაცა უწესს
თვსად, არამედ სიტყუთა მით დაბადებისადთა, ვითარცა რა-
ჟამს იტყოდის, ვითარმედ: „თვსთა იგი არა შეიწყნარეს“,¹
რამეთუ თვსებაჲ იგი დაბადებულეებისად არს, ვითარმედ:
„თვსთა დაბადებულთა არა შეიწყნარეს“, ხოლო აქა
იტყვს, ვითარმედ: „შეიყუარნა თვსნი იგი, სოფელსა შინა
მყოფნი“.² თვსებაჲ ესე სიყუარულისად არს. ხოლო რაჲ
არს იგი, რომელსა იტყვს, თუ: „სოფელსა შინა მყოფნი?“
ამისთვის, რამეთუ იყვნეს თვსნი მისნი აღსრულებულნიცა, ვი-
თარ იყო ამრაჰამ, ისაკ და იაკობ და მსგავსნი მათნი, არამედ
არა სოფელსა შინა იყვნეს იგინი, ხოლო აქა სოფელსა შინა
მყოფთათვს იტყვს, რომელ იყვნეს მოციქულნი. ჰხედავა, რა-
მეთუ ძუელისა და ახლისა იგი არს ღმერთი. ხოლო რაჲ არს
ესე სიტყუად, ვითარმედ „სრულიად შეიყუარნა იგინი?“ ესე

¹ იოან. 1,11

² იოან. 13,1

იგი არს, ვითარმედ დაადგრა უკუნისამდე სიყუარულსა ზედა მათსა და სახედ მრავლისა მის სიყუარულისა ამას იტყვს, რამეთუ სხუასა ადგილსა იტყვს სახედ სიყუარულისა სრულსა დადებასა სულისა თვისისა, გარნა იგი ჯერეთ არა ქმნილიყო, ხოლო რაჲსათვს ქმნა ესე? ამისთვის, რამეთუ ფრიად საკვრველ იყო, რაჲმს იგი ყოველთა შორის ბრწყინვალედ გამოჩნდა, მაშინ ესევეითარისა სიმდაბლისა ქმნად და კუალად ხუგეშინის-ცემად არამცირედ დაუტევა მათ ამის საქმისა ძიერ, წარ-რად-ვიდოდა მათგან, რამეთუ ვინათგან ეგულებოდა ფრიადსა მწუხარებასა შინა შესლვად, ამისთვის შემსგავსებული მის მწუხარებისად მისცა ნუგეშინის-ცემად პირველვე.

ს ა ხ ა რ ე ბ ა : და ვითარცა სერობად იგი იყო და ეშმაკი შესრულ იყო გულსა იუდა სიმონ ისკარიოტელისასა, რაჲთა განსცეს იგი (13,2). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე სიტყუად განკვრევებით შემოიღო აქა მახარებელმან, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „ესევეითარი იგი უკეთური, რომელსა განეზრახა მიცემად მისი, იგი დაბანა“, და გამოაჩინებს მისსაცა მას ფრიადსა უკეთურებასა, რომელ არცა ზიარებაჲმან მან პურისამან მოდრიკა იგი, არცა რომელ-იგი ესრეთ უკუანაძსკნელად ეჲმადმდე წარსლვისა მისისა იტვრთვიდა მას მოძღუარი იგი სახიერი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა : იცოდა იესუ, რამეთუ ყოველივე მოსცა მამამან კელთა მისთა, და რამეთუ ღმრთისაგან გამოვიდა და ღმრთისა მივალს (13,3). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ანუ ესე არს ძალი ამის სიტყუსად? და ამას იტყვს, ვითარმედ: „ესევეითარი იგი და ესრეთ დიდი, რომელი-იგი ღმრთისაგან გამოსრულ იყო და ღმრთისა მიმართ მივიდოდა, რომელსა ყოველნივე წამისყოფით უპყრიან, ესე საქმე ქმნა და არა უღირს-იჩინა ამისო ქმნად“, ანუ კუალად ამას იტყვს, ვითარმედ: „რომელი-იგი ღმრთისაგან გამოსრულ იყო და ღმრთისა მივიდოდა და ყოველნივე უპყრიან მას, არარად დააკლდებოდა მას ესევეითარისა საქმისაგან, დაღაცათუ ქმნა ესე სიმდაბლმ“. ხოლო რომელი იტყვს, ვითარმედ: „ყოველივე მოსცა მამამან“, მოცემად ამას ადგილსა, ვითარ მე ვპგონებ, მორწმუნეთა ცხოვრებასა უწესს. რამეთუ, რაჲმს იტყოდის, ვითარმედ: „ყოველივე მომეცა მე მამისაგან ჩემისა“,¹ მოცემად.

¹ მათ. 11,27; ლუკ. 10,22

ამას მოცემას იტყვს მორწმუნეთა ცხოვრებასა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „შენნი იყვნეს და მომცენ მე“.¹ და მერმე იტყვს, ვითარმედ: „ვერვის ძალ-უც მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან მოიყვანოს“.² ხოლო შენ რაჟამს მოცემა გესმეს, ნურარას კაცობრივსა გულისხმა-ჰყოფ, რამეთუ მამისა მიმართ ერთობასა და პატივისა აჩუენებს, რამეთუ ვითარცა-იგი მამად მას მისცემს, ეგრეთვე იგი მამასა მისცემს. და ამას მოასწავებს ნეტარი პავლე და იტყვს, ვითარმედ: „რაჟამს მისცეს სუფევად ღმერთსა და მამასა“, ხოლო ამას აღგილსა კაცობრივრე თქუა, რამთამცა გამოაჩინა ფრიადი იგი ძისი მათა მიმართ მოღუაწებად და მიუწუდომელი მათა მიმართ სიყუარული, რამეთუ, ვითარცა ჭეშმარიტად თვსთა, ილუწიდა ზათ და ასწავებდა ღედასა მას ყოველთა სათნოებათასა — სიმდაბლესა, რომლისათვს თქუა, ვითარმედ აღსასრული არს სათნოებისად, ხოლო ესე სიტყუად რამსათვსლა არს, ვითარმედ: „ღმრთისაგან გამოვიდა და ღმრთისა მივალს“? ესე იგი არს, ვითარმედ საქმეთა იქმოდა ღირსთა, მის შიერ გამოსრულისა და მისა მიმავალისა. ესრეთ დასთრგუნვიდა ყოველსა სიმაღლესა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : აღდგა სერობისა მისგან და დაღვა სამოსელი თვისი (13,4). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილე, ვითარ არა დაბახითა ოდენ, არამედ სხუთაცა სახითა გამოაჩინებს სიმდაბლესა, რამეთუ არა უწინარეს დაჯდომისა, არამედ შემდგომად ყოველთა დასხდომისა აღდგა და მერმე არა თუ ოდენ დაჰბანნა ფერჯნი, არამედ განიძარცუა სამოსელი და ესრეთ ჰბანდა. და არა ესე ოდენ, არამედ არდაგი მოირტყა, რომელმან შემოსნა ცანი ღრუბლითა და ესეცა არავე კმა ეყო, არამედ თვთვე შთაასხა წყალი და თვისითა კელითა აღავსო საბანელი და არა სხუასა უბრძანა აღვსებად, არამედ ყოველივე თავადმან ქნა, რამთა გუასწავოს, ვითარმედ, რაჟამს ესევითარსა რასმე ვიქმოდით, არა გარეწარად ჯერ-არს ქნამ, არამედ ყოველითა გულსმოდგინებითა, ხოლო დაჰბანნა ფერჯნი, ვითარ მე ვპვონებ, პირველ მიმცემელისა მისისანი, რამეთუ

¹ იოან. 17,6

² იოან. 6,44, 65

იტყუს, ვითარმედ: „იწყობ ბანად და მოვიდა სიმონ-პეტრძსა, და პრქუა მას პეტრე: „უფალო, შენ დამბანა ღერკთა ჩემთა შაგით კელითაო, რომლითა თუალნი ბრმათანი აღუხილენ და კეთროვანნი განსწმიდენ და მკუდარნი აღადგინენ?“ და არაბაი პრქუა მას უმეტსი, არამედ ესე ოდენ, ვითარმედ: „შენ, უფალო?“¹ რამეთუ ესე სიტყუაჲ თავით თუსით კმა არს დიდისა მის დიდებისა გამოჩინებად. ხოლო ვითარ, რომელ სხუამან არცა ერთმან რაჲ თქუა და არცა დააყენა იგი: არამედ პეტრე ოდენ. რაჲ არს უკუე ზიზეზი ამის საქმისაჲ? შე ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ პირველად მიმცემელისა მის შისისა ფერკნი დაჰბანნა და ესრეთ პეტრეს მიმართ მივიდა და სხუათა მათ პეტრეს შერისხვისა მიერ ისწავეს, ვითარმედ არა ჯერ-არს წინააღდგომაჲ, გარნა ამას აღგილსა არა შეასმენს მიმცემელსა მას მახარებელი, არამედ საქმესა იტყუს, ვითარ იქმნა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : და მოვიდა სიმონ-პეტრძსა და პრქუა მას პეტრე: „უფალო, შენ დამბანა ღერკთა ჩემთა?“ მიუგო იესუ: „რომელსა მე ვიქმ, არა იცი აწ, ხოლო სცნა შემდგომად ამისა“ (13,6-7). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ რაოდენი სარგებელი არს ამის საქმისაგან და შეძინებაჲ ფრიადი ამის, სასწაულისა მიერ და შემძლებელი მოვლინებად სიმდაბლედ. ხოლო პეტრე ჯერეთ აყენებდა და ეტყოდა: „არა დამბანნე ფერკნი ჩემნი უკუნისამდე“.² რასა იქმ, მ, პეტრე? არა გაქსოვანანა პირველნი იჟა სიტყუანი, რაჟამს სთქუ: „ნუ იყოფინ ეგე შენდა, უფალო?“ და თავადმან მოგიგო: „წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო“.³ და ესრეთცა არავე გეშინისა? გარნა იტყუს პეტრე: „ჰე, რამეთუ ესე უსაშიილეს არს და უმაღლესი“. ვინამთგან უკუე ამას ფრიადისა სიყუარულსაგან იქმოდა, ამისთვის მისგანვე შეაშინებს მას უფალი და ეტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „უკუეთუ არა დაგბანნე, არა გაქუნდეს ნაწილი ჩემ თანა“ (13,8). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო მკურვალე-შან მან და წადიერმან პეტრე მიუგო:

¹ იოან. 13,6

² იოან. 13,8

³ მათ. 16,22-23

სახარება: ნუ ხოლო ფერკნი, არამედ კელნიცა და თავიცა (13,9). **თარგმანი:** და რაჟამს აყენებდა, ფ. ცხელ იყო და შენდობასა უფიცხლესად გამოჩნდა, რამეთუ ორივე სიყუარულისაგან იყო. ხოლო რად არს, რომელ პრქუა, ვითარმედ: „სცნა შემდგომად ამისა“,¹ ოდეს აცნობებდა? გარხა შემდგომად ამისა, რაჟამს სახელითა ჩემითა ეშმაკთა გახსხნიდე, რაჟამს მიხილო ზეცად აღმავალი, რაჟამს სცნა მამისა მიერ, ვითარმედ მარჯუნ მისა მჭდომარე ვარ, მაშინ სცნა, თუ რად არს საქმე ესე. ხოლო რაჟამს თქუა პეტრე, ვითარმედ: „ნუ ხოლო ფერკნა, არამედ კელნიცა და თავიცა“, ძიუგო იესუ:

სახარება: „განბანილსა არა უკმს, გარნა ფერკნი ხოლო, რამეთუ არს იგი ყოვლად წმიდა, ხოლო თქუენ წმიდანართ სიტყუსა მისთვის, რომელი გარქუ თქუენ“ (13.10). **თარგმანი:** ვინამთგან უკუე წმიდა იყვნეს, საცნაურ არს, ვითარმედ ამისთვის დაჰბანს ფერკთა, რამთა ჩუენ ვისწოთ. სიმდაბლმ, ხოლო ვითარ იყვნეს იგინი წმიდა? რამეთუ არღა ძიელო სული წმიდად, არამედ ჭერეთ ცოდვად სუფევდა და ვინამთგან კელითწერილი იგი წყევფისად ჭერეთ ეგო, რამეთუ არღა შეწირულ იყო ჭერეთ სისხლი იგი იესუმისი. ვითარ უკუე პრქუა, ვითარმედ: „თქუენ წმიდანა ხართ?“ არამედ რამთა არა ესრეთ გულისხმა-ჰყო, ვითარმედ ცოდვათაგან სრულიად განწმედლილ იყვნეს, ამისთვის შესძინა და თქუა, ვითარმედ: „თქუენ წმიდა ხართ სიტყუსა მისთვის, რომელი გარქუ თქუენ“, ესე იგი არს, ვითარმედ: „ამის სიტყუსა მიერ განწმედად მიგიღებიეს, ნათელი შეგიწყნარებიეს და საცთურისა მისგან ჰურიათადასა განთავისუფლებულ ხართ, ვითარცა წინამსწარმეტყუელი იტყუს: „განბანენით, განიწმიდენით, ძოისპეთ უკეთურებად სულთაგან თქუენთა“. და ვინათგან მათცა ყოველი ბოროტი მოესპო სულთაგან მათთა და წრფელითა გონებით იყვნეს მის თანა, ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „განბანილი სიტყუსაებრ წინამსწარმეტყუელისა წმიდა არს“, რამეთუ მუნ არა თუ განბანასა წყლისასა იტყოდან, რომელსა: „ეი ჰურიანი იქმოდეს, არამედ განწმედასა გონებისასა.

¹ იოან. 13,7

ს ი მ ა რ თ ლ ი ს ა თ ვ ს

ვიქმნნეთ უკუე ჩუენცა წმიდა, ვისწოთ ქმნაჲ კეთილი-საჲ. ხოლო რაჲ არს კეთილი? შჯაჲ ობლისაჲ და განმართლევ-საჲ ქურივისაჲ, რამეთუ დიდ არს წერილთა შინა სიტყუაჲ ესე ობოლთა და ქურივთაჲ და ჩუენ არა დიდად გუაქუს იგი. რამეთუ იხილეთ, ვითარი არს მადლი მასი, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: „უკუეთუ იყვნენ ცოდვანი თქუენნი, ვითარცა ძეწამულნი, ვითარცა თოვლნი, განვასპეტაკნე, და უკუეთუ იყვნენ, ვითარცა ლებილნი, ვითარცა მატყლი განვასპეტაკო“. ამისთჳს უკუე ვისწრაფოთ კელის-აღუპრობად ობოლთა და ქურივთა, რამეთუ არამცირედი ძალი აქუს ცრემლთა ქურივისათა, არამედ შემძლებელ არს ცათა განხუმად. ამისთჳს უკუე ნუმცა ბოროტსა უყოფთ მათ, არამედ ვსწყალობდეთ და კელსა აღუპრობდეთ და ფრიადი ვპოვოთ ჩუენცა წყალობაჲ ამასცა საწუთროსა და მერმესა საუკუნესა, რამეთუ მრავალთა ცოდვათაჲ ვპოვოთ ამის საქმისა მიერ შენდობაჲ და კადნიერებით წარმოუდგეთ საყდარსა ქრისტესსა, რომელსა ღირსმცა ფართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთ-მყოჲარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ო ა

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: და მოილო სამოსელი თჳსი და ინაჯ-იდგა და ჰრქუა მათ: „იცითა, რაჲ-ესე გიყავ, თქუენ?“ (13,12). ბოროტ არს, საყუარელო, ბოროტ არს, მოსლვაჲ სიღ-რმესა ბოროტთასა; რამეთუ მიერითგან განუმართლებელ იქმ-ნების. ამისთჳს ჯერ-არს მოსწრაფებით ღუწოლაჲ, რაჲთა არა გუეუფლოს უკეთურებაჲ; რამეთუ უადვილეს არს არა შთავრ-დობაჲ ბოროტსა, ვიდრეღა შთავრდომილსა აღმოსლვაჲ. რამე-თუ იხილეთ იუდა, ვინაჲთგან შთაავდო თავი თჳსი ბოროტსა მას

უკეთურებასა შინა, რაზომი შეწევნაჲ პოვა და ვერვე განერა-
ძისგან, რამეთუ თქუა მისთვის, ვითარმედ: „ერთი თქუენგანი
ეშმაკი არს“,¹ და კუალად თქუა, ვითარმედ: „არა ყოველ-
თათვის ვიტყვ“; და კუალად თქუა, ვითარმედ: „არა ყოველთა-
გაწამს“. და ვერცა ერთი მათგანი გულისხმა-ყო, ხოლო აწ
ვითარცა დაჰბანნა ფერკნი მათნი, მოილო სამოსელი თვისი და-
ინაჲ-იდგა და მერმე ჰრქუა მათ: „იციოთა, რად-ესე გიყავ
თქუენ?“ არღარა პეტრეს ოდენ, არამედ ყოველთა მიმართ
იტყვის: „თქუენ მხადით მე: „უფალო და მოძღუარო“, და კე-
თილად სთქუთ, რამეთუ ვარ“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „თქუენ მხადით მე“ (13,13).

თ ა რ გ მ ა ნ ი : თვისსა სიტყუასა შემოიღებს და მერმე შეს-
ძინებს, ვითარმედ: „ვარო“, რამეთუ სიტყუაჲ მათი შემოი-
ღო, რადთა არა სამძიმარ იყოს მის მიერ თქუმული და თვისითა
სიტყუთა დამტკიცებაჲ მათისა სიტყუსაჲ დაუმძიმებელ და
უეჭუელ-ჰყოფს, რამეთუ იტყვის, ვითარმედ: „ვარო“. ჰხედა-
ვა, ვითარ, რაჟამს მოწაფეთა ეტყოდის, გამოაცხადებს თავსა-
თვისსა? რამეთუ, ვითარცა იტყვის, ვითარმედ: „ნუვის ჰხადით
მოძღუარ ქუეყანასა ზედა“; და კუალად იტყვის: „ნუვის ჰხა-
დით მამად ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მოძღუარი
და მამად თქუენი“.² ხოლო ერთი ესე არა თუ მამისათვის
ოდენ თქუმულ არს, არამედ თავისა თვისისათვისცა, რამეთუ
უკუეთუმცა არა თავისა თვისისათვისცა იტყოდა, ვითარმცა
თქუა, თუ „რადთა იქმნნეთ შვილ ნათლისა“? ანუ უკუეთუ
მამასა ოდენ იტყვის მოძღუარად, ვითარცა იტყვის აწ, ვითარმედ
„ვარო“?

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „უკუეთუ მე დაგბანენ ფერკნი თქუენნი:
უფალმან და მოძღუარმან, თქუენცა თანა-გაც ურთიერთას
ბანაჲ ფერკთაჲ, რამეთუ სახმ მიგეც თქუენ, რადთა, ვითარ-
ცა-ესე მე გიყავ თქუენ, ეგრეცა თქუენ ჰყოფდით“
(13,14-15). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რად არს სიტყუაჲ ესე, ვითარ-
მედ: „ესრეთ ჰყოფდით“? ესე იგი არს, ვითარმედ: „ესევი-
თართა მოსწრაფებოთა, რამეთუ უკუეთუ უფალმან ესრეთ

¹ შლრ. იოან. 13,21

² შლრ. მათ. 23, 9-10

უყო მონათა, ჩუენ, რომელნი-ესე მონანი ვართ, მოყუასთა ჩუენთა არა უყოფდეთა? რამეთუ ამისთვის მან უზეშთაესი სახმ გვჩუენა ჩუენ, რაათა ჩუენ მას ვხედვიდეთ და უღარმსსა ვიქმოდით. სადა არიან აწ, რომელნი მოყუასთა 'ძეურაცხ-ჰყოფენ? და უფალმან მიმცემელისა მის თვისისა ფერკნი დაჰბანნა, უკეთურიისა მის და მპარავისა, და ჟამსა მას მაცემისასა, რომელი-იგი უკურნებელ იყო, და ზიარცა გულსა თვისისა იყო. და შენ ჰზუაობა მოყუასსა ზედა და წარბთა აღიმალლება? აწ უკუე ურთიერთას ფერკთა დაჰბანდოთ და მონათაცა ჩუენთა, რამეთუ რაჲ დიდ არს, უკუეთუ მონათა ფერკნი დაჰვბანნეთ? რამეთუ აქა მონებამ და უფლებამ სახელთანი ოდენ განყოფილებანი არიან, ხოლო მუნ საქმეთა ჰემპარიტებამ, რამეთუ ბუნებით იგი უფალ იყო და ჩუენ — მონანი და არა უღირს-იჩინა მან დაბანამ ფერკთამ. რაჲ უკუე მიუგოთ, რომელთა ესევითარნი სახენი სიმდაბლისანი მქონან, და ყოვლადვე არა ვჰბაძავთ, არამედ უფრომსად წინააღმდგომსა ვიქმთ და ვმალლოვით, ვითარცა ბუნებით უფალნი. და თანახადებ: არა აღვასრულებთ? რამეთუ თანამდებ-მყენა უფალსან. ვინაჲთგან მან ყო დასაბამი ამის საქმისამ, და თანამდებად უღარმსსა ნაწილსა, რამეთუ იგი უფალი იყო, ხოლო ჩუენ მონანი ვართ, ვითარცა თვთ თქუა, ვითარმედ: უკუეთუ მე, უფალმან და მოძლუარმან, დაგბანენ, არა უფრომსად თქუენ ჰყოთა ურთიერთას?" რაათა ვერღარა ოცუოდინან, ვითარცა პირველ, ვითარმედ: „ვინ არს უფრომს ყოველთამსა?" და არა დაბრკოლდებოდინან ურთიერთას, ამისთვის დაამდაბლებს გონებასა მათსა, ვითარმედ, დალაკათუ ფრიად დიდ იყო, თანა-გაც ძმისა არა შეურაცხ-ყოფამ, და არა თქუა უზეშთაესი, ვითარმედ: „უკუეთუ მე, უფალმან და მოძლუარმან, დაჰვბანენ ფერკნი მიმცემელისანი“, არამედ ყოველთამ თქუა და იგი მათ მიუშუა გულსხმის-ყოფად. ამისთვის იტყოდა, ვითარმედ: „რომელმან ჰმნეს და ასწავოს, დიდ ეწოდოს“, რამეთუ ესე არს სწავლამ, ჩინებამ საქმისამ. და რაჲმცა იყო ამის უზეშთაეს? ანუ რომელი ზუაობამ არა დაამდაბლოს ამან საქმემან? რამეთუ, რომელი ზის ზედა ქერობინთა, მიმცემელსა თვისსა ფერკნი დაჰბანნა, ხოლო შენ, კა-

ცო, რომელ მიწა და ნაცარი ხარ, ავლი და მტუერი, ჰზუაობ და ჰმალლოვი, და რაოდენთა სატანჯველთა ღირს ხარ? რამეთუ უკუეთუ გონებისა სიმალღ გიყუარს, მოვედ და მე გიჩუენო შენ. ვითარ შენ არა იცი, რამეთუ რომელი ამოთა ზედა ამის სოფლისა საქმეთა ზუაობდეს, მას სული აქუს ფრიად მდაბალი და უნდოა? რამეთუ არცა სიმდაბლმ იქმნების თვნიერ სიმალღისა, არცა სიმალღმ თვნიერ სიმდაბლისა. რამეთუ, ვითარცა მცირენი ყრმანი მოყუარულ არიან უნდოთა საქმეთა მღერისათა, ხოლო დიდთა საქმეთა ვერ გულისხმაჰყოფენ, ეგრეთვე არიან საქმენი სოფლისანი. ხოლო რომელი ბრძენ იყოს, მან ესე ყოველი შეურაცხ-ყოს და ზეცისასა იძიებდეს. ხოლო უგუნური შეექცეს დედაზარღისა ქსელსა ქსოვად, რომელ არიან ამის სოფლისა საქმენი, და ჟამსა სიკუდილისასა არარაა აქუნდეს ჯელთა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: „არა არს მონაა უფრომს უფლისა თვისისა, არცა მოციქული უფრომს მომავლინებელისა თვისისა. უკუეთუ ესე იცით, ნეტარ ხართ, უკუეთუ ჰყოფდეთ ამას. არა თქუენ ყოველთათვის ვიტყვ. მე ვიცი, რომელნი გამოგირჩიენ, არამედ რაითა წერილი აღესრულოს, ვითარმედ: „რომელი ჳამდა ჩემ თანა პურსა, აღიღო ჩემ თანა ბრჭალი მისი“ (13,16-18). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რომელი იგი ზემო თქუა, მასვე იტყვს აწ, ვითარმედ: „უკუეთუ მონაა არა უფრომს უფლისა არს, არცა მოციქული უფრომს მომავლინებელისა. და მე ვარ უფალი და მოძღუარი და ესე ვქმენ, არა უფრომსად თქუენ თანა-გაცა ამისი ქმნაა?“ ხოლო მერმე უჩუენებს, ვითარმედ იციან ყოველი, რომელსა ეტყვს შათ, ვითარმედ: „უკუეთუ ესე იცით“, ესე იგი არს, ვითარმედ: „არა ვითარცა უმეცართა გეტყვ თქუენ, არამედ ვითარცა მეცნიერთა, და უკუეთუ ჰყოთ, ნეტარ ხართ, რამეთუ ამისთვის გეტყვ, რაითა საქმიტა ჳქმნათ, რამეთუ ჰურათაცა იციან, არამედ არა არიან ნეტარ, ვინათგან არა იქმან. ხოლო არა თქუენ ყოველთათვის ვიტყვ“. ეჰა, ძვრუქსენებელობაა ესე, რამეთუ არავე ამხილა მიმცემელსა მას, არამედ ჳერეთ ჰფარავს, რაითამცა მისცა მას ჟამი სინანულისაა, და ამხილებს და არა ამხილებს სიტყვთა მით, რომელი თქუა, ვითარმედ: „რომელი ჳამდა პურსა ჩემ თანა“. ხოლო მე ვჰგონებ, ვი-

თარმედ იგიცა სიტყუაჲ, რომელი თქუა, ვითარმედ: „არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა“, ამისთვისვე თქუა, რაჲთა, უკუეთუ სადა მონათა მიერ ანუ უღარესთა მოიწიოს მათ ზედა ქირი და შეურაცხებაჲ, არა დაბრკოლდებოდიან, არამედ საქმესა მას იუდაჲსსა მოიგონებდენ, რომელმან ესეოდენნი კეთილნი იხილნა მის მიერ და ქველისმოქმედსა მას ძკრი მიაგო. ამისთვის შესძინა, ვითარმედ: რომელი ჳამდა პურსა ჩემ თანა, აღილო ჩემ ზედა ბრჳალი მისი“, და ყოველივე დაუტევა და ესე ხოლო ავსენა, რომელი შემძლებელ იყო უფროჲს ამისთვის შესძინა. ვითარმედ: „რომელი ჳამდა პურსა ჩემ მიერ იზარდებოდა და რომელი ჳიარცა გულისა ჩემისა იყო, ესე ჳმნა“, ხოლო ამას იტყოდა, რაჲთამცა ბოროტისყოფელთა კეთილსა უყოფდეს. ხოლო თქუა რაჲ, ვითარმედ: „არა თქუენ ყოველთათუ სიტყუ“, მერმე განყო იგი ოდენ, რაჲთა არა სხუათა ყოველთა ეშინოდის, და მერმე თქუა: „რომელი ჳამდა პურსა ჩემ თანა“, რაჲთამცა აჩუენა მის უბადრუკისათუ, ვითარმედ არა უგულისხმოებით ჳმნა, არამედ განზრახვითა და წურთითა ბოროტითა, და არა თქუა, თუ „მიმცემს“, არამედ: „აღილო ჩემ ზედა ბრჳალი მისი“, რაჲთამცა უკეთურებაჲ და მზაკუევარებაჲ მისი გამოაჩინა.

ს წ ა მ ლ ა მ ო ა

არა ბოროტის-ყოფისათუ ს მტერთაჲსა და იოსებისთუ

ხოლო ესე ყოველი წერილ არს, რაჲთა არა ძკრსა ვიგნენებდეთ ბოროტისყოფელთა ჩუენთათუ, არამედ უფროჲსად ვწუხნდეთ მათთუ, რამეთუ ევნების უფროჲსად ბოროტისყოფელთა და იგინი არიან ლირს ტირილისა ფრიადისა, ვიდრელა რომელთა უყონ ბოროტი, რამეთუ ანგაპრიცა და ცილისმწამებელი თავთა თუსთა ავნებენ დიდად, ხოლო ჩუენ ფრიად გუარგებენ, უკუეთუ ოდენ ჩუენ გუნდეს. რამეთუ, უკუეთუ ვინ მიიტაცოს შენი და შენ ჳმადლობდე ლმერთსა,

მრავალი სარგებელი მიგიღებდეს მადლობისა მიერ, ხოლო მან ფრიადი საშჯელი და ბრალი მოიგო. რამეთუ, უკუეთუ უძღურ იყო შენ და ვერ ძალ-გედვას ბოროტის-ყოფად ბოროტისმყოფელისა შენისა, არამედ ძალ-გიც განრისხებად და წყევად მისა და ძვრის-ჯსენებად, და უკუეთუ არა ჰქმნე ესე, არამედ უფრომსად ულოცო მას და აკურთხო იგი, მიიღო სასყიდელი. და ამის მიერ საცნაურ იქმნეს, ვითარნედ, და-ღაცათუმცა კელ-გეწიფებოდა კორციელადცა ვნებად. არა-ვე ავნებდი. რამეთუ, უკუეთუ ულოცვიდე და აკურთხევდე მას, მიემსგავსები ღმერთსა, ვითარცა იტყვს უფალი, ვითარემდე: „ულოცევდით ბოროტისმყოფელთა თქუენთა, რად-თა იქმნნეთ მსგავს მამისა თქუენისა ზეცათამსა“.¹

ჰხედავა, რაოდენსა კეთილსა შევიძინეთ, უკუეთუ ვინებოთ, ბოროტისმყოფელთა ჩუენთა მიერ, რამეთუ არაჲ ესრეთ მხარულ-ჰყოფს ღმერთსა ჩუენ ზედა, ვითარ არამიგებაჲ ბოროტისაჲ ბოროტისა წილ, რამეთუ არა თუ ბოროტისა არაყოფაჲ ოდენ, არამედ უფრომსად ლოცვაჲცა და კურთხევაჲ ბოროტისმყოფელთა ჩუენთაჲ ბრძანებულ არს ჩუენდა. რამეთუ ქრისტემან, იხილე, რაოდენი კეთილი უყო მიმცემელსა თვისსა: ფერჯნი დაჰბანნა, ფარულად ამხილებდა, ტაბლასა თვისსა ზიარ-ყო, ამბორის-ყოფაჲ მისცა და იგი არავე ძოიქცა, არამედ უფალი მასვე ზედა ეგო და კეთლის-ყოფად არა დასცხრებოდა. არამედ გასწავო ძუელისაგან შჯულისა ძონათა მიერ ღმრთისათა, რადთა ესრეთ სცნათ, ვითარემდე არცა ერთი გუაქუს ჩუენ სიტყუაჲ, რაჲამს ძვრსა ვიკსენებდეთ. და უკუეთუ მნებავს, ვთქუათ მოსესთვს, ანუ უზეშთაესცა მისსა აღვიყვანოთ სიტყუაჲ ჩუენი, რამეთუ, რაზომცა ძუელნი იყვნენ სახენი, ჩუენ უფრომსად ვიძლევით ამისთვს, რამეთუ მაშინ ძნელ იყო წარმართებაჲ სათნოებისაჲ, ვინაჲთგან არცა წერილი აქუნდა, არცა სახენი პირველ-ქმნილნი, არამედ ბუნებაჲ შიშულად იღუწიდა. ამისთვს ხოეს აქებს წერილი და იტყვს: „ნოე, კაცი მართალი და წმიდაჲ, ნათესაჲსა შინა მისსა“, ესე იგი არს, ვითარემდე მაშინ, რაჲამს ფრიად იყვნეს დამაყენებელნი სათნოებისანი.

¹ შლრ. მათ. 5,44—48

ხოლო ვინ გამოჩნდა უწინარეს მოსესა სულგრძელ? ნეტარი იოსებ, რომელი გამობრწყინდა სიწმიდითა და უფლოვს სულგრძელებით, რამეთუ განიყიდა უბრალოდ, რომელი-გაქმსახურებდა ძმათა თვსთა და კეთილსა უყოფდა, და შეაბინეს იგი მათ, და იგი მერმეცა წარვიდა უდაბნოს და მიაბრთუა მათ საზრდელი და, ვერ პოვნა რამ, ეძიებდა და არა მოიწყინა, არამედ ვითარცა ძმად იყო უწყალოთა მათ მიმართ, ხოლო მათ ამას ყოველსა ზედა განვიდეს იგი, და დაეძკვდრა მათ მიერ საპყრობილესა შინა, და არავე რამ თქუა ბოროტი მათთვის. და, შემდგომად ამისა მიიღო რამ უფლებად, გამოზარდნა, და მრავალთაგან ბოროტთა იქსნა იგინი. რამეთუ, უკუეთუ გუენებოს მოყუისისა ბოროტი, ვერ დაგუბრწევს სათნობასა, გარნა მათ არა ესრეთ ყვეს, არამედ ბოროტი დასწამეს და ჩუენებისა მისთვის აყუედრებდეს და შთააგდეს მღვმესა, და იგინი ქამდეს მის მიერ მოღებულსა საზრდელსა, ხოლო ძმასა თვსსა ჰხედვიდეს მღვმესა მას შინა შიშუელსა და არა ეწყალოდა. რამცა იყო ამის საქმისა უძრეს? ანუ რომელთა კაცისმკლველთასა არა უბოროტეს იყვნეს? და მერმე აღიღეს და მისცეს კაცთა უსახურთა ბარბაროზთა, გარნა იგი იქმნა რამ მეფე, არა თუ ოდენ ბოროტი იგი შეუნდო, არამედ ცოდვისა მისგანცა ძალისაებრ თვსისა განათავისუფლნა და განგებულებად ღმრთისა უწოდა საქმესა მას და არა მათა უკეთურებად. და რამ-იგი უყო, არა თუ ძვრის-ჯსენებით, არამედ ძმისათვს თვსისა. და მერმე მოეხუა მათ და ტირილდა მათ ზედა მათ მიერ მოკლული იგი და ყოველნი ეგვბტედ შთაიყვანნა და ბევრეული კეთილი უყო მათ. ხოლო რამ სიტყუად გუაქუნდეს, რომელნი შემდგომად შჯულისა და ქრისტეს მოსლვისა უწინარეს შჯულისადა ყოფილთა არა ვჰბადვიდეთ? ვინ მივსნენს სატანჯველთაგან, რამეთუ არარამ არს უბოროტეს ძვრის-ჯსენებისა?

და ამას გამოაჩინებს თანამდები იგი ბევრისა ტალანტისა, რომელსა შეენდო და მერმე მიეჯადა. და რამეთუ შეენდო ღმრთისა კაცთმოყუარებისათვს და მიეჯადა თვსისა უკეთურებისათვს. ხოლო ჩუენ მოყუასთა ყოველი ცთომად შეუნდოთ და კეთილი უყოთ მათ, რამთა მივემთხუნეთ ღმრთისა კაცთმოყუარებასა და საუკუნენი კეთილნი მოგუეცნენ ჩუენ მად-

ლოთა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ო ბ

ს ი ტ ყ უ ა ღ ე ს ე : „ამენ, ამენ გეტყუ თქუენ: „უკუეთუ ვინმე შეიწყნაროს, რომელი მე მივაფლინო, მან მე შემიწყნაროს, და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი“ (13,20).

დიდ არს მონათა ღმრთისათა მსახურებისა და განსუენებისა სასყიდელი, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: „რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მან მე შემიწყნარა, და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი“. ხოლო რაჲმცა სწორ იყო ქრისტეს და მამისა მისისა შეწყნარებისა? ხოლო რაჲსთვის, რომელ თქუა რაჲ, ვითარმედ: „უკუეთუ იცით, ნეტარ ხართ, უკუეთუ ჰყოფთ ამას“,¹ და მეყსეულად შეუდგინა ესე, ვითარმედ: „რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მან მე შემიწყნაროს“.

გარნა ამისთვის ქმნა ესე, რამეთუ, ვინაჲთგან ეგულებოდა განსლვაჲ სოფლად და თავს-დებჲაჲ მრავალთა ჭირთაჲ, ამისთვის ორითა სახითა ნუგეშინის-სცემს: ერთად, რომელ ეტყუს, ვითარმედ: „უკუეთუ მე გავსოვდე და ივსენებდეთ ყოველსა, რომელი მე თავს-ვიდევე, ყოველივე ადვილად თავს-იდვათ“. და, კუალად მეორედ, რამეთუ მათთა შემწყნარებელთა ესე-ვითარი სასყიდელი აღუთქუა. და ორივე იგი მით მოასწავა, რომელ თქუა, ვითარმედ: „ნეტარ ხართ, უკუეთუ ამას ჰყოფდეთ“. ხოლო მეორედ თქუა, ვითარმედ: „რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მან მე შემიწყნაროს“, რაჲთა ესრეთ ორკერძოვე აქუნდეს ნუგეშინის-სცემაჲ. ხოლო ვითარცა ესე ამცნო ორივე, ვითარცა ქადაგთა ყოელისა სოფლისათა, მერმე იგონებდა, ვითარ ამათ ორთაგანვე მიმცემელი იგი გაძოჯუებულ არს და არცა მოთმინებისა გვრგვნი აქუს, არცა შეწყნარებულ იქმნეს ვიეთგანმე. ამისთვის შემფოთნა, რომ-

¹ იოან. 13,17

ლისათვის მახარებელი გამოაჩინებს, ვითარმედ მისთვის შემფოთნა, რამეთუ იტყვს:

სახარებაჲ: ესე თქუა იესუ და შეძრწუნდა სულითა და წამა და თქუა: „ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“ (13,21).
თარგმანი: კუალად ყოველთა ზედა მოაწია შიში იგი, რამეთუ არა თქუა სახელით, ხოლო მათ, დადაცათუ არაჲ იცოდეს ბოროტი თავთა თვსთა თანა, არამედ ქრისტეს ბრძახებაჲ უსარწმუნოეს თვისისა გულისსიტყუსა აქუნდა. ამისთვისა ურთიერთას ჰხედვიდეს, ხოლო რაჲ არს ესე, რამეთუ ყოველნი ურთიერთას ჰხედვიდეს? და ყოველთა უმკურვალესი პეტრე იოვანეს წამ-უყოფდა, რამეთუ ვინამთგან შეჰრისხნა უფალმან, და კუალად დაბანად არა უტევებდა და დაეყენა ხევისაგან თვისისა და მარადის ჩანს, რამეთუ მკურვალეობისაგან წარემართების და დაეყენების, და ამისთვის ეშნოდა და არცა თქუა, და არცა დადუმნა, არამედ იოვანეს შუამდგომლობითა ენება ცნობად, ხოლო ესე ნუუკუე გამოიძიოს ვინ, ვითარმედ რამსათვის, რამეთუ, რაჟამს-იგი ყოველთა ეშნოდა და შეურევებულ იყვნეს და თავი იგი მოწაფეთაჲ პეტრე ძრწოდა, მაშინ იოვანე, ვითარცა საშუებელსა, მიყრდნობილ იყო წიალთა იესუმსთა და არა ესე ოდენ, არამედ მკერდსაცა მიეყრდნობოდა და მოეხუეოდა და კუალად ესეცა არს საძიებელ, თუ ვითარ, რომელ თავისა თვისისათვის იტყვს, ვითარმედ: „რომელი უყუარდა იესუს“?¹ და არავინ თქუა ესე სხუათა მახარებელთაგანმან მისთვის, რამეთუ უყუარდეს ყოველნი უფალსა, ხოლო ესე უმეტეს ყოველთასა უყუარდა. ხოლო უკუეთუ სხუასა არავის უთქუამს ესე მისთვის, არამედ თვთ იტყვს, ნუ გიკურს, რამეთუ ამას იქმს პავლეცა თვისა ეამსა, რაჟამს ესრეთ ჭერ-იყოს, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ვიცი კაცი უწინარეს ათოთხმეტისა წლისა“ და სხუათაცა უკუე მახარებელთა არამცირედ წარმოთქუეს მისთვის შესხმად. ანუ მცირე გგონიესა, რომელ იტყვან, ვითარმედ: „ჰრქუა: „შემომიდეგ მე“ და მეყსეულად დაუტევა მამად თვისი და ყოველივე, და შეუდგა მას?“² და პეტრეს

¹ იოან. 13,22.

² შდრ. მათ. 4, 19-20; მარკოზ. 1, 17-18

თანა აღვიდა მხოლოდ იაკობითურთ თაბორს და კუალად
 სხუასა ადგილსა სახლად იგი ოდენ შეიყვანა. და რაჟამს
 წარვიდა ლოცვად, იგინი განიყვანნა მის თანა, ანუ ამან მცი-
 რელი შესხამა წარმოთქუა პეტრესი, რომელსა იტყუს, ვი-
 თარმედ: „პრქუა ქრისტემან, ვითარმედ: „პეტრე, გიყუარა?“
 და ყოველსა ადგილსა აჩუენებს ფრიადსა სიმკურვალესა მის-
 სა, და ვითარ თვსებით იყო იოვანეს მიმართ, რაჟამს თქუა,
 ვითარმედ: „უფალო, ამისთვის რაჲ სთქუ?“¹ ფრიადისა სი-
 ყუარულისაგან იტყოდა, ხოლო, უკუეთუმცა არა ჯერ-იყო
 და არამცა ამას ადგილსა მოსრულ იყო, არცამცა ამას ეთქუა
 ესე, რამეთუ თქუა რაჲ, ვითარმედ: „პეტრე წამ-უყვნა იოვა-
 ხეს?“² უკუეთუმცა სხუად არარაჲ ეთქუა, ფრიადსა საძიე-
 ბელსა მოგუცემდა, რაჲთა ვეძიებდეთ მიზეზსა. ამისთვის
 იტყუს. ვითარმედ: „მიყრდნობილ იყო წიაღთა იესუმსთა“.
 ანუ სიტყუსა ამის მიერ მცირედსა საქმესა გულისხმა-ვპყოფ-
 თა. რაჟამს გესმეს, ვითარმედ, ესე ვითარსა კადნიერებასა
 მისცემდა იესუ მოწაფეთა თვსთა? ხოლო უკუეთუ მიზეზსა
 ეძიებდე ამის საქმისასა, საყუარელ იყო, რამეთუ იტყუს,
 რომელი მიზეზისათვის იქმს ამას, რაჲთამცა გამოაჩინა თავი
 თვსა უცხოდ საქმისა მისგან ბოროტისა მიცემისა მისისა.
 ამისთვის მიყრდნების და იტყუს მინდობით. ხოლო რაჲსათვის
 ძიყრდნა მკერდსა? ერთად, რამეთუ ჯერეთ არა იცოდის,
 ვითარცა ჯერ-იყო, და ვითარცა შემდგომად ცნეს, თუ ვინ
 არს, ანუ ვითარ, და მეორედ, რამეთუ მწუხარებასა მისსა
 სუგეშინის-სცემდა უფალი, რამეთუ შეცვალებულ იყვნეს
 პირნი მათნი და სულნი შემფოთებულ. და ამისთვის უმეტე-
 სად შეიტკობს იესუ და ნუგეშინის-სცემს სიტყვთ და საქ-
 ძით, და იხილე ამისი უტყუველობაჲ და სიწრფოებაჲ: არა
 იტყუს სახელსა, არამედ: „რომელი უყუარდაო“, ვითარცა
 ხეტარი პავლე იტყუს, ვითარმედ: „ვიცი კაცი, უწინარეს
 ათოთხმეტისა წლისა“, ხოლო რაჟამს ჰკითხა ნეტარმან მან,
 მაშინდა ოდენ გამოაცხადა იგი უფალმან და მაშინცა არა სა-
 ხელს-დებით, არამედ ესრეთ პრქუა:

¹ იოან. 21,21

² იოან. 13,24

სახარება: „იგი არს. რომელსა მე დავაწო პური და მივსცე“ (13,26). **თარგმანი:** და სახს ამის საქმისაა შეძარცხუნელი არს, არამედ მან არცა ტაბლისა მასგან შეიკდიმა, რამეთუ პურსა მას ეზიარა, რომელმან-იგი კელთაგან თავადისათა მიიღო პური იგი. და ვინმცა არა ლმობიერ-ქმნილ იყო ამას ზედა? არამედ იგი არა იქმნა ლმობიერ. ამისთვის ეშმაკი მაშინდა შევიდა კელმწიფებით მის თანა, რაჟამს იხილა ურცხვენლობა და კადნიერება მისი, რამეთუ, ვიდრემდის კრებულისა მისგან იყო, ვერ იკადრებდა ზედამისლვად, არამედ გარეთ მოუქდებოდა და ჰბრძოდა. და ვინაითგან უკუე საცნაურ იქმნა და განეჩინა, მაშინ შევიდა მის თანა სრულიად, რამეთუ არცა ჭერ-იყო. რაითამცა ესრეთ მოუდრეკელი იგი იყო მის თანა. ამისთვის განყო იგი და რაჟამს განყო, მაშინ მიიღო იგი ეშმაკმან, და მეყსეულად დაუტევნა იგინი იუდა და განვიდა მათგან ღამით.

სახარება: ჰრქუა მას იესუ: „მოყუასო, რომელ გეგულებიხს საქმედ, ყავ აღრე!“ ესე არავინ ცნა მენინაქეთაგანმან“ (13,27-28). **თარგმანი:** ეპა, უგულისხმოებამ, ვითარ არა მოდრკა, არცა ჰრცხუნა, არამედ უუქეთურეს იქმნა და განვიდა, ხოლო სიტყუად ესე, ვითარმედ: „ყავ აღრე!“ არა თუ ასწრაფებდა, და განაზრახებდა, არამედ აყუედრებდა და აჩუნებდა. ვითარმედ მას ენება, რაითამცა მოიქცა, ვინაითგან უკუე იხილა მოუდრეკელობა მისი, მიუშუა.

სახარება: და ესე არავინ ცნა მენინაქეთაგანმან (13,28). **თარგმანი:** რამეთუ თქუა უფალმან, ვითარმედ: „რომელსა მე დავაწო პური და მივსცე, იგი არს“, და ვითარ ვერ ცნეს? გარნა, რამეთუ ფარულად ჰრქუა უფალსა იოვანე, და ეგრეთვე უფალმან ფარულად უთხრა. რაითა არა გამოცხადნეს მიმცემელი იგი, რომელსა ეტყოდა ცხადად უფალი, ვითარმედ: „რომელსა იქმ. ყავ აღრე“; და მათ ვერ ცნეს, ხოლო იტყოდა ამას იესუ, რაითამცა დაამტკიცა სიტყუად თვისი, რომელი ჰრქუა ჰურიათა, ვითარმედ: „კელმწიფებამ მაქუს დადებად სული ჩემი და კელმწიფებამ მაქუს კუალად მოღებად მისა“;¹ რამეთუ ვიდრემდის არა ენება, ვერვინ შეუძ-

¹ იოან, 10,18

ლო მიღებად მისგან სულისა მისისა, ვინამთგან უკუე თავად-
მან ინება, აღვილ იქმნა საქმე იგი, ამისთვის იტყოდა: „რომე-
ლი გეგულეების საქმედ, ყავ აღრე!“ და არავინ ცნა სიტყუამ
იგი, რამეთუ გან-მცა-ეკუეთა იგი მოწაფეთა და მო-მცა-ეკლა
იგი პეტრეს, არამედ არავინ ცნა, ხოლო იოვანეცა ვერბე
ცნა? ვერცა იოვანეს უცნობიეს, რამეთუ შორს იყვნეს იგინი
მანქანებისაგან, და იოვანე არა უწყოდა, თუ მაშინ იქმნების
ძიცემამ იგი, არამედ ჰგონებდეს, ვითარმედ დღესასწაული-
სათუს ჰრქუა განმზადებად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: ხოლო მან მიიღო პური იგი და განვიდა,
და იყო ღამე (13,30). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** რამესათუს იტყუს ქამ-
საცა? რამთა სცნა უკეთურებისა მიმართ მოსწრაფებამ მისი,
რამეთუ ქამმანცა ღამისამან ვერ უძლო დაყენებად, და მათ
ეგონა, ვითარმედ გლახაკთა ღუწოლისათუს თქუა, რამეთუ
ფრიად იღუწიდა გლახაკთა, რამთა ჩუენცა გუასწავოს მოწ-
ყალებისა ქმნამ და ამას ჰგონებდეს მოწაფენი, რამეთუ ვერ-
ცა ამან შეარცხუნა ბოროტი იგი იუდა, რამეთუ ესრეთ ვიდრე
უკუანამსკენელ ქამდმდე არა განაქიქა, ხოლო ჩუენდაცა ეს-
რეთვე ჯერ-არს ქმნად, რამთა არა განვაქიქებდეთ ცოდვთა
სხვსათა, დაღაცათუ უკუ-ნებელ იყვნენ, რამეთუ უფალმანცა
ამისა შემდგომად, მო-რამ-ვიდა იუდა მიცემად მისა, ამბორის-
ყოფად შეუნდო მას და თავს-იდვა საქმე ესეფითარი, ხოლო
აწ იწყებს სიტყუად მოწაფეთა მიმართ და დიდებად, უწესს
ჯუარს-ცუმასა და სიკუდილსა მას ყუედრებისასა. რამთა
გუასწავოს, ვითარმედ ყოველივე საქმე, რაზომცა საყუედრელ
და საძულელ იყოს ყოველთა მიერ, დიდად დიდებად იქმნე-
ბის და რაჟამს ღმრთისათუს იქმნებოდის და საღმრთოდ. და
ამისათუსცა იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: და ვითარცა განვიდა იუდა, თქუა იესუ:
„აწ იდიდა ძე კაცისამ და ღმერთიცა იდიდა მის თანა“ (13,31).
თ ა რ გ მ ა ნ ი: ამათ სიტყუათა მიერ დაქსნილთა მათ გონე-
ბათა მოწაფეთასა აღჰმართებს და დაარწმუნებს, არა ხოლო
თუ არა წუხილად. არამედ სიხარულადცა. ამისთვისცა პეტრეს
პირველითგან შეპრისხნა, რამეთუ შესლვამ სიკუდილსა შინა
და სიკუდილისა მიერ ძლევამ სიკუდილისამ დიდებამ არს
დიდი. და ესე არს, რომლიათუს იტყოდა, ვითარმედ: „რა-

ჟამს აღვმალდე, მაშინ სცნათ, რამეთუ მე ვარ“,¹ და კუალად იტყუს: დაპქსენით ტაძარი ესე და, მესამესა დღესა აღვადგინო ეგე“.² და კუალად თქუა: „სასწაული არა გეცეს თქუენ, გარნა სასწაული იგი იონაძსო“,³ რამეთუ ვითარ არა დიდი დიდებაჲ არს, რაჟამს შემდგომად სიკუდილისა შეუძლოს უმეტესი ვიდრეღა უწინარეს სიკუდილისა? რამეთუ მოწაფეთა ქმნეს უმეტესნი სასწაულნი, რამთა სარწმუნო იქმნას აღდგომაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : და „ღმერთმანცა აღიღოს იგი თავისა თვისსა თანა“ (13,32). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ არა თუ სხვსა მიერ, არამედ თავისა თვისსა მიერ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და მეყსეულად აღიღოს იგი (13,32).
თ ა რ გ მ ა ნ ი : მეყსეულად ჟუარ-ცუმასა თანა, რამეთუ არა თუ შემდგომად მრავლისა ჟამისა, არცა ჟამსა მას აღდგომისასა მოელოდის, არა მაშინ გამოაჩინოს ბრწყინვალედ, არამედ მეყსეულად ჟუარს-ცუმასავე მისსა გამოჩნდეს დიდებულებაჲ მისი, რამეთუ მზმ უკუნიქცა დაბნელებული, და კლდენი განსთქდეს და კრეტსაბმელი განიპო, და მრავალნი გუამნი შესუენებულთა წმიდათანი აღდგეს, და საფლავი დაბეჭდულ იყო და მცველნი იყვნეს მას ზედა და გუამი იგი ძკუდრისაჲ აღდგა, და მეორემოცე დღმ გარდაცდა, და სულისა წმიდისა მადლი გარდამოცდა და ყოველნი მას ქადაგებდეს, უფალსა იესუს. ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „ღმერთმანცა აღიღოს იგი თავისა თვისსა თანა და მეყსეულად აღიღოს იგი“, რამეთუ არა ანგელოზთა მიერ აღიღოს, არცა მთავარანგელოზთა, არცა სხუათა რომელთამე მიერ ძალთა, არამედ თავისა თვისსა მიერ, ხოლო ვითარ აღიდა იგი თავისა თვისსა მიერ? რამეთუ ყოველივე ქმნა დიდებად ძისა თვისსა, დაღაცათუ ყოველი ძემან ქმნა. ჰხედავა, რამეთუ თვსთა საქმეთა ძმ მამასა მიაჩემებს?

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „შვილნო ჩემნო, წუთ ერთღა თქუენ თანა ვარ, და მეძიებდეთ მე, და, ვითარცა-იგი ვარქუ ჰურიათა, ვითარმედ: „ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ კელ-გეწიფების

¹ იოან, 8,28

² იოან. 2,19

³ ლუკ. 11,29

„მოსლვად. და აწ თქუნ გეტყ“ (13,33). თ ა რ გ მ ა ნ ი:
 იწყებს შემდგომად სერობისა სიტყუათა ამათ შემაწუხებელ-
 თა, რამეთუ, რაჟამს იუდა განვიდა, არა მწუხრი იყო, არამედ
 ღამმც. და ვინაითგან ეგულებოდა მოსლვაჲ ჰურიათა შემდ-
 გომად მცირედისა წარუვანებად მისა, ამისთვის ჯერ-იყო,
 რადთამცა პრქუა მათ ყოველი, რომელი ჯერ-იყო, და რად-
 თამცა აქსოვდაცა ყოველი იგი, და უფროდსად, რადთამცა
 შოაკსენებდა სული წმიდაჲ, რამეთუ მას ჟამსა დაჰვიწყებო-
 და, რომელნი-იგი მწუხარებისა ძილსა შეეპყრნეს, ვითარცა
 სხუაჲ მახარებელი იტყვს და კუალად აქაცა იტყვს, ვითარმედ:
 „ესე რაჲ გარქუ, მწუხარებამან აღავსნა გულნი თქუენნიო“,¹ და
 ვითარმცა შეუძლეს მათ მაშინ ყოველთა მათ სიტყუათა კე-
 თილად დასწავლაჲ? არამედ შემდგომად ამისა ყოველივე
 შოაკსენა მათ სულმან წმიდამან და არამცირედი სარგებელი
 იქმნა ამათ სიტყუათა. მიერ გულისხმის-ყოფად დიდებასა
 კრისტესსა.

ხოლო რადსათვს შეაწუხებს სულთა მათთა და ეტყვს, ვი-
 თარმედ: „მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ“? რამეთუ ჰურიათა
 ეტყოდა, ხოლო ამათ რადლა ეტყვს, ვითარმედ: „ჰურიათა
 ვარქუ, თქუენცა გეტყ“? გარნა არა თუ მათ თანა შეჰრ-
 თავს, — ნუ იყოფინ! არამედ თქუა სიტყუაჲ ესე, ვითარმედ:
 „ვითარცა ჰურიათა ვარქუ“, რადთამცა მოაკსენა მათ სიტ-
 ყუაჲ იგი, რადთა ცნან, ვითარმედ არა მას ჟამსა ოდენ ცნა,
 რაჟამს მოწვევულ იყო საქმც იგი, არამედ პირველვე იცოდა
 და იგინი იყვნეს მოწამე, რომელთა ასმიოდა სიტყუაჲ მისი.
 ამისთვის შესძინა და თქუა, ვითარმედ: „შვილნო ჩემნო“,
 რადთა, რაჟამს ესმეს, ვითარმედ: „ვითარცა ვარქუ ჰური-
 თა“, არა თქუან, თუ მსგავსად მათსა ეტყვს მათ, რამეთუ არა
 შეწუხებდალ მათა, არამედ ნუგეშინის-ცემად მათა ეტყოდა,
 რადთა არა მოიწინენ საქმენი იგი ძნელოვანნი მათ ზედა მოუ-
 ლოდებელად და შეშფოთნენ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ვიდრე-იგი მე მივალ, თქუნ ვერ კელ-
 გეწიფების მოსლვად“ (13,33). თ ა რ გ მ ა ნ ი: უჩუენებს, ვი-
 თარმედ სიკუდილი მისი მიცვალებაჲ არს უმჯობესისა მიმართ

¹ იოან. 16,6

და მოსლვამ ადგილსა, სადა ხრწნილნი გუამნი ვერ შევლენ, ხოლო ამას ყოველსა ეტყუს, რადთამცა სურვილი მათი მისა შიმართ განაძლიერა და უმკურვალს-ყო, რამეთუ უწყით, ვითარმედ, რაჟამს ვიხილოთ ვინმე საყუარელთაგანი წარმავალი, სურვიელ ვიქმნებით, და უფრომსად, რაჟამს ვცნათ, ვითარმედ ესევითარსა ადგილსა მივალნ, სადა ჩუენ ვერ კელ-გუეწიფების მისლვად. ხოლო სიტყუასა ამას, ვითარმედ: „ვიდრე მე მივალ, თქუენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად“, ჰურიათა შეშინებისათეს მათისა ეტყოდა, ხოლო — მოწაფეთა, რადთამცა სურვილი მათი განაძლიერა, ვითარმედ: „ესეერთარი არს იგი ადგილი, რომელსა არა თუ მათ, არამედ ვერცა თქუენ, საყუარელთა, კელ-გეწიფების მოსლვად“. და ამით სიტყუათა მიერ პატივისა მასცა თესისა ბუნებისასა გულისხმუყოფს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ი: „და თქუენცა გეტყუ აწ“ (13, 33). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** რად არს ესე, ვითარმედ: „აწ“? ესე იგი არს, ვითარმედ: „სხუებრ ვეტყოდე მათ და სხუებრ გეტყუ თქუენ, და არა ვითარ მათ“, ხოლო სადა მოიძიეს იგი მოწაფეთა, ანუ სადა ჰურიათა? მოწაფენი უკუე ეთიებდეს მას, რაჟამს ევლტოდეს შიშისაგან ჰურიათამსა, ხოლო ჰურიანი ეძიებდეს. რაჟამს ურიცხუნი იგი ბოროტნი და უზეშთაენი ყოვლისა სიტყუსა მოიწინეს მათ ზედა, ვითარცა იოსიპოს მოსწრაფს იტყუს. რაჟამს ქალაქი მათი წარიტყუენა და ღმრთისაბიერი რისხვამ მოიწია მათ ზედა ყოვლით კერძო, და მათ უკუე ეტყოდა უფალი ურწმუნოებისა მათსათეს, ხოლო ამათ — ამისთეს, რადთა არა მოულოდებლად მოიწიოს მათ ზედა მწუხარება იგი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ი: „მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ“ (13, 34). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** რამეთუ ვინამთგან შთავრდომად იყვნეს მფოთსა და წუხილსა შინა ვითარცა ობლად დაშთომადნი სიტყუათა მათთეს, ამისთეს ნუგეშინის-სცემს შემოსითა დიდისა მის კეთილისადათა, რომელ არს სიყუარული, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „მწუხარე ხართ ჩემისა წარსლვისათეს, არამედ უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას, უძლიერს იყვნეთ“. ამისთეს შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ი: „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი

მოწაფენი ხართ“ (13,35). თ ა რ გ მ ა ნ ი: ამით სიტყვთა ნუგე-
 შინის-სცა, რაჟამს ჰრქუა, ვითარმედ: „უკუნისამდე ჩემნი
 მოწაფენი იყვნეთ“, და ვითარმედ: „არა დაიქნას კრებულნი
 იგი“, ვინამთგან სასწაულიცა მისცა მათ, ხოლო ესე თქუა,
 რაჟამს მიმცემელი იგი განეშოვრა მათ, ვითარ უკუე ა ხ ლ ა დ
 მ ც ნ ე ბ ა დ უწესს მას, რომელი-იგი ძუელსაცა შინა წერილ
 არს? ამისთვის, რამეთუ მან თავადმან განაახლა იგი ამით სა-
 ხითა, რამეთუ შესძინა და თქუა, ვითარმედ: „ვითარცა მე
 შეგიუყარენ თქუენ“,¹ რამეთუ არა თუ კეთილი რამე გა-
 ქუნდა და მის კეთილისა ნაცვალად მიგეც საყუარული ჩემი,
 არამედ არარაჲ გექმნა კეთილი, და მე ვყავ ესეოდენი სიყუა-
 რული და თქუენდაცა ესრეთ ჭერ-არს კეთილის-ყოფად მოყუ-
 ასთაჲ, რადთა თვნიერ თანამდებობსა გიყუარდენ თქუენ იგინი“.
 და დაუტევნა თქუმად სასწაულთა მათთვის, რომელთა ეგუ-
 ლებოდა ქმნად; და სიყუარულისა მიერ იტყვს გამოჩინებად
 მოწფობისა მისასა ამისთვის, რამეთუ ესე არს, რომელი გა-
 მოაჩინებს კაცთა წმიდათა, რამეთუ ყოვლისა სათნოებისა
 მიზეზი არს და მის მიერ ვცხოვნდებითო ყოველნი, რამეთუ:
 „ესე არსო მოწფობაჲ ჩემი და ამით გაქებდენ ყოველნი კაც-
 ხი, რაჟამს გთხილნენ, რამეთუ ჰბაძავთ სიყუარულსა ჩემსა“. და
 უკუეთუ ვინ თქუას, ვითარმედ: „არა უფროდსად სასწაულთა
 შიერ გამოჩინდებოდაა მოწფობაჲ ქრისტესი?“ არამედ არა,
 რამეთუ მრავალთა მრქუან მას დღესა: „უფალო, უფალო, არა
 სახელითა შენითა განვასხენითა ეშმაკნი?“² და ვჰრქუა მათ:
 „არა გიცნი თქუენ“.³ და კუალად რაჟამს იხარებდეს, რამეთუ
 ეშმაკნი ჰმორჩილობდეს, ჰრქუა მათ, ვითარმედ: „ნუ გიხარის,
 რამეთუ ეშმაკნი გმორჩილობენ, არამედ რამეთუ სახელები
 თქუენი დაწერილ არს ცათა შინა“.⁴ ხოლო უკუეთუ ვინ
 იტყოდის, ვითარმედ: „არა სასწაულთა მიერ მოიქცა
 სოფელი?“ გულისხმა-ყავნ, რამეთუ ამისთვის სასწა-
 ულთა მიერ მოიქცა, რამეთუ სიყუარული პირველითგან
 იყო, ხოლო უკუეთუმცა იგი არა ყოფილ იყო, არცა სას-

¹ იოან. 13,34

² მათ. 7,22

³ მათ. 7,23

⁴ ლუკ. 10,20

წაულნი დაადგრებოდეს, არამედ ამან ყვნა იგინი კეთილ, რამეთუ ყოველთა გული და სული ერთ იყო. უკუეთუმცა ურთიერთას განყოფილ იყვნეს, ყოველივემცა წარწყმედილ იყო.

ს წ ა ვ ლ ა ო ზ

ს ი ყ უ ა რ უ ლ ი ს ა თ ე ს

რამეთუ არა მათ ოდენ ამცნებდა ამას, არამედ ყოველთა, რომელთა ეგულებოდა მათითა სიტყუთა რწმუნებად მისა მიმართ, რამეთუ აწცა არარაჲ სხუაჲ დააბრკოლებს წარმართთა ჩუენდა მომართ, გარნა ესე, რამეთუ სიყუარული არა არს, ხოლო მოციქულნი ძლიერად იყუარებოდეს ურთიერთას, ვითარცა-იგი იხილეთ პეტრე და იოვანე, ვითარ იყვნეს, და კუალად პავლე ვითარ იყო მათა მიმართ, რომელთა-იგი ყოველივე სათნოებაჲ აქუნდა, რამეთუ ესე საქმეს სულისაგან სათნოებაჲ და წმიდისა აღმოეცენების, ხოლო სადა უკეთურებაჲ იყოს, ესე ნურგი განჯმების, რამეთუ რაჟამს განძრავლდეს უშჯულოებაჲ, განჯმეს სიყუარულნი მრავალთაჲ და წარმართთაცა ვერ მოაქცევენ სასწაულნი, ვითარ საქმენი კეთილნი და ცხორებაჲ სათნოჲ, ხოლო ცხორებასა ბრწყინვალე არარაჲ ჰყოფს, ვითარ სიყუარული, რამეთუ, რაჟამს ქადაგებაჲ იგი არა განვრცელებულ იყოს, სამართლად საძიებელ იყვნეს სასწაულნი. ხოლო აწ უფროჲსად საქმეთა კეთილთა ჳერ-არს მოგებაჲ, რამეთუ ვერარაჲ ესრეთ შეარცხუენს წარმართთა, ვითარ სათნოებაჲ, ვერცა რაჲ ესრეთ დააბრკოლებს, ვითარ უკეთურებაჲ, რამეთუ, რაჟამს იხილოს მასწავლელი სიყუარულისაჲ სიძულილსა შინა და ანგჳრებასა და ტაცებასა, არა ტყუვილად შეჳრაცხოსა სწავლაჲ იგი? და ჩუენ ვიქმნებით მიზეზ მათსა საცთურსა შინა დადგრომისა, რამეთუ მათისა სარწმუნოებისა საცთური უცნობიეს და ჩუენი ესე უყუარს, არამედ საქმეთა ჩუენთა მიერ დაიხრწევიან. ხოლო უკუეთუ იტყვთ, ვითარმედ: „პირველთა რად არა ჰბაძვენ, არამედ იგი-

ხე ჩუენ მიერ ეძიებენ სარგებელსა, რომელთა გუხედგენ და იტყვიან: „გუჩუენეთ სარწმუნოებაჲ თქუენი საქმეთა მიერ“ და, რაჟამს გუხილნენ ჩუენ ბოროტთა შინა, თუსსავე წესსა. ზედა დაადგრებიან? ამისთვის უკუე მოგუევალების ჩუენ საშუალები არა ბოროტთა მათთვის ოდენ, რომელთა ვიქმთ, არამედ ამისთვისცა, რომელ სახელი ღმრთისაჲ ჩუენ მიერ იგმობვის, ვიდრემდის უკუე მონაქმნულნი ვართ მრავალთა მათ ვნებათანი. განვეყენნეთ აწ მათგან! ნუმცა ვართ, ვითარცა უგულისხმონი იგი, რომელთათვის იტყვს წინაწარმეტყუელი. ვითარმედ: „ვკამოთ და ვსუათ, და ზვალე მოვსწყდებით“. ამისთვისცა აყუედრებდა მათ, ვითარმედ: „ნუუკუე დაემკვდრნეთა ძხოლონი ქუეყანასა ზედა?“ ამისთვის მეშინის, ნუუკუე დავადგრეთ ბოროტსა შინა და ვპოვოთ საშუალები საუკუნოჲ, არამედ კელ-ვყოთ სათნოებაჲ, რაჲთა საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმბტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ო ზ

ს ი ტ ყ უ ა ჲ ე ს ე: „ჰრქუა მას სიმონ-პეტრე: „უფალო, ვიდრე ხუალ?“ ჰრქუა მას იესუ: „მე ვიდრე ვალ, შენ ვერძალ-გიც მოდევნებად აწ. ხოლო მომდევდე ამისა შემდგომად“ (13,36).

დიდ არს სიყუარული და ცეცხლისა უმჭურვალჲს. და ზეცისა სიმაღლედ მიიწევის და არარაჲ სოფლისა საქმეთაგან იქმნების დამაყენებელ მისა, რამეთუ მჭურვალესა მას გულითა პეტრეს ესმა რაჲ, ვითარმედ: „სადა მე წარვალ, თქუენ ვერკელ-გეწიფების მოსლვად“, მეყსეულად ჰრქუა მას:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ჲ: „უფალო, ვიდრე ხუალ?“ (13,36). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ესე თქუა მოტყინარისა მისგან სურვილისა, რომელი აქუნდა შედგომად მისა, არამედ ვერ ჰკადრა განცხადებულად თქუმად, ვითარმედ: „შეგიდგე შენ“, არამედ ოდენ ჰკითხავს. ხოლო უფალმან არა სიტყუათა მიმართ, არამედ გონებისა მიმართ მისისა მიუგო, ვითარმედ: „ვიდრე მე მი-

ვალ, შენ ვერ ძალ-გიც მოღვევებად“. აწ ჰხედავა, რამეთუ: მისლვამ უნდა მის თანა, ამისთვის ჰკითხვიდა, ზოლო ესმა, ვითარმედ: „შემდგომად ამისა მომღვედე!“ და ვერვე დაამდოვრა სურვილი თვისი, არამედ ესრეთ ისწრაფა, ვიდრელა პრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რამა ვერ ძალ-მიც მიღვევებად შენდა აწ? სული ჩემი შენთვის დავდვა“ (13,37). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვინათგან შიშსა მიცემისასა თანაწარჰქდა და - ერთგულთაგანი გამოჩნდა, მერმე იწყო კითხვად, რაჟამს სხუახი ღუმნეს, რასა იტყვ, პეტრე? რამეთუ თავადმან თქუა, ვითარმედ: „ვერ ძალ-გიც“ და შენ იტყვ, ვითარმედ „ძალ-მიც“? აწ უკუე სცნა საქმით, არამედ ვერ ძალ-გიც და არარაჲ არს სიყუარული შენი, უკუეთუ შეწვევნაჲ ღმრთისაჲ არა იყოს. და ამის მიერ საცნაურ არს, ვითარმედ დაცემისა მის უღარყს-ყოფისა ფრიადისა სიყუარულისა და წყალობისა მისისათჳს შეუწდო უფალმან ყოფად, რამეთუ ენება, რაჲთაჲცა თვთ ეცნა: თვისი უძლურებაჲ სიტყუათა მიერ უფლისათა. ზოლო ვინაჲთგან ეგო იგი თვისსა მას სიფიცხესა ზედა, მერმე უფალმან მიუშუა მას, რაჲთა ცნას თვისი უძლურებაჲ, რაჟამს არა აქუნდა შეწვევნაჲ მისი, რამეთუ თქუა უფალმან: „მივეცი კელთა მტერთასა“, პრქუა მან: „შენლობა იყავნ შენდა, უფალო“,¹ და შეჰრისხნა მას უფალმან და ვერ განისწავლა, არამედ კუალად ენება რაჲ ქრისტეს ფერჯთა მისთა დაბანად, აყენებდა იგი და აწ ესმა რაჲ, ვითარმედ: „ვერ ძალ-გიც მოღვევებად ჩემდა“. თქუა მან, ვითარმედ „დაღაცათუ ყოველთა უარ-გყონ, მე არასადა უარ-გყოო“.² და რაჲთა არა მოვიდეს ზუაობად და ისწავოს სიტყუს-გებაჲ, ამისთვის განსწავლა იგი, რაჲთა არლარა წინააღმდეგობოდის, ვითარცა ლუკა იტყვს, ვითარმედ: „პრქუა იესუ: მე ვევედრე შენთვის მამასა, რაჲთა არა შოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“.³ ესე იგი არს, „რაჲთა არა წარჰქდე!“ და ამის ყოველისა მიერ სიმდაბლესა ასწავებს და ბუნებასა კაცობრივისა ამხილებს: ვითარმედ არარაჲ არს იგი

¹ მათ. 16,22

² მათ. 26,35; მარკ. 14,31

³ ლუკ. 22,32

თავით თვისით, რამეთუ განსწავლა იგი, რაათა არა სიტყვისძიმგებელ იქმნას, რაჟამს-იგი მიიღოს განგებად სოფლისაჲ, არამედ, რაათა მოიჯსენებდეს მის ზედა მოწევნულთა მათ საქმეთა და უწყოდის უძლურებად თვისი და არა თუ ერთგზის მოიწია მის ზედა საქმეს იგი, არამედ ერთსა მცირედსა ჟამსა სამგზის უარ-ყო, რაათა სცნა, ვითარმედ არა ესეოდენ შეაყუარა, რადენ შეყუარებულ იქმნა. და შემდგომად მის დაცემისა ჰრქუა მას, ვითარმედ: „გიყუარა ამათსა უფროდსა?“ რაათა სცნა, ვითარმედ არა თუ მისი სიყუარული განმკმარ იყო, არამედ ძიშუებითა ღმრთისაჲთა იქმნა, რამეთუ სიყუარულსა პეტრესსა შეიწირავს, ხოლო წინააღდგომად არა ჰნებავს, რამეთუ, უკეთუ გიყუარს, თანა-გაც შეყუარებულისა მის სიტყუათა სძენად, რამეთუ გრქუა შენ და შენთანათა, ვითარმედ ვერ ძალ-გიც. და შენ რადღა აცილობ? არა უწყია, თუ რაჲ არს სიტყუად ღმრთისაჲ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „სული ჩემი შენთვის დავდვა“ (13,37).

თ ა რ გ მ ა ნ ი : რამეთუ ვინაჲთგან ესმა, ვითარმედ ამისა უმეტესი სიყუარული არავის აქუს, მეყსეულად, ვითარცა სისრულისა მეძიებელმან, კელ-ყო მიწუდღომად საზომსა მას, ხოლო ჰრისტე უჩუენებს, ვითარმედ მის მხოლოსაჲ არს ესრეთ კელმწიფებით აღთქუამად საქმისაჲ, ამისთვის ჰრქუა მას:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „არღა ეყივლოს ჭათამსა, ვიდრე უარ-მყო შე სამგზის“ (13,38). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ აწვეე, რამეთუ არა ფრიადი ჟამი იყო, ვიდრე ჭათმისა ყივილადმდე, რამეთუ უჟამომსა მას ჟამსა ღამისასა ეტყოდა მათ, რამეთუ პირველი და მეორეცა საკუმეილაგი ღამისაჲ გარდასრულ იყო.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ნუ შეძრწუნდებიედ გულნი თქუენნი“ (14,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ძრწოლაჲ მოუვიდოდა სხუათა მათ, ვინაჲთგან ესმა, ვითარმედ თავადსა მას პეტრეს სამგზის წინაუც უარის-ყოფაჲ, ვიდრე ჭათმისა ყივილადმდე. და ესე შეურვებაჲ შეაიწრებდა გულთა მათთა. ამისთვის უკუე იწყო ხუგეშინის-ცემად მათა, ვითარმედ: „ნუ შეძრწუნდებიედ გულნი თქუენნი“, ესრეთ ძალსა ღმრთეებისა თვისისასა უჩუენებდა, ვითარ-იგი რაჲ სულთა მათთა მოეგონის, განცხადებულად უთხრობენ მათ.

სახარება: „გრწმენინ ღმრთისაჲ და გრწმენინ ჩემდა მომართ!“ (14,1) **თარგმანი:** ესე იგი არს, ვითარმედ გრწმენინ, რამეთუ ჩემ მიერ ყოველთა მათ ძნელოვანთა საქმეთა და განსაცდელთა თანაწარჰყდეთ, რამეთუ ჩემდა მომართ და მამისა ჩემისა მიმართ სარწმუნოებაჲ შემძლებელ არს ესნად თქუენდა ყოველთაგან ბოროტთა და ვერარაჲ გეუფლოს. და მერმე იტყვს:

სახარება: „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან“ (14,2). **თარგმანი:** ვითარცა პეტრეს ნუგეშინისსცემდა, ვითარმედ: „შემდგომად ამისა მომდევდე მე“, ეგრეთვე ამათ სასოებასა დაუდებს, რაჲთა არა თქუან, თუ მას ოდენ მისცა აღთქუმაჲ. ამისთვის ჰრქუა მათ: „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან“, უკუეთუ არა გარქუმცა, ვითარმედ: „წარვიდე და განგიზადო თქუენ ადგილი“, ესე იგი არს, ვითარმედ: „თქუენცა მანვე ადგილმან შეგიწყნარნეს, რომელმან შეიწყნაროს პეტრე“, რამეთუ მუნ ფრიადი უშურველობაჲ არს საყოფელთაჲ, და არა თუ განმზადებაჲ საკმარ არს. რამეთუ ვინაჲთგან თქუა, ვითარმედ: „ვერ ჯელ-გეწიფების მოსლუაჲ ადგილსა მას“, რაჲთა არა მოიგონონ, ვითარმედ: „სრულიად სამე მოვსწყდებით“, ამისთვის იტყვს:

სახარება: „რაჲთა, სადაცა მე ვიყო, თქუენცა იყვნეთ“ (14,3). **თარგმანი:** „ხოლო ესეოდენი მაქუს ამის საქმისათს მოსწრაფებაჲ, უკუეთუმცა არა პირველითგან განმზადებულ იყო, წარ-მცა-ვედ, და განგიზადე თქუენ ადგილი და მო-მცა-ვედ და წარგიყვანენ“, რაჲთა ესრეთ იყვნენ იგინი მინდობილ და სავსე სასოებითა, ხოლო რაჲთა არა ჰგონებდენ, ვითარმედ ნუგეშინის-საცემელად ეტყვს მათ და არა ესრეთ არს, ამისთვის შესძინა და ჰრქუა:

სახარება: „ვიდრე-იგი მე მივალ, უწყით, და გზაჲცა იგი იცით“ (14,4). **თარგმანი:** რამეთუ უჩუენებდა მათ, ვითარმედ არა ცუდად თქუმულ არიან სიტყუანი იგი, ხოლო ესე ჰრქუა, ვინაჲთგან იხილნა სულნი მათნი, ვითარმედ ამისა სწავლად ეძიებდეს, რამეთუ პეტრე არა ცნობისათს იტყონდა სიტყუათა მათ, არამედ რაჲთამცა შეუდგა და, ვინაჲთგან შესაძლებელად უჩნდა საქმე იგი, მერმე გამოჩნდა, ვითარმედ შეუძლებელ არს. ამისთვის ჰსუროდა ცნობად მისა

და ამისთვის ჰრქუა უფალმან, ვითარმედ: „გზადცა იცით“, რამეთუ ვითარცა ჰრქუა რად, ვითარმედ: „უარ-მყო მე“, და სხუამან არა ვინ თქუა, ხოლო მან ცნა მათი განზრახვად და ჰრქუა: „ნუ შეძრწმუნდებიედ გულნი თქუენნი“, ეგრეთვე აქა, რაჟამს ჰრქუა, ვითარმედ: „იცით“, სურვილსა მას გულისა მათისასა მოასწავებდა და თავადმან მისცა მათ მიზეზი კითხვისად, ხოლო სიტყუად ესე, ვითარმედ: „ვიდრე ხუალ?“ პეტრე სურვილისაგან თქუა და სიყუარულისა, ხოლო თომა — „შიშისა, რამეთუ ჰრქუა მას თომა: „უფალო, არა ვიცით, ვიდრე ხუალ, და ვერ შემძლებელ ვართ გზისა შენისა ცნობად“,¹ ესე იგი არს, ვითარმედ: „ადგილი არა ვიცით და გზად ვითარ ვიცოდით, მუნ მიმყვანებელი, სადა არა ვიცით?“ და იხილე, რაზომითა მოწინებითა თქუა, რამეთუ არა თქუა, ვითარმედ: „გვთხარ ჩუენ ადგილი, არამედ არა ვიცითო, ვიდრე ხუალ“, რამეთუ ესე პირველითგან ყოველთა ესმოდა და ჰურიათაცა უკერდა, თუ ვიდრე წარვალს. და უკუეთუ მათ უნდა ცნობად, არამცა უფრომსად მისთა მოწაფეთა უნდა, რომელნი არასადა განწოვრებულ იყვნეს მისგან და ეშინოდა კითხვად, და გარნა ჰკითხვიდესვე ფრიადისა მის სურვილისაგან და შეურვებისა? ხოლო იესუ ჰრქუა მათ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე ვარ გზად, მე ვარ ჰეშმარიტებად, მე ვარ ცხორებად, და არავინ მივიდეს მამისა, გარნა ჩემ შიერ“ (14,6). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რადასათუს ჰკითხა რად პეტრე, არა ჰრქუა მეყსეულად, ვითარმედ: „მე მამისა წარვალ“, არაჟედ „ვერ ძალ-გიც შედგომად ჩემდა აწ“? არამედ ესრეთ მრავალნი სიტყუათა სიმრავლენი შემოიხუნა, ხოლო ჰურიათა სამართლად არა უთხრობდა, ხოლო ამას რადასათუს არა უთხრა საქმე იგი, რამეთუ უთხრა ჰურიათაცა, ვითარმედ: „ღმრთისაგან გამოვედ და ღმრთისა მივალო“? ხოლო კუალად ჰრქუა, ვითარმედ: „სადა მე წარვალ, თქუენ ვერ კელ-გეწიფების მოსლვად“, და ესრეთ საურავსა შინა შთაყარნა იგინი, ხოლო მოწაფეთა და პეტრეს ამისთვის არა უთხრა, რამეთუ იცოდა მათი იგი ფრიადი გულსმოდგინებად და ვერ აიძულეებდა მას პეტრე მის თანა მისლვად, ხოლო თავადმან წარჰმართა, რად-

¹ იოან. 14,5

იგი ეგულებოდა დაფარულებითა ამის სიტყვსადათა. და ვინა-
ითგან ვერლარა იკადრებდეს იძულებით შედგომად მისა,
ძერმელა გამოუცხადა მათ, რამეთუ, რაჟამს თქუა, ვითარმედ:
„სადა მე წარვალ, ვერვის კელ-გეწიფების მოსლვად თვნიერ
ჩემსა“.

სახარებაჲ: „მე ვარ გზაჲ“ (14,6). **თარგმანი:** ესე
იგი არს, ვითარმედ: „ჩემ მიერ მიხვდეთ მამისა“.

სახარებაჲ: „ქეშმარიტებაჲ და ცხობებაჲ“ (14,6).
თარგმანი: ამისთვის თქუა, ვითარმედ უეჭუელად იყოს
ესე ყოველი ესრეთ, რამეთუ არარაჲ იყოს ჩემ მიერ ტყუ-
ვილი, არამედ ცხობება და ვერცა თუ სიკუდილმან შეუძლოს
დაყენებად თქუენდა მოსლვად მუნ, რამეთუ, ვინაითგან: „მე
ვარ გზაჲ, არლარა საჯმარ იყოს თქუენდა წინამძღუარი და
ვინაითგან „მე ვარ ქეშმარიტებაჲ“, არა ტყუვილ იქმნენ სიტ-
ყუანი ესე, ხოლო მათ სიტყუაჲ იგი გზისაჲ გულისხმა-ყვეს
და აღიარეს, ხოლო სხუანი იგი სიტყუანი ვერ გულისხმა-ყვენეს,
გარნა ვერ იკადრებდეს კითხვად, რომელსა-იგი ვერ გუ-
ლისხმა-ჰყოფდეს, გარნა ამას ყოველსა ზედა ფრიადი ნუგე-
შინის-ცემაჲ მიიღეს გზისა მის მიერ, ვინაითგან ჰრქუა, ვითარ-
მედ: „მე ვარ გზაჲ“, ესე იგი არს, ვითარმედ: „ვინაითგან მე
ვარ უფალ მამისა მიმართ მიყვანებისა, უეჭუელად მოსლვად
ხართ, რამეთუ თვნიერ ჩემსა არა არს სხუაჲ გზაჲ, რათამცა
ძის მიერ ვინ მივიდა მამისა“. რამეთუ, რაჟამს თქუა, ვითარ-
მედ: „ვერვის კელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა
შამამან მოიყვანოს იგი ჩემდა“,¹ და კუალად თქუა, ვითარ-
მედ: „რაჟამს აღვიმალლო ქუეყანიო, ყოველნი მოვიზიდნე,
ჩემდა და არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“² და ეს-
რეთ ყოველსა ადგილსა შეასწორებს თავსა თვსსა მამისა თანა,
ხოლო ვითარ? რამეთუ ჰრქუა რაჲ, ვითარმედ: „ვიდრე-იგი
ძე მივალ, იცით და გზაჲცა იგი იცით“,³ და მეყსეულად კუა-
ლად ჰრქუა, ვითარმედ: „უკუეთუმცა მე მიცოდეთ, მამაჲ-
ცამცა ჩემი იცოდეთ,⁴ ამიერიითგან იცით იგი და გიხილავს

¹ იოან. 6,44

² იოან. 12,32

³ იოან. 14,4

⁴ იოან. 14,7

იგი“. არა თუ თქსთა სიტყუათა წინააღმდეგების იგი, ნუ იყოფინ! — არამედ ესრეთ იყო, რამეთუ იცოდეს იგი მოწაფეთა, გარნა არა, ვითარ ჭერ-იყო, რამეთუ ღმრთად იცოდეს იგი, გარნა მამად არა იცოდეს, არამედ უკუანააქცნელ, რაჟამს სული წმიდაა მოვიდა და მისცა მათ ყოველივე გულისხმის-ყოფაჲ. ესევეითარი არს უკუე სიტყუაჲ უფლისაჲ, ვითარმედ: „უკუეთუმცა ჩემი არსებაჲ და ბუნებაჲ იცოდეთ, მამისაჲ-ცამცა იცოდეთ, და ამიერითგან იცით იგი და გიხილავს იგი“.¹ ერთი იგი სიტყუაჲ მომავალისა ჟამისაჲ იყო, ვითარმედ: „იცოდეთ იგი“, და მეორე მის ჟამისაჲ იყო, ვითარმედ: „გიხილავს იგი“, ესე იგი არს, ვითარმედ: „ჩემ მიერ“, ხოლო ხილვასა იტყვს გონებისა გულისხმის-ყოფასა, რამეთუ ხილულთაჲ შესაძლებელ არს ხედვაჲ და ვერ ცნობაჲ, თუ ვინ არს, ხოლო მეცნიერთაჲ შეუძლებელ არს ცნობაჲ და არა ცნობაჲ. ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „იხილეთ იგი, ვითარცა ეჩუენა ანგელოზთა და არა თუ ბუნებაჲ იგი და არსებაჲ ეჩუენა, გარნა თქუმულ არს, ვითარმედ: „ეჩუენა ძალისაებრ მათისა“, და ესრეთ აჩუენებს, ვითარმედ: „რომელსა იგი უხილავს, მას მამაჲ უხილავს“,² ხოლო იხილეს იგი, არა თუ არსებითა და ბუნებითა მისითა ვითარ არს, არამედ შემოსილი ჯორცითა კაცობრივითა, ხოლო იცის სხუასა ადგილსა ხილვაჲ გულისხმის-ყოფისაჲ წოდებად, ვითარმცა იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“,³ ხოლო წმიდად არა ღმრთისაგან ოდენ წმიდათა იტყვს, არამედ რომელნი ყოველთაჲვე ცოდვათაგან შორს იყვნენ, რამეთუ ყოველივე ცოდვაჲ შეაგინებს სულსა.

¹ იქვე

² შლრ. იოან. 14,9

³ მათ. 5,8

მოწყალეებისათვის და არა მიხუევისა

ვისწრაფოთ უკუე ჩუენცა ყოვლითა ძალითა ჩუენრთა, რათა აღვჰკოცოთ ბილწებად ცოდვათაჲ სულისაგან ჩუენისა, რამეთუ განსწმედს პირველად ნათლის-ღებაჲ, ხოლო უკუანაჲსკნელ სხუანი საქმენი, რამეთუ ღმერთმან კაცთმოყუარებითა თვისითა მოგუცნა ჩუენ შემდგომად ნათლის-ღებისა ძიზეზნი მრავალნი განსწმედისანი, რომელთაგანი პირველი არს მოწყალეებაჲ, რამეთუ მოწყალეებითა და სარწმუნოებითა განწმდებიან ცოდვანი, ხოლო მოწყალეებასა არა მას ვიტყუ, რომელი ტაცებისა მიერ და მოხუევისა. მონაგებთაგან იქმხებოდის, რამეთუ იგი არა მოწყალეებაჲ არს, არამედ უკეთურებაჲ, რამეთუ რაჲ სარგებელ არს ერთისა განძარცუვაჲ და ძეორისა შემოსაჲ? რამეთუ დაღაცათუ ყოველივე მოტაცებული გლახკათა მივსცეთ, არარაჲ სარგებელ იყოს. და გამოაჩინებს ზაქე, რომელმან მოტაცებული ყოველივე ოთხკეცად უკუნსცა, ხოლო ჩუენ ფრიადსა ვიტაცებთ და მცირედსა მივსცემთ და ამით ვჰგონებთ ღმრთისა მომადღებასა, რომლისა მიერ უფრომსად განრისხნების იგი, რამეთუ მითხარლა, უკუეთუ ვირი, გზასა ზედა მომკუდარი, ჰპოვო და მოითრიო და შეიღო საკურთხეველად, არა ყოველნი შენ გეცინოდინან? აწ უკუე მე გამხილებ, ვითარმედ მოტაცებულისაგან ქმნილი მოწყალეებაჲ ამისა უსაძაგელეს არს, რამეთუ ყოველივე ცოდვაჲ სომყრალჲ არს ბოროტი. და ისმინე წინაჲსწარმეტყუელისაჲ, ვითარიტყუს, ვითარმედ: „შეყროლდეს და დაღბეს წყლულებანი ჩემნი“. ხოლო შენ სიტყვთ ევედრები უფალსა დავიწყებად ცოდვათაჲ შენთა და საქმით არა შეუწდობ მას დავიწყებად, არამედ მარადლე მოაჯსენებ, რამეთუ უკეთურებისა მონაგებასა საკურთხეველსა ზედა დასდებ და წმიდათა მისცემ, ანუ იტყვა შენ, ვითარმედ: „არა მოტაცებულსა მას მივსცემ, არამედ სხუასა, რომელი თვთ ჩემი იყო?“ და არა გულისხმაჰყოფა, ვითარმედ, დაღაცათუ სიმრავლესა საფასეთასა მცირედი უშულოებით მოგებული შთავარდეს, მას ყოველსავე შეაბილწებს, ვითარცა სკორჲ მცირჲ აღამრლუეეს წყაროსა

წმიდასა და აღაყროლებს? და ჩუენ კელთა ვიბანთ, მი-რად-ვილოდით ეკლესიად, ხოლო გულთა არა, და არა უწყით, ვითარმედ არა თუ კელნი რას იტყვან, არამედ სული იქმს ვედრებათა ღმრთისა მიმართ, რამეთუ ესრეთ უნდოთა საქმეთა და მცირეთა ვისწრაფით ქმნად და დიდთა შეურაცხ-ვყოფთ, რამეთუ, უკუეთუ კელითა უბანელითა ლოცვაჲ უწესოება არს, არა უფროჲსად შეგინებულთა სულითა ბოროტ არსა ლოცვაჲ? ამისთვის ჰურიანიცა შექცეულ იყვნეს ბოროტთა საქმეთა და წყლითა დაბანასა კელთასა მოსწრაფე იყვნეს. ამისთვის ეტყუს მათ წერილი, ვითარმედ: „განიბანე უკეთურებისაგან სული შენი, ვიდრემდის იყვნენ შენ თანა გულისსიტყუანი ბილწნი“. განვიბანოთ უკუე ნუ მწუროთა, არამედ წყლითა მოწყალებისაჲთა და ნუ ანგაპრებიოთა. პირველად განუყენე მოხუეკასა და ტაცებასა და მერმე ქმენ მოწყალებაჲ. შოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი, დააყენენ კელი მოხუეკისაგან და ესრეთ წარჰმართენ იგინი მოწყალებაჲ. უკუეთუ მითვე კელითა, რომლითა ესძარტუვიდეთ სხუათა და სხუათა შევკმოსდეთ, საძაგელ არს ესე წინაშე უფლისა, რამეთუ კაენისთვისცა უმჯობეს იყო, უკუეთუმცა არა შეეწირა, ხოლო უკუეთუ, რომელმან-იგი უდარჱსი შეწირა, განარისხა, რომელი სხვასა შესწირვიდეს, არა ფრიად განარისხოსა? რამეთუ გრქუას შენ, ვითარმედ: „მე არა მოტაცებაჲ გასწავე, და შენ მოტაცებულისა მიერ პატივ-მცემა? ჰგონებ სამე, უმჯულოო, ვითარმედ მეცა შენვე გემსგავსო? აწ გამხილნე და წარმოგიდგინნე წინაშე პირსა შენსა ცოდვანი შენნი“. გარნა ნუ იყოფინ სმენად ერთისაცა ჩუენგანისა ამის კმისაჲ, არამედ რაჲთა მოწყალებაჲ წმიდაჲ ვქმნეთ და საუკუნენი კეთილნი დავიმკვდრნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : „პრკუა მას ფილიპე: „უფალო, მი-
 ჩუნენ ჩუნენ მამამ შენი, და კმა არს ჩუნენდა“. პრკუა მას
 იესუ: „ესეოდენ ჟამ თქუნენ თანა ვარ, და არლა მიციით მე,
 ფილიპე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამამ ჩემი“ (14,8-9).
 წინადაწარმეტყუელი ეტყოდა ჰურიათა, ვითარმედ: „პირი
 მძევისამ იქმნა შენ ზედა და ურცხვნო იქმენ ყოველთა მი-
 ძართ“. ხოლო, ვითარცა ვკვონებ, არა მის ქალაქისა მიმართ
 ოდენ შუენის ამის სიტყუსა თქუმაჲ, არამედ მათა მიმართ-
 ცა, რომელნი ურცხვნოდ ჭეშმარიტებისა მიმართ წინააღმდეგობ
 არიან, რამეთუ ფილიპე პრკუა რაჲ ვითარმედ: „უფალო,
 გჩუნენ ჩუნენ მამამ შენი“, თავადმან მიუგო, ვითარმედ:
 „ესეოდენ ჟამ თქუნენ თანა ვარ და არა მიცია ფილიპე? რო-
 ძელმან მიხილა მე, იხილა მამამ ჩემი“. და ამას ყოველსა ზე-
 და ჭერეთ არიან ვიეთნიმე, რომელნი იკადრებენ მამისაგან
 ძისა განყოფასა. და რაჲ არს ამისი უმეტესი მახლობელობაჲ?
 რამეთუ რომელნიმე ამის სიტყუსა მიერ საბელიოზის წვალებ-
 ბასა შთავარდეს, არამედ ჩუნენ ესენიცა და იგინიცა დაუტევ-
 ხეთ, ვითარცა გარდამეტებულად უშეჯულონი, და ვიხილოთ
 ჭეშმარიტებაჲ ამათ სიტყუათაჲ, რამეთუ იტყუს: „ესეოდენ
 ჟამ თქუნენ თანა ვარ და არა მიცია მე, ფილიპე?“ რაჲ არს
 უკუე: „შენ ხარა მამამ, რომელსა ვეძიებ?“ „არაო“, ამისთვის
 არა თქუა, ვითარმედ: „ვიცი იგი“, არამედ: „არა მიცი მე?“
 არა რას სხუასა მოასწავებს სიტყუაჲ ესე, გარნა ამას, ვითარ-
 მედ არარაჲ არს სხუაჲ ძმ, არამედ რაჲ მამამ არს, იგივე ძე
 არს თუნიერ მამობისა, ხოლო რამეთუ იგი მამამ არს თუთე-
 ბითა და ესე ძმ, ხოლო სხუთა ყოვლითავე ერთ არიან, სადათ
 უკუე მოვიდა ფილიპე ამის სიტყუსა მომართ? და იტყოდა
 იესუ, ვითარმედ: „უკუეთუმცა მიცოდეთ მე, მამამცამცა ჩემი
 იცოდეთ“. ხოლო ჰკითხა ფილიპეცა და თომაცა მამისათს
 და არარაჲ განცხადებული უთხრა მათ. ამისთვის ინება ფილი-
 პეცა კითხვად, ვითარმედ: „მიჩუნენ ჩუნენ მამამ შენი და ჩუნენ
 სხუაჲ არარაჲ გვკმს“. და ქრისტესა ეთქუა, ვითარმედ: „უკუ-
 ეთუმცა მცოდეთ მე, მამამცამცა ჩემი იცოდეთ“, ხოლო მან
 კუალად თქუა, ვითარმედ: „მიჩუნენ ჩუნენ მამამ შენი“, ვი-

თარმცა-იგი სრულებით იცოდა, არამედ ქრისტემან დაად-
 ვინა იგი გზასა ზედა და არწმუნებდა, ვითარმედ მის მიერ
 იცნობების მამად, არამედ მას თუალითა კორციელითა ენება
 ხილვად მისი ნუჟუკუე ამისთვის, რამეთუ ესმოდა წინააღმარ-
 ძეტყუელთად, ვითარმედ იხილეს ღმერთი, არამედ ვევერცა სადა
 მათ იხილეს ბუნებად ღმრთისად, არამედ ხილვანი, განყოფი-
 ლებით ქმნულნი. ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „ღმერთი არავინ
 სადა იხილა“,¹ და კუალად უფალი იტყვს: „არცა ხმად მისი
 გასმიეს, არცა პირი მისი გიხილავს“.² და კუალად წერილ არს:
 „არა ვინ იხილოს პირი ჩემი და ცხოვნდეს“, ხოლო ქრისტე-
 მან მხილებისსახედ ჰრქუა მას: „ესეოდენ ჟამ თქუენ თანა
 ვარ, და არა მიცი მე?“ და იგი მამასა ეძიებდა ხილვად, არა-
 მედ ესე არს, რომელი ვთქუ, ვითარმედ ოდენ ძეობასა შინა
 ჰკრეს, ყოვლითურთ თავსა შორის თვისსა აჩუენებს მამასა,
 განყვნა უკუე თითობანი და თქუა: „რომელმან მიხილა მე,
 იხილა მამად ჩემი“ რადთა ვერვინ თქუას, ვითარმედ თვთ არს
 მამად და ძმცა. რამეთუ უკუეთუმცა ესე ესრეთ იყო, არამცა
 ეთქუა: „რომელმან მიხილა მე, იხილა მამად ჩემი“, ხოლო
 ვინადათგან იტყოდა ფილიპე, ვითარმედ: „მიჩუენე ჩუენ
 მამად შენი და კმა არს“; ვითარმცა იგი ეხილვა, ამისთვის
 უჩუენებს, ვითარმედ არცა იგი იცის. რამეთუ, უკუეთუმცა
 იგი იცოდა, მამადცამცა იცოდა, ამისთვის იტყოდა, ვითარმედ:
 „რომელმან მიხილა, იხილა მამად ჩემი“, ხოლო სიტყუად ესე
 ესევეთარნი არს, ვითარმედ: „არცა ჩემი შესაძლებელ არს
 ხილვად, არცა მისი“, რამეთუ ფილიპე თუალითა თვისითა ეძი-
 ებდა ხილვასა და ჰგონებდა, ვითარმედ ქრისტე უხილავს, ვი-
 თარცა ჯერ-არს, და ეძიებდა მამასაცა ხილვად. და ამისთვის
 უფალმან უჩუენა, ვითარმედ არცა იგი უხილავს, ხოლო უკუ-
 ელო ვინ იტყოდის, ვითარმედ ხილვასა გონებით გულისხმის-
 ყოფასა მისსა იტყოდა, არცა ამას წინააღმდეგები, რამეთუ
 თქუა, ვითარმედ: „რომელმან მე გულისხმა-მყოს, მამადცა
 გულისხმა-უყოფიეს“,³ გარნა არა ამას იტყოდა, არამედ
 არსებისათვის, რადთამცა ერთარსებად გამოაჩინა. ამისთვის

¹ იოან. 1,18

² იოან. 5,37

³ შდრ. იოან. 8,19; 14,7

თქუა, ვითარმედ: „რომელმან ჩემი არსებად იხილოს, მას მაძისაჲ უხილავს“, ხოლო ვიხილოთ, თუ ფილიპე რასა ეძიებდა ხილვად, სიბრძნესამე მამისასა, ანუ სახიერებასა? არა, არამედ თუ რაჲ არს ღმერთი, თუთ არსებასა მას მისსა. და ამისთვის მიუგებს ქრისტე, ვითარმედ: „რომელმან მოხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი“,¹ და ამისთვის კუალადცა შეჰპრისხნა და ჰრქუა, ვითარმედ: „ესეოდენ ეამ თქუენ თანა ვარ, და არღა შიცი მე, ფილიპე?“ ესეოდენნი სწავლანი გასმიან და გიხილვან სასწაულნი, რომელთა კელმწიფებით ვიქმოდე, და სსუანი ყოველნი საქმენი, რომელნი თვისნი იყვნეს ღმრთეებისანი და რომელთა მამაჲ მხოლოდ იქმს, ცოდვანი, დაცხნილნი და დაფარულნი, გამოცხადებულნი, სიკუდილი ვლტოლვილი, თიჯითა თუალთა ახალთა ქმნაჲ და „ჯერეთ არა შიცია, ფილიპე?“ რამეთუ, ვინაითგან კორცნიცა ემოსნის, ამისთვის ჰრქუა: „არღა შიცი მე, უკუეთუ გიხილავს მამაჲ, ნულარას ეძიებს სსუასა ხილვად, რამეთუ მის შორის მე გიხილავ, უკუეთუ მე გიხილავ, ნულარას გამოეძიებ, რამეთუ ჩემ შორის იგი გიცნობიეს“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „არა გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ?“ (14,10). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს: „მასვე არსებასა შინა ვჩან“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „სიტყუათა, რომელთა გეტყოდე მე თქუენ, თავით ჩემით არა ვიტყუ“ (14,10). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილეა გარდამატებულებაჲ ესე მახლობელობისაჲ და სახმერთარსებისაჲ?

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „არამედ მამაჲ ჩემი, რომელი ჩემ თანა არს, იგი იქმს საქმესა“ (14,10). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვითარ, რომელ სიტყუათათს დაიწყო და თქუა: „სიტყუათა, რომელთა გეტყოდე“, და მერმე საქმედ მოვიდა, ვითარმედ: საქმეთა მათ მამაჲ იქმს? რამეთუ ესრეთ შეწყობილებაჲ იქმნებოდა, უკუეთუმცა ეთქუა: „მამაჲ, რომელი არს ჩემ თანა, იტყუს სიტყუათა“, გარნა ორნი პირნი თქუნა აქა სწავლისათს და სასწაულთათს, გარნა ამისთვის, რამეთუ სიტყუანი მისნი საქმე იყვნეს, ხოლო ვითარ იქმს მამაჲ? რამეთუ უფალი სსუასაცა

¹ იოან. 14,9

ადგილსა იტყუს, ვითარმედ: „უკუეთუ არა ვიქმ საქმეთა მამისა ჩემისათა, ნუ გრწამს ჩემი“.¹ და ვითარ აქა მამასა იტყუს მოქმედად? გარნა ამითცა სიტყუთა მასვე მოასწავებს, ვითარმედ არაარა არს განყოფა შორის მამისა და ძისა, ხოლო სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყუს, ესევითარი არს, ვითარმედ: „არამცა ქმნა სხუთა სახითა მამამან, არამედ ვითარცა მე, არცა მე ვიქმ სხუთა სახითა, არამედ ვითარცა მამად“.² და სხუასა ადგილსა იტყუს, ვითარმედ: „მამად ჩემი მოაქამდე იქმს, და შეცა ვიქმ“;³ რამეთუ მუნ შეუცვალეზობასა მას საქმეთასა მოასწავებდა, ხოლო აქა ერთობასა. უკუეთუ კულა მდაბლად ჩანს ამით სიტყუათა მიერ, ნუ გიკვრს, რამეთუ პირველად თქუა, ვითარმედ: „არა გრწამსა?“ და მერმელა იწყო ამით სიტყუათა, რადთა სცნა, ვითარმედ ამისთვის ესრეთ იტყუს: რადთა სარწმუნოებად მოიყვანნეს, რამეთუ განმკითხველი არს იგი გულთაჲ და ყოველივე დაფარული იცოდა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამად ჩემ თანა არს?“ (14,11). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჭერ-იყო თქუენდა. რადთამცა ოდეს გესმა მამად და ძმ, არარასმცა ეძიებლით სხუასა გამოსაცხადებელად ერთობისა მათისა, უკუეთუ ესე არა კმა არს ჩინებად თქუენდა ერთარსებისა, საქმეთაგან გულისხმა-ყავთ, ვითარმედ: „რომელმან მე შიხილა, იხილა მამად ჩემი“, და მერმე გამოაჩინებს, ვითარმედ უმეტესთაცა შემძლებელ არს საქმეთა ქმნად. და არა თქუა, თუ: „ამათსა უმეტესსა ვიქმ“, არამედ „რომელი ამისა ფრიად უსაკვრველჴს იყოს, ვითარმედ სხუათადაცა ძალ-მიც მაცემად ამის მადლისა, რადთა ამათსა უმეტესი ქმნან“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ამენ, ამენ გეტყუ თქუენ: რომელსა პრწმენეს ჩემი, საქმეთა, რომელთა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უმეტესი ამათსა ქმნეს. და მე მამისა მივალ“ (14,12). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: „ამიერითგან თქუენდა არს სასწაულთა ქმნად, რამეთუ მე წარვალ“, და, ვინაითგან აცხოზა, რად-იგი ენება, ამისთვის მეყსეულად თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რადცა ითხოვოთ სახელითა ჩემითა, იგი

¹ იოან. 10,37

² შდრ. იოან. 5,19

³ იოან. 5,17

ვეო, რამთა იდილოს მამამ ძისა თანა“ (14,13). თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰხედავა, ვითარ კუალად იგი იქმს ამას, „რამე ვქმნეო?“ და არა თქუა, ვითარმედ: „ვსთხოვო მამასა“ არამედ: „რამთა იდილოს მამამო“, და პირველ იტყოდა, ვითარმედ: „ღმერთმან ადილოს იგი თავისა თვისისა თანა, ხოლო აქა თვთ ადილებს მამასა, რამეთუ რაქმს გამოჩნდეს ფრიადი იგი ძალი ძისამ, შაშინ მამამცა იდილების. ხოლო რამ არს იგი, ვითარმედ: „რამ ითხოვოთ სახელითა ჩემითა?“ ესე იგი არს, რომელსა იტყოდეს მოცაქულნი, ვითარმედ: „სახელითა იესუ ქრისტესითა, აღდეგ და ვადოდე!“ რამეთუ ყოველნი სასწაულნი, რომელნი ქმნნეს, იგი იქმოდა, რამეთუ კელი უფლისამ იყო მათ თანა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „რამ ითხოვოთ სახელითა ჩემითა, ვეო“ (14,13). თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰხედავა უფლებასა ამას, რამეთუ სხუათა მიერ იგი იქმს? ვითარ უკუე ცუდად მეტყუელებენ უკეთურნი, ვითარმედ მას თვთ შეწევნამ ჯქმდა, ხოლო სიტყუამ იგი, ვითარმედ: „მამრსა მივალ“, ესე არს, ვითარმედ: „არა წარვწყმდები, არამედ ჩემსა პატივსა შინა ვჰგვი და ცათა შინა ვარ“, ხოლო ამას ყოველსა ნუგეშინისსაცემელად მათა იტყოდა, რამეთუ, ვინამთგან არლა იცოდეს მათ სიტყუამ იგი აღდგომისამ და შეწუნებოდეს, ამისთვის აღუთქუამს, ვითარმედ: „მე მარადის ცხოველ ვარ და, რამცა ითხოვოთ, მოგცე თქუენ“, და უჩუენებს, ვითარმედ ეგოს იგი უკუნისამდე და არა თუ ოდენ ეგოს. არამედ უმეტესიცა ძალი აჩუენოს. და ესრეთ მხიარულ-ჰყოფდა მათ.

ს წ ა ვ ლ ა მ ო ლ

ვითარმედ სათნოებამ სულიერი მსხუერპლი არს და ვეცხლისმოყუარებამ ცუდადმზუაობრებისაგან არს

არამედ ჩუენცა შეუდგეთ მას და აღვილოთ ჭუარი ჩუენი, რამეთუ წერილ არს: „მოაკუდინენით ასონი თქუენნი ქუე-

ყანასა ზედა“. დავმობრტოთ უკუე გულისთქუმაჲ, მოვაკუდნი-
 ხოთ გულისწყრომაჲ, მოვკლათ შური. და ესე არს მსხუერპლი
 ცხოველი, რომელი არა მტუერ იქმნების, არცა კუამლად
 განიზნევის, არცა ცეცხლი უქმს და შეშაჲ და მახული, არამედ
 ცეცხლად აქუს და მახულად სული წმიდაჲ. ესე მახული
 აღიღე და მოიკუეთე ნამეტნავი იგი გულისაჲ და განაღე და-
 ყოფილი სასმენელი, რამეთუ სენი და ბოროტნი გულისთქუ-
 მანი დაუყოფენ სასმენელთა სმენად სიტყუასა ღმრთისასა,
 რამეთუ ვერცხლისმოყუარებაჲ რაჲ მოიწიოს, არა უტევებს
 შესლვად სიტყუათა მოწყალებისათა და სიძულვილი დაჰყოფს
 წესავალთა სიყუარულისათა. და ყოველი ვნებაჲ ესრეთ არს,
 არამედ ჩუენ აღმოვჰტხურნეთ ბოროტნი გულისთქუმანი, რა-
 ძეთუ ოდენ ვინებოთ და ყოველი დაშრეტილ არს, ხოლო
 ჩუენ ვართ, რომელნი ვაუფლებთ ვნებათა ჩუენ ზედა. და ნუ
 მძლავრებასა მას ვეცხლისმოყუარებისასა ჰხედავ, არამედ
 გულისხმა-ყავ, ვითარმედ შენგან არს იგი მძლავრებაჲ. და
 არა თუ ბუნებითი არს ესე გულისთქუმაჲ, რამეთუ, ვინაჲთგან
 ბუნებითნი ყოველნი პირველითგან იქმნეს, ხოლო ოქროჲ და
 ვეცხლი ვიდრე მრავლად ჟამამდე ყოლადვე არა ჩნდეს. სა-
 დაჲთ უკუე აღორძნდა ესე გულისთქუმაჲ? გარნა ცუდად-
 მზუაობრებისაგან და დაქსნილებისა და გულისთქუმანი, რო-
 ძელნამე საჭირო არიან და რომელნიმე ბუნებითნი და რო-
 ძელნი არცა ერთისა მათგანისა არიან, ესე იგი არს, ვითარ-
 მედ, რაოდენნი არიან, რომელ თვნიერ მათსა მოკუდების
 კაცი იგინი საჭირო არიან, და ბუნებით ვითარ არიან: ჰამისა
 და სუმისა და ძილისა გულისთქუმაჲ, ხოლო ტრფიალებჲ იგი
 კორცთა სიმყურვალისაჲ ბუნებითი არს, გარნა არასაჭიროჲ,
 რამეთუ მრავალთა სძლეს მას და არა მოკუდეს. ხოლო ვეცხ-
 ლისმოყუარებისა გულისთქუმაჲ არცა ბუნებითი, არცა სა-
 ჭიროჲ, არამედ, უკუეთუ გუენებოს, არა შევიწყნარებთ მას
 რამეთუ უფალმანცა ქალწულებისათჳს თქუა, ვითარმედ:
 „რომელთა ძალ-უც“, ხოლო საკმართმოყუარებისათჳს თქუა:
 „რომელმან არა დაუტევეს ყოველი მონაგები თჳსი და შემო-
 ძიდგეს მე, არა არს ჩემდა ღირს“. ¹ რამეთუ, რომელი ად-

¹ ლუკ. 14,33

ვილ არს, ამას გუამცნებს, ხოლო, რომელი ვერ ყოველთა ძალ-უც, მიუშეებიეს იგი ნებასა ზედა. აწ უკუე რად ვკყოფთ თავთა ჩუენთა უსიტყუელ წინაშე ღმრთისა? რამეთუ, რომელი უფიცხლმსისა ვნებისა მიერ იძლიოს, არა ესრეთ ღირს არს საშჯელისა, ვითარ-იგი, რომელი უძლურისა ვნებისა მიერ ესრეთ მოუძლურებულ იქმნეს. რამეთუ რად ვთქუათ, რაჟამს გურქუას, ვითარმედ: „მიხილეთ მე მშიერი და არა ძეცით მე ჭამადი?“¹ ნუუკუე ქურიცსა მას უგლახაკმს ვართა, რაათამცა სიგლახაკმ ვიმიზეზეთ? რამეთუ ღმერთი არა სიმრავლესა საფასეთასა ეძიებს, არამედ სიკეთესა გონებისასა და ესეცა მისისა კაცთმოყუარებისაგან არს. ამისთვის უკუე ვისწრაფოთ ძალისაებრ ჩუენისა ქმნად კეთილისა, რაათა მივემთხვნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისადა არს დიდებაჲ და სიმტკიცმ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ო ბ

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე : „უკუეთუ გიყუარდე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით და მე ვკითხო მამასა ჩემსა და სხუად ნუგეშინისმცემელი მოგცეს თქუენ, რომელი დაადგრეს თქუენ თანა უკუნისამდე, სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი სოფელსა ვერ კელ-ეწიფების მოღებად, რამეთუ არცა ჰხედავს მას და არცა იცის იგი (14,15-17).“

საქმეთა მოგებაჲ ჯერ-არს ჩუენდა და არა სიტყუათაჲ მარადის, რამეთუ თქუმაჲ სიტყვთ და ქადაგებაჲ მარადის ადვილ არს, ხოლო საქმით ქმნად სიტყვსაჲ არა ადვილ არს. რაასათვს უკუე ვთქუ ესე? ამისთვის, რამეთუ მრავალნი არიან აწ, რომელნი იტყვან, ვითარმედ: „რამეთუ გუეშინის უფლისა და გყუარს იგი“, და საქმით წინააღმდეგომსა იქმან, ხოლო ღმერთი საქმით სიყუარულსა ეძიებს. ამისთვის მოწაფეთა ეტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუ გიყუარდე, მცნებანი ჩემნი

¹ მათ. 25,42

დაიმარხნით, რამეთუ, ვინამთგან ჰრქუა, ვითარმედ: „რამ
ითხოვოთ სახელითა ჩემითა, გიყო“,¹ რამთა არა ჰგონებდენ,
ვითარმედ ესრეთ უმიზეზოდ იქმს. ამისთვის ჰრქუა, ვითარ-
მედ: „უკუეთუ გიყუარდე, მაშინ გეყოს ყოველი თხოვამ
თქუენი“. და ვინამთგან ესმოდა რამ, ვითარმედ: „წარვალ-
ძამისა“, იგინი მწუხარე იქმნებოდეს, ამისთვის ეტყვის, ვითარ-
მედ: „არა ესე არს სიყუარული ჩემი, რომელ აწ მწუხარე
ხართ, არამედ უკუეთუ დაიმარხნეთ სიტყუანი ჩემნი, რამეთუ
მცნებად მიგეც, რამთა იყუარებოდით ურთიერთას და
რამთა ჰყოფდეთ ურთიერთას, ვითარცა-ესე მე ვქმენ,
უკუეთუ ესე მცნებანი დაიმარხნეთ, მაშინ ჰქუმარიტად გი-
ყუარ მე“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე ვჰკითხო მამასა და სხუად ნუგეშინის-
მცემელი მოგივლინოს თქუენ“ (14,16). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** აჰა,
ესერა, სხუად სიტყუად სიმდაბლისა და ვინამთგან არღა-
იცოდეს მაღალი გულისხმის-ყოფად მისთვის და ეძიებდესცა-
ძის თანა ყოფასა მარადის და სიტყუათა მათ და ჯორციელად
ყოფასა მისსა და არცა ერთსა ნუგეშინის-ცემასა მიიღებდეს,
ამისთვის ჰრქუა: „ვჰკითხო მამასა და სხუად ნუგეშინისმცემე-
ლი მოგცეს თქუენ“, ესე იგი არს, ვითარმედ: „ვითარცა-ესე
მე ვარ, სხუად ნუგეშინისმცემელი მოგცეს თქუენ“. ჰრცხუე-
ხოდენ საბელიოზის წვალებითა დაბნელებულთა და სულისა
წმიდისა მგმობართაცა, რამეთუ საკურველი სიტყუსა და ამის ესე
არს, რომელ განყოფილად მდგომარენი იგი წვალებანი და ურ-
თიერთას განშოვრებულნი ერთითა წყლულებითა მოაყუდინნა,
რამეთუ, რომელ-იგი თქუა, ვითარმედ: „სხუად“ და ამით
გუამოვნებისა განყოფილებად გამოაჩინა, ხოლო თქუა რამ,
ვითარმედ: „ნუგეშინისმცემელი“, აჩუნა ბუნებისა ერთო-
ბად. ხოლო რამსათეს თქუა, ვითარმედ: „ვჰკითხო მამასა?“
ამისთვის, რამეთუ, უკუეთუმცა ეთქუა, ვითარმედ: „მე მო-
გივლინო“, არამცა დაერწმუნა მათ ესრეთ, ვითარ აწ ხოლო
შისი მოსწრაფებად იყო, ამისთვის, რამთამცა დაიწმუნეს და
უკუანამსკნელ უკუე თვთ მოუვლენს მას, რაჟამს ეტყოდის,
ვითარმედ: „მიიღეთ სული წმიდა“,¹ ხოლო აჰა თქუა, ვითარ-

¹ იოან. 14,13

² იოან. 20,22

მედ: „ვკითხო მამასა“, რაათა სარწმუნო-ყოს სიტყუაჲ თჳსი.. რამეთუ იოვანე იტყჳს, ვითარმედ: „სავებღასაგან მისისა ყოველთა მოვიღეთ“,¹ ხოლო აქუნდა სხჳსა მიერ, რაათამცა ძოილო და კუალად იტყოდა იოვანე, ვითარმედ: „მან ნათელგცესო სულითა წმიდითა და ცეცხლითა“,² ანუ რამცა აქუნდა უმეტესი მოციქულთასა, უკუეთუმცა მამასა სთხოვდა მიცემად სხუათა, ვინათგან მოციქულნი მრავალგზის იქმოდეს აძას თჳნიერ თხოვისა, ანუ უკუეთუ თხოვით მამისა მიერ ძოივლინების, ვითარ თავით თჳსით მოიწია, ანუ ვითარ მოივლინების სხჳსა მიერ, რომელი-იგი ყოველგან არს და განუყოფს თჳთეულსა, ვითარცა ენებოს? და ეტყოდა უფლებით: „განვაჩინენით პავლე და ბარნაბა“,³ და ივინი ღმერთსა აჰსახურებდეს, არამედ მან თჳსსა საქმესა მიიყვანნა, არათუ რამეთუ სხუაჲ არს მისი და სხუაჲ არს მამისა საქმე, არამედ რაათამცა კელმწიფებაჲ თჳსი გამოაჩინა, ხოლო რაჲდა არს სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „ვკითხო მამასა“? აჩუეხებს ეჲმსა მას მოსლვისასა, რამეთუ, რაჲამს განწმიდნა ივინი მსხუერპლითა მით თჳსითა სისხლისა დათხვევისაჲთა, მაშინ ძოვიდა სული წმიდაჲ, ხოლო რაჲსათჳს, იყო რაჲ მათ თანა, არა მოვიდა? ამისთჳს, რამეთუ არცა შეწირულ იყო შესაწირავი იგი. ხოლო, ვინათგან ცოდვაჲ დაიქსნა და ივინი განვიდოდეს განსაცდელთა მიმართ, მაშინ ჳერ-იყო განმაძლიერებელისა მის მოსლვაჲ, რაჲსათჳს უკუე არა მეყსეულად. შემდგომად აღდგომისა მოვიდა სული წმიდაჲ? ამისთჳს, რაათა ფრიადითა სურვილითა მისითა აღეტყინენ და შერმე ძოვიდეს უმეტესითა მადლითა, რამეთუ, ვიდრემდის ქრისტე ძათ თანა იყო, არა იყვნეს მწუხარებასა შინა, ვინათგან უკუე წარვიდა და ივინი შეშინებულ იქმნეს. შერმე უმეტესითა სურვილითა შეიწყნარეს იგი, ხოლო სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე“, ესე იგი არს: არცა შემდგომად აღსასრულისა განეყოს. ხოლო, ვინათგან ხუგეშინისმცემელი ესმოდა, რაათა არა სხუასა განჯორცი-

¹ იოვან. 1,16

² ლუკ. 3,16

³ საქმ. 13,2

ელეზასა მოელოდიან და თუალითა ჰგონებდენ ხილვად მისა, ამისთვის ჰრქუა: „რომელი სოფელსა ვერ კელ-ეწიფების ხილვად, რამეთუ არა ჰხედავს მას, ხოლო არა ესრეთ იყოს თქუენ თანა, ვითარცა მე, არამედ სულთა შინა თქუენთა დაიძკვდროს მან“. რამეთუ ესე არს სიტყუაჲ იგი, თუ: „თქუენ თანა ეგოს“. ხოლო სულად კეშმარიტებისა უწესს, რადთა ამის მიერ სახენი იგი ძუელნი მოასწავნეს.

სახარებაჲ: „და თქუენ თანა იყოს“ (14,17). **თარგმანი:** რად არს სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „თქუენ თანა“? გარნა ესე, რომელსა თავადი იტყოდა, ვითარმედ: „აჰა, ესერა: მე თქუენ თანა ვარ“¹ და კუალად ამასცა მოასწავებს, ვითარმედ არა თუ ესე იქმნას მის ზედა, რად-ესე ჩემ ზედა იქმნა, არცა განგეშოროს თქუენ.

სახარებაჲ: „რომელი სოფელსა ვერ კელ-ეწიფების მოღებად, რამეთუ ვერ ჰხედავს მას“ (14,17). **თარგმანი:** ამას ადგილსა ხედვად გულისხმის-ყოფასა იტყუს, ამისთვის შესძინა და თქუა, ვითარმედ: „არა იცის იგი“, რამეთუ მრავალგზის კეშმარიტსა ცნობასა ხედვად უწესს წერილი, ხოლო სოფლად ამას ადგილსა უკეთურთა იტყუს. და ამისთვისცა საქმით ნუგეშინის-სცემს უმეტესსა მას სხუათაგან ნიჰსა მას ესრეთ მალალსა. იხილე, რაოდენითა სახითა აღამაღლა მისთვის თქუმული იგი სიტყუაჲ, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „სხუაჲ ნუგეშინისმცემელი მათი, ვითარცა მე“, და თქუა, ვითარმედ: „არა დაგიტევნე თქუენ“; და თქუა, ვითარმედ: „თქუენდა მიმართ ოდენ მოვალს“, თქუა უკუე, ვითარმედ: „თქუენ თანა ეგოს“, და ვერცა ესრეთ განუქარვა ძწუხარებაჲ მათი, რამეთუ მასვე თავადსა ეძიებდეს და მის თანა ყოფისა ჩუეულეზასა, და ამისთვის ენება ამისცა სიტყუსა ნუგეშინის-ცემად და თქუა:

სახარებაჲ: „არა დაგიტევნე თქუენ ობლად, რამეთუ შოვიდე თქუენდა“ (14,18). **თარგმანი:** ნუგეშინისო, რამეთუ, არა თუ ამისთვის ვთქუ: სხუსა ნუგეშინისმცემელისა მოვლინებად, ვითარმცა მე მოგაკლდებოდე სრულიად, არა ამისთვის ვთქუ, ვითარმედ: „თქუენ თანა იყოს, ვითარმცა მე

¹ მათ. 28,20

არღარა გიხილევდ, რამეთუ მეცა მოვიდე თქუენდა, არა და-
გიტევნე თქუენ ობლად“. რამეთუ, ვინაითგან დაწყებასა
სიტყუასა იტყოდა: „შვილნო ჩემნო“, ამისთვის აქა იტყუს:
„არა დაგიტევნე თქუენ ობლად“, და დასაბამსა სიტყუსასა
იტყოდა, ვითარმედ: „მოხვდეთ, სადა მე ვიყო“, და ვითარ-
მედ: „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან“. ხოლო
აქა, ვინაითგან იგი უამი შორს იყო, მოსცემს სულსა, არამედ
იგინი კუალად, ვინაითგან ვერ გულისხმა-ჰყოფდეს სიტყუთა
ძით და ვერ მიიღებდეს ჯეროვანსა ნუგეშინის-ცემასა,
ამისთვის ჰრქუთა: „არა დაგიტევნე თქუენ ობლად“, რამეთუ
იგინი უფროდს ყოვლისა ამას ეძიებდეს, არამედ, რადთა არა
ჰგონებდენ კუალად ესევეითარსავე მოსლვასა, ვითარცა პირ-
ველ, იხილე, ვითარ მოასწავა, მისი იგი მოსლვად თუ ვითარ
იყოს, რამეთუ თქუთა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „მცირედლა და სოფელი არღარა მხედვი-
დეს მე, ხოლო თქუენ მხედვიდეთ მე“ (14,19). **თ ა რ გ მ ა ნ ი :**
ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „მოვალ თქუენდა მომართ“,
არამედ არა ესრეთ, ვითარცა პირველ, არამედ თქუენდა მო-
მართ ოდენ, რამეთუ სულიცა ესევეითარი არს თქუენდა მო-
მართ ოდენ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რამეთუ მე ცხოველ ვარ და თქუენმცა
ცხოველ იყვენით“ (14,19). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ არა თუ
ჯუარს-ცუმად განგყოფს თქუენ ჩემგან, გარნა მცირედსა
ოდენ უამსა მიგეფარო, ხოლო ცხორებად არა ამას ოდენ
იტყუს საწუთროდსასა, არამედ საუკუნესაცა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „მას ღდესა სცნათ რამეთუ მე მამისა ჩე-
მისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შორის“ (14,19).
თ ა რ გ მ ა ნ ი : მამისა თანა ყოფად ერთარსებისათუს არს,
ხოლო მათ თანა სიყუარულისათუს მათისა და შეწევნისა
ღმრთისა მიერ, და არა თუ ერთი ძალი აქუს მამისა თანა ყო-
ფად და მათ თანა, დადაცათუ ერთითა. სიტყუთა თქუმულ
არს, რამეთუ მრავალსა იტყუს წერილი ერთითა სიტყუთა
სხუასა და სხუასა ძალსა, რამეთუ ჩუენცა გუეწოდების
ღმერთ და შვილ ღმრთის, არამედ არა ერთად
გულისხმა-იყოფების ჩუენ ზედა და ღმრთისა, და კუალად
ძესაცა ხ ა ტ ეწოდების და ჩუენცა, არამედ არა ერთ არს,

რამეთუ ფრიადი აქუს განყოფილებად, და კუალად თქუმულ არს, ვითარმედ: „თქუნენ ქრისტესნი ხართ და ქრისტე ღმრთისაჲ“.¹ გარნა არა ესრეთ არს ქრისტე ღმრთისაჲ, ვითარცა ჩუნენ ქრისტესნი, არამედ მამისა თანა ყოფად მისი არს თან-არსობისა მისისათეს, ხოლო „თქუნენ თანა ვიყო“, ესე იგი არს, ვითარმედ: „შეწევნასა ფრიადსა მოგცემდე მარადის“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რომელსა ჰქონდენ მცნებანი ჩემნი, და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე“ (14,21).
თ ა რ გ მ ა ნ ი : რამეთუ არა კმა არს ქონებაჲ ოდენ, არამედ დაცვაჲცა ჯერ-არს, ხოლო რაჲსათეს მრავალგზის ეტყუს მათ ამათ სიტყუათა, ვითარცა-იგი თქუა, ვითარმედ: „უკუეთუ გიყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით“ და: „რომელსა ჰქონდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი“, და: „უკუეთუ ვისმე ესმენ სიტყუანი ესე და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე“? გარნა ამით ყოვლითა მათსა მას მწუხარებასა და შეურვებასა მოასწავებს, რამეთუ, ვინაჲთგან მრავალნი სიტყუანი ჰქონან სიკუდილისათეს, ვითარმედ: „რომელსა სძულდეს სული თვისი სოფელსა ამას, ცხორებად საუკუნოდ დაიცვას იგი“,² და კუალად, ვითარმედ: „რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, არა არს ჩემდა ღირს“³ და ეგულებოდა სხუათა მრავალთა სიტყუად. ამისთეს იტყუს ყუედრებისსახედ, ვითარმედ: თქუნენ ჰგონებთ, ვითარმედ სიყუარულისაგან ფრიადისა ხართ ესრეთ მწუხარე, არამედ უფროჲსად არა წუხილი არს სიყუარულისა სახც? და ვითარმედ ამის პირისაჲ ენება დამტკიცებაჲ, ამისთეს იხილე, ვითარ თქუა, ვითარმედ: „უკუეთუმცა გიყუარდი, გიხაროდამცა, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ. ხოლო აწ მოშიშებვისაგან არს ესე ყოველი თქუნენ ზედა და სიკუდილისაგან. ესრეთ შიში არა ჩემთა მცნებათა დამარხვად არს, რამეთუ ჯერ-იყო თქუნენდა ჯუარს-ცუმად, უკუეთუმცა ჰქემარტად გიყუარდი, რამეთუ ჩემი სიტყუად გასწავლის, რაჲთა არა

¹ 1 კორინ. 3,23

² იოან. 12,25

³ მათ. 10,38

გეშინოდის მათგან, რომელნი მოჰკლვიდენ ჯორცთა, რამეთუ ესევეითარნი უყუარან მამასაცა, და გამოუცხადო მათ თავი იქმი“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : ჰრქუა მას იუდა არაისკარიოტელმან: „უფალო, რამ არს, რომელ ჩუენ გამოგცხადებ თავსა შენსა“ (14,22). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა შიშითა აღვსებულთა სულთა მათთა, რამეთუ შეძრწუნდა და შეშფოთნა და ჰგონებდა, ვითარმედ, ვითარცა მკუდართა, ვხედავთ სიზმრივ? ესრეთ ეგულებოდა მისი ხილვად, ხოლო რამთა არა ესე მოიგონონ, ამისთვის ისმინე, რასა იტყვს, ვითარმედ: „მე და მამამ ძოვიდეთ და სავანე მის თანა ვყოთ“,¹ ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „ვითარცა მამამ გამოაცხადებებს თავსა თვისსა, ეგრეთვე მე“, და არა ამით ოდენ, არამედ მითცა სიტყუთა, რომელ თქუა, ვითარმედ: „სავანე მის თანა ვყოთ“, დაჰქსნა იქვ იგი მსგავსად სიზმრისა ხილვისა, ხოლო შენ იხილე მოწაფე იგი შეშფოთებული და ვითარ ვერ იკადრებდა თქუამდ განცხადებულად გულისსიტყუსა თვისისა, რამეთუ არა თქუა, ვითარმედ: „ვამ ჩუენდა, რამეთუ მოჰკუდები, და ვითარცა აღსრულებულთაგანსა ეგულების ჩუენებად ჩუენდა თავისა შეხისა“, გარნა არა თქუა ესრეთ, არამედ: „რამ არსო, რომელ ჩუენ გამოგცხადებ თავსა შენსა და არა სოფელსა?“ მიუგეს უკუე ამისთვის: „რამეთუ თქუენ გიყუართ და თქუენ იმარხავთ მცნებათა ჩემთა, რამეთუ, რამთა არა შემდგომად ამისა იხილონ რამ იგი, უცნებად ეგონოს“, ამისთვის წინამსწარ ეტყუს მიზეზსა, ვითარმედ: „ამისთვის, რამეთუ მცნებათა ჩემთა იმარხავთ“, იტყვს, ვითარმედ: „სულსაცა ესრეთ ეგულების გამოჩინებად“, რამეთუ ამას ყოველსა ეტყოდა, რამთა არა უცნებად ეგონოს მათ, იხილონ რამ, რომელთა ამას ყოველსა ზედა უცნებადვე ეგონა, უკუეთუმცა არა ექამა მათ თანა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს, და სიტყუანი, რომელ გესმიან, არა არიან ჩემნი, არამედ მომავლინებელისა ჩემისანი“ (14,24). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** „არცა სამე მე უყუარ, არცა მამამ ჩემი, რო-

¹ იოან. 14,23

მელმან სიტყუანი ესე არა ისმინნეს“, რამეთუ უკუეთუ სახმ სიყუარულისაჲ დამარხვაჲ მცნებათაჲ არს, ხოლო ესე მცნება-
ხი მამისანი არიან, რომელი არა ისმენდეს მათ, არა ძმ ოდენ,
არამედ არცა მამაჲ უყუარს, ხოლო ვითარ სიტყუანი იგი
შენნიცა არიან, უფალო, და არა შენნიცა, რამეთუ იტყუ, ვი-
თარმედ: „სიტყუანი ჩემნი არა ჩემნი არიან“? ესე იგი არს,
ვითარმედ: „არარას ვიტყუ გარეგან ნებისა მისისა, არამედ
ჩუენი ყოველი ერთ არს“.

სახარებაჲ: „ამას გეტყოდე თქუნ, რამეთუ თქუნ
თანა ვიყავ, ხოლო ნუგეშინისმცემელი იგი სული წმიდაჲ, რო-
მელი მოავლინოს მამამან სახელითა ჩემითა, ამან გასწავოს
ყოველი, რომელი გარქუ თქუნ“ (14,25-26). **თარგმანი:**
რამეთუ, ვინაფთგან მრავალნი სიტყუანი მისნი დაფარულ იყ-
ვნეს და რომელთამე ვერ გულისხმა-ჰყოფდეს, და რადთა
არა მწუხარე იყვნენ და არცა იტყოდიან, ვითარმედ: „რო-
მელნი მცნებანი?“ ამისთვის განაყენნა იგინი ზრუნვისა მის-
გან და ჰრქუა, ვითარმედ: „ნუგეშინისმცემელმან ყოველი
მოგაკენოს და გასწავოს“. რამეთუ დაღაცათუ აწ დაფარულ
არიან სიტყუანი ესე, არამედ არს იგი ამათი კეთილად გა-
მომაჩინებელი. რადთა არა მწუხარე იყვნენ, ამისთვის ეტყუს,
ვითარმედ ვიდრემდის მათ თანა იყოს, ნუგეშინისმცემელი იგი
არა მოვალს და ვერარაჲ მალალი და დიდი გულისხმა-ყონ.
ხოლო ამას ყოველსა ეტყუს, რადთამცა ასწავა ახოვნად თავს-
დებად წარსლვასა მისსა, ვითარცა მიზეზი დიდთა კეთილთაჲ,
ხოლო ზედაჲსზედა ნუგეშინისმცემელად სახელ-სდებს მწუ-
ხარებათა მათთვის, რომელნი მაშინ იყვნეს მათ ზედა. ვინაფთ-
გან უკუე ამას ყოველსა ზედა ჯერეთ შეუტრეებულ და შეძრ-
წუნებულ იყვნეს და იგონებდეს ძნელოვანთა საქმეთა და
წარსლვასა მისსა, ამისთვის იხილე, ვითარ კუალად დააწყნა-
რებს მათ და ეტყუს:

სახარებაჲ: „მშუდობასა დაგიტევებ თქუნ“ (14,27).
თარგმანი: ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: „რად გეშინის
სოფლისა ამის შფოთთაგან, ვიდრემდის ჩემ თანა მშუდობაჲ
გაქუნდეს; რამეთუ ესე მშუდობაჲ არა ესევეითარი არს,
ვითარ სოფლისაჲ, რამეთუ იგი მრავალგზის ბოროტსა
ზედა იქმნების, რამეთუ უგულისხმო არს და რომელ-

თა იგი აქუნდეს, არარაჲ აზგოს, ხოლო მე დაგრტევებ თქუენ მშუდობასა, რაჲთა გაქუნდეს ურთიერთას, და ესრეთ ძლიერ იყვნეთ, ხოლო ვინაჲთგან თქუა, ვითარმედ: „მშუდობასა დაგრტევებ“, რომელი-იგი წარსლვისა სახმ იყო, მერმე, რაჲთა არა მწუხარე იქმნენ, და კუალად შესძინა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მშუდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ“ (14,27). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჲ არს ორი ესე მშუდობაჲ, რომელ თქუა, ვითარმედ: „მშუდობასა დაგრტევებ თქუენ“ და „მშუდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ“? ესე იგი არს, რამეთუ პირველი იგი სიტყუაჲ, ვითარმედ: „მშუდობასა დაგრტევებ თქუენ“, პრქუა მშუდობისათჳს ერთმანერთისა მიმართ, ვითარმედ გამცნებ, რაჲთა მშუდობაჲ გაქუნდეს ურთიერთას, რომელი-ესე სხუათაცა ექმნა წმიდათა; ხოლო „მშუდობასა ჩემსა მიგცემ, რომელი-იგი მე ვქმენ შორის სულისა და კორცთა და ანგელოზთა და კაცთა, რომელმან ვყავ მშუდობაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა და შუაკედელი იგი ზღუდისაჲ მის დავესენ, მტერობაჲ იგი კორცითა ჩემითა, მას უკუე მშუდობასა, რომლითა ესე ყოველი ვქმენ, აწ ამას მიგცემ თქუენ სამკუდრებელად, ამისთვისცა ეტყჳს: „ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი, ნუცა გეშინინ“. ჰხედავა, რამეთუ რომელიმე მწუხარებდაჲ ძათი სიყუარულისათჳს იყო და რომელიმე — შიშისათჳს? „გესმა, რამეთუ გარქუ თქუენ: „წარვალ და მოვიდე თქუენდა: უკუეთუმცა გიყუარდა მე, გზაროდამცა, რამეთუ მივალ ძამისა, რამეთუ მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს?“¹ და რომელსა სიხარულსა მოატყუებდა მათ ესე, ანუ რომელსა ნუგეშინის-ცემასა? რაჲ არს უკუე სიტყუაჲ ესე, რამეთუ არა იცოდეს მათ სიტყუაჲ იგი აღდგომისაჲ, არცა აქუნდა მისთვის გულისსიტყუაჲ, ვითარი ჯერ-იყო. რამეთუ ვითარმცა აქუნდა, რომელთა ესეცა არა იცოდეს, ვითარმედ აღდგომაჲ არს, ხოლო მამაჲ უზეშთაეს ეგონა? ეტყჳს უკუე, ვითარმედ: „დაღაცათუ ჩემთვის გეშინის, ვითარმცა ვერ უძლე შეწევნად თავისა თვისისა და არა მინდობილ ხართ, ვითარმედ შემდგომად ჟუარს-ცუმისა გიხილნე თქუენ, არამედ, ვინაჲთგან გესმა, ვითარმედ მამისა მივალ, ჯერ-იყო თქუენდა სიხარული, რა-

¹ იოჲან. 14,28

მეთუ უფროდისა მიმართ მივალ და შესაძლებელ არს ყოველთა ბოროტთა დაჯსნაჲ“. ხოლო რაჲ თქუა, ვითარმედ: „გესმა. რამეთუ: გარქუ თქუენ“? ესე იგი არს, ვითარმედ: „ესრეთ მინდობილ ვარ ყოფად ამათ საქმეთა, რამეთუ არა ჭეშინის მე პირველვე თქუმად და პირველვე გარქუ, რაჲთა, რაჲჲმს იქმნეს, გრწმენეს,¹ ვითარმედ ჭეშმარიტსა გეტყვ, უკუეთუმცა არა მინდობილ ვიყავ, არამცა მეთქუა“. იხილეა სიტყუაჲ ესე სიმდაბლისაჲ? რამეთუ, რაჲჲმს ეტყოდა, ვითარმედ: „ჰგონება, რამეთუ ვერ ძალ-მიც, რაჲთამცა ვევედრე მამასა ჩემსა და წარმომიდგინა აწ აქა ათორმეტი გუნდი ანგელოზთაჲ?“² ესე სიტყუაჲ მათისა იქუსა მიმართ თქუა, რამეთუ ვერვინ იტყუს ამას, დალაცათუ განცოფებულ იყოს, ვითარმედ ვერ ძალ-ედვა შეწევნად თავისა თვისისა, არამედ ანგელოზნი უკმდეს. რამეთუ, ვინაჲთგან აქუნდა მისთვის გულისსიტყუაჲ, ვითარცა კაცისათუს, ამისთვის აჯსენნა ანგელოზნი, რამეთუ იგი ოდენ ჰკითხა, ვითარმედ: „ვის ეძიებთ?“ და მეყსეულად დასცნა იგინი ქუეყანასა ზედა. ხოლო რომელსა იტყუს, ესევეითარი არს, ვითარმედ: „ვიდრემდის აქა ვიყო, ჰგონებდეთ, ვითარმედ განცდად ვართ, ხოლო უკუეთუ წარვიდე, მინდობილ იყვენით, რამეთუ ვერღარავინ შეუძლოს ძლევად“. და ამას ყოველსა უძლურებისაებრ მოწაფეთაჲსა იტყოდა, „რამეთუ მე მინდობილ ვარო და არა მეშინის, რამეთუ ამისთვის პირველვე გარქუ თქუენ, ხოლო ვინაჲთგან თქუენ სიტყუასა ამას ვერ გულისხმა-ჰყოფთ, ამისთვის მამისაგან, რომელი თქუენ ღიდად გაქუს, მის მიერ შემოვიღებ ნუგეშინის-ცემასა“, ხოლო რაჲჲმს ნუგეშინის-სცა, კუალად ეტყუს შესაწუხებელად:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „არღარა მრავალსა ვიტყოდი თქუენ თანა, რამეთუ მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისაჲ, და ჩემ თანა არარაჲ პოვოს“ (14,30). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** მ თ ა ვ რ ა დ ს ო ფ ლ ი ს ა ი ტ ყ ვ ს ე შ მ ა კ ს ა და უ კ ე თ უ რ თ ა კ ა ც თ ა, რ ა მ ე თ უ არა არს იგი უფალი კაცთა, ანუ ცისა, ანუ ქუეყანისა, — ნუ იყოფინ! — არამედ. რომელთა ნეტესით მისცენ მას თავი თვისი,

¹ შდრ. იოან. 14,29

² მათ. 26,53

ამისთვის მთავრად ბნელისა ეწოდების, რამეთუ ბნელისა იტყუს ბოროტთა საქმეთა, „ხოლო ჩემ თანა ვერარაჲ პოვოსო, არამედ ნეფსით ვივინებ“.

სახარებაჲ: „რაჲთა ცნას სოფელმან, ვითარმედ მიუყარს მამაჲ ჩემი“ (14,31). **თარგმანი:** „რამეთუ არა თუ თანამდებ სიკუდილისა ვარ, არამედ სიყუარულისათს მამისა ძოვითმენ“; ხოლო ესე თქუა, რაჲთა კუალად სულნი მათნი განაძლიერნეს და ცნან, ვითარმედ არა უნებლებით მივალს სიკუდილად, არამედ ნეფსით და შეუცაცხ-უყოფიეს ეშმაკი. და არა კმა იყო იგი ოდენ თქუამდ, ვითარმედ: „მცირედ ეჲმ თქუენ თანა ვარ“, არამედ ზედამსზედა მიმოაქცევს შემაწუხებელთა მათ სიტყუათა და მათ თანა ნუგეშინისმცემელთაცა, ვიდრემდის დაარწმუნოს მათ. ამისთვის ოდესმე იტყუს: „წარვალ და მოვალ“, და: „სადა მე ვიყო, მუნ თქუენცა იყვნეთ“, და: „ვერ ძალ-გაც აწ შემოდგომად ჩემდა“, და: „მამაჲ უფრომს ჩემსა არს“, და: „გარქუ თქუენ ვიდრე ყოფადმდე“, და ვითარმედ: „არა იძულებით ვიქმ ამას, არამედ სიყუარულისათს მამისა“, რაჲთა მათ გულისხმა-ყონ, ვითარმედ არა სავნებელ არს საქმე იგი, ვინაჲთგან, რომელსა ფრიად უყუარს იგი და შეყუარებულ არს მის მიერ, მას ესრეთ ჰნებავს. ამისთვის მრავალგზის იტყოდა ერთბამად სიტყუათა მათ შემაწუხებელთაცა და მუგეშინისმცემელთაცა, რაჲთამცა გამოცადნა გონებანი მათნი, რამეთუ სიტყუად ესე, ვითარმედ: „თქუენ თანა იყოს“ და ვითარმედ: „უმჯობეს არს თქუენდა. რაჲთა მე წარვიდე“, ნუგეშინის-ცემისა იყო, რამეთუ ამისთვის მრავალი რაჲ თქუა, ვითარმედ: „თქუენ თანა იყოს“, და ვითარმედ: „სოფელი ვერ მიიღებს მას“, და: „მან მოგაქსეხოს ყოველივე“ და: „სული ჭეშმარიტებისაჲ“, და „სული წმიდაჲ“, და: „ნუგეშინისმცემელი“, რაჲთა არა მწუხარე იყვნენ, ვითარმცა არა იყო ჯელისმპყრობელ მათა და შემწე, ხოლო იტყუს, ვითარმედ „უმჯობეს არს“, რაჲთა გულისხმა-ყონ, ვითარმედ მან ყვნეს იგინი სულიერ.

ძალისა მისთვის, რომელი მოციქულთა სულისა მიერ
წმიდისა მიიღონ და სათნოებისათვის და უკეთურებისა
და ანგელოზთა და კაცთა.

და ესრეთცა უკუე იქმნა, რამეთუ რომელთა-იგი ემი-
ხოდა და ძრწოდეს, მათ მო-რაჲ-იღეს სული წმიდაჲ, მეყ-
სეულად უშიშად შევიდოდეს ბრძოლად მახვლისა და ცეცხ-
ლისა და მკეცთა და ზღუათა და ყოვლისა ჳირისა, და უსწავ-
ლელთა მათ და უმეცართა ესევეითარი სიბრძნმ და კადნიე-
რებაჲ მოიღეს, ვიდრელა ყოველნი განაკვრვნეს, რამეთუ თი-
ჯისანი იყვნეს და რკინისად გარდააქცინა იგინი სულმან და
ვერარამან სძლო მათ, რამეთუ ესევეითარი იგი მადლი, უკუე-
თუ დაქსნილებაჲ პოვოს, განიოტებს, უკუეთუ გულისთქუმაჲ
ბოროტი პოვოს, განჰლევს; უკუეთუ მოშიშებაჲ პოვოს,
წარსდევნის და არღარა კაცებასა შინა დაუტეობს მას, არა-
ძედ ვითარცა ზეცისასა, ესრეთ ყოვლითურთ მუნ მიიყვანებს
გონებასა მისსა, და ამისთვისცა არღარავის მათგანსა აქუნდა
რაჲ თვსად, არამედ ყოველნი ლოცვასა შინა იყვნეს სიხარუ-
ლითა გულისაჲთა.¹ რამეთუ ნაყოფი სულისაჲ ესე არს სი-
ყუარული, სიხარული, მშუდობაჲ, სარწმუნოებაჲ, სიმშუდმ.²
ძოვიგოთ უკუე უძლეველი იგი შეწვენაჲ სულისაჲ დამარხ-
ვითა მცნებათაჲთა და არცა ანგელოზთასა უდარე ვიყვნეთ.
რამეთუ მათცა თვსითა გონებითა აქუს ესევეითარი დიდებაჲ,
და არა თუ მათ არა უქმს კრძალულებაჲ, უკუეთუ არარადმცა
გარდამოვრდომილ იყო ერთი იგი მათგანი. გარნა, რამეთუ
არა შეიკრძალა გონებაჲ თვსი, უვარეს კაცთა უკეთურთასა
და პირუტყუთა სახე იქმნა და კუალად წმიდათა ყოველთა,
ქუეყანასა ზედა მყოფთა, კორცთა შინა ქმნეს, რაჲ-იგი
ქმნეს კეთილი, რამეთუ, ვითარცა მწიორნი და უცხონი, იყვნეს,
ქუეყანასა ზედა და მოქალაქობაჲ მათი იყო. ცათა შინა.
ამისთვის უკუე ნუ იტყვ შენ, ვითარმედ კორცნი მასხენ და

¹ შდრ. საქმ. 2,46

² გალ. 5, 22-23

ვერ ვიტყვითავ ოფლთა სათნოებისათა და შრომათა, ნუ აბრალებ ამათ სიტყუათა მიერ შემოქმედსა. იხილენ ყოველნი წმიდანნი, რომელნი კორცთა შინა იყვნეს, რამე ყვეს. რამეთუ ჰაველე არა დააყენეს კორცთა ყოფად, რამე-იგი ქმნა, არცა ძეტრე დააყენეს მიხუმად კლიტეთა სასუფეველისათა და ენუქ კორცთა მიიცვალა, და ელია ეგრეთვე კორცთა აღიტაცა, და აბრაჰამ და შვილი მისი ისაკ და იაკობ, ძმ ისაკისი, კორცთა გამობრწყინდეს და იოსებ კორცთა ბრძოლა-უყო სიძვისმოყუარესა მას დედაკაცსა, და რასა ვიტყვ, „კორცთა ოდენ“? რამეთუ, დაღაცათუ ჯაჰვ ვინ შექმოსოს კორცთა, არას ევენების მოგებად სათნოებისა და რად ჯაჰუსა ვიტყვ? ვერცა საპყრობილჷ, ანუ საკრველნი ძლიერნი, დამხარწვეველ ექმნებიან სათნოებასა. რამეთუ საკრველი სულისამ არა რკინისამ არს, არამედ გულისთქუმაჷ ბოროტი, შიში უჯეროჷ და სხუანი ყოველნი ვნებანი. იგინი შეჰკრვენ სულსა, დაღაცათუ კორცნი ჯსნილად იყვნენ, არამედ იტყვან ვითენიმე, ვითარმედ: „ესეცა ვნებანი კორცთაგან იშვებიან“, გარნა ამოებან არს ესე სიტყუად და მიზეზი ცუდი“, რამეთუ უკუეთუშცა კორცთამცა იყო ცთომამ, ყოველთა ზედამცა მოწეოდეს იგინი, რამეთუ ვითარცა ჰამამ და სუმამ და ძილი ყოველთა ზედა არს, ეგრეთვე ესემცა იყო ყოველი, ვინამთგან მრავალნი განერნეს მათ, საცნაურ არს, ვითარმედ არა სამე კორცთაგან არს, არამედ უდბებისაგან სულისა. უდბებამ უკუე მოვიწყუდოთ და ნუმცა კორცთა ზედა დავსდებთ მიზეზსა, არამედ დაუმორჩილნეთ იგინი სულსა, რამთა ესრეთ საუკუნეთა კეთილთა მივემთხუნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისამ არს დიდებამ და სიმტკიცჷ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ო ზ

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე : „აღდგით და წარვედით ამიერ. მე ვარ ვენაჯი კეშმარიტი და თქუნ — რტონი. მამამ ჩემი მოქმედი არს“ (14,31; 15,1).

უსწავლელობა დაჯსნილ და მოშიშ-ჰყოფს სულსა, ვითარცა-იგი სწავლაჲ საღმრთოთა საქმეთაჲ ახოვან-ჰყოფს და მაღალ. რამეთუ, რაჲამს არა იყოს მოსწრაფჷ გონებაჲ, მამინ იქმნების სული მოშიშ არა ბუნებით, არამედ ნებისით. რამეთუ, რაჲამს ვიხილო კაცი, რომელი ოდესმე ახოვან იყო და აწ მოშიშ არს, არღარა ბუნებითად ვიტყვ საქმესა მას. რამეთუ ბუნებითნი ყოველნი შეუცვალებელ არიან და კულად ოდეს ვიხილო, რომელნი აწ მოშიშ იყვნეს და შემდგომად მცირედისა კადნიერ იქმნეს, მასვე გულსხმა-გჰყოფ და ხებასა ზედა დავსდებ ყოველსავე, რამეთუ მოწაფენიცა ფრიად მოშიშ იყვნეს პირველ, ვიდრე არა ესწავა ყოველი, რაოდენი ჯერ-იყო სწავლაჲ, არცა მოელო მაღლი სულისა წმიდისაჲ, ხოლო უკუანაჲსკნელ უგულოვნეს ლომთა იქმნეს. და პეტრე, რომელმან ქალისა ერთისა შერისხვაჲ ვერ თავს-იდვა, ჭეფეთა და მთავართა სძლო და ჯუარსცუმული და ტანჯული არავე დუმნა, არამედ ვითარმცა სიზმარი უჩნდა ყოველივე, გარნა უწინარჷს ჯუარს-ცუმისა არა ესრეთ იყო? ამისთვის ქრისტე ეტყოდა: „აღდეგით და წარვედით ამიერ“. რამათს ეტყოდა ამას? ნუუკუე არა იცოდაა, თუ რომელსა ჟამსა მოწოდეს ჰურიანი და ეშინოდა, ნუუკუე უცნაურად მოვიდენ და დაუხრწიონ კეთილი იგი სწავლაჲ? ნუ იყოფინ! ივლტოდე ამის გულისსიტყუსაგან, რამეთუ შორს იყო ესე მისგან. და რამათს უკუე იტყოდა: „აღდეგით და წარვედით“? რამეთუ იგი შემდგომად სწავლისა მის შევიდა მტილსა, რომელი-იგი იუდაისა საცნაურ იყო და უკუეთუმცა მუნ მოსრულ იყვნეს, ვერმცა შეუძლოა თუალთა მათთა დაყოფად, რომელნი-იგი კითხვითა ოდენ დასცნა, ვითარცა მკუდარნი? არამედ სიტყუაჲ იგი მოწაფეთათს თქუა, რამეთუ, ვინამთგან ადგილსა საშიშსა სხდეს და იყო ლამჷ და თავადი იტყოდა, ვითარმედ: „მცირედლა, და არა თქუენ თანა ვიყო“,¹ მისი პიწი იყო მათ ზედა და ვერ ძალ-ედვა კეთილად სმენად სიტყუათა მათ. ამისთვის წარიყვანნა იგინი უშიშსარე ადგილსა, რამთა არა მიმოიხედვიდენ და მოელოდიან ზედამოსლვასა, არამედ დაწყნარებულად ისმენდენ, რამეთუ ეგულებოდა

¹ შტრ. იოან. 14,19

დიდთა საიდუმლოთა თხრობად მათა. ამისთვის ჰრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „აღღებით და წარვედით ამიერ. მე ვარ ვენაჯი ჳეშმარიტი და თქუენ რტონი“ (15,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რასამე მოასწავებს ამის იგავისა მიერ? რამეთუ, რომელი არა ისმენდეს თქუმულთა ამათ, მას ცხორებამ არა აქუს და ვითარმედ ყოფადნი იგი სასწაულნი მისითა ძალითა იყვენ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „მამამ ჩემი მოქმედი არს“ (15,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რად არს ესე? და მოქმედებამ უკმსა ძესა? ნუ იყოფინ! რამეთუ ესე იგავი არა ამას მოასწავებს და იხილე, თუ რაზომითა გამოწულილვითა იწყებს იგავსა მას, რამეთუ არა იტყვს, თუ ძირნი მიიღებენ მოღუაწებასა მოქმედისასა, არამედ რტონიო; რამეთუ ძირისათვის არა თქუმულ არს აქა, არამედ რადთა ცნან, ვითარმედ თენიერ მისისა ძალისა ვერარას შემძლებელ არიან ქმნად და ვითარმედ ესრეთ უკმს შეყოფად სარწმუნოებისა მისსა, ვითარცა ვაზი ვენაჯისადა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ყოველმან რტომან, რომელმან არა გამოიღოს ჩემ თანა ნაყოფი, მოჰკუეთოს იგი მამამან“ (15,2). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამას ადგილსა საქმეთა იტყვს, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ თენიერ საქმეთა კეთილთა ვერ ძალ-უც მის თანა ყოფად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „და ყოველმან, რომელმან გამოიღოს ნაყოფი. განიწმიდოს იგი“ (15,2). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ ფრიად იღუწის მას და კელსა აღუპყრობს, ხოლო არარად თქუმულ არს ძირისათვის, რომელსა-იგი უკმს ყოველივე მოთხრად და ზრუნვამ, არამედ რტოთათვის ოდენ იტყვს, რადთა უჩუენოს, ვითარმედ იგი თავადი კმა არს თავისა თვისისა, ხოლო მათ უკმს შეწევნამ ფრიადი, დალაკათუ იყვენ ფრიად სათნონი. ამისთვის იტყვს, ვითარმედ ნაყოფისგამომღებელსა განსწმედს, რამეთუ, რომელი უნაყოფო იყოს, უნაყოფოებისა თვისისათვის ვენაჯსა მას შინა ყოფად ვერ შემძლებელ არს, ხოლო რომელმან ნაყოფი გამოიღოს, იგი უნაყოფიერეს-ყოს მან. ხოლო ესე სიტყუამ ჳირთა მათთთვისცა, მაშინ მოწევნადთა მათ ზედა, თქუმულ არს, „რამეთუ განწმიდოსო“, ესე იგი არს, ვითარმედ: „მოსხლას“, რადთა ნაყოფიერ იქმნეს უმეტესად და ამის მიერ უჩუენებს, ვითარმედ განსადღელნი უძლიერეს-ჰყოფენ მათ და მერმე რადთა არა

იტყოდინან, ვითარმედ: „ვისთვის იტყვს ამათ სიტყუათა?“
ძერმე ჰრქუა მათ: „აწვე, ეგერა, წმიდა ხართ სიტყუათა მით,
რომელსა გეტყოდე თქუენ“. ჰხედავა, ვითარ თავსა თვისსა
გამოაჩინებს მოლუაწედ რტოთა მათ? ვითარმედ მე წმიდა-
გყვნეო და ზემორე თქუა, ვითარმედ: „ამას მამამ იქმს“, ხო-
ლო აქა თავსა თვისსა იტყვს მოქმედად, რამეთუ არცა ერთი
არს განყოფამ შორის მამისა და ძისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „დაადგერით თქუენ ჩემ თანა“ (15,4).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე იგი არს, ვითარმედ: „მე წმიდა-გყვნე
თქუენ, და აწ აჩუენეთ თქუენცა თქუენი მოსწრაფებამ“, და
ძერმე, რამთა უჩუენოს, ვითარმედ არა თუ მათი მსახურებამ
ეკმარების და მისთვის ეტყვს ამას, ამისთვის შესძინა და თქუა:
„ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ კელ-ეწიფების ნაყოფისა გა-
ძობლებამ თავით თვისით, უკუეთუ არა ეგოს ვენაცსა ზედა,
ეგრეთვე არცა თქუენ, უკუეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა“.
რამეთუ აქა შიშისაგან დაქსნილთა სულთა მათთა განამტკი-
ცებს და შექმშქულავს თავსა თვისსა და სასოებასა კეთილსა
ძისცემს, რამეთუ ძირი ჰგიეს, ხოლო მოკუეთამ, გინა
დადგრომამ რტოთა ნებასა ზედა არს. და ესრეთ ორკერძოვე
გამოაჩინა კეთილი და აწ ჩუენ მიერ ეძიებს პირველ და
იტყვს: „რომელი დაადგრეს ჩემ თანა და მე მის თანა“. ჰხე-
დავა ვითარ ძეცა, ვითარცა მამამ, ეგრეთვე ილუწიდა მოწა-
ფეთა? რამეთუ მამამ განსწმედს, ხოლო ძმ დამამტკიცებს მათ
თავისა თვისისა თანა, და დამტკიცებად ძირსა ზედა ჰყოფს გა-
ძობლებასა ნაყოფისასა, რამეთუ, რომელი იყოს ძირსა ზედა და
არა განწმედილ იყოს, მოიღებს იგი ნაყოფსა, დადაცათუ არა
ვითარცა ჯერ-არს. ხოლო, რომელი ძირსა ზედა არა ეგოს, იგი
ყოლადვე არა გამოიღებს ნაყოფსა, გარნა გამოჩნდა, ვითარ-
მედ განწმედაცა ძისამ იყო და ძირსა ზედა დადგრომამ მამ-
ისამ, რომელმან ძირი იგი შვა. ჰხედავა, ვითარ მათი ყოვე-
ლივე ერთ არს და ზიარ: განწმედაცა და ძირსა ზედა დად-
გრომამცა? დიდ არს დაჭირვებამ იგი, რაჟამს ვერ გამოიღებ-
დეს ნაყოფსა, გარნა არცა ამას ზედა ოდენ კმა-ყო, არამედ
უჭრომსიცა შიში მისცა მათ, არამედ ესეცა, ვითარმედ: „გან-
ვარდეს გარე და განვმეს“, რაჟამს არა აქუნდეს შეწევნამ იგი
მოქმედისამ და შიშუელ იქმნას მადლისა მისგან და ოკერ.

და რაა არს აღსასრული და „ცეცხლსა დაეგზნასო“? არამედ რომელი მის თანა ეგოს, არა ესრეთ იყოს, გზრუნებს უკუე, თუ რაა არს მის თანა დადგრომაჲ, და იტყვს: „უკუეთუ დაადგრეთ ჩემ თანა“ და: „სიტყუანი ჩემნი თქუენ თანა ეგნენ“.¹ ჰხედავა, ვითარ საქმეთა კეთილთაჲ ჯერ-არს მოგებაჲ უფრომს ყოვლისა? რამეთუ პრქუა რაჲ, ვითარმედ: „რაჲცა ითხოვით, გიყო თქუენ“, მეყსეულად შესძინა, ვითარმედ: „უკუეთუ გიყუარდე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით“. და აქაცა იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ დაადგრეთ ჩემ თანა და სიტყუანი ჩემნი თქუენ თანა ეგნენ, რაჲ გინდეს, ითხოვეთ, და გეყოს თქუენ“.² ზოლო ესე თქუა, რაჲთა უჩუენოს, ვითარმედ, რომელნი ბოროტსა ზრახვენ მისთვის, დაიწუნენ და მათ ნაყოფი გამოიღონ, და მათი შიში წინააღმდგომთა ზედა დადვა და უჩუენა, ვითარმედ იგინი უძლეველ იყვნენ, და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ამით იდიდოს მამაჲ ჩემი, რაჲთა თქუენ ნაყოფი მრავალი გამოიღოთ“ (15,8). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამით სიტყვთა სიტყუასა თვისსა სარწმუნო-ჰყოფს, რამეთუ, უკუეთუ ხაყოფიერებაჲ სადიდებელ არს მამისაჲ, არა სამე უღებ-ყოს შან დიდებაჲ თვისი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „და იყვნეთ ჩემდა მოწაფე“ (15,8). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, ვითარ, რომელი ნაყოფსა გამოიღებდეს, მისი მოწაფეჲ არს? ზოლო რაჲ არს ესე სიტყუაჲ, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „ამას ზედა ადიდოს“? ესე იგი არს, ვითარმედ უხარის, „რაჲამს ჩემ თანა ეგნეთ და ნაყოფსა გამოიღებდეთ“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ვითარცა შემეყუარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ“ (15,9). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამას ადგილსა კუალად კაცობრივ იტყვს სიტყუასა, რომელი კაცთა შორის ფრიადოსა სიყუარულისა სახე არს, რამეთუ, რომელმან-იგი სიკუდილი თავს-იდვა და; რომელნი-ესე მონა და მტერ კიჲგენით და მბრძოლ, და მან ესეოდენსა პატივისა ღირს-მეყვნა და ზეცად აღმიყვანნა, რაჲმცა იყო რიცხვ მისისა სიყუარულისაჲ? ესრეთ უკუე ეტყვს, ვითარმედ: „ვინაჲთგან მიყუართ,

¹ იოან. 15,7

² იოან. 14, 14-15

ნულარა გეშინინ. და ვინაძეთგან მამასა ჰნებავს, რაძთა ნა-
ყოფიერ იქმნეთ, თუ ჰზრუნავთ“. ხოლო კუალად, რაძთა არა
უღებ იქმნენ სრულიად, ამისთვს ჰრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „დაადგერით სიყუარულსა ზელა ჩემსა“
(15,9). თ ა რ გ მ ა ნ ი : რამეთუ ამის საქმისა თქუენ ხართ
უფალ. ხოლო ესე ჰქმნეთ, „უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაი-
ძარხნეთ, ვითარცა მე მცნებანი მამოსა ჩემისანი დავიძარხნე“. ¹
კუალად კაცობრივ არს სიტყუად ესე და ვითარმცა იყო შჯუ-
ლისმღებელი ყოველთა შჯულსა ქუეშე? ჰხედავა, ვითარ
ყოლადვე ვიტყვ? აქაცა ეგრეთვე არს, რამეთუ უძღურები-
სათვს მსმენელთაძსა იტყვს ესევეითართა სიტყუათა, რამეთუ
იქსაებრ მათისა იტყოდა და ყოველით კერძო გამოაჩინებს.
ვითარმედ იგინი უშიშ იყვენ და მტერნი მათნი წარწყმდენ, და
ვითარმედ ყოველი, რაძცა აქუს, ძისა მიერ აქუს, და არავინ
სძლოს მათ. ხოლო იხილე, ვითარ ეტყვს მათ: რამეთუ არა
ჰრქუა, ვითარმედ: „დაადგერით სიყუარულსა მამისასა“,
არამედ: „სიყუარულსა ჩემსაო“, და რაძთა ვერ იტყოდინან,
ვითარმედ: „რაჟამს ყოველთა მბრძოლ-მყვენ ჩუენ, აწ დაგ-
ჯტევებ და წარხუალ“, უჩუენებს, ვითარმედ არა დაუტევებს
მათ, არამედ, უკუეთუ ენებოს, ესრეთ შეერთებულ არს მათა,
ვითარცა ძირი რტოთადა, და კუალად, რაძთა არა მიენდვენ
სიტყუასა ამას და უღებუად მოვიდენ, იტყვს ამისთვს, ვითარ-
მედ არა შერყეულ იყოს კეთილი იგი, უკუეთუ იგინი? არა
უღებ იყვენ და მერმე არა რაძთა თავისა თვისისა მიმართ
ოდენ მოიყვანოს საქმე იგი და საცთურისა მომატყუებელ
იქმნას. ამისთვს ჰრქუა მათ, ვითარმედ: „ამით იღიდოს მამა
ჩემი, რამეთუ ყოველსა ადგილსა თვისსა და მამოსა სიყუა-
რულსა, რომელი აქუნდა მათა მიმართ, უჩუენებს მათ, რამე-
თუ არა თუ საქმენი იგი ჰურიათანი იყვენს, არამედ იგინი,
რომელნი მათ მისცემდეს, და რაძთა არა იტყოდინან, ვითარ-
მედ, „დავრდობილ ვართ წესთა მათგან მამულთა, შიშუელ-
და ოკერ ქმნულ ვართ ყოველისაგანვე“. ამისთვს იტყვს, ვი-
თარმედ: „ჩემდა მოჰხედენით, ვითარ ესე უყუარ მამასა,
გარნა, აჰა, ესერა, შევალ წინამღებარეთა ამათ ვნებათა, და

¹ იოან. 15,10

თქვენცა უკუე უწყოდეთ, ვითარმედ არა ამისთვის დაგტე-
ვებ აწ, რომელ არა მიყუართ. რამეთუ, უკუეთუ მე მოვიკლვი
და არა მაქუს ესე სახმ მამისა არასიყუარულისაჲ, არცა თქუ-
ენდა ჭერ-არს მწუხარებაჲ. რამეთუ, უკუეთუ დაადგრეთ სი-
ყუარულსა ზედა ჩემსა, ვერცა ერთმან ბოროტთაგანმან შე-
უძლოს ვნებად თქუენდა სიყუარულისაგან ჩემისა“.

ს ვ ა ვ ლ ა დ ო ვ

სიყუარულისათჳს ქრისტესისა და ანგაპრებისათჳს

ვინაჲთგან უკუე დიდ და უძლეველ არს სიყუარული და
არა სიტყუაჲ ცუდი, არამედ საქმმ მალალი, ამისთვის ვისწრა-
ფოთ აღსრულებად მისა საქმიით. მაშინ მტერ ვიყვენით და
დამაგნა ჩუენ, ხოლო აწ, ვინაჲთგან მეგობარქმნულ ვართ, და-
ვადგრეთ ჩუენ მეგობრებასა შინა. მან იწყო, ხოლო ჩუენ არა.
შეუდგეთა მას? არა თუ თჳსად სარგებელად უყუართ, ხო-
ლო არარაჲ ვისგან ეკმარების, არამედ ჩუენისა ცხოვრებისათჳს,
ხოლო ჩუენ თავთავე ჩუენთა სიყუარულისათჳს არა შევიყუ-
ართა იგი? ჩუენ მტერ ვიყვენით და მან შემიყუარანა, ხოლო
ჩუენ, რომელსა-იგი უყუართ, არა შევიყუაროთა, რომელ-
ხი-ესე აწ წინააღმდგომსა ვიქმთ? რამეთუ მარადლე ჩუენ
მიერ ღმერთი იგმობვის მტაცებლობათა მათ მიერ და ანგაპ-
რებათა ჩუენთა. და ნუუკუე ვინმე თქუენგანმან მრქუას მე:
„აჲ, ესერა, მარადლე ანგაპრებისათჳს გუეტყჳ ჩუენ“, არა-
მედ ნეტარ, თუმცა არა მე ოდენმცა გეტყოდე, არამედ მეულ-
ლენიცა და მეგობარნიცა, და შვილნი და მონანი, და მეზო-
ბელნი, და კედელნი და ქვანი, უკუეთუმცა შესაძლებელ
იყო, დაადებდეს ამის საქმისათჳს, რაჲთა მცირედ რაჲმემცა
დასცხერით, რამეთუ ყოველი სოფელი დაიპყრა ამან სენმან
და ყოველთავე სულნი დააბნელნა. და დიდ არს მძლავრებაჲ
იგი მამონაჲსი. ეჲ, საკურველი! ქრისტეს მიერ ვიქსენით და-
ოქროსა ვჰმსახურებთ, სხუასა მეუფებასა ვჰადაგებთ და

სხუასა ვჰმონებთ და, რაჲცა გვბრძანოს, ყოველსავე მოსწრაფებით ვიქმთ და ვჰმორჩილობთ, და მეგობრებაჲ და ბუნებაჲ და შეჯული ღმრთისაჲ და ყოველივე უგულუბელს-ყვათ; ამისთვის არაჲინ აღიხილავს ზეცად და არაჲინ მოიქსენებს საუკუნესა მას საშველსა, არამედ მოიწიოს ჟამი, რაჲჲამს არცა ამათ სიტყუათაგან იყოს სარგებელი, რამეთუ „ჯოჯოხეთს შინა ვინმე აღგიაროს შენ?“¹ სასურველ არს ოქროჲ და სმუებელ, არამედ არა ესრეთ, ვითარ ზეცისა სასუფეველი, რამეთუ მდიდარი ამას სოფელსა მრავალთა მიერ საქულელ არს, ხოლო რომელი სათნოებასა იჰმოდის, პატივ-სცემენ ყოველნი და უყუარს, უკუეთუ კულა ვინ თქუას, ვითარმედ: „გლახაკი ყოველთა მიერ საკიცხელ არს, დაღაცათუ სათნო იყოს“, არამედ გულისხმა-ყავთ, ვითარმედ არა კაცთა მიერ, არამედ პირუტყუთა მიერ არს საკიცხელ, ხოლო კაცისა ბრძნისა უფრომად საქებელ. და უკუეთუ ქუეყანისა მეფე გუაქებდეს ჩუენ, არღარავისგან ვეძიებთ სხუსა ქებასა, ხოლო უკუეთუ ანგელოზთა მეუფე გაქებდეს შენ, ზ, კაცო, ბუზთა ძიერ და მუმლთა ეძიება ქებასა? რამეთუ ამათსაცა უღარეს არიან კაცი იგი მოყუარენი წარმავალთა ამათ საქმეთანი. ვიდრემდის ვიქცევით მწურესა ამას შინა? ვიდრემდის ვჰყოფთ თავთა ჩუენთა საქებელ კაცთა, ნაყოფანებითა და ამოებითა სავსეთა? რამეთუ იგინი კაცთა ამოთავე მეცნიერ არიან, ხოლო სათნოებისა მიმართ — უგულისხმო. ხოლო შენ, კაცო, რომელსა გნებავს სათნოებისა ჰმნაჲ, კაცთა უმეცართა სათნოებისათა ეჩუენება? ამისთვის ვერ ოდეს წარემართები. ამისთვის გევედრები, უგულუბელს-ყვენეთ მრავალნი იგი და ამათნი საქმენი და ვეძიებდეთ ქებასა ღმრთისაგან და ნუ ვეძიებთ საფასეთა ცუდთა, და ნუცა ბოროტად შეგვრაცხიეს სიგლახაკე, რამეთუ ყოვლისა სიბრძნისა და მოთმინებისა მასწავლებელ გუექმნების, რამეთუ ლაზარეცა გლახაკებასა შინა იყო და გვრგვინი მიიღო ღმრთისაგან, და ლკობ პურითა ოდენ განძლომად სუროდა, და იოსებ უკუანამსკენელსა სიგლახაკესა შინა იყოფოდა, და არა მონაჲ ოდენ იყო, არამედ პყრობილიცა და ამისთვის უკუე გიკვრს საქმე მისი? და არა ესრეთ

¹ ფსალმ. 6,6

ვაქებ, რაჟამს-იგი განუყოფდა იფქლსა, ვითარ-იგი რა-
 ჟამს იყო საპყრობილესა შინა, არცა რაჟამს გვრგვნი ემოსა,
 არამედ რაჟამს—ჯაქვ, არცა რაჟამს სუდარათა ზედა მჭდომარე
 იყო, არამედ რაჟამს განისყიდებოდა. აწ უკუე ესე ყოველი გუ-
 ლისხმა-ვეკოთ და დავითხზნათ გვრგვნი სათნოებათაჲ. ნუ
 სიმღიდრესა და შუებასა და პატრესა და ძლიერებასა კორ-
 ციელსა ვეძიებთ, არამედ სიგლახაქესა და ჭირსა და მოთ-
 ძინებასა სათნოებისასა, რამეთუ აღსასრული მათი სავსე არს
 ძფოთითა და ამბოხებითა ფრიადითა, ხოლო აღსასრული სათ-
 ნოებათაჲ არს ცაჲ და კეთილნი იგი ცათანი, რომელი არცა
 თუალმან იხილა, არცა ყურსა ესმა, არცა გულსა კაცისასა
 მოუჭდა, რაჲ-იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა მის-
 თა, რომელსა ღირსმცა ვართ ჩუენ ყოველნი მიმთხუევედ
 ძადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ
 ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა
 შამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუენითი
 უკუენისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ო ზ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : „ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა სიხა-
 რული ჩემი თქუენ თანა ეგოს, და სიხარული თქუენი სავსე-
 ბით იყოს. ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებოდით ჟრ-
 თიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ“ (15,11).

ყოველსავე კეთილსა მაშინ აქუს სასყიდელი, რაჟამს აღ-
 სასრულად მიიწიოს. უკუეთუ კულა განზოგებასა ოდენ საქ-
 მისასა გარდასწყდეს, დანთქმად იქმნების მის საქმისაჲ. და
 ვითარცა ნავი, აღვსებული მრავლითა სიმღიდრითა, ვერ მიი-
 წიის ნავთსაყუდელად, არამედ შორს რაჲ არს, ზღუასა და-
 ინთქის, არარაჲ ერგო ფრიადისა მისგან შრომისა და სლვისა
 შისგან გზათაჲსა, არამედ უფროსად განსაცდელი მოიწია
 შის ზედა, რაოდენცა უმეტესი შრომაჲ თავს-იდვა. ეგრეთვე
 სულნი, რომელნი უწინარეს აღსასრულისა დავარდენ შრომა-
 თაგან, ამაო იქმნა ღუაწლი მათი, ამისთვისცა პავლე იტყოდა,
 ვითარმედ: „პატივი და დიდებაჲ მათა, რომელნი მოთმინებითა

საქმეთა კეთილთადათა რბიოდინან, რომელსაცა მოწაფეთათს იქმს აწ ქრისტე“.¹ რამეთუ, ვინადათ გან შეიწყნარნა იგინი და იგინი სიხარებდეს მის თანა, და მერმე მოიწია ჟამი ვნებისა და სიტყუანი იგი მწუხარებისანი ესმოდეს და ეგულებოდა სიხარულისა მათისა დაქსნად. ამისთვისცა, ვინადათ გან მრავალნი სიტყუანი მიუთხრნა მათ და ნუგეშინის-სცა, მერმე ჰრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ამას გეტყოდე თქუენ, რაათა სიხარული ჩემი თქუენ თანა ეგოს და სიხარული თქუენი სავსებით იყოს“ (15,11). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ არა განმეშორნეთ მე, არცა დაქსნათ სრბადა თქუენი. რამეთუ გიხაროდა თქუენ ჩემ თანა და ფრიად მხიარულ იყვენით, არამედ მოიწია მწუხარება, გარნა აწ მე დაეპქსნი მას, რაათა აღსასრულამდე სიხარული იგი თქუენ თანა იყოს“. და უჩუენებს მათ, ვითარმედ არა მწუხარებისა ღირს არს ჟამი იგი, არამედ სიხარულისა. რამეთუ გიხილენო დაბრკოლებულნი და არა უგულებელს-გყავ, არცა თუ ვთქუ: „რად არა ჰგიან ახოვნებით?“ არამედ გრქუენ თქუენ სიტყუანი ნუგეშინის-ცემისანი. ეგრეთვე მნებავს, რაათა დაგიცვენე სიყუარულსა ზედა. გესმა თქუენ მეუფებისათს და სუფევისა და გიხაროდა, რაათა სიხარული თქუენი სავსებით იყოს, ამისთვის გარქუ თქუენ ესე ყოველი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ესე არს მცნება ჩემი, რაათა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ“ (15,12). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა სიყუარულსა ღმრთისასა, ვითარ შეერთებულ არს ჩუენისა სიყუარულისა. ამისთვისცა ოდესმე ორთა მცნებათა იტყვს და ოდესმე — ერთსა, რამეთუ შეუძლებელ არს, უკუეთუმცა ერთი იგი ვისმე აქუნდა და არამცა შეორმ შეუდგა მას. რამეთუ ოდესმე იტყვს, ვითარმედ: „ამას ჰკიდავს შჯული და წინაწარმეტყუელნი“.² და ოდესმე იტყვს: „ვითარ გნებავს თქუენ, რაათა გიყოფდენ კაცნი, თქუენცა ჰყოფდით მათა მიმართ,³ „რამეთუ ესე არს შჯული და წინაწარმეტყუელნი“, და: „აღსარება შჯულისადა სიყუარული

¹ შდრ. ჰრომ. 2,7

² მათ. 22,40

³ იქვე, 7,12

არს¹, რომელსა აქაცა მოასწავებს, რამეთუ, უკუეთუ დადგრომა სიხარულისაჲ სიყუარულისაგან არს, ხოლო სიყუარული დამარხვისაგან მცნებათაჲსა იქმნების. ხოლო მცნებაჲ იგი არს, რაჲთა ვიყუარებოდით ურთიერთას. რამეთუ დადგრომაჲ ღმრთისა თანა ურთიერთას სიყუარულისაგან იქმნებაჲს. ხოლო არა ესრეთ ლიტონი სიყუარული თქუა, არამედ სახმცა მისი გამოაჩინა, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: „ვითარცა ძე შეგიყუარენ თქუენ“. კუალად გამოაჩინებს, ვითარმედ არა სიძულოლისაჲ არს წარსლვაჲ მისი მათგან, არამედ სიყუარულისაჲ. და უფროჲსად უქმდა განკვრებაჲ ამისთვის, რამეთუ „თქუენთვის სულსა ჩემსა დავსდებო“, არამედ ესრეთ არასადა თქუა ესე, ვითარ ამას ადგილსა, გარნა ზემორე იტყოდა მწყემსისა მისთვის კეთილისა, ხოლო აქა ასწავებს მათ სიყუარულსა და უჩუენებს სიდიდესა მისსა და თავსა თვისაჲცა გულისხმა-უყოფს მათ, თუ ვინ არს. ხოლო რაჲსათვის ყოველსა ადგილსა განადიდებს სიყუარულსა? ამისთვის, რამეთუ იგი არს სასწაული მოწაფეთაჲ. ესე არს აღმასრულებელი სათნობისაჲ. და ამას პავლე გამოაჩინებს, ვითარცა ერთგული მოწაფე ქრისტესი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ პყოთ, რომელსა გამცნებ თქუენ, არღარა გეტყვ თქუენ: „მონა“, რამეთუ მონამან არა უწყინ, რასა პყოფნ უფალი მისი. ხოლო თქუენ გარქუ: „მეგობარ“, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ“ (15,14-15). **თ ა რ გ მ ა ნ ი** : ვითარ უკუე ეტყოდა, ვითარმედ: „მრავალი მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ ვერ ძალ-გიც აწ ტვრთვად?“ რამეთუ არარას აწ სხუასა გულისხმა-გყოფს სიტყუთა ამით, რომელ თქუა, ვითარმედ: „ყოველი, რაოდენი მესმა მამისაგან, გითხარ თქუენ“, არამედ ამას გამოაჩინებს, ვითარმედ: „არარას უცხოთა ვიტყვ, არამედ ყოველსავე მამისასა“. და ვინამთგან ესე არს სახმ სიყუარულისაჲ, რაჲთა საიდუმლოთაჲცა მიუთხრობდეს, ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „საიდუმლონიცა მიუთხრობიან თქუენდა“. ხოლო რაჲამს „ყოველი“ თქუას, რო-

¹ კრომ. 13,10

² იოან. 16,12

შელი ჯერ-იყო მათა სმენად, მათ იტყუს და მერმე სხუასაცა სახესა სიყუარულოსასა უჩუენებს და იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „არა თქუენ გამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ“ (15,16): **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: „მე სიყუარული თქუენი ვიძიე“, და არცა ესე კმა იყო, არამედ თქუა, ვითარმედ: „დაგადგინენ თქუენ“, ესე იგი არს, ვითარმედ: „დაგნერგენ“, რამთა თქუენცა წარხვდეთო, ვითარმედ განჰვრცელდეთ, და ნაყოფი გამოიღოთ, და ნაყოფი თქუენი ეგოსო. ხოლო უკუეთუ ნაყოფი ეგოს, არამცა უფრომსად თქუენ ეგენითა? რამეთუ არა თუ ოდენ შეგიყუარენო, არამედ ქველისმოქმედებანიცა დიდნი გიჩუენენ, რამეთუ განვჴვენ რტოთა თქუენთა და ნაყოფსა ყოველსა ქუეყანასა.

ჰხედავა, რაოდენითა სახითა აჩუენებს სიყუარულსა თუსსა? ერთად, საიდუმლოთა მათ დაფარულთა თხრობითა; შეორედ, რამეთუ პირველად მან იძია სიყუარული მათი; მესამედ, რამეთუ დიდნი კეთილნი მიანიჰნა მათ; მეოთხედ, რამეთუ თავს-იდებდა მათთუს ვნებასა და ამათ საქმეთა მიერ აჩუენა, ვითარმედ უკუნისამდე მათ თანა ეგოს, რამეთუ შეწვევითა მისითა გამოიღებდენ ნაყოფსა და ამისთუს ეტყუს, ვითარმედ: „რამ-იგი სთხოვოთ მამასა ჩემსა სახელითა ჩემითა, მოგეცეს თქუენ“. ხოლო ვითარ არს ესე, რამეთუ მამასა სთხოვენ და სახელი ძისაჲ იქმს მიცემასა? გარნა რამთა სცნა ერთობაჲ იგი და სწორებაჲ ძისაჲ მამისა თანა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ამას გეტყუ თქუენ, რამთა იყუარებოდით ურთიერთას“ (15,17). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: „არა თუ ყუედრებით გეტყუ ამას, ვითარმედ სულსა ჩემსა დავსდებ თქუენთუს“, და ვითარმედ: „მე გამოგირჩიენ თქუენ“, არამედ ყოველსავე ამისთუს გეტყუ, რამთა იყუარებოდით ურთიერთას. ხოლო ვინამთგან მრავალთა შიერ ღვენულებაჲ, ყუედრებაჲ ძნელ არს სასმენელად და შემძლებელ არს მადლისაცა გონებისა დამდაბლებად და შეწუხებად, ამისთუს ქრისტემან მრავალნი ნუგეშინის-ცემისა სიტყუანი მიუთხრნა პირველ და ესრეთ მოვიდა ამის პირისა თქუმად. ვინამთგან წინამსწარ დააწყნარნა სულნი მათნი და ესრეთცა გამოაჩინა მრავლით კერძო, ვითარმედ მათისა უმჯო-

ბესისათვის არიან, ვითარცა სხუანი იგი საქმენი. რამეთუ, ვითარცა გამოაჩინა, ვითარმედ სიხარული უკმს და არა მწუხარებად მამისა მიმართ მისლვისა მისისათვის, რამეთუ არა თუ დაუტობდა, არამედ ფრიადისა მათისა სიყუარულისათვის იქმნოდა ამას. ეგრეთვე აქა გამოაჩინებს, ვითარმედ სიხარული უკმს და არა მწუხარებად. და იხილე, ვითარ ქმნა ესე, რამეთუ არა ჰრქუა, თუ: „ვიცი, ვითარმედ შესაწუხებელ არს საქმე ესე, არამედ ჩემთვის თავს-იღვეით“, რამეთუ ესე ვერ კმა-იყო ნუგეშინისსაცემელად, არამედ გამოაჩინა, ვითარმედ, უკუეთუ სოფელი სძულობს, ესე სათნობისა მათისა სახე არს, რამეთუ: „უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენითო, სოფელიმცა თვსთა ჰყუარობდა“,¹ არამედ, „ვინაფთგან არა სოფლისაგანნი ხართ, ამისთვის გძულობს თქუენ სოფელი“. და მერმე კუალად შესძინებს და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თვისისა, უკუეთუ მე მდევნეს, თქუენცა გდევნენ“ (15,20). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამით გამოაჩინა, ვითარმედ უფროჲს მიმსგავსებულ შისა იქმნენ. და ვიდრემდის კორცთა შინა იყო ქრისტე, შისა მიმართ იყო ყოველივე ბრძოლაჲ, ვინაფთგან, უკუე ქრისტე მიიცვალა ამიერ, ყოველივე ბრძოლაჲ მათა მიიქცა. და ესე არს ნუგეშინის-ცემად მათი, რამეთუ მიმსგავსებულ უფლისა მათისა იქმნებოდეს. ხოლო კუალად მესამეცა ნუგეშინის-ცემად მისცა და მოასწავა, ვითარმედ მამადცა შეურაცხ იქმნებოდა მათ თანა და ამისთვის ჰრქუა მათ: „ესე ყოველი გიყონ თქუენ სახელისა ჩემისათვის, რამეთუ არა იციან მოძაგლინებელი ჩემი“.² და მერმე კუალად სხუადცა ნუგეშინის-ცემად მისცა, რამეთუ გამოაჩინა, ვითარმედ შეურაცხისმყოფელნი მათნი ბოროტსა სატანჯველსა მიეცემიან. და ამისთვის თქუა, ვითარმედ: „უკუეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვადმცა არა აქუნდა, ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდვათა ძათათვის. რომელსა მე ვსძულდე, მამადცა ჩემი სძულდეს“.³ და არამცირესა საშჯელსა მათსა მოასწავებს ამის სიტყვსა

¹ იოან. 15,19

² იოან. 15,21

³ იოან. 15,22—23

შიერ, რამეთუ, ვინაფითგან იგინი მიზეზობდეს და იტყოდეს, ვითარმედ: „მამისათჳს ვსდევნით მას“, ამისთჳს თქუა ესრეთ უფალმან, ვითარმედ: „არა აქუს მიზეზი ცოდვისა მათისათჳს, რამეთუ სიტყუთ ვასწავე კეთილი და საქმით ვქენ შჯული-საებრ მოსესისა“. და ამას ზედა თვთ იგინი მოწამე არიან, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: „არასადა ესევითარი გამო-ჩინებულ არს ისრაჳლსა შორის“,¹ და ვითარმედ: „საუკუ-ხითგან არა სმენილ არს, თუ აღუხილნა ვინ თუალნი ბრძად 'შობილისანი'“. ² ხოლო რაათა არა თქუან, ვითარმედ: „რა-სათჳს შენცა და ჩუენცა გუდევნიან?“ ამისთჳს პირველვე პრქუა, რამეთუ: „არა ხართ სოფლისაგან, ვითარცა მე არა ვარ ჭოფლისაგან. უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფე-ლიმცა თჳსთა ჰყუარობდა, ხოლო კუალად, რაათამცა არა თქუეს, ვითარმედ: „უკუეთუ შენ გდევნიდეს, და ჩუენცა გუ-დევნიდენ, და: უკუეთუ სიტყუად შენი არა დაიმარხეს, და ამისთჳს არცა ჩუენი დაიმარხონ, უკუეთუ შენ ჰქმნენ სასწა-ულნი მათ შორის, რომელნი სხუამან არავინ ქმნა, და არა პრწმენა, უკუეთუ სძულ შენცა და მამამცა შენი, რადასათჳს ჩუენ შთაგუყრი ჳელთა მათთა? ანუ რად ირწმუნონ ჩუენი?“ და რაათა არა იტყოდინ ამას ყოველსა, ამისთჳს პრქუა მათ სიტყუად ნუგეშინის-ცემისად:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რაჟამს მოვიდეს ნუგეშინისმცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჳეშმარიტებისად, რომელი მამისა ჩემისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს. და თქუენცა მოწამე ხართ, რამეთუ დასაბა-მათგან ჩემ თანა ხართ“ (15,26-27). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იგი სარწმუნო იყოსო, რამეთუ სული არს ჳეშმარიტებისად“, ამისთჳს უწოდა „ს უ ლ ა დ ჳ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ა“, რა-მეთუ ყოველივე უწყის მან, ვინაფთგან მამისაგან გამოვალს, ვითარცა-იგი თავისა თჳსისათჳს იტყოდა: „ვიცი, ვინაფთგან შოვალ, ანუ ფიდრე ვალ“, ხოლო „რომელი მე მოგივლინო“, — აჰა, ესერა, არა მამად ოდენ არს მომავლინებელ სულისა, არა-შედ ძმცა,³ — და „თქუენცა მოწამე ხართ, რამეთუ ჩემ თანა

¹ მათ. 0,33

² იოან. 9,32

³ მათ. 9,33

ყოფილ ხართ და გიხილავ მე. არა თუ სხუათაგან გასმიეს ჩემთვის“. ამისთვის მოციქულნი უკუანამსვენელ იტყოდეს, ვითარმედ: „რომელნი-იგი ვკამდით და ვსუემდით მის თანა“.¹

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ამას გეტყოდე თქვენ, რამთა არა დაჰბრკოლდეთ“ (16,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, რამთა, რაჟამს იხილნეთ, ვითარმედ მრავალნი არა გისმენდენ, არამედ გტანჯვიდენ თქვენ, არა დაჰბრკოლდეთ, არამედ გეჯსენენ სიტყუანი ესე, ვითარმედ მე გარქუ თქვენ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მოვალს უამი, რამთა ყოველმან, რომელმან მოგწყუდნეს თქვენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა“ (16,2). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** „ესრეთ შეჰრაცხოხო მოკლვად თქუენი, ვითარცა კეთილი რამე და სათნოა საქმს“, და მერმე ნუგეშინის-ცემაჲცა მისცა მათ და ჰრქუა, ვითარმედ: „ესე გიყონ თქუენ, რამეთუ არა იციან მამაჲ ჩემი, არცა მე“.² კმა არს ესე ნუგეშინისმცემელად თქუენდა. რამეთუ ჩემთვის და მამისა ჩემისათს მოიწოდის ესე ყოველი თქუენ ზედა, ვითარცა პირველ გეტყოდე, ვითარმედ: „ნეტარ იყვნეთ, რაჟამს გღევნიდენ და გყუედრიდენ და თქუან ყოველა ბოროტი თქუენდა მიმართ სიცრუით ჩემთვის. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ იყოს ცათა შინა“.³

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ამას გეტყოდე თქვენ, რამთა, რაჟამს მოიწოდის უამი იგი, მოიჯსენოთ, რამეთუ ესე გარქუ თქუენ“ (16,14). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: „ოდეს ესე ყოველი იქმნას, მაშინ სცნათ, ვითარმედ ყოველივე სიტყუად ჩემი ჰუმბარიტ იყო და ამისთვის გარქუ, რამთა არა მოულოდებელად მოიწიოს და შეგაშფოთნეს თქუენ და, რამთა არა იტყოდით, ვითარმედ: „არა წინამსწარ ვიცოდეთ ყოველივე მომავალი“. იჯსენებდეთ უკუე, ვითარმედ მე გარქუ თქუენ, და ვითარმედ ჩემთვის გიზმენ ყოველსავე და მამისა ჩემისათს, და რამეთუ მეცა ესრეთ მიყვეს, და რამეთუ ყოველივე უჯრობით არს და უშჯულოდ საქმს მათი“.

¹ იოან. 9,32

² იოან. 16,3

³ მათ. 11,12

ვითარმედ ჭერ-არს სულგრძელებით თავს-დებამ
ქრისტესთვის მოწევნულთა ჳირთა და მოწყალებისათვის

და აწ ჩუენცა, საყუარელნო, უამსა განსაცდელისასა ამას ყოველსა ვიკსენებდეთ და ვხედვიდეთ წინამძღუარსა მას და სრულმყოფელსა სარწმუნოებისა ჩუენისა იესუს და ვითარმედ სახელისა მისისათვის არს ყოველივე. და უკუეთუ ამას ვიკსენებდეთ, ყოველივე ადვილად აღგზინდეს, რამეთუ, უკუეთუ მეგობართათვის იჳირვინ კაცი და უხარინ, ხოლო რომელსა ღმრთისათვის ევნებოდის, ვითარ არა უხაროდის, რამეთუ, უკუეთუ იგი საქმესა მას საყუედრელსა ჳუარს-ცუშმისასა ჩუენთვის დიდებად უწესს, არა უფრომსად ჩუენ გვღირსა ესრეთ ჳმნამ? ხოლო უკუეთუ ტანჯვათამ ესრეთ გვღირს თავს-დებამ და უგულუბელს-ყოფამ ქრისტესთვის, რამ ვყოთ ჩუენ, რომელნი არცა საფასეთა და ანგაჳრებასა უგულუბელს-ვაყოფთ? ამისთვის გვღირს უკუე, რამთა, რაჳამს ჳირი რამე იყოს ჩუენ ზედა, არა ჳირსა მას გულისხმა-ვაყოფდეთა, არამედ მისთვის მომავალსა სასყიდელსა და გვრგვნსა? ვითარცა იგი ვაჳარი არა გზათა სიშორესა იგონებნ, არამედ შესაძინელსა, ეგრეთვე ჩუენცა გვღირს, რამთა ვიგონებდეთ სასუფეველსა ცათასა და ღმრთისა მიმართ კადნიერებასა. ეგრეთვე უკუე სიტკობებამ ცოდვისამ მოგივდეს რამ, მოიკსენე სატანჯველი საუკუნომ და წარჯდეს გემომ იგი. და კუალად უკუეთუ ძნელ-გიჩნდეს სათნოებამ, შეჳმოსე ჳირსა მისსა საუკუნომსა მის ძოსაგებელისა განსუენებამ და ადვილად აღგიჩნდეს, რამეთუ სრულნი იგი არღარა სასყიდელისათვის, არამედ თვნიერ მისაცა შუენიერ-უჩნს სათნოებამ და იჳმან მას ამისათვის, რამეთუ ღმერთსა ესრეთ ჳნებავს, ხოლო რომელი უძღურ იყოს, იგი გვრგვნთაცა მოიგონებდეს; ეგრეთვე მოწყალებასა ზედა ვაყოფდეთ და ნუმცა შეურაცხ-ვაყოფთ ძმათა ჩუენთა, რამეთუ თჳემულ არს, ვითარმედ: „რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს“, ვიდრემღის, მ, კაცნო, მკეტთა ვჳბაძავთ უწყალოებითა და ბუნებასაცა ჩუენსა უმეცარ ვართ. გულისხმა-ვყოთ ღღმ იგი, რაჳამს წარვდგეთ წინაშე ქრისტესა, რაჳამს

ვეძიებდეთ წყალობასა და შორის შემოიყვანნეს ქრისტემან იგინი, რომელნი ჩუენ უგულებელს-ვყვენით და არა ვყავთ წყალობაჲ მათ ზედა, და გურქუას ჩუენ, ვითარმედ: „რად-იგი არა უყავთ ერთსა ძმათა ჩემთაგანსა, მე არა მიყავთ“, რამეთუ მაშინ არღარა გლახაკნი ჰყოფდენ სიტყუასა, არამედ მათ წილ ღმერთი გუეტყოდის, ვითარცა-იგი არღარა ლა-ზარე ეტყოდა მდიდარსა მას, არამედ მის წილ აბრაჰამ, ეგ-რეთვე იყოს გლახაკთა მათ ზედა, რომელთა ჩუენ შეურაცხ-ვყოფთ, რამეთუ მაშინ ჩუენ ვიყვნეთ საწყალობელ და გლახაკ. და რამე სიტყუაჲ მიუგოთ მას, რომელმან-იგი ჩუენ ცად აღმიყვანნა, ხოლო ჩუენ პურსაცა არა მივსცემთ მას, რომელი-იგი პატიოსანსა ჯორცსა და სისხლსა მისსა შოგუცემს, ხოლო ჩუენ არცა სასუმელსა ერთსა მიუპურობთ მას? არა ვხედავთა, ღმერთმან ყოველივე ზიარად მოგუცა და, უკუეთუმცა ვიეთნიმე გლახაკ არიან საფასათა, ესეცა მდი-დართათჳს არს, რადთა მოწყალებითა მათითა აღიძარცუნენ ცოდვანი? ხოლო შენ, რომელი-ეგე ამას არარას ზედა ეს-რეთ უსახურ ხარ, საცნაურ არს, ვითარმედ, უკუეთუმცა უმე-ტესი რამე კელმწიფებაჲ გაქუნდა, ბევრეულნიმცა კლვანი ჰქმნენ და ნათელიმცა და ცხოვრებაჲცა დაიშურვე სხუა-თათჳს. ვიდრემდის იყო შენ მდიდარ და იგი გლახაკ? ვიდრე მწუხრამდე, რომელ არს სიკუდილი, და მერმე არღარა, რამე-თუ ესრეთ უნდოჲ არს ცხოვრებაჲ ესე და სიკუდილი კართა ზედა არს. რად სარგებელ გეყოფის მრავალთა მათ საუნჯეთა და მონაგებთაგან? რად არა არიან ბევრეულნი ქადაგნი მოწყ-ალებისა შენისანი? რამეთუ საფასეთა ეგე საუნჯენი მტერთა განვიმრავლებენ, ხოლო რომელი-იგი გლახაკთა მისცე, იგი ღმერთისა მიიწიოს და ცოდვათა დამქსნელ გექმნეს და ღმრთი-სამიერი დიდებაჲ და კაცთაგან პატივი მოგეტყუას. რადსათჳს უკუე ესრეთ ავნებ თავსა შენსა? რამეთუ მოწყალებითა თავ-სა შენსა არგებ უფროსად, ვიდრედა მათ, რამეთუ მათ ჯორციელად არგებ, ხოლო თავსა თჳსსა საუკუნესა კადნიერე-ბასა და დიდებასა მოატყუებ, რომელსა ღირმსცა ვართ ყო-ველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა. ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: „ესე თქუენ პირველითგან არა გარქუ, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ, ხოლო აწ მივალ მომავლანებელისა ჩემისა, და არავინ თქუენგანი მკითხავს, თუ: „ვიდრე ხუალ?“ არამედ ამას რაჲ გეტყოდე თქუენ, მწუხარებაჲმან აღავსნა გულნი თქუენნი“ (16,4—6).

დიდ არს მწუხარებისა მძლავრებაჲ და დიდი ახოვნებაჲ გულის ამის ვნებისა წინააღდგომად და რაჲთა, რომელი-რაჲ არს მის თანა, საკმარი იგი მოვიღოთ და სხუაჲ დაუტევოთ, რამეთუ აქუს საკმარიცა რაჲმე. რაჲამს ცოდვათათუს ვწუხდეთ, მაშინ კეთილ არს, ხოლო რაჲამს კაცობრივთა ჳირთა შევცვვეთ, მაშინ უკმარ არს მწუხარებაჲ, და ამისთუს; ვინაჲთგან ჳირსტეს მოწაფენი ჳერეთ სრულებისა საზომსა ვერ მიწვევულ იყვნეს და ესე ვნებაჲ მწუხარებისაჲ ებრძოლა, იხილე, ვითარ ნუგეშინის-სცემს უფალი, რამეთუ რომელ-ხი-იგი პირველ ფრიად ჳკითხვიდეს, ვითარ-იგი პეტრე ჳრქუა: „უფალო, ვიდრე ხუალ?“ და თომა ჳრქუა: „არა უწყით, ვიდრე ხუალ“, და ფილიპე ჳრქუა: „გვჩუენე ჩუენ მამაჲ შენი“. მათ ესმა რაჲ, ვითარმედ: „კრებულისაგან განგასხნენ“; და: „რომელმან მოგწყუნდეს თქუენ, ჳგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა“, ესრეთ შეძრწუნდეს თქუმულთა მათ ზედა, რამეთუ სიტყუასაცა ვერ ეტყოდეს, და ახლსთუს ჳრქუა უფალმან ყუედრებით, ვითარმედ: „ესე პირველითგან არა გარქუ თქუენ, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ, ხოლო აწ მივალ მომავლანებელისა ჩემისა, და არავინ თქუენგანი მკითხავს მე: „ვიდრე ხუალ?“ არამედ ამას რაჲ გეტყოდე თქუენ, მწუხარებაჲმან აღავსნა გულნი თქუენნი“, რამეთუ ვიცოდე პირველითგანო, და არა თუ არაცებნისათუს არა გითხრობდი, არამედ რამეთუ თქუენ თანა ვიყავ“. ხოლო ვითარ არა ჳრქუა პირველითგან? არა ეტყოდაა ათორმეტთა, ვითარმედ: „წინაშე მეფეთა და მთავართაჲსა მიგიყვანდენ თქუენ და გტანჯვიდენ?“ ვითარ უკუე იტყუს, ვითარმედ: „პირველითგან არა გარქუ?“ გარნა ტანჯვანი და ძვრნი ეთქუნეს პირველცა, ხოლო ესე არა ეთქუა, თუ მოკლვაჲ მათი ესრეთ დიდად შერაცხილ იყოს, ვითარცა მსხუერპლისა შეწირვაჲ

ღმრთისა, რამეთუ ამან უფრომსად შეაწუხნა, რაჟამს ესმა, თუ, ვითარცა ძვრისმოქმედნი და უწყალონი, მოწყუედად არიან. გინა თუ ესეცა არს, რამეთუ მაშინ წარმართათუ¹ ოდენ იტყოდა? ხოლო აწ ჰრქუა, ვითარმედ: „ჰურიათაცა ესრეთ გიყონ“, და ვითარმედ: „ახლოს არს საქმე იგი“. ხოლო რაჟამათს აწ ჰრქუა მათ და არა მაშინ, ოდეს სული წმიდაჲ მოვიდა, არამედ, რაჟათა სცნა, ვითარმედ ფრიად სათხოვბითა სავსენი იყვნეს. რამეთუ უკუეთუ ჯერეთ სული წმიდაჲ არა მოსრულ იყო მათდა და არავე ივლტოდეს მისგან. ამათ ესევეითართა სიტყუათათს გულისხმა-ყავ, თუ ვითარნიცა იყვნეს, რაჟამს მოიღეს სული წმიდაჲ, რამეთუ, უკუეთუცა შემდგომად სულისა მოსლვისა ასმიოდამცა და თავს-ედვა ესე ყოველი, ვთქუთმცა, თუ მადლი იგი იქმოდა ყოველსავე. ხოლო აწ ყოველივე ესე ნაყოფი მათისა გონებისაჲ არს და სასწაული არს ცხადი ქრისტეს მიმართ სიყუარულისაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ვითარმედ მე ჭეშმარიტსა გეტყოდნ თქუენ“ (16,7). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილე, ვითარ ნუგეშინისსცემს მათ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „არა თქუენისა მოძადლებისათს ვიტყვ, არამედ, დაღაცათუ ბევრეულგზის შესწუხნეთ, მე უმჯობესსა თქუენსა გეტყვ, რამეთუ თქუენი ნებაჲ ესე არს, რაჟამცა თქუენ თანა ვიყავ, არამედ უმჯობესი არა ესრეთ არს, რამეთუ, უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინისმცემელი იგი არა მოვიდეს“. იხილე აქა ჯელმწიფებაჲ იგი სულისაჲ, ვითარ დიდ არს, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ წარვიდე, მოგივლინო იგი თქუენ, და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა“, ესე იგი არს, ვითარმედ: „ჩემ მიერცა ჯმრთლნი საქმენი კმა არიან პირისა დაყოფად უკეთურთა და მიზეზისა მოწყუედად, ხოლო ოდეს იგიცა მოვიდეს და ქმნეს ესრეთვე, და სწავლანი უმეტესნი და სასწაულნი დიდნი, მაშინ უმეტესისა საშჯელისა თანამდებ იქმნენ, რაჟამს ჰხედვიდენ, ვითარმედ იგი ყოველი სახელითა ჩემითა იქმნებოდის, რამეთუ აწ იტყვან, ვითარმედ. „ხურომსა ძმ არს, რომლისა მამაჲ და დედაჲ ჩუენ ვიციით“,¹ ხოლო რაჟამს იხილონ სახელითა ჩემითა უკეთურებისა დევნულებაჲ, ბუნებათა კურ-

¹ შლრ. მათ. 13,55

სებად, ეშმაკთა სივლტოლად, მაშინ რად თქუან? რამეთუ წამა ჩემთვის მამამან, წამოს სულმანცა, დაღაცათუ პირველცა წამა, არამედ აწცა წამოს და ამხილოს სოფელსა ცოდვისათს. ესე იგი არს, ვითარმედ ყოველი მიზეზი მოუწყუდოს და გამოაჩინოს, ვითარმედ შეუნდობელად ცოდეს და დაამტკიცოს, ვითარმედ მე არასადა მიცოდავს და სიმართლისათს, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ და არღარა მხედვიდეთ მე, ესე იგი „არს“, ვითარმედ გამოაჩინოს უბიწოად იგი ცხოვრებად ჩუენი, რომლისა სახე არს მამისა მიმართ მისლვად, რამეთუ, ვინაფთვან ჰურიანი იტყოდეს, ვითარმედ არა ღმრთისა მიერ და ცოდვილი არსო, ამისთვის იტყვს, ვითარმედ ესეცა მიზეზი შოუწყუდოს და ამისთვისცა ამხილოს, რაჟამს მოვიდეს სული იგი წმიდად და გამოაჩინოს სიმართლც ჩემი და, ვითარმედ: „მაძისა თანა მისრულ ვარ და უკუნისამდე მის თანა ვიყო“, რამეთუ ამას მოასწავებს სიტყუად იგი, რომელი თქუა, ვითარმედ: „არღარა მხედვიდეთ მე“. იხილე უკუე, ვითარ ამის ორისა სახისა მიერ დაიკსნების მათი იგი ბოროტი იქვ, რამეთუ არცა სასწაულთა ქმნად არს ცოდვილისა, არცა ღმრთისა თანა ყოფად მარადის. და ამისთვის ვერღარა უძლონ თქუამდ, თუ „ცოდვილ არს“, ანუ: „არა ღმრთისაგან არს“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ხოლო საშჯელისათს, რამეთუ მთავარი ამის სოფლისა დაშჯილ არს“ (16,11). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** კუალად აქა სიმართლისა თვისისა სიტყუასა წარმოიღებს, რამეთუ, უკუეთუ დასაბამითვანთა წმიდათა ვერ უძლეს ამის საქმისა ქმნად, და მე ვქმენ და დავსაჯე მთავარი ამის სოფლისა, ვითარ იტყვიან, თუ: „ცოდვილი არს“? და: „არა ღმრთისაგან არს“? რამეთუ იტყვან ჩემთვის, თუ: „მატუერი არს და ეშმაკი არს მის თანა“, არამედ ამასცა ზედა მხილებად აქუნდეს, რამეთუ, უკუეთუმცა ესრეთ ვიყავ, ვითარმცა დავსაჯე მთავარი ამის სოფლისა?

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ფრიადლა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ არღარა ძალ-გიც ტვრთვად აწ, ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძლოდის ჭეშმარიტებასა ყოველსავე“ (16,12—13). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და რად არს უმეტეს შენსა? არსა სული, რომელ აწ ვერ ვიტვრთავთ, ხოლო ოდეს მოვიდეს, მაშინ ვიტვრთოთ? ნუ იყოფინ! რამეთუ იტყვს, ვი-

თარმედ: „თავით თვსით არარას იტყოდის, არამედ, რაოდენი ესმეს, მას იტყოდის და მომავალი გითხრას თქუენ, რამეთუ კოველი, რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს“. რამეთუ ვინაფთგან ჰრქუა, ვითარმედ: „მან გასწავოს ყოველი და მოგავსენოს და ნუგეშინის-გცეს“, და, ვითარმედ: „ჯერ-არს ჩემი წარსლვაჲ და მისი მოსლვაჲ“, და, ვითარმედ: „აწ ვერ იტვრთავთ, ხოლო მაშინ იტვრთოთ და გიძლოდის ჰეშმარიტებასა ყოველსა“, რაფთა არა ამის წმიდისაგან შეჰრაცხონ სული უმეტეს მისა და უშჯულოებად შთავარდენ, ამისთვის ჰრქუა: „ჩემგან მიიღოსო“, ესე იგი არს, ვითარმედ: „რასა მე ვიტყვ, მანცა იგივე თქუას“, ხოლო თუ: „თავით თვსით არას იტყოდის“, ესე იგი არს, ვითარმედ: „არარას წინააღმდეგობსა ჩემსა იტყოდის და უცხოსა ჩემთა სიტყუათაგან“, ვითარცა იგი თავისა თვისისათვის იტყოდა, ვითარმედ: „თავით თვსით არა ვიტყვთ“, ესე იგი არს, ვითარმედ: „არარას ვიტყვ უცხოსა მამისაგან“, ეგრეთვე სულისათვის იტყვს, ხოლო თუ „ჩემგან მიიღოს“, ესე იგი არს „ჩემისა გულისხმის-ყოფისაგან, რამეთუ ერთ არს გულისხმის-ყოფაჲ ჩემი და სულისა წმიდისაჲ და მომავალი გითხრას თქუენ“. რამეთუ ამას სურვიელ იყვენეს იგინი, ვინაფთგან ზედაჲსზედა ჰკითხვიდეს მომავალთა საქმეთა, ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „მან ყოველი მომავალი გითხრას“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მან მე მაღიდოს“ (16,14). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: „ყოველნი სასწაულნი სახელითა ჩემითა აღასრულნეს“. რამეთუ, ვინაფთგან უმეტესთა სასწაულთა ეგულებოდა ჰმნაჲ შემდგომად სულისა წმიდისა შოსლვისა, ამისთვის კუალად სწორებასა გამოაჩინებს და იტყვს, ვითარმედ: „მან მე მაღიდოს“. ხოლო რომელ იტყვს, თუ: „გიძლოდის ყოველსა ჰეშმარიტებასა“, რომელსა ჰეშმარიტებასა იტყვს? გარნა ამას, რამეთუ, ვინაფთგან უფალსა ეორცთა მათთვის, რომელ ემოსა და უძლურებისათვისცა მოწაფეთაჲსა და რაფთა არა თქუან, თუ: „თავსა თვისსა აქებს“, და ჰურიათათვისცა ვერ იტყოდა ზედაჲსზედა მაღალთა და დიდებისა თვისისა საქმეთა, ამისთვის იტყვს: „მან გითხრას ყოველი ჰეშმარიტი“, ხოლო რაფთამცა არა თქუეს, თუ: „შენ არა იცია ყოველი ჰეშმარიტი?“ ამისთვის შესძინა და ჰრქუა, ვითარმედ: „თავით თვსით არას იტყოდის, რამეთუ არაეინ იცის

ღმერთი, გარნა სულმანვე ღმრთისამან“, არამედ ჩემთა თქუ-
 ძულთაგან უცხოა არა რაა თქუას, რამეთუ ჩემგან მიიღოს,
 ვითარმედ ჩემთავე სიტყუათა მსგავსად იტყოდის, რამეთუ
 „ყოველი, რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს“. და იგი მამასა
 სიტყუთა იტყოდის, და ესრეთ საცნაურ არს, ვითარმედ ჩემ-
 თავე იტყუს. ხოლო რადასათუს პირველ ქრისტეს წარსლვისა
 არა მოვიდა სული წმიდა? გარნა, ვინაჲთგან წყევამ არა
 დაჯსნილ იყო და ცოდვამ არა ავოცალ, არა მოვიდოდა, რა-
 ძეთუ ჭერ-იყო პირველ მტერობისა დაჯსნამ და დაგებაჲ
 ჩუენი ღმრთისა მიმართ და ესრეთ ნიჭისა მის მოსლვამ;
 ხოლო რად იტყუს, თუ: „მოგივლინო“? ვითარ მოივლინებოს,
 რომელი-იგი ყოველგან არს? გარნა ესე იგი არს, ვითარ-
 ძედ განგმზადნეთ თქუენ ესრეთ, რაჲთა მოვიდეს იგი და
 სთნდეს თქუენ შორის ყოფამ. და კუალად ამისთუს თქუა ესე,
 რაჲთამცა გუამოვნებისა განყოფილებამ გამოაჩინა, რამეთუ
 ძალ-ედვა თავადსაცა მის ყოვლისა ქმნამ. არამედ ამისთუსცა
 ყო ესე, რაჲთა სულისაცა წმიდისა პატივი გულისხმა-ყონ,
 ვითარცა-იგი ძალ-ედვა მამასა არაარსთამ არსად მოყვა-
 ნებამ, არამედ ძემან მოიყვანნა. ეგრეთვე არს ესეცა, რამეთუ
 ხათლის-ლებასაცა შინა შემძლებელ არს სახელი მამისამ ოდენ,
 გინა ძისამ ანუ სულისა წმიდისამ ქმნად ყოველსავე, არამედ
 სამთავე სახელს-ვსდებთ, რაჲთა გულისხმა-ყოთ სამთავე პა-
 ტივისა ზიარებამ, გულისხმა-ყოთ უამსა მას კეთილთა მათ
 ზიარებისასა, უკუეთუ არა, რაჲთა სცნა, ვითარმედ ძესაცა
 ოდენ ძალ-უც ცოდვათა მოტევებამ და სულსა წმიდასაცა,
 ისმინე ძისათუს, ვითარ ეტყუს ჰურიათა, ვითარმედ: „ველძ-
 წიფებამ აქუს ძესა კაცისასა შენდობად ცოდვათა“, და კუა-
 ლად: „რაჲთა შვილ ნათლის იქმნნეთ“, და: „მე ცხოვრებამ
 საუკუნომ მივსცე მათ“, ხოლო სულისა წმიდისათუს, ისმინე,
 რასა იტყუს, ვითარმედ: „სული არს ცხოველყოფელი“, და:
 „სული არს ცხოვრებამ და სიმართლმ“. და მოციქული იტყუს:
 „არამედ განიბანენით, არამედ განიწმიდენით სახელითა უფ-
 ლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა და სულითა ღმრთისა ჩუე-
 ნისამთა“. ვინაჲთგან უკუე მამისათუს ფრიად ასმიოდა და ძისა
 ძრავალნი საქმენი ეხილვნეს, ხოლო სულისა წმიდისათუს ეს-
 რეთ არაარამ უწყოდეს, ამისთუს მოვიდა და ქმნნა სასწაულნი და

ძისცა მათ სრული გულისხმის-ყოფაჲ, რაჲთა ესრეთ იგუ-
იციან, არამედ კუალად, რაჲთა არა უზეშთაესად ძისა შუკ-
რაცხონ იგი, ამისთვის ჰრქუა, ვითარმედ: „რაოდენი ვამეს,
იტყოდის“; და ვითარმედ: „მე მადიდოს“. და არა თუ მას
სმენად და სწავლად უკმდა, რამეთუ, რაჲმცა ისმინა, რომელ-
სა ყოველივე ეტყუა წინადასწარმეტყუელთა მიერ, გინა თუ
დაკნისათვის შჯულისა, გინა თუ ღმრთეებისა მისისათვის და
განგებისა ყოველივე თქუმულ იყო მის მიერ?

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და მომავალი ვითხრას“ (16,15). **თ ა რ-
გ მ ა ნ ი :** აქა უფრომსად გამოაჩინებს პატრუსა მისსა, რამე-
თუ უფრომს ყოველთასა ესე არს თვისი საქმე — ღმრთი-
საჲ — თხრობად მომავალთა საქმეთაჲ, ხოლო, უკუეთუ მას-
ცა სხვსაგან ისწავლიდეს, რაჲ აქუს უმეტესი წინაწარმეტ-
ყუელთასა? არამედ აქა ქეშმარიტსა მას ღმრთისა მიმართ გუ-
ლისხმის-ყოფასა მოასწავებს, თუმცა სხუასა რასმე იტყოდა
იგი, ხოლო სიტყუად იგი, „რომელი ჩემგან მიიღოს და გითხ-
რას თქუენ“, ამას მოასწავებს, გინა თუ ფრიად მადლისა მის-
გან, რომელი მოვიდა ჩემთა ზედა ვორცთა, ანუ თუ გულის-
ხმის-ყოფისა მისგან, რომელი მე მაქუს, არა თუ ვითარმცა
უკმდა, ანუ სხვსა მიერ ისწავლიდა, არამედ ერთი არს და
იგივე ჩემიცა და მისი. ხოლო რაჲსათვის ესრეთ თქუა და
არა სხუაებრ? ამისთვის, რამეთუ სულისა წმიდისათვის ჭერო-
ვანი გულისხმის-ყოფაჲ არა აქუნდა და ამისთვის ერთისა მი-
მართ ოდენ საქმისა ილუწის, რაჲთა სარწმუნო ექმნას იგი მათ
მიერ და არა დაბრკოლდენ, რამეთუ, ვინაჲთგან ეტყოდა, ვი-
თარმედ: „ერთი არს მოძღუარი თქუენი, ქრისტე“, რაჲთა არა
ჰგონებდენ, ვითარმედ, უკუეთუ მას დაემორჩილნენ, ამას
ურჩ ექმნებიან, ამისთვის ეტყუს, ვითარმედ: „მისი და ჩემი
სწავლად ერთ არს, და რომლისაჲ მე მეგულებოდა თქუენდა
სწავლად, მისთვის გრქუას მანცა, და ნუ ჰგონებთ, ვითარმედ
ძისი სწავლად სხუად რაჲმე არს, რამეთუ ჩემი არს და ჩემსა
დიდებასა დაამტკიცებს იგი, რამეთუ ერთი ნებაჲ არს მაძისა
და ძისაჲ და სულისა წმიდისაჲ“. ეგრეთვე უკუე ჩუენიცა
ყოფაჲ ჰნებაეს უფალსა, ვითარცა იტყოდა: „რაჲთა იყვნენ
ერთ, ვითარცა მე და შენ, მამაო, ერთ ვართ“, და არა რაჲ
არს სწორ ერთობისა და სიყუარულისაჲ;

ერთობისათვის და სიყუარულისა

ხოლო ამით სახითა ერთი არა ერთი არს, არამედ მრავალი, რამეთუ უკუეთუ ერთსულ იყვნენ ორნი, გინა ათნი, არღარა ერთ არს ერთი იგი, არამედ ათწილად განმრავლდების თვთუ-ული მათი, და ჰპოვო ათთა მათ შორის ერთი იგი და ერთთა შორის ათნი იგი. და გინა თუ მტერი ჰყვეს, რომელი ერთსა ეტყოდის, ესრეთ არს, ვითარმცა ათთა ეტყოდა, რამეთუ არა ერთისა მიერ დაეცემის, არამედ ათთა პირთაგან. და უკუეთუ ერთი იგი მოუძღურდეს, არა მოუძღურებულ არს, რამეთუ ცხრანი იგი წილნი ცხოველ არიან და უძღურებასა მას მისსა ჰფარვენ. თვთუელსა მათგანსა ოცი თუალი აქუს და ოცი კელი და ფერკნი, და ეგრეთვე, რამეთუ არა თვისითა თუალითა ოდენ ჰხედავს, არამედ სხუათადაცა, არცა თვისითა ოდენ ფერკითა ტვრთულ არს, არამედ სხუათადაცა, არცა თვისითა ოდენ კელითა იქმს, არამედ სხუათადაცა, სულნი ჰქონან ათნი, რამეთუ არა თვთ ოდენ ზრუნავს თავისა თვისისა, არამედ სხუანიცა იგი მისთვის ზრუნავს. და უკუეთუ ასნი იყვნენ, ეგრეთვე იყოს მათშორის და აღორძინდების ძალი მათი. ჰხედავა სიყუარულისა საქმესა? ვითარ უძღვევლ-ჰყოფს და მრავალწილ ერთსა მას, ვითარ ერთსა ძალ-უც მრავალგან ყოფად, რაითა ერთი იგი იყოს სპარსეთსცა და ჰრომს. და რომელი ბუნებასა ვერ ძალ-უც, იგი სიყუარულსა ძალ-უც, რამეთუ ერთი ნაწილი მისი აქა არს და ერთი — მუნ და უფროსად ყოვლითურთ, რომელი აქა და ყოვლითურთ მუნ, და უკუეთუ ასთა შორის შევიდეს ძალი სიყუარულისადა და ორ ათასთა, გულისხმა-ყავ, თუ სადა გარდაემატოს ძალი სიყუარულისადა. ჰხედავა აღორძინებასა სიყუარულისასა? რამეთუ საკურველი ესე არს, რამეთუ ათასეულ-ჰყოფს ერთსა, რადასათვის უკუე არა მოვიგებთ ამას ძალსა, რაითა ესრეთ უშუენიერეს ვიყვნეთ? და ესე ყოვლისა სიმდიდრისა უაღრეს არს, ყოვლისა სიმართლისა და ყოვლისა კეთილისა უმჯობეს, ესე ნათლისადა უმჯობეს არს, ესე სიხარულისა მომატყუებელ არს, ვიდრემდის ერთსა და ორთა თანა შევაიწრებთ სიყუა-

რულსა. ხოლო გულისხმა-ყავ წინააღმდეგობისა, ვითარმცა იყო ვინმე, რომელსა არცა ერთი ესუა მოყუარჳ, რომელი-ესე საქმჳ არს უკუანადასკნელისა უგუნურებისაჲ, ვითარი უკუე ყოფად არს ცხოვრებაჲ მისი? რამეთუ დადაცათუ ბევრეულ-გზის მდიდარი იყოს და შუებასა შინა და განცხრომასა, არცა ერთი რაჲ აქუს კეთილთაგანი, არამედ ყოვლისაგანეე ში-შუელ არს და ოკერ, ხოლო რომლისა მოყუარენი მრავალნი იყვნენ, იგი დადაცათუ გლახაკი იყოს, მდიდართასა უმდიდ-რეს არს, და რაოდენსა თუთ ვერ შემძლებელ იყოს თქუამად გინა ქმნად, მეგობართა მათ მიერ შეუძლოს და ფრიადისა სხარულისა და განსუენებისა მომატყუებელ არს საქმჳ იგი და უშიშობისა, რამეთუ შეუძლებელ არს ბოროტისა რაჲსამე შოწევნად მის ზედა, რომლისა მცველი სიყუარული იყოს. და არა არიან ესრეთ კეთილად მცველნი იგი მეფისანი, ვი-თარ ესე, ვინაჲთგან იგინი იძულებით იქმან საქმესა მას და ზინით, ხოლო ესე ნეფსით და ყოვლითა მოსწრაფებითა და მას მცველთა მათგანცა ეშინის, ხოლო აქა არაჲაჲ არს ესე-ვითარი. მოვიგოთ უკუე კეთილი ესე საქმჳ და მოვივაჳროთ კეთილი ესე ვაჳრობაჲ გლახაკთა მიერ, რაჲთა იყოს ნუგეში-ხისმცემელ სიგლახაკისა და მდიდართა, რაჲთა უშიშობაჲ აქუნდეს, მთავარი, რაჲთა კეთილად მთავრობდეს და მსახური, რაჲთა მთავარი კეთილად ჰხედვიდეს მას. ესე სიმჴუდისა მი-ზეზი არს, ესე სახიერებისა საქმჳ, რამეთუ მკეცნიცა, რო-მელნი არა არიან ერთმანერთისა მოყუარე, გინა არიან უფ-რომსად ბოროტ და ველურ, რამეთუ ამისთვის ქალაქთა შინა მკუდრ ვართ და უბანნი არიან, რაჲთა ჴრთიერთას შეეკრბე-ბოდით და არა იყოს მარტოებისაგან უყუარულობაჲ. ხოლო უკუეთუ ვინ თქუას, ვითარმედ: „და რაჲ სთქუა მონაზონ-თათუს, რომელნი მათთა შინა მყოფ არიან?“ არამედ გუ-ლისხმა-ყავთ, ვითარმედ მათ ნორის დიდ არს სიყუარულისა საქმჳ და ერთობისაჲ და ამბოხებათა მათგან სოფლისათა იელტიან, ხოლო ერთსულ მრავალთა მიმართ არიან და კეთი-ლად შეერთებულ, და უფრომსად ამისთვის განეშოვრნეს სოფ-ლისა საქმეთაგან, რაჲთა ესე წარჰმართონ, რამეთუ, ვინაჲთ-გან კდომაჲ და შური საქმეთათუს, სოფლისათა შობს სიძუ-ლილსა, ამისთვის იგინი განეშოვრნეს ამის ყოვლისაგან და კე-

თილად იქმან სიყუარულსა, რამეთუ არა თუ მარტობასა შინა არა იქმნების სიყუარული სხუათა მიმართ, ვინაჲთგან არა საქმს არს მოქმედი სიყუარულისაჲ, არამედ გონებაჲ, გინა თუ მარტოდ ვინ იყოს, გინა ერსა შორის. და ამისთვისცა მარტოდ ძყოფთა მათ მრავალნი არიან მაქებელ, ხოლო, უკუეთუბცა არა უყუარდა, ვითარმცა აქებდეს? და იგინი კუალად ყოველსა სოფლისათჳს ილოცვენ, რომელი-ესე დიდი სახს არს სიყუარულისაჲ. ამისთვისცა ჟამისა წირვასა ამბორს-უყოფთ ურთიერთას, რაჲთა მრავალნი ვიქმნეთ ერთ და ვძყოფთ კათაკუმეველთათჳს ლოცვასა. ესე არს მიზეზი ყოველთა კეთილთაჲ, უკუეთუ იგი შევიტკბოთ, ამასცა სოფელსა კეთილად განვაგოთ ცხორებაჲ ჩუენი და სასუფეველსა ცათასა მივემთხვენეთ, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად ძადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ო თ

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: „მცირედლა, და არა მხედვიდეთ მე, და კუალად მცირედლა, და მიხილოთ მე, რამეთუ მივალ მამისა ჩემისა“. თქუეს მოწაფეთა ურთიერთას: „რაჲ არს, რომელსა მეტყჳს ჩუენ: „მცირედლა, და არლარა მხედვიდეთ მე?“ (16,16—17).

სულსა, მწუხარებითა და ურჯითა შეპყრობილსა, არა რაჲ ესრეთ დაჰქსნის, ვითარ მწუხარებისა მომატყუებელნი სიტყუანი, რაჲამს ზედაჲსზედა ითქუმოდინ და რაჲსათჳს უკუე ქრისტემან თქუა რაჲ, ვითარმედ: „წარვალ და არლარა გეტყოლი თქუენ“, ზედაჲსზედა ეტყჳს მათ კუალად ამას, ვითარმედ: „მცირედლა, და არლარა მხედვიდეთ მე“, და კუალად: „მცირედლა, და მიხილოთ“ და: „მივალ მამისა ჩემისა“? რამეთუ, რაჲამს ნუგეშინი-სცა სიტყუათა მათ მიერ, სულისა წმიდისა თქუმულთა, კუალად აწ შეაწუხებს გონებათა მათთა, არამედ ამას ამისთვის იქმს, რამეთუ გამოსცდის გონებასა ძათსა და გამოაჯურვებს და დააჩუევს მათ კეთილად შემაწუ-

ნებელთა სიტყუათა სმენად, რამეთუ ახოვნად თავს-იღვან
 ძისი განშორებამ, რამეთუ, რომელთა სიტყუთ ფრიად იწუარ-
 თეს ესე, პირველვე მათ ეგულებოდა საქმითაცა თავს-დებად
 ძასა. ხოლო უკუეთუ ვინ კეთილად გულისხმა-ყოს, ესეცა
 ხუგეშინის-ცემამ იყო, რომელ თქუა, ვითარმედ: „მივალ მა-
 მისა“, რამეთუ ამით მოასწავებს, ვითარმედ სიკუდილი მისი
 ძიცვალება იყო და არა თუ ვნებამ რამე. და სხუამცა ნუ-
 გეშინის-ცემამ წინაუყო მათ, რამეთუ არა თქუა ესე ოდენ,
 ვითარმედ: „მცირედლა, და არღარა მხედვიდეთ მე“, არამედ
 ესეცა შესძინა, ვითარმედ: „მცირედლა, და მიხილოთ მე“, რა-
 ძეთუ გულისხმა-უყო, ვითარმედ მათვე მოსლვად არს და ვი-
 თარმედ მცირედ ჟამ იყოს განშოვრებამ მისა მთგან, ხოლო
 სამარადისო იყოს მათ თანა ყოფამ, ხოლო მათ ესე ვერ გულის-
 ხმა-ყვეს. და ამისთვის საკვრველ არს, ვითარმედ მრავალგზის
 ესმოდა ესე და ვითარმცა არა ესმოდა, ესრეთ იყვნეს. ხოლო
 რამსათვის ვერ გულისხმა-ჰყოფდეს? გარნა, ვითარ მე ვჰგონებ,
 ძწუხარებისა მისგან, რომელ აქუნდა, რამეთუ იგი დაავიწყებ-
 და სიტყუათა მათ, გინა თუ დაფარულებისათეს მათისა.
 ამისთვისცა ჰგონებდეს, ვითარმედ ორნი წინააღმდგომნი თქუ-
 ხა, რომელ-იგი არა წინააღმდგომ იყვნეს, რამეთუ იტყუან,
 ვითარმედ: „უკუეთუ გიხილოთ, სადა წარხუალ?“ „უკუეთუ
 წარხუალ, ვითარ გიხილოთ?“ ამისთვისცა იტყუან, ვითარმედ:
 „არა უწყით, რასა იტყუს, რამეთუ ესე უწყოდეს, ვითარმედ
 წარსლვამ ეგულებოდა, ხოლო ამას უმეცარ იყვნეს, თუ შემ-
 დგომად მცირედისა მოვიდეს მათ თანა. ამისთვისცა აბრალებს
 მათ, რამეთუ ვერ გულისხმა-ყვეს სიტყუამ იგი. რამეთუ ენე-
 ბა, რამთამცა სიტყუამ იგი, სიკუდილისათეს თქუმული, და-
 ამტკიცა მათ შორის. ამისთვის ჰრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ამენ, ამენ გეტყუ თქუენ, რამეთუ სტი-
 როდით და ჰგოდებდეთ, და სოფელსა უხაროდის“ (16:20).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე სიტყუანი არიან სიკუდილისათეს და
 ჭუარ-ცუმისა, რომელ მათისა ძწუხარებისა მომატყუებელ
 იქმნა, ხოლო „სოფელსა უხაროდისო“, ს ო ფ ლ ა დ აქა
 ერსა მას ამაოებისა მეძიებელსა იტყუს, რომელთა უხაროდა
 ამას ზედა, ხოლო მათ ვინამთგან არა უნდა სიკუდილი მისი,
 ამისთვის ადრე ირწმუნებდეს ამას, ვითარმედ არა მოკუდეს,

და მერმე ესმა რაჲ, ვითარმედ მოკუდების, იწყეს ცილობად და იკუად, რამეთუ არა იცოდეს, რაჲ არს იგი, ვითარმედ: „სტიროდით და სწუხდეთ, არამედ მწუხარებაჲ თქუენი სიხარულად გარდაიქცეს“, ხოლო თავადი უჩუენებდა, ვითარმედ „ვემდგომად მწუხარებისა სიხარული ყოფად არს და, ვითარმედ მწუხარებაჲ იგი ჰყოფს სიხარულსა და, ვითარმედ მწუხარებაჲ იგი მცირედ ჟამ არს, ხოლო სიხარული უკუნისამდე იყოს. ამისთვის იგავი სოფლისა საქმეთაგან მოილო და ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი“ (16,21). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იკმარებს იგავსა, რომელი წინაწარმეტყუელთაცა გარდამატებულებითსათუს სალმობათა მისთაჲსა მოიღეს მწუხარებათა დიდთა სახედ, ხოლო სიტყუად ესე ესევეითარი არს, ვითარმედ: „სალმობანი მოიწინენ თქუენ ზედა, ვითარცა შობადისანი, არამედ მწუხარებაჲ იგი შობადისაჲ სიხარულისა მიზეზ იქმნების. ეგრეთვე თქუენდა იყოს“. ხოლო ამათ სიტყუათა მიერ სიტყუასა მასცა აღდგომასა სარწმუნო-ჰყოფს და უჩუენებს, ვითარმედ ამიერ წარსლვაჲ ესევეითარი არს, ვითარმცა ივინ გამოიღდა საშოჲსაგან დედისა ნათელსა ამას, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „ნუ გიკვრს, რამეთუ მწუხარებისა მიერ ესევეითარისა მიგიყვანებ თქუენ უმჯობესისა მიმართ“, რამეთუ დედამცა, რაჟამს დედა იქმნებოდის შვილისა, ესრეთ მწუხარებით იქმნების და სხუასა საიდუმლოსა მოასწავებს აჟა, რამეთუ ამათ სიტყუათა მიერ უჩუენებს, ვითარმედ მან თავადმან დაჰქსნნა სალმობანი სიკუდილისანი და ყო შობაჲ ახლისა კაცისაჲ და არა თქუა, თუ: „გარდავდეს ოდენ ჰირი იგი“, არამედ ყოლადვე აქსოვდესცა, არაო, — ესევეითარი სიხარული მოვიდეს, ეგრეთვე იყოს წმიდათა ზედა და არა ამას ზედა უხარის დედაკაცსა, რამეთუ მოვიდა კაცი სოფლად, არამედ რამეთუ მას შვილი ესუა. უკუეთუმცა მას ზედა იხარებდა, არა დამაყენებელ არს, რაჲთამცა, სხუამან დედაკაცმანცა რაჟამს შვა, იხარებდესმცა, რომელთა არა ეშვა. ხოლო რაჲსათუს თქუა ესრეთ, ვითარმედ: „იხარებნ, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა“? რამეთუ იგავისა მისისა მსგავსი ამას ზედა ოდენ იყო, რაჲთამცა გამოაჩინა, ვითარმედ წარმავალი არს მწუხარებაჲ იგი და სამარადისო არს სიხარული და, ვი-

თარმელ ცხორებად მიცვალებად არს იგი და, რამეთუ დიდი სარგებელი იქმნების საღმობათა მათგან. და არა თქუა, ვითარმედ: „იშვა ყრმაჲ“, არამედ „კაცი“, რამეთუ აქა თუსსა აღდგომასა მოასწავებს და არა სიკუდილისა მიისსათუს, რომელსა ეღმობდა, ეგულებოდა შობად, არამედ მეუფებისათუს. ამისთუს არა თქუა, ვითარმედ: „ესუა მას შვილი“, არამედ: „იშვა კაცი სოფელსა შინა“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ხოლო თქუენცა აწ ჳირი გაქუს და მერმე კუალად გიხილნე თქუენ, და უხაროდის გულთა თქუენთა და სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან, და მას დღესა მე არა მკითხოთ“ (16,22-23). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** კუალად ამათ სიტყუათა მიერ არარას სხუასა დაამტკიცებს, გარნა ვითარმედ ღმრთისა მიერ არს, რამეთუ მაშინ სცნათო ყოველთა. ხოლო რაჲ არს ესე: „მე არარაჲ მკითხოთო?“ ესე იგი არს, ვითარმედ: „არა იყოს თქუენდა შუამდგომელი, არამედ კმა არს, რადთა სახელი ოდენ ჩემი სთქუათ და ყოველივე მიიღოთ“. და უჩუენებს ძალსა მას სახელისა თუსისა, რაჲამს არა ჳხედვიდენ მას და ოდენ სახელსა მისსა სახელ-სდვან, ყოველივე აღასრულონ. და მოიჯსენე, რაჲამს-იგი ილოცეს, ვითარმედ: „მოეც მონათა შენთა კადნიერებით ქმნად და სიტყუად სახელითა შენითა სასწაულთა“, და შეიძრა აღგილი იგი, სადა დგეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ამენ, ამენ გეტყუ თქუენ, უკუეთუ რამე სთხოვოთ მამასა ჩემსა, სახელითა ჩემითა, მოგეცეს თქუენ. აქამომდე არარაჲ გითხოვიეს სახელითა ჩემითა, ითხოვდით და მოიღოთ“ (16,23—24). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და ამათ სიტყუათა მიერ კუალად უჩუენებს, ვითარმედ უმჯობეს არს, რადთა იგი წარვიდეს, ვინაჲთგან მაშინ უმეტესად აღესრულებოდინ თხოვანი მათნი, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „ნუუკუე ჳგოხებთ, ვინაჲთგან არღარა თქუენ თანა ვიყო, სრულიადმცა დაგიტევენ, რამეთუ სახელმან ჩემმან უმეტესი კადნიერებაჲ მოგეცეს თქუენ“. ვინაჲთგან უკუე დაფარულ იყვნეს სიტყუანი იგი, ამისთუს ჳრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ამას იგავით გეტყოდე თქუენ: „ხოლო

მოვალს უამი, ოდეს არღარა იგავით გეტყოდი თქუენ“ (16,25).

თ ა რ გ მ ა ნ ი : „აჰა ესერა მოიწიოსო უამი, რაჟამს ყოველივე განცხადებულად გულისხმა-ჰყოთ“, რამეთუ იტყუს უამსაცა აღდგომისასა, ვითარმედ: „მაშინ განცხადებულად მამისა ჩემისათს გითხრა თქუენ“, რამეთუ ორმოცი დღჳ დაყო, მათ თანა რამ იქცეოდა შემდგომად აღდგომისა და ეტყოდა სასუფეველისათს ღმრთისა, და აწ შიშსა შინა ხართო და ჳერ კეთილად ისმენთ სიტყუათა მათ, ხოლო მაშინ, მიხილოთ რამ აღდგომილი და თქუენ თანა მყოფი, შეუძლოთ კადნიერებით სძენად ყოვლისავე“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მას დღესა შინა სახელითა მამისა ჩემისა მათ ითხოვოთ და არა გეტყუ თქუენ, თუ ვევედრო და ვჰკითხო მამასა ჩემსა, რამეთუ თუთ მამასა ჩემსა უყუართ თქუენ“ (16,26—27). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** „რამეთუ კმა არს სიყუარული ჩემი, რომელი გაქუნდეს შემწედ თქუენდა ყოვლისავე საქმისა მიმართ, რამეთუ მამამანცა ამისთს შეგიყუარნეს“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რამეთუ თქუენცა შემიყუარეთ მე და გრწამს: და ღმრთისაგან გამოვედ და მოვედ სოფლად. და კუალად დაუტეობ სოფელსა და მივალ მამისა“ (16,27-28).

თ ა რ გ მ ა ნ ი : რამეთუ ვინამთგან სიტყუა იგი აღდგომისა არამცირედ ნუგეშინის-სცემდა მათ, და კუალად იგი, რამეთუ: „ღმრთისაგან გამოვედ და მუნვე მივალ“, ამისთს ზედისზედა აქცევს სიტყუათა ამათ, ერთად, რამთა დაუმტკიცოს, ვითარმედ კეთილად ჰრწამს მათ, და მეორედ, რამთა გულისხმა-ყონ, ვითარმედ არარაჲ ძვრი მოიწიოს მათ ზედა. და რაჟამს ეტყოდა, ვითარმედ „მცირედლა, და არა მხედვიდეთ ძე“, და: „მცირედლა, და მიხილოთ ძე“, მაშინ სამართლად ვერ გულისხმა-ჰყოფდეს, ხოლო აწ არღარა, ვითარმედ რამ არს სიტყუა იგი, ვითარმედ: „მე არა მკითხოთ“? ესე იგი ჳრს, ვითარმედ: „არღარა მრქუათ მე, ვითარმედ: მიჩუენე მამაჲ შენი“, ანუ: „ვიდრე ხუალ?“ რამეთუ ყოველივე გულისხმის-ყოფაჲ სცნათ, ესრეთ იყოს თქუენი მამაჲ, ვითარცა მე, და მით სიტყუათა უმეტესად ნუგეშინის-სცეს მათ, რამეთუ ესმა, ვითარმედ: „მამისა მეგობარ იყვენეთ“, ამისთსცა ჰრქუეს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „აწ უწყით, რამეთუ ყოველი იცი“ (16,30).

თარგმანი: ჰხედავა, რამეთუ გონებათა მათთაებრ მიუგებდა ყოველსავე, რომელი მათცა აღიარეს?

სახარება: „და არა გიქმს, რაითა გკითხოს ვინმე“ (16,30). **თარგმანი:** ესე იგი არს, ვითარმედ: „პირველ სძენისა იცი, რომელსა ზედა დავბრკოლდებით, ანუ რომელსა ზედა აღვეშენებით, და განგვსუენე ჩუენ, ვინამთგან სთქუ, ვითარმედ: „მამასა უყუართ თქუენ, რამეთუ თქუენ შეძიყუართ მე“. ესე ვითართა და ესეოდენტა საქმეთა ზედა აწლა თქუეს, ვითარმედ: „ვიციით, რამეთუ ყოველი იცი“. ჰხედავა, ვითარ არა სრულებასა შინა იყენეს, არამედ ჭერეთ უძღურ? და ვითარმცა მოიმადლებდეს მას, პრქუეს, ვითარმედ: „აწ ვიციით“, ხოლო უფალმან პრქუა მათ:

სახარება: აწ სამე გრწამს: აჰა, მოვალს უამი, და მოწვევულ არს, რაითა განიბნინეთ კაცად-კაცადი ადგილად თჳსა და მე მარტო დამიტყოთ, და არა ვარ მარტო, რამეთუ მამამ ჩემ თანა არს (16,31—32). **თარგმანი:** რამეთუ, ვინამთგან მათ თქუეს, ვითარმედ: „აწ ვიციით“, ამისთვის ეტყუს, ვითარმედ: „სხუად ფრიადი სწავლად გიქმს, რამეთუ ჭერეთ არარა იციით, არამედ ფრიად გაკლს სისრულისაგან, რამეთუ აწ მიმცეთ მე მტერთა მარტო და თქუენ განიბნინეთ ფრიადისა მის შიშისაგან და ესეოდენმან შიშმან შეგაბყრენეს, რამეთუ ზოგადცა ვერ ივლტოდით, არამედ განიბნინეთ. და ჩემ ზედა ამის მიერ არარა ძკრი მოიწიოს“. ჰხედავა, ვითარ კუალად სიმდაბლისა არს ზიტყუად ესე და ამისთვის აბრალეებს, ვითარმედ მარადის სიმდაბლისა სიტყუანი უქმან მათ, რამეთუ, ვინამთგან იტყოდის, ვითარმედ: „აჰა ესერა, განცხადებულად გუეტყვ და იგავსა არცა ერთსა იტყვ, და ამისთვის გურწამს“, უჩუენებს, ვითარმედ ჭერეთ ჭერისაებრ არა პრწამს, არცა მიითუალავს სიტყუათა მათთა. ხოლო ესე ამისთვის თქუა და სხუსა უამისა მიმართ მიაველენდა მათ, ვითარმედ: „მამამ ჩემი ჩემ თანა არს“, მათთვისვე თქუა, რამეთუ ზე და ქუე ამისი ეგულეობდა ცნობად და მერმე უჩუეხებდა, ვითარმედ ჭერეთ სრული გულისხმის-ყოფად არა მიუცემიეს მათა ამათ სიტყუათა მიერ, არამედ რაითა ოდენ გონებანი მათნი დააწყნარენეს, რამეთუ ნუუკუედა იგონებდეს-

ძცა კაცობრივთა რათამე სიტყუათა, ვითარმედ: „არა ვპოვოთ მის მიერ შეწევნაჲ“. ამისთვის პრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „მას გეტყოდე თქუენ, რაათა ჩემ თანა მშუდობაჲ გაქუნდეს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევის სოფელსა“ (16,33). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს: „რაათა არა აღმოჰფხურნეთ გონებათა თქუენთაგან სიტყუანი ესე, რამეთუ, დაღაცათუ სოფელსა შინა იყვნეთ, ჳირი გაქუნდეს, არა აწ ოდენ, რაჟამს მივეცემი, არამედ შემდგომად ამისცა, გარნა მკნე იყვნით გონებითა თქუენითა, რამეთუ არარაჲ ბოროტი მოიწიოს თქუენ ზედა, რაჟამს მოძლუარი სძლევდეს მტერთა, მოწაფეთა არა უკმს შიში, რამეთუ მითქუამს პირველვე, ვითარმედ მთავარი სოფლისაჲ დამიცემიეს და კუულადცა სცნათ, რაჟამს ყოველნი გამორჩილობდენ თქუენ“.

ს წ ა ვ ლ ა ე ო თ

მ ო თ მ ი ნ ე ბ ი ს ა თ ვ ს

შესაძლებელ არს უკუე ჩუენ მიერცა ძლევაჲ, უკუეთუ გუენებოს სასოებითა წინამძღურისა მის სარწმუნოებისა ჩუენისაჲთა და ვიდოდით გზასა მას, რომელი მან წარვლო. და ესრეთ ვერცა სიკუდილმან მძლოს ჩუენ და არა თუ არა მოვკუდეთ, ნუვინ იტყუს, ვითარმედ: „უკუეთუ მოვკუდეთ, არა მძლე ვართ სიკუდილისა“. რამეთუ მკედარიცა მაშინ არს ახოვან, რაჟამს ჳბრძოდინ და იგი სძლევდეს, და არა თუ რაჟამს არა ებრძოდინ მტერნი. და ჩუენ მაშინმცა ვიკვენით მოკუდავ, უკუეთუმცა სრულიად მას შინა დავადგრებოდეთ. და ჩუენცა უკუე არა ვართ ამისთვის მოკუდავ, რომელ მას შინა შევალთ, არამედ ვინაჲთგან არა დავადგრებით მას შინა, ამისთვის უკუდავ ვართ. ხოლო, უკუეთუ ვინ განხრწნასა კორცთასა იტყოდის, არა განხრწნებიან ესრეთ, რაათა მარადის ხრწნილ იყვნენ, არამედ რაათა უმჯობეს იქმნენ. ვსძლოთ უკუე სოფელსა, მივილტოდით უკუდავებად, შეუდგეთ მეუ-

ფესა, ადვადგინოთ ჩუენცა ძლევაჲ, შეურაცხ-ვეყნეთ გულს-
ოქუმანი, მივიცვალნეთ ზეცად სულნი ჩუენნი, ესრეთ იძ-
ლიოს ყოველი სოფელი ჩუენ მიერ. უკუეთუ შეურაცხ-ვეყო
იგი, ძლეულ არს, უცხო ვართ ჩუენ და წარმავალ. ნუმცა რას
ზედა უკუე მწუხარე ვართ სოფლისა საქმესა, რამეთუ, და-
დაცათუ მდიდარი იყავ და დიდებული და წარხუედმცა ქუე-
ყანასა უცხოსა, სადა არავინ გიცნობს, და მუნცა გაგინეს,
არამცა გეტყივნა შენ. ვითარ შენსა მას ქალაქსა შინა, უკუეთუ
გაგინოს ვინ. არამედ მას უცხოსა ქუეყანასა თავს-იდებ შიძ-
შ-ლსაცა და წყურილსა და ყოველსავე ქირსა. ეგრეთუე უკუე
აჲ შოიგონე, ვითარმედ უცხოჲ ხარ და წარმავალი, და ნუმცა
რამ შეგაწუხებს ამას უცხოსა ქუეყანასა, რამცა მოიწიოს შენ
ზედა, რამეთუ ქალაქი გაქუს, რომლისა მაშენებელი და შე-
ძოქმედი ღმერთი არს, და მწირობაჲ ესე მცირედ ჟამ არს,
თავს-იდებდი უღმობელად გინებასა, ცემასა და ყოველსავე
ქირსა, რამეთუ უცხოებასა ვართ. ბოროტი იგი არს, უკუეთუ
მას ქუეყანასა და მათ მოქალაქეთა წინაშე ვიყვნეთ შეურაცხ,
იგი არს ფრიადი უშუერებაჲ და დიდი დაჭირვებაჲ, ხოლო
სადა მეცნიერი არავინ ესუას, მუნ ყოველსავე ადვილად თავს-
იდებს. ამისთვის უკუე ნუმცა რად შეგვრაცხიეს ამას სოფლისა
ქირი, რამეთუ მრავალნი ცოდვისათუს მრავალსა ქირსა და
შრომასა შინა არიან და თავს-იდებენ მას ყოველსა ეშმაკ-
თათუს, ხოლო ჩუენ ღმრთისათუს არა თავს-ვიდვათა? და რა-
მეთუ სათნოებაჲ სავსე არს ყოვლითვე დაწყნარებითა. რა-
მეთუ ნაყოფი სულისაჲ არს სიყუარული, სიხარული, მშუდო-
ბაჲ, სულგრძელებაჲ და მსგავსნი ამისნი, არასადა გუქმს
წარსაგებელი უსარგებლოჲ, არცა ყუედრებანი წარსაგებელსა.
მას თანა, არამედ, დადაცათუ სასუმელი ერთი გრილისა.
წყლისაჲ წარვაგოთ ღმრთისათუს, სასყიდელი მისი არა და-
გუჭირდეს, არამედ გარდამეტებულად მოგუეცეს და ღმერთი
მადლიერ იყოს ჩუენდა. ხოლო, ვინამთგან ესე ყოველი ეს-
რეთ არს, რამ სიტყუაჲ მიუგოთ ჩუენ უფალსა, უკუეთუ ამას
დაუტეობდეთ და წინააღმდგომსა მას მივსდევდეთ და ნეფსით-
ჩუენით შთავსთხევდეთ თავთა ჩუენთა ცეცხლსა გეჭენისასა?
ამისთვის გვედრები: განიფრთხვეთ და განიკურნენით სულნი
თქუენნი ამის სენისაგან სულიერისა და ნუვინ წარიკუეთს

სასოებასა, რამეთუ შეიღმანცა უძღებმან ფრიადი ბოროტა ქმნა, არამედ ვინაფთგან მოიქცა სახლადვე მამისა თვისისა, პირველივე პატივი მიეცა. ჩუენცა უკუე ვჰბაძვიდეთ მას და მამისა მისვე სახიერისა მივიქცეთ და განვთავისუფლდეთ ტყუეობისა მისგან, რაფთა მივემთხუნეთ სასუფეველსა ცათასა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა არს დიდებამ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ჰ

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე: ამას იტყოდა იესუ, და აღიხილნა თუაღნი ზეცად და თქუა: „მამაო, მოიწია უამი ჩემი, აღიდე ძმ შენი, რაფთა ძემანცა გადილოს შენ“ (17,1).

იტყუს უფალი: „რამეთუ რომელმან ქმნას და ასწავოს, დიდ ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა“, და სამართლადცა, რამეთუ სიტყვთ სიბრძნისმეტყუელებამ ადვილ არს, ხოლო საქმით ჩუენებამ კეთილისამ დიდ არს. ამისთვისცა ქრისტე ძვრუქსენებლობისათუს რამ ასწავებდა, თავსა თვისსა სახედ-ჰყოფდა საქმისა მის. და კუალად აწ შემდგომად სწავლისა ლოცვად მიიქცა, რაფთამცა გუასწავა ჩუენ, რაფთა უამსა განსაცდელისასა ყოველსავე დაუტევობდეთ და ღმრთისა მივივლტოდით, რამეთუ, ვინაფთგან თქუა, ვითარმედ: „სოფელსა შინა ჰირი გაქუნდეს“, და შეწუხნეს იგინი, აწ ლოცვისა მიერ კუალად მხიარულ-ჰყოფს, რამეთუ ჭერეთ ვითარცა კაცსა ჰხედვიდეს და მათთვის ქმნა ესე, რამეთუ ვითარცა ლაზარეს ზედა ილოცა და თქუა მიზეზი, ვითარმედ: „ერისა ამისთვის ვთქუ, რაფთა ჰრწმენეს, ვითარმედ შენ მომავლინე მე“. ხოლო უკუეთუ ვინ იტყოდის, ვითარმედ: „ჰურიათა წინაშე სამართლად ქმნა ესე, ხოლო მოწაფეთა წინაშე რადლა იქმს?“ არამედ აქაცა კეთილად ქმნა, რამეთუ, რომელნი-იგი შემდგომად ეგეოდენთა საქმეთა იტყუს, ვითარმედ: „აწ ვიცით, რამეთუ ყოველივე უწყი“, მათ უკმდა, რაფთამცა განემტკიცნეს უფროფს ყოველთამსა. და კუალად ესეცა იხილე, რამეთუ მახარებელი ლოცვადცა არა სახელ-სდებს

საქმესა ამას, არამედ იტყვს, ვითარმედ: „აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად“, მამისა მიმართ სიტყვსა ყოფად სახელ-სდებს. ხოლო უკუეთუ სხუასა ადგილსა იტყვს მუქლთა მოდრეკასა და ეგრეთ აღხილვასა თუალთასა, ნუ შემოთონები, რამეთუ ამის ყოვლისა მიერ ვისწავებთ, თუ ვითარ მჭურვალედ ჭერ-არს აღსრულებად ლოცვისად, რაითა ზეცად ვხედვიდეთ არა კორციელთა ოდენ თუალითა, არამედ სულითაცა, რაითა შოდრკეთ მუქლთა შემუხრვილებითა გონებისადთა. რამეთუ შოვიდა ქრისტე არა თავისა თჳსისა ჩუენებად ოდენ, არამედ სწავლადცა სათნოებისა დიდისა, ხოლო, რაითა ასწავლიდეს არა სიტყვთ ოდენ, არამედ საქმითცა, ვისმინოთ უკუე, რასა იტყვს აქა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მამაო, მოიწია უამი ჩემი, აღიდე ძმ შენი, რაითა ძემანცა გადიდოს შენ“ (17,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** კუალად მიჩუენებს ჩუენ, ვითარმედ არა უნებლიადთ მოვალს ვნებად, რამეთუ ვითარმცა მოვიდა უნებლიადთ, რომელი ილოცვიდა ამისა ქმნად და დიდებად სახელ-სდებდა საქმესა მას, არა თჳსად ოდენ დიდებად, რომელი ჭუარს-ეცუშოდა, არამედ მამისადცა? რამეთუ ესრეთცა იქმნა და არა ძმ ოდენ, არამედ მამადცა იდიდა, რამეთუ პირველ ჭუარს-ცუმისა არცა ჰურიათა იცოდეს იგი, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ის-რაჰლმან მე არა მიცნა“, ხოლო შემდგომად ჭუარს-ცუმისა ყოველმან სოფელმან იცნა. და მერმე იტყვს სახესა მას დიდებისასა, თუ ვითარ აღიდოს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ვითარცა მოეც მას კელმწიფებად ყოველთა კორციელთად, რაითა ყოველი, რომელი მოეც მას, მისცეს მათ ცხოვრებად საუკუნოდ“ (17,2). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ქველისმოქმედებად მარადის დიდებად არს ღმრთისად; ხოლო რად არს სიტყუად ესე, ვითარმედ: „ვითარცა მიეც მას კელმწიფებად ყოველთა კორციელთად“? გამოაჩინებს, ვითარმედ არა ჰურიათა თანა ოდენ შეწყუდებულ არს ქადაგებად იგი, არამედ ყოველსა სოფელსა განეფინების და მოასწავებს ცხოვრებასა წარმართთასა, რამეთუ, ვინაითგან თქუა, ვითარმედ: „გზასა წარმართთასა ნუ წარხუალთ“, და ეგულეობდა ამისა შემდგომად თქუმად, ვითარმედ „წარვედიდთ და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“, გამოაჩინებს, ვითარმედ მამასა ესრეთვე

ჰნებავს, რამეთუ ესე ფრიად დააბრკოლებდა ჰურიათა და მოწაფეთა არა შეუნდობდეს ადვილად ლოცვისა შეხებად მათ თანა, ვიდრემდის მოიღეს სწავლაჲ იგი სულისა წმიდისაჲ.

და რაჟამს იერუსალჴმდ მოვიდა პეტრე, ძლით შეუძლო განრომაჲ ამითა ბრალობათაგან თხრობითა მით ტილომსათა. ხოლო რაჲ არს სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „მოეც მას კელმწიფებაჲ ყოველთა კორციელთაჲ“? ვჰრქუათ მწვალებელთა, ვითარმედ: „ოდეს მიიღო მათ ზედა კელმწიფებაჲ პირველ დაბადებისა მათისა, ანუ შემდგომად დაბადებისა?“ რამეთუ იგი იტყვს, ვითარმედ „შემდგომად განკორციელებისა და აღდგომისა“, და მაშინ იტყვს: „მომეცა ყოველი კელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“. რაჲ არს უკუე სიტყუაჲ ესე? ნუუკუე არა აქუნდაა ველმწიფებაჲ თვსთა დაბადებულთა ზედა, რომელმან დაჰბადნა, კელმწიფებაჲ არა აქუნდა და ვითარ? რამეთუ ყოველივე საუკუნითგან მან ქმნა და პირველთა მათ ეამთა რომელთამე სტანჯვიდა ცოდვისათვს და რომელთამე პატივ-სცემდა სათნოებისათვს? ანუ მაშინ აქუნდა კელმწიფებაჲ და მერმე მიეღო და კუალად მიეცა? და რომელმანმცა ეშმაკმან თქუა ესე? ხოლო უკუეთუ მაშინცა და აწცა იგივე კელმწიფებაჲ აქუნდა; რამეთუ. ვითარცა მამაჲ აღადგინებს ძკუდართა და ცხოველ-ჰყოფს, ეგრეთვე ძმ, რომელთაჲ ენებოს, ცხოველ-ჰყოფს. და ვინაჲთგან ესე ყოველი ესრეთ არს, რაჲ არს სიტყუაჲ იგი, რომელ თქუა, რაჟამს წარავლენდა წარმართთა მიმართ? არამედ ამისთვს, რაჲთა არა ჰგონებდენ, ვითარმედ ამო არს სიტყუაჲ იგი სიტყვსა მისთვს, რომელი პირველ თქუა, ვითარმედ: „არა მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათთვს წარწყმედულთა ძეთა ისრაჴლისათა“. და უჩუენებს ამისთვს, ვითარმედ მამასაცა ესრეთვე ჰნებავს. ხოლო, უკუეთუ სიმდაბლისა სახითა ესრეთ თქუა, ნუ გიკვრს, რამეთუ ყოველსავე იქმოდა მათთვს, რაჲთამცა უფრომსად აღაშენნა, რამეთუ იგინი მას ზედა აღეშენებოდეს. და კუალად შემდგომად მათ ნათესაეთა დაარწმუნებდა გარდამატებულე-ბითა მით სიმდაბლისაჲთა, ვითარმედ უძლურებისათვს მსმენელთაჲსა იტყორდა. ხოლო რაჲ არს ესე, ვითარმედ: „ყოველთა კორციელთა“? რამეთუ არა თუ ყოველთა ჰრწმენა,

გარნა ესე არა ამისი არს ბრალი, არამედ მათი, რომელთა არა ისმინნეს სიტყუანი მათნი. რომელთაცა ისმინნეს, ცხოვ-
ნდეს, ხოლო რომელთა არა ისმინნეს, მათ ნეფსით წარწყმიდ-
ნეს თავნი თვსნი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რამთა ყოველი, რომელი მოეც მას, მისცეს მათ ცხორებამ საუკუნომ“ (17,2). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხუ გეკვრს ესე, რამეთუ კაცობრივ იტყვს აქა, რამეთუ პირ-
ველთქუმულთა მათ მიზეზთათჳს იქმს ამას, რამეთუ მარადის
ეკრძალებოდა თქუმად თავისა თვისისათჳს დიდი რამმე სიტ-
ყუამ უძლურებისა მისთვის მსმენელთაჲსა, რამეთუ არა აქუნ-
და მისთვის მაღალი მეცნიერებამ. ხოლო იოვანე ოდეს
თავით თვსით იტყოდის, მაშინ არლარა ესრეთ იქმს, არამედ
უმადლესისა მიმართ აღიყვანებს სიტყუასა თვსსა და იტყვს,
ვითარმედ: „ყოველივე მის მიერ იქმნა და თვნიერ მისა არცა
ერთი რამ იქმნა, რაოდენი-რამ იქმნა“, და ვითარმედ: „ცხო-
რებამ იყო, და თვსთა თანა მივიდა“, და არა თქუა, თუ: „მი-
ილო კელმწიფებამ, არამედ უფროჲსად იტყვს, ვითარმედ:
„მისცა კელმწიფებამ სხუათა შვილ ღმრთისა ყოფად“. და
პავლე ეგრეთვე იტყვს, ვითარმედ: „„სწორ ღმრთისა“, ხოლო
თავადი კაცობრივ ითხოვს და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რამთა ყოველი, რომელი მიეც მას, მის-
ცეს მათ ცხორებამ საუკუნომ, რამთა გიცოდინა შენ მხოლოდ
ქეშმარიტი ღმერთი, და რომელი მოავლინე, — იესუ ქრისტე“
(17,2—3). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** „მ ხ ო ლ ო მ ქ ე შ მ ა რ ი ტ ი
ღ მ ე რ თ ი“ თქუა სხუათა მათ ღმერთთა წარმართთათჳს, რო-
მელნი არა ღმერთ არიან, არამედ ეშმაკ, რამეთუ ეგულებოდა
მათ წარმართთა მიმართ. ხოლო შენ რასა იტყვ, მწვალებელო
ბოროტო, ვითარმედ ძმ არა ქეშმარიტი ღმერთი არსა? ზ,
დაბნელებულო! ესე სიტყუამ კერბათათჳს თქუა წინააღმდეგო-
მად მათა, ვითარმედ მხოლოდ ქეშმარიტი ღმერთი და არა თუ
ძმ არა ქეშმარიტი ღმერთი არს, რამეთუ ძმ თვთ ქეშმარი-
ტება არს, და ვითარმცა არა ღმერთი იყო ქეშმარიტო, რამე-
თუ ფრიად უზეშთაეს არს თქუმად, ვითარმედ: „თვთ ქეშმარი-
ტება არს“, ვიდრე თუ: „ქეშმარიტი კაცი არს“. ეგრეთვე ძმ,
ვინაჲთგან თვთ ქეშმარიტი არს, ვითარმცა არა ქეშმარიტი
ღმერთი იყო? ანუ ვითარ ჩუენ ღმერთ-ყოფს, უკუეთუ თვთ

არა ჭეშმარიტი ღმერთი არს? არამედ ამის პარისათვის სხუასა ადგილსა გამოძიებითრე გვთქუამს. ამისთვის შემდგომსა სიტყუასა ვიტყოდით:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე გადიდე შენ ქუეყანასა ზედა“ (17,4).
თ ა რ გ მ ა ნ ი : კეთილად თქუა, ვითარმედ: „ქუეყანასა ზედა“, რამეთუ ცათა შინა დიდებულ იყო, რომელსა ბუნებით აქუნდა დიდება ღმრთეებისა და ანგელოზთა მიერ თაყუახის-იცემებოდა. არა უკუე მას დიდებასა იტყვს, რომელი ბუნებით აქუს, რამეთუ იგი, დაღაცათუ არავინ იყოს მადიდებელი, სავსებითევე ჰგიეს, არამედ ამას დიდებასა იტყვს, რომელი კაცთა მსახურებითა იქმნების. და ამისთვის იგიცა სიტყუად, ვითარმედ: „მადიდე მე“ — ესევითარივე არს, რამთა სცნა, ვითარმედ ამას ესევითარსა დიდებასა იტყვს, ისმინე შემდგომიცა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „საქმე შენი აღვასრულე, რომელი მომეც, რამთა ვყო“ (17,4).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ჯერეთ ოდენ დასაბამი აქუნდა საქმესა, და უფრომსად არცა დასაბამი, რამეთუ არცა ჯუარს-ცუმული იყო ჟამად, და ვითარ იტყვს, ვითარმედ: „აღვასრულე?“ არამედ გინა თუ ამას იტყვს, ვითარმედ: „ჩემი აღმისრულებიეს“, ანუ ყოფადსა, ვითარცა ქმნულსა, იტყოდა, ანუ უფრომსად ესე ვთქუათ, ვითარმედ, ვინამთგან ძირი იგი კეთილთა დაწერგულ იყო, ვითარმცა ყოველივე ქმნულ იყო. რამეთუ ამას ძირსა შეუდგეს ნაყოფიცა და, რომელ ეგულეობდა შემდგომად მისა ყოფად, ყოველი მას შეუერთა. ამისთვის კუალად სიმდაბლით იტყვს, ვითარმედ: „რომელი მომეც მე, რამთა ვყო“, რამეთუ, უკუეთუ იცოდა სმენად და სწავლად, ფრიად უღარეს იყო ესე დიდებასა მისსა, რამეთუ ესე მრავალგნით საცნაურ არს, ვითარმედ თვისთა ნებითა მოვიდა ამის საქმისა მომართ, ვითარცა პავლე იტყვს: „ესრეთ შემიყუარნა ჩუენ, რამეთუ მისცა თავი თვისი ჩუენტვს“, და ვითარმედ: „თავი თვისი დაიკნინა და ხატი მონებისა მოილო“, და კუალად თავადი იტყვს: „ვითარცა შემიყუარა მე მამამან, ეგრეთვე შეგიყუარენ თქუენ“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა შენ მიერ უწინარეს სოფლისა ყოფისა“. (17,5).
თ ა რ გ მ ა ნ ი : კაცთა შორის არა გა-

ქუნდა დიდებამ სამოსლისა მისთვის კაცებისა, არამედ ღმრთისა მიერ ითხოვ დიდებასა? რამ არს უკუე სიტყუამ ესე? არამედ გულისხმა-ყავთ, ვითარმედ განგებულებისა მისისათვის არს სიტყუამ ესე, რამეთუ არღა დიდებულ-ყო ბუნებამ იგი ჯორცთამ, არცა აქუნდა უხრწნელებამ, არცა ზიარებულ იყო საყდარსა მას სამეუფოსა. ამისთვისცა არა თქუა, თუ „ქუეყანასა ზედა მადიდე“.

ს ვ ა ვ ლ ა მ კ

სიმდიდრისათვის და სიგლახაკისა

ესევეითარი უკუე დიდებამ ჩუენცა ვპოვოთ საზომისაებრ ჩუენინა, უკუეთუ ვილუაწოთ. ამისთვისცა მოციქული იტყუს: „უკუეთუ მის თანა ვივნოთ, მის თანაცა ვიდიდნეთ“. ხოლო ჩუენ ბევრეულთა ცრემლთა ღირს ვართ, რომელთა წინა-გუც ესეოდენი დიდებამ, და ჩუენ უღბებისა ჩუენისათვის დავი-ჭირვებთ ამას ყოველსავე, რამეთუ, დაღაცათუმცა არა იყო გეჰენიამ, საწყალობელ ვართ, რომელთა-იგი გუაქუს ჯელ-მწიფებამ, რამთა, უკუეთუ გუენებოს, ვსუფევდეთ ძესა თანა ღმრთისასა და ჩუენ დაკლებულ-ვეყნეთ თავნი ჩუენნი ამის ყოვლისაგან, რამეთუ, დაღაცათუმცა ასოეულად ჭერ-იყო დაჭრამ და ბევრეულითა სიკუდილითა სიკუდილი და ბევრე-ულთა სულთა მიცემამ, და ესეზომთა ჯორცთა მის დიდებისათვის არაფე იყო. ხოლო აწ ჩუენ საფასეთაცა არა შეურაცხ-ჯჰყოფთ მისთვის, რომელთაგან შემდგომად მცირედისა უნებ-ლიამთცა განშოვრებად ვართ, არა უგულუბელს-ვეჰყოფთ სა-ფასეთა, რომელნი-იგი ბევრეულთა ბოროტთა შინა შთამ-თხევენ ჩუენ, რომელნი-იგი აქა დარჩებიან და არა ჩუენნი არიან. ხოლო ვინამთგან არა ამის დიდებასა დაჭირვებამ ოდენ წინამდებარე არს, არამედ გეჰენიამცა, მატლი დაუძინე-ბელი, დაუშრეტელი ცეცხლი და ღრქენამ კბილთამ, ვითარჰე თავს-ვიდვათ იგი ყოველი? ვითარ არა აღვიხილავთ თუალთა

ჩუენთა, არამედ მარადღე შფოთთა შინა ვართ და მხილებათა და სიტყუათა ამათა და მიწასა ვზრდით? რამეთუ კორცნი ესე მიწანი არიან, რომელთა ვაპონებთ, და სული უღებ-გვქმნიეს და ჭეშმარიტთა საქმართა არა ვეძიებთ, ხოლო ურგებთა მათ ვზრუნავთ და ბრწყინვალესა საფლავებსა აღვაშენებთ, და მოვიგებთ ტაძართა მრავალფასისათა, და სიმრავლესა მონათასა და მნეთა დავადგენთ ყოველთა ზედა მთავართა და მთავრისმთავართა, და სული ჩუენი ოჯრად დგას და ყოლადვე არა ვზრუნავთ მას. რამე ყოფად არს ამისა ყოვლითა დასასრული? არა ერთსა მუცელსა აღვაესებთა? არა ერთსა გუამსა შევიმოსთა? რამ არს ესეოდენი ესე ამბონებთა? რად აღვაოჯრებთ ერთსა მას სულსა, რომელი ხუდომალ არს ჩუენდა, და შეევაგინებთ მას და ბოროტსა მას მონებასა კორციელსა შთავადებთ? რამეთუ, რომელი მრავალსა ეძიებდეს, მრავალთა მონაჲ არს, დადაცათუ ჰგონებდეს, ვითარძედ ყოველთა უფალ არს, და იგი არს მონათა თვსთა მონა და თენიერ მათსა ვერაჲ ძალ-უც ქმნად და ესრეთ, ვინათგან ყოველსა ზედა იგინი ეკმარებიან, მონაჲ არს მათი. ვიცი, მეცინოდის ვინმე ამათ სიტყუათათუს, არამედ უფრომსად ამისთვის არიან საწყალობელ, რამეთუ არა უწყიან, ვითარძედ ესე მონებაჲ არს და არა უფლებაჲ. გენებამცა, რათამცა სხუად გაჭამებდა და გასუმიდა და თვთმცა ვერ ძალ-გედვა? არამცა საწყალობელად გიჩნდა საქმც იგი? ანუ უკუეთუძცა ვერ ძალ-გედვა სლვად, არამედ სხუანიმცა გიტჯრთვიდეს? ეგრეთვე უკუე არს ყოველი საქმც სოფლისაჲ, რამეთუ ანგელოზნი ამისთვის სანატრელ არიან, რამეთუ არა ეკმარებიან ესევითარნი ზრუნვანი, და ჩუენცა, რაოდენცა ნაკლულევიანებით ვიყვნეთ, ანგელოზთა ცხოვრებასა მივეახლებით, და რაზომცა მრავალთა ზრუნვათა მიერ შევიწორდებოდით, ამათსა ამას ცხოვრებასა და სოფელსა შინა დავინთქმით. რამეთუ იხილენ წყლითმანკიერნი, ოდეს უმჯობეს არიან; ოდეს ფრიადისა მისგან მჯურვალეებისა ვერ განძღებოდინ წყლითა, ანუ ოდეს მართალ იყვნენ და არა უკმდეს ესეოდენი? ჰკითხებერთა, რომელი ცხოვრებაჲ უმჯობესად აქუს, ოდეს ჰაბუკ იყვნეს და ძალ-ედვა სხუათაცა მსახურებაჲ, ანუ აწ, ოდეს მრავალნი ეკმარებიან მსახურნი? ჰხედავა, რამეთუ სიმრავლც

ყოველთაგან ამაო არს ჯორციელთა საქმეთა? ანუ უკუეთუმცა უსახლოდ ყოფიად განსასუენებელ იყო, არამცა გერჩია იგი. ვიდრე შრომაჲ სახლთა შენებისაჲ? არა ამისთვის ვანატრითა ადამს, რამეთუ არარაჲ ექმარებოდა, სამოთხეს რაჲ იყო — არცა სახლი, არცა სამოსელი, არცა სხუად რაჲ? ხოლო ჩუენ რაჲსა აღვაორძინებთ ანგაპრებასა და მონა მონათა ვიქმნებით? რამეთუ რაოდენცა ფრიად გუექმარებოდის, ეგეოლენცა აზნაურებასა შენსა დაქსნი? რამეთუ ჭეშმარიტი აზნაურებაჲ არს, რაჲთა არარაჲ ვის ექმარებოდის, ხოლო შემდგომი მისი არს, რაჲთა მცირედ ვის ექმარებოდის, რომელი უფრომსად ანგელოზთა აქუს. ხოლო, უკუეთუ ვინ მოკუდავითა ამით ჯორცითა წარჰმართოს, ესე დიდ არს, რამეთუ საქმარნი მოცემული არიან განსაჯომელად ჩუენდა და არა, რაჲთა დაგვმონენ. რამეთუ უკუეთუ განმრავლებასა მათსა ვეძიებდეთ, არლარა ჩუენ მათ მოვიგებთ, არამედ ჩუენ მათ ძოუგიეთ. განვერნეთ უკუე ამის ესევეთარისა მონებისაგან, მოვიგოთ უკუე ჭეშმარიტი იგი აზნაურებაჲ. რაჲსათუს მოვიპოვებთ ბევრეულთა საკრველთა? არა კმა არსა ბუნებისა იგი საკრველი ჩუენდა? არამედ სხუათაცა მოვიგებთ. ოდესმე შივიწინეთ კეთილთა მათ ცისათა, რამეთუ, ნეტარ, თუ ოდეს ყოველნი ესე საკრველნი განვხეთქნეთ და ესრეთცა შეუძლოთ ქალაქსა მას ზეცისასა მიწევნად, რამეთუ მრავალ არიან დამაყენებელ? განვეცნნეთ უკუე ესე საკრველნი, რაჲთა ესრეთ ვპოვოთ ცხორებაჲ საუკუნომ მადლითა და კაცთმოუუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი კ ა

ს ი ტ ყ უ ა ჲ ე ს ე: „გამოუცხადე სახელი შენი კაცთა, რომელნი მომცენ მე, სოფლისა ამისგანნი იყვნეს და მომცენ. და სიტყუაჲ შენი დაუმარხავს“ (17,6).

დი დ ის ა ზ რ ა ხ ვ ის ა ა ნ გ ე ლ ო ზ: „ეწოდების ძეა ღმრთისასა ყოველთა მათ სწავლათათუს, რომელ ასწავა, და

პირველად, რომელ მამამ უქადაგა კაცთა, რომელსა აწ იტყუს, ვითარმედ: „გამოუცხადე სახელი შენი კაცთა“, რამეთუ თქუა რამ, ვითარმედ: „საქმე შენი აღვასრულე“, აწ იტყუს, თუ: „რომელი საქმე ესეო?“ „გამოუცხადე სახელი იტყუს, თუ: „რომელი საქმე, ესეო?“ „გამოუცხადე სახელი ღმრთისაჲ თვთ საცნაურ იყო“, გულისხმა-ყავთ, რამეთუ ჰურიათა მიერ ოდენ იყო საცნაურ და არცა მათ მიერ სრულიად, არამედ წარმართთა ყოვლადვე არა იცოდეს, ხოლო ჰურიათა დაღაცათუ იცოდეს, არამედ მამად არა, ხოლო ქრისტემან გამოუცხადა სახელი მისი სიტყუთცა და საქმით.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რომელნი მომცენ მე სოფლისა ამისგან“ (17,6). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვითარცა ზემოთ-იტყოდა, ვითარმედ: „ვერვინ მოვალს ჩემდა, უკუეთუ არა მოცემულ იყოს მისდა ზეცით, უკუეთუ არა მოიყვანოს იგი მამამან“, ეგრეთვე აქა იტყუს, ვითარმედ: „რომელნი მომცენ მე“, და კუალად თავადიცა სახელ-სდებს თავსა თვსსა გზად, ამისთვის ორსა საქმესა აჩუენებს აქა: ერთად, ვითარმედ არა წინააღმდეგობი არს მამისაჲ, და მეორედ, ვითარმედ მამასა ჰნებავს, რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს ძე.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „შენნი იყვნეს და მომცენ იგინი“ (17,6). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** გამოაჩინებს აქა სიყუარულსა მას, რომელი აქუნდა მამისა მიმართ, თუ არა მას არა თუ უკმდა მოცემაჲ მათი, რამეთუ მან დაჰბადნა იგინი, და იგივე განაგებდა მათთვის და ვითარცა მოცემულ იყვნეს იგინი? არამედ, ვითარცა ვთქუ, გამოაჩინებს ერთობასა მას, რომელი აქუს მამისა მიმართ. ხოლო უკუეთუ ვინ კაცობრივ გულისხმა-ჰყოფდეს სიტყუათა ამათ, ბოროტად იპოვოს გულისხმის-ყოფაჲ იგი. რამეთუ უკუეთუ ოდეს მამასა ჰყვეს, მაშინ არა ძისანი იყვნეს, არამედ უკუანაჲსკნელ მოსცნა ძესა. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ, რაჲამს მოსცნა ძესა; თვთ განეყენა მათისა უფლებისაგან. და ესე კუალად სხუამ უბოროტესი სიტყუამ არს, რამეთუ გამოჩნდების, ვითარმედ ოდეს მამისა თანა იყვნეს, არა სრულ იყვნეს, და რაჲამს ძესა თანა მოვიდეს, სრულ იქმნენ? არამედ ესე სიტყუანი ეშმაკისანი არიან. ხოლო უფალი ამას მოასწავებს, ვითარმედ მამასა ჰნებავს ფრიად, რაჲთა ჰრწმენეს ყოველთა.

სახარება: „და სიტყუამ შენი დაუმარხავს და აწ უცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი მომეც მე, შენნი არიან“ (17,6—7). **თარგმანი:** რაა არს ესე, ვითარმედ: „სიტყუამ შენი დაუმარხავს“? გარნა ესე არს სიტყუამ იგი, ვითარმედ: „რომელ ჩემი პრწმენა და ჰურიათაა არა ისმიხეს“, რამეთუ იტყვს: „რომელსა პრწმენეს მისი, მან დაჰბეჭდა, ვითარმედ ღმერთი ჭეშმარიტ არს და აწ უცნობიეს, რამეთუ ყოველსა, რომელსა ვიტყვ, შენ მიერ არს და შენნი სიტყუახი არიან, და არა ესე ოდენ, არამედ ესეცა, ვითარმედ შენგან გამოვედ“, რამეთუ ამას ისწრაფდა ყოლადვე დარწმუნებად.

სახარება: „მე მათთვის გვედრები“ (17,9). **თარგმანი:** რაა არს ესე? რამეთუ ვითარმეცა არა იცოდა საქმე იგი, ესრეთ ასწავლის მამასა, ვითარცა კაცსა, რომელმანცა არა იცოდა? რაა არს უკუე ესე განყოფამ? ჰხედავა უკუე, რამეთუ სხვსა არარაფსათვს იყო ლოცვაა მისი, არამედ ამისთვის. რაათა ცნან, თუ ვითარი სიყუარული აქუს მათა მიმართ? რამეთუ, რომელი არა თვსსა ოდენ შეწევნასა მისცემდა, არამედ სახესა ჰყოფდა, ვითარმეცა სხუასაცა ვევედრებოდა მათთვის? უჩუენებდა, ვითარმედ ფრიადი აქუს მათა მიმართ სიყუარული: „მე მათთვის გვედრებიო და არა სოფლისათვს, არამედ რომელნი მომცენ მე“, ზედამსზედა იტყვს, რაათა ცნან, ვითარმედ მამასაცა ესრეთვე ჰნებავს. და მერმე ვინამთგან ზედამსზედა თქუა, ვითარმედ: „შენნი იყვნეს და მომცენ“. რაათა დაჰკვნას ბოროტი იჰვ მათი, რომელთა ეგულებოდა თქუმად. ვითარმედ განყოფალ არს სადამე მამისაჲ ძისაგან, ახალი არს მისი უფლებამ, ამისთვის შესძინა და თქუა:

სახარება: „და ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემი არს, და დიდებულ ვარ მე მათ შორის“ (17,10). **თარგმანი:** იხილე. სარწმუნობამ ესე? რაათა რაჲამს გესმეს, ვითარმედ: „მომცენ“, არა ჰგონებდე, ვითარმედ კელმწიფებისაგან მამისა განშოვრებულ არიან და პირველ ამისა ძისაგან უცხო იყვნეს. ამისთვის ესე ორივე იჰვ დაჰკვნას სიტყუთა თვსითა, ვითარმეცა იტყოდა, ვითარმედ ნუცა, ოდეს გესმეს, თუ: „მე მომცენ“, ჰგონებ, თუ მამისაგან უცხო იქმნენ, რამეთუ „ჩემი ყოველი მისი არს“, ნუცა ოდეს გესმეს, თუ: „შენნი იყვნეს“, ჰგონებ, თუ მამისაგან უცხო იყვნეს, რამეთუ

„მისი ყოველი ჩემი არს“, ხოლო სიტყუაჲ ესე, თუ: „მომცენ მე“, მსმენელთათჳს იტჳუა, რამეთუ ყოველი, რაოდენი ძამასა აქუს, ძისაჲ არს და, რაოდენი ძესა აქუს, მამისაჲ, ვითარ სხუასა ადგოლსა იტყუს, ვითარმედ: „ყოველი მამისაჲ ჩემი არს“. ხოლო სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „მომცენ მე“ და სხუახი ესევითარნი თჳუნა, რამეთუ გამოაჩინებს, ვითარმედ: „არა თუ უცხონი შევიწყნარენ, არამედ ჩემნი იყვნეს და შევიწყნარენ“, და მერმე მიზეზიცა თჳუა და გამოჩინებჲა, ვითარმედ: „ღიდებულ ვარ მათ შორის“, ესე იგი არს, ვითარმედ: „კელმწიფებჲა მატჳს მათ ზედა“, და ვითარმედ: „მადილონ მე“, რაჟამს ჩემდა მომართ და შენდა მომართ სწორად ჰრწმენეს, რამეთუ ესრეთცა იქმნა და იგი ყოველნი მამისა და ძისათჳს შოკუდეს და სწორად ქადაგეს მამაჲ და ძე, ვითარცა სახელითა მისითა იქმოდეს ყოველსავე, ეგრეთვე სახელითა მისითა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და არღარა ვარ მე სოფელსა ამას და ესენი სოფელსა არიან“ (17,11). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: „დადაცათუ ჳორციელად არა ვჩნდე, არამედ ვიდიდებოდი მე მათ მიერ“. ხოლო რაჲსათჳს იტყუს ზედაჲს-ზედა, ვითარმედ: „არა ვარ სოფელსა შინა და შენ შეგვედრებ მათ და ოდეს მათ თანა ვიყავ, მე ვსცევდი მათ“? რამეთუ ესე სიტყუანი უკუეთუ ვინ ესრეთ გულისხმა-ყვნეს, მრავალი ბოროტი შეემთხვოს, რამეთუ, ვითარმცა იყო ესრეთ, თუ იგი განეშოვრა მათ სრულიად და ვითარ სხუასა შეჳედრანა? რაჲეთუ ესე საქმენი კაცთანი არიან, არამედ ესე ყოველი მათთჳს თჳუა და გონებისა მათისათჳს, რაჲთამცა ყვნა, რომელი უმეტესსა შეწევნასა მოელოდეს, ვინაჲთგან იგი წარვიდა. ამისთჳს იტყუს, ვითარმედ: „ოდეს მე ვიყავ, ვჳტვარევი მათ“, და კუალად მათ ჰრქუა, ვითარმედ: „მოვალ თჳუენდა და თჳუენ თანა ვიყო, ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“. და ვითარ იტყოდა ამათ სიტყუათა, უკუეთუმცა თუთ დაუტევებდა? არამედ, ვითარცა ვთჳუ, მათისა. იჳსაებრ იტყოდა, რაჲთა განიხარონ მცირედ, და მწუხარებასა მათსა. ნუგეშინისცეს, რაჟამს ესმეს, ვითარმედ მამასა შეჳედრებდა. რამეთუ ვინაჲთგან მრავალნი ნუგეშინის-ცემისა სიტყუანი ესმნეს მისგან და არა ჰრწმენა, ამისთჳს აწ მამასა ეტყუს მათთჳს, რაჲთა

უჩუენოს მათ სიყუარული თუი მათა მიმართ. ვითარ იტყო-
და, რამეთუ „ვინაჲთგან თავისა შენისა მიმიწოდ, დარიცვენ
ესენი, რამეთუ მე შენდა მოვალ!“ რასა იტყუ: „და შენ ვერ
ძალ-გიცა დაცივად მათი?“ — „ჰე, ძალ-მიცო და რამსა იტყუ
სიტყუათა ამაო?“ — „ამისთვისო, რამთა აქუნდეს სიხარული
ჩემი სავსებით მათ შორის, და არა ეშინოდის, რამეთუ ჭერეთ
არღა სრულ ქმნულ არიან“. ხოლო ამას ყოველსა უფალი მათისა
სიხარულისა და განსუენებისათეს იტყოდა, რამეთუ
თქუა, ვითარმედ: „მე არა სოფელსა შინა ვარ, და ეკენი სო-
ფელსა შინა არიან“. და იგინი ამასვე ჰგონებდეს და მათისა
იქუსათეს თქუა ესე და უკუეთუმცა ეთქუა, ვითარმედ: „მე
ვჭუარევედ მათ“, არა ირწუმენებდეს. ამისთვისცა თქუა:

~~სახარებაჲ: „მამაო წმიდაო, დარიცვენ ესენი სახელი-
თა შენითა“ (17,11). თარგმანი: კუალად ვითარცა კაცი
იტყუს და ვითარცა წინაწარმეტყუელი, რამეთუ არასდა ჩანს,
თუმცა სადა ეთქუა, თუ: „სახელითა ჩემითა იქმნენინ ესე
რამე“, ხოლო აქა იტყუს ამას:~~

სახარებაჲ: „რომელნი მომცენ მე, დარიცვენ, და არა-
ვინ მათგანი წარწყმდა, გარნა ძმ იგი წარწყმედისაჲ, რამთა
წერილი აღესრულოს“ (17,12). თარგმანი: და სხუასა
ადგილსა იტყუს, ვითარმედ: „ყოველი, რადენი მომეც, არა
წარვეწყმიდო მისგანი“. და არა იუდა ოდენ წარწყმდა, არა-
ძედ სხუანიცა მრავალნი, უკუანაჲსკნელ ვითარ უკუე იტყუს,
ვითარმედ: „არა წარვეწყმიდო?“ გარნა ესრეთ იტყუ, ვი-
თარმედ: „ჩემსა ნაწილსა არა წარგსწყმედო“. ვითარცა სხუა-
სა ადგილსა იტყოდა, ვითარმედ: „არა განვაძო გარე, ხოლო
უკუეთუ ვინ ნეფსით ისწრაფოს წარწყმედად, მე იძულებით
არა შევიპყრობ“.

სახარებაჲ: „ხოლო მე აწ შენდა მოვალ და ამას
ვიტყუ: სოფელსა შინა, რამთა აქუნდეს სიხარული ჩემი სავ-
სებით“ (17,13). თარგმანი: ჰხედავა, ვითარ მრავალნი ესე
სიტყუანი კაცობრივ თქუმულ არიან და, რომელი უგულისხ-
ძოდ იყოს დაბნელებული, და ამათ სიტყუათა მიერ დაამდაბ-
ლებდეს ძესა, მან დაამდაბლოს მამადცა. რამეთუ იხილე პირ-
ველითგან, ვითარ რომელიმე სიტყუად სწავლისაჲ არს და
რომელიმე მცნებისაჲ და სწავლისაჲ არს, რომელ იტყუს, ვი-

თარმედ: „არა სოფლისათს გევედრები, ხოლო მცნებისაჲ მე დაეიცვენ იგინი, ვიდრე აქამომდე, და არავინ წარწყმდა, და აწ შენცა დაიციენ იგინი“, არამედ ამათ ყოველთა განმარტებაჲ ესე არს, რამეთუ უძღურებისა მათისათს იტყოდა ესრეთ, ხოლო თქუა რაჲ, ვითარმედ: „არა ვინ წარწყმდა, გარნა ძმ იგი წარწყმედისაჲ“, და შესძინა: „რამთა წერილი აღესრულოს, რომელსა წერილი იტყვს, გარნა მას, რომელსა მრავალგზის იტყვს, და რამეთუ წარწყმდებოდა. ამისთვის თქუა წერილმან და სხუაგანცა მითქუამს ამისთვის, ვითარმედ ესე თქსაგან სახმ არს წერილისაჲ, რამეთუ ვითარცა მიზეზად დააწესებს მას, რომელი თვთ აღესრულებოდის. და ჯერ-არს ყოველისაჲვე გამოწულილვით გულისხმის-ყოფაჲ გონებასაცა მტყუელისასა და პირსა საქმისასა და წესთა წერილისათა, რამთა არა ვსცთებოდით, რამეთუ იტყვს მოციქული: „ძმანო, ნუ ყრმა იქმნებით გონებითა“.

ს ვ ა ვ ლ ა ჲ კ ა

ვითარმედ ჯერ-არს ზეცისა დიდებისა ძიებაჲ და არა ქუეყანისაჲ და მოწყალებისათს

ხოლო ამისი არა წერილთა ოდენ გულისხმის-ყოფისათს ჯერ-არს კითხვაჲ, არამედ საქმეთათსცა ჩუენთა, რამეთუ მცირეთა ყრმათა დიდთა საქმეთათს არა ჰსურის, არამედ უნდოთა საქმეთათს მღერისათს სწადის ცუდთა და არარათა, რამეთუ შეიქმან მეფეთა თივისათა და საყდართა და ცხენთა, ხოლო ჭეშმარიტი მეფე არარად შეუტრაცხიეს. ეგრეთვე არიან კაცნი, რომელნი ამას ესევითარსა საქმესა იქმან და ზეცისა კეთილთათს ესმის და ყოლადვე არა ზრუნვენ, ხოლო საქმეთა მათ ამაოთა და თივისათა, ვითარცა ყრმანი, ესრეთ მოსწრაფე არიან, და სიმდიდრე და დიდებაჲ და ყოველივე სოფლისაჲ უყუარს, რომელი-იგი ყრმათა მღერაჲ არს, ხოლო ჭეშმარიტსა მას ზეცისა დიდებასა და სუფევასა არა

ეძიებენ, არამედ, ვითარცა ყრმანი, ამათ ამოთათს ტირიან,
 ბოლო მათ ჭეშმარიტთა ყოლადვე არა მოიქსენებენ. ამისთვის
 იტყვს მოციქული, ვითარმედ: „ნუ ყრმა ხართ გონებითა, კა-
 ცო, წარმავალთათს გსურის, და წარუვალთა არა ეძიება?“ და
 შენ, უკუეთუ ვინ იხილო, ვითარმედ დრაჰკანსა ოქრომასა
 დააგდებდეს და ტყვესასა აღირჩევდეს, ფრიად აბრალებ
 მისსა უმეცრებასა. ხოლო შენ ამისადა უუნდოესა შეჰკრებ
 და გგონიეს, ვითარმედ სიმდიდრე გაქვს, არამედ მე მდიდ-
 რად მას ვიტყვ, რომელსა სოფლისა საქმენი შეურაცხ-ექმე-
 ხეს, და არავინ შეურაცხ-ჰყოფს უნდოთა მათ საქმეთა, უკუე-
 თუ სურვილი უხეშთაესისა მის სურვილისადა არაა აქუნდეს,
 ვითარცა ტყვესა არავინ უგულბებლს-ჰყოფს, უკუეთუ არა იც-
 ხას ოქროსა და შენცა უკუეთუ იხილო კაცი, რომელი ყოველსა
 სოფელსა თანაწარაჰდროდის, ცან, ვითარმედ საუკუნომსა მის
 სურვილი დამკვდრებული არს მის თანა. ეგრეთვე მუშაკი
 მტკირდესა იფქლსა შეურაცხ-ჰყოფს, რაჟამს უმეტესსა მოე-
 ლოდის ნაყოფსა, და უკუეთუ სადა ესე საუნაურ არს, თუ
 შოვილოთ ნაყოფი, ანუ არა? და ესრეთ შეურაცხ-ვეყოფთ მო-
 ხაგებსა ჩუნსა არა უფრომსად, სადა-იგი მტკიცე არს და
 უეჭუელ მოღებადა ნაყოფისადა, დავსთესოთა თესლი? ამისთვის
 გვედრები, ნუმცა დავიჭირებთ კეთილთა მათ ზეცისათა,
 რადაცა ჰნებაეს, თქუას ვინ ჩუენთვის და ვინ ჰნებაეს, განრისხ-
 ხებოდიან ზედასზედა სწავლისა ამისთვის და მრავალმეტყუე-
 ლად გვწოდენ, ხოლო მე არა დავსცხრე სწავლად და თქუმად
 სიტყუასა მას წინაწარმეტყუელისასა, ვითარმედ: „ცოდვანი
 შენნი მოწყალეებითა აღვოცენ“, არამედ ნუ ესრეთ, რადაცა
 დღეს ჰქმენ და ხვალე დასცხერ; რამეთუ ვითარცა ჯორცთა
 ამათ მარადღე საზრდელი უკმს, ეგრეთვე არს სული და
 უფრომსად მას ეგმარების, და უკუეთუ არა მივსკეთ, მოუძ-
 ლურდების და ნუმცა უკუე შეურაცხ-ვეყოფთ, რამეთუ ჰირსა
 შინა მოიშთეების მარადის, რამეთუ მრავალნი წყლულებანი
 მოვლენ მის ზედა გულისთქუმათაგან, გულისწყრომისაგან,
 ძვრისზრახვისა, უღბებისა, ძვრისკსენებისა და შურისა. ჯერ-
 არს უკუე, რადაცა წამალნიცა დავასხნეთ მის ზედა, ხოლო არა
 მტკირე არს წამალი იგი მოწყალეებისადა ყოველთათს წყლუ-
 ლებათა, რამეთუ მიეცით მოწყალეებადა და ყოველივე წმიდა

გეყოს თქუენ, მოწყალეზაჲ დაღვეით თქუენ ზედა და ნუ ანგაპრებასა დასდებთ, რამეთუ მოწყალეზაჲ ჯერ-არს, რაჲთა უცხო იყოს ყოვლისაგან უსამართლოებისა, უკუეთუ არა მოწყალეზაჲ, ანგაპრებით ქმნილი, არად საკმარ არს, არამედ, რომელი წმიდა იყოს, იგი არს კეთილ და ყოვლისა უმჯობეს განანათლებს სულსა და შუენიერ-ჰყოფს და განაპოხებს. გოცნოთ უკუე ესე ზეთი კელთა ჩუენთა, რაჲთა კეთილად შეუძლოთ ეშმაკისა წინაღდგომად, რამეთუ ყოველივე ვნებაჲ დაჰქსნდებთ მოწყალეზისა მიერ. რამეთუ, ვითარცა მკურნალი, რომელი მარადღე უძღურთა თანა იქცეოდის, დამდაბლების, უკუეთუ გულისხმა-ჰყოფდეს ბოროტსა მას კაცობრავსა, ეგრეთვე ჩუენ, უკუეთუ გლახაკთა თანა ვიქცეოდით და ვსწყალობდეთ მარადის, ფრიადი სიბრძნს მოვიგოთ ამის საქმისაგან და ყოველივე სოფელი შეურაცხ-ვეოთ და ავმადლდეთ ზეცად და ადვილად მივემთხვნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა და კაცთმოყუარებითა. უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი კ ბ

ს ი ტ ყ უ ა ჲ ე ს ე: მე მივსცენ მათ სიტყუანი შენნი და სოფელმან მოიძულა იგინი, რამეთუ არა არიან სოფლისაგანნი. ვითარ მე არა ვარ სოფლისაგანი (17,14).

რაჲამს ჩუენ სათნოებისათჳს ვიდევნებოდით უშჯულოთა მიერ და ვიგიცნებოდით მათ მიერ, ნუმცა მწუხარე ვართ, რამეთუ ესრეთ არს ბუნებაჲ ამის საქმისაჲ და ყოლადვე სათნოებაჲ სისრულესა მოატყუებს უკეთურთა მიერ კაცსა, რამეთუ სძულან უკეთურთა მოღუაწენი და ჰგონებენ, თუ არგებენ რასმე თავთა თჳსთა და ისწრაფიან, რაჲთამცა სირცხულეულ-ყვეს ცხორებაჲ მათი, არამედ ნუმცა მწუხარე ვართ, რამეთუ ესე არს სასწაული მოთმინებისაჲ. ამისთჳსცა უფალი იტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფელიმცა თჳსთა ჰყუარობდა“, არამედ კუალად იტყუს:

„ვამ თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდინ თქუენ კაცნი“. ამისთვის აქაცა იტყვს, ვითარმედ: „სიტყუანი შენნი მისცენ მათ და სოფელმან მოიძულნა იგინი“, და იტყვს კუალად მიხეხსა, რომლისათვის ღირს არიან ფრიადსა ღუწოლასა მამისა ძიერ: „რამეთუ შენთვის მოძულებულ იქმნესო და სიტყვსა შენისათვის“, ამისთვის ღირს არიან ყოველსავე პატივსა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „არა ვიტყვ, რამთა აღიხუნე სოფლისაგან, არამედ რამთა დაიცვენე ბოროტისაგან“ (17,15). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** კუალად უმეტესად გამოაცხადებს სიტყუასა თვისსა, რომელ-ესე სხვსა არარაჲსათვის ქმნა, არამედ რამთამცა უჩუენა, ვითარმედ ფრიად იღუწის მათთვის, რამეთუ ესრეთ მოსწრაფებით იქმს მათთვის სიტყუასა. და თავადი იტყოდა, ვითარმედ: „ყოველი, რაოდენი ითხოვოთ, მოგცეს მამამან“. და ვითარ-იგი აქა მათთვის ევედრების, არამედ სხვსა არარაჲსათვის, ვითარცა ვთქუ, გარნა გამოჩინებად სიყუარულისა თვისისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „სოფლისაგან არა არიან, ვითარ მე არა ვარ სოფლისაგან“ (17,16). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** და ვითარ სხუასა ადგილსა იტყოდა, ვითარმედ: „რომელნი მომცენ სოფლისაგან, შენნი იყვნეს“, არამედ მუნ ბუნებისათვის იტყოდა, რამეთუ ბუნებით სოფლისაგანნი იყვნეს მოციქულნი, ხოლო აქა საქმეთათვის ბოროტთა იტყვს და ღიდსა ქებასა იტყვს მათთვის; პირველად, რამეთუ არა სოფლისაგანნი არიან, მერმე, რამეთუ მან მოსცნა ამას იგინი, და კუალად, რამეთუ სიტყუაჲ მისი დაიძარხეს და რამეთუ მისთვის მოძულებულ იქმნეს. და უკუეთუ იტყვს, ვითარმედ: „ვითარცა მე არა ვარ სოფლისაგან“, ნუ გიკვრს, რამეთუ სიტყუაჲ ესე: „ვითარცა მე“, არა ქემშარბოტისა მსგავსებისათვის იტყვს, რამეთუ, ოდეს მამისათვის იტყოდის, ვითარმედ: „ვითარცა მე და მამაჲო“, სრულიადსა მსგავსებასა იტყვს, ხოლო, რაჟამს ჩუენთვის თქუას, ფრიადსა სიშორესა გამოაჩინებს ჩუენსა მისგან. რამეთუ. უკუეთუ ცოდვაჲ არა ქმნა, და არცა იპოვა ზაკუვაჲ პარსა მისსა, ვითარმცა ძალ-ედვა მოციქულთა სწორ მისა ყოფაჲ? არამედ ამას იტყვს, ვითარმედ: „არა სოფლისა ამის მოყუარე არიან, არამედ სხუათა საქმეთა მიმართ ჰხედვენ, არარაჲ ზიარებაჲ აქუს სოფლისა ამის საქმეთა თანა, არამედ ცათა მოქალაქე ქმნილ არიან“, და ამისგანცა თვისსა სიყუარულსა გამოაჩინებს,

ვინაიდან ესრეთ აქებს მათ წინაშე მამისა და შექვედრებს მათ, ხოლო თქუა რაჲ, ვითარმედ: „დაიცვენ იგინი“, არა ჯორციელთა ოდენ განსაცდელთაგან იტყვს, არამედ დამტკიცებისათვისცა სარწმუნოებისა. ამისთვისცა შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „წმიდა-ყვენ იგინი ჭეშმარიტებითა შეხითა“ (17,17). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: „წმიდა-ყვენ მოცემითა სულისა წმიდისაჲთა და მართალთა სწავლათა მიერ“, ვითარცა-იგი, რაჟამს ეტყოდა, ვითარმედ: „წმიდა ხართ სიტყვსა მისთვის, რომელი გარქუ თქუენ“ და აწცა მასვე იტყვს, ვითარმედ: „ასწავე მათ ჭეშმარიტებაჲ“ და სულსა წმიდასაცა ჭეშმარიტებისა მასწავლელად უწესს. და ვითარ აწ ამას ითხოვს მამისაგან ყოფად? არამედ რაჲთა სენა კუალად ერთობაჲ, რამეთუ მართალნი სიტყუანი იტყუმოდინ რაჲ ღმრთისათვის, წმიდა ჰყოფენ სულსა, ხოლო შემდგომად ამისა თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „სიტყუაჲ შენი ჭეშმარიტება არს“ (17,17). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ არცა ერთი ტყუილი არს მის თანა, არცა სახმ და აჩრდილი, არამედ ყოველივე ჭეშმარიტებაჲ, ვითარცა იტყვს პავლე ეკლესიისათვის, ვითარმედ: „წმიდა-ყო იგი სიტყვთა, რამეთუ იცის სიტყუამანცა ღმრთისამან წმიდა-ყოფაჲ“, ხოლო ვჰგონებ, ვითარმედ სხუასაცა მოასწავენ სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „წმიდა-ყვენ“, ესე იგი არს: „და განარჩიენ იგინი ქადაგებისა მისთვის და სიტყვსა“, და ესე საცნაურ არს შემდგომთა მათ სიტყუათაგან, რომელ თქუა: „ვითარცა მე მომავლინე სოფლად“; ვითარცა იტყვს პავლეცა, ვითარმედ: „დადგა ჩუენ თანა სიტყუაჲ იგი დაგებისაჲ, რამეთუ, რომლისათვის ქრისტე შოვიდა, მისთვის მოვლეს მათცა სოფელი“. ხოლო ვითარცა აქაცა არა მსგავსებაჲ არს მოციქულთაჲ და უფლისაჲ, ხოლო ჩუეულებაჲ არს თავადისაჲ მომავლისაჲ, ვითარცა ყოფადისაჲ, თქუმად, ამისთვის იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ჩემთვის წმიდა-ვჰყოფ თავსა ჩემსა, რაჲთა იგინიცა იყვენენ წმიდა ჭეშმარიტებითა“ (17,19). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჲ არს ესე, თუ: „წმიდა-ვჰყოფ თავსა ჩემსა?“ შევსწირავ თავსა ჩემსა მსხუერბლად შენდაო, რამეთუ მსხუერბლი, ღმრთისა შეწირული, ყოველი წმიდა არს და

ვინაიდან ძუელს შინა სიწმიდე იყო ცხოვრისა მის მიერ შე-
წირვისა სახითა და აჩრდილითა, აწ არღარა სახითა, არამედ
ქეშმარიტებითა არს. ამისთვის იტყვს, რაჟთა იყვნენ წმიდა
ქეშმარიტებითა შენითა, რამეთუ მათცა შენდა შეესწირავ
შესაწირავადო, გინა თუ ამისთვის, რამეთუ ვინაიდან თავა-
დი და წინამძღუარი ამას იქმს, ვითარცა იგინი იქმან, რამეთუ
იგინიცა შეიწირვიან, რამეთუ იტყვს: „წარუდგინებით ასონი
თქუენნი მსხუერპლად ცხოველად წმიდად, და ვითარ შევე-
რაცხენით, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი“, და თნიერ სიკუ-
დილისა მსხუერპლად და შესაწირავად ჰყოფს მათ. ხოლო
ვინაიდან სიკუდილად მივიდოდა, თქუა: „ამათთვის მე წმიდა-
ვყოფ თავსა ჩემსა“, რაჟთა არავინ თქუას, ვითარმედ: „მო-
ციქულთათვის ოდენ იტყვს ამას“, ამისთვის შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „არა მათთვის გკითხავ, არამედ ყოველ-
თათვის, რომელთა ბრწმენეს სიტყუთა მათითა ჩემდა მომართ“
(17,20). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამით სიტყუთა კუალად განაძლიერნა
სულნი მათნი, უჩუენა რაჟ, ვითარმედ მრავალნი მოწაფე-
ყოფად არიან მათდა, რამეთუ ვინაიდან, რომელი მათ უმე-
ტესად აქუნდა, ზიარ სხუათასა გამოაჩინა, კუალად ნუგეშინის-
სცა, მოასწავა რაჟ, ვითარმედ სხუათა მრავალთა ცხორებისა
ძინუეზ ყოფად არიან, ხოლო ვინაიდან თქუა შეწირვისა
ძისთვის მათისა და ცხორებისა, და, რაჟთა წმიდა იყვნენ ქეშ-
მარიტებითა, კუალად იწყებს სიტყუად ერთობისათვის და მას
ზედა აღასრულებს სიტყუასა თვისსა, რომლისაგანცა იწყო,
მასვე სრულ-ჰყოფს, რამეთუ დასაბამსა სიტყუსასა თქუა, ვი-
თარმედ: „მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ“. და აწ კუალად
იწყებს მისთვისვე სიტყუად:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რაჟთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა
შენ, მამაო, ჩემდა, და მე — შენდაში, რაჟთა იგინიცა იყვნენ
ჩუენ შორის“ (17,21). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** კუალად სიტყუად ესე,
ვითარმედ ვითარცა არა ქეშმარიტისა მსგავსებისაჲ არს, რა-
მეთუ არცა შესაძლებელ იყო მათ მიერ ესრეთ მსგავსებაჲ,
არამედ ვითარცა კაცთა ძალსა შინა არს, ვითარცა-იგი,
რაჟამს. იტყოდის: „იყვენით მოწყალე, ვითარცა მამაჲ თქუენი
მოწყალე არს“. ხოლო რაჟ არს სიტყუად იგი, ვითარმედ:
„ჩუენ შორის სარწმუნოებასა ზედა ჩუენსა?“ რამეთუ, ვი-

ხამთგან არარაჲ ესრეთ დააბრკოლებს მრავალთა. ვითარ არა-ერთობაჲ, ამისთვის ამას იტყვს, რაჲთა ერთ იყვნენ და ესევე-თარი სარგებელი იქმნა მის საქმისაგან, რამეთუ, რაოდენ-თაცა პრწმენა მოციქულთა მიერ, აწ ყოველნი ერთ არიან, დაღაცათუ ვიეთნიმე განეყვნეს, წარწყმდეს. რამეთუ ესეცა თავადმან წინადაწარ თქუა და გამოაჩინა, ვითარმედ უღბე-ბისაგან ვაცთაჲსა არს ესე საქმც.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რაჲთა სოფელსა პრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე“ (17,4). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვითარცა დასაბამსა იტყოდა, ვითარმედ: „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“ და აწცა იტყვს, ვითარმედ: „რაჲთა სოფელსა პრწმენეს“. ხოლო რაჲ პრწმენეს? ვითარმედ ღმერთი ხარ მშუდლობისაჲ და შენ მომავლინე. რამეთუ, უკუეთუ ამათ დაიცვან ერთობაჲ, იცნან ყოველთა მოძღუარი მოწაფეთა მიერ. ჰხედავა, ვითარ აღსას-რულადმდე გამოაჩინებს ერთობასა თვისსა მამისა თანა?

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და დიდებაჲ, რომელი მომეც, მივეც მათ“ (17,22). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** დიდებასა იტყვს სასწაულთასა და სწავლისასა და რაჲთა ერთსულ იყვნენ. რამეთუ ესე სას-წაულთასაცა უზეშთაეს არს, რამეთუ ამის საქმისა მიერ ბრწყინვალე იქმნენ, და ვითარ უკუე მამისაგან ითხოვს ამას, ვინაჲთგან თავადი მისცემდა, რამეთუ გინა თუ სასწაულთათვს; გინა თუ ერთობისათვს, გინა თუ მშუდობისათვს იყოს სიტ-ყუაჲ მისი? ჩანს, ვითარმედ, თუთ მიუცემიეს მათა ყოვე-ლივე და ამისგან საცნაურ არს, ვითარმედ თხოვაჲ იგი მათისა ხუგეშინის-ცემისათვს ოდენ იყო.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე მათ შორის და შენ—ჩემ თანა“ (17,23). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილეთ, ვითარი დიდებაჲ მისცა მათ, რა-მეთუ მამაჲ თავისა შორის თვისისა აქუნდა და ესრეთ მათ შორის დაემკვდრა. ხოლო სხუასა ადგილსა არა ესრეთ იტყვს; არამედ: „ჩემ მიერ მამაჲ მოვიდესო. და მე და მამაჲ ძოვიდეთო, და სავანე მის თანა ვყოთო“, არამედ მუნ საბე-ლიოზის პირსა დაუყოფს და აქა — არიოზისსა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რაჲთა იყვნენ სრულ ერთობით და რაჲთა ცნას სოფელმან, რამეთუ შენ მომავლინე მე“ (17,23). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ზედაჲსზედა იტყვს ამას და გამოაჩინებს გან-

ცხადებულად, ვითარმედ მშედობაჲ უფროჲს სასწაულთაჲცა შემძლებელ არს მოქცევად ერთა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და მე შევიყუარენ იგინი, ვითარცა შენ შემიყუარე მე“ (17,23). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** კუალად აქა სიტყუაჲ ესე, თუ „ვითარცა“ არს, ვითარცა კაცისა შესაძლებელ არს სიყუარული და სასწაული სიყუარულისაჲ მის, რამეთუ თავი თვისი დადვა სახედ. ხოლო თქუა რაჲ, ვითარმედ: „უტომელად იყვნენ და წმიდა იყვნენ და მრავალთა ჰრწმენეს მათ ძიერ და ფრიადი დიდებაჲ მიიღონ“, და რამეთუ არა მას ოდენ უყუარან, არამედ მამასაჲცა. აწ კუალად იტყუს გვრგვინთა მათთვის და ნიჭთა, რომელნი მიეცნენ მათ შემდგომად აძიერ წარსლვისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : მამაო, მნებაჲს, რაჲთა, სადაცა ვიყო, იგინიცა იყვნენ ჩემ თანა (17,24). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** აჰა, ესერა, რომელსა ითხოვდეს მარადის იგინი, ვითარმედ: „ვიდრე ხუალ?“ ხოლო ვითარ თავადი ეტყოდა, ვითარმედ: „დასხდეთ ათორმეტთა საყდართა“, და სხუაჲ მრავალი ესევეითარი აღუთქუა და აწ ითხოვს მამისაგან, ვითარმეცა თუთ ვერ ძალედვა, არამედ ჰხედავა, რამეთუ ესე ყოველი მათისა გულსაგსებისათჳს თქუა ესრეთ? უკუეთუ არა თავადი პირველცა ეტყოდა პეტრეს, ვითარმედ: „უკუანამსკნელ შემომიდგე მე“ და სხუაჲ მრავალი ესევეითარი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რაჲთა ჰხედვიდენ დიდებასა ჩემსა, რომელი მომეც, რამეთუ შემიყუარე მე უწინარეს სოფლისა დაბადებისა“ (17,24). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** კუალად ესე სასწაული არს მამისა თანა ერთობისა მის მისისა, უზეშთაესი პირველთა მათ, რამეთუ „უწინარეს სოფლის დაბადებისაო“. ხოლო ამასცა აქუს რაჲმე სიტყუაჲ სიმდაბლისაჲ, რამეთუ იტყუს: „რომელი მომეცო“. ჰხედავა დაუსაბამოებასა მისსა? რამეთუ „მომეც მე უწინარეს ყოველისაჲე“, ესე იგი არს, ვითარმედ: „მშვე უწინარეს საუკუნეთა ყოველთაჲე“, რამეთუ მას არა თუ უკუანამსკნელ რაჲმე მიეცა დიდებაჲ, არამედ მარადის აქუნდა მას არსისა მისგან. ხოლო არა თქუა: „რაჲთა აქუხდეს დიდებაჲ ჩემი“, არამედ: „რაჲთა ჰხედვიდენ დიდებასა ჩემსა“. რამეთუ ყოველივე განსუენებაჲ ესე არს, რაჲთა ჰხედვიდენ დიდებასა ძისა ღმრთისასა, ვითარცა მოციქული პავლე იტყუს,

ვითარმედ: „განცხადებულითა პირითა დიდებასა ღმრთისასა ვხედვიდეთ“, ვითარცა, რომელნი მზესა ჰხედვიდეს, ხედვითა ძით მიიღებენ ნათელსა, ეგრეთვე და ფრიად უხეშთაეს იყოს ძაშინ იგი ნათელი და ერთად ამისთვისცა თქუა, რამთა უჩუენოს, ვითარმედ არა იგი არს ბუნებაჲ მისისა ღმრთეებისაჲ, რომელსა ჰხედვენ, არამედ იგი შესაწყნარებელი რამეჲ არსებაჲ არს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მამაო მართალო, და სოფელმან არა გიცნა“ (17,25). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჲ არს ესე სიტყუაჲ? რამეთუ გამოაჩინებს აქა, ვითარმედ არავის უცნობიეს მამაჲ, გარნა მათ ოდენ, რომელთა ძმ ოდენ იციან. ხოლო სიტყუაჲ ესე ესევეითარი არს, ვითარმედ: „მენება, რამთამცა ყოველთა გიცოდეს, არამედ არა გიცნეს ესრეთ უმიზეზოდ“, რამეთუ ამისთვის თქუა, ვითარმედ: „მამაო მართალო, რამეთუ მართალი ხარო ჭემმარიტად და არავის რაჲ აქუს მიზეზი შენთვის, და არა გიცნესო“, არამედ ამას ადგილსა, ვჰგონებ, თუ მწუხარებით თქუა, რომელ ესრეთ სახიერი და მართალი არა იცნეს. რამეთუ, ვინამთგან ჰურიანი იტყოდეს, ვითარმედ: „ღმერთი ვიციო, და შენ არა იციო“, ამისთვის იტყუს, ვითარძედ: „შემიყუარე პირველ საუკუნეთავე, და რომელი ესრეთ საყუარელ ვარ შენდა და დიდებაჲ შენგან მოვიღე, ვითარმცა წინააღმდგომ ვიყავ შენდა? არა უკუე ესრეთ არს, ვითარ იტყვან ჰურიანი, თუმცა მათ გიცოდეს, და მემცა არა გიცოდე, არამედ უფროსად წინააღმდგომი, რამეთუ მე გიცი, ხოლო მათ არა გიცნეს“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და მათცა ცნეს, რამეთუ შენ მომავლინე შე“ (17,25). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, რამეთუ ჰურიათა მოასწავებდა, რომელნი იტყოდეს მას წინააღმდგომად ღმრთისა. რომელთაგან განყვნა მოციქულნი და აქნა, რამეთუ მათ იცნეს იგი?

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და ვაუწყე მათ სახელი შენი და ვაუწყო“ (17,26). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რომელ სულისა მიერ იტყოდა სრულისა გულისხმის-ყოფისა ყოფად და აწ თავისა თვისისა მიერ იტყუს მიცემასა, რამთა გამოაჩინოს ერთობაჲ იგი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და სიყუარული შენი, რომლითა შემიყუარე, მათ შორის იყოს და მათ თანა“ (17,26). **თ ა რ გ მ ა ნ ი :**

ესე იგი არს: „უკუეთუ ცნან, თუ შენ ვინ ხარ, მაშინ ცნან, ვითარმედ არა განყოფილ ვარ შეგან, არამედ ძმ საყუარელი, შენ თანა მოსაყდრმ. და ესე რაჲ უწყოდინან, მაშინ უყუარდე ჭერისაებრ. და რაჲამს მათ ესრეთ უყუარდე ჭერისაებრ, მაშინ მე დავადგრე მათ თანა“. ჰხედავა, რამეთუ კეთილი აღსასრული იქმნა? რამეთუ დედასა მას ზედა ყოველთა სათნოებათასა, რომელ არს სიყუარული, ყო აღსასრული სიტყუსა თვისისაჲ.

ს წ ა ვ ლ ა დ კ ბ

სათნოებისათჳს და სოფლისა საქმეთათჳს.

ამისთჳს უკუე გურწმენეს და შევიყუაროთ ღმერთი ჩუენცა საქმიოთცა და გონებით, რაჲთა არა ითქუას ჩუენთჳსცა, ვითარმედ ღმერთი ჰრწამს სიტყუთ და საქმიოთ უარჰყოფენ. ხოლო რაჲამს ურწმუნონი უცხოთცა სწყალობდენ და ჩუენ არცა თუ თჳსთა, რაჲიყოს სასოებაჲ ცხოვრებისაჲ ჩუენ თანა, რაჲამს ღმერთი იგმებოდის ჩუენ მიერ? იხილენ, რაოდენნი მიზეზნი ქველისმოქმედებისანი მოუცემიან ჩუენდა ღმერთსა, რაჲთა რომელსამე, ვითარცა ნათესავსა, ვსწყალობდეთ და რომელსამე, — ვითარცა მეგობარსა, და რომელსამე, — ვითარცა მეცნიერსა, და რომელსამე, — ვითარცა კაცსა ჩუენისა ბუნებისასა. ხოლო უკუეთუ ყოველი ესე შეურაცხ-ვეოთ, გუესმეს პავლეს მიერ, ვითარმედ: „უძრეს ხარ შენ წარძართათსა, რამეთუ მათ რომელთა არარა ასმიეს მოწყალებისა და სასუფეველისათჳს, გძლეს მოწყალებითა. ხოლო შენ, რომელსა გისწავიეს მტერთაცა სიყუარული; მეგობარნიცა მტერად გიჩნან და ოქროჲ უფროჲს გეწყალოს, ვიდრე კაცი? ვინაჲ შემოვიდა ესეოდენი ესე უწყალოებაჲ და ბოროტებაჲ? რაჲეთუ, უკუეთუმცა ვინმე დაჲდა ადგილსა მალალსა განცდად საქმეთა კაცობრივთა, რაოდენმცა იტირა და მწუხარე იქმნა და რაზომცა განიკითხა იგი? რამეთუ საქმეთა ვიქმთ, რომელნი ღირს არიან სიცილისა და კიცხევისა.. იგი ვინმე ზრდის

ძალთა ნადირობად ველურთა ნადირთა და თვთ უუგუნურეს ნადირთასა იქმნების, სხუად ზრდის ქორთა და შავარდენტა და ოქროსა ფრიადსა წარაგებს ესევეითართა ზედა და კაცთა, შიმშილითა მომყმართა, არა მიჰხედავს. სხუად კულად ოქროსოფითთა და მარმარილოთა კრებს და დაასხამს კედელთა, და გლახაკთა შიშუელთა მცირესაცა სამოსელსა არა მისცემს და ურიცხვნი აქუნდიან სამოსელნი, და გლახაკთა ერთიცა არა აქუნ. და სამშჯავროთა შინა სხუამან სხუად შთანთქის და შექამის და სხუამან მეძავთა ზედა წარაგის, და სხუამან ხუმართა ზედა და მგოსანთა, შენებასა ტაძართასა, სყიდასა აგარაკთასა, სხუად ვახშთა თუალავს და ვახშის-ვახშთა, ხოლო სხუად წიგნთა წერნ შესმენისათა სხუათა სიკუდილისა კელთა მიცემად, და რომელიმე პარვად ვალნ, რომელიმე—სიძვად და სხუად და სხუად ბოროტად. და ბოროტთა ზედა ესეოდენი არს მოსწრაფებად, ხოლო კეთილთა ზედა არცა მცირედი, და მსაჯულთა სახელი მსაჯულთად აქუნ, ხოლო საქმე — ავაზაკთად. გინა თუ ვინ საშჯელნი მათნი იხილხეს, ანუ მათ მიერ აღწერილნი, მრავალი პოვოს უსამართლოებად და ამას ესევეითარსა ზედა ყოველი სწრაფებად, ხოლო სულიერსა არავინ ზრუნავს და ეკლესიად ხილვად ოდენ მივლენ და არა ვედრებად ღმრთისა. და ნუჟუე მცირედი სიტყუანი რადმე ვინ თქუნეს, ხოლო საქმენი არასადა ჩნდენ, და სიტყუანი თვნიერ საქმეთასა შენდობასა არავის მოატყუებენ. იხილენ, შ, კაცო, შიშუელნი მშიერნი, ჭირვეულნი მრავალნი, გზანი ცხორებისანი მოუცემიან ღმერთსა. ნუმცა უკუე ვაცთუნებთ თავთა ჩუენთა ამაოებასა შინა ყოფითა და ნუცა ამას ვკგონებთ, თუ სიკუდილი შორს არს, რამეთუ სიკუდილი მარადის კართა ზედა არს. ამისთვის მოვიქცეთ ბოროტისაგან ქმნად კეთილისა, რამეთუ, აჰა, ესერა, მსაჯულნი მკეტთა მსგავს არიან, ვაჭარნი — მელთა და გლახაკნიცა ამაოებით გამოჰკდიან დღეთა. და ყოველნივე ეძიებენ ცოდვასა და არავინ არს მოძულე მისი. ამას ყოველსა მარადლე ვიტყუ და სიტყუად არა დავსცხრები, და უკუეთუ ვინ ისმინოს, სარგებელ ეყოს, უკუეთუ არა ისმინოს, მე ჩემი მიქმნიეს. მაშინ ისმინოთ, ოდეს სარგებელი ჩემი იყოს და თქუენი არარა და აბრალეზდეთ თავთა თქუენთა, არამედ ნუ იყოფინ, რადთამცა

ესრეთ იქმნა. ხოლო რაათა გუაქუნდეთ თქუენ სიქადულად წინაშე საყდართა ქრისტესთა, რაათა ზოგად ვპოვნეთ საუკუნენი კეთილნი მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა ძამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი 33

ს ი ტ უ უ ა მ ე ს ე: ესე თქუა იესუ და განვიდა მოწაფეთა თუსთა თანა წიად კევსა მას ნაძოვანსა, სადა-იგი იყო მტილი და შევიდა თავადი და მოწაფენი (18,1).

საშინელ არს სიკუდილი ფრიად, არამედ არა მათა არს საშინელ, რომელთა ესწავოს ზეცისა სიბრძნე, რამეთუ, რომელმან არა იცოდის საქმე ზეცისაჲ, არამედ ოდენ განხრწნად და განმაქარებელად შეერაცხოს სიკუდილი, მას სამართლად ეშინის, ვითარცა არაარსად მიმავალსა. ხოლო ჩუენ, რომელთა მადლითა ღმრთისაჲთა საიდუმლონი დაფარულნი სიბრძნისა შისისანი გუსწავიან, არა ჯერ-არს ჩუენდა, რაათა ვძრწოდით მისგან, არამედ რაათა ვიხარებდეთ და მხიარულ ვიყვნეთ, რამეთუ დაუტევებთ განხრწნადსა ამას ცხორებასა და ფრიად უადრესისა მიმართ და უმჯობესისა მივიცვალეებით, რომელსა-ცა ქრისტე გუასწავებს საქმით, რამეთუ არა იძულებით, არამედ ნეფსით მივალს ვნებად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: ესე თქუა იესუ და განვიდა მოწაფეთა მისთა თანა წიად კევსა მას ნაძოვანსა, სადა-იგი იყო მტილი, რომელსა შევიდეს თავადი და მოწაფენი მისნი. იცოდა იუდაცა, მიმცემელმან მან, ადგილი იგი, რამეთუ მრავალგზის შევიდა მუნ მოწაფეთა მისთა თანა (18,12). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** „შუალამეს ვალს და მდინარესა განკვლის და მივიდის ადგილსა, საცნაურსა მიმცემელისა მის მიერ, რაათა შემპყრობელნი მისნი განარინნეს შრომასა ფრიადსა და უჩუენოს მოწაფეთა, ვითარმედ ნეფსით მივალს ვნებად, რომელ-ესე კმა იყო ნუგეშინისსაცემელად მათა, და ესრეთ შევიდა მტილსა. ამისთვის იტყუს მახარებელი, ვითარმედ: „ესე თქუა იესუ“, რასა იტყუ,

შ, ნეტარო? რამეთუ იგი ლოცვაჲ იყო, და რად არა სთქუ, ვითარმედ: „დასცხრა რაჲ ლოცვისაგან, მივიდა მუნ“? გარნა არა ლოცვაჲ იყო, არამედ სიტყუაჲ, რომელსა იქმოდა თავადი მოწაფეთათჳს და შევიდა მოწაფეთა თანა მტილსა. ესრეთ განაძლიერნა იგინი, რამეთუ არღარა ეშინოდა, ვითარცა პირველად მტილადცა შევიდეს. ხოლო ვითარ მივიდა მუნ იუდა, ამისთვის საცნაურ არს, ვითარმედ უფროჲსად უდაბნოთა იქცევიან, და, უკუეთუმცა სახლსა შინა იყო, იუდამცა არა მოსრულ იყო მუნ. ხოლო არა, რაჲთა გესმეს რაჲ „მტილი“, ჰგონებდე, ვითარმედ იმალვოდა, ამისთვის შესძინა, ვითარმედ იცოდა ადგილი იგი იუდაცა, რამეთუ მრავალგზის შევიდის მუნ მოწაფეთა მისთა თანა, ხოლო მრავალგზის თჳსაგან იქცევიან მათ თანა უდაბნოთა შინა და ეტყჳნ მათ საიდუმლოთათჳს, რომელთაჲ არა ჯერ-არს სხუათა მიერ სმენაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ხოლო იუდა წარიყვანა ერი მღდელთ-მოძღუართაგან და ფარისეველთა მსახურნი და მოვიდა მუნ (18,3). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე ჰურიათა მრავალგზის ინებეს ქმნად და ვერ შეუძლეს და ამისგან საცნაურ არს, ვითარმედ, რაჲჲმს ნეფსით მისცა თავი თჳსი, მაშინ შეიპყრეს, უკუეთუ არა, ვერმცა შეეპყრა, ვითარ-იგი მრავალგზის ინებეს და ვერ შეუძლეს. ხოლო ერი იგი ვინაჲ იყო? არამედ წარმართნი იყვნეს მიზნდებულნი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ხოლო იესუ იცოდა ყოველი მომავალი მის ზედა, გამოვიდა და ჰრქუა მათ: „ვის ეძიებთ?“ (18,4). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, არა თუ მათისა მოსლვისა უკმდა ცნობაჲ, არამედ თვთ პირველითგან ყოველივე იცოდა. ამისთვის შეუშფოთებელად იქმოდა და იტყოდა ყოველსავე. ხოლო იგინი რად საჭურველითა მოვიდეს? რამეთუ ეშინოდა ერთა მათგან, რომელნი შეუდგეს მას, და ამისთვის უჲპოდოძოვიდეს ღამით.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : განვიდა და ჰრქუა მათ: „ვის ეძიებთ?“ ხოლო მათ ჰრქუეს მას: „იესუ ნაზარეტელსა“ (18,4-5). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილეა ძალი უძლეველი, ვითარ იყო მათ შორის და დააბნელნა თჳლანი მათნი, რამეთუ არა ღამე იყო მიზენი? ამისთვის მოასწავა მახარებელმან და თქუა, ვითარმედ:

„ლამპრები აქუნდა“.¹ დაღაცათუმცა ლამპრები არა აქუნდა, კმისაგან ჯერ-იყო ცნობად მისი. და უკუეთუ მათ ვერ იცნეს იუდა, ვითარცა ვერ იცნა, რამეთუ მათ თანა იყო, რომელი-იგი მის თანა ყოფილ იყო მარადს, და მანცა ვერ იცნა, არა-მედ დაეცა პირსა ზედა. ხოლო ესე ამისთვის ქმნა იესუ, რამ-თა გვჩუენოს, ვითარმედ არა თუ ოდენ შეპყრობად ვერ ძალ-ედვა, არამედ ვერცა იცნობდეს, უკუეთუმცა არა თვთ შეუნდო.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : მერმე კუალად ჰკითხა მათ: „ვის ეძი-ებთ?“ (18,7). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** მ, უგულისხმოებამ! სიტყუამან მან პირველმან დასცნა პირსა ზედა და არავე შეიგონეს, რამ-თამცა ცნეს ძალი მისი. ხოლო უფალმან, ვინამთგან, რომელი მისა ჯერ-იყო, ქმნა და მათ არა გულისხმა-ყვეს, ამისთვის მის-ცემს თავსა თვისსა და ეტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „გარკჳ თქუნენ. ვითარმედ მე ვარ“. **დგა იუდაცა მიმცემელი**“ (18,8). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილე დაწყუნა-რებულეზამ მახარებელისამ? ვითარ არა აგინებს მიმცემელსა მას და ესრეთ მარტივად იტყუს ქმნულსა მას და ერთისა ოდენ ისწრაფვის გამოცხადებად, ვითარმედ ყოველივე მისითა მძვდობითა იქმნა: ხოლო რამთა ვერავინ თქუას, ვითარმედ: „მან მოიყვანნა იგინი ამას საქმესა“, ვინამთგან თქუა, ვითარ-მედ: „მე ვარ“, ამისთვის ქმნა ყოველივე საქმმ, დამაყენებელი მათი, და ვითარცა დაადგრეს უკეთურებასავე ზედა და არცა ერთი აქუნდა მიზეზი, მაშინ მისცა მათ თავი თსი და პრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „უკუეთუ მე მეძიებთ, უტევენით ესენი“ (18,8). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვიდრე უკუანამსკნელად ეამდმდე აჩუენა მათ ზედა კაცთმოყუარებად თსი, რამეთუ „უკუეთუ მე მეძიებთო, მე მიგცემ თავსა ჩემსა და ესენი დაუტევენო“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რამთა აღესრულოს სიტყუამ იგი, რომელი თქუა იესუ, ვითარმედ: „რომელნი მომცენ მე, არა წარვწყმიდე მათგანი არცა ერთი“ (18,9). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო „წ ა რ წ ყ მ ე დ ა დ“ აქა არა ამას სიკუდილსა იტყუს, არამედ საუკუნესა მას, ხოლო მახარებელმან ამას ზედაცა ძოილო იგი სიტყუამ, ხოლო ვითარ არა შეიპყრნეს მის თანა და მოსწყვდნეს იგინცა, და უფრომად, ვინამთგან პეტრე

¹ იოან. 18,3

განარისხნა, ვინ იყო დამაყენებელ მათა? არავეინ იყო სხუამ, არამედ ძალი იგი, რომელმან დასცნა პირსა ზედა, რომლისთვისცა მახარებელმან თქუა, ვითარმედ რაათა აღესრულოს სიტყუამ იგი, რომელი თქუა იესუ, ვითარმედ: „არა წარწყმიდე მათგანი ერთიცა“, ხოლო პეტრე მინდობითა ამის სიტყუსაათა და საქმეთა მათ, რომელნი იქმნებოდეს, შეიკურა წინააღმდეგომთა მათ ზედა. ხოლო უკუეთუ ვინ თქუას: „და ვითარ, რომლისადა ბრძანებულ იყო არაქონებად კუერთხისა, მახული აქუნდა მას?“ ხოლო მე ვპვინებ, ვითარმედ თვთ ამის საქმისათს განემზადა პირველითგანვე. და უკუეთუ სთქუა, ვითარმედ: „რომლისადა ბრძანებულ იყო არა ყურმილისცემადაცა, კაცისა მომწყლველცა იქმნებისა ესე?“ გულისხმაყავ და არა თვისისა თავისათს ყო შურის-გებად იგი, არამედ შოდღურისათს, და კუალად, რამეთუ სრულიადი სრულებად არა აქუნდა, არცა იყვენეს საზომსა მას, რომელსა მისწუდეს უკუანადასკნელ, ხოლო შენ უკუეთუ გნებავს პეტრეს მოთმინებისა ხილვად, იხილე ამისა შემდგომად, რაოდენნი მოიწინეს მის ზედა ჰირნი და ვიდრე სიკუდილმდე ყოველივე მოთმინებით თავს-ილდა. ხოლო იესუ აქა ქმნა სასწაული, ერთად, რაათა გუასწავოს ბოროტისყოფელთა კეთილის-ყოფად, და რაათა გამოაჩინოს თვისი ძალი, რამეთუ ყური მისი განკურნა, ხოლო პეტრეს პრქუა, ვითარმედ: „რომელთა მახული აღილონ, მახულითაცა მოკუდენ“.¹ და ესრეთ დააცხრეო იგი, რამეთუ სახელსაცა მის მონისასა იტყვს მახარებელი. რაათა ამის უაძისა კაცთა შეუძლონ ჰემზარითად ცნობად იგი, ვითარმედ ესრეთ იყო. ხოლო შენ იხილე, ვითარ მებრ თავსა ებრძოლა მისსა და მარჯუენმ ყური მისი წარჰკუეთა მას და, არა თუძცა უფალსა შეერისხნეს, სრულიად ეგულებოდა მოკლვად, გარნა უფალმან არა თუ ოდენ დააყენა, არამედ ნუგეშინის-ცემისაცა სიტყუანი მიუთხრნა და პრქუა მას:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „სასუმელი, რომელი მომცა მამამან, არა შევსუა?“ (18,11). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე თქუა, რაათამცა უჩუენა პეტრეს, ვითარმედ არა მათისა ძალისაგან არს შეპყრობად მისი, არამედ თვისისა მიშუებისაგან და ვითარმედ მორჩილ არს მამისა ვიდრე სიკუდილმდე.

¹ მათ. 26,52

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მაშინ შეიპყრეს იესუ და შეკრეს და მიიყვანეს ანამსა პირველად. და იყო ანა სიმამრი კაიაფაისი. ხოლო კაიაფა იყო, რომელმან აზრახა ჰურიათა, ვითარმედ: „უმჯობეს არს ერთისა კაცისა სიკუდილი ერისათს“, (18, 12-14). თ ა რ გ მ ა ნ ი : მიიყვანეს ანამსა, რამეთუ სიხარულისაგან მიმოვიდოდეს და ქადაგებდეს, ვითარმცა დიდი რამე ძლევად ექმნა. ხოლო რამათს აქსენა მახარებელმან წინამწარმეტყულებად იგი? რამთა, გესმეს რამ შეპყრობად და შეკრვად იესუსი, არა შეშფოთნე, არამედ სცნა, ვითარმედ ჭეშმარიტად სოფლისა ცხოვრებისათს იყო და ეგოდენ ჭეშმარიტ იყო ესე, ვიდრელა მტერნიცა წინამწარმეტყულებდეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ხოლო მისდევდა მას პეტრე და სხუად იგი მოწაფე (18,15). თ ა რ გ მ ა ნ ი : ვინ არს სხუად იგი მოწაფე? გარნა თვთ მახარებელი, რომელსა უთქუამს ესე, არამედ რად არა თქუა თვისი სახელი, ვითარ-იგი ჟამსა სურობისასაცა, ვითარმედ: „სხუად მოწაფე“ და არა თქუა თვისი სახელი? არამედ მაშინ სამართლად ჰფარვიდა თავსა თვსსა, რამეთუ დიდ იყო საქმე იგი, ხოლო აქა რამათსლა? არამედ გულისხმა-ყავ, ვითარმედ მისვე მიზეზისათს, რამეთუ ესეცა საქმე დიდ იყო ფრიად, რომელ სხუანი ყოველნი განიბნინეს და იგი მარტომ შეუდგა. ამისთვის სახელი თვისი არა თქუა, არამედ ოდენ პეტრესი, და აქსენა მცირედ თავი თვისი, რამთა სცნა, ვითარმედ ჭეშმარიტებით იტყვს ყოველსავე, რამეთუ მუნ იყო თანამდგომარე. და იხილე მისი საქმე, რამთა არავის უკვრდეს, რომელ სხუანი ყოველნი წარვიდეს და პეტრეცა გარე დაშთა და იგი ოდენ შევიდა უფალსა თანა. ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „მეცნიერ იყო მღდელთმოდღურისა“,¹ რამთა არავინ თქუას, ვითარმედ: „ახოვნებისა და უშიშოებისა თვისისაგან ქმნა“. და არა თუ ვითარცა საქებელად რამე თქუა, თუ: „მეცნიერ იყო მღდელთმოდღურისა“, — ნუ იყოფინ! — არამედ, ვითარცა ვთქუ, მის მიზეზისათს თქუა, რამთა არავის უკვრდესო ახოვნებად მისი, რამეთუ მისი განგებად მარადის სიმდაბლითა შემკობილ იყო, და პეტრესთვის

¹ შდრ. იოან. 18,15—16

თქუა, ვითარმედ: „არა უტევებდეს შესლვად“, უკუეთუ არა, იგიცამცა შესრულ იყო მის თანა. არამედ დიდ არს პეტრესი, რამეთუ ყოველთა დაუტევეს უფალი, ხოლო მან არა დაუტევა, დადაცათუ შინა ვერ შევიდა, ვიდრემდის გამოვიდა და ჰრქუა იოვანე მეკარესა შეყვანებად, არამედ რად არა თუ შეიყვანა, ვიდრე მეკარესა ეტყოდა? გარნა რამეთუ თუთ ჰრასტეს თანა ისწრაფდა ყოფად. იხილე უკუე მეკარისა მისცა დედაკაცისა საქმე:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: ჰრქუა პეტრეს მკვევალმან მან: „ნუუკუე შენცა მოწაფეთაგანი ხარა ამის კაცისათაჲ? ჰრქუა პეტრე: „არა ვარ“ (18,17). თ ა რ გ მ ა ნ ი: რასა იტყუ, მ, პეტრე? არა იტყოდია, ვითარმედ: „სული ჩემი შენთვის დაედვა“¹ და რაჲ იქმნა, რომელ მეკარისაცა სიტყუასა ვერ თავს-იდებ? არა თუ მკედარმან გკითხა, არამედ მკვევალმან უნდომან, და მისიცა სიტყუაჲ არა სიფიცხლით, და რისხვიით იყო, არამედ უფრომხად ლმობიერებათ. ხოლო ნუუკუე შენცა ამისთვის სთქუა, ვითარმედ: „იოვანე შინა იყო და მან ესრეთ ტკბილად ჰკითხა, არამედ პეტრე იგიცა ვერ თავს-იდვა?“ ხოლო იესუ წარსცეს კაიაფამსა შეკრული, და პეტრე დგა გარე და ტფებოდა.² ეჰა. რაზომითა სიმძიმითა შეპყრობილ იყო მკურვალმ იგი და ცეცხლებრ მოტყინარმ გულითა პირველ, შე-რამ-პყრეს იესუ, ხოლო აწ ყოლადგე არა აღიძრვოდა, არამედ ჯდა და ტფებოდა. და, რამთა სცნა, თუ რაზომი არს კაცობრივისა ბუნებისა უძლურებაჲ, ოდეს ღმერთმან დაუტყოს ვინ, და ჰკითხეს მას და კუალად უარ-ყო. და მერმე ნათესავმან მან მის მონისამან, რომლისადა ყური წარეკუეთა პეტრეს, იგი შესწამებდა, ვითარმედ: „არამე გიხილეა მტილსა მას მის თანა?“³ და მტილი რაჲ ავსენა, არავე ლმობიერ იქმნა პეტრე, არამედ კუალადცა უარ-ყო. ხოლო რამსათსა ოთხთავე მახარებელთა ერთობით თქუეს პეტრესთვის? არა თუ მას შეასძენენ, — ნუ იყოფინ! — არამედ, რამთამცა გამოაჩინეს, თუ რაოდენ ბოროტ არს არამინდობაჲ ღმერთისაჲ, არამედ თავისა

¹ იოან. 13.37

² მდრ. იოან. 18,18

³ მდრ. იოან. 18, 18-26

თესისაჲ. ხოლო შენ გიკურდინ სახიერებაჲ იგი მოძღუორისაჲ, ვითარ შეკრული განიკითხვოდა და ზრუნვიდა მისთვის მათ ყოველსა შინა, და მიხედვითა მისითა ლმობიერ-ჰყოფდა და ცრემლად აღადგენდა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : მიიყვანეს იგი კაიაფაჲსით პილატესა (18,28). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იქმნა ესე ყოველი, რადთა სომრავლემან მსაჯულთამან გამოაჩინოს ჭეშმარიტებაჲ იგი საქმისაჲ მისა, ხოლო იყო განთიადი, რამეთუ პირველ ქათმისა ყივილისა კაიაფაჲსა მიიყვანეს და განთიად პილატესა, რამეთუ ესეოდენთა მათ ჟამთა ლამისათა კაიაფაჲს მიერ განიკითხვოდა და ვერარას ამხილებდეს იგინი, არამედ შენ იხილე სიბრძნეჲ ჰურიათაჲ, რამეთუ უბრალოჲ იგი შეიპყრეს საჭურველითა და ენება მოკლვად და არა შეიკდემდეს და სამშჯავროდ არა შევიდოდეს, რადთა არა შეიგიწინენო, რომელნი-იგი აქლემსა მთანსტქმიდეს და ბურჯაკსა წურვიდეს, უსამართლოდ მოკლვად უფლისაჲ არა აქუნდა ბრალად და სამშჯავროდ მოსლვად ბრალად შეერაცხა. ხოლო მათ რაჲსათეს არა მოკლეს, არამედ პილატესა მიაგლინეს? გარნა რამეთუ ფრიადი კელმწიფებაჲ მათი დაცხნილ იყო, რაჲჲს საქმენი პრობთა კელმწიფებისანი იყვნეს და ეშინოდა, ნუჟუეუე საჯნენ იგინი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : გამოვიდა მათა პილატე გარე და ჰრქუა: „რასა შესმენასა მოიღებთ კაცისა ამისათეს?“ (18,29). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა ჭეშმარიტებასა, ვითარ ბრწყინვალე არს? რამეთუ მანცა ცნა, ვითარმედ ამოდ შესმენდეს. ამისთვის ჰკითხვიდა, რამეთუ ბოროტად უჩნდა, უკუეთუმცა საშჯელათი საჯეს და ტანჯვამცა მას მისცეს. ხოლო ისმინენ სიტყუანიცა მათნი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „უკუეთუმცა არა იყო ესე ბოროტისმოქმედი, არამცა მიგუეცა შენდაო“ (18,30). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** მ, უგუნურებაჲ! და რად არა ამხილებთ ბოროტსა მას, არამედ ოდენ იტყუთ, ვითარმედ: „ბოროტისმოქმედი არს“, და საქმესა მას ბოროტსა ვერ შესწამებთ? ჰხედავა, რამეთუ ვერარას სადა ჰპოებდეს? ანა ჰკითხა სწავლისა მისისა და ვერარაჲ პოვა ბრალი, მიაგლინა კაიაფაჲსა და კაიაფა ვერარაჲვე პოვა, და მიიყვანა პილატესა. და პილატე ეტყუს: „რასა შესმენასა

ძოიღებთ ამის კაცისათვის?“ და ვერარას იტყვან ჭეშმარიტსა. ამისთვისცა ჰრქუა მათ პილატე:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „მიიყვანეთ ეგე და შჭულისა თქუენისა-
ებრ განიკითხეთ! ჰრქუეს მას ჰურიათა: „ჩუენდა არავისი
ჯერ-არს მოკლვამ“, რადთა აღესრულოს სიტყუამ იგი იესუ-
სი, რომელი თქუა და აუწყა, რომლითა სიკუდილითა ეგულებო-
და მოსიკუდიდ“, (18,31-32). თ ა რ გ მ ა ნ ი: ამას იტყვს
ძახარებელი, ვითარმედ ჯერ-იყო, რადთა არა ჰურიათათვს-
ოდენ, არამედ წარმართათათვსცა მოკუდეს. და ამისთვის თქუეს:
„ჩუენდა არავისი ჯერ-არს მოკლვამ, გინა თუ ჯუარს-ცუმა“. და
ჰურიანი არა ჯუარს-აცუმიდეს, არამედ სხუთა სახითა
მოჰკლვიდეს, ვითარცა სტეფანეს ქვამ დაჰკრიბეს და არა
ჯუარს-აცუეს, და მისი უნდა ჯუარს-ცუმა. ხოლო პილატე
ფრიადი საშჯელი არა ქმნა, არამედ შეიყვანა შინა და ჰრქუა
იესუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „შენ ხარა მეუფჳ ჰურიათამ?“ ჰრქუა
მას იესუ: „შენ თავით თვისით იტყვა, ანუ სხუათა გითხრეს
ჩემთვის?“ (18,33-34) თ ა რ გ მ ა ნ ი: რადსათვს ჰკითხა ესე
უფალმან? გარნა, რადთა უკეთური იგი ჰურიათა გონებამ
გამოაცხადოს, რამეთუ ასმიოდა ესე პილატეს მრავალთა მიერ,
და ვინამთგან არარამ აქუნდა მას უამსა, რადმცა ჰრქუეს მას
ჰურიათა? რადთა არა ფრიად იყოს გამოძიებამ ამისთვის, რომ-
ელი მარადის ესმოდა, იგი უგმოილო შორის და, ვინამრგან
მათ ჰრქუა, ვითარმედ: „საჯეთ შჭულისაებრ თქუენისა“, მათ
ჰრქუეს: „არა ჯერ-არს ჩუენდა“, რადთამცა უჩუენეს, ვი-
თარმედ არა ჰურიებრი არს ცთომამ, არამედ ყოველთა ზედა.
და ამისთვის ჰკითხა პილატე, ვითარმედ: „შენ ხარა მეუფჳ
ჰურიათამ?“ და არა თუ ქრისტე უმეცარ იყო, ვითარმედ
თავით თვისით იტყვს, ანუ სხუათა უთხრეს, არამედ ენება,
რადთამცა მანცა ცნა ჰურიათა საქმჳ, და ამისთვის ჰრქუა, ვი-
თარმედ: „სხუათა გითხრესა?“ რომლისთვისცა პილატე თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „ნუუკუე მე ჰურიამ ვარა? ნათესავთა
შენთა და მღღელთმოდღუართა მომცეს მე შენ, რამ გიქმ-
ნიეს?“ (18,35). თ ა რ გ მ ა ნ ი: ენება, რადთამცა უბრალოდ
გამოაჩინა თავი თვისი, ხოლო ვინამთგან თქუა, ვითარმედ:
„შენ ხარა მეუფჳ ჰურიათამ?“ ამისთვის ამხილებდა მას იესუ

და ეტყოდა, ვითარმედ: „ესე გესმაა ჰურიათაგან? რამსათეს უკუე არა იქმ კეთილსა საშჯელსა გამოწულილვით? რამეთუ თქუეს მათ, ვითარმედ: „ბოროტისმოქმედი არს“? ჰკითხა, თუ რამ ბოროტი მიქმნიეს? გარნა ამას არა იქმ, არამედ აქოდ მიზეზთა ჰკრებ. თავით შენით იტყუა ამას, ანუ სსუათა გითხრეს?“ რამეთუ მას ვერ ეძლო თქუამად, თუ: „აჲ მითსაიეს“, არამედ ოდენ შეუდგა ზრახვასა მას ერისასა, რომელი ასმიოდა პირველ, ვითარმედ: „მომცესო კელთა ჩემთა, რამა გიქმნიეს?“ ხოლო უფალმან ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მეუფებამ ჩემი არა არს ამის სოფლისაგან“ (18,36). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** არა იყო პილატე მსგავს მათა უკეთურებითა. ამისთჳს ეტყჳს სიტყუათა ამათ. რამთამცა გულისხმა-უყო, ვითარმედ არა ლიტონი კაცი არს, არამედ ღმერთი და ძმ ღმრთისაჲ, და ეტყჳს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „უკუეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფებამ ჩემი, მსახურნიმცა ჩემნი იღუწილდეს ჩემთჳს. რამთამცა არა მივეცი ჰურიათა“ (18,36). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რომლისაგან ეშინოდა პილატეს, ვითარმედ ნუუკუე მეფობასა ეძიებს და მოიწიოს მის ზედა რისხვამ კეისრისაჲ. ხოლო იესუ, აჲ, ესერა, იგი იჰჳ განუქარვა, ხოლო ვითარ არს ესე სიტყუამ? არა არსა ამის სოფლისაჲცა მეუფებამ მისი? ჰე, ყოველთაჲვე მეუფე არს, არამედ არა ჰრქუა უფალმან, ვითარმედ: „არა ვარ უფალი სოფლისაჲ“, არამედ ვითარმედ ზეცით არს დასაბამი მეუფებისა მისისაჲ, ხოლო აჲ ნეფსით ძისცა თავი თჳსი, არამედ ჳრეთ ამას არა იტყჳს. ხოლო თქუა, ვითარმედ: „მსახურნიმცა ჩემნი იღუწილდეს ჩემთჳს“; აჲ გამოაჩინებს უძლურებასა ქუეყანისა მეფობისასა, ვითარმედ მსახურთადა მინდობილ არს. ხოლო ზეცისაჲ არა ესრეთ; არამედ თავით თჳსით არს უფალ ყოვლისაჲვე, არამედ მწვალებელთა ესე სიტყუამ მიილეს, ვითარმედ: „არა არს მეუფებამ ჩემი ამის სოფლისაგან“, და ესრეთ უცხო-ჰყოფენ მას დამბადებელობისაგან და არა ჰნებავს აღხილვამ თუალთაჲ და ხილვამ ჰეშმარიტებისაჲ. ხოლო რამე თქუან სიტყჳსა მისთჳს, რომელ იტყჳს, ვითარმედ: „თჳსთა თანა მოვიდა, და თჳსთა იგი არა შეიწყნარეს“,¹ რამეთუ, ვითარცა იტყჳს

¹ იოან. 1,11

მოცულობათს, ვითარმედ: „სოფლისაგანნი არა არიან, ვითარცა მე არა ვარ სოფლისაგანი“¹ ეგრეთვე იტყვს მეუფებისათს, არა თუ რაიმამცა გამოაჩინა, ვითარმედ სოფელი არა მისსა კელმწიფებასა შინა არს, არამედ არა ესრეთ მიწისაგანი არს და განხრწნადი. ისმინე უკუე პილატესი, რასა იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ჰრქუა მას პილატე: „აწ უკუე მეუფე ხარა?“ ჰრქუა მას იესუ: „შენ იტყვ, ვითარმედ: „მეუფე ვარ. მე ამისთვის შობილ ვარ“ (18,37). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** აჰა, ესერა, ვინამთგან მეუფედ შობილ არს, სხუამცა ყოველი შობითგან აქუს. აწ უკუე, რაჟამს გესმეს, ვითარმედ: „ვითარცა მამასა აქუს ცხორებამ, ეგრეთვე ძესა მოსცა“² ნურარას სხუასა გულისხმა-ჰყოფ, არამედ შობასა და არა თუ უკუანამსკნელ რამმე მოცა, და „ამისთვის მოვედო, რაითა ვწამო ჰეშმარითი“, ესე იგი არს, „რაითა ესე თუთ ვასწავო ყოველთა, რაითა ძიცნან, ვითარმედ მეუფე ვარ“.

ს წ ა ვ ლ ა მ კ ვ

მოთმინებისათს და შურის-გებისა

ხოლო შენ, კაცო, რაჟამს ესე ყოველი გესმეს, ვითარმედ შეუფქ ყოველთამ შეკრული განიშგებოდა, ნურარად შეგირაცხიან სოფლისა ამის საქმენი, რამეთუ ვითარ არა ბოროტ არს, უკუეთუ ქრისტემან ესეოდენი თავს-იდვა შენთვის, და შენ სიტყუამცა არა თავს-იდვა მისთვის? არამედ იგი თავს-იდებს ნერწყუვასა, და შენ იმკვები სამოსლითა შეუენიერითა და ბეჭდებითა აბრწყინებ კელთა. და იგი იყუედრებოდა და იგინებოდა და იცემებოდა, ხოლო შენ მცირედსა ჰირსა არა თავს-იდებ, არამედ ეძიებ პატივსა. რაჟამს ვინმე გაგინოს,

¹ იოან. 17,14

² იოან. 5.26

მოიხსენე ქრისტესი, ვითარ აგინებდეს, უკუეთუ ვინ განგვიცხოს, მოიხსენე, რამეთუ კიცხვეით თაყუან-ს-სცემდეს მას დეცინოდეს, და არა თუ ბოროტი არა უყო. არამედ სიმშვილითა და ტკბილად თავს-იღებდა ყოველსავე. მას უკუე ვაძაძვიდეთ, მ, ძმანო, და რომელი მან ჩუენთვის თავს-იღვა, ჩუენ ჩუენთვისე არა მოვითმინოთა? რამეთუ რად განპრისხნებში მაგინებელისა შენისათვის? უკუეთუ უსამართლოდ გაგინა, არა ჭერ-არს განრისხებამ, არამედ უფრომსად წყალობამ მისი, რამეთუ შეცთომილ არს, უკუეთუ — სამართლად, მაშინ ჭერ-არს ყუდროებით მოთმენამ, რამეთუ საქართალსა იტყვს. და უკუეთუ მდიდარიმცა იყავ და გლახაკად ვინ გიწოდა, რადმცა დაგეთუალა შენ სიტყუამ იგი? ანუ, უკუეთუ გლახაკი იყო და გლახაკ გიწოდონ, ეგრეთვე არა განპრისხნი? და სამართალ არნ. ეგრეთვე უკუე გულისხმაყოფლი ყოველსავე და კეთილად მოითმინო. უკუეთუ სხუათა წინაშე გაგინოს და გრცხუენოდის, მათ ყოველთაგან გულისხმა-ყავ, რამეთუ უფრომსად კეთილ არს, რამთა იხილონ მათ, ყოველთა, მოთმინებამ შენი და გაქონ, და მას აბრალონ. და უკუეთუ არავინ იყოს მუნ ბრძენი, მაშინ უფრომსად იხარებდ, რამეთუ ღმერთი ჰხედავს და წმიდანი ანგელოზნი მოთმინებასა შენსა და მუნ გაქებდენ, რამეთუ უმჯობეს არს ერთისა ანგელოზისა ქებამ, ვიდრე ყოვლისა სოფლისამ. და რად ვიტყვ ანგელოზთა? თვთ თავადმან ღმერთმან გაქოს შენ. ამათ ესევეითართა გულისსიტყუათა მოვიგონებდეთ, რამეთუ არა თუ გუაგინოს ვინ, ბოროტ არს, არამედ უკუეთუ შური ვიძიოთ მის ზედა. და უკუეთუმცა არა კეთილ იყო ღუმლით თავს-დებამ ამის საქმისამ, არამცა ეთქუა ქრისტეს, ვითარმედ: „უკუეთუ გცეს ვინ მარჯუენასა ყურიმალსა, მიუპყარ მეორმცა“.¹ არამედ ბოროტი ჩუენ ზედა ამისთვის არს, რამეთუ კაცობრიეთა საქმეთა ვეძიებთ და არა ღმრთისათა, გარნა ვისწავოთ ცსენებამ თვსთა ცოდვათამ და ესრეთ შემუხსრვილად წარველოთ ცხორებამ ესე, რამთა მივიწინეთ ზეცად მცირედ-მცირედ, ვითარცა კიბითა, რამეთუ ამას მოასწავებდა კიბმ იგი იაკობისი ამაღლებასა სათნოებითი სათნოებად, აღვიდო-

¹ მათ. 5,39; ლუკ. 6,29

დეთ უკუე კიბესა მას, რაათა მივიწინეთ ზეცად და ვპოვნეთ კეთილნი იგი საუკუნენი მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებამა და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი კ ლ

ს ი ტ ყ უ ა ჲ ე ს ე: „მე ამისთვის შობილ ვარ და ამისთვის მოვივლინე სოფლად, რაათა ვწამო ჭეშმარიტი და ყოველი, რომელი იყოს ჭეშმარიტებისაგან, ისმინოს კმისა ჩემისაჲ“ (18,37).

საკრველ არს სულგრძელებამა და ვითარცა ნავთსაყუდელად მიიყვანებს სულსა დაწყნარებად და განათავისუფლებს დელვათაგან და სულთაგან ბოროტთა, და ესე ქრისტემან მრავალგან გუასწავა, ხოლო უფრომსად, რაჟამს-იგი შეიპყრეს ჰურიათა, რამეთუ ანასცა ფრიადითა დაწყნარებულებითა მიუგო და მონასა მას, რომელმან სცა ყურიმალსა, ჰრქუნა სიტყუანი ფრიადისა სულგრძელებისა და ურისხველობისანი. და კუალად კაიაფაჲსა და მერმე პილატესა მივიდა და ესე-ზომსა ჟამსა ფრიადი აჩუენა სიმშუდე. და იტყოდეს იგინი, ვითარმედ: „ბოროტისმოქმედი არს“ და მხილებაჲ ვერ ძალედვა, და იგი დუმნავე. ხოლო რაჟამს ჰკითხა პილატე მეუფებისათეს, მაშინ ჰრქუა მას, რაათამცა ასწავა და აღიყვანა გონებამ მისი სიმალლედ. ხოლო პილატე რამსათეს თესაგან შეიყვანებს და არა ჰკითხავს მათ წინაშე? ამისთვის, რამეთუ აქუნდა მისთვის დიდი რამმე გულისსიტყუაჲ და, რაათა არა დაუხრწევდეს ამბოხებამა მათი, ამისთვის თესაგან ჰკითხა, რაათამცა ცნა ყოველივე ჭეშმარიტებამა. ხოლო ვინამთგან ჰკითხა, ვითარმედ: „რამ გიქმნიეს?“ არარამ ძიუგო მან, ხოლო რაჟამს მეუფებისათეს ჰკითხა, რომლისათეს ჰსუროდა ცნობად, თავადმან ჰრქუა, ვითარმედ: „მეუფებამ ჩემი არა არს ამის სოფლისაგან“, ესე რგი არს, ვითარმედ „მეუფე ვარ, არამედ არა ესევეითარი, ვითარ შენ ჰგონებ, არამედ ფრიად უბრწყინვალესი და უდიდესი, და ამისთვის შობილ ვარ და მოსრულ, რაათა ვწამო ჭეშმარიტი“.

აძით გამოაჩინებს და გულისხმა-უყოფს მას, ვითარმედ არა-
რამ ბოროტი უქმნიეს, რამეთუ, ვინამთგან ჭეშმარიტებისათს
"შობილ იყო და მოსრულ, ვითარმცა რამემ ქმნა ბოროტი?
„ხოლო ვინცა იყოს ჭეშმარიტებისაგან, ისმინოს ვმისა ჩემი-
საა“, ესე იგი არს, ვითარმედ: „ვის უყუარს და ჰსურის ჭეშ-
მარიტებისათს, ვიცი, ვითარმედ ისმინოს ჩემი“, და ესრეთ
ძოდრიკა იგი მცირედთა სიტყუათა მიერ, ვიდრემდის თქუა:
„რამ არს ჭეშმარიტება?“¹ და გულისხმა-ყო, ვითარმედ
ფრიადი ყამი უქმს მის სიტყუსა სწავლასა. ამისთს განვიდა
გარეთ, რამთამცა იცნა ველთაგან ჰურიათაისა, და ჰრქუა
ძათ, ვითარმედ: „არცა ერთსა ბრალსა ვჰპოვებ მე ამის თანა“. და
იხილე, ვითარ მეცნიერად ქმნა, რამეთუ პირველ ჰკითხა
და ცნა რამ ბრალობად, მაშინ ეტყუს მათ განტევებისათს,
ვითარმედ: „დალაცათუ, ვითარცა უბრალოდ, არა გნებავს
განტევებად, არამედ, ვითარცა ბრალეული, მიანიჭეთ ესე ამას
დღესასწაულსა“. ამისთსცა ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „არს ჩუეულეობად თქუენი, რამთა ერთი
მიგიტევო თქუენ პასექსა ამას. გნებავსა, რამთა მიგიტევო
მეუფჳ ჰურიათად?“ დალადყვეს ყოველთა: „ნუ ეგე, არამედ
ბარაბა!“ და იყო ბარაბა ავაზაკი (18,39-40). **თ ა რ გ მ ა ნ ო :**
ჰ, უგუნურებად უკეთური! მსგავსსა თვსსა კაცისმკლველსა
ითხოვენ და უბრალოსა მისცემენ სიკუდიდ, რამეთუ ესე
ჩუეულეობად მათა პირველითგან იყო, ხოლო შენ ამას ყო-
ველსა ზედა გულისხმა-ყავ კაცთმოყუარებად მეუფისა. ამას
ზედა გუემა იგი პილატე, ნუუკუედა ამისთს, რამთამცა გუ-
ლისწყრომად ჰურიათად დაჰცნა და არლამცა მოკლეს, და
აძისთს ტანჯა და შეუენდო მკედართა მათ ძოწეულისა მის
შემოსად და გვრგვნისა მის ეკლისა დარქუმად, და მერმე
გვრგვნოსანი განიყვანა მათა მიმართ, რამთამცა დასცხრა გუ-
ლისწყრომად მათი და, იხილონ რამ შეურაცხებად მისი, აღ-
მოაგდონ გესლი გულისაგან და დასცხრენ. ხოლო უფალი ამას
ყოველსა ზედა დუმნა, ვითარცა-იგი პირველ განიკითხვიდეს
რამ, ხოლო შენ ნუ ოდენ ისმენ სიტყუათა ამათ, არამედ გო-
ნებადცა მიილე და იხილე მეუფჳ იგი ყოველისა დაბადებული-

¹ იოან. 18,38

სამ, ვითარ ემღერდეს მას მკედარნი იგი სიტყვთ და საქმით, და ყოველსავე დუმილით თავს-იდებდა, და ჰბაძევდ მას შენ-ცა საქმით, რამეთუ, ვინაფთგან თქუა პილატე, ვითარმედ: „ძეუფჳ ჰურიათაჲ“, სახეცა კიცხვერსაჲ შეჰმოსეს, და მერჰე განიყვანა და თქუა: „არცა ერთსა მიზეზსა ვჰპოვებ მის თანა“.¹

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : გამოვიდა იესუ გარე და ედგა ეკლისა გვრგვინი და ძოწეული სამოსელი. და ჰრქუა მათ პილატე: „აჰა, კაცი იგი!“ და ვითარცა იხილეს იგი მღდელთმოძღუართა და მსახურთა, ღაღად-ყვეს: „ჯუარს-ეცუნ, ჯუარს-ეცუნ ეგე!“ ჰრქუა მათ პილატე: „მიიყვანეთ ეგე თქუენ და ჯუარს-აცუთ, რამეთუ მე მაგის თანა ბრალი არა ვპოვე“ (19, 5-6).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ამის მიერ საცნაურ არს, ვითარმედ პირველიცა ყოველივე მათისა ეშმაკეულებისათჳს ქმნა მსაჯულმან, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „მე მაგის თანა ბრალი არცა ერთი ვპოვე“. იხილე, ვითარ ზედადს ზედა უბრალო-ჰყოფს თავსა თჳსსა მსაჯული იგი, არამედ ძაღლისა ბუნებასა მიმსგავსებულნი იგი ვერრომელმან საქმემან მოდრიკნა, რამეთუ მათ მიიყვანეს, რაფთამცა ბჭობითა შით მთაფრისაჲთა იქმნას მისი სიკუდილი და იქმნა წინააღმდეგომი — საშჯელითა მისითა უფრომსად განტევებაჲ. ხოლო, ვინაფთგან ჰრცხუენა, ამისთჳს ჰრქუეს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ჩუენ შჯული გუაქუს, და შჯულისა ჩუენისაებრ თანა-აც სიკუდილი, რამეთუ თავი თჳსი ძედ ღმრთისა ყო“ (19, 7).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ვითარ უკუე ჰრქუა რაჲ მსაჯულმან: „წარიყვანეთ ეგე და შჯულისა თქუენისაებრ საჯეთ“, იტყოდეთ, ვითარმედ: „არა ჯერ-არს ჩუენდა მოკლვაჲ ვისიძე“, და აწ შჯულისა მიმართ მიივლტით? და იხილე შესმენაჲ იგი: „ძე ღმრთისა ყო თავი თჳსიო“, და ესე ბრალობაჲ არსა? რამეთუ ძჳ ღმრთისაჲ იყო და ძისა ღმრთისა საქმეთა იქმოდა და იტყოდა, ვითარმედ „ძჳ ღმრთისაჲ ვარი!“ ხოლო ამას ყოველსა რაჲ იტყოდეს, ჰრისტე დუმნა აღსრულებად სიტყუასა მას წინაწარმეტყუელისასა, ვითარმედ: „იგი არა აღაღებს პირსა სიმდაბლითა თჳსითა“, საშჯელი მისი მიედო. ხო-

¹ იოან. 18,38

ლო პილატე შეშინდა, ესმა რამ, ვითარმედ: „ძე ღმრთისა-
 ჯყოფს თავსა თვისა“,¹ ნუუკუე ქეშმარიტად იყოსო და ქმნას
 მან უჯერობაჲ. ხოლო, რომელთა-იგი ცნეს საქმით და-
 სიტყვით ქეშმარიტებაჲ, ვითარმედ ეგრეთ არს, და არა ეში-
 ხის, არამედ შემოიღეს სიტყუაჲ, ვითარმედ: „რომელი მეფედ
 ჯყოფს თავსა თვისა, იგი სიტყუას-უგებს კეისარსა“,² ამისთვის
 კუალად ჰკითხა პილატე, ხოლო იესუ არარაჲ მიუგო, რამეთუ
 რომელსა-იგი ჰრქუა, ვითარმედ: „მე ამისთვის შობილ ვარ, და
 მოსრულ ვარ, და მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგან არს“,
 და ამას ყოველსა ზედა კუალად ჰურიათაჲ ჰრწმენა, რადღამ-
 ცა მიუგო მას? და რამეთუ უკმდა, რამთამცა კეთილად
 გამოიძია, თუ ოდეს გამოაჩინა მან მძლავრებაჲ კეისარსა ზედა
 და არა გამოიძია ქეშმარიტებოთ, ამისთვის უფალმან არარაჲ
 მიუგო, რამეთუ იცოდა, ვითარმედ ამოდ ჰკითხავს ყოველსა,
 და ამისთვისცა, რამეთუ, ვინაჲთგან საქმენი წამებდეს, არა
 ინება სიტყუთა ძლევაჲ და გამოაჩინებსცა, ვითარმედ ნებისით
 მივალს ვნებად, ხოლო. რაჟამს დადუმნა და არღარას იტყო-
 და, ჰრქუა მას პილატე:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „მე არა მეტყუა? არა იცია, რამეთუ კელ-
 მწიფებაჲ მაქუს ჭუარს-ცუმად შენდა და კელმწიფებაჲ მაქუს
 განტევებად შენდა?“ (19.10). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, ვითარ
 თავი თვისი დასაჯა თვთვე, რამეთუ, უკუეთუ შენ მაქუს ყოვ-
 ლისავე კელმწიფებაჲ, უბადრუკო და ამაოო, რამეთუ მიზეზ-
 სა არცა ერთსა ჰპოებ, რად არა განუტეობ? ვინაჲთგან უკუე
 თვთ დაჰსაჯე თავი შენი, ამისთვის ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ:
 „შიმცემელსა ჩემსა შენდა უდიდესი ცოდვაჲ აქუს“,³ რამ-
 თამცა უჩუენა, ვითარმედ მასცა ფრიადი ცოდვაჲ აქუს, და-
 ლაცათუ მიმცემელთა უმეტესი აქუს. და მერმე დაამდაბლებ-
 და მისსა გონებასა და ეტყოდა, ვითარმედ: „არა მაქუს კელ-
 მწიფებაჲ ჩემ ზედა არცა ერთი, უკეთუმცა არა მოცემულ
 იყო შენდა ზეგარდამო“,⁴ უჩუენებდა, ვითარმედ დიდი საი-
 დუმლოჲ არს საქმე იგი და არა თუ ესრეთ ლიტონად ქმნი-

¹ იოან 19,8

² იოან. 19,12

³ იოან. 19,11

⁴ იოან. 19,11

ლი. ხოლო რადთამცა ესმა რად, თუ: „ზეგარდამო მოცემულ არს“ და ჰგონებდა, ვითარმედ გარეგან ბრალისა არს, ამისთვის ჰრქუა, ვითარმედ: „უდიდესი ცოდვად აქუს მათ“, რამეთუ აქა მოცემასა არა თუ სხუასა რას იტყუს, არამედ მიშუებასა, ესე იგი არს, ვითარმედ შენდობილ არს ყოფად ამის საქმისა, არამედ: „არა თუ ამისთვის გარეგან ბრალისა ხართ“, — შეაშინა იგი სიტყვთა. ამისთვისცა ენება განტევებად მისი, არამედ იგინი ლალადებდეს: „უკუეთუ ეგე განუტევეო, არა ხარ მოყუარე კეისრისა, რამეთუ ყოველი, რომელი მეფე-ჰყოფს თავსა თვსსა, სიტყუას-უგებს კეისარსა“.¹ და სადა გამოჩნდა მისი მძლავრებად, ჰ, ურწმუნონო? ანუ სადადთ ამხილებთ ამას ძოწეულისაგან, ანუ გვრგვნისა, ანუ ძქედართაგან? არა მარადის ათორმეტთა თანა მოწაფეთა უდაბხოს იქცევიან? არამედ, ჰ, უგუნურებად და ამოფე შიში! ამისთვის შეშინდა პილატე და გამოვიდა და დაჯდა, რადთამცა საჯა, და არა საჯა, არამედ მისცა ჯუარს-ცუმად და ჰგონებდაცა, თუ ნუუკუე მოდრკენ, ამისთვისცა ჰრქუა:

სახარებად: „აჰა, მეუფე თქუენი!“ ხოლო მათ ლალადყვის: „აღიდე ეგე და ჯუარს-აცუ! ჰრქუა მათ პილატე: „მეუფე თქუენი ჯუარს-ვაცუა?“ მიუგეს მლდელთმოძღუართა მათ და ჰრქუეს: „არა გვვის ჩუენ მეუფე, გარნა კეისარი“ (19,14-15). თარგმანი: აჰა, ესერა, ნებსით თუსით, თუსითა პირითა განვარდეს ღმრთისა მეუფეებისაგან და კეისარი აღირჩიეს მეუფედ. და ამისთვის უფალმან მათისა სიტყუსაებრ მისცნა კეისარსა და, ვინადგან მისი მეუფებად უარ-ყვის, დაუტევნა იგინი, რომელნი ლალადებდეს ჯუარს-ცუმად მისა, რამეთუ სიკუდილი იგი ჯუარს-ცუმისადა ბოროტ იყო და წყევასა ქუეშე, ამისთვის ინებეს მით მოკლვად, რადთამცა სრულიად აღკოცეს მისი საცსენებელი და არა გულისხმა-ყვის, თუ ვითარ გამოჩნდების ჭეშმარიტებად და მისი იგი დიდებად.

¹ იოან. 19,12

სიყუარულისა და კეთილის-ყოფისათჳს მტერთაჲსა

ხოლო ჩუენ ნუმცა ოდენ ვიკითხავთ ამას ყოველსა, არამედ გონებათაცა შინა ჩუენთა დაკვნერგოთ გვრგვნი ეკლესიაჲ, სამოსელი იგი კიცხევისაჲ, ლერწამი იგი და ყურიძლისცემაჲ, ნერწყუჲჲ და კიცხევაჲ, რამეთუ, უკუეთუ ამათ ვიგონებდეთ, ფრიადი სარგებელი გუეყოს და არა განვრისხნეთ, რადცა ვინ ბოროტი მოაწიოს ჩუენ ზედა, „რამეთუ არა არს შონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა“.¹ ვითარ ეტყოდეს მას ჰერიანი, ვითარმედ: „სამარიტელ ხარ, და ეშმაკი არს შენ თანა“² და სხუანი მრავალნი ესევეითარნი და ამისთჳს თავსიდვა ესე ყოველი, რადთა ჩუენცა კუალსა მისსა შეუდგეთ, რამეთუ ესევე ასწავა მოციქულთა, და ჩუენ, ყოველთა, მოვიგოთ უკუე საქმეჲ ესე, და არარაჲ ესრეთ ღმერთსა მოწყალე-ჰყოფს ჩუენ ზედა, ვითარ სიყუარული და მოთმინებაჲ და არა ბოროტის-ყოფაჲ მტერთაჲ. რაჲჲმს ვინმე გავნოს, ნუ მას აბრალებ, არამედ ეშმაკსა, რომელმან აცთუნა იგი, და მას უფროჲსად სწყალობდი, რამეთუ ქრისტეცა შეშფოთნაო იუდაისტჳს, რადსათჳს შეშფოთნა? მისისა წარწყმედისათჳს ძწუხარე იქმნა. ამას ყოველსა ჩუენცა ვჰბაძვიდეთ, ხოლო უკუეთუ მას არა ვჰბაძვიდეთ და მისთა მცნებათა არა ვიქჰოდით, უმჯობეს იყო, არა თუმცა შობილ ვიყვენოთ, რამეთუ სარწმუნოებაჲ ოდენ თნიერ საქმეთასა არა კმა არს სასუფეველსა შეეყვანებად; არამედ უფროჲსად დასაშჯელ ექმნების. რამეთუ მონამან, რომელმან იცოდის ნებაჲ უფლისა თჳსისაჲ და არა იქმოდის, იგუემოს ფრიად. რად უკუე სიტყუაჲ მიუგოთ, რომელნი-ესე შინაგან სასუფეველისა ქმნულ ვართ და უხილავნი გვხილვან, და ზიარ მაღალთა მათ საიდუმლოთა ქმნილ ვართ და უძრვს წარმართთასა ვიყოფვით? რამეთუ, უკუეთუ მათ დიდებისათჳს ამოჲსა მოღუაწებაჲ აჩუენეს, ჩუენ სასუფეველისათჳს და ღმრთისათჳს არა ვაჩუენოთა?

¹ მათ. 10,24

² იოან. 8,48

რამეთუ მათ მრავალგზის კაცთათჳს სულნიცა თჳსნი შეურაცხ-
 ყვნეს, ხოლო ჩუენ მცირედისა ოქროსათჳს წარვსწყმედთ
 სულსა და არა შეურაცხ-გჳყოფთ მას ქრისტესთჳს; და მრის-
 ხანე ვართ და საქმენი საძაგელნი გჳყუარან. ამისთჳს მრცხუ-
 ეხის და ვძრწი, რაჟამს წარმართთა ვხედვიდე მოლუაწებასა
 შინა, და ჩუენთა — არა, ხოლო ესე ამისგან არს, რამეთუ
 მცნებათა ღმრთისათა არა ვისმენთ, არცა ვიქმთ, არამედ მცი-
 რედ ჟამ ვისმენთ სიტყუათა ღმრთისათა და მერმე ფრიად
 ჟამ შევექცევით ზრუნვათა სოფლისათა. და ესრეთ მოიშთ-
 ვების თესლი იგი სიტყუსაჲ, არამედ აღვიხილნეთ ზეცად და
 შთავიხედნეთ საფლავებსა, რამეთუ ჩუენცა მასვე აღსას-
 რულსა მივიწვეით. და ნუჟყუე თანამდები იგი უწინარესლა
 ძისა მოვიდეს ჩუენ ზედა? განვემზადნეთ უკუე მის ჟამისათჳს,
 რამეთუ ფრიადი საგზალი გჳკმს ჩუენ, რამეთუ ფრიადი გზაჲ
 არს ურწყული და ძნელი, და წარვვლოთ იგი ყოველი, და არა
 არს უცხოთა სადგური, არცა სავაჭროჲ გზასა ზედა, რაჲ-
 თამცა რაჲ ვიყიდეთ, უკუეთუ ყოველი ამიერ არა გუაქუნ-
 დეს. ისმინე, რასა ეტყჳან ქალწულნი იგი ბრძენნი სულელთა
 მათ, ვითარმედ: „წარვედით და იყიდეთ“,¹ არამედ ვერ პოვეს.
 ისმინე, რასა ეხეკიელ წინაწარმეტყუელი იტყჳს მის ღლი-
 სათჳს, ვითარმედ: „ნოე და იობ და დანიელ, ძენი მათნი, ვერ
 გამოიჯსნენ“, არამედ ჩუენ ნუმცა გუასმიან სიტყუანი ესე,
 აღვილოთ საგზალი ამიერ, რომელი კმა იყოს საუკუნოდ ცხო-
 რებად, და კადნიერებით ვიხილოთ უფალი ჩუენი იესუ ქრის-
 ტე, რომლისა თანა მამასა ჰმუნის დიდებაჲ სულთ შმიდი-
 თურთ აწ და მარადის. და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ა ი

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: მაშინ მისცა იგი მათ პილატე, რაჲთა
 ჭუარს-აცუან, ხოლო მათ წარიყვანეს იგი. და ეკიდა მას ჭუა-
 რი თჳსი და აღვილოდა იგი ადგილსა მას თხემისასა (19,16-17).
 ქველის-მოქმედებანი უკეთურთა და უგუნურთა მავნებელ

¹ მათ. 25,9

ექმნებიან, რამეთუ ჰურიათაცა პირველ აქუნდა მადლი ღმრთისაჲ და შეწევნაჲ, და მოიძიეს მონებაჲ წარმართთაჲ და უდაბნოს მანანაჲსა წილ ნიორისა გული უთქუმიდა, და აწ მუჟებოჲ ქრისტესი უარ-ყვეს და კეისრისაჲ დაიდვეს თავთა თხსთა ზედა. ამისთვისცა უფალმან მისცა მათ მეუფჳ მათისა სიტყვისაებრ, ხოლო ესე ესმა რაჲ პილატეს, მისცა, რაჲთა ჭუარს-აცუნ ფრიად უჭეროდ. რამეთუ ჯერ-იყო, რაჲთამცა ეკითხა, თუ ოდეს-ძი ინება მან მეფობისა მის, რამეთუ პირ-ველვე ბრძანა ქრისტემან, ვითარმედ: „ჩემი მეუფებოჲ არა არს ამის სოფლისაგან“, არამედ მან უბადრუკმან არა ინება მცირედისაცა სიბრძნისა კმარებოჲ და ჩუენებასაცა ზედა ცოლისა თხსისასა, რომელი კმა იყო შეშინებად, ამას ყოველსა ზედა არა შეიკდიმა, არცა აღიხილნა ზეცად, არამედ მისცა მათ იგი. ხოლო მათ აღჰკიდეს ჯუარი და, ვითარცა დაშვილსა, რამეთუ ძელისა მისცა შეხებად იზმნიდეს, ამისთვისცა თავადსა აღჰკიდეს, და ვითარცა წარვლესრე, პოვეს სუმონ კვრინელი, რომლისათხს იტყუან სხუანი მახარებელნი. და მერმე აღიდეს უფლისაგან და მას ზედა დადვეს იგი. არამედ აქა იოვანე უფლისათხს იტყუს, რომელსა ზედა დადვეს ჯუარი, გან-რაჲ-იყვანებდეს სამშჯავროდთ, ეგრეთვე იყო სახესა მას ზედა, რამეთუ მაშინცა ისაკ აღიკიდა შეშაჲ, არამედ მუნ ნებისაებრ მამისა იქმნა საქმჳ იგი, რამეთუ სახჳ იყო, ხოლო აქა კეშმარტებით აღესრულა, რამეთუ კეშმარტებოჲ იყო და არა იგავი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : და მივიდეს თხემისა ადგილსა. ხადა-იგი ჭუარს-აცუნეს (19,18). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ იტყუან ვიეთნიმე, ვითარმედ: „ადამ მუნ დაეფლა და უფალმან იესუ, სადა-იგი სიკუდილმან მიიღო დასაბამი თხსისა მეუფებისაჲ, მუნ აღჰმართა თხსი საძლეველი ქრისტემან, რამეთუ საძლეველი ეკიდა ჯუარი ეშმაკისა მიმართ. ხოლო ჭუარს-აცუნეს იგი შორის ავაზაკთა, რაჲთამცა უნებლიადთ აქაცა წინაწარმეტყუელებოჲ აღასრულეს, რამეთუ ესე თქუა დასაბამითგან წინაწარმეტყუელმან, ვითარმედ: „უშჯულოთა თანა შეირაცხა“ და ენება ეშმაკსა, რაჲთამცა ამით საქმითა დაფარა საქმჳ იგი, არამედ ვერ ეძლო, რამეთუ ჭუარს-ეტუნეს სამნი, ხოლო გამობრწყინდა მხოლოჲ იესუ, რაჲთა სცნა, ვითარმედ მისმან

ძალმან ქმნა ყოველივე, რამეთუ, რაჟამს სამნივე ეკიდხეს ძელსა, ძანინ იქმნებოდეს სასწაულნი იგი, არამედ არავინ მიაჩემა სხუასა ვის ერთიცა საკრველი, გარნა უფალსა. ესრეთ ამოიქმნა მძლავრებაჲ ეშმაკისაჲ და ზრახვაჲ მისი ბოროტი თავსავე მისსა მიექცა, რამეთუ არა თუ ოდენ ვერ ავნო დიდებასა მას უფლისასა, არამედ უფრომსად, რამეთუ მოიქცა ერთი იგი და ცხოვნდა, და ეშმაკი წარწყმდა, რამეთუ არა უდარჴს იყო კლდეთა განპებასა ავაზაკისა ჟუარსა ზედა მოქცევაჲ და საძოთხედ შეყვანებაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : და დაწერა პილატე ფიცარი (19,19).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ერთად, რადთამცა ჰურიანი სირცხვლელუ-ყვნა, და კუალად, თვისსაცა თავსა განიმართლებდა, რამეთუ მათ, ვინაჲთგან, ვითარცა ძკრისმოქმედი, დასაჯეს და საქმისა ამის დამტკიცებაჲ ენება შეერთებითა მით ავაზაკთა თანა, ამისთვის დაყოფად პირთა მათთა ქმნა ამან ესე, რადთა ყოველნი, რომელნი იკითხვიდენ, ცნან, ვითარმედ თვისსა ზედა მეუფესა აღდგეს. და ამისთვის დააწესა წერილი იგი, რომელი ქადაგებდა მათსა უკეთურებასა და მისსა მეუფებასა, დაღაცათუ არა სრულიად და ვითარცა ჟერ-არს. და იყო წერილი იგი არა ებრაელებრ ოდენ, არამედ სამითა ენითა, რამეთუ, ვინაჲთგან დღესასწაულისა მისთვის სხუანიცა მრავალნი იყვნეს მუნ, ამისთვის, რადთა ყოველთა ცნან საქმჴს იგი, ქმნა ესრეთ და განაქიქა უკეთურებაჲ ჰურიათაჲ. ხოლო იგინი განრისხნეს ამას ზედა, რამეთუ ჟუარსცუმულსაცა ეშურებოდეს, არამედ, მ, უმჯულონო, რასა გავნებდეს წერილნი იგი? რამეთუ უკუეთუ მოკუდავი არს და უძლური, ასონი იგი რასა გავნებენ და რად გეშინის, რამეთუ იტყვან, ვითარმედ: „მეუფჴს ჰურიათაჲ“? არამედ არა უჯერო იყო საქმჴს იგი, გარნა, ვინაჲთგან დაიფლოდეს ჟუარნი და ეგულებოდა შემდგომად. ჟამთა მრავალთა ძიებაჲ მათი და პოვნაჲ, რამეთუ სამნივე ერთბაჴად ყოფად იყვნეს. რადთა არა უცნაურ იყოს ჟუარი იგი მეუფისაჲ, ამისთვის განგებულებით დაადგრა ფიცარი იგი, რადთა მის მიერ იცნან იგი, რამეთუ ავაზაკთა თანა ფიცარნი არა იყვნეს. და ამისთვის პილატეცა არა უსმინა მათ, რომელნი

¹ იოან. 19,19

იტყოდეს, ვითარმედ: „ნუ დასწერ მეუფედ ჰურიათა, არამედ მან თქუაო, თუ: „მეუფე ვარ ჰურიათა“.¹ იხილეთ უკეთურებად, რამეთუ ენება, რაათამცა უფროსად შესმენამ იყო მისი წერილი იგი, რამეთუ მან თქუა, თუ: „მეუფე ვარ“, ხოლო ერისაგანთა მათ განიყვეს სამოსელი მისი და კუართა არა განიყვეს. იხილე, ვითარ ყოვლით კერძო წინაწარმეტყუელებანი აღესრულებოდეს, და ესე პირველითგან თქუმულ იყო. ხოლო შენ გიკვრდინ წინაწარმეტყუელისა სიბრძნით თქუმად ყოვლისაჲვე, არა თუ, ვითარმედ „განიყვეს“ ოდენ, არამედ ვითარმედ: „წილი განიგდეს კუართსა ზედა“. ხოლო სიტყუად იგი, თუ „ზეით მოქსოვილ“,² არა ცუდად არს, არამედ ვკგონებ, თუ იგავი არს, რომელი მოასწავებს, ვითარმედ არა ლიტონი ოდენ კაცი იყო ჯუარს-ცუმით, არამედ ზეციტყა ღმრთეებად აქუნდა, რომელ-იგი ბუნებად ღმრთეებისაჲ უვნებლად ეგო და განუკუთელად, ხოლო კორცთა ბუნება-მან ივნო და მოიწყლა. და კუალად ვიეთნიმე იტყუნ, ვითარმედ სახესა მასცა სამოსლისასა მოასწავებს მახარებელი, რამეთუ პალესტინეს ორთა სამოსელთა შეაერთებენ და მოკოვენ ერთად და შეიქმან მას კუართად და უწოდენ მას ზეით მოქსოვილად. და თქუა იგი მახარებელმან, რაათამცა მოასწავა უნდოებად იგი მისი, რამეთუ ეგვეითარი იგი კუართი უნდოჲ არს, რომელი-იგი სახმ იყო პირველ-თქუმულისა მის სიტყუსაჲ, რომელ ვთქუთ ამისთვის ზეით მოქსოვილისა. და მკედარნი ამას იქმოდეს, ხოლო თავადი ჯუარსაცა ზედა შეჰვედრებდა დედასა მოწაფესა მას საყუარელსა, რაათამცა ჩუენცა გუასწავა მსახურებად მშობელთაჲ. ხოლო იოვანე კუალად ჰმალავს თავსა თვსსა სიმდაბლით, რამეთუ, უკუეთუმცა არა ფრიადისა მის სიმდაბლისაგან დუმბა, მიზეზიცამცა თქუა, რომლისათვის უყუარდა იგი უფალსა, რამეთუ დიდი იყო მიზეზი იგი და საკურველი, უკუეთუმცა ეთქუა. ხოლო რაჲსათვის სხუასა სიტყუასა ნუგეშინისცემისასა არა ეტყუს იოვანეს, მკმუნვარედ მდგომარესა? ერთად, რამეთუ ჟამი არა იყო მრავალთა სიტყუათა თქუმად

¹ იოან. 19,21.

² შდრ. იოან. 19,23.

და, მეორედ, რამეთუ ესეცა არამცირედი პატივი იყო და ხუგეშინის-ცემაჲ, რომელ დედაჲ თჳსი შეჰვედრა მას. და იხილე, ვითარ ჭუარსკუმული ყოველსავე შეუშფოთებულად იქმოდა და იტყოდა: მოწაფესა ეტყოდა დედისათჳს, წინა-წარმეტყუელებათა აღასრულებდა, ავაზაკსა აცხოვნებდა, რომელი-იგი პირველ ჭუარს-ცუმისა შეურვებულ იყო და იშიშვოდა, არამედ მუნ იქმოდა, რაჲთამცა ბუნებაჲ კაცობრივი აჩუენა, ხოლო აჟა ძალსა მას ღმრთეებისასა გამოაჩინებდა და რაჲთა ჩუენ გუასწაოს, რომელ, დაღაცათუ გუეშინოდის ჳირთაგან, არავე ვეველტოდით მათ, რამეთუ შე-რადვიდეთ მას შინა, ყოველივე ადვილ არს. ნუმცა უკუე ვძრწით სიკუდილისაგან, რაჟამს ჳერ-იყოს სიკუდილი ღმრთისათჳს. რამეთუ დაღაცათუ ბუნებასა ჩუენსა აჟუს მისგან შიში, არაჲდ ჩუენ, უკუეთუ გუენებოს, მოვაუძღურებთ შიშსა მას, და, უკუეთუ გუენებოს, განვადიდებთ, გარნა რაჲთა არცა ნეფსით სიკუდიდ მივისწრაფდეთ, არცა, უკუეთუ მოიწიოს ეამი, შევეძრწუნდეთ და პატივ-ვსცეთ საწუთროსა უფროჲს საუკუნოჲსა ცხოვრებისა.

სახარებაჲ: ხოლო დგეს ჭუარსა თანა დედაჲ მისი და დაჲ დედისა მისისაჲ, მარიამ კლეოპაჲსი და მარიამ მაგდანელი (19,25). **თარგმანი:** რამეთუ მარიამ კლეოპაჲსი ძმისცილი იყო იოსებისი, რომლისადა მითხოვილ იყო ღმრთისმშობელი და მეგობარი იყო წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ. და ამისთჳს სახელ-სდვა მას და დ მისა, რამეთუ მეგობარი იყო მისი და ნათესავიცა. ხოლო იხილე, ვითარ უძღური იგი ბუნებაჲ დედათაჲ ესრეთ უშიშად დგა მუნ და უახოვნეს მამათასა იყვნეს. ესრეთ ყოველივე შეიცვალებოდა, ხოლო უფალმან იესუ შეჰვედრა დედაჲ თჳსი საყუარელია მას მოწაფესა და ჰრქუა:

სახარებაჲ: „დედაკაცო, აჰა, ძმ შენი“ მერმე ჰრქუა მოწაფესა მას: „აჰა, დედაჲ შენი“! (19,26-27). **თარგმანი:** ეჰა პატივი იგი! რაბამითა პატივ-სცა მოწაფესა მას, რამეთუ ვინაჲთგან წარვიდოდა, ნაცვალად თჳსა მოწაფესა შეჰვედრა და ჰრქუა: „აჰა, დედაჲ შენი“, რომლისათჳსცა წარიყვანა მან თჳსთა თანა. ხოლო ესე ქმნა, რაჲთამცა გუასწავა უფროჲს ყოვლისა მშობელთათჳს ზრუნვაჲ. ხოლო, უკუეთუ სულისა

სარგებელსა დაგვხრწევდენ, არა ჯერ-არს მათი შერაცხამ, და, უკუეთუ არა გუავენებდენ სულსა, უფრომს ყოვლისა მათი ჯერ-არს ზრუნვამ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ამისა შემდგომად იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღესრულა და რამთა აღესრულოს წერილი, თქუა: „მწყურის“ (19,28). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილა, რამეთუ ყოველივე განგებულებამ მისი აღესრულა, რამეთუ მისსა კელმწიფებასა შინა იყო სიკუდილი და არასიკუდილი. და აძისთჳს, ვიდრემდის აღესრულა ჟამი, არა ენება სიკუდილისა გემომსხილვამ. ხოლო თქუა, ვითარმედ: „მწყურის“, რამთამცა იგიცა წინააღწარმეტყუელებამ აღასრულა, ხოლო შენ მათი ბილწებამ იხილე, რამეთუ დალაცათუ ბევრეულნი მტერნი გუესხნენ და ვიხილნეთ იგინი სიკუდილსა შინა, მოვდრკებით. ხოლო იგინი არავე მოდრკეს ყოველსა მას ზედა, არამედ უფრომსად განფიცხნებოდეს, და კიცხევასა განადიდებდეს, და ძმარსა ღრუბლითა მიუბჳრობდეს და უსუბი ლერწამსა ზედა დადვეს, და ესრეთ მიუბჳრეს, რამეთუ თვთცა არა ენება შეხებამ მისი, ვითარცა ბოროტისა რამსამე, არამედ ლერწმითა და უსუბითა მიუბჳრობდეს,¹ ხოლო თავადმან მიიღო რამ ძმარი იგი, თქუა: „აღსრულებულ არს წერილი“.² ჰხედავა, ვითარ ყოველსავე კელმწიფებით იქმს? და შემდგომიცა ისმინე, ვითარ იხილა რამ, რამეთუ ყოველი წერილი აღსრულებულ იყო, მოდრიკა თავი და განუტევა სული. იხილე აქა კელმწიფებამ, რამეთუ ჩუენ ოდეს მივსცეთ სული, მაშინ ძიდრკების თავი. ხოლო აქა თვთ ოდეს ინება, მიიდრიკა თავი და განუტევა სული. და ამით ყოვლითა გამოაჩინებს მახარებელი, ვითარმედ უფალ ყოვლისა იყო, არამედ ჰურიანი კუალად, რომელნი-იგი აქლემსა შთასთქმიდეს და ბურხაკსა წურვიდეს, ესევეითარი საშინელი საქმე ექმნა, და დღისა მისთჳს გამოძიებასა იქმოდეს და ეკრძალებოდეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : ხოლო ჰურიითა, რამთა არა დაადგრენ გუამნი. იგი შაბათამდე ჯუარსა ზედა, რამეთუ იყო დიდ დღე იგი შაბათისამ მის, ჰკითხეს პილატეს, რამთა განუტეხ-

¹ შდრ. იოან. 19,29—30

² იოან. 19,30

ნენ წვენი მათნი და აღიხუნენ (19,31). თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეთ, ვითარ ძლიერ არს ჭეშმარიტებაჲ, რამეთუ საქმეთა მათ მიერ, რომელთა იგინი მოსწრაფე იყვნეს, წინაწარმეტყუელებად აღესრულებოდა. რამეთუ მო-რაჲ-ვიდეს მკედარნი, სხუათა მათ ორთა წვენი შემუსრნეს, ხოლო იესუმსნი — არა, არამედ ჰურიათა მომადლებისათჳს ლახურიტა უგმირეს გუერდსა¹ და მკუდარსა მას გუამსა ჰგუემდესვე. მ² შეგინებული იგი და ბილწი გონებაჲ! არამედ ნუ შეჰშფოთნები, ხუმცა მკმუნვარე იქმნები, საყუარელო, რამეთუ, რომელსა იგინი იქმოდეს გონებითა უკეთურიტა, იგი ყოველი ჭეშმარიტებასა შეეწეოდა, რამეთუ ესეცა წინამსწარმეტყუელებად იყო, რომელი იტყოდა: „იხილონ, რომელსაცა უგუემირეს“, და შემდგომად ამისა სარწმუნოებისა მიზეზ იქმნებოდა ურწმუნოთათჳს, ვითარ-იგი თომას, და კუალად საიდუმლოჲ საშინელი აღესრულებოდა, რამეთუ „გარდამოეცა სისხლი და წყლი“.² და არა ლიტონად და ცუდად გამოვიდეს ორნი ესე წყარონი, არამედ ვინამთგან ამათ ორთა მიერ არს საიდუმლოჲ ეკლესიისად და იციან მორწმუნეთა, რამეთუ წყლიტა იშვებიან და სისხლიტა და ჯორციტა უფლისაჲთა იზარდებოან. ამისთვისცა წყალსა შეეპრევთ ღვინოსა თანა და ესრეთ შევსწირავთ მას წმიდასა ჟამისწირვასა, რაჲთა, ოდეს მოუტდებოდით წმიდასა მას ბარძიმსა, ესრეთ შეგუერაცხოს, ვითარმცა გუერდსა მას მეუფისასა მიევახლებოდეთ და მისგან ძოვილებდით და ესევიტარიტა გულისსიტყუთა მოუტდებოდეთ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: და რომელმან იხილა, წამა, და ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი (19,35). თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე იგი არს, ვითარმედ: „არა სხუათა მიერ მესმა, არამედ: „თუთ მუნ ვიყავ, და ვიხილე, და ჭეშმარიტ არს ესე“. რამეთუ ენება მახარებელსა, რაჲთამცა მწვალებელთა პირი დაუყო, რომელნი-იგი შემდგომად მისა გამოჩინებად იყვნეს. ამისთვის დაამტკიცებს სიტყუასა მას: „და აღესრულა აქაცა წინაწარმეტყუელებად, ვითარმედ: „ძუალი მისი არა შეიმუსროს“.³ რამეთუ

¹ შლრ. იოან. 19,32-34

² იოან. 19,34

³ იოან. 19,36

სიტყუაჲ ესე, დაღაცათუ ტარიგისა მისთვის, ჰურიათა მიერ დაკლულისა, თქუმულ არს, არამედ სახმ იგი ამის ქეშმარიტე-
ვისათვს იყო. ჰხედავა, ვითარ ისწრაფის დამტკიცებად სიტ-
ყუათა ამათ და სარწმუნო-ყოფად შეურაცხისა მის საქმისა?
რამეთუ ჯუარ-ცუმისა უმეტესი შეურაცხებაჲ იყო გუამისა მის
პომკულარისა მოწყლვაჲ. არამედ იტყვს მახარებელი, ვითარ-
ძედ: „ესე ყოველი ვთქუ მოსწრაფებით, რაათა გრწმენეს“.¹
ნუმცა ვინ უკუე ურწმუნო არს, ნუცა ჰრცხუენის და დაჰ-
ფარავს ჩუენთა ამათ საქმეთა, რამეთუ, უფრომსად, რომელნი
ვითარცა შეურაცხებისა და ყუედრებისა მიზეზად ჩანან, იგი-
ნი არიან ჩუენნი კეთილნი და პატიოსნებანი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ამისა შემდგომად ჰკითხა პილატეს იოსებ
არიმათიელმან, რამეთუ იყო იგიცა მოწაფჲ იესუმისი (19,38).
თ ა რ გ მ ა ნ ი : მოწაფჲ იყო იგი სამეოცდაათთაგანი, და
სთხოვა პილატეს გუამი უფლისაჲ, ხოლო მან მისცა, რამეთუ
რადმცა ჰშურდა, ვინაითგან მოეკლა? და შეეწია იოსებს
ხიკოდემოსცა და პატივით დაჰმარხეს, რამეთუ, ვითარცა ლი-
ტონი კაცი, შეერაცხა, ამისთვის მიეხუნეს ესე სულნელებანი,
რომელნი დასცივიდეს გუამსა მკუდრისასა განუხრწნელად
მრავალ ეამ. და ამის მიერ საცნაურ არს, ვითარმედ, ვითარცა
კაცსა, ჰხედვიდეს და დიდი სიყუარული და პატივი აჩუენეს
მათ, დაღაცათუ არა, ვითარცა სრულსა ღმერთსა, ჰხედვიდეს.
იხილე, ვითარ არავინ ათორმეტთაგანი მივიდა, არცა პეტრე,
არცა იოვანე, არცა ჟინ სხუათა წარჩინებულთაგანი, და ამას-
ცა არა დაჰფარავს მახარებელი, რამეთუ, უკუეთუ შიშისათვს
ვინ თქუას ჰურიათაჲსა, მათცა ეშინოდა და მოვიდესვე. ხო-
ლო იოვანე მუნ დგა, განუტევა რაჲ სული, და არარაჲ ჰქმნა
ესევითარი, არამედ, მე ვჰგონებ, ვითარმედ ამისთვის იქმნა
ესე, რამეთუ ესენი კაცნი იყვნეს ფრიად საჩინონი და პი-
ლატჲსიცა მეცნიერი იყო იოსებ, და ითხოვა მისგან და
აღილო, და დაჰმარხეს არა, ვითარცა დაშჯილი, არამედ, ვი-
თარცა წეს არს ჰურიათა, ვითარცა დიდი რამე და საკვრვე-
ლი. და ვინაითგან მიმწუხრ იყო, დადვეს მახლობელსა მას
საფლავსა. და ესეცა განგებულებით იქმნა, რომელ ახალსა

¹ იოან. 19,35

საფლავსა დაიდვა, რამეთუ არა ვისი სხვსაჲ საგონებელ იყოს აღდგომად, არამედ მისი, და რამეთუ მოწაფენი ადვილად მივიდოდნენ, რამეთუ ახლოს იყო ადგილი იგი, და დაფლვისაცა რამეთუ მოწამე იყვნენ არა იგინი ოდენ, არამედ თვთ მტერხიცა, რამეთუ ვერვინ თქუას, თუ: „არა დაეფლა“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა: ერთსა მას შაბათსა მარიაჲ მაგდანელი მოვიდა განთიად, ვიდრე ბნელლა იყო, საფლავსა მას და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა (20,1).
თ ა რ გ მ ა ნ ი: ერთსა მას შაბათსა, რომელ არს კურიაკჲ, მოვიდა იგი, ხოლო იესუ აღდგა, იღვა რამ ლოდი ზედა საფლავსა, და ბეჭდნი იყვნეს მას ზედა, და ვინამთგან ჯერ-იყო, რამთამცა სხუათაცა ყოველთა იხილეს იგი. შემდგომად აღდგომისა მისისა აღელო ლოდი იგი, რომლისათჳს გარდაჲდა რამ შაბათი, მოვიდა მუნ მარიაჲ, რამეთუ ფრიადი მოსწრაფებაჲ აქუნდა უფლისათჳს, და იხილა რამ აღებული ლოდი, ძირბიოდა თხრობად მოწაფეთა, რამთამცა ცნა, თუ სადა არს გუამი მისი. რამეთუ ამისთჳს თქუა, ვითარმედ: „აღიღეს უფალი ჩემი საფლავისაგან და არა უწყვი, სადა დადვეს იგი“.¹ ჰხედავა, რამეთუ არარაჲ იცოდა მან ჯერეთ დამტკიცებულად აღდგომისათჳს? რამეთუ ჰგონებდა იგი ცვალებასა სხუად ადგილად, ამისთჳსცა წარვიდა და ჰრქუა მოწაფეთა. ხოლო იგინი მოიწინეს მუნ მოსწრაფებით და იხილნეს ტილონი იგი და სუდარი, რომელი-იგი იყო სასწაული აღდგომისაჲ და, უკუეთუმცა ვის სხუასა ადგილსა მიეცვალა, რადმცა განეშეშულა გუამი მისი? და უკუეთუმცა ვის მოეპარა, რადმცა დაეტევა მუნ ესე ყოველი? ანუ რადმცა ზრუნვიდა შეეცასა და თჳსაგან დადებასა სუდარისასა, არამედ ვითარცა პოჯა, აღიღომცა. რამეთუ ამისთჳს პირველვე თქუა მახარებელმან, ვითარმედ: „მოიღეს აღრეული მურისა და ალოხსა ასი ლიტრაჲ, რომელი-იგი უფროჲს ტყუვისა შეჰკრავს ტილოსა და გუამსა“.² რამეთუ, ოდეს გესმეს, ვითარმედ: „ტილონი ისხნეს თჳსაგან“, არა ისმინო მათი, რომელნი იტყუან, ვითარმედ: „წარიპარეს“. რამეთუ ვინმცა იყო უგუ-

¹ იოან. 20,20-22

² შდრ. იოან. 19,39

ხური იგი მპარავი, რომელიმცა ესეოდენსა შრომასა შეიმთხუ-
 ევდა, მურიტა დაწებულისა მის აღკდასა? ანუ ვითარმცა
 დაეთარა, ვიდრემცა მას ყოველსა იქმოდა? ხოლო რაფსათეს,
 რამეთუ ტილონი კიდე ისხნეს, და სუდარი იგი თსაგან შეეკე-
 ცილი? რაფთა სცნა, ვითარმედ არა მოსწრაფედ და შიშით
 ქმნილი რაფმე იყო საქმმც იგი, რამეთუ ესრეთ დაწყნარებუ-
 ლად იგი თსაგან და იგი თსაგან შეეკეცა და დაედვა დაწე-
 სებულად, რომლისათეს მოწაფეთა იხილეს ესე ყოველი და
 ცნეს, ვითარმედ არცა წარპარულ არს და არცა სხუასა ად-
 გილსა დადებულ არს, და ჰრწმენა აღდგომამ. ხოლო იხილე
 აქაცა მახარებელისა სიმდაბლმც, ვითარ იტყუს თავისა. თსი-
 სათეს, ვითარმედ: „პირველ მივიდა და არა გამოიძია, არცა
 შევიდა შინა“. ხოლო პეტრე უმკურვალესად შევიდა და ყო-
 ველი გამოიძია და მერმელა შევიდა იგიცა, და იხილნეს
 თსაგან განყოფილნი სახუეველნი იგი, რომლისაგან ცნეს,
 ვითარმედ არა სწრაფით, არცა შიშით ვის უქმნიეს და
 ჰრწმენა.

ს წ ა ვ ლ ა დ კ ე

**ვითარმედ არა ჭერ-არს მრავალსასყიდლისა სახუეველითა
 დაფლვამ მკუდართამ, არამედ მოწყალეებისა ქმნამ მათთეს**

ხოლო შენ, რაჟამს გესმეს, ვითარმედ უფალი შიშუელი
 აღდგა, დასცხერ სახუეველთა მათგან მრავალსასყიდლისა-
 თა, რამეთუ რაფ არს ფრიადი ეგე და ამაოფ წარსაგებელი,
 რომელი არაჟას ერგების წარსრულსა მას? არამედ, უკუეთუ
 ჭერ-გიჩნს, ვთქუა, ვითარმედ ავნებსცა, რამეთუ მრავალ-
 სასყიდლობამ სახუეველთამ მრავალგზის სამარისა დათხრისა
 შიზეზექმნა მპარავთა, რომელთა დააგდიან გუამი იგი ში-
 შუელად, არამედ — მ, ცუდადმზუაობრებამ! რამეთუ გლო-
 ვისაცა ჟამსა თსსა მძლავრებასა გამოაჩინებს, რამეთუ მრავალნი
 ნელსაცხებელსაცა სულნელსა შთაასხმენ სახუეველთა
 შინა და ესრეთ დაჰმარხვენ. ესე უკუე საქმენი არა ცოფთან

არიანა? და უკუეთუ ვინ თქუას: „და ქრისტე რად ესრეთ დაჰმარხესო?“ მე ვიტყვ, ვითარმედ მისთა საქმეთა ნუ შეასწორებ კაცთა თანა. რამეთუ ნელსაცხებელიცა დაასხა მეძაჲსან ფერკთა მათ მისთა წმიდათა. და კუალად ესეცა ვთქუა, ვითარმედ: „არა იცოდეს მათ მაშინ სიტყუაჲ იგი აღდგომისაჲ“, და ამისთვის იქმოდეს ამას, ვითარცა იყო წესი ჰურიათაჲ. რამთა სცნა, ვითარმედ ქრისტეს ესე არად უჭმდა. ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „მიხილეთ მე მშვიერი და გამოშხარდეთ, და წყურიელი და მასუთ“.¹ და არასადა იტყვს, ვითარმედ: „მკუდარი დამმარხეთ დიდფასისა სამოსლითა“, რამეთუ არა თუ დაფლვასა და სახუეველთა გაყენებ, — ნუ იყოფინ! — არამედ ამოსა მას უზომოებჲსა. და უკუეთუ იტყვთ. ვითარმედ: „სიყუარული წარსულისაჲ მის გუარწმუხებს ამას“, ესე არა სიყუარული არს, არამედ, უკუეთუ გიყუარს წარსული იგი, მე გიჩუენო საქმჲ სიყუარულისაჲ: შეჰმოსენ მას სამოსელნი, რომელნი არასადა განიხრწნენ, არცა ვინ წარიპარნეს იგინი, ესე არს მოწყალეზაჲ; იგი აღდგეს მის თანა და აღიდოს, რამეთუ მით სამოსლითა ბრწყინვიდეს, რომელთა ჰრქუას, ვითარმედ: „მშვიერი ვიყავ და გამოშხარდეთ“. ხოლო აწინდელნი ესე სამკაულნი არარაჲ არიან, გარნა ტაბლაჲ მატლთაჲ, რამეთუ ჯერ-არს შეხუევაჲ საზომისაებრ, ხოლო ამოჲ იგი საქმჲ რად ჯერ-არს? როძელთადა ცხოვრებჲსა ამასცა ერთითა სამოსლითა ბრძანებულ არს ყოფაჲ, შემდგომად სიკუდილისა რად შეჰმოსთ საძმოსელთა მრავალსასყიდლისათა და ოქროსა და ვეცხლსა? დავსცხრეთ ამის ამოებისაგან და შევხვოთ ჯერისაებრ წარსრული და ვყოთ მათთვის მოწყალეზაჲ, წარვაგლინოთ მათ თანა თანამავალი კეთილი, რამეთუ ესე არს, რომელი იცნის სულსა ტანჯვისაგან. ამან მკუდარნიცა აღადგინნა, ვითარცა იგი ტაბითა, ესევეითარნი სახუეველნი კეთილ არიან, უკუეთუ ესრეთ დავიმარხნეთ, კეთილად და ბრწყინვალედ ვიყვნეთ ჟამსა მას აღდგომისასა, ხოლო უკუეთუ კორცნი შევამკენეთ და სული არა ვილუაწოთ, მრავალი ბოროტი მაშინ მოიწიოს ჩუენ ზედა და ფრიადი უშუერებჲჲ, რამეთუ არამცირედი

¹ შტრ. მათ. 25,37 .

ბოროტი არს, რაჟამს სული შიშულ იყოს სათნოებათაგან, იგი შევამკოთ ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა და უკუეთუ აქა უღებ ვიქმნეთ, ეამსა აღსასრულისასა ვისწრაფოთ ქმნად მოწყალებისა, რამთა ესრეთ ვპოვოთ კანდიობაჲ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ა ვ

ს ი ტ ყ უ ა ჲ ე ს ე : „წარვიდეს კუალად თესაგან მოწაფენი იგი, ხოლო მარიამ დგა გარეშე საფლავსა მას თანა და ტიროდა“ (20,10—11).

ბუნებაჲ დედათაჲ ლმობიერ არს და გლოვად ადვილად ძომავალი, ხოლო ესე ვთქუ, რამთა ანა გიკურდეს, ვითარ მარიამ დგა და ტიროდა, ხოლო მოწაფენი წარვიდეს თესაგან, რამეთუ ბუნებითცა მგლოვარე იყო და აღდგომისაცა სიტყუაჲ არა იცოდა ესრეთ, ვითარ მათ, რომელთა ეხილვნეს ტილობი და წარვიდეს საკრებლებით, ხოლო იგი დგა მუნ და ტიროდა, და შთახედა საფლავსა, სადა იყო გუამი უფლისაჲ. ამისთვის სასყიდელი მიიღო მისისა მის მოსწრაფებისაჲ არა-შცირელი, რამეთუ რაჲ-იგი მოწაფეთა არა ეხილვა, იხილა დედაკაცმან — ანგელოზნი სპეტაკითა მოსილნი, ერთი თავით და ერთი ფერკით, სადა-იგი იღვა გუამი უფლისაჲ. რამეთუ, ვინაჲთგან გონებაჲ დედაკაცისაჲ მის არა იყო ესრეთ ძალალი, რამთამცა ტილოთაგან და სუდარისა ჰრწმენა აღდგომაჲ, ამისთვის ანგელოზნი იხილნა ბრწყინვალენი, რამთა ხუგეშინი-სცეს, არამედ არარაჲ ჰრქუეს მათ აღდგომისათვის. გარნა თვთ მოვიდა გულისხმის-ყოფად, რამეთუ მათ ესე ოდენ ჰრქუეს, ვითარმედ: „დედაკაცო, რამსა სტირ?“¹ და ესრეთ განუღეს კარი გულისხმის-ყოფისაჲ და სახც სხდომისა მათისაჲ კითხვად მოიყვანებდა მას, რამეთუ, ვინაჲთგან იგი ვერ იკადრებდა კითხვად, ამისთვის მათ იწყეს პირველ სიტყუად.

¹ იოან. 20,13

ხოლო ესრეთ რაჲ ჰრქუა მან, ვითარმედ: „აღიღეს უფალი ჩემი და არა უწყი, სადა დადვეს იგი“,¹ რასა იტყუ, მარიამ, ჯერეთ ვერ გულისხმა-გიყოფიესა აღდგომაჲ? ჰხედავთა, ვითარ ჯერეთ უმეცარ იყვნეს?

სახარებაჲ: ესე რაჲ თქუა, მიიქცა გარე (20,14).
თარგმანი: და რაჲსათს ქმნა ესე, რამეთუ ჰკითხა მათ და, ვიდრელა მათ არა მიეგო, გარემიიქცა? არამედ, მე ვჰგონებ, ვითარმედ, იტყოდა რაჲ იგი ამას, მეყსეულად უკუანა კერძო მისა გამოჩნდა ქრისტე და შეშინდეს ანგელოზნი, იხილეს რაჲ მეუფჴ, შეშინდეს სახითაცა და პირითა. და ვითარცა იხილნა იგინი მარიამ ესრეთ, მიიქცა გარე, რამეთუ უფალი ანგელოზთა საშინელად ეჩუენა, ხოლო მას არა ესრეთ, რაჲთამცა არა შეეშინა, რამეთუ, რომელი ესრეთ მდაბალი იყო, ვერ თავს-იდებდა ჯერეთ საქმესა მას. ამისთვის სხუთა სახითა ეჩუენა, ვიდრელა მას მემტილჴ იგი ეგონა, ხოლო უფალმან ჰკითხა მას: „დედაკაცო, ვის ეძიებ?“² და მან ცნა რაჲ, ვითარმედ: „იცის, რასა ვეძიებ“, ამისთვის ჰრქუა: „უფალო. უკუეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე“. ხოლო უფალმან იხილა რაჲ მოსწრაფებაჲ მისი, გამოუცხადა მას თავი თუსი, რამეთუ თავადსა ოდეს ჰნებავენ, იცნიან იგი და ოდეს ჰნებავენ — დაეფარის. და აქაცა, ოდეს ესე ჰრქუა, ვითარმედ: „მარიამ!“³ და მეყსეულად იცნა მან უფალი და მიიხილა გარე. ხოლო ვითარ მიიხილა მან გარე, ვინაჲთგან მას ეტყოდა? არამედ. მე ვჰგონებ, ვითარმედ ჰკითხა რაჲ: „უფალო, უკუეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე“, მეყსეულად მიიქცა ანგელოზთა კერძო, რაჲთამცა ჰკითხა მათ, თუ რად განკრდეს ესრეთ, და მაშინ ჰრქუა უფალმან, ვითარმედ: „მარიამ!“ ხოლო მას ესმა რაჲ და იცნა ჴმად მისი, მიიქცა მისავე, რამეთუ ჴმისაგან იცნა იგი. და უკუეთუ ვინ თქუას: „და სადაჲთ საცნაურ არს, თუ ანგელოზთა მიმართ მიიქცა?“ და ესე სადაჲთ საცნაურ არს, თუ შეეხო მას? არამედ ვითარცა ესე ამისგან საცნაურ არს, რამეთუ თქუა უფალმან: „ნუ შემომეხები მე“.⁴

¹ იოან. 20,13

² იოან. 20,15

³ იოან. 20,16

⁴ იოან. 20,17

ეგრეთვე იგი მისგან საცნაურ არს, რამეთუ იტყვს: „მიიხილა ძან გარე“, ხოლო რაღსათვის თქუა უფალმან, ვითარმედ: „ნუ შემომეხები მე“? ეკგონებ, ვითარმედ ენება ესრეთ ყოფად ძის თანა, ვითარცა პირველ ჯუარს-ცუმისა და სიხარულით ძირბიოდა და შემთხუევად, და ვერ გულისხმა-ყო, რამეთუ აწ არა ჯერ-არს ესრეთ შეხებად მისა, და ამისთვის ჰრქუა იესუ, ვითარმედ „ნუ შემომეხები მე“. და უკუეთუმცა ეთქუათუ: „ნუ შემომეკადრები, ვითარცა პირველ, რამეთუ არღარა ესრეთ არიან საქმენი და არცაღა მეგულების ესრეთ თქუენ თანა ყოფად“, დასაბრკოლებელ იყო მისასა უძლურებისა, რამეთუ ესე სიტყუაჲ, ვითარმედ: „არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა“, ესე უმჯობეს იყო, რამეთუ თქუა რაჲ: „არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა“, ამას მოასწავებდა, ვითარმედ: „მუნ აღვალ და არღარა ყოფად ვარ კაცთა თანა, და არა ჯერ-არს, რაჲთა ესრეთ მხედვიდეთ, ვითარცა პირველ“. და მერძე არქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა რ ა: „წარვედ და არქუ ძმათა ჩემთა: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“ (20,17). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** არა ეგულეზბოდა მეყსა შინა აღსლვამ, არამედ შემდგომად ორბეოცისა დღისა და რად ჰრქუა აწ? არამედ ენება, რაღთამცა მას და არწმუნა, ვითარმედ ზეცად აღვალს. ხოლო სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“, ესე ბუნებისა მის კაცობრივისა ძისისაჲ არს და აღსლვამ ზეცად ჯორცთა ბუნებისათვის არს, რამეთუ მისა მიმართ იყვნეს სიტყუანი ესე, რომელ ვერარას ძალაღსა საქმესა გულისხმა-ჰყოფდა, ხოლო სხუაებრ არს მისი მამამ და სხუაებრ — ჩუენი, რამეთუ, უკუეთუ ღმერთი მართალთა კაცთა სხუაებრ ღმერთი არს და სხუათა კაცთაჲ — სხუაებრ, მაშა ვითარ არა ძისაჲ და ჩუენი? რამეთუ მისი ბუნებით არს მამამ, ხოლო ჩუენი დამბადებელობისა მადლითა და კუალად ჩუენი ბუნებით არს ღმერთი, ხოლო მისი განგებულებითა მით ჯორცთა ბუნებისაჲთა. და ჯორცთა ბუნებითაცა არა ვითარცა ჩუენი არს მამამ, ეგრეთვე მისი, ვითარცა-იგი არა სწორად არს მართალთაჲ და სხუათა კაცთაჲ, რამეთუ დაღაცათუ ბუნებითა ჯორცთაჲთა ძმად ჩუენდა

იქმნა, არამედ ფრიადი განყოფილებამ იყო, რამეთუ მას ეგულებოდა ჯდომამ საყდართა მათ მამულთა, ხოლო მათ წინაშე მისა დგომამ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „მოვიდა მარიამ მაგდანელი თხრობად მოწაფეთა, რამეთუ იხილა უფალი და ესრეთ ჰრქუა მას“ (20,18). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** მიუთხრა მათ სახმ და სიტყუანი მისი და ვითარ იხილა, ხოლო, ვინაჲთგან ესმა მოწაფეთა, ანუ ურწმუნოებამ ეგულებოდა მისი, ანუ შეწუხებამ, რამეთუ არა ღირს-ყვნა იგინი ხილვასა თვისსა, რომელთადა აღეთქუა ხილვამ შემდგომად აღდგომისა. ამისთვის, რაჲთა არა წუხდენ, ვითარცა შემწუხბრდა, ეჩუენა მათ დიდითა საკვრველბითა. კართა ვშულთა¹ და მწუხრი ამისთვის, რამეთუ უფროსად მწუხბრსა იყო საკვრველ, და რამეთუ მწუხარებამცა მწუხარეთამ ღამით უფროსად განმრავლდების, ხოლო დღისი კარნი ღია იყვნეს. და ამისთვის მწუხბრსა წარმოუდგა კართა ვშულთა შინა მსხდომარეთა და არა კარსა დაჰრეკა, არცა ამბოხებამ ქმნა, არამედ მეყსა შინა წარმოუდგა და უჩუენნა კელნი და გუერდი და სიტყუთაცა დააწყნარა შეშფოთებული გონებამ მათი, ჰრქუა რაჲ, ვითარმედ: „მშუდობამ თქუენ თანა“,² ესე იგი არს, ვითარმედ: „ნუ შეშფოთნებოთ“, და შოაჯსენა სიტყუამ იგი, რომელი ჰრქუა მათ პირველ ჯუარს-ცუმისა, ვითარმედ: „მშუდობასა ჩემსა დაგიტევებ“. ³ და კუალად, ვითარმედ: „ჩემ თანა მშუდობამ გაქუნდინ“. ⁴

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი (20,20). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, ვითარ სიტყუანი საქმით აღესრულებიან? რამეთუ, რაჲ-იგი ჰრქუა პარველ ჯუარს-ცუმისა, ვითარმედ „გიხილნე თქუენ და მხიარულ იქმნენ გულნი თქუენნი, და სიხარული თქუენი ვერვინ მიგიღოს“, ⁵ ესე აწ საქმით აღესრულა. რამეთუ, ვინაჲთგან ბრძოლამ დაუშგებელი აქუნდა ჰუარათა მიმართ, ამისთვის ზედამსზედა ეტყუს, ვითარმედ: „მშუდობამ თქუენ თანა“, რაჲთამცა ბრძო-

¹ შდრ. იოან. 20,19

² იქვე

³ იოან. 14,27

⁴ იოან. 16,33

⁵ იოან. 16,22

ლისა მის საძლეველად და ნუგეშინისა ცემელად მისცა მშუდობა, რამეთუ ესე სიტყუაჲ პრქუა პირველვე ყოვლისა. აღდგარაჲ. ამასთჳს პავლე მოციქული მარადის ამას იტყუნ, ვითარძედ: „მადლი თქუენდა და მშუდობაჲ“, ხოლო დედათა უფალძან. პირველ ყოვლისა სიხარული ახარა, რამეთუ მწუხარებასა შინა იყო იგი ნათესავი, და ამისთჳს შემსგავსებულად ძამათა ბრძოლისა ახარა მშუდობაჲ, ხოლო დედათა მწუხარებისათჳს ახარა სიხარული, და რამეთუ ყოველთჳს რაჲ წარძმართა, აწ იტყჳს საქმესა მას ჭუარისასა, ვითარძედ: „მშუდობაჲ თქუენ თანა!“ ხოლო, ვინაძეთჳს ყოველა დამაყენებელსა საქმჳს დაჯსნალ იყო და ძლევაჲ იგი ბრწყინვალედ იქმნა, მერძე პრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარვაგლინებ“ (20,21). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარძედ: „არღარაჲ არს თქუენ ზედა სიძნელჳს, ვინაძეთჳს მე მიძლევიეს და წარვაგლინებ“, და ამას ადგილსა ახარებს სულსა მათსა და მხარულ-პყოფს, რაჲამს ესმა მათ, ვითარძედ თავადისა უფლისა საქმესა ეგულეების ქმნად, და არღარა ევედრების მამასა, არამედ კელმწიფებთ მისცემს მათ მადლსა და ძალსა, რამეთუ იტყჳს მახარებელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : და ვითარცა ესე თქუა, ჰბერა და პრქუა: „მიიღეთ სული წმიდაჲ, უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეიპყრობილ იყვნენ“ (20,22—23). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ მეუფჳს ვინ წარავლენ მთავართა თჳსთა და მისცის კელმწიფებაჲ შთაგდებად საპყრობილესა და განტევებად, ეგრეთვე უფალი წარავლენდა რაჲ მოწაფეთა, ესე ვითარი მისცა კელმწიფებაჲ. ხოლო ვითარ? რამეთუ პრქუა პირველ, ვითარძედ: „უკუეთუ ძე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“, და აწ აქა მისცემს სულსა, რამეთუ რომელნიმე იტყჳან, ვითარძედ: „არა სული წმიდაჲ მისცა, არამედ შთაბერვითა მით მზა-ყვნა და კეთილ შეწყხარებად მისა მო-რაჲ-ვიდეს“, რამეთუ უკუეთუ ანგელოზი იხილა რაჲ დანიელ, განჰკრთა და შეშინებულ იქმნა, ვითარძეცა თავს-იღვეს მათ საშინელი იგი მადლი, არა თუმცა პირველვე განმზადებულ იყვნეს იგინი? ამისთჳსცა არა პრქუა, თუ: „მიიღებთ სული წმიდაჲ“, არამედ: „მიიღეთ სული

წმიდაა“, და კუალად ესეცა არა უკმარ არს, რამთა ვთქუათ, ვითარმედ: „მაშინცა მიიღეს ძალი და კელმწიფებამ სულიერი და არა ესრეთ, რამთა მკუდართა აღადგინებდენ და ძალთა იქმოდრიან, არამედ რამთა ცოდვათა შეუწინდობდენ მათ, რომელნი მოიქცეოდრიან ღმრთისა და ინანდენ ცოდვათა თვსთა“, რამეთუ მრავალ არიან მადლნი სულისა წმიდისანი და აქა აძის ერთისა ოდენ საქმისა მადლი მიიღეს, ხოლო შემდგომად დღისა მის მეერგასისისა ყოველთა სასწაულთა და ძალთა და ენათა მადლი მიიღეს, რამეთუ მიუწუდომელ არს მადლი სულისა წმიდისა და მრავალსაჲს არიან ნიჭნი მისნი, ხოლო ესე იქმნა, რამთა სცნა, ვითარმედ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ნიჭი ერთ არს, რამეთუ, რომელ საგონებელ იყოს, თუ მამისა ოდენ არს; იპოვების იგი, ვითარმედ ძისაჲცა არს და სულისა წმიდისაჲცა თვნიერ უშობელობისა და შობილობისა და გამოსლვისა, რამეთუ უშობელობამ არს მამისაჲ და შობილობამ — ძისაჲ და გამოსლვამ — სულისა წმიდისაჲ, ხოლო სხუამ ყოველივე მათი ერთ არს. რა: არს მამისაჲ, არს ძისაჲცა და სულისა წმიდისაჲცა, რამეთუ იტყვს. ვითარმედ: „არავინ მოვალს ძისა, უკეთეთ არა ძამამან ზოიყვანოს“.1 არამედ იპოვების, ვითარმედ ძესაჲცა ე' ევე ძალ-უც, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „მე ვარ გზამ და არავინ მივიდეს ძამისა თვნიერ ჩემსა“;2 და კუალად იგივე არს სულისა წმიდისაჲცა, რამეთუ ვერვის ძალ-უც თქუმაღ, თუ: „უფალი იესუ თვნიერ სულისა წმიდისა“, და კუალად მოციქულნი ეკლესიისა მადლითა ოდესმე მამისა მიერ იტყვან მოცემად, და ოდესმე — ძისა მიერ, და ოდესმე — სულისა წმიდისა მიერ

1 იოან. 6,44

2 იოან. 14,6

ვითარმედ ჭერ-არს პატივისცემა მლდელთა

ამისთვის უკუე ვისწრაფოთ ყოველთა, რაითა მადლი სულისა წმიდისაჲ ჩუენ თანა იყოს და მლდელთა დიდითა პატივითა პატივის-ვსცემდეთ, რამეთუ დიდ არს პატივი მლდელთაჲ და მათ აქუს მადლი სულისა წმიდისაჲ, ვითარცა იტყვს შოცოქელი, ვითარმედ: „დაემორჩილენით მოძღუართა თქუენთა“. რამეთუ შენ ჰზრუნავ თავისა შენისა და, უკუეთუ შენ საქმენი შენნი ჰქმნე კეთილად, სხუათათს არაჲა ზრუნეაჲ გაქუს, ხოლო მლდელი, დაღაცათუ თვთ სათნო იყოს და შენსა ცხორებასა არაკეთილად განაგებდეს, უკეთურთა თანა გეპენიად წარვალს, და მრავალგზის თვთ კეთილად არნ და თქუენთა ცოდვათათს წარწყმდის, უკუეთუ ყოველი, რომელი მისდა ჭერ-იყოს ქმნაჲ მოსწრაფებისაჲ, არა ქმნას. ამისთვის უკუე ჭერ-არს, რაითა პატივ-სცემდეთ მლდელთა, რამეთუ ესე შოასწავა მოციქულმან, ვითარმედ იგინი იღვძებენ სულთა თქუენთათს, რამეთუ სიტყვსა თანა-აც მიცემაჲ. ამისთვის ჭერ-არს, რაითა პატივის-სცემდეთ, რამეთუ ესრეთ უმეტესად ძალ-ღც მოსწრაფებაჲ თქუენთს, უკუეთუ თქუენ შეუწაცხ-პყოფდეთ, ბოროტად ყოფაჲ არს საქმე თქუენი და იგინცა დაიქსნებინ შეწვენად თქუენდა. ისმინე უფლისაჲ, რასა იტყვს, ვითარმედ: „საყდარსა ზედა მოსესა დასხდენ მწიგნობარნი და ფარისეველნი, ყოველსა უკუე, რაოდენსა გეტყოლიან ქმნად, იქმოდეთ“,¹ ხოლო აწ ვერვინ იტყვს, თუ: „მოსეს საყდარსა ზედა დასხდენ მლდელნი, არამედ ქრისტესსა“, რამეთუ მისი სწავლაჲ აქუს და ამისთვის ჭერ-არს პატივი მათი. არა ჰხედავა, რამეთუ მთავართა სოფლისათა ყოველნი ჰმორჩალობენ, დაღაცათუ უმჯობეს მათსა იყვნენ? და უკუეთუ, რომელი კაცმან დაადგინოს, ესრეთ არს, ღმრთისა დადგენილთაჲ არა უფრომსად ჭერ-არსა პატივი? რაჲ არს უკუე: „სიტყუაჲ აქუნდეს“, რომელთადა ბრძანებულ არს არაგანკითხვაჲ მოყუსისაჲ, და იგინი მლდელთა აგინებენ და შეასძენენ?

¹ მათ. 23,2—3

ხოლო ამას რა ვიტყვ, არა თუ ამისთვის, ვითარმედ, რა-
 ძელნი მოუვლებიან მღვდელობასა არაღირსებით, კეთილიძეა
 იყვნეს, არამედ ფრიადცა საწყალობელ და ღირს ტორილისა-
 არიან, არამედ მათა სამწყსოთა არა უკმს შეურაცხ-ყოფამ.
 რამეთუ, უკუეთუ შენ კეთილად იყო, მისისა ბოროტისაგან არა-
 რა გვენების, და, უკუეთუ ღმერთმან ვიქისა მიერ სწავლად
 გამოაჩინა და მოგუსა მიერ კურთხევად მოჰფინა, თქუენძეცა არა
 ძოგცა მადლი მღვდელთა მიერ და სული წმიდად მოგანიჭოს?
 რამეთუ არცა წმიდად სიწმიდითა თვისითა მოიყვანებს მადლ-
 სა მას, არამედ მადლი იგი იქმს ყოველსავე, რამეთუ არა თუ
 კაცი მღვდელი, არამედ არცა ანგელოზი, არცა მთავარანგე-
 ლოზი რასა იქმს ნიჭთა მათ შინა ღმრთისათა, არამედ მაშად
 და ძმ და სული წმიდად არს, რომელი ყოველსა განაგებს,
 ხოლო მღვდელი თვისსა ენასა ავასხებს და კელსა მისცემს, რა-
 ძეთუ რადმცა ევენებოდა მადლსა მას მღვდელისა მის მიერ
 შორწმუნეთა ზედა? ამისთვის უკუე, რომელთა ესე უწყით,
 ღმრთისაგანცა გუეშინოდენ და მღვდელთა პატივ-ვსცემდეთ,
 რადთა ესრეთ სასყიდელი მოვილოთ ღმრთისაგან მადლითა
 უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდე-
 ბად უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ა ზ

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე : „ხოლო თომა, ერთი იგი ათორმეტ-
 თაგანი, რომელსა ერქუა მარჩბივ, არა იყო მათ თანა, ოდეს-
 იგი მოვიდა უფალი“ (20,24).

ვითარცა ესრეთ ამოდ და მსწრაფლ სარწმუნოებად არა
 კეთილ არს, ეგრეთვე უფროდს ზომისა გამოძიებად ქეშმა-
 რიტებისად უჯერო არს. ამისთვისცა თომა საბრალობელ იქმნა,
 რამეთუ არა ჰრწმენა მოწაფეთად, არა თუ იგინი მტყუერად
 შეურაცხნეს, არამედ საქმც იგი მკუდრეთით აღდგომისაჲ
 შეუძლებელ-უჩნდა. ხოლო ვითარ იყვნეს რად ყოველნი
 ერთბამად, და თომა არა იყო? გარნა განზნევისა მას, რომელ
 იქმნა შეპყრობასა უფლისასა, მიერითგან არღარა მოსრულ
 იყო მათ თანა.

ხოლო შენ იხილე უფლისა კაცომოყუარებამ, ვითარ ერთისა მისთვის სულისა ისწრაფა, რაათა აცხოვნოს და უჩუენნათვისნი წყლულებანი, რაათა გონებითა ზრქელი იგი გულისხმისმოყვებელ-ყოს. ხოლო რამათვის შემდგომად რვისა დღისა გამოჩნდა?¹ რაათა შორის გამოსრულთა მათ დღეთა ესმოდის მოწაფეთაგან და სურვიელ იქმნას. და ვინაჲ იცოდა, ვითარმედ გუერდი მისი განებო? გარნა მოყუასთა მისთაგანვე ასძიოდა და ვითარ, რამეთუ იგი პრწმენა და — ესე არა? რამეთუ ესე ფრიად საშინელი საქმე იყო. იხილე უკუე ჰემძარიტებამ მოციქულთამ, ვითარ ყოველსავე ნაკლულევანებასა თვისსა და მოყუასთასა ჰემძარიტებით იტყვან. ხოლო გამოჩნდა ქრისტე და არა მოელოდა სმენად მის მიერ რამსამე, არამედ თვთ უსწრო და მოუწოდა, რაათამცა უჩუენა, ვითარმედ. ოდეს იტყოდა იგი, ვითარმედ „არა მრწამს“, ესმოდა მას, რამეთუ არარაჲ. დაეფარვოდა და პრქუა: „მოყვენი თითნი შენნი და იხილენ კელნი ჩემნი და დასდევ კელი შენი გუერდსა ჩემსა“.² ჰხედავა, ვითარნი იყვენეს პირველ მიღებისა სულისა წმიდისა უძლურ? არამედ მიერითგან ჰემძარიტად სრულ იქმნენეს. ხოლო, ვინაითგან პრწმენა და თქუა, ვითარმედ: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“,³ პრქუა მას უფალმან, რამეთუ: „მიხილე მე და გრწამს, ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვპრწმენენ“.⁴ რამეთუ ესე არს სარწმუნოებამ, რაჟამს, რომელსა არა ეხილვოს იგი, პრწმენეს. ხოლო აჟა არა მოწაფეთა ოდენ პნატრის, არამედ ყოველთა მორწმუნეთა. რამეთუ მოწაფეთაცა პრწმენა უხილავად აღდგომამ, იხილნეს რაჲ ტილონი და სუდარი ოდენ ძარტოდ. და აწ უკუეთუ ვინ იტყოდის, თუ „ნეტარ, თუძცა ყოფილ ვიყავ მათ დღეთა და მეხილვენსმცა ქრისტეს სასწაულნი“, ისმინენ სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყუს, ვითარმედ: „ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვპრწმენენ“. ხოლო ჳერ-არს, რაათა დაგვკვრდეს, თუ ვითარ გუამსა მას უხრწნელსა ეყვენეს სასწაულნი წყლულებათანი და შესახებელ იყო

¹ შდრ. იოან. 20,26

² იოან. 20,27

³ იოან. 20,28

⁴ იოან. 20,29

კელთა მიერ მოკუდავთა, არამედ გულისხმა-ყავთ, რამეთუ განგებულეებისაჲ იყო საქმჳ იგი, რამეთუ, რომელი-იგი ესრეთ თხელი და წულილი იყო, რომელ კშულთა კართა შევიდა, დასამტკიცებლად აღდგომისა თვისისა ქმნა ესე და რაითა-ცნან, ვითარმედ იგი არს ჯუარსცუმული. და ამისვე მიზნისათვის ჭამაცა და უჩუენნა წყლულუებანი. და არა თუ სიზრქჳ იყო მაშინ ჯორცთა მისთა შინა, არამედ ყოველსავე მაშინ ძოწაფისა მისთვის იქმოდა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : მრავალნი სხუანიცა სასწაულნი ქმნნა-იესუ (20,30). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ, ვინაჲთგან სხუათა-ძათ მახარებელთასა ამან უმცრო თქუა, იტყვს აწ, ვითარმედ სხუათაცა არა უთქუამს ყოველი, არამედ მცირედი თქუეს, რაოდენი ოდენ კმა იყო სარწმუნოებისა მოყვანებად კაცთა, უკუეთუ არა, არცამცა სოფელსა შინა დაეტია წიგნები იგი, არამედ ესე ვთქუთ და, უკუეთუ ვინ ესე ყოველი ირწმუნოს, სხუაჲ არად საცმარ არს მისა, უკუეთუ ესე არა ირწმუნოს, შას დაღაცათუ სხუაჲ ესმეს, არავე ჰრწმუნეს. ხოლო აქა ამათ-სასწაულთა იტყვს, აღდგომისა შემდგომად ქმნილთა, რამე-თუ თქუა, ვითარმედ წინაშე მოწაფეთა მისთა და, ვითარცა პირველ ჯუარს-ცუმისა, ჯერ-იყვნეს სასწაულნი, რაითაჲცა ჰრწმენა, ვითარმედ ძმ ღმრთისაჲ არს, ეგრეთვე შემდგომად აღდგომისა ჯერ-იყო ქმნაჲ სასწაულთაჲ, რაითა ჰრწმენეს, ვითარმედ აღდგა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ამისა შემდგომად კუალად გამოუცხადა-თავი თვისი მოწაფეთა თვისთა ტბასა ზედა ტიბერიისასა (21,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, რამეთუ არა ზედაჲსზედა იქცეოდა-ძათ თანა, ვითარ-იგი პირველ, რამეთუ ეჩუენა მწუხრსა და ძიეფარა, და კუალად შემდგომად რვისა ღღისა, და კუალად ზღუასა ზედა, ხოლო რაჲ არს, ვითარმედ: „გამოუცხადა“? ამისგან საცნაურ არს, ვითარმედ უხილავი იყო უბრწნელი იგი და შეუხებელი გუამი მისი და შეუძლებელ იყო ხილვაჲ ძისი, არა თუმცა თავადმან გამოაცხადა თავი თვისი. ხოლო რაჲსათვის აჯსენა ადგილი იგი? გამოაჩინებს, ვითარმედ შიში-ძათი განაქარვა და, ვიდრეცა უნდა, იქცეოდეს და მივიდეს თევზობად, რამეთუ, ვინაჲთგან თავადი არა მათ თანა იყო და სული წმიდაჲ არა მოეღო, ამისთვის საქმჳ არარაჲ აქუნდა და

ითევზობდეს ჯელოვნებითა თსითა. და იყვნეს პეტრე და თონა და ნათანაელ, ფილიპეს მიერ წოდებულ, და ძენი ზებედსნი და სხუანი ორნი, და სხუანი მოწაფენი შეუდგეს და იწიროვოდეს. და მაშინ მოვიდა უფალი და პრქუა მათ: „ნუუკუე საკმელი რაჲ გაქუსა? არა კაცობრივსა სიტყუასა ეტყვს? და ვითარცა თქუეს რაჲ, ვითარმედ: „არარაჲ გუაქუს“, უბრძანა მარჯუენით კერძო შთაგდებაჲ ბადისაჲ და შთაგდეს რაჲ, მიემთხვნეს თევზსა. მაშინ იცნეს იგი და მაშინ კუალად თსნი გონებანი გამოაჩინნეს მოწაფეთა — პეტრე და იოვანე, — რამეთუ პეტრე უმკურვალჴსი იყო, ხოლო იოვანე უმაღლჴს, და პეტრე უმაღლჴს, ხოლო იოვანე უგულსხმისმყოფელჴს. ამისთვის იოვანე პირველ იცნა უფალი და პეტრე პირველად მივიდა მისა, რამეთუ არამცირედნი იყვნეს საკვრველნი — შეპყრობაჲ იგი თევზისა ფრიადისაჲ და არაგანებებაჲ ბადისაჲ და პოვნაჲ ნაკურცხალისა და თევზისაჲ ზღვსკიდესა, რამეთუ არღარა შეშაჲ ეკმარებოდა ცეცხლისათს. ხოლო ვითარცა განვიდეს, თქუა უფალმან: „მოვედით და ვისადილნეთ“, და არავინ იკადრა კითხვად მისა, რამეთუ არღარა აქუნდა ესევითარი კადნიერებაჲ, არცა ეტყოდეს მას, არამედ დუმილით სხდეს და შიშით და ჰხედვიდეს, ვინამთგან იცოდეს. ვითარმედ უფალი არს. რამეთუ ესე იცოდეს, ვითარმედ იგი არს, არამედ სახესა მას სხუასა ხედვიდეს და ფერსა საშინელსა და ენება კითხვად მისთვის და ვერ იკადრებდეს, არა — ძედ ჳამდეს, რაჲ-იგი მას საკვრველებით მიეცა, რამეთუ აქა არა აღიხილავს ზეცად, არცა იქმს კაცობრივთა საქმეთა, რაჲთამცა გულისხმა-უყო, ვითარმედ იგიცა ყოველი განგებულებით იყო. ხოლო ბრძანა მოღებაჲ მათცა თევზთაგან. რომელ შეეპყრა, რაჲთამცა გამოაჩინა, ვითარმედ არა უცხებაჲ იყო საქმჴ იგი. აქა უკუე არა თუ ჳამა მათ თანა, გარნა ლუკა იტყვს, ვითარმედ: „ჳამა მათ თანა“,¹ ხოლო, თუ ვითარ ჳამა, არა ჩუენი არს ამისი თქუმაჲ, რამეთუ უცხოდა რაჲთმე საქმითა იქმნებოდა, არა თუ ბუნებასაღა უკმდა ჳამადი, არა — ძედ განგებულებით იქმოდა მათთვის.

¹ ლუკა 15,2

მოთმინებისათვის და ვნებათათვის

აწ ოდეს გესმოდინ ესე, ნუუკუედა ლმობიერ იქმნებით და ჰნატრით მათ, რომელნი მის თანა იყვნეს და რომელთა ეგულუბის მას დღესა ყოფად მის თანა? ვისწრაფოთ ხილვად პირსა მას მისისა ბრწყინვალისა ტკბილად მას დღესა. გევედრები, ნუმცა უკუე დავემგობვით ესევეითარისა მის დიდებისაგან, რამეთუ არა ძნელ არს საქმე ესე, არცა მძიმე, უკუეთუ ოდენ ჩუენ გუენებოს და მოვითმინოთ მისთვის ყოველივე. რაათა მის თანა ვსუფევდეთ და ვიდოდით აქა იწროსა მას შინა გზასა. რამეთუ, დაღაცათუ იწროდა ჩანს, არამედ ფრიადისა სივრცისა მიზეზ იქმნების ჩუენდა. აღვიხილსეთ უკუე ზეცად თუალნი ჩუენნი და მუნ მყოფთა მათ კეთილთა ვიგონებდეთ და ესრეთ ყოველი ჭირი სოფლისაჲ სიზარულთ თავს-ვიდვათ და ვერრომელმან საქმემან სოფლისამან დაგვმონნეს, უკუეთუ ქრისტე შევიყუაროთ, არცაღათუ მივხედნეთ საქმეთა სოფლისათა, რამეთუ დიდ არს სიყუარულისა ძალი. ვთქუათ ჩუენცა: „ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჭირმან, ანუ იწროებამან და შემდგომი ამისი?“ რამეთუ იხილე ვითარ მოციქულმან არა თქუა საფასე, ანუ გულისთქუმაჲ, ანუ სხუად ესევეითარი რამე, რამეთუ ესე ყოველი უნდო არს, არამედ ძნელოვანთა მათ საქმეთათვის თქუა: სიკუდილისათვის და დევნულებათა და ცეცხლისა და მახვლისა, და მან ესე ყოველნი მძიმენი საქმენი არარად შეპრაცხნა, ხოლო ჩუენ საფასეთათვის და გულისთქუმათათვის ბილწთა განვეარდებით ცხორებისაგან და ნათლისა, ხოლო პავლე სიკუდილი და ცხორებაჲ და საწუთროჲ და საუკუნოჲ და ყოველივე არარად შეპრაცხა ქრისტეს სიყუარულსა თანა, ხოლო ჩუენ მცირე გულისთქუმაჲ ყოველსა მას დაგუავიწყებს და ვფუცავთ და ვიტაცებთ და ვახშსა მივსცემთ და ჯორცთა მიღებასა ვეძიებთ და საუკუნეთა მათ კეთილთა არა მოვივსენებთ და არა მოვივსენებთ საუკუნეთა მათ სატანჯველთა, არცა კეთილთა მათ, რომელთა დავიჭირებთ. რამეთუ, უკუეთუ სიტყუსაებრ უფლისა არა გარდაემატოს

სიმართლმ ჩუენი უფრომს მწიგნობართა და ფარისეველთასა, და გეჰენიად მივალთ, რამ სიტყუამ მიუგოთ, უკუეთუ მათოდენიცა არა იყოს? არამედ ნუ, საყუარელნო, ნუ ესრეთ ვიყოფვით, გარნა ვისწრაფოთ შეყუარებად ქრისტესა, ვითარცა მან შემიყუარნა ჩუენ, რამთა ცხოვოთ საუკუნომ განსუენებად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისამ არს დიდებამ და სიმტკიცმ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ა მ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : „და ვითარცა ისადილნეს, ჰრქუა იესუ სიმონ-პეტრეს: „სიმონ იონამსო, გიყუარ მეა უფრომს ამათსა?“ ჰრქუა მას პეტრე: „ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ“ (21,15).

მრავალნი საქმენი არიან, რომელთა ეძიებს ჩუენგან ღმერთი, არამედ უფრომს ყოვლისა ეძიებს სიყუარულსა მოყუსისასა. და ამისთვისცა უფალი ეტყუს პეტრეს, ვითარმედ: „უკუეთუ გიყუარ, აძოვენ კრავნი ჩემნი“.¹ ხოლო რამსათუს სხუანი დაუტევენა და ამას ჰკითხა? არამედ რამეთუ თავი იყო ყოველთა მოწაფეთამ და რამეთუ ენებაცა გულსავესე-ყოფად, ვითარმედ აკოცილ არს ბიწი იგი უვარის-ყოფისამ, ვინამთგან უაუე ერთ და ორგზის ჰკითხა, და მან იგი თავადი განტკითველი გონებათამ მოიყვანა მოწამედ და კუალად ჰკითხა მესამედცა. მაშინ შეშინდა, ნუუკუე სხუამცა განსაცდელი მოიწევის მის ზედა. ჰხედავა, ვითარ ისწავა არლარა მინდობამ თავსა თუსსა?

ხოლო უფალმან მესამედ ჰკითხა² და სამგზის იგივე ჰრქუა, რამთა უჩუენოს, ვითარ პატივოსნად აქუს ზრუნვამ ცხოვართა თუსთამ, ვიდრემდის მარადის იქმოდა ვსნად სასწაულად თუსისა სიყუარულისა. ხოლო ვითარცა ესე ჰრქუა, ძერმე ეტყუს წამებასა მისსა, რამთამცა უჩუენა, ვითარმედ არა ურწმუნო არს სიტყუათა მისთა. ამისთვისცა ეტყუს:

¹ იოან. 21,16

² ზღრ. იოან. 21,17

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ამენ, ამენ გეტყუ შენ, ოდეს იყავ ჭაბუკ, შეირტყ თავით თვსით და ხვლოდი, ვიდრეცა გნებავნ, ხოლო რაჟამს დაჰბერდე, განიხურენ კელნი და სხუანი შეგარტყმიდენ და იყო, სადა არა გენებოს“ (21,18). თ ა რ გ მ ა ნ ი : იგიცა ამისთვის სურვიელ იყო, რამეთუ იტყოდა: „სული ჩემი შენთვის დავდვა“.¹ და ამისთვის აქა აღუსრულა სურვილი მისი, ხოლო რაჟამს არს: „სადა არა გინდეს“? ბუნებისა საქმესა იტყუს და კორცთა ჭირსა, ვითარმედ იძულებით განიყოფვის სული კორცთაგან, რამეთუ გონებაჲ მისი მოსწრაფე იყო, არამედ ეგრეცა ბუნებით ემხილებოდა, რამეთუ არავინ დაუტეობს უღმობელად კორცთა, ვინაჲთგან ესრეთ განუგიეს ღმერთსა. და აქაცა სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „სადა არა გინდეს“, ბუნებითსა საქმესა მოასწავებს; ხოლო სიტყუაჲ იგი, ვითარმედ „ოდეს იყავ ჭაბუკ“, მოასწავებდა პირველსა ცხორებასა, ვითარმეცა იტყოდა, ვითარმედ: „სოფლისა საქმეთა შინა ჭაბუკი არს ახოვან, ხოლო ჩემნი საქმენი არა ესრეთ არიან, არამედ ოდეს მოვიდეს სიბერე, მაშინ უფრომსად გამოჩნდეს ახოვანებაჲ შენი“ და სიკეთე, რომლისაჲ არა იქმნას ჰასაკისაგან დაყენებაჲ“. ხოლო ამას იტყოდა არა, რაჲთამეცა შეაშინა, არამედ განაძლიერებდა, რამეთუ იცოდა სურვილი მისი, ვითარმედ პირველითგან ესე კეთილი გულად-ილო და სახესაცა მოასწავებდა მისისა სიკუდილისასა. ხოლო ესე რაჲ თქუა მახარებელმან, მეყსეულად იტყუს, ვითარმედ: „ამას იტყოდა, რაჲთამეცა მოასწავა, რომლითა სიკუდილითა აღიდოს ღმერთი“.¹ არა თუ: „მოკუდეს“, არამედ: „აღიდოს ღმერთი“, რამეთუ ქრისტესთვის სიკუდილი დიდებაჲ არს მისი, რომელსა ევენებოდის.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მოიქცა პეტრე და იხილა მოწაფე იგი, რომელი უყუარდა იესუს, რომელიცა მიეყრდნა სერობასა მას მკერდსა. მისსა და ჰრქუა: „უფალო, ამისთვის რაჲ სთქუ?“ (21,20). თ ა რ გ მ ა ნ ი : რაჲსთვის მოგუჯანსენა ჩუენ მიყრდნობაჲ იგი? არა ცუდად, არამედ ამისთვის, რაჲთამეცა გამოაჩინა, თუ რაჲზომი კადნიერებაჲ მიეცა პეტრეს შემდგომად უვარის-ყოფისა, რამეთუ, რომელი მაშინ ვერ იკადრებდა კითხ-

¹ იოან. 21,19

ვად, აწ იოვანესთვისცა ჰკითხავს. ხოლო გამოაჩინებს აქა სი-
ყუარულსაცა, რომელი აქუნდა იოვანეს მიმართ, რამეთუ
ფრიად უყუარდა იგი პეტრეს და ესე ჩანს ყოველსა „სა-
ხარებასა“ შინა და „საქმესა შინა მოცი-
ქულთასა“. და, ვინაიდან სოფლისა სამწყსო მისცა
უფალმან და წამებამ წინაიდან მიუთხრა და სიყუარული
მისი შეიწყნარა, მერმე მან ჰკითხა იოვანესთვის, ვითარმედ:
„ესე არა ეგრეთვე იყოსა?“ ხოლო უფალმან ჰრქუა მას:

სახარება: „უკუეთუ მინდეს ყოფამ მაგისი, ვიდ-
რემდე მოვიდე, შენდა რამ არს?“ (21,22). **თარგმანი:**
ვინაიდან პეტრე ფრიადისა სიყუარულისაგან იტყოდა და არა
უნდა მისგან განშორებამ, უჩუენებს ქრისტე, ვითარმედ
რაზომცა უყუარდეს, მისსა სიყუარულსა ვერ მისწუთების
და ჰრქუა: „უკუეთუ მინდეს ყოფამ მაგისი, ვიდრემდე მო-
ვიდე, შენდა რამ?“

სახარება: და განკდა სიტყუამ ესე ძმათა შორის, ვი-
თარმედ მოწაფე იგი არა მოკუდეს და არა ჰრქუა მას იესუ,
ვითარმედ: „არა მოკუდეს“, არამედ: „უკუეთუ მინდეს ყო-
ფამ მაგისი ვიდრე მოსლვად ჩემდადმდე“. (21,23). **თარგ-
მანი:** იხილე აქა სიმდაბლმ გონებისა მის მახარებელისაჲ,
რამეთუ თქუა გულისსიტყუამ მოწაფეთამ და მერმე განჰ-
მართებს მას, ვითარმცა არა გულისხმა-ეყო სიტყუამ იგუ,
და რამეთუ არა თქუა, ვითარმედ: „არა მოკუდეს“, არამედ:
„უკუეთუ მინდეს მაგისი ყოფამ, ვიდრე მოსლვად ჩემდადმდე“.

სახარება: ესე არს მოწაფე იგი, რომელი წამებს
ამისთვის; და რომელმან დაწერა ესე, და ვიცი, რამეთუ ჰეშ-
მარიტ არს წამებამ მისი (21,24). **თარგმანი:** რად, რო-
მელ სხუათა მახარებელთაგანმან არავინ ქმნა, ხოლო ამან
ორგზისცა აჰა, ესერა, თქუა ესე? არამედ იტყვან, ვითარმედ
უკუანადასკნელ ყოველთასა იწყო ამან წერად სახარებისა,
რამეთუ ქრისტე უბრძანა ამისდა ქმნად. ამისთვის ზედასზედა
იტყვს სიყუარულსა მისსა და ღაღადებს, ვითარმედ: „ჰეშ-
მარიტ არიან სიტყუანი ღმრთისანი“ და რომელსა არა ჰრწმე-
ნეს. ისმინენ შემდგომი სიტყუამ და ჰრწმენინ:

სახარება: ხოლო არს სხუამცა მრავალი, რომელი-
ქმნა იესუ, რომელნი თუმცა აღწერილ იყო თვთოეულად,

არცამცა სოფელმან დაიტია აღწერილი წიგნები (21,25). თ ა რ-
 გ მ ა ნ ი: ამის მიერმცა საცნაურ არს, ვითარმედ ყოველი ჭეშმა-
 რიტი არს. რამეთუ რომელმან ესეოდენთა მათ საკვრველებათა-
 გან, არცალა სხუათა ოდენ თქუა, არამედ ოდენ სიტყუს-გებანი
 ჰურიათა მიმართ და შეურაცხებანი მათნი, ვითარმცა თქუა
 მან ტყუილი რამე? და ვინაჲთგან ფრიადითა გულსმოდგ-
 ხებითა დაწერა, ამისთვის არა ერიდების თესსაცა წამებასა შო-
 რის მოღებად, რამეთუ ჭეშმარიტი არს იგი და ჩუენცა, ოდენ
 ჭეშმარიტსა ვიტყოდით, არა გუეშინის ჩუენსაცა წამებასა
 მოღებად. და, უკუეთუ ჩუენ ესრეთ ვიქმთ, იგიმცა არა უფ-
 რომსად იქმოდა, რომელი-იგი სულითა წმიდითა წერდა და
 ყოველსავე თანა იყო და ჯუარის-ცუმასა მუნ დგა და დე-
 დაჲ უფლისაჲ შეჰვედრა, რომელ-ესე ყოველი სასწაული იყო
 სიყუარულისაჲ? ხოლო რომელ თქუა, ვითარმედ: „არცა
 ლამცა სოფელმან დაიტია“, ნუ გიკვრსესე, ნუცა ურწმუნო
 ხარ, არამედ მოიგონე მიუთხრობელი იგი ძალი უფლისაჲ და
 შეიწყნარე ესე სარწმუნოებით, რამეთუ ვითარცა ჩუენდა ად-
 ვილ არს სიტყუსა თქუმაჲ, ეგრეთვე ფრიად უფრომსად მისა
 ადვილ არს ქმნაჲ, რაჲცა ენებოს, რამეთუ კმა იყო ნებებაჲ
 ოდენ, და ყოველივე იქმნებოდა.

ს წ ა ვ ლ ა ჲ კ ც

მოქალაქობისათს საღმრთოისა და საეშმაკოისა და ანგაპრებისათს

გვსმენდეთ უკუე კეთილად თქუმულთა ამათ, რაჲთა ეს-
 რეთ შეუძლოთ წმიდა-ყოფად ცხოვრებისა ჩუენისა, ესრეთ
 შეუძლოთ აღმოფხურად ეკალთა მათ ვნებათასა, რამეთუ
 ესევეითარი არს ცოდვაჲ და სოფლისა ზრუნვაჲ უნაყოფო და
 ბოროტი და, ვითარცა კურომსთავი, სადაჲმცა უპყრია მას,
 განმგურემელ არს. ეგრეთვე სოფლისა ზრუნვაჲ, სადაჲმცა
 შოუქდე, გავნებს, ხოლო სულიერნი საქმენი არა ესრეთ

არიან, არამედ მსგავს არიან მარგალიტისა და, სადაა თუ მო-
 აქციო, საშუებელ არს და საყუარელ. რამეთუ, უკუეთუ ვინ
 ქმნას მოწყალებამ, ანუ სხუად იყო? არამედ ჩუენ უკუეთუ
 გვცოდავს, დავსთხინეთ ცრემლნი, ვიგლოვით ჭეროვნად. აღ-
 ვიძუარცნეთ ცოდვანი, ვითარცა ზაქე, ეგრეთვე ჩუენცა. და
 ვითარი წყლულებამ, ანუ სენი, უკუეთუ პირველად მიზეზი
 სენისაჲ არა დააყენო და შარავი არა გამოიღო, დაღაცათუ
 ძრავალნი წამალნი დაასხნე, არად სარგებელ არს. ეგრეთ
 ჩუენ, უკუეთუ ეელნი ჩუენნი არა დავაყენნეთ ანგაპრება-
 საგან, ყოველივე ამო არს, რამეთუ, დაღაცათუ მოვსცეთ
 მოწყალებამ, ანუ სხუად რამ კეთილი ვქმნეთ და კუალად
 ანგაპრებასა შინა ვიყვნეთ, კუალად შევიგინებით მის მიერ და
 უძვრცს პირველისა ვიქმნებით. დავსცხრეთ უკუე ანგაპრებისა
 და ტაცებისაგან და ესრეთ ვქმნეთ მოწყალებამ. რამეთუ,
 უკუეთუ ვინ დაეცემოდის სიმაღლისა დიდისაგან და ერთსა
 ზმთ ემჭირის და მეორე ქუშთ ჰზიდვიდეს, არაჲად იქმნების,
 გარნა განკუეთად კაცისაჲ მის, ხოლო, რაჲთა არა ჩუენ ზე-
 დაცა ესე მოიწიოს, და სიმძიმისაგან ანგაპრებისა დაგვტევნეს
 მოწყალებამან, ამისთვის განვიფრთხოთ და ვისწრაფოთ გან-
 შორებად ბოროტთაგან და რაჲთა კეთილთა საქმეთა მიერ
 სრულ ვიქმნეთ და მივემთხვნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა
 ძადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრის-
 ტესითა, რომელსა ჰშუენის დიდებამ და პატრივი, თაყუანის-
 ცემამ და სიმტკიცე, დიდებამ და დიდად შუენიერებამ თანა
 დაუსაბამოთ მამით და ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხო-
 ველსმყოფელით სულითურთ აწ და მარადის და შემდგომთა
 მათ დაუსრულებელთა საუკუნეთა უკუნითა უკუნისამდე ამენ.

ბოლოცნობა წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა

დიდება შენდა, სამებაო წმიდაო, დაესრულა თარგმანა
 სახარებისა იოვანეს თავისაჲ შეწევნითა ქრისტესითა, ამენ.

რომელი-იგი იყო პირველითგან ღმრთისა [თანა სიტ-
 ყუად ღმრთისაჲ], თანამოსაყრდმ [მამისა და სულისა წმიდი-
 საჲ], ყოველივე მის მიერ იქმნა, [ვითარცა] იტყუს იოანე

ღმრთისმეტყუელი, და ნეტარი პავლე ღალადებს, ვითარმედ:
„მის მიერ დაებადა ყოველი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა,
ხილულნი და არახილულნი, ანუ თუ საყდარნი, გინა თუ
[უფლე]ბანი, ანუ თუ მთავრობანი, გინა თუ კელმწიფებანი,
ყოველი მის მიერ და მისა მიმართ დაებადა, და იგი თავადი
არს ყოველთა წინა და ყოველი მის მიერ დაემტყიცა, რაჲმეთუ
ძრავლითა მით სახიერებითა მისითა ყოველივე არარამსაგან
სიბრძნით დაჰბადა და ხილულსა ამას სოფელსა ზედა გარდა-
ართხა სამყაროჲ ცისაჲ, ვითარცა კამარაჲ, და მას შინა გა-
ხაწესნა მნათობნი, რაჲთა ბრწყინვიდენ ქუეყანასა ზედა და
შეეწეოდინ კაცთა საქმესა. ხოლო კაცი შექმნა ხატად თვსა
და მსგავსებად [და] დაადგინა სამოთხესა მას შინა საშუებე-
ლისასა თვთმფლობელობითა, პატივის-ცემით და მისცა მას
ძცნებაჲ ნიეთად და საქმედ თვთმფლობელობისა მისისა, ვი-
თარცა წერილი იტყუს.

ხოლო მან შურიტა ეშმაკისაჲთა და ცდომითა დედაკა-
ცისაჲთა დაივიწყა [მცნებაჲ იგი მოცემული მისა და იძლია
ქამად] ხისა მისგან და ამისთვის გამოვარდა სამოთხით და
[ექსორია] იქმნა სოფელსა ამას შინა. და მიერიტგან [უფლებ-
და] სიკუდილი [და განმრავლდა ცოდვაჲ ნათესავთა შორის
კაცთასა და ყოველივე სოფელი დაიბყრა უშჯულოებაჲმან].
ხოლო უკუანაჲსკნელთა ჟამთა ჯერ-[იჩინა] მხოლოდშობილ-
ძან ძემან და სიტყუამან ღმრთისაჲმან ცხორებაჲ კაცთაჲ და
განზრახვითა მამისაჲთა გარდამოჲდა ზეცით და კორცნი
შეისხნა სულისაგან წმიდისა და. მარიამისგან ქალწულისა,
და კაც იქმნა ყოვლითურთ მსგავს ჩუენდა თვნიერ ცოდვისა
და მოგვყიდნა პატიოსნითა სისხლითა თვსითა და შეგვმზა-
და მეორჲ სამყაროჲ სულიერი, რომელ არს წმიდაჲ ეკლე-
სიაჲ, და განაწესნა მას შინა მნათობნი ბრწყინვალენი, წმი-
დანი მოციქულნი, წინაჲსწარმეტყუელნი, მოძღუარნი, მოწა-
ძენი და მამანი, რომელთა მიერ განანათლებს ნათესავსა კაც-
თასა და გონებათა მათთა გულისხმის-ყოფად წმიდასა სამე-
ბასა დააყენებს წინამძღურებითა თვსისა მადლისაჲთა და
[რომელნიცა შეუდგენ მას, შეილ ღმრთისა ჰყოფს და მკვდრ
ხათელსა ამას მიუაზრდილებელსა და „ხილული ესე სამყაროჲ
ცისაჲ“. ვითარცა] წერილი იტყუს, — [წარიგრაგნოს, ვითარ-

ცა წიგნი დღესა მას მეორედ] მოსლვისასა და ვარსკულავნი
 [ძისნი, ვითარცა ფურ]ცელნი დაცვენო“; ხოლო სულიერი
 ესე ცაჲ, რომელი ჩუენ გან[კაცები]თა შეგვმზადა, მაშინ
 უმეტესად გამოაბრწყინვოს მან თავადმან და მნათობნი იგი
 ძისნი გამოაჩინნეს ფრიად უბრწყინვალსს მზისა. ამის სუ-
 ლიერისა სამყაროჲსათჳს იტყოდა [დავით წინაჲსწარმეტყუე-
 ლი სულითა], ვითარმედ: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთი-
 სასა დაბადებულსა, ქმნილსა კელთა მისთასა — სამყაროჲ“,
 რამეთუ ჭეშმარიტად იქმნა ესე. ვინაჲთგან შემდგომად აღდ-
 გომისა უბრძანა ქრისტემან წმიდათა მოციქულთა, ვითარმედ:
 „წარვედით, მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“ და მერმე
 დღესა მას მეერგასესა მოუვლინა სული წმიდაჲ და აღავსნა
 იგინი მადლითა, განვიდეს და მოიმოწაფნეს ყოველნი წარ-
 ძართნი და მიუთხრობდეს დიდებასა ღმრთისასა და საქმეთა
 მათ მიუთხრობელსა განგებულებისა მისისათა. ხოლო არა
 სიტყვთ ოდენ აღასრულეს ქადაგებაჲ, არამედ მადლითა სუ-
 ლისა წმიდისაჲთა წერიტცა დაგუტევეს საიდუმლოჲ ცხორე-
 ბისაჲ, რამეთუ აღწერეს წმიდაჲ სახარებაჲ ყოვლადქებულთა
 მახარებელთა, რომელთაცა უბრძანა სულმან წმიდამან აღ-
 წერად და გუასწავლნეს დიდებულნი იგი საკვრელებანი, რო-
 ძელნი აღასრულნა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტე, სოფელ-
 სა შინა რაჲ იქცეოდა კაცთა თანა და ყოველივე, რაჲ-იგი
 ცხორებისა ჩუენისათჳს თავს-იღვა: ჟუარს-ცუმაჲ, დაფლვაჲ
 და აღდგომაჲ და ზეცად ამაღლებაჲ დიდებით და დიდებული
 იგი მეორედ მოსლვაჲ მისი. და ამას წიგნსა უწოდეს სახარე-
 ბა, რამეთუ ყოვლისავე კეთილისა ხარებაჲ წერილ არს
 მას შინა, ვითარცა წმიდაჲ იოვანე ოქროპირი იტყუს. მერმე
 კუალად ნეტარმან პავლე და სხუათა მოციქულთა ებისტო-
 ლებითა განამტკიცნეს მორწმუნენი და ყოველი სწავლაჲ
 ღმრთისმსახურებისაჲ მოგუცეს. ხოლო ვინაჲთგან აღწე-
 რილსა მას შინა მახარებელთა და მოციქულთასა მრავალი
 იყო ძნად საცნაურ და ვიეთნიმე უსწავლელნი და დაუმტკი-
 ცებელნი გარდააქცევდეს მსგავსად მათისა წარწყმედისა, ვი-
 თარცა მოციქული პეტრე იტყუს კათოლიკესა შინა. ამისთჳს
 შემდგომად მოციქულთა გამოაჩინნა უფალმან სხუანიცა მნა-
 თობნი სამყაროსა მას ეკლესიისასა, წმიდანი მღდელთმოდ-

ლუარნი, რომელთა მსგავსად მოცემულისა მათა მადლისა
 განგვმარტეს ყოველივე ძნიად გულისხმის-საყოფელი წე-
 რილთაჲ და გარდამაქცეველნი [იგი ჰეშმარიტებისანი მწვა-
 ლებელნი შეაჩუენნეს და სირცხვლელნი განიოტეს ეკლე-
 სიისაგან და განანათლეს ერი მორწმუნეთაჲ, ხოლო უფროჲს
 ყოველთასა მიეცა მადლი იგი სწავლისაჲ და გამოთარგმანე-
 ბაჲ წერილთაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილსა იოანე ოქრო-
 პირისა, რომელი-იგი იყო მთავარეპისკოპოს კონსტანტი-
 ნეპოლსა, რამეთუ პირველ მასცა] იყვნეს მნათობნი დიდნი
 წმიდაჲ ათანასე ალექსანდრიელი, და წმიდაჲ გრიგოლ საკრ-
 ველთმოქმედი, ნეო[კესარიელი] და წმიდაჲ ბასილი კესარია-
 კაბადუკიელი, და წმიდაჲ გრიგოლი ღმრთისმეტყუელი და
 წმიდაჲ გრიგოლ ნოსელი და სხუანი, მსგავსნი ამათნ. გარნა,
 ვინამთგან მათთა დღეთა ზე ფრიად იყო საცთურა კერპთ-
 მსახურთა და მწვალებელთაჲ არიოზ და ეენომიოს, საბელიოზ
 და მაკედონიოს და აპოლინარი და სხუანი მრავალნი, და
 წმიდანა იგი მამანი მათსა ბრძოლასა და წინააღმდეგომასა
 შექცეულ იყვნეს და მრავლითა ღუაწლითა და შრომითა და-
 ამტკიცეს მართალი სარწმუნოებაჲ. რამეთუ მეფეთაცა მწვა-
 ლებელთა მიმართ იყო წყობაჲ მათი, ამისთვის არა მოცალე
 იყვნეს იგინი თარგმანებად წერილთა, არამედ ყოველი აღ-
 წვრამ მათი მართლისა სარწმუნოებისათჳს იყო და წინააღ-
 დგომად მწვალებელთა, თვნიერ ხოლო წმიდამან ბასილი რავ-
 დენიმე თარგმანებაჲცა წერილთაჲ და საღმრთონი სწავლანი
 აღწერნა, სავსენი სიბრძნითა სულიერითა, ხოლო, ვინამთგან
 ძადლითა უფლისაჲთა და მათ ნეტართა მამათა მოღუაწები-
 თა არმურა იგი მწვალებელთაჲ განქარდა და მეფენი მართლ-
 ცადიდებელნი მეფობდეს და ეკლესიაჲ დაემტკიცა ქადაგებასა
 ზედა მოციქულთასა, მაშინ გამოაჩინა უფალმან სხუაჲ მნათობი
 დიდი ეკლესიისაჲ წმიდაჲ იოანე ოქროპირი და აღავსო სო-
 ფელი სწავლითა საღმრთოთა და ყოველნი წერილნი თარგ-
 მანებრითა თჳსითა განმარტნა, ეგრეთვე წმიდაჲ სახარებაჲ
 კელ-ყო თარგმანებად მადლითა სულისა წმიდისაჲთა, რამე-
 თუ წერილ არს, ვითარმედ დღეთა მათ დიდისა მეფისა თევდო-
 სისთა, ოდეს-იგი წმიდაჲ გრიგოლი ღმრთისმეტყუელი
 იყო კონსტანტინეპოვლეს, ევედრა თევდოსი მეფე, რამთა

აღწეროს თარგმანებამ წმიდისა სახარებისამ, რამეთუ ჰხედ-
ვიდა წყაროსა მას სიბრძნისასა, რომელი აღმოდრიდა პირისა
მისისაგან. ერჩიდა უკუე ნეტარი გრიგოლ და ენება ჯელ-
ყოფად [თარგმანებასა სახარებისასა], ხოლო დადგა ლოცვად
ლამესა ერთსა, რაჲთა გამოუცხადოს ღმერთმან, უკუეთუ
ჰხედავს საქმე იგი, რამეთუ ღმერთშემოსილნი მამანი თუნერ
ლოცვისა არარას იქმოდეს. და ვითარცა ილოცვიდა, ესმა
წმად, რომელი ეტყოდა: „გრიგოლ, გრიგოლ, თარგმანებამ სა-
ხარებისამ იოვანესდა ბრძანებულ არს ანტიოქელისა“. რა-
მეთუ მათ დღეთა, ოდეს გრიგოლ ღმრთა-სმეტყუელი მთავარ-
ეპისკოპოსის იყო კონსტანტინეპოლეს, წმიდამ იოვანე ოქრო-
პირი მთავარდიაკონი იყო ანტიოქიას. ხოლო ვითარცა ესე
ჰქადა: ესმა ნეტარსა მას, მიუთხრა ჩუენებამ იგი მეფესა და
არღარა ჯელ-ყო თარგმანებად. ხოლო შემდგომად მცირე-
დისა ჟამისა სავედრებელი რამე აქუნდა ერსა მას ანტიოქი-
ისასა მეფისა მიმართ თევდოსისადა და დაწერა იგი ნეტარმან
იოვანე და, მოიწია რამ წიგნი იგი წინაშე მეფისა, დაუკრდა
მეფესა აღწერილისა მის სიბრძნე და უჩუენა წიგნი იგი წმი-
დასა გრიგოლს, ხოლო მან წარიკითხა, ცნა სულითა, და
ჰრქუა მეფესა: „რომელსა ესე წიგნი დაუწერია, მეფეო, იგი
არს, რომელი მაუწყა მე ღმერთმან, ვითარმედ ბრძანებულ
არს მისდა თარგმანებამ სახარებისამ“. და ესე წინამსწარ-
მეტყუელებამ მისი აღესრულა, რამეთუ ჰეშმარტად აღწერა
თარგმანებამ წმიდისა სახარებისამ ღმერთშემოსილმან იოვანე
ოქროპირმან მათს და იოვანეს და ამათ შინა შემოკრიბა
ჟემეტესი მარკოზ და ლუკას მიერ აღწერილისამ, და დაწინ-
ეკლესიისა შინა საუნჯენი დიდძალნი, სავსენი მადლითა სუ-
ლიერითა.

რამეთუ ქადაგებულთა ჰეშმარტებათა მოუგასწავეს მეც-
ხიერებითა საღმრთოთა მეტყუელებითა და აღვიარებთ მათ
ძიერ უწყებთა სამებასა დაუბადებელსა და ყოველთა არსთა
სიბრძნით დამბადებელსა, რომელი-იგი ზეშთა არს ყო-
ველთა მოგონებათა და გამოთქუმათა ბაგეთაგან კორციელ-
თა, ღმრთეებამ, გუამოვნებით სამებად და სამებად, ბუნებით
ერთსწორებამ, მამამ, დაუსაბამოდ და დაუსრულებელი, ნა-
თელი ბუნებით უნივთომ, მნათობი შორის კორცთა ცხოველ-

თა, სწორი განზრახვითა და განგებითა თვთმფლობელობისადა-
თა, და ძმ დაუსაბამოე, მხოლოე მხოლოესაგან მხოლოდშო-
ბილი, ცხორებაე ცხორებისაგან, ნათელი ნათლისაგან თუ-
ალთშეუდგამი, რომელი თვებითა კელმწიფებისადათა ჰგიეს
უცვალეზელად მამისა თანა და სულისა ყოვლითავე მსგავ-
სებითა თვნიერ ძეობისა, და სული, დაუსაბამოე, ცხოველს-
მყოფელი, რომელი აღავსებს ყოველთა სიმდიდრითა ღმრთის-
ძეცნიერებისადათა, და თვთ ჰგიეს ორთა მათ თანა არსებათა
სუფევეასა უკუდავებისასა.

ესრეთ აღვიარებთ მართლმადიდებლობით კემმარიტსა
ღმრთეებასა, სამცხოველებით გამოცხადებულსა, ხოლო ერ-
თსა სამებისაგანსა, ძესა მხოლოსა ორითა ბუნებითა, ერთ ხა-
ტად შეურწყმელად, რომელი უწინარეს საუკუნეთადასა შე-
უცავითა მით ღმრთეებისა ბუნებითა იყო მამისა თანა.

ვითარცა ოხრის ნესტუ იგი ღმრთისმეტყუელებისაე და
კური სიწმიდისაე მიმთხრობელი უჟამოსა მას არსებასა და
იტყვს: „პირველითგან იყო სიტყუაე“,¹ ესრეთ აღამაღლებს
გონებათა ჩუენთა პირველისა მის მიმართ, რომლისა მიწუ-
დომაე შეუძლებელ არს, რამეთუ, რაოდენცა ამაღლდეს
გონებაე სიმაღლისა მიმართ ჟამთადასა, პირველ იგი უმაღლეს
იპოვების.

არამედ მოვიყვანო გონებაე თვსავე სადგურად და ვისმი-
ხოთ ამისვე საღმრთოსა მახარებლისაე, რამეთუ პირვე-
ლადვე მოგვთხრობს მიუწუდომელსა მას და უსაზღვროსა
არსებასა და კუალად დაღადებს უცნაურსა მას საიდუმლოსა
და მიზეზსა წსნისა ჩუენისასა, სავსესა ყოვლითა საშინელე-
ბითა, და იტყვს: „და სიტყუაე იგი ჯორციელ იქმნა“.

ესე არს სიტყუაე იგი, რომელი პირველითგან იყო უშო-
ბელისა თანა მშობელისა და აღსასრულსა საუკუნეთასა კაცთა
მსგავსებასა მოდგამ იქმნა, რადათა ვიხილოთ ჩუენ დიდებაე
ძისი, დიდებაე, ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ,
სავსე მაღლითა და კემმარიტებითა, და სავსებისაგან ღმრთეე-
ბისა მისისა მოვილოთ მაღლი მაღლისა წილ, რომელ არს
შჯული შჯულისა წილ.

¹ იოან. 1,1

რამეთუ შეცვალა მან სახს იგი წესთა მათ პირველთა და გამოაბრწყინვა სინათლემ, ქეშმარიტებად მახლობელთა მამართ და შორიელთა, რომელ არიან ერნი ზეცისანი და ქუეყანისანი, რომელნი ერთ სამწყსო-ყვნა მიზეზითა კაცთმოყუარებისადათა, ვითარცა თქუა, ვითარმედ: „იყვნენ იგინი ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“,¹ რამეთუ შეაერთნა ქუეყანისანი ჴეცისათა და ზოგად აუწყა მრავალსახს იგი მიუწოდომლობად განგებულებისა თვისიად, რამეთუ რომელმან უამთა ბუტყბრსა საზღვარი განაწესა, უამთა რიცხუსა მორჩილ იპოვა იზუნებითა მით. რამეთუ ჩუენგან მიიღო და ტაძარსა მას კორცთა ბუნებისასა დაფარა სავსებად ღმრთეებისა მისისად, რომლისა შუენიერებამან დაფარნა ცანი.

რამეთუ შანთი იგი აუგებელი შეეზავა აგებულებასა ნივთიერსა ბრძმეთსა მას შინა სიწმიდისასა, რომელ არს უბიწო მშობელი მისი, რომელსა შორის საიდუმლოდ დამკვდრებითა თვისითა უქცევლად აღასრულნა ქადაგებანი პირველ უწყებულთანი სულისა მიერ, რომელნი სურვიელად მოელოდეს და სწადოდა. რაათა იხილონ ქადაგებული მათი, რომელსა აწ ღმრთისა სიტყუამან სახიერებითა თვისითა ღირს-მყვნა ჩუენ, ერი ესე ახალი, რომელთა მიწოდა უცხოთაგან სამსახურებელთა და აღმიშენა სახლი სულიერი საფუძველსა ზედა მოციქულთა და წინაწარმეტყუელთასა, რომლისა საფუძველნი „ნეტარყველად ჰვიან კუეთებასა მას ურწმუნოვებისა ქართა მდინარეთასა, რამეთუ თავ საკიდურთა მისთა არს მხოლოდ-ობილი ძმ ღმრთისად, რომელმან სხურებულ-ყო სისხლითა ახლისა აღთქუმისადათა და განაშუენა სახედ ძოწეულისა.

ამისთვის, რომელსა პირველ ბერწ ერქუა, აღივსნეს ეზონი კანნი სიმრავლითა ნაშობთადათა, რომელთა შორის განსცხრების ათძალითა შემასხმელითა, ვითარცა დედად შვილთა მიერ სახარულევანი, რამეთუ შეიწყნარა ხარებული იგი ესაია კმაძალლისად, რომელ თქუა: „იხარებდ, ბერწი ეგე, რომელი არა შობდ, აღიმაღლე და ღაღად-ყავ, რომელსა არა გელძოდა“. ამისთვისცა ნაკადულნი დიან საღმრთოდასა სძისცუარისა და წყლისა ცხოველისანი საყოფელთა შორის სიონი-

¹ იოან. 10,16

სათა, რომელ არიან ქადაგებანი მოციქულთა და წინაწარ-
მეტყუელთანი და წმიდათა მღვდელთმოძღუართანი, რომელთა
'შორის სავანე-ყო მხოლოდშობილმან ძემან ღმრთისამან მა-
მით და სულით წმიდითურთ.

ამისთვის არა ღირს წოდებად მათა სწორ კაცთა, არამედ
ფრთოვან-ქმნეს გონებად მათი სიმაღლედ მიმართ სამყაროასა
შოდასედ უკორცოთა ზეცისათა, რომელთა მსგავსად ორბისა
და, ვითარცა ღრუბელთა, აცურიეს სოფელსა ცუარი ღმრთის-
ძეცნიერებისა და აღორძნდა ნაყოფი მართლისა სარწმუ-
ხოებისა უმეტეს პირველისა.

რამეთუ შორის მისა, ვითარცა ღუარძლი, განარჩიეს ნერგი
იგი სიმწარისა, სარწმუნოვებად მკეცებრ განზოროტებულთა
მწვალებელთა, რომელნი განცოფნეს სიბრძნესა შინა ამის
სოფლისასა, ხოლო სილაღითა მით უკეთურებისა თვისი-
სადათა არა თავს-იღვეს მორჩილებად სწავლასა მოციქულთასა,
არამედ შემოიღეს მოძღურებად უცხო და მრავალსახმ.

ამისთვის უცხო იქმნეს მეორედ შობისა მისგან სულიერი-
სა და ესრეთ შეპყრობილნი ბნელითა უმეტრებისადათა ეწყ-
ვებოდეს წინაშე პირსა ნათლისასა. ხოლო წმიდათა მათ მოძ-
ღუართა მართლისა სარწმუნოვებისათა, ვითარცა ცეცხლითა,
ენითა მათითა შეწუეს ეკალი წვალებისა მათისა და ჭეჭლი
იგი მართლმადიდებლობისა — კრებული ერთა მორწმუნე-
თა — იხარებს ცუარითა მით გარდამომდინარითა პირით
ძისით და განწყობილნი ოხრიან ღელეთა შორის ეკლესიისათა
დიდებისმეტყუელებად საშინელისა სამებისა, რომელი დიდ-
ებულ არს უკუნისამდე.

ამის წმიდისა სამებისა ჰეშმარიტითა სარწმუნოვებითა და
ძისა მიმართ მეოხებითა დედოფლისა ჩუენისა ყოვლადწმი-
დისა ქალწულისა მარიამისითა, რომელმან ერთი სამებისაგანი,
ძმ, ბუნებითი სწორი მამისა, თვნიერ ბუნებისა საშოსა დაი-
ტია, და ესე არს მეოხი ყოველთა ქრისტიანეთა წინაშე ძისა
ძისისა და ღმრთისა ჩუენისა და ძლიერებითა ცხოველსყო-
ფელისა პატიოსნისა ჯუარისადათა და მადლითა წმიდისა
იოვანე ნათლისმცემელისადათა, მეოხებითა წმიდათა მღვდელ-
თმოძღუართა, მოწამეთა და მამათადათა, რომელთა მკნედ მო-

ღუაწებითა მათითა სულიერითა განაპნეს სიღრმენი უფსკ-
რულთა ურწმუნოებებისათანი და ერი ღმრთისამ — ახალი
ისრაელი — განიყვანეს აღთქუმულსა მას იერუსალემსა,
რამეთუ ნავი მოძღურებათა მათთამ შეკმზადეს არა თუ
ქუეყანიტი ქუეყანად მიმყვანებელი, არამედ ქუეყანით ცად
აღმყვანებელი სულისა და გონებისა მართლმორწმუნეთამსამ
აძათ ყოველთა მეოხებითა და თანაშეწევნითა.¹

¹ დაზიანებული ადგილები აღდგენილია „მათეს სახარების თარგმა-
ნების“ ანდერძის მიხედვით.

მხატვარი დ. ხიდაშელი

ჩაბარდა წარმოებას 15.04.92. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.02.93-
ქალაქი საბეჭდი № 2. გარნიტური ჩეულებრივი. ბეჭდვა მაღალი.
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 18,42. სააღრიცხვო-საგამომცემლო
ფურცელი 16,36. ტირაჟი 6000 შეკვ. № 67.
თბილისი, 1993 წ.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლები: გ ე ლ ა ა რ ო შ ვ ი ლ ი
ზ უ რ ა ბ ა რ ო შ ვ ი ლ ი

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5-